

504
1960/2

საგ. 33



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

საპრ. ინ. პაპანიშვილის ქ. (თბილ.) ისტორიის ინსტიტუტი

მეცნიერებათა

საქართველოს მეცნიერებათა ინსტიტუტის ისტორიის ინსტიტუტი

МАТЕРИАЛЫ

по истории Грузии и Кавказа

33



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტი

მ ა ს ა ლ ე ბ ი

საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის

МАТЕРИАЛЫ

по истории Грузии и Кавказа

ნაკვ. 33 წიგნი

8503



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა
ИЗДАТЕЛЬСТВО АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

თბილისი—1960—ТБИЛИСИ

მიქელ ჰანარეტოსი

ტრაპიზონის ქრონიკა

პერძული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავალი წერილით,
შენიშვნებითა და საძიებლით გამოსცა

ალ. გამყრელიძემ

წინასიტყვა

წინამდებარე ნაშრომი შესრულებულია ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის ინსტიტუტის 1950 წლის სამეცნიერო-კვლევითი გეგმის თანახმად, მაგრამ ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო აქამდე ვერ დაიბეჭდა. ბუნებრივია, დაბეჭდვის წინ ბევრი რამ შესწორდა და შეივსო, განსაკუთრებით კომენტარებმა ნაწილში; ოღონდ გაჭირდება ასევე ითქვას შესავალი წერილის შესახებ—ეს ძეგლი, რასაკვირველია, ღირსია უფრო ვრცელი და დასაბუთებული გამოკვლევის დართვისა, ამ შესავლის მთლიანი გადამუშავება და გავრცობა კი ამჯერად ვერ მომიხერხდა. ამიტომაც, რომ საქართველო-ტრაპიზონის ურთიერთობის საკითხების გარკვევის სიმძიმე ძირითადად კომენტარებშია გადატანილი, მაშინ როცა ეგებ აჯობებდა შესავალშიც გვემსჯელა უფრო ვრცლად.

ბოლო დროს საზღვარგარეთ, უფრო კი თვით საბერძნეთში, როგორც უცხოური სამეცნიერო ურუნალებიდან ჩანს, ფრიად გაძლიერდა ინტერესი ამ საისტორიო ძეგლის მიმართ და რამდენიმე საყურადღებო ნაშრომიც გამოქვეყნდა, მათ შორის—ორი ახალი გამოცემა. ამ ნაშრომებიდან ზოგი მოსკოვ-ლენინგრადში ყოფნის დროს ვნახე, მაგრამ ნაწილი კი არც იქ აღმოჩნდა და მიუხედავად არა ერთი ცდისა, ჯერჯერობით ვერც უცხოეთიდან მოხერხდა მათი მიღება. ასე რომ, სამწუხაროდ, სასურველი სისრულით ვერ გავითვალისწინეთ მთელი ბოლოდროინდელი ლიტერატურა.

ეს ქრონიკა დიდად საინტერესო და მნიშვნელოვანი წყაროა ჩვენი ქვეყნის შუა საუკუნეთა ისტორიისათვის, ხოლო მისი ტექსტი კი ბიბლიოგრაფიულ იმეათობას წარმოადგენს (მაგ., სპ. ლამბროსის გამოცემას, რომელიც ძალიან განსხვავდება ჩვენში საერთოდ გამოყენებული, მაგრამ აგრეთვე გაიშვიათებული ალ. ხახანაშვილის გამოცემისაგან, მხოლოდ ლენინგრადის ერთ, ნაკლებად ცნობილ ბიბლიოთეკაში მივაგენით). აგრეთვე უნდა დავსძინოთ, რომ ორიგინალის ტექსტს, როგორც ბიბლიოგრაფიული ცნობები ამტკიცებს, ახალ, ლამბროსის შემდგენლობაზე გამოცემებში განსაკუთრებული ცვლილება არ განუცდია და აქ მოთავსებული ბერძნული ტექსტი ძირითადად საიმედოა და უნდა ჩაითვალოს.

შმთავრებს ი შინოკლუბანო

- ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ი.—ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბილისი, წ. II, 1948; წ. III, 1949 წ.
- ივ. ჯავახიშვილი, ქ. სამ. ი.—ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტფილისი, წ. I, 1928; წ. II, ნ. I, 1928; ნ. II, 1929.
- საქართველოს ისტორია, ნაწ. I—ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, უძველესი დროიდან XIX საუკუნის დამდეგამდე, ს. ჯანაშიას რედ., თბილისი, 1948.
- ტრაპიზონის საქმე—ზ. ავალიშვილი, ტრაპიზონის საქმე. კრებული—ჯვაროსანთა დროიდან (ოთხი საისტორიო ნარკვევი). პარიზი, 1929, გვ. 79—132.
- ქ. ცხ.—ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, ტ. I, 1955; ტ. II, 1959.
- Безобразов, Трапезунт—Безобразов П. В., Трапезунт, его святыни и древности, Петроград, 1916.
- Вазелонские акты—Акад. Ф. И. Успенский и проф. В. В. Бенешевич, Вазелонские акты. Материалы для истории крестьянского и монастырского землевладения в Византии XIII—XV веков. Ленинград, 1927.
- Казбек, Три месяца—Казбек Г., Три месяца в Турецкой Грузии. Записки Кавказского отдела Рус. геогр. общества. Кн. X, в. I, 1876, Тифлис, стр. 1—140.
- Куник, Основание—Куник А., Основание Трапезунтской империи в 1204 году. Ученые записки императорской Академии наук по первому и третьему отделениям, т. II, вып. 5, СПб, 1854, стр. 705—733.
- Сборник документов—Сборник документов по социально-экономической истории Византии, Москва, 1951.
- Сборник источников—А. Пападопуло-Керамевс, Сборник источников по истории Трапезундской империи, СПб, 1897.
- Скабаланович—Н. Скабаланович, Византийское государство и церковь в XI в., СПб, 1884.
- Трапезундская хроника—Трапезундская хроника Михаила Панагета. Греческий текст с переводом, предисловием и комментариями.

- ми издал А. Хаханов. Москва, 1905 (Труды по востоковедению, издаваемые Лазаревским Институтом Восточных Языков, вып. XXIII).
- Успенский, История — Успенский Ф. И., История Византийской империи, т. III, М. - Л., 1948.
- Успенский, Очерки — Успенский Ф. И., Очерки из истории Трапезунтской империи, Ленинград, 1929.
- Byzantium — Byzantium. An Introduction to East Roman Civilization. Ed. by N. H. Baynes and H. St. L. B. Moss, Oxford, 1949.
- B. Z. — Byzantinische Zeitschrift.
- Fallmerayer, Geschichte — J. Ph. Fallmerayer, Geschichte des Kaiserthums von Trapezunt, München, 1827.
- Finlay — G. Finlay, A History of Greece, ed. Tozer, v. IV. Mediaeval Greece and the Empire of Trebizond, Oxford, 1877 (პირველი გამოცემა — 1851 წ.).
- Honigmann, Ostgrenze — E. Honigmann, Die Ostgrenze des byzantinischen Reiches. Bruxelles, 1935.
- Lebeau — Histoire du Bas-Empire, par Lebeau, Nouvelle édition, revue entièrement, corrigée, et augmentée d'après les historiens orientaux, par M. de Saint-Martin, et continuée par M. Brosset. Paris. t. XVII, 1834; t. XVIII, 1835; t. XIX, 1835; t. XX, 1836.
- Miller, Trebizond — W. Miller, Trebizond, the Last Greek Empire, London, 1926.
- Original-Fragmente ან Orig.-Fragm., I, II — Original-Fragmente, Chroniken, Inschriften und andere Materiale zur Geschichte des Kaiserthums Trapezunt. Von Dr. J. Ph. Fallmerayer. Abhandlungen der III Cl. der K. Bayerischen Akademie der Wissenschaften, Erste Abtheilung, III B., 2 (München, 1842), 1 — 159; Zweite Abtheilung, IV B., 1 (München, 1846) 1 — 108.
- Paramichalopoulos — Κ. Παπαμιχαλόπουλος, Περιήγησις εἰς τὸν Πόντον, Ἀθήνησι, 1903.
- Ramsay — W. M. Ramsay, The Historical Geography of Asia Minor. Royal Geographical Society. Supplementary Papers. Vol. IV, London, 1890.
- Vasiliev, Foundation — A. A. Vasiliev, The Foundation of the Empire of Trebizond (1204 — 1222). Speculum, Vol. XI, № 1, 1936, pp. 3 — 37.

აღნიშვნანი ბერძნული ტექსტის სქოლიოში:

- F — ი. ფ. ფალმერაიერის გამოცემა (Orig.-Fragm., II).
- L — სპ. ლამბროსის გამოცემა (Νέος Ἑλληνομνημῶν, τ. IV, 1907, შდრ. აქვე, გვ. 10, შენ. 4).
- M — ხელნაწერი — Marcianus 1608 წლისა.
- T — გ. ტაფელის გამოცემა (Eustathii opuscula... შდრ. აქვე, გვ. 9, შენ. 4).

მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“

შესავალი

მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“ ერთ-ერთ უმთავრეს წყაროდ ითვლება შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, საქართველოს მეზობლად, XIII საუკუნის დასაწყისში ჩამოყალიბებული სახელმწიფოს, ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის შესასწავლად¹. ამ ქრონიკის მნიშვნელობა ისე დიდია, რომ, მისი ერთი გამომცემლის თქმისა არ იყოს², საეჭვოა უამისოდ შესაძლებელი ყოფილიყო ამ ქვეყნის ისტორიის შესახებ ასე თუ ისე საფუძვლიანი და თანამედევრული მსჯელობა.

ტრაპიზონის იმპერია, როგორც საბოლოოდ ირკვევა, ფრიად თავისებურ ვითარებაში ჩამოყალიბებულ და განვითარებულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. მართალია, იქ ბიზანტიის სამეფო გვარის, კომნინოსების, შთამომავალი გამეფდა, მაგრამ ეს ჰაბუკი თითქმის სამი წლის ასაკიდან თამარ მეფის კარზე იყო გაზრდილი. ჯერ კიდევ აკად. ა. კუნიკი აღნიშნავდა 1854 წელს გამოქვეყნებულ შრომაში: ტრაპიზონის პირველი მეფე ალექსი და მისი ძმა დავითი ისე პატარები უნდა ჩამოეყვანათ საქართველოში, რომ ბერძნული ენის სწავლა მხოლოდ აქ თუ შეეძლოთ. ამასთან ერთად უნდა ვაღიაროთ, რომ მათი მშობლიური ენა ქართული უნდა ყოფილიყო («Надобно согласиться, что природным их языком был язык грузинский»), რომელიც უკეთ უნდა სცოდნოდით, ვიდრე თავიანთი მამეული ენა. რაკი თავიანთი ნათესაის, თამარ მეფის, კარზე იზრდებოდნენ — ქართველ დიდებულებსა და მეომრებში, ქართული ცხოვრებისა და ზნე-ჩვეულების გავლენის ქვეშაც იყვნენ; ასე, რომ ოცი წლის ასაკში ალბათ ქართველ დიდებულებს უფრო ჰგვანდნენ, ვიდრე ბიზანტიელებსაო, — დაასკვნის აკად. კუნიკი³.

¹ ტრაპიზონის იმპერიის ისტორიისათვის უმთავრესი მონოგრაფიული ნაშრომები: Fallmerayer, *Geschichte*; F. de Pfaffenhoffen, *Essai sur les aspres comnénats, ou blancs d'argent de Trebizond*, Paris, 1847; G. Finlay, *Mediaeval Greece and the Empire of Trebizond*; Куник, *Основание*: Σ. Ἰωαννίδης, *Ἱστορία καὶ στατιστικὴ Τραπεζούντου*, ἐν ΚΠ, 1870; Т. Еὐαγγελίδης, *Ἱστορία τῆς Ποντικῆς Τραπεζούντου*, ἐν Ὁδησσῷ, 1898. Тραπεзундская хроника; Безобразов, Тραπεзунт; Miller, *Trebizond*; Успенский. Очерки: ტრაპიზონის საქმე; Vasiliev, *Foundation*; Vasiliev A. A., *The Empire of Trebizond in History and Literatur*, Byzantion, XV, 1940/41, 316 — 377.

² Fallmerayer, *Original-Fragmente*, II, 3.

³ А. Куник, *Основание*, стр. 726.

ავად. ივ. ჯავახიშვილი შემდეგნაირად ახასიათებს 1204 წელს დაარსებულ ამ სახელმწიფოს მიმართ თამარ მეფის პოლიტიკასა და საქართველოს ურთიერთობას: „ამ საკეისროში მან (ე. ი. თამარმა) შთამომავლობით ბერძენი უფლისწული ალექსი კომნენოსი გაამეფა, რომელიც დედის მხრით ქართველ მეფეთა ბაგრატიონთა მონათესავე და საქართველოში ნამყოფი იყო. ამნაირად, საქართველოს მეზობლად ამ დროითან მოყოლებული თვით საქართველოს წყალობითვე შექმნილი საკეისრო გაჩნდა, რომელიც ქართველთა მონათესავე ტომით იყო დასახლებული, პოლიტიკურადაც საქართველოს სახელმწიფოებრივობასთან იყო უმჭიდროესად დაკავშირებული. ტრაპიზონის საკეისროში საქართველოს ჰეგემონია სუფევდა. მისი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ქართველთა მონათესავე ჭანების ტომისაგან შედგებოდა. ბერძენთა მოსახლეობა მხოლოდ ქალაქებში იყო და მარტო მაღალი წრის ფენას ეკუთვნოდა, მაგრამ ამ მაღალი წრის ფენაზეც ქართულ მოსახლეობასაც საკმაოდ ჰყავდა თავისი წარმომადგენლები“¹.

უკვე უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაშიც იკიდებს ფეხს ერთ დროს უგულვებელყოფილი შეხედულება, რომლის მიხედვითაც ტრაპიზონის იმპერია, უეჭველია, საქართველოს სახელმწიფოს ხელის შეწყობით დაარსდა², მისი დიდი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და ტრაპიზონის სამეფოს დამხობის დღემდე ამ ორ ქვეყანას შორის მჭიდრო ურთიერთობა არ მოშლილა, თუმცა ეს ურთიერთობა ყოველთვის ერთნაირი ინტენსივობისა არ ყოფილა.

მეორე მხრით გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი თანამედროვე უცხოელი მეცნიერი ცდილობს მიჩქმალოს ამ საქმეში საქართველოს ისტორიული როლი და ისეთ აბსურდამდეც კი მიდის, რომ თამარ მეფეს ბერძენ ბატონიშვილად თვლის, რომელიც ვითომ საქართველოში იყო გამოთხოვილი, ქმარი მოუყვდა და შემდეგ ქმრის ტახტზე თვითონ დაჯდა³. ასეთი ფაქტის არსებობა ამტკიცებს, რომ ტრაპიზონ-საქართველოს ურთიერთობაში ჯერ კიდევ ბევრი საკითხია უფრო მკაფიოდ გასარკვევი და უფრო მტკიცედ დასასაბუთებელი. ამ მხრით, საქართველო-ტრაპიზონის ურთიერთობის უკეთ გარკვევისათვის, მნიშვნელოვანი ცნობები მოიპოვება მიქელ პანარეტოსის ამ ქრონიკაში.

ტრაპიზონის ქრონიკა ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ამბით (1204 წლიდან) იწყება და თითქმის სულ თავიდან ბოლომდე აღვსილია მარტოოდენ თარიღებითა და მეფეთა შთამომავლობის ცნობებით, რომლებიც საკმაოდ მართალი

¹ ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ისტორია (XI — XV საუკუნეები), თბილისი, 1949, 81. შტრ. მისივე, ქ. ე. ი., წ. II, 273 — 4; აგრეთვე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 221 — 223; Безобразов, Трапезунт, стр. 3 — 6; Успенский, Очерки, стр. 2, 60 და სხვ.; Успенский, История, т. III, 601.

² Vasiliev, Foundation, განსაკუთრებით გვ. 12 — 20; G. Ostrogorsky, Geschichte des byzantinischen Staates, München, 1940, S. 303; K. 'Αμάντος, 'Ιστορία των Βυζαντινών Κράτους, τ. II, Athènes, 1947, σ. 423.

³ Γ. Κ. Σκαλιέρης, 'Η ἀποικιαστική τῆς Τραπεζούντης, 'Αθήναι, 1926, σ. 82. შტრ. აგრეთვე, N. Iorga, Une nouvelle théorie sur l'origine et le caractère de l'empire de Trebizonde. Revue historique du Sud-Est européen, 13, (1936) 172 — 176, რომელშიაც ავტორი არსებითად ა. ვასილიევს აკრიტიკებს (იხ. მისი, Foundation) და გადაჭარბებულად მიაჩნია თამარ მეფის როლის შეფასება ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საქმეში. ასევე გადაჭარბებულად თვლის ქართული ელემენტის გავლენას იმპერიის ცხოვრებაში G. Stadtmüller-ი, რომელიც გამოთვამულა ზ. ავალიშვილის ნაშრომის გამოსვლას ტრაპიზონის შესახებ. (იხ. B.Z. 37 [1937], 535 — 36).

და სანდო ჩანს. ამ გენეალოგიურ და ქრონოლოგიურ ცნობათა უმეტესობა, განსაკუთრებით ის ნაწილი, რომელიც შემდგენლის ცხოვრების დრომდე მომხდარ ამბებს ეხება, მიქელ პანარეტოსს, ზოგი მკვლევრის ვარაუდით¹, გადმოწერილი უნდა ჰქონდეს იმ თავისებური გალერეის წარწერებიდან, რომელიც კარდინალ ბესარიონის² „ტრაპიზონის ქების“ დამოწმებით, ტრაპიზონის იმპერატორის ციხე-დარბაზში იყო გამართული. აქ ერთ-ერთი დარბაზის კედლებზე თანმიყოლებით ყოფილა გამოხატული ყველა დიდი კომინოსი თავისი ოჯახითურთ და ღრესკებს თან ახლდა თურმე მათი მეფობის ხანის უმთავრესი ამბების აღმწახავი წარწერები. ეს ცნობა იმდენად სარწმუნო ჩანს, რომ მართლაც საფიქრებელია. ნაწილობრივ მაინც ამ წყაროთი ესარგებლა მიქელ პანარეტოსს თავისი ქრონიკის წინა ნაწილის შესადგენად.

თვით ტრაპიზონის ქრონიკის ტექსტი მხოლოდ ერთადერთი ხელნაწერთა არის მოღწეული ჩვენამდე. ეს ხელნაწერი გადაწერილი ყოფილა 1608 წელს და დაცულია ვენეციის წმ. მარკოზის მონასტრის ბიბლიოთეკაში, სადაც იგი XIX საუკუნის დასაწყისში კარდინალ ბესარიონის წიგნებში აღმოაჩინა ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის პირველმა გამოჩენილმა მკვლევარმა — ი. ფ. ფალმერაიერმა³. მაგრამ გამოცემით კი პირველად იმას არ გამოუცია, მან მხოლოდ უხვად ისარგებლა ამ ქრონიკის ცნობებით და 1827 წელს მიუნხენში გამოაქვეყნა თავისი სახელგანთქმული წიგნი — „ტრაპიზონის იმპერიის ისტორია“ („Geschichte des Kaiserthums von Trapezunt“). ეს წიგნი ფალმერაიერს დაუწერია 1823 წელს კოპენჰაგენის სამეფო სამეცნიერო საზოგადოების მიერ საკონკურსოდ გამოცხადებულ თემაზე და კიდევ დაიმსახურა ჯილდო. ეს ნაშრომი ჯერ კიდევ მნიშვნელოვანია ტრაპიზონის ისტორიის საკითხებზე მომუშავე მკვლევართათვის.

ქრონიკის ტექსტი გამოსაცემად, როგორც ირკვევა, ფალმერაიერს თავდაპირველად ტიუბინგენელი მეცნიერის გოტლიბ ტაფელისთვის დაუთმია. ტაფელმა გამოაქვეყნა იგი 1832 წელს, ოღონდ თარგმანისა და კომენტარების გარეშე და თითქმის სახელდახელოდაც. ეს ტექსტი ტაფელმა დაურთო მის მიერ გამოცემულ თესალონიკის მიტროპოლიტ უესტათიოსის თხზულებათა კრებულს⁴. ტაფელის გამოცემიდანაა თარგმნილი ის ფრანგული ტექსტი, რომელიც აკადემი-

¹ Fallmerayer, Original-Fragmente, II, 9; ტრაპიზონის საქმე, გვ. 98.

² კარდინალი ბესარიონი (დაიბ. 1403 წ.) აღორძინების ხანის მნიშვნელოვანი ფიგურაა, წარმოშობით ტრაპიზონელი. მოღვაწეობდა იტალიაში. მისი ბიოგრაფიისათვის ერთ-ერთი უკანასკნელი შრომა — L. Loenertz, Pour la biographie du cardinal Bessarion. Orientalia Christiana Periodica, 10 (1944) 116 — 149. მისი „ტრაპიზონის ქების“ ერთ-ერთი გამოცემა ეყუთვნის სპ. ლამბროსის, „ტრაპიზონის ქრონიკის“ მკვლევარს — Βησσαρίαν, Ἐγκύκλιον ἐπὶ Τραπεζιῶνται, შობ. Νέος Ἑλληνοαρχισ, XIII, 1916.

³ მისი ცხოვრებისა და სამეცნიერო მოღვაწეობის მოკლე მიმოხილვა და სათანადო წყაროები იხ. А. Васильев, Славяне в Греции, II: Фальмерайер и его теория, Виз. Врем., V, 1898, стр. 626 — 644.

⁴ Eustathii metropolitae Thessalonicensis opuscula. Accedit Trapezuntinae historiae scriptores Panaretus et Eugenicius. E codicibus Mss. . . . primum editit Theoph. Lucas Frider. Tafel. Francofurti ad Moenum, 1832. „ტრაპიზონის ქრონიკის“ ტექსტს უპირავს გვ. 362 — 370. მოკლე შენიშვნების როლს ნაწილობრივ ასრულებს ვრცელი საძიებელი (გვ. XXXII — XL), რომელშიაც საკუთარ სახელთა გარდა ზოგი ძნელად გასაგები სიტყვის განმარტებაც არის წარმოდგენილი ლათინურად.

კოსმა მარი ბროსემ დაბეჭდა ცნობილ ლებოს (Lebeau) ბიზანტიის ისტორიის (Histoire du Bas-Empire) ახალ გამოცემაში, სენ-მარტენის და თვით მისა, ბროსეს, შეესებულ-შესწორებული რედაქციით რომ გამოვიდა. თანმიყოლებული ფრანგული თარგმანი ტექსტისა მხოლოდ VII თავის შემდეგ არის გაკეთებული ზოლომდე. მოთავსებულია ზემოხსენებული თხზულების XX ტომის ბოლოს (გვ. 482—509) და სათანადო შენიშვნებიც აქვს დართული. ქრონიკის დანარჩენი წინა თავები (I—VI) კი მთლიანად არ არის თარგმნილი, მხოლოდ აქა-იქ ადგილები გადმოვლია ფრანგულად ან კიდევ მხოლოდ შინაარსია გამოყენებული და გაბნეული წინა ტომებში (ტ. ტ. XVII, XVIII, XIX), უმთავრესად თხზულების იმ ადგილების სქოლიოებში, სადაც ქრონიკის თავებში გადმოცემულ ამბებზეა მსჯელობა¹.

ამის შემდეგ, 1844 წელს, პანარეტოსის ქრონიკის ბერძნული ტექსტი, გერმანული თარგმანითა და ვრცელი შენიშვნებითურთ, გამოაქვეყნა თვით ფალმერაიერმა თავის ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის მასალებსი კრებულის მეორე ნაკვეთში, რომელიც ბავარიის სამეცნიერო აკადემიის შრომებში დაიბეჭდა². ტექსტი დიდი გულმოდგინებით არის გამოცემული, მრავალ რედაქციულ თავისებურებასაც შეიცავს ხელნაწერის ამოკითხვების გააზრებისა და ზოგი სიტყვის დორმის შესწორების მხრით. ვანსაკუთრებით საინტერესოა ტექსტისათვის დართული შენიშვნები და აგრეთვე წინ წამძღვარებული წინასიტყვაობა.

ფალმერაიერის მიერ გამოცემული ბერძნული ტექსტი 1905 წელს მოსკოვში გადაბეჭდა ჩვენმა ცნობილმა მეცნიერმა და საზოგადო მოღვაწემ, ალ. ხაზანაშვილმა, აღმოსავლური ენების ლაზარევის ინსტიტუტის შრომების XXIII ნაკვეთში³. ბერძნულ ტექსტს ალ. ხაზანაშვილმა რუსული თარგმანი, ვრცელი წინასიტყვაობა და კომენტარებიც დაურთო. მაგრამ, სამწუხაროდ, ბერძნულ ტექსტის ამ გამოცემას მრავალი კორექტურული შეცდომა ახლავს. რაც შეეხება რუსულ თარგმანსა და შენიშვნებს, თავის დროზე ეს ფრიად სასარგებლო და საჭირო საქმე გამოდგა—ბროსეს და აკადემიკოს კუნიკის შემდეგ ქართული მასალა ასე ვრცლად პირველად მან გამოიყენა ტრაპიზონის ქრონიკაში გადმოცემულ ფაქტებზე მსჯელობისათვის.

შემდეგი გამოცემა, ხელნაწერზე გულმოდგინე მუშაობისა და წინა გამოცემელთა რედაქციული თავისებურებების გათვალისწინების საფუძველზე შესრულებული, ცნობილ ბერძენ მეცნიერს სპირიდონ ლამბროსს ეკუთვნის. ეს ტექსტი ათენის ახალბერძნულ თავის სამეცნიერო ჟურნალ Νέος Ἑλληνομυθίαში დაბეჭდა მოკლე წინასიტყვაობის დართვით⁴.

¹ Histoire du Bas-Empire par Lebeau. ქრონიკის 1-ლი თავი მოთავსებულია ტ. XVII (გამოც. 1834 წ.), გვ. 255; თავები 2-5 — ტ. XVIII (გამოც. 1835), გვ. 279 — 281; თავი 6 — ტ. XIX (გამოც. 1835), გვ. 86 — 87; თავები მე-7-დან ზოლომდე — ტ. XX (გამოც. 1836 წ.), გვ. 482 — 509.

² Original-Fragmente. II, წინასიტყვაობა — გვ. 1 — 10; ქრონიკის ბერძნული ტექსტი — გვ. 11 — 40; გერმანული თარგმანი — გვ. 41 — 69; შენიშვნები — 70 — 108.

³ Трапезундская хроника Михаила Панарета. Греческий текст с переводом, предисловием и комментариями издал А. Хаханов. Москва. 1905 (Труды по востоковедению, издаваемые Лазаревским Институтом Восточных Языков. Выпуск XXIII).

⁴ იხ. ჟურნ. Νέος Ἑλληνομυθία, τ. IV, 1907. წინასიტყვაობა: Σπ. Λάμπρος, Τὸ Τραπεζουντακὸν χρονικὸν τῆς πρωτοσεξτατης καὶ πρωτοσέτατης Μιχαήλ

ლამბროსის ხელნაწერის თავისებურებათა გარდა ტაფელისა და ფალმერაიერის გამოცემის თავისებურებანიც მოყავს სქოლიოში. რაც შეეხება ალ. ხახანაშვილის გამოცემას, რომლის ავტორიც, სხვათა შორის, ლამბროსის რუსი ჰკონია, იგი ტექსტის დადგენაში არ ითვალისწინებს, ვინაიდან მისი ტექსტი მხოლოდ ფალმერაიერის ტექსტის გამეორებას წარმოადგენდა.

წინა გამოცემლებს, სპ. ლამბროსის მტკიცებით, ხელნაწერზე მუშაობის დროს ზოგი რამ გამოპზარვიათ, ვერ შეუნიშნავთ, თავისებურად გაუვიათ. თუკცა აქვე უნდა დავსძინოთ ისიც, რომ თვით ხელნაწერზე უშუალოდ მხოლოდ ფალმერაიერსა და ლამბროსს აქვთ ნამუშევარი. ლამბროსის გამოცემა ამ მხრით ბევრ ახალს შეიცავს.

გამომცემლებს შორის განსხვავებანი განსაკუთრებით შეინიშნება ზოგიერთი სიტყვის მახვილის დასმასა, ქარავმის გახსნასა და აგრეთვე ზოგიერთი თარიღის ამოკითხვაში. პანარეტოსის ქრონიკის ტექსტში ერთობ ზმირად გვხვდება ახალი ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი მოვლენები როგორც ლექსიკური, ისე მორფოლოგიური ხასიათისა, თუმცა ძირითადად კი ბიზანტიური ხანის ჩვეულებრივი ბერძნული ენით არის დაწერილი. ასეთი მოვლენები სრულიად კანონზომიერად შეიძლება ჩაითვალოს იმ დროის ძველისათვის, რომელსაც ჩვენი ტექსტი ეკუთვნის, ამიტომ ბერძნული ტექსტის ვადმოცემის დროს, ცხადია, ხელნაწერის წაკითხვებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა, მაგრამ გამომცემელთა მნიშვნელოვანი კითხვა-სხვაობები და ზოგიერთი მოსაზრებანიც გასათვალისწინებელია სქოლიოში.

ტაფელს და ფალმერაიერს, როგორც ტექსტების შედარებიდან ჩანს, ბევრი რამ ბერძნული ენის ძველი ნორმების მიხედვით შეუსწორებიათ და შეუუსიათ. მაგალითად, ტექსტის დასაწყისშივე პანარეტოსის **აჲპ**, რომელსაც დიდ უმრავლეს შემთხვევაში ავტორი უბრუნებლად ტოვებს (აქა-იქ იშვიათად თუ აბრუნებს, იხ., მაგ., თ. 2: ხელნაწერშია — **აჲპῶ** [sic]), ფალმერაიერი და ტაფელი ზმირად ძველი კლასიკური ბერძნული ენის ნორმების მიხედვით ასწორებენ ისე, როგორც სიტყვა **აჲპ:αι**-ის ფორმებს შეესაბამება.

წინამდებარე ბერძნული ტექსტი ძირითადად სპირიდონ ლამბროსის გამოცემას მისდევს, რომელიც ხელნაწერის თავისებურებებს შეუდარებლად უფრო სრულად გადმოსცემს. აშეებზე აღნიშნულია ხელნაწერისა და ლამბროსის გამოცემების გვერდები. გამოცემათა აღსანიშნავად შემდეგი ნიშნებია ნახმარი: ხელნაწერს აღნიშნავს ისე, როგორც ლამბროსის გამოცემაში — **M** (**Marcianus** ე. ი. ვენეციის **წმ**. მარკოზის ბიბლიოთეკისა რომ არის), **F** აღნიშნავს ფალმერაიერის გამოცემას, **T** — ტაფელის გამოცემას, **L** — ლამბროსის გამოცემას და მის საკუთარ შესწორებებს. ხელნაწერის ტექსტში გამომცემელთაგან შეტანილი ის შესწორებანი, რომლებიც განსაკუთრებით საკამათო არ არის, სქოლიოში აღარ მოგვიყვანია.

თვით მიქელ პანარეტოსის ვინაობისა და ცხოვრების შესახებ დაბეჭდვით მხოლოდ ძალიან მცირე რამ არის ცნობილი. როგორც ჩანს, იგი ტრაპიზონის

მკვიდრი უნდა იყოს. ცხოვრობდა უფრო XIV საუკუნის მეორე ნახევარში. ეს იმაზედაც ეტყობა, რომ თავის ტრაპიზონის ქრონიკაში აღწერილი უკანასკნელ ანბების უმეტესობის თანამედროვე და მონაწილეა. ქრონიკაში ტრაპიზონის 1204—1426 წლების ამბებია აღწესებული, მაგრამ თვით მიქელ პანარეტოსის მიერ დაწერილად ის ამბები ჩანს, რომელიც დაახლოებით 1386 წლამდე მოდის, კერძოდ იმ ადგილამდე, სადაც ლიმნის ბატონის ტაქ-ედინის ხალიბის მფლობელ სულეიმან-ბეგზე გალაშქრების ცნობაა მოყვანილი; დანარჩენი ცნობები კი — 1386—1426 წლების ამბები—(53-ე თავის შემდეგ). მერე სხვისაგან მინაწერი უნდა იყოს¹.

თვით ქრონიკიდანვე ჩანს აგრეთვე (თ. 40), რომ მიქელ პანარეტოსს ორი ვაჟიშვილი ჰყოლია — კონსტანტინე და რომანოზი, რომელთაგან კონსტანტინე 1369 წელს ზღვაში დახრჩობია 15 წლის ასაკში, 17 წლის რომანოზი კი ცოტა უფრო გვიან გარდაცვლილა.

ამავე ქრონიკაშია ცნობები მიქელის სახელმწიფო მოღვაწეობის შესახებ. მას ჰქონია პროტოსევასტოსისა და პროტონოტარიოსის ხარისხები (თავი 32 — 33). ტაფელს და ფალმერაიერს, და მათი მიხედვით ალ. ხახანაშვილს, მხოლოდ ნოტარიოსად ჰყავთ მოხსენებული. ხელნაწერის სწორი წაკითხვა (ხელნაწერში შემოკლებით ყოფილა დაწერილი). ლამბროსს ეკუთვნის. თანაც პირველ ხარისხს, პროტოსევასტოსს, შეეცდომით მას არ აკუთვნებდნენ—მიქელთან მოხსენებული დიდი ლოგოთეტის გიორგის ხარისხად მიიჩნევდნენ.

მიქელ პანარეტოსი ტრაპიზონის იმპერატორების სახლის დაახლოებული კარისკაცი ყოფილა, ხშირად ხლებია მათ. ბრძოლებშიაც მიუღია მონაწილეობა და როგორც თვითმხილველი, ისე გადმოსცემს მაშინდელ ამბებს. მას მრავალჯერ მიუღია მონაწილეობა იმპერატორ ალექსი III-ის (1349—1390) ლაშქრობებში. მაგალითად, 1356 წელს თურქებზე თავდასხმის დროს ხერიაანაში, სადაც ალექსი III იძლია, მიქელიც თან ჰყოლია მეფეს და ორივე ძლიერ გადარჩენილან ტყვეობას (თავი 20). ასევე იმპერატორის სახლობასთან ერთად ყოფილა იგი სუმელის მონასტერში მზის იმ დაბნელების დროს, რომელიც 1361 წლის მაისში მომსდარა (თ. 29). იმავე 1361 წელსვე კვლავ გაჰყოლია იმპერატორს ხალიბიაში და კერასუნტის ახლოს ერთი იქაური თურქი ფეოდალის ციხე-დარბაზში, ვინაიდან ამ თურქ ფეოდალს თითქმის ტრაპიზონის იმპერატორის ყმადნაფიცად გამოუცხადებია თავი (თ. 30).

მიქელ პანარეტოსს რომ ფრიად დიდი ადგილი სჭერია სამეფო კარზე და იმპერატორის სანდო პირი ყოფილა, იქიდანაც ჩანს, რომ დიდ ლოგოთეტ გიორგისთან ერთად ისიც გაუგზავნიათ 1363 წელს კონსტანტინოპოლს საგანგებო

¹ ამ საკითხების შესახებ ახალი შრომებია: O. Lampsides, 'Ο γάμος Δαβὶθ τοῦ Μεγάλου Κομνηνοῦ κατὰ τὸ Χρονικὸν τοῦ Παναρέτου. Ἐθηνᾶ, 57 (1953) 365 — 368. ავტორის დაუჯერებლად მიაჩნია, რომ 53 — 57-ე თავებიც მიქელის დაწერილი იყოს, ვინაიდან მაშინ იგი 100 წლის მაინც იქნებოდაო (შდრ. B. Z. 47 [1957] 188, 234). 57-ე თავში აღწერილი ამბავი, რომელიც ლაკუნის შემდეგ არის მოთავსებული, მისი აზრით, წინა თარიღს (1426 წ.) კი არ უკავშირდება, უფრო გვიანდელ ხანას უნდა გულისხმობდეს — არა უადრეს 1429 წლისა. მეორე შრომაში (Τὴνὰ περὶ τοῦ ξέρκου καὶ τῶν ἰδεῶν Μιχαήλ τοῦ Παναρέτου. Ἀρχεῖον Πόντου, 19 [1954] 37 — 60) იგივე ავტორი ახასიათებს პანარეტოსის პიროვნებასა და ვინაობას, მის ისტორიოგრაფიულ მეთოდს, ენას — აღწესებს პონტური დიალექტის მავალითებს და სხვ.

მინდობილობით—მოლაპარაკება ეწარმოებინა იმპერატორ იოანე პალეოლოგოსის ძისათვის ტრაპიზონელ ალექსი III-ის ასულის ცოლად მითხოვების თაობაზე (თ. 32-33).

მიქელი საქართველოშიაც ყოფილა რამდენიმეჯერ. მაგალითად, 1367 წ. ლაზიკაში უმგზავრია იმპერატორთან და მისი ოჯახის წევრებთან ერთად, რომელნიც მაყრებად წაპყოლიან იმპერატორის ასულ ანას, ქართველთა მეფე ბაგრატ V-ზე ჯვარის დასაწერად რომ წაიყვანეს იგი (თ. 39). 1372 წ. იმპერატორთან ერთად კიდევ ყოფილა საქართველოში მეფე ბაგრატთან შესახვედრად, მერე კი ბათუმში გურიელთანაც ჰქონიათ შეხვედრა და საუბარი (თ. 44). 1377 წელს მიქელს, კვლავ ტრაპიზონ-საქართველოს მეფეთა სახლებს შორის მატრიმონიულ საქმეთა გასარიგებლად, მთელი ზაფხულიც გაუტარებია საქართველოში (თ. 48).

სხვა ცნობები თვით მიქელ პანარეტოსის შესახებ არ მოიპოვება, ოღონდ სპ. ლაზბროსის მიკვლევით (იხ. მისი გამოცემის წინასიტყვაობა, ჟურნ. **Νέος Ἑλληνομνημειον**, 1907, ტ. IV, გვ. 264-265), XII საუკუნის ბოლოს, თუ XIII საუკუნის დასაწყისიდან ბიზანტიის ისტორიაში მიქელის გარდა პანარეტოსის გვარისა ხუთი სხვა წარმომადგენელი ჩანს, რომელთაგან სამი მწერლობასთან დაახლოებული პირი ყოფილა, მეოთხე და მეხუთე კი საკმაოდ ცნობილ (მეხუთე პანარეტოსს ეპისკოპოსის თანამდებობა სჭერია) საეკლესიო მოღვაწეებად იხსენიებიან. მაგრამ ისინი რა ნათესაობაში არიან ჩვენი ქრონიკის ავტორთან, ამის გარკვევა ჯერჯერობით არ ხერხდება¹.

¹ მიქელ პანარეტოსისა და მისი ქრონიკის შესახებ, გარდა ზემოთ მოყვანილი ნაშრომებისა, და განსაკუთრებით კი, ქრონიკის გამოცემებს დართული წინასიტყვაობებისა, იხ. აგრეთვე, K. Krumbacher, *Geschichte der byzantinischen Litteratur*, München, 1893, Zweite Aufl., S. 393 — 94; G. Moravcsik, *Byzantinoturcica*, I, Die byzantinischen Quellen der Geschichte der Türkvölker. Zweite durchgearbeitete Auflage. Berlin, 1958, S. 436 — 437. აქვეა დართული საკმაოდ სრული ბიბლიოგრაფია, რომელშიაც გათვალისწინებულია კრუმბახერის წიგნია გამოსვლის შემდეგ გამოქვეყნებული ლიტერატურა.

L266 Περὶ τῶν τῆς Τραπεζούντος Βασιλείων,
 τῶν μεγάλων Κομνηνῶν,
 ἕως καὶ πότε καὶ πόσον ἕκαστος
 ἐβασίλευσεν

5 Βασιλεία κυρ Ἀλέξiou τοῦ μεγάλου
 Κομνηνοῦ

აგზაჲნი ტრაპიზონის იმპერატორების¹ ღიღი კომნენოსებისა², თითოეულმა რომონ, რომის და რამდენ ხანს იმეჷა ღიღი კომნენოსის ბატონი³ აღმასის⁴ მეჷობა⁵

10 1. Ἦλθεν ὁ μέγας Κομνηνὸς ὁ
 κυρ Ἀλέξιος, ἐξεληθὼν μὲν ἐκ τῆς εὐδαι-
 μονος Κωνσταντινουπόλεως, ἐκστρατεύ-
 10 σας δ' ἐξ Ἰβηρίας σπουδῆ καὶ μόχθῳ
 τῆς πρὸς πατρὸς θείας αὐτοῦ Θάμιαρ,
 καὶ παρέλαβε τὴν Τραπεζούντα μὴν
 Ἀπριλίῳ ἰνδικτικῶνος ζ', ἕτους ςψιβ',
 15 ἑτῶν ὄν κβ'. Καὶ βασιλεύσας ὀκτωκαι-
 δεκα, ἐκοιμήθη Φεβρουαρίου α', ἡμέρα
 α' τῆς Ὀρθοδοξίας, ἕτους ςφλ', ἑτῶν
 γινομένων τεσσαράκοντα.

1. მოვიდა ღიღი კომნენოსი ბატონი ალექსი, რომელიც წამოსული იყო დიდებულ ქალაქ კონსტანტინოპოლიდან⁶, ხოლო გამოილაშქრა კი იბერიიდან⁷ მისი მამიდის, თამარის, გულმოდგინებითა და ღვაწლით⁸, და 22 წლისამ დაიპყრო ტრაპიზონი აპრილში, მე-7 ინდიქტიონს, 6712 [ახალი წელთაღრიცხვით 1204]⁹ წელს. იმეჷა 18 წელიწადს, გარდაიცვალა ორმოცი წლისა 6730 [ახ. წ. 1222] წელს, 1 თებერვალს, მართლმადიდებლობის დღესასწაულის კვირას¹⁰.

Βασιλεία κυρ Ἀνδρονίκου τοῦ
 μεγάλου Κομνηνοῦ

ღიღი კომნენოსის ბატონი ანდრონიკის მეჷობა

20 2. Ἐτους ςφλ' ἐβασίλευσεν ὁ ἐπι-
 τῆ θυγατρὶ γαμβρὸς αὐτοῦ κυρ Ἀν-
 20 δρόνικος Γίδων ὁ Κομνηνός. | Ἐν δὲ τῷ
 ςφλα' ἔτει, τῷ δευτέρῳ χρόνῳ τῆς τοῦ
 25 Γίδωνος βασιλείας, ἦλθεν ὁ Μελικ σουλ-
 τὰν κατὰ τῆς Τραπεζούντος· καὶ ἐχαι-
 ῶθησαν ὅσοι ἦσαν ἀπαντες. Ἐβασίλευ-
 σε δὲ ὁ Γίδων ἕτη τρεῖςκαίδεκα, καὶ
 ἐκοιμήθη ἐν ἔτει ςφμγ'.

2. 6730 [ახ. წ. 1222] წელს გამეფდა მისი [ე. ი. მეფე ალექსის] ასულის მეუღლე ბატონი ანდრონიკე გიდონ-კომნენოსის¹⁰. ხოლო 6731 [ახ. წ. 1223] წელს, გიდონის მეფობის მეორე წელს, მოვიდა მალიქ-სულთან¹¹, დაესხა თავს ტრაპიზონს და ყველაფერი მოახრჩა. გიდონმა კი იმეჷა 13 წელიწადს და გარდაიცვალა 6743 [ახ. წ. 1235] წელს.

¹⁰ სპუდῆ M, სპუდῆ T. ¹⁵ ა⁷]ა' TF; ἡμέρα (ქარაგ.) M, 'σα' TF. ²² Γιδων] γιδος M.

*) ასო სტიგმის (σ) უქონლობის გამო, რომელიც განსაკუთრებით ზოგი რიცხვის (მაგ., 6, 16, 8 000 და სხვ.) განიხილავდა არც სტიგრო, ყველგან გამოყენებულია ნიშანი σ.

Βασιλεία Ἰωάννου τοῦ Ἀξούχου

იოანე აქსუხოსის მეფობა¹²

καταλείψας τὸ βασίλειον τῷ αὐτοῦ
μὲν γυναικαδελφῷ υἱῷ δὲ πρωτοτόκῳ
Ἀλεξίου τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ κυρῷ
5 Ἰωάννῃ Κομνηνῷ τῷ Ἀξούχῳ. Ὅς καὶ
βασιλεύσας ἔτη ἕξ ἐκοιμήθη ἔτους ἑξα-
κισχίλια ἐπτακόσια τεσσαράκοντα ἕξ.
Λέγεται δὲ, ὅτι ἐν τῷ τρυκανιστηρίῳ
παύζων ἐκρημνίσθη, καὶ σπαραχθεὶς
10 ἀπέθανε.

ვიღონმა სამეფო დაუტოვა თავის
ცოლისძმას, დიდი კომნინოსის ალექ-
სის პირმშო ძეს, ბატონ იოანე კომ-
ნინოს-აქსუხოსს¹³, რომელმაც იმეფა
ექვს¹⁴ წელიწადს და გარდაიცვალა
6746 [ახ. წ. 1238] წელს. ამბობენ,
ცხენბურთის მოედანზე თამაშის
დროს¹⁵ ცხენიდან გადმოვარდა, და-
იმტვრა და მოკვდაო.

1,267 | Βασιλεία Μανουὴλ τοῦ μεγάλου
Κομνηνοῦ

დიდი კომნინოსის მანუილის
მეფობა

3. Ἀπεκάρη γοῦν κατὰ μοναχοῦς
M288a Ἰωαννίκιος, καὶ διεδέξατο τὴν | βασι-
15 λείαν ὁ δεύτερος ἀδελφὸς αὐτοῦ κυρ
Μανουὴλ ὁ μέγας Κομνηνός, ὁ στρα-
τηγικώτατος ἄμα καὶ εὐτυχεστάτος,
τῷ αὐτῷ ἰσχυρῷ ἔτει. Ἐν δὲ τῷ πέμ-
πτῳ ἔτει τῆς αὐτοῦ βασιλείας, ἰσχυρῶ
20 ἔτει, ἰνδικτιώνος ιε', μηνί Ἰανουαρίῳ
ἐγένετο μεγάλη πυρκαϊά. Βασιλεύσας
δὲ καλῶς καὶ θεαρέστως ἔτη εἰκοσι-
πέντε, ἐκοιμήθη μηνί Μαρτίῳ ἔτους
ἰσχυρῶ.

3. ხოლო იოანიკიოსი ბერად აღი-
კვეცა და მეფობა იმავე 6746 [ახ. წ.
1238] წელს ერგო მის მეორე ძმას,
ბატონ მანუილს¹⁶, დიდ კომნინოსს,
ყველაზე სახელოვანსა და უხედნიერეს
სარდალს. მისი მეფობის მეხუთე
წელს, 6751 [ახ. წ. 1243] წელს,
მე-15 ინდიქტიონს, იანვარში, დიდი
ხანძარი გაჩნდა. იმეფა კი კეთილად
და ღვთის საანებლად 25 წელიწადს.
გარდაიცვალა 6771 [ახ. წ. 1263] წლის
მარტში.

25 Βασιλεία Ἀνδρόνικου τοῦ μεγάλου
Κομνηνοῦ

დიდი კომნინოსის ანდრონიკის
მეფობა

4. Καὶ ἐβασίλευσε προτροπῇ τού-
του καὶ ἐκλογῇ [δ] ἐκ τῆς δεσποίνης
κυρᾶς Ἄννης τῆς Εὐλαλῆς υἱὸς αὐ-
30 τοῦ κυρ Ἀνδρόνικος ὁ Κομνηνός ἔτη
τρεις. Καὶ ἐκοιμήθη ἔτους ἰσχυρῶ. Καὶ
ἐβασίλευσεν ὁ ἐκ τῆς κυρᾶς Εἰρήνης
τῆς Συρίκαινας υἱὸς τοῦ κυρ Μανουὴλ
M288b κυρ Γεώργιος | ὁ Κομνηνός ἔτη δεκα-
35 τέσσαρα· ὅς καὶ παρεδόθη παρὰ τῶν
ἀρχόντων ἐπιβούλως ἐν τῷ ὄρει τοῦ
Ταυρεζίου, καὶ ἐξωργήθη μηνί Ἰουνίῳ.

4. იმეფა სამ წელიწადს ამისივე
(ე. ი. მანუილის) მოწვევითა და არჩე-
ვით¹⁷, დედოფალ ქალბატონ ანა ქსი-
ლოლესთან ნაყოლმა მისმა ძემ ბა-
ტონმა ანდრონიკე კომნინოსმა და
გარდაიცვალა 6774 [ახ. წ. 1266]
წელს. და იმეფა თოთხნეტ წელიწადს
ბატონ მანუილის ძემ, ქალბატონ ირი-
ნე სიოციენესთან ნაყოლმა, ბატონმა
გიორგი კომნინოსმა¹⁸; რომელსაც ვე-
რაგულად უღალატეს თავადებმა ტავ-
რეზიონის მთაში¹⁹ და ტყვედ ჩაივარ-
და ივნისში.

² αὐτοῦ L. ³ Κυρῷ M, κυρίῳ TF.
⁵ Ὅς] ὁ M, ὁ TF. ²⁷ προτροπῇ M.
²⁸ ἐκλογῇ M; [δ] უბატონს L. ³⁵ ὅς] ὁ
μηνί ἰουνίῳ M, μηνὸς Ἰουνίου TF.

2. მასალები, ნაკვ. 33

TF. ²⁷ ταυρεζίου M, Ταυρεσίου TF;



Βασιλεία Ἰωάννου τοῦ μεγάλου
Κομνηνοῦ

 დიდი კომნენოსის იოანეს
მეფობა

5. Τῶν γούν αὐτῶν ἔτει διεδέξατο
τὰ σκηπτρα ὁ δεῦτερος ἀδελφὸς αὐτοῦ,
ὁ κῦρ Ἰωάννης ὁ μέγας Κομνηνός· καὶ
μετὰ ἐνιαυτὸν ἕνα ἐπῆλθεν αὐτῶν ἡ
ἀποστασία τοῦ Παπαδοπούλου. Ἄλλ’
ἐλευθερωθεὶς ἀπῆλθεν εἰς τὴν Πόλιν,
καὶ συνεζείχθη τῇ θυγατρὶ μὲν κῦρ
10 Μιχαὴλ βασιλέως τοῦ Παλαιολόγου,
ἀδελφῆ δὲ κῦρ Ἀνδρόνικου βασιλέως
τοῦ Παλαιολόγου, κυρᾶ Ἐῤῥοκία Κομ-
νηνῆ τῇ Παλαιολογίνῃ τῇ πορφυρογεν-
νήτῃ. Ἰστέον δὲ, ὅτι ἔτι ζῶν ὁ κῦρ
15 Μιχαὴλ ὁ βασιλεύς, ἐγένετο ὁ γάμος
τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ Ἰωάννου μετὰ
L268 τῆς Παλαιολογίνης. καὶ τοῦ μὲν
M289a | Παλαιολόγου ἀποθανόντος Δακεμβρί-
ου ἑ, διεδέξατο αὐτὸν ὁ υἱὸς αὐτοῦ
20 κῦρ Ἀνδρόνικος, στηλιτεύσας τὸν αὐ-
τοῦ πατέρα διὰ τὸ λατινόφρον.

- Μετὰ δὲ τὸ ,σφγ´ (= ἐξακισχλι-
στὸν ἑπτακκοιστὸν ἐνενηκστὸν) ἔτος,
Ἀπριλίου μηνός, ἦλθεν ὁ βασιλεὺς
25 Ἰβηρίας Δαβίδ, καὶ ἐπεριώρισε τὴν
Τραπεζοῦντα, ἀλλὰ ἀπεστράφη κενός.
Ἐν δὲ τῶν ,σφρα´ ἔτει, μηνὶ Ἀπρι-
λίου εἰκοστῇ, πέμπτῃ, ἰνδικτιῶνος ια´,
κατέλαβεν ἐκ τῆς Κωνσταντινουπόλεως
30 ἐν Τραπεζοῦντι ὁ μέγας Κομνηνός κῦρ
Ἰωάννης σὺν τῇ Παλαιολογίνῃ, οὐσῆ
ἐγγύφ, καὶ ἐγεννήθη ὁ μέγας Κομνη-
νός ὁ κῦρ Ἀλέξιος τῶν ,σφγβ´ ἔτει.
Ἐἶτα ἐγένετο ἡ τοῦ Κομνηνοῦ κῦρ Γεωρ-
γίου ἐπιδρομὴ καὶ κατασχέσις, ὅν καὶ
35 Πλάνον ἔλεγον, καὶ μετ’ αὐτοῦ ἡ ἐπί-
M289b | θεσις | καὶ τὸ βασιλείον καὶ ἡ ἐξάφ-
νης φυγὴ κυρᾶς Θεοδώρας τῆς Κομνη-

5. იმავე წელს სკიპტრა ერგო მის
მეორე ძმას ბატონ იოანეს²⁰, დიდ
კომნენოსს. ერთი წლის შემდეგ
მოხდა პაპადოპულოსის აჯანყება²⁰.
მაგრამ [იოანემ] თავი გაითავისუფ-
ლა, ჩავიდა კონსტანტინოპოლს, შე-
ირთო იმპერატორის, ბატონ მიხეილ
პალეოლოგოსის²¹, ასული, იმპერატორ
ბატონ ანდრონიკე პალეოლოგოსის²²
და, ქალბატონი ვედოკია ძოწითშო-
ბილი კომნენოს-პალეოლოგოსი. უნ-
და ვიცოდეთ, რომ დიდი კომნენოსის
იოანეს და პალეოლოგოსის ასულის
შეუღლება ჯერ კიდევ იმპერატორ
ბატონ მიხეილის დროს მოხდა; ხო-
ლო როდესაც 10 დეკემბერს პალე-
ოლოგოსი გარდაიცვალა, მის მემკვიდ-
რედ დარჩა მისი ძე ბატონი ანდ-
რონიკე, რომელმაც შეარქვნინა მა-
ნამისი თავის ლათინთშობრეობით.

შემდეგ, 6790 [ახ. წ. 1282] წლის აპ-
რილში, მოვიდა იბერიის მეფე დავი-
თი²³, შემოერტყა ტრაპიზონს, მაგრამ
ხელცარიელი გაბრუნდა უკან.

ხოლო 6791 [ახ. წ. 1283] წელს, აპ-
რილის ოცდახუთს, მე-11 ინდიქტი-
ონს, კონსტანტინეპოლიდან ტრაპი-
ზონს ჩამოვიდა დიდი კომნენოსი ბა-
ტონი იოანე პალეოლოგოსის ასულით,
რომელიც ფეხმძიმედ იყო და 6792
[ახ. წ. 1284] წელს იშვა. დიდი კომნე-
ნოსი ბატონი ალექსი. მერე მოხდა
კომნენოსზე, ბატონ ვიორგიზე²⁴, ანა-
დეული თავდასხმა და შეიპყრეს იგი,
რომელსაც მოხეტიალესაც ეძახოდნენ;
ამის შემდეგ კი [მოხდა] ტახტიდან წა-
მოგდება და მოულოდნელი გაქცევა

⁴ δεῦτερος] β´; M, βασιλεὺς T. ⁸ πό-
λην M, πόλιν TF. ¹³⁻¹⁴ πορφυρογεννήτω M, Πορφυρογεννήτῃ TF. ²²⁻²³ ,σ´ψ´ε´´ M,
,σφσ´ T, ,σφσγ´ (sic) F; ფრჩხილებში ჩასული სიტყვები ლამბროს ვესუენის. ²⁵ Δα-
βίδ] δαδ M, Δαυιδ TF. ²⁷ ,σφρα´] ,σφλα´ L — ალბათ კორექტურული შეცდომა; მე-
ნῆ M. ²⁸ ἰνδικτιῶνος (ქარაგმით ყოფილა M) ια´; M] μηνός (ισταμένου TF. ³² ἐγ-
κύφ] ἐγγύω M, ὑπεγγύω TF. ³⁶ πλάνον MTF; ἔλεγε T.

5
10
15

νῆς, θυγατρὸς πρώτης τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ κῆρ Μανουὴλ ἐκ τῆς ἐξ Ἰβηρίας Ῥουσούντανας. Καὶ πάλιν ἀπεκατέστη εἰς τὸ σκαμνὶν ὁ Καλοῖωάννης ὁ Κομνηνός, καί, βασιλεύσας τὰ πάντα ἔτη ὀκτώκαίδεκα, ἐκοιμήθη ἐν τοῖς Ἀμνίοις μηνὶ Ἀυγούστῳ εἰς τὰς 15, ἡμέρα σ', ἰνδικτιῶνος ιε', ἔτους ρωε'. Ἐν γὰρ τῇ βασιλείᾳ αὐτοῦ παρελάβον οἱ Τούρκοι τὴν Χαλυβίαν καὶ γέγονε παρ' αὐτῶν μεγάλη ἐπιδρομή, ὥστε αἰσικούς γενέσθαι τὰς χώρας ἑλας. Ἐπειτα δὲ σὼν ἔτι ἐκοιμήθη τὸ λείψανον αὐτοῦ ἐν Τραπεζούντῃ, καὶ ἐτάφη ἐν τῷ ναφῇ τῆς Χρυσοκεφάλου.

ქალბატონ თეოდორა კომნინოსისა²⁵, დიდი კომნინოსის ბატონ მანუილის პირველი ასულისა, რომელიც იბერიიდან მოყვანილ რუსუდანთან²⁵ ეყოლა. და კვლავ დაჯდა ტახტზე კალოიანე²⁶ კომნინოსი, იმეფა სულ თვრამეტ წელიწადს, გარდაიცვალა ლიმნისა²⁷, 16 აგვისტოს, პარასკევ დღეს, მე-15 ინდიქტიონს, 6805 [ახ. წ. 1297] წელს. ხოლო ამის მეფობაში დაიპყრეს თურქებმა ხალიძისა²⁸ და მოახდინეს ისე დიდი თავდასხმა, რომ მთელი მხარე გაპარტახდა. შემდეგ მისი [ე. ი. კალოიანეს] ნეშტი უვნებლად გადმოასვენეს ტრაპიზონს და დაკრძალეს ქრისტიანთა სასაფლაოში²⁹.

L269 | Βασιλεία Ἀλεξίου τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ

დიდი კომნინოსის ალმასის მემოზა

20
M290a
25

6. Καὶ ἐβασίλευσεν ὁ υἱὸς αὐτοῦ, ὁ κῆρ Ἀλέξιος ὁ μέγας Κομνηνός, καὶ ἤγαγε γυναῖκα αὐτῷ τὴν θυγατέρα τοῦ Πεκὰ: ἐξ Ἰβηρίας. Ἀπῆλθεν ἡ Παλαιολογινή χήρα εἰς τὴν Πόλιν μηνὶ Ἰουνίῳ ιγ', ἔτους ρωσ', ἰνδικτιῶνος ια', καὶ πάλιν ἦλθεν χήρα ἔτους ρωθ', μηνὶ Μαρτίῳ, ἰνδικτιῶνος ιδ'.

6. გამეფდა მისი ძე, ბატონი ალექსისი³⁰, დიდი კომნინოსი და ცოლად მოიყვანა ბექას³¹ ასული იბერიიდან. პალეოლოგოსის ქვრივი ასული წავიდა კონსტანტინოპოლს 6806 [ახ. წ. 1298] წლის 13 ივნისს, მე-11 ინდიქტიონს და კვლავ უკან დაბრუნდა ქვრივი 6809 [ახ. წ. 1301] წელს, მარტში მე-14 ინდიქტიონს.

30

Ἐκστρατεύσας ὁ βασιλεὺς κῆρ Ἀλέξιος κατὰ τῶν Τούρκων καὶ ἐν τῇ Κερασσοῦντι καταλαβῶν ἐπίασε τὸν Κουστουγᾶν ἔτους ρωι', μηνὶ Σεπτεβρίῳ, ὅτε καὶ ἐσκοτώθησαν Τούρκοι πολλοί. Ἐν δὲ τῷ αὐτῷ ἔτει Δεκεβρίῳ ιγ', ἡμέρα ε', ἐκοιμήθη ἡ δέσποινα κυρὰ Εὐδοκία ἡ Παλαιολογίνα.

იმპერატორმა ბატონმა ალექსიმ გაილაშქრა თურქებზე, შევიდა კერასუნტში³², შეიპყრო კუსტუგანი³³ 6810 [ახ. წ. 1301] წლის სექტემბერში და მაშინ დაიხოცა მრავალი თურქი. ამავე წლის 13 დეკემბერს, სუთშაბათ დღეს გარდაიცვალა დედოფალი ქალბატონი ევდოკია პალეოლოგოსის ასული.

²⁵ Ῥουσούντανას M, Ῥουσანτάνას TF. ²⁶ μηνὶ (ქარაზ.) ავგού^c M, μηνὸς Ἀυγούστου TF; τὰς] τὰ T. ²⁷ ἡμέρα (ქარაზ.) σ' M, 'σ' TF; ἰνδικτιῶνος (ქარაზ.) ιε' M, μηνὸς Ἰανουαρίου T, μηνὸς Ιου F. ²⁸⁻¹⁰ περέλαβον' T. ¹³ ἔπειτα δε] ἐπει καὶ M, ἐπι καὶ TF; σὼν] ζῶν MF, ζῶων T. ²⁰ αὐτῷ M, αὐτῷ TF. ²² πόλιν MTF; ²²⁻²³ μηνὸς Ἰουνίου ιγ', ἔπει TF. ²⁴ ια' M] ια T, ια F. ²⁵ μηνὶ Μαρτίῳ M, μηνὸς Μαρτίου TF. ²⁶ κουστουγᾶν M, Κουστουγᾶ** T, Κουστουγάνην L. ²⁷ Δεκεβρίῳ (ქარაზ.) M, Σεπτεμβρίου T, Σεπτεμβρίῳ F. ²⁸ ἡμέρα (ქარაზ.) ε' M, ἡμέρα ε' L, 'σε T, 'σέ F.

- Μηνι Νοεμβρίῳ λ', ἡμέρα α', ἔτους
 ,σῳα' ἐγένετο πυρκαϊὰ μεγάλη ἐντὸς
 τοῦ κάστρου. Ἐν δὲ τῷ ἐπιόντι ἔτει
 ἐπυρπολήθη ἡ ἐξάρτησις μηνι Ἰουνίῳ
 5 παρὰ τῶν Λατίνων, ὅτε καὶ ἐγένετο
 μέγας πόλεμος.
 Ἦρπαξεν ὁ Παριάμης τὰς τζέργας
 ἔτους ,σῳκβ', μηνι Ὀκτωβρίῳ εἰς τὰς β'.
 Ἦμέρα β' Σεπτεβρίῳ ... ἔτους ,σῳκζ'
 10 ἐγένετο μεγάλη πυρκαϊὰ παρὰ τῶν
 Σινωπιτῶν, καὶ ἐλυμῆγαστο τὸ πῦρ πάν-
 τα τὰ ὠραία τῆς πόλεως, τὰ τε ἐντὸς
 M290b καὶ ἐκ|τός.
- L270 | 7. Ἐκοιμήθη ὁ μέγας Κομνηνὸς ὁ
 15 κύρ Ἀλέξιος μηνι Μαίῳ γ', ἡμέρα ε',
 ἰνδικτιῶνος ιγ', ἔτους ,σῳλη', βασιλεύ-
 σασ ἔτη λγ' παρὰ μήνας γ'.
8. Καὶ ἐβασίλευσεν ὁ υἱὸς αὐτοῦ
 ὁ κύρ Ἀνδρόνικος ὁ μέγας Κομνηνὸς
 20 καὶ ἐφόνευσε τοὺς δύο αὐταδέλφους
 αὐτοῦ, τὸν τε Ἀζαχουτλοῦν κύρ Μιχα-
 ἦλ καὶ κύρ Γεώργιον τὸν Ἀχπουγάν.
 Ἐβασίλευσε δὲ ὁ κύρ Ἀνδρόνικος ἔτος
 α' καὶ μήνας η', καὶ ἐκοιμήθη μηνι
 25 Ἰανουαρίῳ η', ἡμέρα δ', ἰνδικτιῶνος
 ιε', ἔτους ,σῳμ'.
9. Καὶ ἐδέξατο τὴν βασιλείαν ὁ
 υἱὸς αὐτοῦ κύρ Μανουήλ, ὀκταέτης
 ὢν, καὶ ἐκράτησε μήνας η'. Ἐν γὰρ
 30 τῇ βασιλείᾳ αὐτοῦ ἦλθεν ὁ Παριάμης
 μετὰ φοσάτου πολλοῦ ἕως τὸν Ἀσώ-
 ματον. Καὶ ἐσκοτώθησαν Τούρκοι πολ-
 λοί, καὶ ἔφυγον ὁ κόσμος· ὅτε καὶ ἦρ-
- 6811 [ახ. წ. 1303] წლის 30 ნოემ-
 ბერს, კვირა დღეს ციხეში გაჩნდა დი-
 დი ხანძარი. მომდევნო წელს ივნის-
 ში, ხანძრით გაანადგურეს ლათინებ-
 მა³⁴ სახლვით არსენალი³⁵, როდესაც
 დიდი ბრძოლა მოხდა.
 6822 [ახ. წ. 1313] წლის 2 ოქტომ-
 ბერს ბაირამ-ბეიმ³⁶ გაძარცვა საქონ-
 ლის სადგომები³⁷.
 ორშაბათს, ... ოქტომბერს, 6827 [ახ.
 წ. 1318] წელს, სინოპელეზმა³⁸ გააჩი-
 ნეს დიდი ხანძარი და ცეცხლმა გაან-
 თა ქალაქის მთელი შენობები შიგნით
 და გარეთ.
 7. დიდი კომნინოსი, ბატონი ალექ-
 სი გარდაიცვალა 3 მაისს, ხუთშაბათს,
 მე-13 ἰნდიქტიონს, 6838 [ახ. წ. 1330]
 წელს; იმეფა 33 წელიწადს 3 თვით
 ნაკლებ.
 8. გამეფდა ძე მისი, დიდი კომნი-
 ნოსი, ბატონი ანდრონიკე³⁹ და დახო-
 ცა თავისი ღვიძლი ორი ძმა: ბატონი
 მიქელი—აზახუტლუ და ბატონი გი-
 ორგი—აღბულა. ხოლო ბატონმა ან-
 დრონიკემ იმეფა წელიწადსა და 8
 თვეს და გარდაიცვალა 8 იანვარს, ოთხ-
 შაბათს, მე-15 ἰნდიქტიონს, 6840 [ახ.
 წ. 1332] წელს.
 9. ვადაეცა მეფობა მის ძეს, რვა
 წლის ბატონ მანუილს⁴⁰ და იმეფა მან
 8 თვეს. ხოლო მის მეფობაში მოვიდა
 ბაირამ-ბეი დიდი ჯარით თვით ასო-
 მატოსამდე⁴¹. მრავალი თურქი ვაწყდა
 და ჯარი ივლტო⁴². მამინ ბევრი თუო-

¹ ἡμέρα (ქარაზ.) α' M, ἡμέρα α' L, 'σα T, 'σά F; ¹⁻² ἔτους ,σῳα'] ἔτει ,σῳιδ' TF. ⁷ παριάμης M, Παριάνης T; Τζέργας T. ⁸ ,σῳκβ'] ,σῳκε' F; ⁸⁻⁹ εἰς τὰς β'. ἡμέρα β' Σεπτεβρίῳ] εἰς β' ἡμέρα (ქარაზ.) β' Σ^{pp}·M, εἰς τὴν β'. 'σ. β' Ἀπρ. T, εἰς τὴν ε' 'σ εἰ... F. ⁹ ,σῳκζ'] ,σῳκβ' T. ¹⁴ 7.] LT, F ცალად თავად არ გამოყოფს. ¹⁵ ἡμέρα ML. ¹⁷ ამ სტრიქონის შემდეგ TF-ის გამოცემებში მოს-
 ლევის სათაურით: Βασιλεία Ἀνδρόνικου τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ, რაც ხელნაწერში
 არ ვხვდებით. ¹⁸ 8.] 7. F. ²² ἀχπουγάν M, Ἀχπουγάνην T, Ἀχπουγάν F. ²⁵ η'
 ἡμέρα (ქარაზ.) M, η', ἡμέρα L, η' ἡμέρα T, ἡμέρα F. ²⁷ 9.] 8. F. ³⁰ παριά-
 μης M, Παριάνης T. ³³ ὁ κόσμος] ἀκόσμως TF.

πάγησαν ἄλογα πολλὰ τούρκικα μὴν;
 Αὐγούστῳ λ', ἡμέρᾳ α', ἔτους ,σωμ'.

Κατὰ δὲ τὸν Σεπτέβριον μῆνα κβ',
 ἡμέρᾳ β', ἰνδικτιῶνος α', ἔτους ,σωμ'

M291a 5 ἦλθεν ὁ μέγας Κομνηνὸς κῆρ Βασι-
 λειος ἐκ τῆς Κωνσταντιπόλεως, υἱὸς μὲν
 τοῦ μεγάλου | Κομνηνοῦ τοῦ κυροῦ

Ἀλεξίου, ἀδελφὸς δὲ δεύτερος κῆρ Ἀν-
 δρονίκου, καὶ παρέλαβε τὰ βασιλείον-

10 ὄτε καὶ τὸν μέγαν δοῦκαν Λέκην τὸν
 Τζατζιντζαῖον καὶ τὸν υἱὸν αὐτοῦ, τὸν
 μέγαν δομέστικον τὸν Τζάμπαν, τοῦ

15 ζῆν ἀπεστέρησε. Τὸν δὲ ἀνεψιὸν αὐτοῦ
 κῆρ Μανουὴλ ἐπεριώρισε, τὴν δὲ μεγά-
 λην δοῦκαιναν τὴν Συρίκαιναν ἐλίθι-

L271 15 σαν. Ἐν δὲ τῷ Φεβρουαρίῳ μῆνι ιγ',
 ἡμέρᾳ α' τῆς | Ὀρθοδοξίας, τοῦ αὐτοῦ
 ,σωμ' ἔτους, ἰνδικτιῶνος α' ταραχθεῖς

20 ὁ ἑκτομίας μέγας δοῦξ Ἰωάννης, ἐσφά-
 γη ὁ κῆρ Μανουὴλ μαχαίρᾳ.

Μῆνι Σεπτεβρίῳ ιγ', ἡμέρᾳ γ', ἰν-
 δικτιῶνος δ', ἔτους ,σωμδ' ἦλθεν ἡ

25 δέσποινα κυρὰ Εἰρήνη ἡ Παλαιολογίνα,
 ἡ θυγάτηρ κῆρ Ἀνδρονίκου τοῦ Πα-
 λοιλόγου, καὶ εἰς τὰς ιε' τοῦ αὐτοῦ

30 μῆνος ἡμέρᾳ α' ἐσλόγηθη τὸν βασιλέα
 κῆρ Βασιλείον.

Κατὰ δὲ τὴν ε' τοῦ Ἰουλίου μῆ-
 νός, ἡμέρᾳ σ', ἔτους ,σωμδ' ἦλθεν ὁ

M291b 30 Σιχασάν, ὁ υἱὸς τοῦ Ταμαρτζᾶ εἰς τὴν
 Τραπεζοῦντα καὶ γέγονε πόλεμος εἰς

35 τὸν Ἀχάν|τακαν τοῦ Ἀγίου Κηρί-
 κου καὶ εἰς Μίνθριον. Καὶ θεοῦ εὐδο-
 κουontos ἐτράπη ὑποβρύχιος, καὶ ἔφυ-

γεν, ὅτε ἐσκοτώθη ὁ αὐτοῦ ῥαῖμης, ὁ
 υἱὸς τοῦ Ῥουστᾶμη.

ქული ცხენი იალაფეს, 30 აგვისტოს,
 კვირას, 6840 [ახ. წ. 1332] წელს.

22 სექტემბერს, ორშაბათს, 1-ლ ინ-
 დიქტიონს, 6841 [ახ. წ. 1332] წელს

კონსტანტინოპოლიდან ჩამოვიდა დი-
 დი კომნინოსი ბატონი ბასილი⁴³, დი-
 დი კომნინოსის ბატონი ალექსის ძე,

ბატონი ანდრონიკეს მომდევნო ძმა, და
 დაიპყრო მეფობა. მაშინ მან დიდი

დუქსი⁴⁴ ლეკის ჰაქინჭეოსი და მისი
 ძე, დიდი ლომესტიკოსი⁴⁵ ჯაბა სიცო-

ცხლეს გამოასალმა. თავისი ძმისწუ-
 ლი⁴⁶ ბატონი მანუილი გააძევა, ხოლო

დიდი დუქსის მეუღლე სირიკენა ჩა-
 ქოლვინა. 13 თებერვალს, მართლმ-

დიდებლობის კვირას, იმავე 6841 [ახ
 წ. 1333] წელს, 1-ლ ინდიქტიონს, ამ-

ბოხებულმა საჭურისმა დიდმა დუქს-
 მა ითანემ მახვილით მოკლა ბატონი

მანუილი.

12 სექტემბერს, სამშაბათს, მე-4 ინ-
 დიქტიონს, 6844 [ახ. წ. 1335] წელს ჩა-

მოვიდა დედოფალი ქალბატონი ირი-
 ნე პალეოლოგოსი, ბატონ ანდრონი-

კე პალეოლოგოსის ასული, და იმავე
 თვის ჩვიდმეტს, კვირას, იყურთხა მე-

ფედ ბატონი ბასილი.

5 ივლისს, პარასკევს, 6844 [ახ. წ.
 1336] მოვიდა ტრაპიზონს შეიხ-ჰასა-

ნი⁴⁷, ტამარტას-ძე⁴⁸ და მოხდა ბრძო-
 ლა წმიდა კვირიკეს ახანტაკასა და

მინთრონთან⁴⁹. მაგრამ ღვთის წყალო-
 ბით თავდასხმა უკუგდებულ იქმნა და

[მტერი] აოტეს. მაშინ მოიკლა [იბ]-
 რაიმ⁵⁰ რუსტამის ძე.

¹ Τουρκικά TF. ² λ' ἡμέρᾳ (ძარავ.) α' M, λ', ἡμέρᾳ α' L, abs TF. ⁴ ἡμέ-
 ρᾳ (ძარავ.) β' ἰνδικτιῶνος (ძარავ.) α' M, abs TF. ⁷ κυροῦ] κηροῦ M, κῆρ TF.
¹³ δὲ] δὲ καὶ TF. ¹⁵ δοῦκαιναν TF; συρίκαιναν M, Συριακίαν TF. ¹⁶ ιγ'] ια'
 F. ¹⁷ ἡμέρᾳ (ძარავ.) M. 'σ TF; τοῦ αὐτοῦ] τῷ αὐτῷ M, τῷ αὐτῷ TF. ¹⁸ α']
 ια' MTF, მაგრამ F შენიშვნაში ასწორებს შეცდომას და თარგმანშიაც სწორად ვადმოსცემს.
²² ,σωμδ'] ,σωμγ' T. ²⁵ τὰς] τὰ M, τὰ TF. ²⁸ τὴν] τὸν MTF. ³⁰ Σιχασάνης L,
 σιχασάν M, Σιχασά F, Σιχάσα T; Ταμαρτζᾶση L, ταμαρτζᾶ M. ³²⁻³³ Κηρυ-
 κου L, κηρίκου M. ³⁵ ῥαῖμης MF, ფალმერაიერს ეს სიტყვა მი-
 აჩნია სიტყვის Ἰβრაῖμης ნაწილად, ῥαῖμης L, ῥაῖμης T, ლაპრონისის აზრით, უნდა და-



Μηνι Μαρτίη β', ἡμέρα β', τῆς ἀρ-
 χινηστίμου τῆς ἀγίας Τεσσαρακοστῆς
 ἐγένετο ἐκλειψις τοῦ ἡλίου ἀπὸ ὥρας
 8' ἕως ὥρας ἐβδόμη, καὶ ἐαράχθη τὸ
 5 κοινὸν κατὰ τοῦ βασιλέως, ὥστε καὶ
 ἔξωθεν τοῦ κουλά συναχθέντες λίθους
 ἔσυραν εἰς αὐτὸν ἔτους ,σωμε'.

Μηνι Ὀκτωβρίη ε', ἰνδικτικῶνος ζ',
 10 ἔτους ,σωμζ' ἐγενήθη ὁ Κομνηνὸς κύρ
 Ἰωάννης ὁ ἐπονομασθεὶς Ἀλέξιος, ὁ
 υἱὸς τοῦ κύρ Βασιλείου ὁ δεύτερος.
 Εὐλογήθη ὁ βασιλεὺς ὁ κύρ [Βασιλεὺς
 τὴν ἐκ Τραπεζουontos δέσποιναν κυρὰν
 Εἰρήνην μηνι Ἰουλίῳ η', ἔτους ,σωμζ'.
 15 Ἐκομῆθη ὁ βασιλεὺς κύρ Βασίλειος ὁ
 μέγας ὁ Κομνηνὸς ἡμηνι Ἀπριλίῳ εἰς
 τὰς ζ', ἡμέρα ε', ἰνδικτικῶνος η', ἔτους
 ,σωμη'. Ἐβασίλευσεν [ετη ζ' καὶ μη-
 νας σ'.

20 10. Οἱ δὲ παῖδες αὐτοῦ κύρ Ἀλέ-
 M292a ξιος καὶ κύρ Καλοῖωαννης ἐστάλθη-
 σαν εἰς τὴν Πόλιν σὺν τῇ μητρὶ. Καὶ
 ἐκράτησε τὴν βασιλείαν ἡ Παλαιολογίνα
 κυρὰ Εἰρήνη, χήρα οὖσα. Καὶ εὐθὺς
 25 ἐταράχθησαν οἱ ἀρχοντες καὶ ἐγένοντο
 δύο μέρη. Καὶ ὁ μὲν Τζαν:χιτήης, ὁ
 μέγας στρατοπεδάρχης κύρ Σεβαστὸς
 σὺν τοῖς Σχολαρίοις καὶ Μειζομάταις
 καὶ κύρ Κωνσταντίνος ὁ Δωρανίτης
 30 καὶ οἱ Καβαλίται καὶ ὁ Καμαχηνὸς
 καὶ τινες τοῦ κοινου καὶ τῶν ἀλα-
 γίων τῶν βασιλικῶν ἐκράτησαν τὸν
 Ἅγιον Εὐγένιον, οἱ δ' Ἄμυτζανταράν-
 35 ται καὶ τινες τῶν ἀρχόντων καὶ τοῦ
 βασιλικου ἀλαγίου ἐκράτησταν σὺν τῇ
 δεσποίνῃ τὸν κουλᾶν.

2 მარტს, წმიდა ორმოცდლიანი
 დიდმარხვის მეორე დღეს, 4 საათიდან
 7 საათამდე მოხდა მზის დაბნელება.
 6845 [ახ. წ. 1337] წელს აუჯანყდა მე-
 ფეს ხალხი იმდენად, რომ ციხის⁵¹ გა-
 რეთ შეიკრიბა და ქვების სროლა და-
 უწყყო მას.

5 ოქტომბერს, მე-7 ინდიქტიონს,
 6847 [ახ. წ. 1338] წელს დიიბადა ბა-
 ტონი იოანე კომნინოსი ალექსით წო-
 დებული, ბატონი ბასილის მეორე ძე.
 იკურთხა გვირგვინი იმპერატორმა ბა-
 ტონმა ბასილმა ტრაპიზონელ დე-
 დოფალ⁵² ქალბატონ ირინეზე⁵³ 8 ივ-
 ლისს, 6847 [ახ. წ. 1339] წელს. გარ-
 დაიცვალა იმპერატორი ბატონი ბასი-
 ლი, დიდი კომნინოსი, 6 აპრილს,
 ხეთშაბათს, მე-8 ინდიქტიონს, 6848
 [ახ. წ. 1340] წელს. იმეფა 7 წელი-
 წადსა და 6 თვეს.

10. ხოლო მისი შვილები ბატონი
 ალექსი და ბატონი კალოიოანე დედი-
 თურთ გაიგზავნა კონსტანტინოპოლს,
 მეფობა კი დაიპყრო დაქვრივებულმა
 ქალბატონმა ირინე პალეოლოგოსმა.
 მაშინვე აჯანყდნენ თავადები⁵⁴ და
 წარმოიშვა ორი პარტია⁵⁵. ჭანიბი-
 ტისმა⁵⁶ დიდმა სტრატოპედიარხისმა⁵⁷
 ბატონმა სევასტიმ, სქოლარისებთან
 და მიზომატისებთურთ⁵⁸ და ბატონმა
 კონსტანტინე დორანიტისმა, კავაზა-
 ტისებმა, კამაქინოსმა⁵⁹ და ხალხისა
 და სამეფო ალაგიონის⁶⁰ ნაწილმა წმი-
 და ევგენი⁶¹ ჩივიდეს ხელთ; ხოლო
 ამიძანტარანტისები და ნაწილი თავა-
 დებისა და სამეფო ალაგიონისა დე-
 დოფლითურთ ციხე-დარბაზს დაეპატ-
 რონენ.

იწერის Ζაქემის. ³⁶ ρουστάμη M, 'Ρουστάβη T, 'Ρουστάβη F. ¹ ἡμέρα L. ² Τεσσα-
 ρακοστῆς] μ' M', μ' F, Μαρίας T. ⁴ ἐβδόμη] ζ' M, ζ' TF. ⁶ κουλά T; συναχέν-
 τες M. ⁷⁻⁸ ἔτους ,σωμε'. Μηνι] Ἐτους ,σωμε' μηνός TF. ⁸ ε'] abs T; ζ'] ε' F,
 მაგრამ სქოლიოში დასძინს: შემდგმა, ζ' უნდა ეწეროს. ⁹ ἔτους ,σωμζ'] abs F. ¹²⁻¹⁵ Βα-
 σίλειος L. ¹⁷ τὰς] τὰ M, τὰ TF. ²¹⁻²³ ἐστάλησαν TF. ²² πόλιν MTF. ²⁷ στρα-
 τοπεδάρχης M, στρατοπεδάρχης, TF. ²⁸ σχολαρίους TFL; μειζομάταις FL, ob.
 ავრეთვე ოარგმანის შენიშვნა 58. ³⁰ καβαλίται M, Καψαίται TF. ³¹⁻³² ἀλλαγίων L,
 ეს სიტყვა ერთი დამბდითაც იწერება და ორიოთხ, ამიტომ არ უნდა იყოს საჭირო ხელნაწერის წა-
 კითხვის შესწორება (ob. დიმიტრაქოსის ლექსიკონი). ³³⁻³⁴ Ἀμυτζανταράται: T. ³⁵ ἀλλα-
 γίου L. ³⁶ Κουλάν F.

Κατὰ δὲ Ἰούλιον μῆνα β', ἡμέρα α',
 ἔτους ςωμη', ἐλθὼν ὁ μέγας δούξ Ἰω-
 άννης ὁ ἐκτομίας ἐκ τῶν Λυμνίων μετὰ
 φωσάτον πολὺ, ἐγένετο πόλεμος, σύραν-
 5 τες καὶ τὸ μάγκανον κατὰ τῆς μονῆς·
 καὶ ἐπυρπολήθη ἡ μονή, καὶ πάντα τὰ
 ὠραία αὐτῆς ἀπεκαύθησαν. Καὶ ὁ
 Τζανιχίτης καὶ ἕτεροι ἄρχοντες ἐπερι-
 M292b | ὠρισθήσαν εἰς τὰ Λυμνία καὶ ἔκει τὸ
 10 ζῆν ἀπέδωκαν. Τῷ αὐτῷ γούν ἔτει,
 περὶ τὸν αὐτὸν μῆνα, ἀπῆλθε τὸ φωσ-
 σάτον ἡμῶν εἰς τὸν Παρχάριν, καί,
 κυριεύσαντες τοὺς Ἀμιτιώτας, ἐπήραν
 κούρσα πολλὰ, ὅτε ἐσκοτώθησαν καὶ
 15 οἱ υἱοὶ τοῦ Δολίνου.

Μηνὶ Ἰουλίῳ ε', ἡμέρα ς', ἰνδικτι-
 ῶνος θ', ἔτους ςωμθ' ἐκομήθη ὁ βα-
 σιλεὺς Ῥωμαίων κῆρ Ἀνθρόνικος ὁ
 Παλαιολόγος. Τῷ αὐτῷ μηνὶ καὶ τῷ
 20 αὐτῷ ἔτει ἐσκοτώθησαν οἱ ἄρχοντες
 L273 εἰς τὰ Λυμνία. Πάλιν γούν | τῷ αὐτῷ
 ἔτει, Ἰουλίῳ δ', ἡμέρα δ' ἦλθασιν οἱ
 Ἀμιτιῶται Τούρκοι, καὶ ἐτράπησαν οἱ
 25 Ῥωμαῖοι ἄτερ πολέμου, καὶ ἐσκοτώθη-
 σαν Χριστιανοὶ πολλοί, καὶ ἐκαύθη ἡ
 Τραπεζοῦς ὅλη ἐντὸς καὶ ἐκτὸς, καὶ
 ἐκαύθησαν λαὸς πολὺς, καὶ γυναῖκες καὶ
 παιδία. Μετὰ δὲ τὴν πληγὴν ἐκ τῆς
 δυσωδίας τῶν καυθέντων ἀλόγων ζῶων
 30 καὶ ἀνθρώπων γέγονε καὶ αἰφνίδιος
 θάνατος. Πρὸ τούτου γὰρ ἡ θυγάτηρ
 τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ κῆρ Ἀλεξίου,
 ἡ κυρὰ Ἄννα ἡ λεγομένη Ἀναχουτλοῦ,
 M293a | τὴν μοναδικὴν ἀποβαλομένη στολήν,
 35 ἀπῆλθεν εἰς τὴ Λαζίαν, καὶ ἐκράτησεν
 αὐτήν. Μετὰ δὲ τὸ γενέσθαι τὸν ἐμπρησ-
 μὸν καὶ τὴν ἐπιδρομὴν ἦλθεν ἡ Ἀνα-
 χουτλοῦ καὶ παρέλαβε τὴν βασιλείαν,
 ἔχουσα καὶ φωσάτα λάξικα, μηνὶ Ἰου-
 40 λίῳ ιζ', ἡμέρα γ', τῷ αὐτῷ ἔτει. Ἡ
 δὲ Παλαιολογίνα κατέβη τῆς βασιλείας,
 βασιλεύσασα ἔτος α' καὶ μῆνας γ'.

2 ივლისს, კვირას, 6848 [ახ. წ. 1340]
 წელს, ლიმნიიდან დიდძალი ჯარით
 მოვიდა დიდი დუქსი იოანე საჭურისი.
 მოხდა ბრძოლა, მონასტრის წინააღ-
 დევ მანქანებიც მოათრეს. დიწვა
 მონასტერი და მთელი მისი ნაგებობე-
 ბიც გადაიწვა. ჰანიხიტისი და სხვა
 თავადები ლიმნიაში გაგზავნეს ტყვედ
 და იქ გამოესალმნენ სიცოცხლეს. იმა-
 ვე წლის იმავე თვეს გაილაშქრა ჩვენ-
 მა ჯარმა პარხალს⁶²; დაარბიეს ამიდე-
 დელები⁶³ და ბევრი ალაფი აიღეს. მა-
 შინ დაიხოცნენ დოლინოსის ძენი⁶⁴.

5 ივლისს, პარასკევს, მე-19 იხდიქ-
 ტონს 6849 [ახ. წ. 1341] წელს გარ-
 დაიცვალა ბიზანტიის იმპერატორი ბა-
 ტონი ანდრონიკე პალეოლოგოსი⁶⁵.
 იმავე თვეს და იმავე წელს დახოცეს
 თავადები ლიმნიაში. კვლავ იმავე
 წელს 4 ივლისს, ოთხშაბათს მოვიდ-
 ნენ ამიდელი თურქები. ბიზანტიელე-
 ბი⁶⁶ უომრად გამოიქცნენ და დაიხოცა
 ბევრი ქრისტიანი, დიწვა მთელი ტრა-
 პიზონი შიგნით და გარეთ; დიწვა ბე-
 ვერი ხალხი—ქალები და ბავშვები. ამ
 უბედურების დატების შემდგომ, დამ-
 წვარი პირუტყვეებისა და ადამიანების
 ავი სუნისაგან შავი ჭირი გაჩნდა, მაგ-
 რამ ამაზე აღრე დიდი კომნინოსის ბა-
 ტონი ალექსის ასულმა, ქალბატონმა
 ანამ, სახელდებულმა ანახუტლუდ⁶⁷,
 სამონაზვნო სამოსი გაიძრო, წავიდა
 ლაზიაში და იქ გამაგრდა. ხანძრისა
 და თავდასხმის შემდეგ ანახუტლუ მო-
 ვიდა ლაზური ჯარით და დაიპყრო
 მეფობა იმავე წლის 17 ივლისს, სამ-
 შაბათს. პალეოლოგოსის ასული კი
 გადადგა ტახტიდან,—იმეფა სულ ერ-
 თი წელიწადი და 3 თვე.

⁴⁻⁵ πολὺ ἐγένετο πόλεμος· σύραντες M, πολὺ. Ἐγένετο πόλεμος. Σύραν-
 τες TF. ⁶ μάγκανον TFL. ⁸ τζανιχίτης M. ¹³ κυριεύσαντες] κურσεύσαντες TF.
¹⁴ κούρσα MT. ¹⁷ ἐκομήθοι M. ²² ἡμέρα δ' L. ²³ ἀμιτιῶται M. ³⁴ μοναδικὴν]
 μοναχικὴν TF.

11. Εἰς δὲ τὰς λ' τοῦ αὐτοῦ Ἰου-
 λίου μηνὸς τῷ αὐτῷ ἔτει, ἡμέρα β',
 ἦλθεν ἐκ τῆς Μεγαλοπόλεως ὁ ἀδελ-
 φὸς Ἰακώβου, ὁ κῦρ Μιχαὴλ Κομνηνός,
 5 ἔχων μεθ' αὐτοῦ κάτεργα γ' καὶ τὸν
 Σχολάριον κῦρ Νικήταν [καὶ] κῦρ Γρη-
 γόριον τὸν Μειζομάτην. Καὶ μὲν βραδύ,
 καταβάντες οἱ ἄρχοντες μετὰ ὀρχομο-
 τικοῦ καὶ ὁ μητροπολίτης κῦρ Ἀκάκιος
 10 μετὰ τοῦ εὐαγγελίου, καὶ παρέλαβον
 αὐτὸν ὡς ἀνθέντην. Τῷ δὲ πρῶι οὐκ
 οἶδα ὁ λαὸς πῶς αὐτὸν ἐπεριώρισαν.
 Τὰ δὲ κάτεργα ἤρπαξαν οἱ Λαζοί, καὶ
 πολλοὺς διὰ βελῶν ἀπέκτειναν. Τῇ οὖν
 15 γ' τοῦ Αὐγούστου μηνὸς ἡμέρα σ' τοῦ
 αὐτοῦ ἔτους, ἰωμθ' πάλιν ἦλθασιν οἱ
 M293b Ἀμιτιῶται. Τοῦρκοι· ἀλλὰ, θεοῦ εὐ-
 δοκούντος, οὐκ ἴσχυσαν πρὸς ἡμᾶς,
 ἀλλὰ ἀπῆλθον κατησχυμένοι κανοί.
 20 Μηνὶ τῷ αὐτῷ ζ', τῷ αὐτῷ ἔτει, ἐστ-
 τάθη ὁ Κομνηνός κῦρ Μιχαὴλ περιω-
 ρισμένος εἰς τὸ Οἴναιον, εἶτα εἰς τὰ
 Λιμνία. Τῷ αὐτῷ μηνὶ ι' καὶ τῷ αὐτῷ
 25 ἔτει ἐστάθη ἡ Παλαιολογίνα κυρὰ
 Εἰρήνη μετὰ φράγκικόν κάτεργον εἰς
 τὴν Πόλιν.

12. Μηνὶ Σεπτεμβρίῳ ι' ἔφυγεν ὁ
 Σχολάριος κῦρ Νικήτας καὶ ὁ Μειζο-
 μάτης κῦρ Γρηγόριος, ὁ Δωρακίτης κῦρ
 30 Κωνσταντῖνος καὶ ὁ υἱὸς Ἰωάννης καὶ
 ὁ ἀδελφὸς τοῦ Μειζομάτου Μιχαὴλ
 καὶ ἕτεροι ἐκ τοῦ μέρους αὐτοῦ, καὶ
 ἀπῆλθον μετὰ βενέτικον κάτεργον εἰς
 τὴν Πόλιν. Οἷτινες καὶ χρονίσαντες τὰ
 35 περὶ τὸν Αὐγούστον μῆνα ιε' ἦλθον
 μετὰ Κομνηνὸν κῦρ Ἰωάννην, τοῦ κῦρ
 Μιχαὴλ τὸν υἱόν, ἔχοντες δύο κάτεργα

11. იმავე წლის, იმავე თვის—ივლი-
 სის 30-ს, ორშაბათს, მოვიდა დიდი
 ქალაქიდან⁶⁸ ალექსის ძმა ბატონი მი-
 ხეილ კომნინოსი 3 კატარლით და თან
 ახლდა სქოლარისი ბატონი ნიკიტა
 და ბატონი კრიგოლ მიზომატისი.
 საღამოს ჩავიდნენ თავადები ფიცით
 და მიტროპოლიტი ბატონი აკაკიოსი
 სახარებით და მიიღეს იგი როგორც
 თვითმპყრობელი. დილით კი, არ ვი-
 ცით როგორ, ხალხმა იგი შეიპყრო,
 ხოლო კატარლები გაძარცვეს ლაზებმა
 და ბევრი დახოცეს⁶⁹ ისრებით. 3 აგ-
 ვისტოს. პარასკევს, იმავე 6849 [ახ.
 წ. 1341] წელს კვლავ მოვიდნენ ამ-
 დელი თურქები, მაგრამ, ღვთის წყა-
 ლობით, ვერ გვძლიეს ჩვენ, არამედ
 სირცხვილულნი, ცარიელნი წავიდ-
 ნენ. იმავე თვის 7-ს, იმავე წელს, გაიგ-
 ზავენა დატყვევებული ბატონი მიხეილ
 კომნინოსი ინეონს⁷⁰, შემდეგ კი ლიპ-
 ნიას. იმავე თვის 10-ს, იმავე წელს,
 ქალბატონი ირინე პალეოლოგოსი
 ფრანგული კატარლით კონსტანტინო-
 პოლს გაიგზავნა.

12. 10 სექტემბერს გაიქცნენ სქო-
 ლარისი ბატონი ნიკიტა და მიზომა-
 ტისი ბატონი კრიგოლი, დორანიტისი
 ბატონი კონსტანტინე და ძე [მისი] ოთ-
 ანე და ძმა მიზომატისისა—მიქელი და
 სხვანი იმ პარტიისა და ვენეციელთა
 კატარლით მივიდნენ კონსტანტინო-
 პოლს. მათ მოიცადეს იქ 17 აგვის-
 ტომდე და მერე წამოვიდნენ ბატონ
 იოანე კომნინოსთან, ბატონ მიხეილის
 ძესთან, ერთად; ორი კატარა თავისი

³ მეგალიპოლეს ML. ⁶ σχολάριον TF, σχολάριον M; [καὶ] უმატებს L.
⁸⁻⁹ ὀρχομοτῖκοῦ (ქარაგ.) M, ὀρχομότῖκον T, ὀρχομοτῖον F. ¹⁰ εὐαγγελίῳ (ქარაგ.)
 M, ** T, ... F, ოღონდ შენიშვნაში კი მოიხილება; ასე უნდა გაიხსნას (6. მისი ვამოც. გვ.
 20). ¹⁵ αὐγούστου (ქარაგ.) M, αὐτοῦ TF; ἡμέρα σ' L. ¹⁹ κατησχυμένοι: MTF.
²² Οἴναιον] ἰνάιον M, შდრ. თავები 14, 49. ²⁵ Φράγκικόν TF. ²⁶ πόλιν MTF.
²⁷ 12.] abs T. ²⁸ σχολάριος F; Νικήτα MTF. ²⁸⁻²⁹ Μειζομάτ, T. ³¹ Μειζο-
 μάτου TF, μῆζομάτου M, მაგრამ შდრ. ამ სიტყვის დაწერილობა სხვა თავებში, თ. თ.
 11, 13, 14, 19—Μειζομάτης. ³⁴ πόλιν MTF. ³⁵ αὐγούστον (ქარაგ.) M, αὐτὸν TF.

τῶν αὐτῶν καὶ τρία γενουίτικα, καὶ
 παρέλαβον τὴν Τραπεζοῦντα μὴν: Σεπ-
 τεβρίῳ δ', ἡμέρα δ', ἔτους ς'ωνα'. Καὶ
 ἐστέφθη τῷ αὐτῷ μὴν: Σεπτεβρίῳ εἰς
 5 τὰς θ' εἰς τὴν Χρυσοκέφαλον ἐν τῷ
 ἄμβωνι: ὅτι καὶ ἐν τῇ ἐλεύσει αὐτοῦ
 ἐπὶ πᾶσιν αἱ χῶραι συνήχθησαν ἐπὶ
 M294a ταῦτό· καὶ γέγονε | διαγωγὸς βαρῦς καὶ
 ἀρπαγὴ πολλή. Τότε ἐσκοτώθησαν καὶ
 10 οἱ ἄρχοντες οἱ Ἀμυτραντάριοι, καὶ ἡ
 τοῦ Γεωργίου μήτηρ ἡ Σαργαλὴ παρε-
 δόθη τῇ πνιγμονῇ καὶ σὺν αὐτῇ ἀπε-
 πνίγη καὶ ἡ Ἀναχουτλοῦ, βασιλευσασα
 ἔτος α' καὶ μῆνα α' καὶ ἡμέρας ἡ'.

13. Μὴν Ἰουνίῳ, ἔτους ς'ωνα' ἤλ-
 15 θον οἱ Ἀμιτιῶται εἰς πόλεμον, καὶ
 ἀπῆλθαν κenoί. Ἐπειδὴ [ὁ] τὸν κύρ
 Μιχαὴλ κρατῶν μέγας δούξ, ὁ εὐνοῦ-
 20 χος, ἐν τοῖς Λυμνίοις Μαρτίῳ μὴν
 ἀπεκτάνθη, ἀπῆλθεν ὁ μέγας δούξ, ὁ
 Σχολάρις, καὶ παρέλαβε τὸν κύρ Μι-
 χαήλ, καὶ ἤλθε καὶ ἐβασίλευσε μὴν
 Μαΐῳ γ', ἡμέρα β', ἔτους ς'ωνβ'. Ἐσ-
 25 τέφθη δὲ μὴν: τῷ αὐτῷ κα'. Τὸν δὲ
 υἱὸν αὐτοῦ καταβιβάσας ἀπεριώρισεν
 εἰς τὸ σπήλαιον τοῦ Ἁγίου Σάββα, βα-
 σιλευσας ὁ κύρ Ἰωάννης χρόνον α' καὶ
 μῆνας ἡ'. Ἐπεὶ δὲ οἱ πρῶτοι ἄρχον-
 30 τες τοῦ ζῆν ἀπεστερήθησαν, | ἐπιμήθη
 ὁ Σχολάρις ὁ κύρ Νικήτας μέγας δούξ,
 Γρηγόριος ὁ Μειζομάτης μέγας στρατο-
 πεδάρχης, Λέων ὁ Καβαζίτης μέγας
 δομέστικος, Κωνσταντίνος ὁ Δωρανίτης
 πρωτοβεστιάριος καὶ ὁ υἱὸς αὐτοῦ ἐπι-
 35 κέρνης, Ἰωάννης ὁ Καβαζίτης μέγας
 λογαριαστής, ὁ υἱὸς τοῦ Σχολάριος πα-
 ρακαμώμενος, Μιχαὴλ ὁ Μειζομάτης

ჰყავდათ, სამი კი გენუელეებისა და და-
 იძყრეს ტრაპიზონი 4 სექტემბერს,
 ოთხშაბათს, 6851 [ახ. წ. 1342] წელს,
 და იმავე თვის სექტემბრის 9-ს ქრი-
 სოკეფალოსის ტაძრის ამბიონში:
 გვირგვინი დაიდგა. მის ჩამოსვლაზე
 მთელი ქვეყანა შეიკრიბა და მიწდა
 სასტიკი დევნანი და ბევრი ძარცვა-
 გლეჯა. მაშინ დახოცეს აგრეთვე თავა-
 დები ამიძანტარიოსები, ვიორგის დე-
 და სარგალე დაახჩობინეს⁷¹ და მას-
 თან ერთად დაახჩობინეს ანახტ-
 ლუც, რომელმაც იმეფა ერთ წელი-
 წადს, ერთ თვეს და 8 დღეს.

13. ივნისში. 6851 [ახ. წ. 1343]
 წელს მოვიდნენ ამიღელური საომრად
 და გაბრუნდნენ ხელკარიგენი. მას
 შემდეგ, რაც ბატონი მიხეილის მცვე-
 ლი, დიდი დუქსი საჭურისი ლომნას
 მოკლულს მარტში. ჩვიდა დიდი დუქსი
 სქოლარისი, წამოიყვანა ბატონი მიხე-
 ილი, მოვიდა და გაამეფა 3 მაისს, ორ-
 შაბათს, 6852 [ახ. წ. 1344] წელს; ხო-
 ლო გვირგვინი დაიდგა იმავე თვის
 21-ს. თავისი ვაჟიშვილი კი ჩამოავდო
 და ჩსვა წმიდა საბას გამოქვაბულ-
 ში⁷². ბატონმა იოანემ იმეფა ერთი წე-
 ლი და 8 თვე. მას შემდეგ რაც უწარ-
 ჩინებულესი თავადები სიცოცხლეს
 გამოესალმნენ, სქოლარისს, ბატონ
 ნიკიტას მიანიჭეს დიდი დუქსის პატი-
 ვი⁷³, გრიგოლ მიზომატისს—დიდი
 სტრატოპედარხისისა, ლეონ კავაზი-
 ტისს—დიდი დომესტიკოსისა, კონს-
 ტანტინე დორანიტისს—პროტოვეს-
 ტიაროსისს⁷⁴, მის ვაჟიშვილს—ეპი-
 კერნისისს⁷⁵, იოანე კავაზიტისს—დი-
 დი ლოგარიასტისისს⁷⁶, სქოლარისის
 ვაჟიშვილს—პარაკიმომენისისს⁷⁷, მი-
 ქელ მიზომატისს—ამირჩანტარიოსი-

I275
M294b
30

¹ Γενουίτικα TF. ² παρέλαβον] παρ-
 ἔλασαν T. ³ τὰς] τὰ M, τὰ TF; θ']
 δ' F. ⁴⁻⁸ ἐπιταυτό M. ¹⁰ Ἀβυτζαντά-
 ριοι T. ¹² πνιγμονῇ] παιγμονῇ M, παιγιμονῇ TF. ¹³ βασιλευσασα] βασιλευσασα
 M. ¹⁵ 13.] 10. T. ¹⁷ [ὁ] L, abs MTF. ^{21,30} σχολάρις TF. ²⁴ κα'] Καὶ TF.
³⁴ πρωτοβεστιάριος] α' βεστιάρι· M, τὰ βεστιάρια TF. ³⁴⁻³⁵ ἐπικέρνης MTF.
³⁶ σχολάριος TF. ³⁶⁻³⁷ παρακαμοῦμενος T, παρακακοῦμενος F.

ἀμυρτζαντάριος, Τζανιχίτης ὁ Στέφανος μέγας κοντόσταυλος.

სა⁷⁸, სტეფანე ჯანიჩის—დიდი კონტოსტავლოსისა⁷⁹.

14. Μηνί Νοεμβρίου ἔτους ‚σωνδ‘
 κατεσχέθησαν παρὰ τοῦ βασιλέως τοῦ
 5 κῆρ Μιχαήλ μέγας δοῦξ ὁ Σχολάρις,
 μέγας δομέστικος ὁ Μειζομάτης καὶ
 ἕτεροι αὐτῶν. Τότε ἐστάλη καὶ ὁ Κομ-
 νηγὸς κῆρ Ἰωάννης, εἰς τὴν Πόλιν.
 Ἐν δὲ τῷ ‚σωνε‘ ἔτει ἐπιᾶσθη ὁ Ἄγι-
 10 ος Ἀνδρέας καὶ τὸ Οἶναιον.

15. Μηνί Σεπτεμβρίου, [ἔτους ‚σωνε‘],
 ἰνδικτιῶνος α΄, ἐγένετο αἰφνίδιος θά-
 νατος, ἢ πανούκλα, ὥστε ἀπεβάλλοντο
 15 πολλὰ τέκνα καὶ συνεόνους, ἀδελφοὺς
 καὶ μητέρας καὶ συγγενεῖς, καὶ διεκρά-
 τησεν ἕως μῆνας ζ΄.

Τῷ αὐτῷ ‚σωνε‘, ἐν μηνί Ἰανουαρίῳ,
 M295a ἐπιᾶσθη ἡ Κερασσοῦς, | καὶ αἰχμαλωτ-
 ῖσθη καὶ ἐπυρπολήθη παρὰ Ἰανουαίων.
 20 Ἐν δὲ τῷ αὐτῷ ἔτει ἐν μηνί Ἰουνίῳ
 κθ΄, ἰνδικτιῶνος α΄ ἦλθαν ἐν Τραπεζοῦν-
 τι Τούρκοι πολλοί, ἦγγον ἀπὸ τὸ Ἐξ-
 κᾶν Ἀρχῆς Ἀϊναπέης καὶ ἀπὸ τῶ Παί-
 περτ ὁ Μαχμάτ Εἰκεπτάρης καὶ ἀπὸ τῶν
 25 Ἀμιτιῶν ὁ Τυραλίπης καὶ Ποσογάν-
 ης καὶ Τζαπνίδες σὺν αὐτοῖς, καὶ
 L276 ἐκρότησαν | πόλεμον ἡμέρας γ΄ καὶ
 ἀπῆλθαν κατησχυμένοι καὶ πεπληγω-
 μένοι φυγάδες, ἀποβαλλόμενοι ἐν ὁδῷ
 30 Τούρκους πολλοὺς.

14. ნოემბერში 6854 [ახ. წ. 1345]
 წელს, იმპერატორმა ბატონმა მიხეილ-
 მა შეპყრობინა დიდი დუქსი სქოლარისი და დომესტიკოსი მიზომატისი და სხვანი მათგან (მათი მომხრეებიდან). მაშინ გაიგზავნა ბატონი იოანე კომნენოსი კონსტანტინოპოლს. 6855 [ახ. წ. 1346] წელს აღებულ იქნა წმიდა ანდრია⁸⁰ და ინეონი.

15. სექტემბერში, 6856 [ახ. წ. 1347]
 წელს, 1-ლ ინდიქტიონს, გაჩნდა უცნაურად მომაკვდინებელი სენი—ქირი; ისე რომ, დაიღუპა ბევრი შვილი და ცოლ-ქმარი, ძმები, დედები და ნათესავები და მძინვარებდა [სენი] შვიდთვემდე.

იმავე 6856 [ახ. წ. 1348] წელს, იანვარში იანუელუმბა⁸¹ კერასუნტი აიღეს. წარტყვევენს და გადასწვენს. ამავე წლის 29 ივნისს, 1 ინდიქტიონს, მოვიდა ტრაპიზონს ბევრი თურქი. წინამძღოლობდნენ მათ ეზინკელი⁸² ახის აინა-ბეი⁸⁴ და ბაიბურთელი⁸³ მაჰმად ეიკეპტარისი და ამიდელთაგან თურალი-ბეი პოსდოგანისი⁸⁵. და მათთან ერთად ჯაპნიდები⁸⁵. იბროლეს 3 დღეს და გაიქცნენ სირცხვილელნი და დამარცხებულნი და გზაში მრავალი თურქი დაიღუპა.

¹ ἀμυρτζαντάριος] ἀμυρτζαν⁷⁸ M, Ἀμυρτζαύτης TF. ² κοντόσταυλος MTF. ³ 14.] 11. T. ⁵ σχολάρις TF. ¹⁰ Οἶναιον] ὕναιον T, ὕνοιον F, შდრ. თ. თ. 11, 49. ¹¹ 15.] 12. T, abs F; [ἔτους ‚σωνε‘] L ინდიქტიონს მიხედვით, abs MTF. ¹⁶ ἕως] εἰς TF. ¹⁷ Τῷ] 13. Tῷ TF. ¹⁹ Ἰανουαίων] Ἰανου^a M, Ἰανουῖτων T, Ἰανουῖτων F. ²² ἐξκᾶν M, ἐξκαῖν F, Τζικაῖν T. ²³ ἀρχῆς F; αἰναπέης M, Ἀйнаπάκ T, айнапак F; Παίπερτ T. ²⁴ Μαχμάτης L, маχма⁷ M; Εἰκεπτάρης] εἰκε πτάρης M, Ερκεπτάρης F. ²⁵ Τυραλίπης L, тyрали пѣη M, Тур-али пѣк TF. ²⁶⁻²⁶ ποσογάνης T. ²⁶ Τζαპνίδες M, Тζιαпниδες L, Тζιανίδες TF, შდრ. თ. 50. ²⁷ ἐκρότησαν] ἐκράτεισαν M, შდრ. ამავე თავში ქვემოთ; ავრეთვე თთ. 30, 43. ²⁸ κατησχυμένοι M, κατησχυμένοι TF. ²⁸⁻²⁹ πεπληγμένοι TF. ²⁹ ἀποβαλλόμενοι MTF.

Μηνί Ματῶ ε', ἡμέρᾳ γ', ἔτους
 ,σωνζ' ἤλθαν ἐνταῦθα ἐκ τοῦ Καφᾶ
 κότεργα φράγκικα β'. Καὶ ἐξῆλθεν καὶ
 ἡμέτερον κότεργον ἐν μέγαν ἐκ τῆς
 5 Δαφνούτας καὶ ἕτερον μικρὸν καὶ βαρ-
 κόπουλα ἰκανά, καὶ ἐκρότησαν πόλε-
 μον, καὶ παραχωρήσει θεοῦ ἐνίκησαν
 οἱ Φράγκοι, καὶ ἐσκοτώθη ὁ μέγας
 10 Μιχαὴλ ὁ Τζανιχίτης καὶ ἕτεροι πολ-
 M295b λοί. Τὸ δὲ κότεργον | ἐκαύθη, καὶ οἱ ἐν
 τῇ στερεᾷ Φράγκοι ἠρπάγησαν καὶ πε-
 ρωρίσθησαν· τὰ δὲ κότεργα ἀπηλθον.

Κατὰ δὲ τὸν Ἰούνιον μῆνα ιε',
 15 ἔτους ,σωνζ' πάλιν ἤλθαν ἐκ τοῦ Κα-
 φᾶ κότεργα γ' καὶ μία βάρκα ἐξ Ἀμι-
 σῶ. Καὶ μετὰ πολλῶν λόγων καὶ ὀχ-
 λήσεων καὶ ζητήσεων, γέγονεν ἀγάπη,
 καὶ παρεδόθη πρὸς αὐτοὺς τὸ Λεοντό-
 20 καστρον. Τότε γὰρ ἀσθένεια ἐνίκησε
 τὸν βασιλέα τὸν κῆρ Μιχαὴλ· ὅτε καὶ ὁ
 Σχολάρις ὁ κῆρ Νικήτας, ἐκ τοῦ Κεχ-
 ρινᾶ ἐλθὼν, γέγονε μέγας δούξ, λαβὼν
 τὴν θυγατέρα τοῦ Σκμφῶν. Ἐβρασί-
 25 λευσε δὲ ὁ κῆρ Μιχαὴλ χρόνους ε' καὶ
 μῆνας ζ' ἤμισυν.

16. Μηνί Δεκεμβρίῳ γγ', ἡμέρα α',
 ἔτους ,σωνή' κατεβίβασθη ἐκ τῆς βασι-
 30 λείας ὁ κῆρ Μιχαὴλ ὁ Κομνηνός, καὶ
 εἰς τὰς κβ' τοῦ αὐτοῦ μηνός, ἡμέρα γ'
 εἰςῆλθεν εἰς τὴν Τραπεζούντα καὶ παρ-
 ἔλαβε τὴν βασιλείαν ὁ δεῦτερος υἱὸς
 κῆρ Βασιλείου τοῦ Κομνηνοῦ, ὁ κῆρ
 Ἰωάννης, ὁ ἐπονομασθεὶς κατὰ τὸν
 35 πάππον κῆρ Ἀλέξιος, σὺν τῇ δεσποίνῃ
 καὶ μητρὶ αὐτοῦ κυρᾷ Εἰρήνῃ τῇ με-
 M296a γάλῃ Κομνηνῇ, καὶ ἐστέ|φθη ἐν τῷ
 ναφῷ τοῦ Ἁγίου Εὐγενίου μηνί Ἰανου-
 αρίῳ· εἰς τὰς κα' κατὰ τὴν τοῦ ἁγίου
 40 ἑορτήν. Τὸν δὲ κῆρ Μιχαὴλ περιορίσας

5 მაისს, სამშაბათს, 6857 [ახ. წ.
 1349] წელს, მოვიდა კათედან⁸⁶ 2
 ფრანგული კატარლა. ჩვენიდან, დაფ-
 ნუსიდან⁸⁷, გავიდა ერთი დიდი კატარლა
 და სხვა პატარა და აგრეთვე ნაგები
 საკმაოდ. მოხდა ბრძოლა და ღვთის
 შემწეობით იძლიენ ფრანგები. დაიხოც-
 ნენ დიდი დუქსი იოანე კავაზიტისი,
 ბატონი მიქელ ჭანიხიტისი და სხვანი
 მრავალნი. კატარლას ცეცხლი წაეკი-
 და, ხმელეთზე მყოფი ფრანგები⁸⁸ გა-
 ძარცვეს და დაატუსაღეს. კატარლები
 წავიდნენ.

15 ივნისს, 6857 [ახ. წ. 1349] წელს,
 კვლავ მოვიდა კათედან 3 კატარლა და
 ერთი კი—ამინსოდან⁸⁹. და ბევრი მო-
 ლაპარაკებისა, შფოთვისა და დავის
 შემდგომ ჩამოვარდა ზავი და გადაე-
 ცა მათ [ე. ი. ფრანგებს] ლეონტოკას-
 ტრონი⁹⁰. მაშინ იმპერატორი ბატონი
 მიხეილი ავად ბრძანდებოდა. სქოლა-
 რისი ბატონი ნიკიტა მოვიდა კებრინ-
 დან, ვახდა დიდი დუქსი, ცოლად კი
 შეირთო სამსონის ასული. ბატონმა
 მიხეილმა იმეფა 5 წელიწადსა და 7
 თვენახევარს⁹¹.

16. 13 დეკემბერს, კვირას. 6858
 [ახ. წ. 1349] წელს, ბატონი მიხეილ
 კომნინოსი ტახტიდან ჩამოაგდეს. იმა-
 ვე თვის 22-ს, სამშაბათს, ჩამოვიდა ტრა-
 პიზონს და დაიპყრო მეფობა ბატო-
 ნი ბასილი კომნინოსის მეორე შვილ-
 მა, ბატონმა იოანემ, რომელსაც პაპის
 მიხედვით ბატონი ალექსიცი ერქვა⁹²,
 თან მოჰყვავდნოფალი და მისი დე-
 და ქალბატონი ირინე, დიდი კომნინო-
 სი. გვირგვინი დაიდვა წმიდა ეგვიპტის
 ტაძარში 21 იანვარს, წმიდა საღვთისა-
 წაულო დღეს. ბატონი მიხეილი კი ჩას-

¹ Μηνί] 14. Μηνί T. ⁵ δαφνούτας M, Δαφνούτος TF. ¹⁴ Κατὰ] 15. Κα-
 τὰ T; μῆνα] μὴν' M. ¹⁶ βάρκα M, βαρκis TF. ¹⁸ γέγωνεν M. ¹⁹ αὐτοῦς] ἑαυ-
 τοῦς MT. ²² κεχρινᾶ M, Κεχχρίνα TF. ²⁵ ε'] β' TF. ²⁶ ἤμισυν L, ჟარაჲ. M,
 abs TF. ²⁷ 16.] 15. F. ³⁰ τὰς] τὰ M, τὰ TF. ³² δεῦτερος] β' M, βασιλεὺς
 TF. ³³ Βασιλείου] Βασιλείου L. ³⁶ πάππαν T.

1277 ἔν τῷ σπηλαίῳ τοῦ Ἁγίου Σάβα ἀπέ-
 κειρε κατὰ μοναχόν· καὶ μετὰ χρόνον
 α' ἀπεστάλη εἰς τὴν Πόλιν μετὰ
 5 τοῦ τατᾶ κυρ Μιχαὴλ τοῦ Σαμφῶν,
 ὅτε γέγονε καὶ ἡ συμπενθερεία πρὸς
 τὸν βασιλέα.

10 Τῷ αὐτῷ γοῦν ἔτει, τῷ ςωνῷ,
 ἐγένετο σύγχυσις καὶ ταραχὴ μέσον
 τῶν ἀρχόντων· καὶ Ἰουίνου μὴνός ἐπι-
 15 στήθη ὁ μέγας στρατοπεδάρχης κυρ
 Θεόδωρος ὁ Δωρανίτης ὁ λεγόμενος
 Πιλέλης καὶ ὁ ἀδελφὸς αὐτοῦ πρωτο-
 βεστιάριος Κωνσταντῖνος ὁ Δωρανίτης
 15 καὶ πᾶσα ἡ γενεὰ αὐτοῦ, καὶ περιω-
 ρίσθησαν ἕκαστος αὐτῶν εἰς τὰ τῶν
 ἀρχόντων ὀσπίτια. Μετὰ δὲ ζ' τοῦ
 μὴνός παλιν ἀνεκλήθησαν.

20 Ἐν μηνί Ἰανουαρίῳ τῷ ςωνῷ ἔτει
 ἐπίσθη ὁ γενόμενος πρωτοβεστιάριος
 20 Λέων ὁ Καβαζήτης, καὶ ἀνεβιάσθη εἰς
 τὸ πρωτοβεστιαράτον ὁ Πιλέλης· ὅτε
 καὶ ὁ τατᾶς Μιχαὴλ ὁ Σαμφῶν ἀπήλ-
 θε μετὰ κάτεργον εἰς τὴν Πόλιν ποι-
 εῖν τὴν συμπενθερείαν καὶ λαβεῖν τὴν
 26 δέσποιναν καὶ ἐλθεῖν· | Τῷ αὐτῷ γοῦν
 26 ἔτει Μαΐῳ μηνί, ἡμέρᾳ ε' ἐπίσθη ὁ
 κουλᾶς παρὰ τοῦ Πιλέλη καὶ τῶν σὺν
 αὐτῷ· ἐζωγρήθη δὲ ὁ μέγας δούξ ὁ
 30 Σχολάρις· Ἄνατταρχοί, δὲ ὁ λαός,
 30 πάλιν ἐλευθερώθη, καὶ ἀπήλθεν ὁ βα-
 σιλεὺς εἰς τὴν Τρίπολιν· Ὁ δὲ Πιλέ-
 λης καὶ ὁ υἱὸς αὐτοῦ καὶ ὁ γαμβρὸς
 αὐτοῦ καὶ οἱ τοῦ Ξενίτου παῖδες συλ-
 ληφθέντες καὶ περιωρίσθησαν εἰς τὸν
 35 Κερχρινᾶν.

Μηνί Σεπτεμβρίῳ γ', ἰνδικτιῶνος ε',
 ἔτους ςωξ' ἦλθεν ἡ δέσποινα ἡ Κοιμ-

ვა წმიდა საბას გამოქვაბულში⁹³ და
 მონაზვნად აღკვეცა. ერთი წლის შემ-
 დგ ვაიგზავნა კონსტანტინეპოლს ტა-
 ტა⁹⁴ ბატონ მიქელ სამსონითურთ,
 რადგან მოხლა იმპერატორთან დამოყვ-
 რება.

იმავე, 6858 [ახ. წ. 1350] წელს, მოხ-
 ლა შფოთი და განხეთქილება თავა-
 დებს შორის. იენისში შეიპყრეს დიდი
 სტრატოპედარხისი ბატონი თედორე
 დორანიტისი, რომელსაც პილელის
 ეძახოდნენ, მისი ძმა პროტოვესტიარი-
 ოსი კონსტანტინე დორანიტისი და
 მთელი მისი ოჯახი და ყველანი დაა-
 ტუსადეს თავადთა სასახლეებში. ხოლო
 თვის 7-ს კვლავ მოიწვიეს.

იანვარში, 6859 [ახ. წ. 1351] წელს
 შეიპყრეს პროტოვესტიარიოსად გამ-
 ხდარი ლეონ კავაზიტისი და დანიშნა
 პროტოვესტიარიოსად პილელისი. მა-
 შინ ტატა მიქელ სამსონი კატარლით
 ჩავიდა კონსტანტინოპოლს, რათა მოყ-
 ვრობის [საქმე] გაერეგებინა, დედო-
 ფალი წამოეყვანა და წამოსულიყო.
 იმავე წლის მაისში, ხუთშაბათს, დაიპ-
 ყრეს ციხე-დარბაზი პილელისმა და
 მისიანებმა. ცოცხლად შეიპყრეს
 ტყვედ დიდი დუქსი სქოლარისი. მაგ-
 რამ ხალხი აღელდა, კვლავ გაათავი-
 სუფლა იგი და მეფე ტრიპოლისის⁹⁵
 წავიდა. ხოლო პილელისი, მისი ვაჟი,
 მისი სიძე და ქსენიტოსის შვილები
 შეპყრობილები გაგზავნეს და დაატუ-
 სადეს კეხრინაში⁹⁶.

3 სექტემბერს, მე-5 ინდიქტიონს,
 6860 [ახ. წ. 1351] წელს, კონსტანტი-

¹⁻² ἀπέκαρε TF. ⁴ τατᾶ M, Τατᾶ TF; σαμφῶν M. ⁵ ἡ M, abs TF. ⁷ Τῷ αὐτῷ] 16. Τῷ αὐτῷ F; ἔτει τῷ M, ἔτει TF. ¹⁰ στρατοπέδαρχος T, στρατοπέδαρχος F. ^{13-13:19} ἀβesciαρ· M, κατὰ βεστιάρια TF. ¹⁶ ὀσπίτια M; ζ' M, ζν T, ζ' F. ¹⁸ ἰανουαρίου M. ²⁰ καβαζήτης M, Καβασιτής TF. ²¹ α' βεστιαράτον M, κατὰ βεστιαράτον TF. ²² τατᾶς M, Τατᾶς TF. ²⁴ λαβῆν MF, Χοβῆν T; ²⁵ καὶ ἐλθεῖν M, καὶ abs TF. ²⁷ Κουλᾶς F; παρὰ] ἀπὸ TF. ²⁸ δέ] abs TF. ²⁹ σχολᾶρις M, σχολᾶρις TF; ἀνατταρχοί MTF. ³⁰ ξενίτου MTF. ³⁴⁻³⁵ τὸν Κερχρινᾶν T, τὴν Κερχρινᾶν F.

L278 νηνή Καντακουζηνή μετὰ κάτεργον ἐκ
 τῆς Πόλεως, ἡ φυγάτηρ | κῦρ Νικηφό-
 ρου τοῦ Καντακουζηνοῦ τοῦ σεβαστο-
 κράτορος, πρῶτον ἐξαδέλφου ὄντος τοῦ
 5 βασιλέως Ῥωμαίων κῦρ Ἰωάννου τοῦ
 Καντακουζηνοῦ, καὶ εἰς τὰς κη' ἡμέ-
 ρας πρῶτον ἐγένετο εὐλόγησις αὐτῆς
 μετὰ τοῦ βασιλέως ἐν τῇ μονῇ τοῦ
 Ἁγίου Εὐγενίου.

10 Ἐφ' αὐτῷ γοῦν ἔτει τῷ σαξ', Σεπ-
 τεβρίου κβ' ἀπῆλθαιμεν μὲ τὴν δέσποι-
 ναν, τοῦ βασιλέως τὴν μητέρα, εἰς τὰ
 Λιμνία κατὰ τοῦ κεφαλατικέοντος
 M297a ἐκείσε Κωνσταντίνου τοῦ Δωρα|νίτου,
 15 ἀδελφοῦ τοῦ πρωτοβεστιαρίου τοῦ Πιλέ-
 λη. Καὶ λείψαντες μῆνας γ' πάλιν
 ἦλθαμεν.

17. Κατὰ δὲ τὸν Ἰανουάριον μῆνα
 τῷ αὐτῷ ἔτει εἰσῆλθεν ὁ πικέρνης Ἰω-
 20 ἀννης ὁ Τζανιχίτης, καὶ ἐκράτησε τὴν
 Τζάνιχαν τὸ κάστρον ἀνάρχῳ χειρὶ.
 Καὶ κατὰ τὸν Ἀπρίλιον μῆνα τῷ αὐ-
 τῷ ἔτει ἀπῆλθεν ὁ βασιλεὺς ἐκείσε καὶ
 ἡ δέσποινα, καὶ ἐποίησεν εἰρηναίην κα-
 25 τάστασιν. Καὶ κατὰ τὸν Ἰούλιον μῆνα
 τῷ αὐτῷ ἔτει ἐπαρεδόθησαν τῇ ἀρχό-
 νῃ ὁ Πιλέλης καὶ ὁ υἱὸς του καὶ ὁ γαμ-
 βρός του ἐκ τῷ Κεχρινᾶ κάστρῳ. Ἐφ'
 30 αὐτῷ σαξ' ἔτει ἀπῆλθεν ἡ ἀδελφὴ τοῦ
 βασιλέως κυρὰ Μαρία ἡ μεγάλη Κομ-
 νηνή, καὶ, συναξεύχθη τὸν Χουτλουπέ-
 κην τὸν υἱὸν τοῦ Τουραλῆ, ἀμυρᾶν
 ὄντα τῶν Ἀμιτιωτῶν, μὴνι Αὐγούστῳ.
 35 Ἐφ' αὐτῷ μὴνι καὶ ἔτει ἦλθαν τὰ βε-
 νέτικα τὰ κάτεργα κατὰ τῶν Γενουβί-
 σων, καὶ ἔκαυσαν καράβια πολλὰ.

Ἐφ' αὐτῷ μὴνι Ἰουνίῳ, ἔτους σαξξ'
 M297b ἀπῆλθεν ὁ Σχολάρις | φυγαδίας εἰς τὴν
 Κερασσιντα, καὶ ἔκτοτε τὰ γεννηθέντα

ნომლიდან კატარლით მოვიდა დედო-
 ვალი კომნინოსი-კანტაკუზინოსი, ასუ-
 ლი სევასტოკრატორის ბატონ ნიკი-
 ფორე კანტაკუზინოსისა⁹⁷, ბიზანტიის
 იმპერატორის, ბატონ იოანე კანტაკუ-
 ზინოსის ღვიძლი ბიძაშვილისა; და
 28-ს პირველად მოხდა მისი კურთხე-
 ვა იმპერატორთან ერთად წმიდა ევ-
 გენის ტაძარში.

იმავე, 6860 [ახ. წ. 1351] წელს, 22
 სექტემბერს, წავედით დედოფალთან,
 იმპერატორის დედასთან ერთად ლიმ-
 ნიას კონსტანტინე დორანიტისის, პრო-
 ტოვესტიაროს პილელისის ძმის, წი-
 ნაალმდეგ, რომელიც იქ გამგებლობ-
 და. დავრჩით 3 თვეს და უკან და-
 ბრუნდით.

17. იმავე წლის იანვარში მივიდა ჰი-
 კერნისი⁹⁸ იოანე ჭანინიტისი და თვით-
 ნებურად დაიპყრო ციხე ჭანისა⁹⁹. იმა-
 ვე წლის აპრილში იმპერატორი და
 დედოფალი მივიდნენ იქ და მშვიდო-
 ბიანობა დაამყარეს და იმავე წლის ივ-
 ლისში დაახრჩობინეს კებრინას ციხე-
 ში პილელისი, მისი ვაჟი და სიძე.
 იმავე 6860 [ახ. წ. 1352] წელს მოვი-
 და იმპერატორის და ქალბატონი მა-
 რია, დიდი კომნინოსი, და მისთხოვდა
 აგვისტოში ხუტლუ-ბეგს, თურ-ალის
 ძეს, ამიდელთა ამირას. იმავე წლის
 იმავე თვეში გაილაშქრეს ვენეციელთა
 კატარღებმა გენუელების წინააღმდეგ
 და მრავალი ხომალდი დაიწვა.

იმავე ივნისის თვეში, 6862 [ახ. წ.
 1354] წელს, სქოლარისი ვაიქცა კერა-
 სუნტს და მას შემდეგ მომხდარი მი-

¹ კანταკოუზინი M, ἡ Καντακουζηνή F. ²⁻⁴ τοῦ σεβ. M, τοῦ abs TF. ⁵ τὰς] τᾶ M, τὰ TF; κη' MT, κ' F. ⁶⁻⁷ ἡμέρα TF. ¹⁵ πρωτοβεστιαρίου L, ἀξβε⁹⁷ M, κατὰ βεστιάριον TF. ¹⁸ μῆνα] μὴν' M. ¹⁹ πικέρνης MTF. ²⁰ τζανιχίτης — ასე უწოდდა ვადასწორებული ადრე დაწერილი — τζანიხიტი M. ²⁸ Κεχρινᾶ F, Κεχρινᾶ T. ³⁰⁻³¹ κομνηνή M. ³² ἀμυρᾶν M, Ἀμυρᾶν TF. ³³ μὴνὸς Αὐγούστου TF. ³⁸ φυγάδας TF. ³⁹ ἐκ τότε TF; γεννηθέντα TF.

διὰ μέσον μηνύματα και ἀποκρισιάρια, τίς δύναται γράφειν;

18. Μηνός Μαρτίου κα', ἔτους ςωξγ' ἦλθεν ὁ μέγας δοῦξ ὁ Σχολάρις και ὁ υἱὸς αὐτοῦ ὁ παρακοιμώμενος κατὰ τῆς Τραπεζούντος | μετὰ ἐν κότεργον και βάλκας ια', ὅτε ἀπῆλθε σὺν αὐτῷ και ὁ πρωτοβεστιάριος Βασίλειος ὁ Χούπακος, και, πολλῶν λόγων και ὀχλήσεων γενομένων, πάλιν ἐγένετο κατὰστασις, και ἀπῆλθον εἰς Κερασούντα.

Ἐν τῷ αὐτῷ ἔτει ςωξγ', μηνὶ Μαΐῳ, ἰνδικτικῶνος ἡ' ἀρματώσας ὁ βασιλεὺς κότεργα δύο και ξύλα μικρὰ ἰκανά, (και) ἀπῆλθεν ἄμα τῇ μητρὶ και θεσποίνῃ και τῷ μητροπολίτῃ κατὰ τοῦ Σχολάρι ἐν Κερασούντι, ὅτε και ὁ μὲν Σχολάρις ἦν ἐν τῷ Κεχρινᾷ, ὁ δὲ παρακοιμώμενος ἐν Κερασούντι. Μετὰ δὲ τὴν μάχην και τὸν πόλεμον ἐγένετο κατὰστασις, και προσκυνήσασα ἡ Κερασοῦς τὸν βασιλέα. Ὁ δὲ παρακοι-

M298a μώμενος ἐξελεθὼν ἀπῆλθεν εἰς | τὸν πατέρα αὐτοῦ ἐν τῷ Κεχρινᾷ, και ἦσαν ἅπαντες οἱ περὶ τὸν Σχολάριν ἐκεῖ.

Και ὁ μὲν βασιλεὺς, τὸν στόλον και τὴν θέσποιναν ἀφείξεν ἐν τῇ Τριπύλει, ἦλθεν ἐνταῦθα, και λαμβάνει στρατὸν καβαλλαρικόν, και ἀπῆλθε τότε διὰ ἰθαλάσσης, και τὸ διὰ ξηρᾶς διάστημα περιώρισεν ἅπαντας ἐν τῷ Κεχρινᾷ. ὅτε και πόλεμος ἐγένετο, προσκυνήσαντες τὸν βασιλέα, και ἀνευφήμησαν. Ὁ μὲν βασιλεὺς και οἱ σὺν αὐτῷ ἅπαντες ὑπέστρεψαν, ὁ δὲ Σχολάρις και οἱ σὺν αὐτῷ ἀνέμειναν ἐκεῖ. ὅτε ἦλθε και ὁ πρωτοβεστιάριος ἐκ τῶν Λιμνίων και οἱ περὶ αὐτόν.

Περὶ δὲ τὸν Αὐγουστον μῆνα τοῦ αὐτοῦ ςωξγ' ἔτους ἐκστρατεύσας ὁ δοῦξ

მოსვლანი და მოციქულობანი ვის შეეძლება აღწეროს?¹⁰⁰

18. 25 მარტს, 6863 [ახ. წ. 1355] წელს, მოვიდა დიდი დუქსი სქოლარისი და მისი ძე, პარაკიმომენოსი, ტრაპიზონს ერთი კატარლითა და 11 ნავით; მასთან ერთად მოვიდნენ პროტოვესტიაროსი ბასილი ხუპაკოსი¹⁰¹. ბევრი ლაპარაკი და დავა მოხდა და კვლავ დამყარდა მშვიდობა და წავიდნენ კერასუნტს.

იმავე 6863 [ახ. წ. 1355] წელს, მაისში, მე-8 ინდიქტიონს, იმპერატორმა აღჭურვა ორი კატარლა და საკმარაოდენობით პატარა ნავები. გაილაშქრა დედით, დედოფლით და მიტროპოლიტიუთ სქოლარისის წინააღმდეგ კერასუნტს. მაშინ სქოლარისი კებრინას იყო, ხოლო პარაკიმომენოსი — კერასუნტს. ბრძოლისა და ომის შემდეგ ჩამოვარდა მშვიდობიანობა და კერასუნტი დაემორჩილა იმპერატორს. პარაკიმომენოსი კი წავიდა და მივიდა მამამისთან კებრინას და იქ იყვნენ სქოლარისის ყველა მომხრენი, იმპერატორმა ფლოტი და დედოფალი ტრიპოლისს ვაგზავნა. თვითონ წავიდა. წავიყვანა ცხენოსანი ჯარი, ვანვლო მანძილი ნაწილი წყლით. ნაწილი ხმელეთით და ყველანი კებრინაში ჩაკეტა. მოხდა ბრძოლა და დაემორჩილნენ იმპერატორს და აღფრთოვანებით მიიღეს. იმპერატორი და ყველა მასთან მყოფნი უკან დაბრუნდნენ, ხოლო სქოლარისი და მისი მომხრენი იქ დარჩნენ. მაშინ მოვიდა აგრეთვე პროტოვესტიაროსი თავისი მომხრეებინად ლიმნიონად.

დაახლოებით იმავე, 6863 [ახ. წ. 1355] წლის აგვისტოში ქალდოსი¹⁰²

¹ μηνύματα M, μηνί μετὰ TF. ¹⁻² ἀποκρισιάρια TF. ³ κα' M, κβ' TF. ⁴ σχολάρις TF. ⁵ παρακοιμώμενος F, παρακκοιμώμενος T. ⁶ Βασίλειος L. ⁸⁻⁹ Χουπάκθ T, Χουπάκης F, 26. ¹³ ἀρματώσας TF. ¹⁵ μητρὶ] मामъ T. ¹⁷ σχολάρι TF, σχολάρι M. ¹⁸ σχολάρις TF; ἦν M; Κεχρινᾷ T, Κεχρίνα F. ²⁴ Κεχρινᾷ T, Κεχρίνα F. ²⁵ σχολάριν TF. ³¹ Κεχρινᾷ TF. ³⁰ Αὐγουστον] αὐτόν TF.

Χαλδίας Ἰωάννης ὁ Καβαζίτης ἀπήλθε
καὶ ἐπίασε τὴν Χερίαναν καὶ ἡγμα-
λώτρευσεν αὐτήν· ὅτε ἐλευθερώθη καὶ
ἡ Σορώγαινα, καὶ γέγονεν εἰς τὴν βα-
σιλικὴν ὑποχειριότητα. Τῷ αὐτῷ ἔτει
ἐξῆλθε καὶ ὁ κῦρ Μιχαὴλ ὁ μέγας
Κομνηνὸς ἐκ τῆς πόλεως, καὶ ἦλθε
μέχρι καὶ τοῦ Σουλχατίου, καὶ πάλιν
ὑπέστρεψε.

M298b | 19. Μηνὶ Ὀκτωβρίῳ, ἰνδικτικῶνος
11 θ', ἔτους ρωξδ' ἀπήλθεν ὁ μέγας δο-
μέστικος ὁ Μειζομάτης καὶ ὁ μέγας
L280 στρατοπεδάρχης ὁ Σαμψὼν εἰς τὰς
Τριπόλεις καὶ ἕως τοῦ Κεγχιρῶ, καὶ
15 παρέλαβον τὸν Σχολάριν καὶ τοὺς περὶ
αὐτόν, καὶ ἦλθον, καὶ γέγονεν εἰρη-
ναία κατάστασις.

20 20. Μηνὶ Νοεμβρίῳ κζ', ἡμέρα σ',
ἰνδικτικῶνος θ', τοῦ ρωξδ' ἔτους ἀπήλ-
θουσι μετὰ τοῦ βασιλέως κατὰ τῆς
Χερίανας ἀπὸ διαβολικῆς συνεργίας.
Καὶ πρῶτον μὲν ἐκούρσευσάμεν, ἐπο-
λιορκήσαμεν καὶ ἡγμαλωτίσαμεν. Περὶ
25 δὲ τὴν ἕκτην ὥραν ἐφύγομεν φυγὴν
ἄκοσμον, ὀλίγων Τούρκων διωκόντων
ἡμᾶς. Τότε τοῖνυν ἐσκοτώθησαν Χρισ-
τιανοὶ ὡσεὶ ν' καὶ ἐχαλώθησαν καὶ
ἄλογα πολλά, καὶ ὁ δούξ Χαλδίας
30 Ἰωάννης ὁ Καβαζίτης ἐπάσθη. Καὶ
εἰ μὴ Κύριος ἦν ἐν ἡμῖν, ἀπολώμεν ἂν
καὶ αὐτὸς ἐγώ. Ἀλλά, θεοῦ εὐδοκοῦν-
τος, ἰσχυρῆ μου ὁ ἔπος, καὶ κατόπιν
βαίων τοῦ βασιλέως ἐλευθερώθημεν,
καὶ μετὰ τρεῖς ἡμέρας κατελάβομεν ἐν
35 Τραπεζοῦντι. Τότε τοῖνυν ἐγέννησε καὶ
M299a ὁ βασιλεὺς υἱὸν τὸν κῦρ Ἀνδρόνικον
ἐξ ἄλλης γαστρὸς καὶ οὐκ ἀπὸ τῆς
δεσποίνης.

40 21. Μηνὶ Δεκεμβρίῳ θ', ἰνδικτικῶ-
νος ε', ἔτους ρωξε' ἐκινήσαμεν μετὰ
τοῦ βασιλέως εἰς τὰ Λιμνία, ποιήσαν-
τες τὴν πρόκυψιν τῆς Χριστοῦ γεννή-

ლექსმა. იოანე კავაზიტისმა გაილაშქრა,
მივიდა ხერიანას¹⁰⁸, აიღო იგი და წარ-
ტყვევნა. მაშინ იქნა ვათავისუფლებუ-
ლი სოროგენაც და იმპერატორის ქვე-
შევრდომად გადაიქცა. იმავე წელს
კონსტანტინოპოლიდან წამოვიდა დიდი
კომნენოსი ბატონი მიხეილი, მოვიდა
სულხატოსამდე და უკან გაბრუნდა.

19. ოქტომბერში, მე-9 ინდიქტიონს,
6864 [ახ. წ. 1355] წელს წავიდნენ
დიდი დომესტიკოსი მიზომატისი და
დიდი სტრატოპედარხისი სამსონი ტრი-
პოლისს, მივიდნენ კეხრინამდე, შეი-
პყრეს სქოლარისი და მისი მომხრენი,
წამოვიდნენ და დამყარდა მშვიდობა.

20. 27 ნოემბერს, პარასკევს, მე-2
ინდიქტიონს, 6864 [ახ. წ. 1355] წელს,
იმპერატორთან ერთად ეშმაკის წაქე-
ზებით ვავლაშქრეთ ხერიანას წი-
ნაღმდეგ. პირველად მოვახოხრეთ, და-
ვიპყრეთ და წარვტყვევნეთ, მაგრამ
მეექვსე საათზე უთავბოლოდ გამოვი-
ქციეთ: უკან მცირეოდენი თურქები
მოგვდევდნენ. მაშინ დაიხოცა 50-ამდე
ქრისტიანი, დაიღუპა მრავალი პირუტყ-
ვი და ქალდიის ღუქსი იოანე კავა-
ზიტისი ტყვედ ჩავარდა. ჩვენთან რომ
არ ყოფილიყო უფალი, თვით მეც და-
ვიღუპებოდი. მაგრამ ღვთის შეწევნით
გამიძლო ცხენმა, უკან მივდევდი იმპე-
რატორს, გადავჩიეთ და სამი დღის
შემდეგ მივალწიეთ ტრაპიზონს. მაშინ
დაებადა იმპერატორს ვაეიშვილი ბა-
ტონი ანდრონიკე სხვა დედისაგან და
არა დედოფლისაგან.

21. 19 დეკემბერს, მე-10 ინდიქტი-
ონს, 6865 [ახ. წ. 1356] წელს, წავე-
დით იმპერატორთან ერთად ლიმნის
და ვიდლესასწაულეთ ქრისტეს შობა

⁹ ὑπέστρεψεν TF. ¹⁴ Τριπόλεις L. ²¹ Χερσίανας TF; συνεργείας TF.
²²⁻²³ ἐπολιορκήσαμεν TF. ²⁴ ἕκτην L, c^{7v} (ქარაგ.) M, c' TF. ²⁵ ν' M, υ' TF.
²⁷ οὐκ ἀπο M, γυναῖκα πρὸς T, γὰρ πρὸς F.

σεως εις Κερασούντα, τῶν δὲ Φώτων
εις τὸ Ἰασόνιν· ὅτε ἐσκοτώθησαν καὶ
Τουρκοὶ ἰδ'. Ἀπελθόντες γοῦν εἰς τὰ
Λιμνία καὶ πάλιν στραφέντες, λείψαν-
τες τὰ πάντα τρεῖς μῆνας, πάλιν κατε-
λάβομεν ἐν Τραπεζούντι ὑγιαῖς.

22. Περὶ τὸν Ἀπρίλιον μῆνα εἰς
τὰς ἕξ, τῇ μεγάλῃ ε', τοῦ αὐτοῦ, ἰωάννου
ἔτους ἐγεννήθη τῷ βασιλεῖ Μυγάτηρ, ἡ
κυρὰ Ἄννα, ἐκ τῆς δεσποίνης ἡμῶν
τῆς κυρᾶς Θεοδώρας, ἰνδικτιῶνος ι'.

23. Μηνὶ Μαΐῳ, ἰνδικτιῶνος ι',
ἔτους, ἰωάννου ἀπῆλθεν ὁ βασιλεὺς μετὰ
φωσάτου εἰς τὸν Παρχάριν, καὶ ἐγύ-
ρισε τὸν τοιοῦτον Παρχάριν ὄλον.

24. Μηνὶ Νοεμβρίῳ ια', ἡμέρα ζ',
ἰνδικτιῶνος ια', τοῦ, ἰωάννου ἔτους ἦλθεν
ἡ δεσποινα τῆς Σινώπης, ἡ κυρὰ Εὐ-
δοκία, ἡ Μυγάτηρ κύρ | Ἀλεξίου τοῦ
μεγάλου Κομνηνοῦ. Μηνὶ τῷ αὐτῷ ιγ',
ἡμέρα β', ἰνδικτιῶνος ια', τοῦ αὐτοῦ
| ἰωάννου ἔτους, ἀμελησάντων ἡμῶν τὴν
φύλαξιν, εἰσῆλθεν εἰς τὴν Ματζούκαν
ὁ Χατζιμύρις, ὁ υἱὸς τοῦ Παῖράμη,
μετὰ φωσάτου πολλοῦ, καὶ ἐκούρσευ-
σεν αἰχμαλωσίαν πολλὴν καὶ ζῶα καὶ
πράγματα, ἤγαγον ἀπὸ τὴν Παλαιομα-
τζούκαν καὶ ἕως εἰς τὸ Δικαίσιμον.

25. Τῷ αὐτῷ ἔτει, μηνὶ Ἰανουαρίῳ
κβ' ἦλθεν ἐκ τῆς Κωνσταντινουπόλεως
ἀποκρισιάρης Ἰωάννης ὁ Λεοντόστηθος.

26. Μηνὶ Αὐγούστῳ κβ', ἡμέρα δ',
ἰνδικτιῶνος ια', τοῦ, ἰωάννου ἔτους ἦλθεν
ἡ δεσποινάχατ ἡ κυρὰ Μαρία, ἡ τοῦ
βασιλέως ἀδελφή, εἰς τὴν Τραπεζούν-
τα, ἦτοι ἡ τὸν Ἀμιτιώτην συζευχθεῖ-
σα Χουτλουπέκην.

Μηνὶ Αὐγούστῳ εἰς τὰς κδ', ἡμέ-
ρα δ' ἀπῆλθεν ἡ Μυγάτηρ τοῦ βασιλέως
κύρ Βασιλείου ἡ κυρὰ Θεοδώρα πρὸς

κέρასუნτες, ხოლო ნათლისდება—ა-
სონისს¹⁰⁴. მაშინ დაიხოცა 14 თურ-
ქი. მეგრე ჩავედით ლიმიას და დავ-
ბრუნდით უკან. სულ დავრჩით სამ
თვეს და მშვიდობით მოვალწით ტრა-
პიზონს.

22. 6 აპრილს, დიდ ხუთშაბათს,
მე-10. ინდიქტიონს, იმავე 6865 [ახ. წ.
1357] წელს, დაგებადა იმპერატორს
ასული ქალბატონი ანა, ჩვენნი დე-
დოფლის, ქალბატონ თეოდორასაგან.

23. მაისში, მე-10 ინდიქტიონს,
6865 [ახ. წ. 1357] წელს იმპერატორი
წავიდა ჯარით პარხალს და მთელი ეს
პარხალი შემოიარა.

24. 11 ნოემბერს, შაბათს, მე-11 ინ-
დიქტიონს, 6866 [ახ. წ. 1357] წელს,
მოვიდა სინოპის დედოფალი. ქალბა-
ტონი ევდოკია, დიდი კომნინოსის, ბა-
ტონი ალექსის ასული. იმავე თვის
13-ს, ორშაბათს, მე-11 ინდიქტიონს,
იმავე 6866 [ახ. წ. 1357] წელს, რადგან
არ გექონდა ნაზრუნევი გუშაგებზე,
დიდი ჯარით დაესხა თავს მაცუკას¹⁰⁵
ხაჯიმირი¹⁰⁶, ბაირამის ძე და გარტაცა
ბევრი ტყვე, პირუტყვი და ქონება
დაწყებულნი პალეომაცუკადან ვიდრე
დიკესიმონამდე¹⁰⁷.

25. იმავე წელს, 22 იანვარს კონს-
ტანტინოპოლიდან ელჩად მოვიდა ოთ-
ანე ლეონტოსტეთოსი.

26. 22 აგვისტოს, ოთხშაბათს, მე-11
ინდიქტიონს, 6866 [ახ. წ. 1358] წელს
მოვიდა ტრაპიზონს დედოფალი-ხათუ-
ნი, ქალბატონი მარია, იმპერატორის
და, რომელიც ამიდელ ხუტლუ-ბეგს
ჰყავდა ცოლად.

29 აგვისტოს, ოთხშაბათს, მე-11 ინ-
დიქტიონს, 6866 [ახ. წ. 1358] წელს,
წავიდა იმპერატორ ბატონ ბასილის

¹ φωτῶν TF. ² Ἰασόνιν M, Ἰασώνιν TF. ³ τὰς MTF. ²³ Ματζούκαν TF. ²⁴ χατζιμύρις M, Χατζιμυρις TF; Παῖράμη TF. ²⁶ αἰχμαλωσίαν, πολλὰ TF. ²⁷⁻²⁸ Παλαιοματζούκαν F. ²⁸ δικάσιμον M, Δικαίσιμον TF. ²⁹ Τοῦ αὐτοῦ ἔτους TF. ³¹ λεοντόστηθος MTF. ³⁴ Δεσποινάχατ F, Δεσποინαχάτ T. ³⁷ χουτ-
λουπέκειν M. ³⁸ Τὰς] τὰ MTF.

τὸ συζευχθῆναι τὸν ἀμυρᾶν Χατζύμυ-
ριν τὸν υἱὸν τοῦ Παϊράμη, ἔχουσα
συμφροστόλον τὸν Χούπακα κῦρ Βασι-
λειον τον Σχολάριον ἰνδικτιῶνος α΄,
ἔτους ρωξς’.

27. Μηνὶ Σεπτεβρίῳ ιζ΄, ἡμέρα β΄
μετὰ τὸ ἀπόδειπνον ἐγεννήθη τῷ βασι-
λει υἱός, ὃν | καὶ ἐκάλεσε κατὰ τὸν
πάππον Βασίλειον ἰνδικτιῶνος ιβ΄,
ἔτους ρωξξ’.

28. Μηνὶ Ἀπριλίῳ, ἰνδικτιῶνος γ΄,
ἔτους ρωξη΄ εἰσῆλθεν ὁ βασιλεὺς εἰς
τὴν Χαλδίαν κτίζειν τοῦ κούκου. Ἐλ-
θὼν δὲ ἐκ τοῦ Παῖπερτιοῦ ὁ Χοτζιαλα-
τίφης μετὰ τ’ καβαλλαρίων ἐνεπόδισεν
ὅτε καὶ τὸν Καβαζίτην Ἰωάννην
παρέλυσσε τοῦ κεφαλατικίου.

29. Μηνὶ Μαίῳ ε΄, ἡμέρα δ΄, ἰν-
δικτιῶνος ιδ΄, τοῦ ρωξθ΄ ἔτους, ὥρα ε΄
ἐγένετο ἔκλειψις ἡλίου, οἷα οὐκ ἐγένε-
το ἐν τῇ καθ’ ἡμᾶς γενεᾷ, ὥστε ἐφά-
νησαν καὶ ἀστέρες ἐν τῷ οὐρανῷ καὶ
ἐκράτησεν ὥρας α΄ ἡμίσειαν. Ὁ δὲ
βασιλεὺς κῦρ Ἀλέξιος καὶ ἡ μήτηρ αὐ-
τοῦ, ἡ κυρὰ Εἰρήνη, καὶ τινες τῶν
ἀρχόντων, κἀγὼ σὺν αὐτοῖς, ἐνρέθημεν
κατὰ συγκαιρίαν ἐν τῇ κατὰ τὴν Μα-
τζούκαν μονῇ τῆς Σουμελάς, ποιήσαντες
δεήσεις πολλὰς καὶ παρακλήσεις.

Τῷ αὐτῷ ρωξθ΄ ἔτει, ἦτοι πρὸ ἐξ
μηνῶν, Δεκεμβρίῳ μηνὶ εἰς τὰς σ΄ ἀπ-
ῆλθεν ὁ βασιλεὺς εἰς τὰ Λιμνία, ἔνθα
ποιήσας ὡσεὶ γ’ ἡμίσιον μῆνας πάλιν
ῆλθε.

Τῷ αὐτῷ ρωξθ΄ ἔτει ῆλθεν ἐκ τῆς
Πόλεως ἀποκρισιάρης ὁ Λεοντόστηθος
ὄς | ἀπὸ τοῦ βασιλέως κῦρ Ἰωάννου

ასული, ქალბატონი თეოდორა, ამირა,
ხაჯიმირზე, ბაირამის ძეზე, დასაქორ-
წინებლად. მყარად ჰყავდა ხუპაკა, ბა-
ტონი ბასილი სქოლარისი.

27. 17 სექტემბერს, ორშაბათს,
მე-12 ინდიქტიონს, 6867 [ახ. წ. 1358]
წელს, მწუხრის ლოცვის შემდეგ, იმ-
პერატორს შეეძინა ვაჟიშვილი, რომ-
ელსაც პაპის მიხედვით დაარქვეს
ბასილი.

28. აპრილში, მე-13 ინდიქტიონს,
6868 [ახ. წ. 1360] წელს, წავიდა იმპე-
რატორი ქალღიასს, რათა ცხენ-სიმაგ-
არე¹⁰⁸ აეგო. მაგრამ ბიბლურიდან
მოვიდა ხოჯა-ლატიფი¹⁰⁹ 300 მხედრით
და შეუშალა ხელი. ითანე კავშიტის-
საც მამინ ჩამოართვეს გამგებლობა.

29. 5 მაისს, ოთხშაბათს, მე-3 ინ-
დიქტიონს, 6869 [ახ. წ. 1361] წელს,
5 საათზე მოხდა მზის დაბნელება ისე-
თი, როგორც არ მომხდარა ჩვენს
თაობაში, ასე რომ, ზეცაში ვარსკვლავ-
ები გამოჩნდა და ერთსაათნახევარი
მეფობდა [სიბნელე]. იმპერატორი ბა-
ტონი ალექსი, დედამისი ქალბატონი
ირინე, ზოგი თავადი და მეც მათთან
ერთად აღმოჩნდნენ შემთხვევით მა-
კუკას, სუმელის¹¹⁰ მონასტერში. ბევრი
ვილოცეთ და პარაკლისი გადავიხა-
დეთ.

იმავე 6869 [ახ. წ. 1360] წელს, ემპ-
სი თვის წინ, დეკემბრის 6-სს წავი-
და იმპერატორი ლიპნიას, იქ ღარჩა
დაახლოებით სამნახევარ თვეს და
უკან დაბრუნდა.

იმავე 6869 [ახ. წ. 1361] წელს, კონ-
სტანტინოპოლიდან ელჩად მოვიდა ლე-

¹ ἀμυρᾶν M, Ἀμυρᾶν TF. ¹⁻² χατζύμυριν M, Χατζύμυριν TF. ² Πειρά-
μη T, Παϊράμη F. ³ χούπακα M. ἔρ. σ. 18. ⁴ σχολάριον TFL. ⁷ ἐγενήθη M.
¹³ τοῦ L. ¹⁴ Παῖπερτιοῦ TF. ¹⁵ τ’] τῶν TF; καβαλλαρίων M; ἐνεπόδισεν] καὶ
ἐπόδισεν TF. ¹⁸ δ’] β’ TF. ¹⁹ ὥρα ε΄ (ἰσ. ἰσ.) M, abs TF. ²³ ἐκράτησεν M;
ἡμίσειαν (ἰσ. ἰσ.) M, ρ’ TF. ²⁶ κἀγὼ] καὶ ἐγὼ TF. ²⁷⁻²⁸ Ματζούκαν F.
³¹ Δεκεμβρίῳ] σεπτεμβρίῳ F; τὰς] τὰ TF. ³³ ἡμίσιον (ἰσ. ἰσ.) M, abs TF. ³⁶ λε-
οντόστηθος MTF.

τοῦ Παλαιολόγου, ζητῶν συμπενοθερείαν
μετὰ τοῦ βασιλέως ἡμῶν.

- 5 Τῷ ,σωξθ' ἔτει, ἰνδικτιῶνος ἰδ',
μηγὶ Ἰουλίῳ, ἡμέρα δ', ὥρα τοῦ ἀπο-
δείπνου, ἐκοιμήθη ὁ μέγας δούξ Νική-
10 τας ὁ Σχολάρχης· ὅτε καὶ ὁ βασιλεὺς
μεγάλως ἐλυπήθη, ἐπιστάς ἐν τῇ προ-
πομπῇ τῆς ἐξόδου αὐτοῦ, φορέσας καὶ
10 τοὺς ἀναξί.

- Μηγὶ Ἰουλίῳ κγ η, ἡμέρα σ', ἰνδικ-
τιῶνος ἰδ', τοῦ ,σωξθ' ἔτους ὁ ἀπὸ τοῦ
Παιπερτίου κεφαλῇ Χοτζιαλατίφης,
15 λαβὼν ἐπιλέκτους στρατιώτας ὥσει ὕ'
καὶ πρὸς εἰσῆλθεν κατὰ τὴν Ματζού-
καν πρὸς τε τὴν Λαραχανίην καὶ Χασ-
θένιχαν. Οἱ δὲ γε Ματζουκαῖται, προ-
καταλαβόντες τὰς διεξόδους, ἔκτειναν
20 ὥσει σ' Τούρκους καὶ πλείους, ἀρπά-
σαντες καὶ ἄλογα καὶ ἄρματα πολλὰ·
L283 καὶ αὐτὸν τὸν Χοτζιαλατίφην | κερ-
τομοῦσι, καὶ τῇ ἐπαύριον θριαμβέουσιν·
τὰς κεφαλὰς αὐτῶν ἀνά τὴν Τραπε-
ζοῦντα ἔλθην.

- 25 30. Μηγὶ Δεκεβρίῳ ιγ η ἀπὸ τῆς
εἰς τὴν Χαλυβίαν μετὰ τοῦ βασιλέως
M301a εἰς τὸ ὁσπιτόκαστρον τοῦ Χατζυμύρι,
υἱοῦ τοῦ Παῖραμη, ἦγγουν μετὰ τὴν ἐν
Κερασσοῦντι εἰσέλευσιν αὐτοῦ καὶ ἔσμι-
30 ξιν μεθ' ἡμῶν. Ἀπὸ δὲ Χαλυβίας ἤλ-
θομεν διὰ ξηρᾶς εἰς τὴν Κερασσοῦντα,
ἀκολουθοῦντων ἡμῖν τοῦ ἀμηνρᾶ Χατ-
ζυμύρι καὶ [τῶν] Τούρκων μικροῦ δεῖν
δουλικῶς ἰνδικτιῶνος ιε', ,σωσ' ἔτους.

- 35 Μηγὶ Ὀκτωβρίῳ ἰνδικτιῶνος ιε' τοῦ
,σωσ' ἔτους ὁ ἀπὸ τοῦ Ἐρζιγκᾶ

ონტოსტეთოსი იმპერატორ იოანე პა-
ლეოლოგოსისაგან, რომელსაც დამოყ-
ვრება უნდოდა ჩვენს იმპერატორთან.

6869 [ახ. წ. 1361] წელს, მე-14 ინ-
დიქტიონს, ივლისში, ოთხშაბათს,
მწუხრის ღოცვიდან ერთი საათის
შემდეგ, გარდაიცვალა დიდი ღუქსი
ნიკიტა სქოლარისი. მაშინ იმპერატო-
რი დიდად მწუხარე იყო, დაესწრო
მის გასვენებას და ეცვა მგლოვიარობის
ნიშნად თეთრი, როგორც მეფენ შეჰ-
ფეროდა.

23 ივლისს, პარასკევს, მე-14 ინდიქ-
ტიონს, 6869 [ახ. წ. 1361] წელს, ბი-
ბურთის გამგებელმა ხოჯა-ლატიფმა
წამოიყვანა რჩეული მეომრები დაახ-
ლოებით 400 და გამოილაშქრა მაცუ-
კას, ლარახანეს და ხსდენიხას წინააღ-
მდეგ. მაგრამ მაცუკელები წინააწინ
დაეპატრონენ გასასვლელს, დახოცეს
200-მდე თურქი და უფრო მეტიც, და-
ვლად ჩაიგდეს ბევრი ცხენი და იარა-
ღი. თვით ხოჯა-ლატიფსაც თავი მოჰ-
რეს და მეორე დღეს მათი თავები ზე-
იმით მოატარეს მიველ ტრაპიზონში.

30. 13 დეკემბერს, წავედით ხალი-
ბიას იმპერატორთან ერთად ხაჯიმი-
რის, ბაირამის ძის, ციხე-დარბაზში,
კერასუნტს იქით იგი გამოვიდა ჩვენს
შესახვედრად და შემოგვიერთდა. ხა-
ლიბიიდან ხმელეთით წამოვედით კე-
რასუნტს. თან გვახლდა ამირა ხაჯიმი-
რი და თურქები ნაწილობრივ ჩვენი
ქვეშევრდომები გახდნენ მე-15 ინდიქ-
ტიონს, 6870 [ახ. წ. 1361] წელს.

ოქტომბერში, მე-15 ინდიქტიონს,
6870 [ახ. წ. 1361] წელს ერზინცილანს

1 შემპენთერიან M. 3 ἰδ' | ა' TF. 9 მღსჳჳ MTF. 11 κγ⁷⁵ (ქარაჯ.) M, κγ' TF. 12 ἀπὸ τοῦ] τοῦ ἀπὸ τοῦ T. 13 Παιπερτίου TF. 15 πρὸς M, πρὸς, L, πρῶς TF. 16 τε] τε καὶ TF. 16-17 Χασθενίχαν TF. 17 Ματζουκαῖται: M, Ματζουκαῖ-
ται: T, Ματζουκάται: F. 19 σ'] σ' T, ε F. 20 ἄρματα MTF. 21 χοτζιαλατίφην
M. 23-24 τραπεζοῦντα M. 25 δεκεβρίῳ (ქარაჯ.) M, Δεκεμβρίῳ T, Σεπτεμβρίῳ F;
ιγ⁷⁵ (ქარაჯ.) M, ιγ' TF. 27, 32-33 Χατζυμύρι: MTF. 31 διαξηρᾶς M; κερασσοῦντα
M. 32 ἀμηνρᾶ M, Ἀμηνρᾶ TF. 33 [τῶν] L, abs MTF. 34 ,σωσ'] ,σωξθ' T. 36 ἐρ-
ζιγκᾶ M, Ἐρζιγკα TF.

Ἀρχιαιὼν κατελιθὼν περιεκάθισε κάστρον τὴν Γόλαχαν ὥσει ἡμέρας 15, στήσας καὶ μάγγανον καὶ πολέμους κροτήσας σφοδρούς. Ἀλλὰ σὺν θεῷ μηδὲν τι δυνήθει· πρᾶξι ἀπήλθε μετ' αἰσχύνης κενός· ὅτε καὶ ὁ βασιλεὺς ἀνέκτισεν τὸν ἐν τῇ Κορδύλη ναὸν τοῦ Ἁγίου Φωκά, καὶ μονήν τοῦτον ἐποίησεν.

31. Τῷ αὐτῷ ἰωσὸῦ ἔτει ἐκίνησεν ὁ αἰφνίδιος θάνατος τοῦ βουβώνος, καὶ ἐκράτησεν τὸν αὐτὸν ἐνιαυτὸν ἅλῳν. Πρὸς δὲ τὸ καλοκαίριν καὶ φέρος γέγονε σφοδρότατος καὶ ἐλυμῖγματο καὶ ἀποίκισε πολλούς.

Μετὰ δὲ τὸν Μάρτιον μῆνα τοῦ αὐτοῦ ἰωσὸῦ ἔτους ἀπήλθεν ὁ βασιλεὺς καὶ ἡ δέσποινα | καὶ ἡ μήτηρ αὐτοῦ εἰς Μεσοχάλδεια, ἅμα μὲν διὰ τὸν αἰφνίδιον θάνατον, ἅμα δὲ καὶ διὰ τὴν ἀπόδρασιν τοῦ Κομνηνοῦ Ἰωάννου ἐκ τῆς Ἀδριανουπόλεως καὶ ἔλυσιν τούτου ἐκ τῇ Σινώπῃ, ἔνθα καὶ ἐκοιμήθη. Ὅτε καὶ οἱ βασιλεῖς, ἐλθόντες ἐκ Χαλδίας, οὐκ εἰσῆλθον ἐν Τραπεζοῦντι εἰς τὸ κάστρον διὰ τὸν σφοδρότατον διωγμὸν τοῦ θανάτου· ὑπήρχε γὰρ μὴν Ἰουνίου· ἀλλ' ἐσκή|νωσαν εἰς τὸν Ἁγίον Ἰωάννην τὸν Ἀγιαστήν εἰς τὸν Μίνθρον βουνόν· ὅτε καὶ πρέσβυς ἦλθεν ἐκ τοῦ Τζαλαπῆ Τατζατίνῃ διὰ τὴν συμπενοθερίαν. Τότε μικροῦ δεῖν ἐπανέστησάν τινες τῷ βασιλεῖ. Ἀποδράς ἐκ τῆς εἰρκτῆς καὶ ὁ υἱὸς τοῦ Κομνηνοῦ κῆρ Ἰωάννου, καὶ ἀπήλθεν εἰς τὸν Καρᾶν, εἶτα εἰς τὸν Γαλατᾶν.

32-33. Μηνί Ἀπριλίῳ, ἰνδικτιῶνος α' τοῦ ἰωσὸῦ ἔτους ἀπήλθαμεν μετὰ τοῦ βασιλικοῦ κατέργου εἰς τὴν μεγάλην Πόλιν, ὃ τε μέγας λογοθέτης κῆρ

მოვიდა ახიონიანი¹¹¹, თითქმის 16 დღე ალყა შემოარტყა ვოლახას¹¹² ციხეს, დაუდგა მანქანები და სასტიკად იბრძოლა. მაგრამ ღვთიით ვერაფერი მოახერხა და წავიდა სირცხვილეული და ხელცარიელი. მაშინ აღადგინა იმპერატორმა წმიდა ფოკას ტაძარი კორდილეში¹¹³ და ეს მონასტრად აქცია.

31. იმავე 6870 [ახ. წ. 1362] წელს გაჩნდა უცბად მომაკვდინებელი საზარდულის სენი და მთელ იმ წელიწადს მძვინვარებდა. კარგ ამინდსა და ზაფხულში კი უფრო გაძლიერდა და დააზიანა და გადასახლა ბევრი.

იმავე, 6870 [ახ. წ. 1362] წლის მარტში ჩავიდნენ იმპერატორი, დედოფალი და დედამისი მესოქალდიას¹¹⁴, თან უცბად მომაკვდინებელი სენის გამო და თანაც იმიტომ, რომ ითანე კომნინოსი¹¹⁵ ანდრიანოპოლიდან გამოიქცა, სინოპს ჩამოვიდა და იქ გარდაიცვალა. როცა იენისში სამეფო სახლი დაბრუნდა ქალდიიდან, ტრაპიზონის ციხე-დარბაზში არ შესულა სიკვდილის უსასტიკესი შიშის, არამედ კარვებში დადგნენ წმიდა ითანე ნათლისმცემელთან მიწროსის¹¹⁶ სერუხე. მაშინ იქვე მოვიდა ჩელები¹¹⁷ ტაჯენდინის ელჩი დამოყვრების საქმეზე. მაშინ ცოტადა უნდოდა ზოგიერთს რომ ასჯანყებოდნენ იმპერატორს. ვაიქცა სატუსაღოდან კომნინოსის, ბატონი ითანეს ძეც; მოვიდა კათას, იქიდან კი ვოლახას¹¹⁸.

32—33. აპრილში, 1-ლ ინდიქტიონს, 6871 [ახ. წ. 1363] წელს მეფის კატარლით წავედით დიდებულ ქალაქს¹¹⁹ დიდი ლოგოთეტი¹²⁰ ბატონი

¹ Ἀρχιαιὼν| ἀρχαίωνα M, Ἀρχιαιωναπᾶν T, Ἀρχιαιωναπᾶν F, Ἀρχιαιων-
 κης L. ² μάγγανον TFL. ³⁰ πρέσβυς M. ³¹ τζαλαπῆ ML. შტრ. ო. 49; Τατζατίνῃ|
 შტრ. ო. 49; Τατζατίνῃ. ³² συμπενοθερίαν M. ³⁵ Ἰωάννου MF, Ἰωάννης TL;
 καὶ| (καὶ) L. ³⁶ Καρᾶν MTF; γαλατᾶν M, Γαλάταν TF. ³⁷ 32-33.] 32. TF.

- Γεώργιος ὁ Σχολάρις καὶ ὁ πρωτοσεβαστὸς καὶ πρωτονοτάρις Μιχαὴλ ὁ Πανάρετος ὁ ταῦτα γράφων, καὶ προσεκυνήσαμεν προσκυνήσεις φοβερὰς. Εἶδαμεν
- M302a | καὶ τὸν βασιλέα κύρ Ἰωάννην τὸν
- 6 Παλαιολόγον καὶ τὸν βασιλέα κύρ Ἰωάσαφ μοναχὸν τὸν Καντακουζηνόν, τὸν πατριάρχην κύρ Κάλλιστον καὶ τὰς δεσποίνας καὶ τοὺς υἱοὺς τοῦ βασιλέως
- 10 καὶ αὐτὸν δὴ τὸν καπετάνον καὶ ποτεστάτην τῶν ἐν τῇ Γαλατῆ Γενουιτῶν Λεονάρδω τῷ Μουντάτω. "Ὅτε ἐποιήσαμεν τὴν συμφωνίαν τῆς συμπενήρειας, ἵνα λάβῃ ὁ τοῦ βασιλέως τοῦ Παλαιολόγου (ὁ) υἱὸς τὴν θυγατέρα τοῦ βασιλέως τῆς Τραπεζούντος κύρ Ἄλεξίου
- 15 τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ. Καὶ ἤλθαμεν μὴν Ἰουνίῳ ε', τῇ αὐτῷ ἡμέρᾳ ἔτει, μὴν Αὐγούστῳ ιε' νὰ ἐμμεχθῶμεν τὸν αὐτοῦ γαμπρόν, τὸν Χουτλουπέκην, τὸν
- 20 υἱὸν τοῦ Τουραλῆ. Ἀλλὰ μὴ ἐμμεχθῆντες διὰ τὸν ἐπειπεσόντα τοῖς Τούρκοις αἰφνίδιον θάνατον, μεθ' ἡμέρας κζ' πάλιν ἐστράφημεν ἐν Τραπεζούντι.
- 25 34. Μὴν Ὀκτωβρίῳ κζ', ἡμέρᾳ ε', ἰνδικτικῶνος β', ἔτους ρωσβ', καθεζόμενον τοῦ βασιλέως ἐν τῇ ποταμῷ τοῦ Ἁγίου Γρηγορίου κατὰ τὸν καταβατόν, αἰφνης περιέπεσον αὐτῷ οἱ ἐκ τῶν ἀρχόντων Καβαζίται, ὁ μέγας λογοθέτης
- 30 κύρ Γεώργιος ὁ Σχολάρις καὶ ἕτεροι, καὶ ἐδίωξαν αὐτὸν ἀπ' ἐκεῖ μέχρις αὐ-
- გიორგი სქოლარისი და პროტონევისტოსი და პროტონატაროსი¹¹ მიქელ პანარეტოსი, სწორედ ის, ვინც ამას წერს, და ვეცით მოწინებული თაყვანი. ვნახეთ აგრეთვე იმპერატორი ბატონი იოანე პალეოლოგოსი, იმპერატორი ბატონი იოანაფ მონაზონი კანტაკუზინოსი¹², პატრიარქი ბატონი კალისტოსი, დედოფლები, მეფის ძენი და აგრეთვე თვით კაპიტანი და მოურავი გენუელებისა ვალატაში¹³ — ლეონარდო დე-მუნტატო. მაშინ შევთანხმდით მოყვრობაზე, რომ იმპერატორ პალეოლოგოსის ძეს წამოეყვანა ცოლად ტრაპიზონის იმპერატორის, დიდი კომნენოსის ბატონი ალექსის ასული. წამოვედით 5 ივნისს, იმავე. 6871 [ახ. წ. 1363] წელს, რათა 15 აგვისტოს შევხვედროდით მის [ე. ი. ტრაპიზონის იმპერატორის] სიძეს ხუტლუ-ბეგს, თურ-ალის ძეს. მაგრამ ვერ შევხვდით მაშინ თურქებში გაჩენილი შავი ჭირის გამო. 27 დღის შემდეგ კვლავ დავბრუნდით ტრაპიზონს.
34. 27 ოქტომბერს, პარასკევს, მე-2 ინდიქტიონს, 6872 [ახ. წ. 1363] წელს, როცა იმპერატორი წმიდა გრიგოლის წყალთან ჩადიოდა დაღმართზე¹⁴, უეცრად დაესხნენ მას თავს თავად კავაზიტისებმა გვარისანი, დიდი ლოგოთეტი ბატონი გიორგი სქოლარისი და სხვანი და სდიეს მას იქიდან თვით ცი-

¹ σχολάρις TF; πρωτοσεβαστὸς|α¹σεβαστὸς M, Σεβαστὸς TF. ² α¹νοτάρις M, ὁ νοτάρις TF. ⁷ Ἰωάσαφ μοναχὸν| ἰωάσαφ ἡ M, Ἰωάσαφα TF. ¹⁰ καπετάνον MTF. ¹² Λεονάρδω MTF; τε MT, ვთ F. ¹³ μουντάτω M, Μυντάτω T, Μυρτάτω F. ¹⁸ ε' | β T. აქ წყდება 32-ე თავი ტაფელისა და ფალმერაიერის გამოცემებში და შემდეგ ახალი აზნაიით იწყება 33-ე თავი, მაგრამ ლამბროსის აზრით, 33-ე თავის დასაწყისი ზემო წინდადების გაგრძელებას წარმოადგენს (იხ. ლამბროსის გამოცემა, გვ. 284); ტაფელი და ფალმერაიერი შეუცდენია იმას, რომ ხელნაწერში ეს ასოები სინგურით ყოფილა ნაწერი. ¹⁹ ...ε'| ამ ადგილას, ფალმერაიერის აზრით (იხ. მისი გამოცემის შენიშვნა, გვ. 31), უნდა აკლდეს სიტყვა ἀπ'ἡλθίμεν, ლამბროსი კი ფიქრობს, რომ არ უნდა აკლდეს: ვინაიდან უკვე აღრევა ἤλθίμεν, დამატებას აღარ საჭიროებს ტექსტომ. ²⁰ γαμπρόν M. ²⁸ Καταβατόν L. ³⁰ καβαζίται, καβαζίται M, Καβασιται TF. ³¹ Γεώργιος| Γρηγόριος TF; σχολάρις TF. ³² ἐδίωξαν M, ἀπεδίωξαν TF.

5 του του κουλα. Καὶ οἱ μὲν Καβαζίται
 διὰ ξηρᾶς φυγόντες συνελήφθησαν καὶ
 ἐκρατήθησαν ὁ δὲ μέγας λογοθέτης σὺν
 τοῖς περὶ αὐτὸν ἀπήλθεν εἰς τὴν Κερα-
 10 σσύντα, εἶτα εἰς τὴν Ἀμινσοῦν. ὅτε
 καὶ ὁ μητροπολίτης Τραπεζούντος Νί-
 φων ὁ Πτερυγιανίτης, κοινῶνός ὢν τῆς
 βουλῆς, περιορίσθη ἐν τῇ μονῇ τῆς
 15 Σουμελας ἐν Τραπεζοῦντι. Τῇ δὲ κθ'
 του Δεκεβρίου μηνός, ἡμέρα σ' πάλιν
 ἦλθεν ὁ μέγας λογοθέτης, μεσάζοντας
 εἰς τοῦτο τοῦ Ντζικανῶτου Σπίνουλα
 καὶ Στεφάνου τοῦ Δακνοπίνη.

15 35. Τῷ αὐτῷ ἔτει, ἦτοι, ἴσωβ', ἐν-
 δικτιῶνος β', μηνὶ Μαρτίῳ ιθ' ἐν ἡμέ-
 ρῃ τῇ μεγάλῃ Τρίτῃ ἐκοιμήθη ὁ μη-
 20 τροπολίτης Τραπεζούντος κὺρ Νίφων,
 νόσῳ προσκαλαίσας πλευριτίδι, ἔτι ὢν
 M303a ἐν τῇ Σουμελαῖ· καὶ ἐνεταφιάσθη ἀρ-
 20 χιερατικῶς εἰς τὴν Χρυσοκέφαλον, εἰς
 τὸν τάφον τοῦ μητροπολίτου κὺρ Βαρ-
 νάβα. Καὶ ἐτήφισθη ὁ σκευοφύλαξ
 Ἰωσήφ ὁ Λαζαρόπουλος, καὶ ἀπήλθεν
 εἰς τὴν Πόλιν.

25 36. Μηνὶ Δεκεβρίῳ ισ', ἡμέρα β'
 περὶ τὸν θρόνον, ἰνδικτιῶνος γ' τοῦ
 ἴσωγ' ἔτους ἐγενήθη τῷ βασιλεῖ υἱὸς
 δὲ ἐκλήθη Μανουήλ.

I286 | 37. Μηνὶ Ἀπριλίῳ ιγ', τῷ αὐτῷ
 30 ἴσωγ' ἔτει, τῇ μεγάλῃ Κυριακῇ τοῦ
 Πάσχα, ἰσταμένου τοῦ βασιλέως εἰς τὸ
 μαῖτάνιν, ἐγένετο ὄχλησις μέσον τοῦ
 κωνσοῦλου καὶ τοῦ παῖλου, ὅτε ἦλθε
 καὶ ὁ μητροπολίτης κὺρ Ἰωσήφ, χει-
 35 ροτονημένος εἰς τὸν θρόνον Τραπεζου-
 ντίων καὶ τῇ Τρίτῃ τῆς διακαινησίμου
 γέγονεν ἡ εἰσέλευσις αὐτοῦ.

38. Μηνὶ Ἰουλίῳ ιθ', ἰνδικτιῶνος
 γ', τοῦ ἴσωγ' ἔτους κατέβη ὁ τοῦ βα-

ხე-დარბაზამდე. კავაზიტისები ხმელე-
 თით რომ ილტვოდნენ, მაშინ დაეწიენ
 მათ და შეიპყრეს, ხოლო დიდი ლოგო-
 თეტი თავისიანებით კერასულტს მკ-
 ვიდა, მერე კი ამინსუს¹²⁵. მაშინ
 ტრაპიზონის მიტროპოლიტი ნიფონ
 პტერიგიონიტისიც, შექმულეების მო-
 ნაწილე, სუმელის მონასტერში ჩასვეს
 ტრაპიზონში. ხოლო 29 დეკემბერს, პა-
 რასკევს, დიდი ლოგოთეტი, ჯიანო-
 ტო სპინოლას და სტეფანე დაკნოპი-
 ნის¹²⁶ შუამავლობით, უკან დაბრუნ-
 და.

35. აგრეთვე იმავე 6872 [ახ. წ. 1364]
 წელს, მე-2 იანვარს, 19 მარტს,
 დიდ სამშაბათ დღეს, ჯერ კიდევ სუ-
 მელას მყოფი, გარდაიცვალა პლევრი-
 ტით დასნეულებული ტრაპიზონის
 მიტროპოლიტი ნიფონი. დაკრძალეს
 მღვდელმთავრობის შესაბამისად ქრი-
 სოკეფალოსში, მიტროპოლიტ ბარნა-
 ბას¹²⁷ საფლავში. დაადგინეს [მიტ-
 როპოლიტად] სკევოფილაქსი¹²⁸ ოსებ
 ლაზაროპულოსი¹²⁹ და წავიდა იგი კონ-
 სტანტინოპოლს.

36. 16 დეკემბერს, ორშაბათს, ცისკ-
 რისას, მე-3 იანვარს, 6873 [ახ. წ.
 1364] წელს, იმპერატორს შეეძინა ვა-
 ეჩიშვილი, რომელსაც მანუილი დაარ-
 ქვეს.

37. 13 აპრილს, იმავე 6873 [ახ. წ.
 1365] წელს, აღდგომის დიდ კვირას,
 როცა იმპერატორი მოედანზე¹³⁰ იყო,
 მოხდა შეხლა-შემოხლა კონსულსა და
 ბაილს¹³¹ შორის. მაშინ ჩამოვიდა ტრა-
 პიზონის [სიმიტროპოლიტო] ტახტზე
 ხელთდასხმული მიტროპოლიტი ბატო-
 ნი ოსებცი და ნააღდგომეც, სამშა-
 ბათს მოხდა მისი კურთხევა.

38. 14 ივლისს, მე-3 იანვარს,
 6873 [ახ. წ. 1365] წელს, ჩამოვიდა ამ

¹ კოულა TF; Καβασιται TF. ⁵ τὴν Ἀ. MTF. ⁶ Τραπεζούντος] abs TF; νόφων M. ⁷ πτερυγιανίτ M, Πτερυγιανίτα TF. ¹² Σπίνουλ TF. ¹³ δακ-
 νοπι M, Δακνοπι T, δακν... F. ¹⁵⁻¹⁶ ἐνημέρα M, ἐνήμερα L. ²⁴ πάλιν MTF.
²⁵ ἡμέρα (ἰσάραδ.) M, ἴσ T, ἴ F; β'] ε' F. ²⁷ ἐγενήθη M. ³² μαῖτάνιν M, Μαι-
 τάνιν TF. ³³ Κωνσοῦλου TF; Παίλου TF. ³⁶ διακαινήσιμου M.

M303b σιλῆως γαμβρὸς Χου|τλουπέκ ὁ ἀμη-
 ρᾶς μετὰ τῆς αὐτοῦ ἑμοῦζ'γου κυρᾶς
 Μαρίας δεσποινάχατ τῆς μεγάλης Κομ-
 νηγῆς ἐν ταύτῃ τῇ εὐδαίμονι πόλει
 5 Τραπεζοῦντι, καὶ ἠνώθη τῷ βασιλεῖ,
 καὶ εἰσῆλθεν εἰς τὸ παλάτιον. Καὶ
 σκηνώσας κατὰ τὸν Ἅγιον Ἰωάννην
 τὸν Ἀγιαστὴν ὥσε: ἡμέρας ἧ', πάλιν
 μετ' εἰρήνης ἀπῆλθε, τιμηθεὶς μεγάλως.

10 39. Εἰς δὲ τὸ ἐπιὸν ἔτος ἀνήλθεν
 ὁ βασιλεὺς εἰς τὸν Παρχάριν. Καὶ ἡμεῖς
 ἄπαντες, σὺν αὐτῷ ἀναβάντες ἐκ
 Σπέλειας εἰς τὴν Φιανόην καὶ παροδεύ-
 σαντες τὸ Γαντοπέδιον καὶ Μάρμαρα
 15 καὶ διαβάντες τὸν Ἅγιον Μερκούριον,
 ἀνήλθομεν εἰς τὸν Ἀχάντακα πεζοὶ
 καὶ καβαλλάριοι ὑπὲρ τοὺς διεξιλίους.

M304a Καὶ ποιήσαντες μετὰ τοῦ ἀμηρᾶ|ἡμέ-
 ρας δ', πάλιν ὑπεστρέψαμεν μὴν Ἰου-
 20 νίου ἰνδικτιῶνος ε' τοῦ ,σωςε' ἔτους, κα-
 ταβάντες ἐν τῇ Λαζικῇ μετὰ θυνάμωσ
 διὰ τε ξηρᾶς καὶ διὰ θαλάσσης ἄμα
 βασιλεῖ καὶ τῇ τούτου μητρὶ τῇ δεσ-
 ποινῇ, κατέχοντες ἄμα καὶ τὴν τοῦ βα-
 25 σιλῆως θυγατέραν κυρὰν Ἄννην τὴν
 μεγάλην Κομνηγῆν, ἥτις συναξεύθη
 τῷ βασιλεῖ τῶν Ἰβήρων καὶ Ἀβαζγῶν
 κδρ Παγκρατίῳ τῷ Παγκρατιανῷ ἐν τῇ
 1.287 χῶρᾳ Μακροῦ | αἰγιαλοῦ. Ἐλθόντες δέ,
 30 παρευθὺς ἀνήλθεν ὁ βασιλεὺς εἰς τὸν
 Παρχάριν τῆς Λαραχανῆς εἰς τὸ Λιμα-
 νιον, καὶ ἀπῆλθεν ἕως Χαλδίας.

40. Μηνὶ Νοεμβρίῳ ἰβ', ἰνδικτιῶνος
 σ', ἔτους ,σωςε' ἐξῆλθεν ὁ μητροπολί-

სვებდენიერ ქალაქ ტრაპიზონს იმპე-
 რატორის სიძე ამირა ხუტლუ-ბეგი თა-
 ვის მეუღლე დიდ კომნინოს ქალბა-
 ტონ დედოფალ-ხათუნ მარიათურთ
 და ესტუმრა იმპერატორს და შევიდა
 სასახლეში. ბინად იღვა კარვებში
 წმიდა იოანე ნათლისმცემელთან
 დაახლოებით 8 დღეს და მერე, დიდად
 პატივცემული, მშვიდობით წაბრძანდა
 უკან.

39. შემდეგ წელს იმპერატორი ავი-
 და პარხალს და ჩვენ ყველანი მას-
 თან ერთად ავედიდ სპელიადან ფიან-
 ნოეს, ავუარეთ განტოპედინსა და მარ-
 მარას, განვლეთ წმიდა მერკურიოსი და
 მივედიდ ახანტაკას¹³² ქვეითნი და ცხენ-
 ნოსანი ორიათასზე მეტი. დაყვავით რა
 ამირასთან 4 დღე, უკან გამოვბრუნ-
 დით ივნისში, მე-5 ინდიქტიონს, 6875
 [ახ. წ. 1367] წელს და ჩავედიდ ლა-
 ზიკაში, ადგილს, სახელად მაცროსიკვი-
 ალოს¹³³ ჯარითურთ, ხმელეთითა და
 ზღვით, იმპერატორთან და დედამის
 დედოფალთან ერთად. თან გყვავდა აგ-
 რეთვე იმპერატორის ასული ქალბა-
 ტონი ანა¹³⁴, დიდი კომნინოსი, რომე-
 ლიც უნდა მისთხოვებოდა ცოლად
 იბერთა და აფხაზთა მეფეს ბატონ
 ბაგრატ ბაგრატიონს¹³⁵. ხოლო როცა
 წამოვედიდთ, იმპერატორი ლარახანე-
 დან¹³⁶ ლიმანიით¹³⁷ პირდაპირ ავიდა
 პარხალს, და მიადწია ქალდიამდე.

40. 12 ნოემბერს, მე-6 ინდიქტიონს
 6876 [ახ. წ. 1367] წელს, მიტროპო-

¹ χουτλου^α M, Χουτλουπέκης L; ἀμηρᾶς M, Ἀμηρᾶς, TF. ³ Δεσποινά-
 χᾶτ, TF. ⁴ πόλις M. ⁵ τραπεζοῦντ M, Τραπεζοῦντα L. ⁷ ἄγιον TF. ⁸ ἀγιαστὴν
 TF. ¹³ σπέλειας M, Σπέλειας TF; φιανόην M. ¹⁴ Μάρμαρα] შდრ. Μαριμάρου, თ.
 43. ¹⁹ ὑπεστρέψαμεν] აქ ტაველი და ფალშეგრაიერი წერტილს სვამენ და ხელნაწერშიაც
 გამოყოფილია, მაგრამ ლამბროსის აზრით, μὴν Ἰουνίου და სხვ. წინა სიტყვასთანაა დაკავ-
 შირებული. ²⁷ ἀβαζγῶν M, Ἀβασγῶν TFL. ²⁸ Παγκρατιανῷ] Παγκρατιᾶ T.
²⁹ μακροῦ MTF, Αἰγιαλοῦ TF, შდრ. თ. 48: Μακραγυαλοῦς, Μακραγυαλοῦν.
³¹⁻³² λιμνῶν M, Λιμνιχῶν T, λιμν F, თან ფალშეგრაიერი დაურთავს: ხელნაწერში ქა-
 რავანა და სემვთა რა უნდა ყოფილიყო — Λιμνιχῶν, Λιμνιχῶν. Λιμνιχῶν თუ Λιμνασιαῶν;
 ალ. ხახანაშვილის გამოცემაში წერია Λιμνιχῶν; იხ. აგრეთვე ჩვენს თარგმანს დართული შე-
 ნიშვნა.

M304b της | κῆρ Ἰωσήφ ἐκ τοῦ θρόνου τῆς
 Τραπεζούντου, καὶ εἰσῆλθεν ἐν τῇ μονῇ
 τῆς Ἐλεούσης. Καὶ περὶ τὰς 18⁶ τοῦ
 5 Ἰουλίου μῆνος τοῦ αὐτοῦ ἰωσὸς ἔτους
 ἀπῆλθεν εἰς τὴν Κωνσταντινούπολιν
 διὰ τὸ κούρσον ἃ ἐποίησαν τὰ ἀζάπικα
 παρασκάλια τοῦς Ἀραβιώτας. Ὅτε
 καὶ ὁ πεφλημένος μου υἱὸς Κωνσταν-
 τίνος, φεῦ, φεῦ μοι τῶ ἀθλίῳ καὶ
 10 ἀμαρτωλῶ, ἐν τῇ θαλάσῃ πεσὼν τῇ
 ἑορτῇ τῆς Μεταμορφώσεως κατὰ τὴν
 μονὴν τῆς Ἁγίας Σοφίας, τέθνηκεν,
 ἑτῶν ὧν 18⁶ μὲθ' ἔν καὶ ὁ ἑτερός μου
 15 ποθεινότατος υἱὸς Ῥωμανός, ἑτῶν ὧν
 18⁶, θυσουρική προσπαλαίσης νοσήματι,
 κεκοίμηται. Λείποντός μου μῆνας γ'
 ἡμισυν ἠπέστρεφα.

M305a 41. Τῶ αὐτῶ ἰωσὸς ἔτει | μῆνι
 Μαρτίῳ εἰσελθὼν ὁ Γλιτζιασθλάνης
 20 ἐπολιόρκει τὴν καθ' ἡμᾶς Χαλδίαν ἔτε
 καὶ ἐκστρατεύσας ὁ βασιλεὺς ἀνέβη
 ἐκεῖ.

Μηνὶ Ἰανουαρίῳ, ἰνδικτικῶνος ζ',
 ἔτους ἰωσὸς⁶ κατὰ τὴν ἡμέραν τῶν
 25 Φώτων ἐπιτάθη ἡ Γόλαχα παρὰ τῶν
 Τούρκων κλοπικῶς δι' ἡν αἰτίαν ἠφα-
 νίσθη ἡ Χαλδία, οἱ μὲν ἐν τοῖς πολέ-
 μοις, οἱ δὲ ἐν τῶ ἐκεῖσε δολίῳ σπηλαίῳ.

42. Τῶ αὐτῶ ἰωσὸς⁶ ἔτει περὶ τὴν
 30 ἔκβασιν τοῦ Ἰανουαρίου ἀπῆλθεν ὁ βα-
 σιλεὺς εἰς τὰ Λιμνία μετὰ στόλου κα-
 λοῦ, καὶ λείψας τετραμηνιαῖον ἠπέσ-
 τρεψεν.

43. Μηνὶ Μαρτίῳ, ἰνδικτικῶνος η',
 35 ἔτους ἰωσὸς⁶ ἐξῆλθεν ὁ βασιλεὺς μετὰ
 τινῶν ὀλιγίστων στρατιωτῶν εἰς τὸν
 Παρχάριν περὶ τὰ μέρη τοῦ Μαρμαρίου.
 Καὶ κατὰ τὴν κα' τοῦ αὐτοῦ μῆνος,
 39 ἡμέρας σ' ἐξαίφνης συνήντησαν Τούρ-
 M305b | κους, ὧς καβαλλάριους πεντακοσίους
 L288 καὶ | πεζοὺς τριακοσίους. Ἦσαν δὲ

ლიტი ბატონი იოსები ვადადგა ტრა-
 პიზონის ტახტიდან და შედგა [ბერალ]
 ელევსის მონასტერში. 19 ივლისს, იმა-
 ვე 6876 [ახ. წ. 1368] წელს, იგი წავი-
 და კონსტანტინოპოლს იმ თავდასხმის
 გამო, რომელიც მოახდინეს მეკობრეებ-
 მა არაბიელეებზე¹³⁸. აგრეთვე მაშინ ჩე-
 მი საყვარელი შვილი კონსტანტინე,
 ვაი, ვაი, მე საცოდავსა და ცოდვილს,
 ზღვაში ჩავარდა ფერისცვალება დღეს
 წმინდა სოფლის¹³⁹ მონასტერთან და და-
 იღუპა 15 წლისა. იმის შემდეგ ჩემი
 მეორე უსაყვარლესი შვილი რომანო-
 ზი, 17 წლისა, შარდის შეკავების სენით
 დამაბუნებული გარდაიცვალა. სამთვე-
 ნახევარს დარჩენის შემდეგ დავბრუნ-
 დი.

41. იმავე 6873 [ახ. წ. 1365] წელს,
 მარტში მოვიდა ქილიჯ-არსლანი და
 თავს დაესხა ჩვენს ქვეშევრდომობა-
 ში მყოფ ქალდიას. მაშინ იმპერატორ-
 მაც გაილაშქრა და იქ მივიდა.

იანვარში, მე-17 ინდიქტიონს, 6877
 [ახ. წ. 1369] წელს, ნათლიების დღეს,
 ქურდულად აიღეს გოლახა თურქებმა.
 ამის გამო აოხრებული იქმნა ქალდია,
 ერთი მხრით ომებში, მეორე მხრით კი
 იქაურ მუხთალ გამოქვაბულებში.

42. იმავე 6877 [ახ. წ. 1369] წელს,
 იანვრის დასასრულს, იმპერატორი კარ-
 გი ფლოტით ჩავიდა ლიმნიას, დარჩა
 იქ ოთხ თვეს და უკან დაბრუნდა.

43. მაისში, მე-8 ინდიქტიონს, 6878
 [ახ. წ. 1370] წელს, მეომართა მცირე
 რიცხვით წავიდა პარხალს¹⁴⁰ მარმარო-
 სის მხრიდან. ხოლო იმავე თვის 21-ს,
 პარსკევს, მოულოდნელად წააწყ-
 და თურქებს, დაახლოებით ხუთას
 ცხენოსანს და სამას ქვეითს. მეფეს
 ჰყავდა დაახლოებით ასი ცხენოსანა.

⁶ ἀζάπικα] ἀζάρικα T. ¹⁵ προσπαλαίσης F. ¹⁷ ἡμισυν L, σ' MT, ζ' F.
¹⁸ ἰωσὸς] abs TF. ¹⁹ Γλιτζιασθλάνης MTF, შდრ. Χλιατζιασθλάνης, σ. 49.
²²⁻²³ ἐκεῖ. Μηνὶ F, ἐκεῖ μῆνι MT. ²⁸ ἐκεῖσε δολεῖο MT, ἐκεῖ σεδολεῖο F.
²⁹ ἰωσὸς ἔτει M, ἔτει ἰωσὸς TF. ³⁶ ὀλιγίστων T. ³⁹ ἡμέρα (πάρσα) M, σ TF.

1289 και ἔνθς μικροτέρου κατὰ τοῦ βασιλέως
 5 ἡμῶν. Καὶ σταθεῖς ἡμέρας ε' παλίνορ-
 |σος γέγονε, μὴ ἀνύσας τι τῶν ἀνο-
 κήτων, ὧν σὺν αὐτῷ ἔ πρωτοβεστιάριος
 5 κύρ Ἰωάννης ὁ Ἀνδρονικόπουλος· ὃς
 καί, ἀπελθὼν ὁ Παλαιολόγος, αὐτὸς
 ἐξῆλθε καὶ γέγονεν ὑπόσπονδος τῷ βα-
 σιλεῖ ἡμῶν.

47. Μηνὶ Ἀπριλίῳ ιε', ἡμέρα α',
 10 ἰνδικτιῶνος ιβ', τῷ ρωπβ' ἔτει: ἐπιτάθη
 ἢ Γόλαχα παρὰ τῶν Χαλδαίων, καὶ
 πάλιν γέγονεν ὑπὸ τῷ βασιλεῖ, καὶ εὐ-
 φῶς ἀνθῆς ἔάλω παρὰ τῶν ἔχθρῶν.

48. Μηνὶ Μαρτίῳ ιδ', ἡμέρα σ', ἰν-
 15 δικτιῶνος ιδ' τοῦ ρωπδ' ἔτους: ἐρημ-
 νίσθη ὁ τοῦ βασιλέως υἱὸς κύρ Ἀνδρό-
 νικος δεσπότης ὁ μέγας Κομνηνὸς ἀπὸ
 M307a τοῦ | παλατίου τοῦ κύρ Ἀνδρονίκου
 τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ καὶ βασιλέως.

20 Καὶ εὐθῶς κομισθεὶς ἐν τοῖς ἀνακτό-
 ροις τέθνηκε καὶ ἐνεταφιάσθη ἐν τῇ
 μονῇ τῆς Θεοσκεπάζτου, ἀκολουθήσαν-
 τος ἐν τῷ ἐξοδίῳ αὐτοῦ τοῦ βασιλέως
 καὶ πατρὸς αὐτοῦ καὶ τῶν δεσποινῶν,
 25 τῆς τε μάμης τούτου καὶ τῆς μητραι-
 ᾶς. Τὰ δὲ συναλλάγματα, ἃ εἶχε με-
 τὰ τῆς ἐξ Ἰβηρίας, θυγατρὸς μὲν Δα-
 βιδ τοῦ βασιλέως Τυρλίστου, ἀνεψίᾶς
 δὲ ἐπ' ἀδελφῇ τοῦ Ἀλπουγά, μεταφέ-
 30 ρονται εἰς τὸν νεώτερον καὶ γνήσιον
 καὶ νόμιμον υἱὸν τοῦ βασιλέως ἡμῶν
 καὶ νέον βασιλέα κύρ Μανουὴλ τὸν μέ-
 γαν Κομνηνόν. Καὶ δὲ, τῆς μηνστείας
 προβάσης, κινεῖ ὁ βασιλεὺς καὶ ἡμεῖς

35 σὺν αὐτῷ Μαρτίῳ μηνὶ ι', ἰνδικτιῶνος ιε',
 ἔτους ρωπε'. Καὶ ἀπελθόντες ἐν τῇ
 M307b Λαζική, διαβιβάζσαμεν τὸ | καλοκαίριον
 ἕλον ἐκεῖ κατὰ τὸ χωρίον Μακραγία-

გაბრუნდა ისე, რომ რაიმე მოულოდ-
 ნელი თავდასხმა არ მოუხდენია. მას-
 თან ერთად იყო პროტოვესტიარიოსი
 ბატონი იოანე ანდრონიკოპულოსი,
 რომელიც პალეოლოგოსის წასვლის
 შემდეგ თვითონ გადმოვიდა და ჩვენი
 იმპერატორის ქვეშევრდომი გახდა.

47. 16 აპრილს, კვირას, მე-12 ონ-
 დიქტიონს, 6882 [ახ. წ. 1374] წელს,
 ქალდეელებმა დაიპყრეს გოლახა და
 კვლავ გახდა იგი იმპერატორის სამ-
 ფლობელი, მაგრამ მალე ისევ აიღეს
 იგი მტრებმა.

48. 14 მარტს, პარასკევს, მე-14 ონ-
 დიქტიონს, 6882 [ახ. წ. 1376] წელს, იმ-
 პერატორის ძე, ბატონი დესპოტი¹⁴⁷
 ანდრონიკე, დიდი კომნინოსი, გადმო-
 ვარდა დიდი კომნინოსისა და იმპერა-
 ტორის ანდრონიკეს სასახლიდან და,
 როგორც კი შეიყვანეს სასახლეში,
 გარდაიცვალა. დაიკრძალა თეოსკეპას-
 ტოსის მონასტერში¹⁴⁸. მის გასვენებას
 ესწრებოდნენ მამამისი იმპერატორი,
 აგრეთვე დედოფლები: ზებიაშისი და
 დედინაცვალი, ხოლო საქორწინო პი-
 რიოსთან თბილისის მეფის დავითის¹⁴⁹
 ასულისათვის, აღბულას¹⁵⁰ დისწული-
 სათვის, ვადატანილი იქნა ჩვენი მეფის
 უმცროს, ღვიძლ და კანონიერ ძესა
 და ჭაბუკ მეფეზე, ბატონ მანუილ-
 ზე¹⁵¹, დიდ კომნინოსზე. როცა შუამავ-
 ლობა ჩატარდა, წაბრძანდა მეფე და
 ჩვენც მასთან ერთად 10 მაისს, მე-15
 ონდიქტიონს, 6885 [ახ. წ. 1377] წელს.
 ლაზიკაში რომ მივედით, მთელი ზაფ-
 ხელი, 15 აგვისტომდე იქ ვავტა-

¹ κατὰ τοῦ] κατὰ τὰ τῶν TF. ² τι] abs TF. ³ πρωτοβεστιάριος] α⁷ πρῶστο-
 τιάριος M, βεστιάριος TF. ⁴ ἡμέρα (ქარაგ.) M, ὄ TF, ἡμέρα L. ⁵ ιβ'] ιβ' M,
 ιγ' T, ιε' F: ρωπβ'] ρωπβ' MT, ρωπε' F, მაგრამ ფალსუარიოი სქოლიოში შენიშ-
 ნავს: აქ შეცდომა ონდიქტიონისა და წლის რიცხვებში — ნამდვილად ε-ს ნაცვლად ორივეგან
 აბ β და აბ γ უნდა იყოს (იხ. მისი გამოც., გვ. 35). ¹⁵⁻¹⁶ ἐρημνίσθη M. ²⁴ δεσποί-
 νων M ²⁵ συναλλάγματα M. ²⁹ ἀδελφῇ M, ἀδελφῆς TF. ³³ μηνστείας TF. ³⁷ δι-
 εβιβάζσαμεν M; καλοκαίριον F.

γ', ἔτους ,σωπη', ὅτε πανέλαβεν ὁ βασιλεὺς καὶ τὰ Λιμνία.

50. Μηνί Φεβρουαρίου ἐκίνησεν ὁ βασιλεὺς διὰ τε ξηρὰς καὶ διὰ θανάσεως κατὰ τῶν Ἰταλινῶν. Καὶ περὶ τὰς δ' τοῦ Μαρτίου μηνὸς ἡμέρα α', ἰνδικτηῖνος γ', ἔτους ,σωπη' ἐποίησεν τὸ φωσάτον μερίδας β'. Τούς μὲν πεζοὺς ὥσει χ' ἔστειλεν ἀπὸ τῶ Πέτρωμαν· ὁ δὲ βασιλεὺς, παραλαβὼν τὸ ἀβαλλαρικὸν καὶ ἑτέρους πεζοὺς παμπόλους, ἐπτέρνιζεν τοὺς ἕλον τὸν Φιλαβωνίτην ποταμὸν ἄνω ἕως εἰς τὰς χειμαδίας, καὶ τὰς σκηγὰς αὐτῶν ἐκούρσευσεν, ἐσκότωσεν, ἔκαυσεν καὶ ἐλήισεν αὐτούς. Καὶ πολλὰ ἡμέτερα αἰχμάλωτα ἠ|λευθέρωσεν σφυλικὰ, καὶ ἐστράφη, καὶ ἐστάθη μικρὸν εἰς τὸν Σθλαβοπιάστην. Οἱ δὲ χ' οἱ ἀπελθόντες ἀπὸ τῶ Πέτρωμαν ἐκούρσευσαν εἰς τὸ Κοτζαυτὰ, καὶ ἐποίησαν σφαγὴν καὶ κούρσον καὶ πυρκαϊὰν πολλήν. Καταβαίνοντες δὲ μετὰ πολέμου, ἑσάκις ἐποίησαν καὶ συμπλοκὴν μετὰ τῶν διωκόντων Ἰούρκων, πολλοὶ ἐπιπτον ἐκ τῶν Ἰούρκων. Οἱ δὲ Ῥωμαῖοι, ἐπιίχοντες [εὔρειν] τὸν βασιλέα, εἰς τὸν αἰγιαλὸν ἰσχυρὰ πολεμοῦντες καὶ κτείνοντες ἤρχοντο. Περὶ δὲ τὸν αἰγιαλὸν τοῦ Σθλαβοπιάστου γενόμενοι, ὡς οὐχ εὔρον τὸν βασιλέα, ὡς ἐσυνεφώνησαν, μικρὸν πρὸς τροπὴν βλέψαντες, ἔπεσον ὥσει μβ' Ῥωμαῖοι. Οἱ δὲ πεσόντες Ἰούρκοι καὶ Ἰούρκισσαι καὶ Ἰουρκόπουλα | ἵπὲρ τοὺς ρ' ἠρῆμῆθησαν.

Μηνί Ἰουνίῳ ιθ', ἰνδικτηῖνος ε', ἔτους ,σως' ὁ τοῦ βασιλέως κύρ Ἀλε-

[ახ. წ. 1379] წელს; მაშინ აიღო მეფემ ლიმნიაც.

50. თებერვალში დაიძრა მეფე ხმელეთითა და ზღვით ქაპნიდების¹⁵⁴ წინააღმდეგ. 4 მარტს, კვირას, მე-3 ინდიქტიონს, 6888 [ახ. წ. 1380] წელს, ორ ნაწილად გაჰყო ჯარი. ქვეითნი, დაახლოებით 600, პეტრომადან¹⁵⁵ გაგზავნა, ხოლო იმპერატორმა კი წაიყვანა ცხენოსნები და მთელი დანარჩენი ქვეითი ჯარი, აიარა მთელი მდინარე ფილაბონიტისი საზამთრო სადგომებამდე და მოახრბა მათი სადგომები; დახოცა, დასწვა, მოიკლათა ისინი. აგრეთვე მრავალი ჩვენი ტყვე დროულად¹⁵⁶ გაათავისუფლდა; მერე მობრუნდა და ცოტა ხანს სთლავოპიასტეში¹⁵⁷ დადგა. პეტრომადან წამოსულმა 600-მა [მემომარმა] კი კოცაუტა აათხრა და დიდი ხოცვა-ყლეტა, ალაფობა და ხანძარიანობა მოახდინა¹⁵⁸. უკანდახელთ ომის შემდეგ, ბევრჯერ მოუტდათ ხელჩართული ბრძოლა დადევენბულ თურქებთან და მრავალი თურქი მოიკლა. ბიზანტიელები კი იმედოვნებდნენ რა მეფის [შეხვედრას]¹⁵⁹, სასტიკად იბრძოდნენ, ხოცავდნენ და ზღვის ნაპირისაკენ მიიწევდნენ. როცა ზღვის ნაპირას სთლავოპიასტესთან გავიდნენ და ვერ შეხვდნენ მეფეს, როგორც შეთანხმებული იყვნენ, ცოტა გაქცევისაკენ ქნეს პირი და 42 ბიზანტიელი მოკვდა. ხოლო დახოცილი თურქები, თურქი ქალები და ბავშვები კი 100-ზე მეტი დაითვლებოდა.

19 ივნისს, მე-5 ინდიქტიონს, 6890 [ახ. წ. 1382] წელს, იმპერატორ ბატონ

³ Φεβρουαρίου M. ⁵ Ἰταλινῶν L, Ἰταλινῶν MTF, შდრ. თ. 15. ⁹ ὥσει F, ὥσει TL. ¹² ἐπτέρνιζεν τοὺς T. ¹³ ποταμῶν M; εἰς τὰς] εἰς ἡ M. ¹³⁻¹⁴ χειμαδίας,] χειμασιίας. TF. ¹⁴ σκηγὰς M. ¹⁵ ἐσκότωσαν T. ¹⁷ σφυλικὰ M, σφυλικα T, σφυλικὰ F; ლამბროსი აბ სიტყვას კითხვის ნიშანს (;) უკეთეს; ფალმერაიერს თარგმანში გამოტოვებული აქვს, ოღონდ შენიშვნაში ვრცლად მსჯელობს, გარკვეულ დასკვნამდე კი ვერ მიდის. ²⁰ ἀπὸ τῶ] τὸ abs TF. ²¹ Κοτζαυτὰ TF. ²² κούρσαν MT. ²³ πρόλεμον TF. ²⁷ [εὔρειν] abs MTF. ³⁴ Ἰούρκισσαι] τούρκισαι M, Ἰούρκισσαι TF; Ἰουρκόπουλα] τούρκო²⁴ M, τούρκισσαι: T, Ἰουρκισσαι: F. ³⁶ ἰουνίῳ M.

ξίου υἱός, ὁ κῆρ Μανουήλ ἐγέννησεν
 υἷον ἐκ τῆς ἐξ Ἰβήρων κυράς, Εὐδο-
 κίας, ὃν καὶ βαπτίσας ὁ πάππος καὶ
 5 βασιλεὺς κῆρ Ἀλέξιος καὶ ἡ προμάμμη
 καὶ δέσποινα κυρὰ Εἰρήνη καὶ ὁ μητ-
 ροπολίτης Τραπεζούντος κῆρ Θεοδόσιος
 ἐκάλεσαν τοῦτον Βασίλειον κατὰ τὸν
 πρόπαππον.

51. Μηνὶ Ἰουλίῳ θ' ἡρχῆθη ἡ νόσος
 10 τῶν βουβρόνων, ἔτους 'σωγ', ἰνδικτιώ-
 νος ε', καὶ ἐλυμήνατο ἐν Τραπεζούντι
 πολλοὺς μέχρι καὶ τοῦ Δεκεβρίου καὶ
 τοῦ Γεναρίου μηνός. Ἐλυμήνατο δὲ καὶ
 15 τὴν Ματζούκαν περὶ πολλοῦ καὶ τὴν
 Τριχομίαν καὶ τὸ μέρος τῶν Συρμένων
 ἕως εἰς τὴν Δρύοναν.

L292
 M310a | 52. Μηνὶ Ὀκτωβρίῳ κδ', ἡμέρῃ
 ε', ἰνδικτιώνος ε' τοῦ 'σωγ' ἔτους κι-
 νήσας ὁ τοῦ βασιλέως γαμβρός ὁ ἐκ τῶν
 20 Ἀμνίων ἀμνηρᾶς ὁ Τατζιατίνης κατὰ
 τοῦ ἐτέρου γαμβροῦ τοῦ βασιλέως, υἱοῦ
 τοῦ ἐκ Χαλυρίας Χατζυμύρη, τοῦ λε-
 γομένου Σουλαμάνπεκ, ἔχων φουσσάτον
 χλιιάδας ιβ', καὶ τῆ Χαλυρίῃ εἰσελθὼν,
 25 ἔπεσε πρῶτος αὐτὸς ὁ Τατζιατίνης,
 καὶ κρουργῆθεις ἐκαὶ τέθηγκαν. Οἱ δὲ
 περὶ αὐτὸν ἐκτάθησαν ὡς γ, οἱ δὲ
 λοιποὶ γυμνοὶ ἔφυγον, ἀποβαλλόμενοι ἱπ-
 πους ζ' καὶ ὄπλα ἄπειρα.

30 53. Ἀμνηρᾶς τις Τάταρις, ἔχων καὶ
 χάνην, ὡς λέγουσιν, ὁ δὲ Τάταρις Τα-
 μουρλάνης ὢν τὸ ὄνομα, ἐκ τῶν ὀρί-
 ων ἐξελεθὼν Χαταίας, ἔχων, ὡς φασιν
 M310b οἱ εἰδότες, φουσσάτον ὑπὲρ τὰς ὀκτα-
 35 κοσίας χλιιάδας, ἦλθε καὶ παρέλαβε
 τὴν πᾶσαν Ἡερσίαν. Εἶτα, εἰσελθὼν

ალექსის ძეს, ბატონ მანუილს, იბერი-
 ელ ქალბატონ ევდოკიასაგან შეეძინა
 ვაჟიშვილი, რომელიც მონათლეს და
 ბაბუამ და იმპერატორმა ბატონმა
 ალექსიმ, ძებნიამ და დედოფალმა ქალ-
 ბატონმა ირინემ და მიტროპოლიტმა
 თეოდოსი ტრაპიზონელმა უწოდეს
 მას ბასილი¹⁶⁰, მისი ბაბუის მამის მი-
 ხედვით.

51. 9 ივლისს გაჩნდა საზარდულის
 სენი¹⁶¹ 6890 [ახ. წ. 1382] წელს, მე-5
 ინდიქტიონს და დეკემბრამდე და იან-
 ვრამდე ტრაპიზონში ბევრი გაეღიბა.
 მოათხრა აგრეთვე ძალიან მაცუქა,
 ტრიკომია და სირმენის¹⁶² კუთხე ვიდ-
 რე ღრიონამდე.

52. 24 ოქტომბერს, მე-10 ინდიქტი-
 ონს, 6895 [ახ. წ. 1386] წელს, მეფის
 სიძე ამირა ტაჯ-ედინი ლიმნიიდან და-
 იძრა მეფის მეორე სიძის, ხალიბიელ
 ხაჯმირის ძის, სახელად სულეიმან-ბე-
 გის წინააღმდეგ. ჰყავდა 12 ათასი
 ჯარი, მაგრამ ხალიბიაში რომ შევიდა,
 პირველად თვით ტაჯ-ედინი ჩამოაგ-
 დეს და დაჩეხილი იქვე მოკვდა. ხოლო
 მისიანები დაიხოცა 3000-მდე, დანარ-
 ჩენებმა კი დაჰყარეს 7000 ცხენი, ური-
 ცხვი იარაღი და შიშველნი გაიქცნენ.

53.¹⁶³ როგორც ამბობენ, ვიღაცა
 თათარმა ამირამ, რომელსაც ხანობაც
 ჰქონდა, სახელად კი ერქვა თემურ-
 ლენგი¹⁶⁴, ხატაეთის¹⁶⁵ საზღვრებიდან
 გამოილაშქრა. ჰყავდა, როგორც მხს-
 ველნი ამბობენ, რვაასი ათასი ჯარი;
 მოვიდა და დაიპყრო მთელი სპარსე-

¹ Μανουήλ] μ...ήλ M. ² ἐξἸβήρων M. ³ ἡρχῆθη] ηρχθη M. ⁴ ἡ:χθη F. ⁵ ἡχ-
θη T. ⁶ 'σωγ'] 'σωρ' T. ⁷ Δεκεβρίου M, Δεκεμβρίου TF. ⁸ ματζούκαν M,
 Ματζούκαν T. ⁹ Τριχομίαν MTF. ¹⁰⁻¹¹ κδ', ἡμέρῃ ε', ἰνδικτιώνος ε'] abs TF:
 ¹² 'σωγς'] 'σωρς' T. ¹³ Ἀμνηρᾶς TF. ¹⁴ Χατζυμύρη MTF. ¹⁵ Σουλαμάνπεκ F.
 ¹⁶ Τατζιατίνης] Τζιατίνης MTF. ¹⁷ γ, γ' M, σ' T, σ F, ιγ' L (ლანბროსის
 გამოცემაში კორექტირული შეცდომა უნდა იყოს). ¹⁸ γυμνῇ M; ἀποβαλλόμενοι MTF.
 ¹⁹ ζ'] abs TF. ²⁰ Χάνην T, χάνην F. ²¹⁻²² Ταμουρλάνης] TF. ²³ χαταίας M,
 Χαταίας TF.

5 και εν τοις ἀκρωρείοις Ἰβήρων, παρέ-
 λυσε πολέμου νόμῳ τὸ θάυμασιον Τυφ-
 λίσιον, ζωγράφους καὶ τὸν βασιλέα Παγ-
 κράτην τὸν στρατηγηκώτατον καὶ τὴν
 5 ἠμόλυγον αὐτοῦ, τὴν θυγατέραν τοῦ
 ἡμετέρου βασιλέως, τὴν ὠραιστάτην
 κυρὰν Ἄννην, καὶ τὸν υἱὸν αὐτῆς
 Δαβίδ, τὸν δὲ λαὸν ἔθηκε μαχαίρα καὶ
 ἀπόλεσεν. Ὅποσα δὲ πράγματα εἶλε καὶ
 10 θῆκε εἰκόνας ἔγδυρε καὶ κατέκαυσε,
 καὶ λίθους τιμίους καὶ μαργαριτάρια
 καὶ χρυσὸν καὶ ἄργυρον ἀπέφερετο οὐ
 δύναται τῆς γραφῆς παραδοῦναι, μὴν
 Νοεμβρίου καὶ ἔτους ,σωφς’.

15 54. Ἐκοιμήθη ὁ βασιλεὺς κύρ Ἀλέ-
 M311a ξιος ὁ μέγας Κομνηνός. ὁ υἱὸς τοῦ
 κύρ Βασιλείου τοῦ μεγάλου Κομνηνοῦ
 L293 ὁ δεύτερος, μὴν Μαρτίῳ | κ’, ἡμέρα
 Κυριακῆ τῆς ε’ ἑβδομάδος, ὥρα δευτέ-
 20 ρα τῆς ἡμέρας. Ἐβασίλευσε δὲ ἔτη μ’
 καὶ μῆνας γ’, ἐτῶν ὦν να’, ἔτους
 ,σωγη’.

25 Μηνί Μαρτίῳ ε’ τοῦ ,σκι’ ἔτους
 ἐκοιμήθη ὁ βασιλεὺς κύρ Μανουὴλ ὁ
 μέγας Κομνηνός, καὶ ἐτάφη εἰς τὴν
 Θεοσιέπαστον. Ἐβασίλευσε δὲ ἔτη κζ’.

30 Μηνί Ματίῳ β’, ἔτους ,σση’ ἐκοιμή-
 φη ἡ δέσποινα κυρὰ Εὐδοκία ἡ οὖσα
 ἐξ Ἰβήρων, μήτηρ δὲ τοῦ βασιλέως
 κυροῦ Ἀλεξίου.

36 55. Μηνί Σεπτεβρίου, ἰνδικτιῶνος
 δ’, ἔτους ,σδδ’ εἰς τὰς ιδ’, ἡμέρα Σαβ-
 βάτῳ ἦλθεν ἀπὸ Κωνσταντινουπόλεως
 εἰς τὸν Ἅγιον Φωκῆν ἡ δέσποινα κυ-
 M311b ρὰ Εὐδοκία ἡ μεγάλη Κομνηνὴ μετὰ
 36 κατέργου καὶ ἐνὸς γρυπαρίας. Εἶχε δὲ
 καὶ νόμφας εἰς μὲν τὸν αὐτάδελφον

თი. მას შემდეგ შეიჭრა იბერიის მთებ-
 შიაც, ომის კანონით ხელთ იგდო სა-
 ოცარი თბილისი¹⁶⁶; ტყვედ ჩაიგდო
 გამოჩენილი სარდალი ბაგრატ მეფე
 და მისი მეუღლე, ჩვენი ხელმწიფის
 ასული მშვენიერი ქალბატონი ანა,
 აგრეთვე მისი [ე. ი. ანას] ძე—დავი-
 თი¹⁶⁷. ხალხი კი გაეღიბა მახვილით და
 გაანადგურა. რა ქონება იგდო ხელთ,
 რა ხატები გაძარცვა და დასწვა, რა-
 დენი თვალი პატოსანი, მარგალიტი,
 ოქრო და ვერცხლი წაიღო, არავის შე-
 უძლია აღწეროს. [ეს მოხდა] 21 ნო-
 ემბერს, 6895 [ახ. წ. 1386] წელს¹⁶⁸.

54. გარდაიცვალა იმპერატორი ბა-
 ტონი ალექსი¹⁶⁹, დიდი კომნინოსი, დი-
 დი კომნინოსის ბატონი ბასილის მეო-
 რე ძე, 20 მარტს, [დიდმარხვის] მე-5
 კვირის კვირა დღეს, დღის მეორე საათ-
 ზე, ხოლო იმეფა 40 წელი და 3 თვე,
 51 წლისა; 6898 [ახ. წ. 1390] წელს.

5 მარტს, 6920 [ახ. წ. 1412] წელს,
 გარდაიცვალა იმპერატორი ბატონი მა-
 ნუილი, დიდი კომნინოსი და დაიქრძა-
 ლა თეოსკეპასტოსში. ხოლო იმეფა 27
 წელი¹⁷⁰.

2 მაისს, 6903 [ახ. წ. 1395] წელს
 გარდაიცვალა დედოფალი ქალბატონი
 ევლოკია, იმპერატორ ბატონ ალექ-
 სის¹⁷¹ დედა, რომელიც იბერიიდან
 იყო მოყვანილი.

55. სექტემბერში, მე-4 ინდიქტიონს,
 6904 [ახ. წ. 1395] წელს, 14-ს, შაბათს,
 კონსტანტინოპოლიდან წმიდა ფოკას
 მოვიდა დედოფალი ქალბატონი ევ-
 ლოკია, დიდი კომნინოსი, კატარლით
 და ერთი ნავით. თან მოიყვანა საცო-

¹ ἀκρωρείοις M, ἀκρωρίοις TF. ¹⁻² παρέλυσε] παρέλασε F. ²⁻³ τὸ θάυμα-
 σίω τυφλίσίω M, τῷ θαυμασίῳ Τυφλίσίῳ TF. ⁴ στρατηγηκώτατον M. ⁵ θυγα-
 τέρα TF. ⁸ μαχέρα M. ¹⁰ ἔγδυρε] ἔγδυρε T, ἔγδυρε F. ¹³ δύναται τῆς M, δύναται τῆ T. ¹⁴ ,σωφς’] ,σωρς’ T. ²⁰ ἔτη] ἔτους MTF. ²²⁻²³ ,σωγη’.
 Μηνί] ,σωκη’. μὴνι M, ,σωση’, μὴνι T. ²⁶ ἔτη κζ’] ἔτους κζ’ MTF, ἔτη
 κβ’ L. ³⁰ κύρ TF. ³² τὰς] τὰ M, τὰ TF. ³⁶ ἐνὸς MTF, λαμπρόσι θεნი³⁶.გს —
 მიჲს უნდა იყოს; γρυπαρίας M, γρυπαρίας TF.

αὐτῆς, τὸν βασιλέα κῆρ Μανουήλ, γῆ-
 ρον θντα, τὴν θυγατέρα τοῦ Φιλαν-
 θρωπῆνός κυρὰν Ἄννην, εἰς δὲ τὸν
 ἀνεψιὸν αὐτῆς, τὸν βασιλέα κῆρ Ἄλε-
 5 ξιον, τὴν θυγατέραν τοῦ Καντακουζῆ-
 νου κυρὰν Θεοδώραν. Καὶ τῇ ἐπαύριον
 Κυριακῇ, βροχῆς οὕσης, εἰσῆλθον εἰς
 Τραπεζούντα. Γέγονε δὲ καὶ πρέσβυς
 εἰς ταῦτα ὁ μέγας δούξ ὁ ἀμυριάλης
 10 ὁ Σχολάρις.

56. Τῷ δὲ σαλεῖ ἔτει, τῆς ε' ἰν-
 δικτιῶνος, τῇ ιβ' τοῦ Νοεμβρίου, ἡμέρα
 β', ὥρα γ' τῆς νυκτὸς ἐκοιμήθη καὶ ἡ
 15 δέσποινα, ἡ κυρὰ Θεοδώρα Καντακου-
 ζηνῆ ἡ μεγάλη Κομνηνῆ, ἡ ἑμῶν γος
 τοῦ αὐτοῦ βασιλέως κῆρ Ἄλεξίου, καὶ
 M312a ἐτάφη | ἐν τῷ πανσέπτῳ ναῶ τῆς ὑπερ-
 αγίας Θεοτόκου τῆς Χρυσοκεφάλου,
 ἐν τῷ κοιμητηρίῳ τοῦ Γίδωνος, εἰς τὸ
 20 παράβημα.

L294 | 57. Τῷ δὲ αὐτῷ ἔτει, μηνὶ Νο-
 εμβρίου ἦλθε καὶ ἀπὸ Γοτθίας ἡ βα-
 σίλισσα κυρὰ Μαρία, ἡ τοῦ κῆρ Ἄλε-
 25 ξίου ἐκ τῶν Θεοδώρων θυγάτηρ, καὶ
 ἐβλογήθη μετὰ εὐσεβῶς δεσπότης, τοῦ
 ἀνδρὸς αὐτῆς κῆρ Δαβίδ τοῦ μεγάλου
 Κομνηνοῦ.

ლოები თავისი ქვრივი ძმის, იმპერა-
 ტორ ბატონ მანუილისათვის ფილანთ-
 როპენოსის ასული ქალბატონი ანა,
 ხოლო თავისი ძმისწულის, იმპე-
 რატორ ბატონ ალექსისათვის—კანტა-
 კუზინოსის ასული ქალბატონი თეო-
 დორა; და მეორე დღეს, კვირას, წვი-
 მაში შემოვიდა ტრაპიზონში. ამ საქ-
 მეში კი მოციქულად იყო დიდი დუქ-
 სი ადმირალი სქოლარისი.

56. 6935 [ახ. წ. 1426]. წელს, მე-5
 ინდიქტიონს, 12 ნოემბერს, ორშაბათს,
 ღამის 3 საათზე ვარდაიცვალა აგრე-
 თვე დედოფალი, ქალბატონი თეოდო-
 რა კანტაკუზინოსი, დიდი კომნინოსი,
 ჩვენი ხელმწიფის, ბატონი ალექსის
 მეუღლე; და დაიკრძალა პატივით ყოვ-
 ლად წმიდა ღვთისმშობლის ყოვლად
 წმიდა ქრისტოკეფალოსის ტაძარში.
 გიდონის¹⁷² განსასვენებელში.

57. იმავე წელს, ნოემბერში გოთი-
 იდან¹⁷³ მოვიდა დედოფალი ქალბატო-
 ნი მარია, თეოდორელი¹⁷⁴ ბატონი
 ალექსის ასული, და სიხარულით
 მიიღო ღვთისმშობიშმა დესპოტმა. მის-
 მა მეუღლემ, ბატონმა დავითმა¹⁷⁵,
 დიდმა კომნინოსმა.

²⁻³ ფილანθროპინოს M, Φιλανθρωπινου TF. ⁵ τῆν] abs TF. ⁸ πρέσβυς M.
⁹ δούξ ὁ ἀμυριάλης M, Δούξ, ὁ Ἀμυριάλης T. ¹⁰ σχολάρις TF. ¹¹ σαλεῖ M,
¹⁹ Γίδωνος MTF; τὸ] τὰ F. ²⁰ παράβημα] παράστημα TF; ან სიტყვის შემდეგ
 ხელნაწერს 10 სტრიქონი, დაახლოებით 270 ასო ჰკლებია. ²⁵ τῆς Θεοδώρας L. ²⁷ Δαβίδ]
 δαδ' M, Δαυიდ, TF.

შენიშვნები

1. ტრაპიზონის ხელმწიფის იმპერატორის (βασιλεύς) ტიტულის შესახებ ერთ დროს დიდი დავა იყო სამეცნიერო ლიტერატურაში, რადგან თუკა მიქელ პანარეტოსი და ადგილობრივი ტრაპიზონული წყაროები იმპერატორობით იხსენიებენ მათ, საერთოდ ბიზანტიის, ასე ვთქვათ, ოფიციალური მეისტორიენი კი, მაგალითად, ნიკიტა ხონიატისი, გიორგი აკროპოლიტისი, პანიმერისი, ნიკიფორე გრიგორასი და სხვანი, არ უწოდებენ ასე—უბრალოდ კოლხთა ან ლაზთა მთავრებად ანდა ტრაპიზონის გამგებლებად თვლიან. ამ ტიტულით გვიან ანტიკურ ხანაში ბერძნები აღნიშნავდნენ რომის იმპერატორებს, ხოლო შემდეგ ეს ბიზანტიის სახელმწიფოს მეთაურზეც ვადმოვიდა. საქართველოში „ქვეყნის უზენაესი გამგისა და ბერძნული βασιλεύს-ის ... ერთადერთ აღმნიშვნელ ტერმინად და შესატყვისად „მეფე“ იყო მიჩნეული“ (ივ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტ., წ. I, გვ. 173) და ქართული წყაროები თუ ახსენებენ ტრაპიზონის გამგებლებს, ყოველთვის სწორედ მეფის ტიტულით (მაგ., ჟამთააღმწერელი, ქ. ცხ., II, 274; II, 304; კელმწიფის კარის გარიგება, ე. თაყაიშვილის გამ., ტფ., 1920, გვ. 12; ტიმოთე გაბაშვილი, მიმოსლვა, ე. მეტრეველის გამ., თბ., 1956, გვ. 8, 39 და სხვ.). ვასათავალისწინებელია, რომ ბიზანტიური წყაროები ამ ტიტულს თვით ბიზანტიის ხელმწიფის გარდა სხვა რომელიმე ქვეყნის უზენაესი მმართველისათვის ძალიან ძნელად იმეტებენ, თანაც ამ ბიზანტიელ მწერალთა უმრავლესობა ლასკარისებისა და პალეოლოგოსების, ე. ი. ნიკეისა და კონსტანტინოპოლის ტახტებზე მჯდომი დინასტიების მეფეთა მეისტორიენი იყვნენ და ტრაპიზონელი კომინისები მათ უღირს მოქიშპეებად მიაჩნდათ. ამ საკითხს კრიტიკულად მიმოიხილავს და წინანდელ მეცნიერთა კამათს აჯამებს ა. ვასილიევი თავისი გამოკვლევების სპეციალურ თავში (იხ. მისი, Foundation, 30—37; შდრ. აგრეთვე, Fallmerayer, Geschichte, S. 63 შმდ.), სარწმუნოა, რომ, როგორც თ. უსპენსკი ამბობს (Очерки, 31), პირველ ტრაპიზონელ კომინისებს, სანამ მთელი ბიზანტიის ტახტს ეპოტინებოდნენ, ძველებური, თავიანთი წინაპრების, მთლიანი ტიტული ჰქონოდათ, რომელიც შემდეგნაირად გამოიხატებოდა „Βασιλεύς και αυτοκράτωρ τῆς Ῥωμανίας“ („მეფე [ანუ იმპერატორი] და თვითმპყრობელი რომაელთა“.—რომაელებს ბიზანტიელები უწოდებდნენ თავიანთ თავს). ამას მიუთითებს მაგ., ტრაპიზონელი მანუილ I კომინისოსის სურათზე მოთავსებული ერთი წარწერა, რომელიც ფინლენის აქტს მოყვანილი (Finlay, p. 340). მაგრამ შემდგომში, ალბათ XIII საუკუნის დასასრულადან კი უკვე სხვანაირი ტიტული უნდა ჰქონოდათ—„Βασιλεύς και αυτοκράτωρ πάσης Ἀνατολῆς, Ἰβηρίας και Περσείας“ („მეფე და თვითმპყრობელი მთელი აღმოსავლეთისა, იბერთა და ვაღმა მხარისა“), რაც კონსტანტინოპოლში ვაბატონებული პალეოლოგოსების დინასტიასთან მორიგე-

ბის საფუძველზე უნდა მივლით (Fallmerayer, *Original-Fragmente*, I, 144). ზოგ შემთხვევაში ბოლო ნაწილი — „იბერთა და ვალა მხარისა“ — აღარც არის მოხსენიებული (იხ. Vasiliev, *Foundation*, 34—35).

საქართველოს მოხსენიება ტრაპიზონის მეფის საუფლოში მსგავსი ტიტულების საერთო გავრცელებული ხასიათით უნდა აიხსნას. ასეთი ფიქტიური ტიტულატურის მაგალითი ბევრი შეიძლება დაიძებნოს ჩვენს მეფეთა და სხვა ქვეყნების მეფეთა სიგელებსა და საბუთებშიაც. ნაშრომი ტრაპიზონის იმპერატორთა დამოკიდებულების შესახებ თავადებთან (არხონტებთან), აგრეთვე ტახტის მემკვიდრეობისა და თანამპყრობობის შესახებ, სწორედ მიქელ პარანატოსის ქრონიკის მიხედვით, ეკუთვნის პანარეტოსის ერთ-ერთ ცნობილ თანამედროვე მკვლევარს ლამსიდისს O. Lampsides, 'Ο βασιλεὺς τῆς Τραπεζούντης κατὰ τὸ Χροικὸν Μ:γαλῆ τῶν Παναρῆτων. Κανὼσιον Φ. I. Κουασιλῆ (= Ἐπετηρίδα Ἐταιρ. Βυζ. Σπ. 23), 1953, σ. 567—576 (შდრ. B. Z. 47 [1954] 480).

2. დიდი კომნინოსების სახელიც ასევე დავის საგანი გახდა. ჩვენი მემატთან და ტრაპიზონული წყაროები თითქმის ყველა ტრაპიზონელ კომნინოსს და მათ მეუღლეებსაც დიდობით იხსენიებენ. სახელგანთქმული ფრანგი ბიზანტინისტი დიუ-კანჟი და ინგლისელი ისტორიკოსი ე. გიბონი კი ასეთ სახელს მხოლოდ პირველ იმპერატორს — ალექსი I-ს აკუთვნებენ. (იხ. Du Cange, *Familiae Byzantinae*, p. 192; E. Gibbon, *The Decline and Fall of the Roman Empire*. Ed. Bury, v. VI, London, 1925, p. 420).

ვასილიევი ამ საკითხსაც საკმაოდ დაწვრილებით განიხილავს, მაგრამ გარკვეულ დასკვნას კი ვერ დასდგომია და ასე აბოლოებს თავის მსჯელობას: „არ ვიცი, როგორ წარმოიშვა ეპითეტი დიდი კომნინოსებისა. შესაძლებელია ეს აიხსნას ალექსი I-ის და დავითის დიდი განზრახვის ფიქრით, ბიზანტიის იმპერიის აღდგენისავე რომ იყო მიმართული. ვეგმა ჩაიფუშა, განზრახვა გაქრა, ხოლო ეპითეტი კი გადარჩა“ (იხ. მისი, *Foundation*, 37). ამაზე ფ. დელგერი შენიშნავს: მე მგონია, *μέγας Κομνηνός* სხვა არა არის რა, თუ არ *μέγας βασιλεὺς*; ე. ი. მიაჩნია, რომ დაახლოებით ისე მოხდა, როგორც ზოგან, სადაც „კეისარი“ იქცა საერთოდ იმპერატორისა და მეფის აღმნიშვნელად (იხ. მისი მოკლე რეცენზია, B. Z. 36 [1936] 223). მაგრამ ამ მოსაზრებებს უნდა დავსაძინოთ შემდეგი: იმ დროს, ე. ი. ლათინებისაგან კონსტანტინოპოლის დამხობის ხანაში (1204 წ.) სამი ბერძნული დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოიშვა: ნიკეისა და ტრაპიზონის იმპერიები და სალონიკის სადესპოტო ანუ ეპირის სამთავრო. ნიკეის ტახტზე ლასკარისები დასხდნენ, ტრაპიზონში — კომნინოსები, ხოლო ეპირის სამთავროში — მიხელი, ანგელოსების სახლის უკანონო შთამომავალი. მეტნაკლებად ამ სამივე სახლს ჰქონდა მთელი ბიზანტიის ხელში ჩაგდების პრეტენზია, მაგრამ საერთო დინასტიური თვალსაზრისით და გვაროვნული წარჩინებულობით ყველაზე მეტი საამისო უფლება, უნდა ვაღიაროთ, კომნინოსების მხარეს იყო. შესაძლოა, იმიტომაც მიუმატეს თავის გვარს „დიდი“, რომ ამით თავიანთი შთამომავლობა უფრო წარმოეჩინათ და გამოცალკეებულყვნენ შემოხსენებული და სხვა პრეტენდენტებისაგან, რომელნიც კომნინოსების სახელს ისაკუთრებდნენ. იხ. Успенский, *Очерки*, стр. 41; ტრაპიზონის საქმე, გვ. 115; N. Iorga-ს აზრი ამ საკითხზე — B. Z., 36 (1936) 492.

აქვე გვინდა შევჩერდეთ კიდევ ერთ საკითხზე. ქართულ საისტორიო ნაშრომებში დიდი აღრეულობაა ტრაპიზონის იმპერატორთა გვარის დაწერილობაში. იწერება: „კომნენი“, „კომნინი“, „კომნენე“, „კომნინა“, „კომნიანოსი“, „კომნენიანოსი“, „კომნენოსი“, ასე გასინჯეთ, „კომნინო“-ც და სხვ. ჩვენ შეგნებულად ვწერთ ფორმით—„კომნინოსი“, რადგან ეს გაცილებით ზუსტად შეესატყვისება ამ გვარის როგორც ბერძნულ დაწერილობას, ისე მის გამოთქმას. ასეთ გადმოცემას მხარს უჭერს ნაწილობრივ ძველი ქართული ძეგლების უმეტესობის დაწერილობის ფორმაც—„კომნიანოსი“ (შდრ. მაგ., ქ. ცხ. II, გვ. 16, 17, 142, 274; არის ზოგ ხელნაწერში სწორედ „კომნინოსი“-ც, გვ. 304 და სხვ.). სასურველია, რომ დამკვიდრდეს „კომნინოსი“, როგორც უფრო სწორი და ტრადიციითაც გამართლებული. ბერძნულ საკუთარ სახელთა გადმოცემისას თარგმანის ტექსტსა და საერთოდ ამ ნაშრომში ძირითადად ორიგინალში წარმოდგენილი სახელობითი ბრუნვის ფორმები დავიცავით, ოღონდ გვიანბიზანტიური ხანის გამოთქმის გათვალისწინებით. ბერძნულ სახელთა ქართულად გადმოცემის საკითხი, ვფიქრობთ, გადასინჯვა-დაზუსტებას მოითხოვს—ზოგი რამ თითქოს სადავო და დასადგენია.

3. ბერძნული ტექსტის *ხაპ*, რომელ ფორმასაც უმეტესად იცავს ჩვენი ავტორი (ნაცვლად ფორმისა *ხაპ*, რომელიც ძველი *ხაპიაც*-ის ახალ ბერძნულ შესატყვის სიტყვას წარმოადგენს), და *ხაპაძ* —ქართულად „ბატონად“ და „ქალბატონად“ ვთარგმნეთ და არ მივდიეთ მათ კვალს, რომელნიც უთარგმნელად ტოვებენ ამ სიტყვებს და პირდაპირ „კირ“-ს და „კირა“-ს გადმოსცემენ. ამ აზრს იმიტომ დავადექით, რომ *ხაპ* და *ხაპაძ* ორივე კარგად შეესატყვისება ჩვენებურ ბატონ-ქალბატონს; ჩვენი მეფეების მოხსენიების დროსაც ხშირად იხმარებოდა გამოთქმა „ბატონი მეფე“—იგი უცხო არა ყოფილა ჩვენს ისტორიაში და ვინაიდან აზრითაც კარგად ემთხვევიან ერთმანეთს ეს ბერძნულ-ქართული სიტყვები, ზედმეტად ვცანით უცხო სიტყვის განმეორება. ამ სიტყვის ფორმათა და მნიშვნელობათა შესახებ საკმაოდ ბევრია თქმული. შდრ. K. 'Αμύντος, *Κύριος*. 'Αθήνα, 51 (1941/46) 124—126; T. Εὐαγγελίνης, *Κύριος, κυρία*. 'Αττικὸν ἡμερολόγιον τῶν δισέχτου ἔτους 1896. 'Εν Ἀθήναις, 1895, σ. 188—199 (Виз. Вр., т. IV, 1897, стр. 732); F. Dölger, Die Entwicklung der byzantinischen Kaisertitulatur und die Datierung von Kaiserdarstellungen in der byzantinischen Kleinkunst. Studies presented to D. M. Robinson, II (1953) 985—1005 (შდრ. B. Z. 46 [1953] 429); Сборник документов, стр. 310.

4. ეს ალექსი არის ტრაპიზონის პირველი მეფე ალექსი I (1204—1222). ქრონიკაში არ არის მოხსენიებული მეფეთა სათვალავი მათი სახელების მიხედვით. გამორკვეულია, რომ იგი იყო ძე ბიზანტიის იმპერატორ ანდრონიკე I კომნინოსის (1183—1185) შვილის სევასტოკრატორ მანუილისა. ბასილი ეზონ-პომდვარი, რომელიც ერთ-ერთი მთავარი წყაროა ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საკითხის კვლევისათვის, ცდებდა, როცა მას ანდრონიკეს შვილს უწოდებს, აი რას ამბობს ქართული ძეგლი: „ხოლო განრისხნა მეფესა ზედა ბერძენთასა, წარგზავნა მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი, და წარუღეს ლაზია, ტრაპიზონი, ლიზონი, სამისონი, სინოპი, კერასუნდი, კიტლიორა, ამასტრია, არაკლია და ყოველნი ადგილნი ფებლადონისა და პონტოსანი, და მისცა ნათესაესათუსსა ალექსის კომნიანოსსა, ანდრონიკეს შვილსა, რომელი იყო მაშინ თვით წინაშე თამარ მეფისა შემოხუფილი“. (ქ. ცხ., II, 142).

ბასილის ამ შეცდომას ბევრი ქართველი ისტორიკოსი იმეორებს ბოლო ხანებშიაც კი. თვით ბასილი ალბათ იმან აცთუნა, რომ სხვა ალექსი კომნინოსიც, მართლა ანდრონიკეს ძე, ე. ი. ალექსი I ტრაპიზონელის ბიძა, იყო საქართველოს სამეფო კარს, ვითარცა სტუმარი და თამარ მეფის ხელის მამიებელი და თამარს „ვეითნიმე დაღონებულობით აწუეედეს ალექსის მოყვანასა კმრად, რომელი ახლოს სთუბობდა და მამულად მამის ძმისწული იყო ბერძენთა მეფისა“ (ქ. ცხ., II, 37). ანდრონიკეზე კი ნათქვამია, რომ გიორგი III-ის დროს „მოვიდა ოდესმე ანდრონიკე კომინიანოსი ცოლითა სახებრწყინვალითა და შუენიერთა, თანა შვილებითურთ“ (ქ. ცხ., II, 16—17). ალექსი I-ის შესახებ იხ. Fallmerayer, *Geschichte*, I—92; Куник, *Основание*; Miller, *Trebizond*, 14—15; Успенский, *Очерки*, 29—43; მისივე, *История*, стр. 600—602. Vasiliev, *Foundation*, 17—20, 26—30. ზ. ავალიშვილის აზრით, ბასილის ეს ალექსი ანდრონიკეს ძე სხვა არის და 1204 წ. ტრაპიზონში გამეფებული ალექსი—სხვა; თანაც ალექსი ანდრონიკეს ძეს ადრე, 1202 წელზე არა უგვიანეს დალაშქრული ქვეყანა გადაეცაო (ტრაპიზონის საქმე, 88—89). მაგრამ უფრო სარწმუნო ის არის, რომ ჩვენს ისტორიკოსს ნაკლებ ცნობილი მამის სახელი უფრო სახელოვანი პაპის სახელში აერია. ამ საკითხს სხვა დროს უფრო დაწვრილებით განვიხილავთ.

5. ლამბსიდისის აზრით (B. Z. 48 [1955] 191), თავების სათაურები თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყო ხელნაწერში. მართლაც უცნაურადაა—მხოლოდ რამდენიმე თავს ახლავს სათაური, ისიც ქრონიკის დასაწყისში, შემდეგ კი აღარ ჩანს. ამასთანავე დასათაურებისა და თვით თავებად დაყოფის პრინციპებიც ბუნდოვანია თხზულებაში (მდრ., მაგ., მეორე თავის საქმე და სხვ.). გ. ტაფელი სათაურებს ტექსტის აწიაზე ათავსებს და შეიძლება სჯობდეს კიდევ ისე.

6. ალექსი ტრაპიზონელის და მისი ძმის დავითის კონსტანტინოპოლიდან საქართველოში წამოსვლის დროის შესახებ აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, რადგან პირდაპირი ცნობა წყაროებში არ მოიპოვება. მნიშვნელობით კი ძალიან დიდი მნიშვნელობისაა ეს საკითხი, ვინაიდან ტრაპიზონის დამაარსებელი ბერძენი ბატონიშვილი თუ ადრევე, ბავშვობაშივე, ჩამოვიდა საქართველოში, საქართველოს მეფის კარს, აღზრდასაც, რასაკვირველია, ძირითადად ქართულს მიიღებდა, და ქართული ტენდენციები ტრაპიზონის იმპერიის ცხოვრებაში უფრო ლოგიკურ ახსნას ჰპოვებს.

ვალმერაიერის აზრით (*Geschichte*, 41—43), ანდრონიკეს პატარა შვილიშვილები პაპის დაღუპვისთანავე, 1185 წელს, წამოიყვანეს საქართველოში, მაგრამ ბერძნული წყაროს თამარი ანდრონიკეს ასული ჰგონია—იგი არ სცნობს თამარ მეფეს და მის როლს ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საქმეში. ოღონდ უფრო გვიან „ტრაპიზონის ქრონიკის“ შენიშვნებში ეს მოსაზრება ცოტა უფრო სხვა ფორმით გამოთქვა: „რომ აქ პირდაპირ არ იყოს ნათქვამი, თამარი, რომლის შემწეობითაც ალექსიმ შეჰკრიბა ლაშქარი ტრაპიზონის დასაპყრობად, მაშამისის [ე. ი. ალექსის მამის, მანუილის] და და, მამასაღამე, ბიზანტიის ხელმწიფის ასული იყო, მაშინ ამ ლაშქრობის ინიციატორად, დამფინანსებლად და სამხედრო ძალის მიმცემად მხოლოდ საქართველო უნდა მიგვეჩინაო“ (იხ. მისი, *Original-Fragmente*, II, 71). მაშინ საქართველოს შორეული ისტორიის შესწავლა ჯერ კიდევ მხოლოდ ფეხს იდგამდა და ევროპელ მეცნიერთ ძალიან ბუნდოვანი შეხედულებანი ჰქონდათ, ან უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, თუ

არავითარი შეხედულება არ გააჩნდათ, ჯერ საერთოდ საქართველოს ისტორიული წარსულის და კერძოდ კი დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროის საქართველოს ძლიერებისა და გავლენიანობის შესახებ. მისი ეს შეხედულებანი კოტაოდენი შესხვაფერებით ბევრმა გაიზიარა (იხ. ამ საკითხს შესახები სხვადასხვა მკვლევართა მოსაზრებების კრიტიკული მიმოხილვა ა. ვასილიევის ნაშრომში — *Foundation*, გვ. 9 — 11). მაგრამ ა. კუნიკის საფუძვლიანმა გამოკვლევამ, რომელიც მ. ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ ქართულ წყაროებს ემყარებოდა (იხ. მისი, *Основание*, გვ. 724 შმდ.), სრულიად დამაჯერებლად ცხადპყო, რომ ბერძნული წყაროს თამარი ქართველთა სახელგანთქმული თამარ მეფეა, გიორგი III-ის ასული, და რომ მისი დიდი ღვაწლი პატარა კომინოსების აღზრდისა და შემდეგ ტრაპიზონის იმპერიის დაარსების საქმეში უეჭველია. ამ აზრს დაადგნენ რუსი მეცნიერებიც—ბეზობრაზოვი (П. В. Безобразов, *Трапезунт*, 4—6), თ. უსპენსკი (Ф. И. Успенский, *Очерки*, 29—30; მისივე, *История*, 600—601) და ა. ვასილიევი, რომელიც ამ საკითხზე მსჯელობას შემდეგი სიტყვებით აბოლოებს: „რასაკვირველია, ალექსი... ბალოლაშივე გადმოიხვეწა კონსტანტინოპოლიდან, ცხრამეტი წლის წინათ, სანამ ლათინები ქალაქს დაიპყრობდნენო“ (*Vasiliev, Foundation*, 12).

ქართველი ისტორიკოსებიდან ამ საკითხებს ნაწილობრივ ეხებიან დ. ბაქრაძე (იხ. მისი კომენტარი, რომელიც დართული აქვს ვახუშტის „საქართველოს ისტორიის“ შესაბამის ადგილს—ნაწ. I, ტფილისი, 1885, გვ. 13) და თ. ჟორდანიი (ქრონიკები, ტ. I, გვ. 291). ალ. ხახანაშვილმა თავის ვრცელ შესავალ ნარკვევში, რომელიც დაურთო პანარეტოსის ქრონიკას, თამარის როლი კი შესაფერისად შეაფასა, მაგრამ რატომღაც უკრიტიკოდ მიიღო ჯ. ფინლეის აზრი (შმდრ. *Finlay*, გვ. 317—318), რომ ბერძენი უფლისწულები მამისა და პაპის დაღუპვის შემდეგ ფარულად ცხოვრობდნენ კონსტანტინეპოლში და მხოლოდ ლათინებისაგან ქალაქის აღების წინახანებში წამოვიდნენ იქიდან. ალ. ხახანაშვილი ამკარად ცდება, როცა ფინლეის აზრს კიდევ უფრო აღრმავებს— „После занятия столицы Византии латинами, Алексей и Давид скрылись в Колхиде“ (*Трапезундская хроника*, стр. X),—რადგან ჯვაროსანთაგან კონსტანტინოპოლის აღება და ტრაპიზონის დაპყრობა ქართველთა ჯარისაგან თითქმის ერთ და იმავე დროს მოხდა (1204 წლის აპრილში). ჩანს, იგი არც იცნობდა ა. კუნიკის გამოკვლევას. ფალშერაიერის ძველ მოსაზრებათა მოგვიანო ბერძენი მიმდევრები გააკრიტიკა მ. ჯანაშვილმა სპეციალურ წერილში (Тамара Великая и Тамара греческая, ქართული მწერლობა, წიგნი II, ტფილისი, 1909, გვ. 174—179), რომელშიაც აგრეთვე კუნიკისაგან დამოუკიდებლად უკუთავდო ორი თამარის არსებობის ვერსია. გარდა უკვე ნახსენები შრომებისა, ტრაპიზონის იმპერიის დაარსების შესახებ იხ. აგრეთვე: ს. ყაუხჩიშვილი, *ლექციები ბიზანტიის ისტორიიდან*, I წ., თბ., 1948, გვ. 12—13; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბილისი, 1954, გვ. 282—284; მ. კახაძე, ქართველები ბიზანტიის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში, თბ. 1954, გვ. 30—32. ალ. გამყრელიძე, გიორგი აკროპოლიტისი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, მას. საქ. და კავ. ისტ., ნ. 31, 1954, გვ. 225—232.

7. ფრაზა—„გამოილაშქრა კი იბერიიდან“—ბასილი ეზოსმძღვრის ცნობასთან ერთად მკაფიო დამადასტურებელი საბუთია იმისთვის, რომ ეს ლაშქრობა მართლაც საქართველოდან მოეწყო, მაგრამ რა გზით მიაღწიეს ტრაპიზონს, ეს კი მსჯელობის საგანია. ა. ვასილიევი, ეყრდნობა რა ვ. ტომაშეკის გამოკვლევას (W. Tomasek, Zur historischen Topographie von Kleinasien im Mittelalter, Sitzungsberichte d. K. Akademie d. Wissenschaften in Wien, Phil.-hist. Classe, CXXIV, 1891, S. 81), ვარაუდობს, ხმელეთით თბილისიდან ტრაპიზონამდე 8 დღის სავალი იყო, მაგრამ გაურკვეველია, რომელი გზით. ამასთანავე იმეორებს მ. ჯანაშვილის მტკიცებას, რომ თამარის შესახებ თქმულ ქართულ ხალხურ ლექსში ჩანს ისტორიული სინამდვილის ანარეკლი, როცა ქართველთა ჯარმა არზრუმს მიაღწია, ტრაპიზონის იმპერიის შესაქმნელად რომ მიდიოდა (მ. ჯანაშვილი, ქართლის ცხოვრება, გვ. 184, 186). ამ მითითების საფუძველზე დაასკვნის, რომ ეს გზა სწორედ ის ცნობილი გზა უნდა ყოფილიყო, რომელიც ახლანდელი არზრუმიდან (ძველი კარინი ანუ თეოდოსიოპოლი) მიდიოდა ტრაპიზონს; ე. ი. თითქოს სამხრეთიდან მიადგენენ ტრაპიზონს პონტოს ქედის გადალახვით. ამასთანავე ა. ვასილიევი ჰგონია, რომ „მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითის“ წარგზავნა დიდ სამხედრო კამპანიას არ უნდა მოასწავებდეს და თავდაპირველად ამ ლაშქრობას ერთგვარი დამსჯელი ექსპედიციის ხასიათი უნდა ჰქონოდა (იხ. მისი, Foundation, 20).

უპირველეს ყოვლისა უნდა გავითვალისწინოთ, რომ თამარის დროის „მცირედნი ვინმე ლიხთ-იქითნი“ საკმაოდ დიდი სამხედრო ძალა შეიძლება ყოფილიყო, თუ კი მათ ძლევა მოსილად განვლეს შავი ზღვის სამხრეთ სანაპირო აღმოსავლეთიდან თითქმის ბოსფორამდე. ამასთანავე ძალიან ნიშანდობლივად არის ნათქვამი, რომ ეს ჯარი დასავლეთ საქართველოსი იყო, მაშასადამე, დასავლეთ საქართველოდან დაიძრებოდა. დაპრობილი ადგილების თანამიმდევრობაც (ლაზიიდან მოყოლებული) კარგად მიუთითებს, რომ ლაშქარი შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაპირს უნდა ჩაჰყოლოდა სამხრეთისაკენ. შესაძლოა, მართლაც, საზღვაო გზა ვერ გამოეყენებინათ (თუმცა ეს საკითხიც შესწავლას მოითხოვს—უფრო სევარაუდოა, რომ ქართველებს ფლოტიც ეყოლებოდათ შავ ზღვაზე მანძი), მაგრამ სანაპიროზე ხმელეთით ლაშქრობის რაიმე განსაკუთრებით დამბრკოლებელი მიზეზი არ ჩანს. უეჭველად დიდად საყურადღებოა ამ მხრით ამბის თანამედროვე ერთადერთი ბიზანტიელი ისტორიკოსის ნიკიტა აკომინატიცის ანუ ზონიატის (გარდ. 1210 წ.) ცნობაც, რომ ალექსის ძმას დავით კომნინოსს ფაზისთან მცხოვრები იბერთა ჯარიც ახლდა ამ ლაშქრობაში. (Nicetae Choniatae historia ex recensione I. Bekkeri, Bonnae, 1835 pp. 828, 842). ასე რომ, ჩვენი აზრით, ა. ვასილიევის ვარაუდს კარინ-არზრუმის გზით ტრაპიზონს ლაშქრობისათვის უფრო მტკიცე დასაბუთება სჭირდება.

8. მიქელ პანარეტოსის ქრონიკაში წელთაღრიცხვისათვის გამოყენებულია წელთა ანგარიში დასაბამიდან, ოღონდ ბიზანტიური სათვალავით (αριθμοί 'Ρωμανίας), რომლის მიხედვით ქვეყნის გაჩენიდან ქრისტეს დაბადებამდე 5508 წელი ივარაუდებოდა. წლის დასაწყისად მიჩნეულია 1 სექტემბერი. რაც შეეხება ინდიკტიონების ან ქორონიკონის ანგარიშს, თხუთმეტ-თხუთმეტ წლიანი ციკლებია ხანაგარიშევი, ე. ი. მცირე ქორონიკონია გამოყენებული და არა დიდი, რომელიც 532 წელს შეიცავდა.

პანარეტოსის ქრონიკის წლების სათვალავის გადმოსაყვანად ახალ წელთა-
 აღრიცხვანე საჭიროა გავითვალისწინოთ ის, რომ იანვრიდან აგვისტოს ბო-
 ლომდე ბიზანტიური წელი ახალი წელთაღრიცხვის წელს ემთხვევა და ამ უკა-
 ნსკენელის მისაღებად პირდაპირ 5508 წელი უნდა გამოაკლდეს ბიზანტიურ
 წელთა რაოდენობას, ხოლო სექტემბრიდან დეკემბრამდე კი ბიზანტიურ წელთა
 რიცხვს სწორი სათვალავის მისაღებად უკვე 5509 წელი უნდა გამოაკლ-
 დეს (იხ. ამის შესახებ F. K. Ginzel, *Handbuch der mathematischer
 und technischen Chronologie*, B. III, Leipzig, 1914, გვ. 294);
 ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ამ გადმოყვანის დროს, რომელ თვეში მოხდა
 ამბავი, რათა ამის მიხედვით შევუთანასწოროთ იგი ახალი წელთაღრიცხვის
 თარიღს. შდრ. აგრეთვე, კ. კეკელიძე, წელთაღრიცხვა ძველ საქართველოში,
 ეტიუდები, ტ. II, თბ., 1945, გვ. 327—328; A. Mentz, *Zur byzantinischen
 Chronologie*, B. Z. 17 (1908) 471—478; V. Grumel, *Indiction byzantine et
 ἔτος ἔτος*, *Revue des Études Byzantines*, 12 (1954) 128—143.

9. მართლმადიდებლობის დღესასწაული ბიზანტიაში დაწესებული იქნა
 IX საუკუნეში, 843 წლის საეკლესიო კრების შემდეგ. იგი მოდიოდა დიდ-
 მარხვის პირველ კვირას. *Original-Fragmente*, II, 72; *Vasiliev, Foundation*, 30.

10. ანდრონიკე I გიღონ-კომნინოსი (1222—1235), ზო-
 გის აზრით, ის გიღონი უნდა იყოს, რომელიც თედორე ლასკარისის დაქირა-
 ვებულ ჯარისკაცებს სარდლობდა და დავით კომნინოსი, ალექსი I-ის ძმა დაამარ-
 ცხა. მაგრამ ეს ვარაუდი არ მართლდება და არც გარკვეული ცნობები მოიპო-
 ვება ამ მეფის ვინაობის შესახებ. არც ის არის ნათელი, რატომ ავიდა ტახტზე
 ეს გიღონი, სიძე გარდაცვლილი იმპერატორისა, როცა ალექსის ძის იოანეს
 გამეფებას წლოვანება არც თუ მაინცდამაინც შეუშლიდა ხელს. თ. უსპენსკი
 ფიქრობს, რომ იგი ალბათ, ადგილობრივ დიდებულთა წრიდან იყო, ეს გვარი
 ახლაც გვხვდება ამ მხარეში (იხ. მისი, *Очерки*, 35; ისე კი ანდრონიკის მე-
 ფობის ხანას მთელ თავს უძღვნის—*Очерки*, 43—59). მისი გვარი თუ მეტსა-
 ხელი რამდენიმე ფორმით გვხვდება *Γίνων*, *Γήνων*, *Γίνος*. ვრცლად
 არის ლაპარაკი მისი ბრძოლის შესახებ იკონიელ თურქ-სელჯუკებთან პაპადო-
 პულო-კერამევის მიერ გამოცემულ მასალებში (იხ. მისი, *Сборник источников*,
 გვ. 30—31, განსაკუთრებით გვ. 116—133), რომლებიც ადრე ნაწილობრივ
 ფალმერაიერმაც გამოაქვეყნა (*Original-Fragmente*, I). შდრ. *Fallmerayer, Ge-
 schichte*, 109 შმდ.; *Miller, Trebizond*, 19. იხ. აგრეთვე მომდევნო შენიშვნა.

11. მალიქ-სულთან ანუ მელიქ-სულთანი. ამ ხანებში (1223 წ.) იკო-
 ნის სულთანად ჩანს ალა-ად-დინ-ქაი-ქუბად I (1219—1236). მალიქ-სულთანი
 მისი შვილი ყოფილა და აღნიშნულიც არის ასე მეორე წყაროში „*Μελιχ θ σουλ-
 τάνος, θ υνός τον μεγάλου σουλτάνου Ἀλατίνου*“— მალიქ-სულთანი, ძე დი-
 დი სულთნის ალა-ადინისა — (*Сборник источников*, გვ. 117). შეიძლება გვე-
 ფიქრა, რომ ჯარის სარდლად მამამ შვილი გავზავნა, მაგრამ ისიც შესაძლოა,
 რომ თვითონ ალა-ად-დინი იგულისხმებოდეს, რადგან, როგორც ფალმერაიერი
 აღნიშნავს, „მალიქ“—„მელიქ“ სელჯუკიანთა დიდი მალიქ-შაჰის შემდეგ ერთ-
 გვარ საერთო სახელად ექცათ თურქებს (*Original-Fragmente*, I, 109.)
 ამ ბრძოლის ამბების განხილვას საგანგებო შრომები მიუძღვნა ა. კუნიკმა.
 А. Куник, *Сказание митрополита Иоанна о войне Андроника I с султа-*

ном Ала-эддином, в 1223 году. Ученые записки имп. Акад. наук по I и III отделениям, т. II, в. 5, 1854, стр. 736—746; მისივე, Известие Пана-рета о войне трапезундского императора Андроника I с сельджукским султаном Ала-эддином, в 1223 году. იქვე, გვ. 734—736. პაპადოპულო-კე-რამევის მიერ გამოქვეყნებული წყარო კვლავ გამოუცია საბერძნეთში ათონის დიონოსიოსის მონასტრის ბიბლიოთეკარს ევთიმეს (Euthymios) — მას უცნობ ტექსტად მიუჩნევია იგი (იხ. В. Z. 47 [1954] 186).

12. ცალკე სათაურით ლამბროსი გამოყოფს ამ (მე-2) თავის ნაწილს, როგორც უკვე სხვა მეფის ამბის გადმომცემს. ფალმერაიერს ეს სათაურიც მე-2 თავის დასაწყისში აქვს მოთავსებული.

13. იოანე I აქსუხოსის (1235—1238) მეფობა მოკლე და უფერულია. მისი მეტსახელი იშვიათი ჩანს ასეთი ფორმით. ამის პარალელურ ფორმად თუ მივიჩნევთ გვიანი ხანის სიტყვას — *ἄξιονος*, მისი მნიშვნელობა იქნება დაახლოებით — „ღირსეული“, „ღირსი“, „წარჩინებული“ (შდრ. დიმიტრაკოსის ლექსიკონი). ამ სახელის განმარტებას არავინ ეხება უ. მილერის გარდა და ისიც ბუნდოვნად მსჯელობს (Miller, Trebizond, 24).

14. ამ სიტყვაზე (*ἄξιονος* — ექვსი) ჯერ კიდევ ფალმერაიერი შენიშნავდა (Orig.-Fragm., II, 12): მწერლის შეცდომა უნდა იყოს, სამის ნაცვლად წერიაო და ყველა ეთანხმება, რადგან წლების ანგარიში არ უდგება ნაჩვენებ ექვსს (შდრ. Miller, Trebizond, 25).

15. ცხენბურთის (იგივე ჩოგანბურთი ანუ პოლო) სათამაშო მოედანი — *τῆλαχαιστροίον*, თ. უსპენსკის თქმით, ტრაპიზონში ქალაქის გალავნის გარეთ მდებარეობდა (Успенский, Очерки, 12). ჩანს, პოლო ისევე, როგორც შუა საუკუნეების საქართველოსა და საერთოდ ახლო აღმოსავლეთში, ტრაპიზონშიაც ძალიან პოპულარული იყო. სათამაშო მოედნის ბერძნული სახელი გამოპყავთ „ჩოგანის“ აღმნიშვნელი სპარსული თუ თურქული სიტყვიდან, რომელიც ბერძნულად გადმოიცემა, როგორც *τῆλαχαιστροίον*.

პოლოს შესახებ საქმოდ ვრცელი ლიტერატურაა და თამაშის ნაირ-ნაირი სახეობა არსებობს. კერძოდ ქართული პოლოც თავისებურებებით ხასიათდება (იხ. აღ. რომაქიძე, ცხენბურთი, ქართული ნაციონალური სპორტის ერთი სახეობა; თბილისი, 1952; იქვე — საკითხის ისტორია და ლიტერატურა). შესაძლოა ტრაპიზონში სწორედ ქართული სახეობაც იყო გავრცელებული. ვრცლად მსჯელობს ამ თამაშის შესახებ ფალმერაიერი (Original-Fragmente, II, 73—75). იხ. აგრეთვე, Успенский, Очерки, გვ. 59. „ქართლის ცხოვრებაში“ ეს თამაშში „ბურთობის“ სახელის ქვეშ უნდა იგულისხმებოდეს (ქ. ცხ., II, 66, 112), სწორედ თამარის ხანაში. „ვეფხისტყაოსანშიც“ არა ერთხელ გვხვდება მისი ხსენება.

16. მანუილ I (1238—1263) კომნინოსიც ალექსი I-ის ძეა და ტყუილად არ უნდა ამბობდეს მიქელი, სვიანად და კეთილად იმეფაო. ნაწილობრივ მის სახელთან დაკავშირებული ჩანს „კირმანეულის“, ე. ი. „კირ მანუილისეულის“ სახელით ჩვენში, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში, ცნობილი ფული (იხ. Д. Г. Капанაдзе, Грузинская нумизматика, Москва, 1955, стр. 94—96; 155—157). აღსანიშნავია, რომ მის დროს ტრაპიზონის ეკლესიას ერთგვარი ავტონომი-

ური უფლებები მოუპოვებია კონსტანტინოპოლის საპატრიარქოსაგან, რასაც ამტკიცებს ათონზე დაცული ერთი საბუთი 1260 წლის თარიღით. იგი გამოსცა ცნობილმა ლ. პტიმ—L. Petit, Acte synodal du patriarche Nicephore II sur les privilèges du métropolitain de Trébizonde (1^{er} janvier 1260), Изв. Рус. Арх. Института в Константинополе, т. VIII, 1903, стр. 163—171. (არსებობს ცალკე ამონაბეჭდიც გვერდების საკუთარი ნუმერაციით).

მანუილ I-ის დროს კვლავ ქართული ორიენტაცია მძლავრობს—მისი ერთ-ერთი მეუღლე ქართველი ქალია. იხ. Успенский, Очерки, 60—66; მისივე, История, 740—741; Fallmerayer, Geschichte, 125—132; Miller, Trebizond, 26.

17. „ამისივე (ე. ი. მანუილის) მოწვევითა და არჩევითო“, ჩვენის აზრით, იმიტომ არის ხაზგასმული, რომ მანუილ I-ს ბევრი შვილი დარჩა სხვადასხვა ცოლისაგან და ჩანს, თავიდანვე ქიშობა იყო ტახტის მემკვიდრეობისათვის. მას სამი ცოლი ჰყოლია: ერთი ქართველი—სახელად რუსუდანი, მასთან ჰყავდა ასული თეოდორა; მეორე—ანა ქსილალე, მისგან იყო ანდრონიკე II, ხოლო მესამე—ირინე სირაიენე; ამ უკანასკნელისაგან კი გიორგი და იონე II დარჩა. ამ დაძმებს შორის გაუთავებელ ბრძოლასა და შეხლა-შემოხლაში განსაკუთრებით მკაფიოდ ისახება ბიზანტია-საქართველოს მეტოქეობა. საქართველოს მომხრე პარტია ტრაპიზონში საქამოდ მძლავრი ჩანს და ერთ ხანს კიდევ მოახერხებს ქართველი ქალის შვილი თეოდორა ტახტზე დაჯდომას. ანდრონიკის (II-ის) მეფობის ხანაა 1263—1266 წლები.

18. გიორგი I კომნინოსის მეფობა, პანარეტოსის მიხედვით, 1266—1280 წლებზე მოდის. ეს გიორგი უნდა იყოს მოხსენიებული კორიდეთის ბერძნული სახარების ქართულ მინაწერში, რომელიც ამირახორ ვან ჭიას ძეს ეკუთვნის. იქ ნათქვამია: „მქონდა ორ ჭისი მამოლი ორთავე მეფეთაგან, თვით დავით მეფეთ მეფისაგან და ბერძენთ მეფისა გიორგისაგან“ (იხ. Н. Я. Марр, Грузинския приписки греческаго Евангелия из Коридии. Изв. Имп. Акад. Наук, VI серия, 1911, № 4, стр. 223). ამ მინაწერის საფუძველზე გამოაქვთ დასკვნა, რომ რიზეს მხარე და მდ. ჭოროხის შენაკადის მურლულის ხეობა, რომელზედაც მდებარეობს ამავე წარწერაში მოხსენიებული კორიდეთი და სხვა პუნქტები, ამ ხანებში, ე. ი. XIII ს-ის მეორე ნახევარში, წარმოადგენს კონდომიუმს ტრაპიზონის მეფისა და საქართველოს მეფეთ-მეფისას (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ., 1954, გვ. 276). საგულისხმოა, რომ ამ მინაწერში საქართველოს მეფე და ტრაპიზონელი თანხმობაში არიან და შეხმატკბილებულად მოქმედებენ. ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ გიორგი I-იც ქართული ორიენტაციის მტკიცე მიმდევარი იყო და ამიტომ უღალატა კონსტანტინოპოლური ორიენტაციის მაშინ უკვე მომძლავრებულმა თავადთა ჯგუფმა, რომელიც ტახტის პრეტენდენტ მის ძმა იოანეს უჭერდა მხარს (იოანე II-ეს რომ კონსტანტინოპოლისკენ ეჭირა თვალი, აშკარაა).

19. „ტავრეზიონის მთა“ (τὸ βῆμα Τραπεζιῶν) სხვა ბერძნულ წყაროებში ამ ფორმით არ ჩანს (Fallmerayer, Original-Fragmente, II, 75). ცნობილი ტავროსის მთები გაცილებით სამხრეთით ივარაუდება, მაგრამ, როგორც კავკასიონის მთების სახელი, ისე ტავროსისაც, ძალიან პოპულარული იყო და ეტყობა მის ამ მიმსგავსებულ სახელს ტრაპიზონის სამხრეთით გაწოლილ მთავრეზილსაც უწოდებდნენ, რომელიც ჩვეულებრივ ახლა პონტოს მთების სახელითაა ცნობილი. ამას ადასტურებს პაპადოპულო-კერამევისის მიერ გამო-

ცემულ ტრაპიზონის ისტორიის წყაროებში რამდენიმეჯერ მოხსენიებული *Taxeis* და *Στρατηγὸν τῆς Ταξείας* (*Сборник источников*, 82, 118, 128) დაახლოებით სწორედ იმავე მიდამოებში. ერთგან უფრო ნიშანდობლივადაც არის ნათქვამი: რამდენი გაწყვიტეს (იგულისხმება თავდამსხმელი თურქები) მაქუელებმა და ქალდიელებმა ტაეროსის ხეობებში, ვინ მოთვლისო (გვ. 128).

თ. უსპენსკი და ბენეშევიჩიცი წერენ, რომ ტრაპიზონელთა სუმელის მონასტერი სწორედ ტაეროსის მთების მიდამოებში მდებარეობს (*Вазелонские акты*, стр. XXX). შდრ. აგრეთვე, Miller, *Trebizond*, 27.

20. იოანე II (1280—1297 მცირე ინტერვალებით), რომლის ხელიც, საფიქრებელია, ერია ძმის (გიორგის) ტყვედ ჩავარდნის საქმეში, თვითონაც მალე გამხდარა მსხვერპლი, ამჯერად ალბათ გიორგი I-ის მომხრეების მიერ მოწყობილი აჯანყებისა, რომლის მოთავედაც დასახელებულია პაპადოპულოსი. იოანეს კონსტანტინოპოლს წასვლა და იქ მატრიმონიული საშუალებებით დახმარების ძიება გასაქირში მის ყოფნას მოწმობს. მისი მეფობის შესახებ იხ. Fallmerayer, *Geschichte*, 135—157; *Успенский, Очерки*, 67—71; მისივე, *История* 741; Miller, *Trebizond*, 28—30. კონსტანტინოპოლის სამეფო კარისათვის, ცხადია, ტახტის მაძიებელი უფლისწულის გადაბირება უფრო ადვილი იყო.

21. მიხეილ პალეოლოგოსი ბიზანტიის იმპერატორი მიხეილ VIII-ეა (1261—1282), რომელმაც ჯერ ლასკარისების დინასტიის ტახტი მიიტაცა ნიკეაში (იქ იმპერატორობდა 1259—1261 წლებში), შემდეგ კი განდევნა ლათინები კონსტანტინოპოლიდან და ამრიგად კვლავ აღადგინა ძველი ბიზანტიის სახელმწიფო. იგი მარჯვე მხედართმთავარი და გამჭრიახი პოლიტიკოსი იყო და ჩანს, თავიდანვე აღებული ჰქონდა ვეზი ტრაპიზონის ისევ ძველებურად კონსტანტინოპოლის ტახტისათვის დასაქვემდებარებლად. ამ მიმართულებით მისი ცდები და იოანესთან ურთიერთობის ამბავი კარგად არის გაშუქებული პახიმერისისა (G. Pachymeres, *Bonnae*, 1835, v. I, pp. 591—524) და ნიკიფორე ვრიგორასისა (*Bonnae*, 1829, v. I, pp. 148—149) თხზულებებში.

მიხეილ VIII-მ ამიტომ მოიწადინა და მოახერხა კიდევ ტრაპიზონელი კომნინოსის დასიძეება. მაგრამ მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია მან თავის განზრახვას—ზოგიერთი გარეგნული ნიშნის ტარება დაათმობინა იოანეს და აგრეთვე აქედან უნდა იყოს, რომ ტრაპიზონის იმპერატორის ტიტულშიაც ცვლილება მოხდა (Miller, *Trebizond*, 29; *Vasiliev, Foundation*, 34)—იქ „იბერიელები“ გაჩნდა „რომაელების“ ანუ „ბიზანტიელების“ ნაცვლად, რაც უბრალო სიტყვის მასალას წარმოადგენს, რადგან არც მაშინ და არც შემდეგ უშუალოდ იბერიის რომელიმე ნაწილი მთლიანად ტრაპიზონელ კომნინოსთა ქვეშევრდომობაში არასოდეს ყოფილა. ეს შესაძლოა ინითაც დაათმობინა მიხეილ VIII-მ იოანეს, რომ შეჰპირდა, ამის სანაცვლოდ იბერიის—საქართველოს ადგილებს დაგაპყრობინებო, მაგრამ იოანე თავის საკუთარ ტახტზე ტრაპიზონშიაც გაქირვებით მაგრდებოდა და სხვა ადგილების დაპყრობაზე ლაპარაკი ხომ ზედმეტია; თანაც არც მის სიმამრს შესწევდა იმდენი ძალა, რომ კონსტანტინოპოლიდან ასე შორს გამოეწვდინა დამხმარე ხელი ჯერ კიდევ საკმაოდ ძლიერი საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში დასახმარებლად. ასე, რომ მიხეილის დაპირება ამაო გამოდგა, ტრაპიზონელ კომნინოსებს კი ფუქად შერჩათ ტიტულში ვითომ იბერიელთა მეფობა. საერთოდ ტრაპიზონის მთელი ისტორია იმის დამამტკიცებელია, რომ საქართ-

ველოს მეფე-მთავრებთან მორიგება უფრო სასარგებლო იყო მისთვის, ვიდრე მათთან ბრძოლა და ჭიშობა. შდრ. აგრეთვე, შენ. 1.

22. ანდრონიკე პალეოლოგოსი—მიხეილ VIII-ის ძე და მემკვიდრე ანდრონიკე II (1282—1328), ბიზანტიის იმპერატორი.

23. იბერიის მეფე დავითი დავით ნარინია, თამარ მეფის ასულის რუსუდანის ძე, რომელიც მაშინ დასავლეთ საქართველოში მეფობდა (1243—1293). მისი გალაშქრება ტრაპიზონზე სწორედ ქართული ორიენტაციის ძალებისათვის მხარდაჭერის მიზნით უნდა იყოს გააოწვეული. იხ. საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 245—246, 251—252, 257—258; ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ი., წ. III, 149—152, 171—175, 192—212; პ. ინგოროყვა, მერჩულე, 286; Успенский, Очерки, 70—71.

24. ეს გიორგი კომნინოსი ტყვედ ჩავარდნილი გიორგი I უნდა იყოს (შდრ. შენ. 18). ჩანს, ტყვეობიდან თავის დახსნის შემდეგ ტახტის უკან დაბრუნების მცდელობაში და მომარეთა ძებნაში მართლაც სხვადასხვა ქვეყნების მოვლა მოუხდა და ამიტომ ეწოდება მოხეტიალე. იგი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, შესაძლოა, საქართველოდან მხარდაჭერითაც სარგებლობდა. ამ საკითხზე თითქმის ყველა ისტორიკოსი დუმს. მხოლოდ თ. უსპენსკი გამოთქვანს ვარაუდს, რომ ალბად ძმებს შორის რაიმე მორიგება მოხდაო (Успенский, Очерки, 71).

25. თეოდორას გაქცევისა და ტახტზე კვლავ იოანე II-ის დაჯდომის ამბავი დაახლოებით 1285 წელს ივარაუდება (Успенский, Очерки, 71), მაგრამ რამდენ ხანს იყო ტახტზე თეოდორა, არ ჩანს. თ. უსპენსკის ცნობა, რომ „Феодора, бывшая в замужестве за грузинским царем Руссуданом“ (იქვე), რომელიც ნაწილობრივ ზოგმა სხვა ისტორიკოსმაც გაიმეორა, გაუგებარია. რუსუდანი კაცის სახელი ჰგონია—მას შესაძლოა აერია თეოდორას დედის რუსუდანის სახელთან, რომელიც გათხოვილი არა და სწორედ გამოთხოვილი კი იყო საქართველოდან. არც ქართულ და არც ბერძნულ წყაროებში სხვა რაიმე ცნობა მანუილ I-ის ქართველი მეუღლის შესახებ ჯერჯერობით არ ჩანს. იგი საქართველოს სამეფო სახლის შვილი არ უნდა ყოფილიყო, რადგან ეს ვარაუდება საექვოა მემბტიანეს გამოჩენილი ალუნიშნავი. იგი უფრო რომელიმე ქართველი დიდებულის ასული უნდა იყოს, დასავლეთ ანდა სამხრეთ საქართველოდან.

თეოდორას შესახებ თ. ჟორდანიამ გამოთქვა მოსაზრება, რომ (ქრონიკები, II, 158—162) იგი არის დავით ნარინის ის მეუღლე, რომელიც სამ სიგელში მოხსენიებულია „თამარ ემენელასძის“ სახელით. მაგრამ ივ. ჯავახიშვილმა სრულიად საბუთიანად მხარი არ დაუჭირა (იხ. მისი, ქ. ე. ი., III, 149—152), რადგან ჯერ ერთი დავითს ბერძენი უფლისწული რომ ჰყავდა ცოლად, სრულიად გარკვევით აქვს ეამთააღმწერელს აღნიშნული, რომ ის იყო „დედოფალი, ასული მალისა ჯელმწიფისა, პალიალოღოს კონსტანტინეპოლის მეფის ასული“ (ქ. ცხ., II, 261), მეორე კიდევ—თამარ ემენელას-ძე, რომლის საბუთებიც გვიანდელი, XVII ს-ის პირებს წარმოადგენს, ყველგან დიდ პატივად თვლის დავით მეფის მეუღლეობას და საგანგებოდ ხაზს უსვამს, რომ „მათ წინაშე ყოფამან სახელოვან მყოო“ და სხვ., რაც მის სამეფო, მით უმეტეს კომნინოსთა, ოჯახისაგან ჩამომაგლობის შემთხვევაში არ იქნებოდა მოსალოდნელი. იგი, შესაძლოა, მართლაც ძველ ქართველ დიდებულთა ვვარის ამანელის-ძეებისაგან იყო, რომელნიც „ქართლის ცხოვრებაშიაც“

მოიხსენებთან (ქ. ცხ., II, 27, 34) სხვა დიდგვაროვანთა—ვარდანის-ძეთა, სალირის-ძეთა და სხვათა გვერდით, მაგრამ სამეფო სახლის რძღობა კი მისთვის მაინც დიდი პატივი იქნებოდა.

26. კალოიოანე, იგივე იოანე II კომნინოსია, ტრაპიზონის იმპერატორი. ამ ეპითეტს (*καλός*), რაც ნიშნავს „კარგს“, „ლაშას“, „მშვენიერს“, აგრეთვე „კეთილს“ და სხვ., ბიზანტიის ისტორიაში რამდენიმე სხვა იოანესაც მიაკუთვნებენ.

27. ლიმნია, რომელიც არა ერთხელ იხსენიება პანარეტოსის ქრონიკაში და საერთოდ ტრაპიზონის ისტორიაში, იმპერიის მთავარ სანაპირო ციხე-სიმაგრედ და ნავსადგურად ჩანს მის დასავლეთ ნაწილში. ეს უნდა იყოს მოხსენიებული ბასილი ეზოს-მოძღვრის ტექსტში (ქ. ცხ., II, 142) „ლიმონის“, ხოლო იოანე შავთელის „აბდულ-მესიანში“ (იხ. მ. ჯანაშვილის გამოცემა, ტფილისი, 1920, გვ. 17; 44—45) „ლიმონას“ სახელით. თ. უსპენსკიმ იგი იმდენად მნიშვნელოვან პუნქტად ჩათვალა, რომ თავის „ნარკვევებში“ მთელი თავიც უძღვნა მისი ლოკალიზაციისა და ისტორიის საკითხებს (Очерки, 90—99). მისი დასკვნით, იგი უნდა ყოფილიყო თანამედროვე მდინარე ევილი-ირმაკის (ძველი ირისი) შესართავთან, ახლანდელ ქალაქ ჩარშამბას მიდამოებში, ან იქნებ მის ადგილასაც (Очерки, 96). ლიმნიის ადგილმდებარეობისათვის იხ. აგრეთვე, პ. ი. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 273; Ramsay, p. 200; W. Tomaschek, Zur historischen Topographie von Kleinasien im Mittelalter, S. 80; Fallmerayer, Original-Fragmente, II, 98.

28. ხალიზია, რომელსაც ეს სახელი შემორჩენილი აქვს ძველი ხალიზებისაგან, შუა საუკუნეებში, თ. უსპენსკის აზრით, იასონის კონცხის, უნიესა და ლიმნიის სამხრეთით მთავორიან მხარეს გულისხმობდა, მთავარი ქალაქით ნეო-კესარიით (ახლანდელი ნიკსარი) და იგი მდინარე კელკიტის ხეობით ერზინკასა და კამახამდე უწევდა (Успенский, Очерки, 96, 123—124).

ანტიკური წყაროების ერთი ნაწილი ხალიზებს თვლიდა სანაპირო ზოლის მცხოვრებლებად მდ. თერმოდონტსა (თერმე-ჩაი) და კერასუნტს შორის. პეროდოტე (I, 28) და პომპონიუს მელა (I, 105) მდ. ჰალისს (ახლანდელი ყიზილ-ირმაკი) იქითაც გულისხმობენ. სტრაბონის გადმოცემით, ხალიზების შემკვიდრენი მის დროს ქალდეები იყვნენ, რომელნიც ტრაპეზუნტისა და ფარნაკიის ზემოთ ცხოვრობდნენ და ფარნაკია მათ საზღვარში მდებარეობდა (თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის გეოგრაფია, თბ., 1957, 204—9). ძველი ხალიზების სამყოფელის შესახებ იხ. М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, М.-Л., 1956, 25—31. ანტიკური წყაროების მიმოხილვა—Pauly-Wissowa's Real-Encyclopädie, III (1899) 2100.

მიქელ პანარეტოსი ხალიზიასა და ქალდიას საკმაოდ მკაფიოდ ასხვავებს ერთმანეთისაგან (იხ. შენ. 102). შდრ. აგრეთვე პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 203; Original-Fragmente, II, 76—77; I, 115—118.

29. ქრისოკეფალოსის (ე. ი. ოქროსგვირგვინოვანი) ტაძარი ყოვლად წმიდა (პანაგია) ღვთისმშობლის სახელობაზე იყო აგებული, ქალაქის გალავნის შიგნით მდებარეობდა და უმთავრეს წმიდათა-წმიდად ითვლებოდა ტრაპიზონში.

თ. უსპენსკის ვარაუდით, ოქროსგვირგვინოვანი ტაძარს კი არ უნდა რქმეოდა, არამედ ხატს (Успенский, Очерки, 16). იგი ყოფილა სამიტროპოლიტო და სამეფო ტაძარი—უფრო აქ იღვამდნენ გვირგვინს და აქვე

იკრძალებოდნენ ტრაპიზონის მეფეები. ახლა თურქების მთავარ მეჩეთად არის ქცეული და ორთაპისარ-ჯამი ეწოდება. Безобразов, Трапезунт, 27—28; Original-Fragmente, 118—121; Papamichalopoulos, 190—193; N. A. Oikonomides, Χρονισλγγης της ἀποικισμῆσεως τῆς νασῆς της Χρυσουκεφάλου, Ἀρχαῖον Πῶντου 18 (1953) 314—317.

30. ეს არის ალექსი II კომნინოსი (1297—1330). როგორც სხვა ბიზანტიური წყაროები მოწმობენ (Pachymeres, II, 270—275; Nikephoros Gregoras, I, 202, 287—289; ბონის გამოცემები), მას ბიძის, ანდრონიკე II პალეოლოგოსის, სურვილის წინააღმდეგ შეურთავს ქართველი ქალი, ე. ი. აშკარად ქართული ორიენტაცია დაუქერია, ჟამთააღმწერელიც აღნიშნავს, რომ ბექემ ქალი მიათხოვა კომნინოსს (ქ. ცხ., II, 304), მაგრამ ალექსის მაგიერ „კირ მიხაილს“ უწოდებს. ივ. ჯავახიშვილი ასწორებს ამ ადგილს (ქ. ე. ი., III, 256). ალექსი II-ის მეფობისა და მისი საქართველოსთან ურთიერთობის შესახებ იხ. საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 268—269; ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ი., III, 256; პ. ინგოროყვა, მერჩულე, 287—288; Успенский, Очерки, 72—74; Fallmeayer, Geschichte, 158—166; Miller, Trebizond, 33—41; Lampsides, Alexis II Empereur de Trébisonde (1297—1330) et l'église de Rome, B. Z. 36 (1936) 327—329.

31. ბექა, სარგის ციხისჯვარელ-ჯაყელის ძე, მანდატურთუხუცესი, სამცხის მთავარი (1285—1306), ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, რომლის დროსაც განსაკუთრებით მოშენდა და გაძლიერდა სამცხე. იგი იყო დიმიტრი თავდადებულის (1271—1289) სიმამრი და გიორგი V ბრწყინვალის (1299, 1314—1346) პაპა. არა ერთხელ იხსენიება „ქართლის ცხოვრებაში“. კერძოდ ტრაპიზონელ კომნინოსებთან დამოყვრების თაობაზე ჟამთააღმწერელი შემდეგ ამბობს ბექაზე: „ესე ბექა განდიდებულ იყო და აქუნდა ტასისკართან ვიდრე სპერამდე და ვიდრე ზღუამდე: სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ნიგალის-ჭევი, ხოლო ქანეთი სრულიად მოსცა ბერძენთა მეფემან კომნინოსმან კირ მიხაილ, და ასული ბექასი ცოლად მიიყვანა; ამასვე აქუნდა უმრავლესი ტაო, არტანი, კოლა, კარნიფორა და კარი, ამათ შორის ქუეყანანი და ციხენი, არტანუჯი, და უდაბნონი ათორშეტნი კლარჯეთისანი, და დიდებულნი აზნაურნი, და მონასტერნი, ყოველნი მას აქუნდეს, და ხარაჯას მისცემდა ყაზანსა, და ლაშქრითა შეეწეოდა“ (ქ. ცხ., II, 304). აქ აღსანიშნავია, რომ ქანეთი „სრულიად“ მოუტია კომნინოსს, ე. ი. ისე შეგვიძლია გავიგოთ, რომ მთლიანად საქართველოს გამგებლობაში გადმოსულა ეს კუთხე და კონდომიუმზე ამის შემდეგ აღარ შეიძლება ლაპარაკი. იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ი., III, 219—222, 240, 244—246 და სხვ.; მისი სამშენებლო მოღვაწეობის შესახებ—ვ. ბერიძე, სამცხის ხუროთმოძღვრება, XIII—XVI საუკუნეები, თბ., 1955, 15—18, 21, 136 და სხვ.; როგორც კანონმდებელი—ივ. ჯავახიშვილი, ქ. სამ. ი., წ. I, 104—112.

32. კერასუნტი მნიშვნელობით მეორე ქალაქი იყო თვით ტრაპიზონის შემდეგ. ახლანდელი გირესუნის ადგილას ივარაუდება, მაგრამ ანტიკური ხანის კერასუნტი, მკვლევართა აზრით, სხვაგან უნდა ყოფილიყო—უფრო ახლოს (დაახლ. 60 კმ.) ტრაპიზონთან (M. И. Максимова, Античные города..., 71—73), იმპერიის დროს მძლავრი ციხე-სიმაგრე ჰქონია, რომლის ნაშთი ახლაც შეიმჩნევა (Успенский, Очерки, 89; Papamichalopoulos, 256—282;

R. Janin, *Cérasunte, Dict. Hist. et Géogr. Eccl.*, 12 (1950) 154; Ramsay, 325, 447.

33. კუსტუგანი, როგორც ფალმერაიერი აღნიშნავს (Orig.-Fragm., II, 15), ამ ფორმით არც თურქული ჩანს, არც ბერძნული, მისი აზრით, ქუჩუკ-ალა უნდა იგულისხმებოდეს.

34. ლათინების სახელით აქ უნდა მოხსენიებული იყვნენ გენუელები, რომელთაც ტრაპიზონში თავიანთი შენობები და უბანი ჰქონდათ (Успенский, Очерки, 10—11) და ხშირად უთანხმოება მოსდიოდათ ადგილობრივ ხელისუფლებასთან. (Original-Fragmente, II, 15; Miller, Trebizond, 34).

35. გამოთქმა „საზღვაო არსენალი“ შეიძლება მთლიანად არც მიუდგეს სიტყვას—*ξείραρχος*. საერთოდ იგი იშვიათი სიტყვაა. ტრაპიზონის საქმეებთან დაკავშირებით მოიბოვება კიდევ იოანე ლაზაროპულოსის თხზულებაში (Сборник источников, 121) და ეტყობა, აქ აღნიშნულ ადგილს გულისხმობს. გ. ტაფელი განმარტავს. როგორც „navium conficiendarum locus“, ე. ი. ნავების გასაკეთებელი ადგილიაო. ფალმერაიერის თქმით (Orig.-Fragm., I, 133), ამ სიტყვით აღინიშნებოდა კონსტანტინოპოლის საზღვაო არსენალი. ლაზაროპულოსის თხზულების ადგილი გვაფიქრებინებს, რომ ტრაპიზონის *ξείραρχος* (დინიტრაქოსის დიდ ლექსიკონში იგი დაწერილია ფორმით—*ξείραρχος*, ხოლო სიტყვას *ξείραρχος* კი სხვა განმარტება ახლავს) აგრეთვე ზღვის სანაპიროზე მდებარეობდა და მართლაც ნავსამშენებლო და საზღვაო იარაღ-მოწყობილობის საწყობის ფუნქციებს ასრულებდა.

36. ბაირამ-ბეი დაწერილია ბერძნული დამახინჯებული ფორმის შესატყვისად. ბროსე (Lebeau, XIX, 86) ტაფელის თანახმად წერს ფორმით—*Parianès*, ხოლო, ფალმერაიერი—ბაირამ-ბეგს. ბერძნულში ბოლო „გ“ თანხმოვნის არავითარი კვალი ჩანს. თან უფრო სავარაუდოა, რომ იგი თურქი იყო, ამიტომ „ბეი“ ვარჩიეთ. (შდრ. აგრეთვე, თ. 9).

37. „საქონლის სადგომები“ „*ξείραρχος*“ შესატყვისადაა წარმოდგენილი. თურქული *çerge, çergi*, (= *Легкая палатка, навес на двух столбах*) ტაფელს ადგილის საკუთარ სახელად მიუჩნევია და მის კვალს მისდევს ბროსეც (Lebeau, XIX, 86). ფალმერაიერი საქონლის სახელდახელო საზაფხულო სადგომებად თვლის, (Orig.-Fragm., II, 15).

38. სინოპელები—იგულისხმება სინოპელი თურქები, რომელთაც ადრევე ჩაიგდეს ხელში ეს ძველი ქალაქი, ჯერ კიდევ ალექსი I-ის დროს, როცა მოჰკლეს მისი ძმა დავითი (1214 წ.). ძველი სინოპის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბ., 1950, გვ. 110—111; М. И. Максимова, Античные города юго-восточного Причерноморья, 31—52; Ramsay, 27, 31 და სხვ.

39. ანდრონიკე III კომნენოსი (1330—1332). აღსანიშნავია, რომ ორივე მის დაბოცილ ძმას შერქმეული აქვთ იმ დროს საქართველოშიაც გავრცელებული სახელები. რატომ გამოიჩინა ძმების მიმართ ასეთი სისასტიკე, სხვა წყაროებით არ ჩანს.

40. მანუილ II კომნენოსი (1332).

41. ასომატოსის ზუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველია. თუ კონტექსტის მიხედვით ვიმსჯელებთ, ტრაპიზონის ახლოს იგულისხმება. „ასო-

მატოს“ „უხორცოს“ ნიშნავს და ტაძრის სახელი უნდა იყოს (შდრ. ტაფელის განმარტება—Eustathii opuscula, p. XXXIII).

42. ამ ადგილას ტაფელსა და ფალმერაიერს სიტყვა *ἰ χριστιανῶν*, რაც ახალ ბერძნულში „ხალსს“, „სიმრავლეს“, „მასას“ ნიშნავს, შეუსწორებიათ, როგორც *χριστιανῶν* (= „უთავებოლოდ“, „უწესრიგოდ“). ფალმერაიერის, ბროსეს და ხახანაშვილის თარგმანებთან შედარებით ამიტომ არის აქ სხვაობა.

43. ბასილი I კომნინოსი (1332—1340) ეტყობა თავიდანვე (1332) არ დამჯდარა ტახტზე—ჯერ ძმისწული და მოწინააღმდეგენი მოიშორა თავიდან. მისი კონსტანტინოპოლს ყოფნა და შემდეგ პალეოლოგოსის ასულის შერთვა აშკარად მეტყველებს მის ანტიქართულ განწყობილებაზე. მის მიერ დახოცილი დიდებულები სწორედ ქართული ორიენტაციისა ჩანან, ამას სახელებიც უმტკიცებთ. („დუჟა ლეკი ქანქიძე და მთავარსარდალი ჯაბა“—საქართ. ისტორია, ნაწ. I, 269). Успенский, Очерки, 74—77; Fallmerayer, Geschichte, 173—179; Miller, Trebizond, 44—45.

44. ტრაპიზონის იმპერიის სამეფო კარის მოხელეთა და დიდებულთა თანამდებობებისა და ტიტულების საკითხი სპეციალური შესწავლის საგანი, რამდენადაც ვიცით, არ ყოფილა. (მხოლოდ ამ რამდენიმე წლის წინათ გამოუქვეყნებიათ ერთი შრომა, რომლის გაცნობაც ვერ მოგვიხერხდა, Euthymios vom Athoskloster Dionysiu, *Τὰ βυζαντινά τῶν παλαιῶν τῶν Κομνηνῶν τῆς Τραπεζούντης. Ποιταρχή* 'Εστία, 4 [1953] 2163 f.; შდრ. B. Z. 48 [1955] 480). ამიტომ მკვლევართა უმეტესობას ჩვეულებრივ ისე აქვს წარმოდგენილი, თითქოს ტრაპიზონის სამეფო კარი პირდაპირ იმეორებდა კონსტანტინოპოლის სამეფო კარის გარიგებას. მაგრამ ეს არ უნდა იყოს მართალი, რადგან ტრაპიზონში ზოგი აღმოსავლური თანამდებობაც ჩანს (მაგ. ამირახორი და სხვ.) და ზოგსაც ეტყობა, შინაარსი შესცვლია.

კერძოდ „დუქსი“ ანუ „დუკა“ (საბას ორივე ეს სიტყვა აქვს თავის ლექსიკონში: „დუქსი—მეფის შედეგი [უმცროსი], დუკა“, „დუკა—თავადი“) ბერძნების მიერ რომაელებისაგან შეთვისებული სიტყვაა (dux, eis—ბელადი, წინამძღოლი). პირველად იგი ბერძნებშიაც ჯარის წინამძღოლს, მეთაურს ნიშნავდა (უფრო—ათასისთავეს), როგორც სახმელეთო, ისე საზღვაო ჯარში; შემდეგში კი ამ სახელს უწოდებდნენ პროვინციებისა და თემების გამგებლებსაც, რომელთა ხელშიაც სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლება იყო გაერთიანებული. დუქსებად იწოდებოდნენ აგრეთვე დიდი ქალაქების მოურავები. მერე დუქსი ანუ დუკა დასავლეთში დიდ სააზნაურო ტიტულად იქცა თავადის, გრაფის და სხვათა მსგავსად. ლეკის ქაჰინქეოსი, ერთ-ერთი უპირველესი ხელისუფალი იყო ამ დროს და სავარაუდოა—სწორედ ტრაპიზონის მოურავი.

ტრაპიზონის იმპერია სამ ოლქად იყოფოდა, რომელთაც სათავეში სწორედ „დუქსები“ ანუ „კეფალები“ (=თავი, მეთაური, მოურავი) უდგნენ. ეს ოლქები იყო: მატუკის ანუ მაჭუკის, გიმორისა და თვითონ ტრაპიზონისა. ეს დაყოფა უფრო სამხედრო ხასიათს ატარებდა. რაც შეეხება ტრაპიზონის დუქსს ანუ დიდ დუქსს, როგორც თ. უსპენსკი ამბობს, იგი ეწეოდა სახელმწიფოს დიდი მნიშვნელობის როგორც სამხედრო, ისე ადმინისტრაციულ საქმეებში (Успенский, Очерки, 82, 85).

ბიზანტიური ტიტულატურისა და რანგების შესახებაც არ შეიძლება თქმა, რომ ყველაფერი გარკვეულია. უკანასკნელ ათეულ წლებში, განსაკუთ-

რებით გულმოდგინედ მუშაობს ამ დარგში ორი უცხოელი მეცნიერი R. Guiland-ი და V. Laurent-ი, რომლებმაც არა ერთი მნიშვნელოვანი ცალკე გამოკვლევა უძღვნეს სამოხელეო ტერმინების დადგენის საქმეს. ტრაპიზონის მოხელეთა რაობის შესწავლა, წმინდა ბიზანტიურ შესაბამის თანამდებობებთან შეპირისპირებითაც აუცილებელია და, რასაკვირველია, ბევრ რამეს გარკვევს.

45. დიდი დომესტიკოსი ჩვეულებრივ უმაღლესი სამხედრო თანამდებობის აღმნიშვნელად ითვლებოდა ბიზანტიის სახმელეთო ჯარში, R. Guiland-ი 21 ასეთ დიდ დომესტიკოსს ასახელებს (Le grand domesticat à Byzance, Échos d'Orient, 37 [1938] 53—64), ხოლო V. Laurent-ი კიდევ 9 სხვას უმატებს (იმავე ჟურნალშივე—Le grand domesticat. Notes complementaires. Ech. d'Or., 37 [1938] 65—72). ამიტომ უცნაურად ჩანს, რომ წიგნში—Сборник документов, გვ. 304—გვხვდება ამ ტიტულის უკომენტარო განმარტება, მხოლოდ, როგორც „высокий чин, глава правительства“. რუსი ბიზანტინისტი თ. უსპენსკი სწორედ ამ ჯაბაზე შენიშნავს, რომ „Чампа... стоял во главе трапезундского войска“. საკითხი რომ საეგზეთი ნათელი არ არის ტრაპიზონის დიდი დომესტიკოსის შინაარსის გარკვევის საქმეში იქიდანაც ჩანს, რომ ასევე ცნობილი ინგლისელი ბიზანტინოლოგი უ. მილერი იმავე პირის თანამდებობას განმარტავს, როგორც „Minister of the Interior—ე. ი. შინაგან საქმეთა მინისტრად გულისხმობს (Trebizond, 44), ხოლო მთავარსარდლის (Commander-in-Chief) ბაღლად კი მიაჩნია დიდი სტრატოპედარხისი (იქვე, გვ. 47) და პირდაპირ ასეთი ინგლისური შესატყვისითაც იხსენიებს ამ თანამდებობის მქონე სევასტი ჭანიხიტისს. დიდი სტრატოპედარხისის ასეთი განმარტება განსხვავებულია იმ ახსნისაგან, რომელიც ცნობილი კოდინოსის თხზულებიდან შეიძლება გამოვიტანოთ. იქ ნათქვამია, რომ „Ὁ Μέγας Στρατοπεδάρχης ἐστὶν ἐπιμελητὴς τῶν τῆς στρατείας ἐπιτηδεύων ἤτοι τροφίμων, πατρῶν, καὶ πάντων τῶν χρειαζομένων“ (Codini de offic. Palat., cap. 5 num. 20), ე. ი. „დიდი სტრატოპედარხისი არის მზრუნველი (გამგებელი, უფროსი) მხედრობის სურსათისათვის ანუ სასმელ-საქმელისა და ყოველ საჭიროებათათვის“, მაშასადამე დაახლოებით ახლანდელი საინტენდანტო უწყების უმაღლესი გამგებელი გამოდის. დიდი დომესტიკოსი და დიდი სტრატოპედარხისი ორივე რამდენიმეჯერ იხსენიება ჩვენს ქრონიკაში. სხვათა შორის, ერთი დიდებული—გრიგოლ მიზომატისი—ჯერ დიდ სტრატოპედარხისად არის ნახსენები, მერე კი დიდ დომესტიკოსად (ამ უკანასკნელი ტიტულით იხსენიება იგი სხვა წყაროშიაც—Сборник источников, 139) და ისეთ კონტექსტში, სადაც აღწერილია სწორედ ძველი დიდებულების დახოცვის შემდეგ თანამდებობათა ახლად განაწილება სხვა წარჩინებულთა შორის (თ.თ. 10, 11). თუ აქ მემბატინის რაიმე უბრალო შეცდომასთან არა გვაქვს საქმე, ცხადია, მიზომატისი კიდევ დაუწინაურებიათ, რადგან სტრატოპედარხისს თუ კოდინოსის თანახმად გავიგებთ, იგი დიდი დომესტიკოსის, როგორც მთავარსარდლის, ხელქვეითი უნდა ყოფილიყო. მილერის მიხედვით, დიდი დომესტიკოსი შინაგან საქმეთა მინისტრად რომ ვცნოთ, მაშინ დიდი დუქსის შინაარსს საკმაოდ მნიშვნელოვანი მხარე ჩამოაკლდება; ჩანს კი, რომ საშინაო ფუნქციები მის ხელქვეით უფრო იყო. სამწუხაროდ მილერს ამ შრომაში არ მოჰყავს ამ თანამდებობათა შესახებ თავისი დასაბუთება და ბუნდოვანია, რა წყაროებს ემყარება. ზემოხსენებული მეცნიერების სპეციალური შრომების შემდეგ თითქოს საეჭვო

ალარ უნდა იყოს დიდი დომესტიკოსის ხელი—იგი უპირატესად სამხედრო და ისიც უმაღლესი თანამდებობა ტრაპიზონის იმპერიაშიც; ხოლო თუ ეს ასეა, დიდი სტრატოპედარხისი სხვა რამ უნდა იყოს—ეგებ მართლაც მთავარი ინტენდანტის მაგვარი თანამდებობა.

46. „ძმისწული“ ალ. ხახანაშვილის ბროსეს მიხედვით (Lebeau, XX, 483) უთარგმნია, როგორც „двоюродный брат“, (cousin, ე. ი. ბიძაშვილი), რაც არაა სწორი. სხვათა შორის, ბროსე სქოლიოში აღნიშნავს, მანუილი ძმისწული იყო ბასილის და არა ბიძაშვილი, მაგრამ ეს შენიშვნაც ზედმეტია, რადგან მოგვიანო და ახალ ბერძნულში *ἀνεψιός* სწორედ „ძმისწულს“ ან „ღისწულს“ (племянник) ნიშნავს.

47. შეიხ-ჰასანი—ფალმერაიერის ამოკითხულია ასე *Σιχασην*-იდან. საგულისხმოა, რომ ძველ ქართულ ძეგლებშიაც „შეიხი“, როგორც ჩანს, „შიხ“-ად იწერებოდა, შესაძლოა, ცოცხალ მეტყველებასთან მიახლოებული გამოთქმის მიხედვით. ბერძნულშიაც *Σιχ* სრულიად კანონზომიერი შესატყვისი იქნება „შიხ“-ისთვის. შდრ. ქ. ცხ., ტ. II, ნურადინ ამირ შეიხი, 334, 465; ფირ მაჰმად ამირშეიხი, 334, 466; ხოჯა შეიხ-ალი, 332, 468; შეიხ-ბარაიმ თუ ბარაიმ, 336, 468; აგრეთვე ტ. გაბაშვილი, მიმოსლვა, 65—შეიხი იოანე და სხვ. საიდან და ვინ იყო ეს შეიხ-ჰასანი, არ ჩანს.

48. ტამარტა, ფალმერაიერის აზრით, (Orig.-Fragm., II, 17) „deutet klar genug auf „Temirten“, d. i. Eisen-körper“, ე. ი. უნდა ნიშნავდეს „რკინის სხეულიანს“, „რკინის ტანიანს“, „რკინის კაცს“.

49. აქ აღნიშნული პუნქტებიდან უკანასკნელის — მინთრიონის — ადგილმდებარეობა გარკვეულად შეიძლება ჩაითვალოს. მას თურქები ახლა „ბოზთეფეს“ უწოდებენ, ბერძნები კი *Μιλιჭί-ს*. სახელწოდება მინთრიონი, რომელიც ერთბელ კიდევ გვხვდება ამავე ქრონიკაში (თ. 31 — *Μιλιჭίος* წყაყა — მინთროსის სერი ან მითრას სერი), სხვა წყაროებითაც ცნობილია, ოღონდ უფრო სწორი ფორმით (*Сборник источников*, 8, 63 — *Μιλιჭίος*; 10, 63, 92 — *Μιλιჭა* წყაყა). ამ სერზე თუ მთაზე, რომელიც მთელ ქალაქს გადაჰყურებს, ქრისტიანობის წინა ხანაში მართლაც ღვთაება მითრას საკურთხეველი ყოფილა და მისი ნაშთი ახლაც თურმე შეინიშნება (*Успенский, Очерки*, 12; *A. Vasiliev, A note on Peru Tafur, Byzantion*, t. X, [1935] 65—66; მითრას კულტის ძველ საქართველოში არსებობის შესახებ იხ. ს. მაკალათია, ღვთაება მითრას კულტი საქართველოში, საქართველოს მეზ. მოამბე, III, 1927, 179—194).

პანარეტოსის ქრონიკის ამ (თ. 9) ადგილის თანახმად, თ. უსპენსკი ვარაუდობდა, რომ ახანტაკა, ანუ, ხალკოკონდილისის მიხედვით, ახანტა, მითრიონის მთის ახლოს მდებარეობდა და წმ. კვირიკეს ტაძარიც ასევე (*Очерки*, 130). მაგრამ თუ ამ ვარაუდს სწორად ვცნობთ, მაშინ 39-ე თავში მოხსენიებულ ახანტაკას გაიგივება ამ ახანტაკასთან და ხალკოკონდილისის ახანტასთან გაჭირდებოდა, რადგან იგი ტრაპიზონიდან საკმაოდ მოშორებით იგულისხმება; პარხლის მხარეს არის და თანაც იქ თურქ ამირასთან მიდიან, იქიდან კი ლაზიკაში, მაკრეგიალს ჩადიან.

50. იბრაიმი დავწერეთ ფალმერაიერის ვარაუდის თანახმად (*Original-Fragmente*, II, 17). ამ აზრში განგვაშტეკცა იმ გარემოებამ, რომ თითქოს სხვაგანაც გვხვდება მიმსგავსებული ფორმით ამგვარი სახელი. მაგ., ხალკოკონდილისის ტექსტში (იხ. ე. დარკოს გამოცემა) ორჯერ წერია შემდეგნაირად: *Πραξιμα* (ტ. I, 141) და *Πραξιμυ* (იქვე, 143). აქ, შესაძლოა, თან-

ხმოვანი π, რომელიც ბერძნულში ხშირად უცხო „ბ“ ბგერას გადმოსცემს, იოტასთან ერთად დაიკარგა. ტაფელი სიტყვას—*ῥαμίτης* კითხვის ნიშნის ქვეშ განმარტავს, როგორც „მენიჩბეს“ ან „მესაქეს“ (*remex, navis gubernator?*). ბროსე წერს ფორმით—*Raemès* (*Lebeau, XX, 484*).

51. ციხე აქ გადმოსცემს *zaxax*-ს, რომელშიაც ამ შემთხვევაში ტრაპიზონის მეფეთა სამყოფელი აკროპოლისი, მთავარი ციხე-დარბაზი უნდა იგულისხმებოდეს. იგი არაბულიდან („კალა“, „ყალა“) თურქულის გზით შემოსულ სიტყვად ითვლება ბერძნულში (*Original-Fragmente, I, 127; II, 17; Lebeau, XX, 484; Dimitracos, Μέγχι λεξικὸν τῆς Ἑλληνικῆς γλώσσης, τ. V, s. v.*) და ჩვეულებრივ „კოსკს“ უფრო ნიშნავს (შდრ. *Успенский, Очерки, 102*, აგრეთვე, 124; *Fallmerayer, Geschichte, 323*).

52. დედოფალი—აქ და სხვა შემთხვევებში გადმოსცემს ბერძნულ *Δέσπαινα*-ს (გამოითქმის, როგორც „დესპინა“—ნიშნავს „ქალბატონს“, აქედან არის ჩვენში გავრცელებული სახელი დესპინე), რომელსაც უწოდებდნენ ტახტზე მჯდომი იმპერატორის მეუღლეს, ხანდახან კი—დედას. პანარეტოსის ქრონიკაში, მაგ., ალექსი III-ის დასაც ეწოდება (თ. 26). ქართული „დედოფალი“, ჩვენის აზრით, კარგად უნდა ფარავდეს ამ ბერძნულ სიტყვას.

53. ტრაპიზონელი ირინე, როგორც კარგად ჩანს ნიკიფორე გრიგორასის თხზულებიდან (ტ. I, გვ. 548—შმდ.), მეფე ბასილს აღრევე ჰყოლია ხარქად და რადგან პალეოლოგოსის ქალი უშვილო გამომდგარა, დაგვიანებით, მაგრამ მაინც, კანონიერად შეუღლებია თავისი შვილების დედას. ამიტომ უნდა იყოს, რომ როგორც კი ბასილი გარდაიცვალა და ძალაუფლების ხელთ ჩაგდება ირინე პალეოლოგოსმა მოახერხა, ტრაპიზონელი ირინე ორივე შვილითურთ მყის კონსტანტინოპოლს გაისტუმრა, ალბათ ვითარცა ტყვენი. ეს ამბავი და შემდეგ დიდი აღრეულობა და განხეთქილება ტრაპიზონის დიდებულთა შორის (თ. მე-10), პანარეტოსზე უფრო ვიცლად, კვლავ ნიკიფორე გრიგორასს აქვს გადმოცემული (ტ. I, გვ. 680).

54. „თავადები“ ნახარია ბერძნული *ἄρχοντες* ბაღლად. ივ. ჯავახიშვილი (ქ. სამ. ი., წ. II, ნ. I, გვ. 203) წერს, რომ ბერძნული „არხონ“ ქართულ „მთავარს“ ანუ „ეგრისმთავარს“ უდრიდა, მაგრამ ეს ადრინდელ ხანაზე უფრო ჩანს ნათქვამი. ტრაპიზონის იმპერიის „არხონების“ ანუ „არხონტების“ ხასიათი, ქცევა-მოქმედება და მათი დამოკიდებულება სამეფო კართან ბევრით მოგვაგონებს გვიან-ფეოდალური ხანის სწორედ ქართველ თავადობას. ამ საკითხის სპეციალური შესწავლა, დარწმუნებულნი შეიძლება ვიყოთ, ბევრ საერთოს გამოავლენს კიდევ მათ შორის. ამიტომ არის, რომ ჩვეულებრივ ამ სიტყვით გადმოვიღეთ ეს ბერძნული ცნება, მაგრამ ხანდახან „არხონი“ საერთოდ დიდებულის, „კარისკაცის“ მნიშვნელობაააც უნდა გულისხმობდეს (*Сборник документов, 304*).

55. „ორ პარტიაში“ საკმაოდ მკაფიოდ არიან გამოხატულნი ორი ორიენტაციის მომხრენი—ერთის მხრივ არიან ადგილობრივი დიდებულები და წარჩინებული გვარიშვილები, მომხრენი, ჩანს, უფრო ქართული ორიენტაციისა; მეორეს მხრივ კი—ირინე პალეოლოგოსი, რასაკვირველია, თავისი მშობლიური კონსტანტინოპოლის სახლის აშკარა ქომაგი, რომელსაც მხოლოდ მცირე ნაწილი მიმხრობია თავადებისა; მის მთავარ დასაყრდენ ძალას კი წარმოადგენდა უმეტესად კონსტანტინოპოლიდან მოწვეული სამეფო მცველი რაზმის ნაწილი, რომელიც ალაგიონის სახელით იხსენიება იქვე.

56. „ქანიხიტისზე“ ალ. ხახანაშვილი შენიშნავს, „ქანის-ციხესთან“ უნდა იყოს დაკავშირებული და მის პატრონს უნდა ნიშნავდესო (Трапезундская хроника, 25). მართლაც, უფრო ქვევით (თ. 17) ნახსენებიც არის, რომ ამ გვარს ჰქონია თავისი მოსახელე ციხე—„ქანიხა“, ე. ი. „ქანიხიტისი“ გამოდის „ქანიხელი“ ან „ქანისციხელი“ ისე, როგორც, ეთქვათ, ახალციხელი ან სხვ. (შდრ. შენ. 99).

57. დიდი სტრატოპედარხისი (აგრეთვე იხ. შენ. 45) სხვადასხვა ავტორს სხვადასხვანაირად ესმის, როგორც ნაწილობრივ ზემოთაც ითქვა. ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ ეს თანამდებობა ისევე, როგორც ბევრი სხვა ბიზანტიური თანამდებობა, სხვადასხვა დროს სხვადასხვა შინაარსს გულისხმობდა. რამდენად შეუსწავლელია და უყურადღებოდ მიტოვებული ტრაპიზონის იმპერიის ისტორიის ეს დარგი, კარგად ჩანს ცნობილი R. Guiland-ის სპეციალურ გამოკვლევაშიც, რომელიც ამ თანამდებობას მიუძღვნა თავისი ეტიუდების სერიაში (Études sur l'histoire administrative de l'Empire Byzantin. Le Stratopédarque et Le Grand Stratopédarque, B. Z. 46 [1953] 63—90). მან განიხილა როგორც სტრატოპედარხისის, ისე დიდი სტრატოპედარხისის თანამდებობების მქონე პირთა ვინაობა, სადაც კი ჩანან ბიზანტიის ისტორიაში, არც ნიკეის იმპერიისა და მორეის სამთავროს შოხელენი გამორჩენიან (სხვათა შორის აღნიშნავს, რომ დიდი სტრაპოტედარხისის თანამდებობა პირველად გვხვდება XIII ს-ში ნიკეის იმპერიაში, გვ. 70), ხოლო ტრაპიზონის სტრატოპედარხისებზე კი კრინტიც არ არის დაძრული, თუმცა მიქელ პანარეტოსის ქრონიკაშიც და ტრაპიზონის იმპერიის სხვა საისტორიო მასალებშიც არა ერთი ამ თანამდებობის პირია მოხსენიებული. Guiland-ის წერილშიც ჩანს, რომ ზოგი სტრატოპედარხისი და დიდი სტრატოპედარხისი მართლაც საინტენდანტო საქმესთან იყო დაკავშირებული (გვ. 64, 70, 73), საერთოდ კი ფსევდო-კოდინოსის მოწმობით (De officiis, 9, 6), დიდი სტრატოპედარხისი ფრიად მალად თანამდებობას წარმოადგენდა—მას მეცხრე ადგილი ეჭირა რანგების ნუსხაში. უ. მილერის „Commander-in-Chief“ სტრატოპედარხისისათვის ფალმერაიერის განმეორება ჩანს, რომელიც მას „Kron-Oberstfeldherr“-ს უწოდებს (მისი, Geschichte, 334), ხოლო დიდი დომესტიკოსისათვის კი ამბობს: „Megasthenes hatte die oberste Civilverwaltung“-ო (იქვე), ე. ი. სამოქალაქო საქმეთა მოურავობას მიაწერს; მაშინ, როცა ამ საქმის ერთ-ერთი გამოჩენილი თანამედროვე მკვლევარი W. Ensslin-ი კატეგორიულად აცხადებს ჯერ ერთი იმას, რომ დიდი დომესტიკოსი სწორედ გვიანდელ ხანაში გახდა მთელი ჯარის მთავარსარდლის აღმნიშვნელი ტიტული, მეორე კიდევ, რომ მას არასოდეს არაფერი ესაქმებოდა სამოქალაქო ადმინისტრაციასთან (Byzantium, 287, 300). სტრატოპედარხისი, პირველად ვითარცა ლათ. praefectus castrorum-ის (=ბანაქის გამგე) ბადალი, შემდეგ კი, როგორც დიდი სამხედრო ნაწილის ერთგვარი კომენდანტი, განმარტებული აქვს დიმიტრაქოსს (იხ. s. v). სტრატოპედარხისი, როგორც სკაბალანოვიჩი ამბობს, ემსგავსებოდა სხოლის დომესტიკოსისა და სტრატიატის თანამდებობებს და ჩანს, წმინდა სამხედრო-სალაშქრო ჯარების მეთაურადაც შეიძლება ყოფილიყო (Скабаланович, 323—324). არ არის გამორიცხული, რომ ტრაპიზონის იმპერიაშიც დიდ სტრატოპედარხისს რომელიმე საჯარისო ნაწილების სარდლობაც ჰქონოდაც დაკისრებული. საერთოდ კი სათანადო მასალის სიმცირე ძალიან ამწელებს ამ თანამდებობისა და ზოგი 5. მასალები, ნაკვ. 33

სხვა ტრაპიზონული თანამდებობის შესახებ უფრო დაბეჯითებული დასკვნის გამოტანის საქმეს.

58. სქოლარისები და მიზომატისები ფალმერაიერს ესმოდა, როგორც სამეფო კარის მცველი ჯარის და ლეიბგვარდიის ნაწილები, თანაც დასძენდა, სხვაგან არსად გვხვდება ეს სიტყვებიო (Original-Fragmente, II, 18). აღ. ხახანაშვილსაც ასე აქვს გადმოცემული. რაც შეეხება ტაფელს და ბროსეს, მათ სქოლარისები პატარა ასოთი დაუწერიათ, მიზომატისები კი—დიდით (Eustathii opuscula, 363; Lebeau, XX, 484),—მიზომატისი გვარად მიაჩნიათ და ასე განმარტავენ კიდეც (ტაფელი—საძიებელში, ბროსე—იქვე, ცოტა ქვემოთ, სქოლიოში), ხოლო სქოლარისები იმ ადგილას ტაფელს განუმარტებლად აქვს (უბრალოდ შეაქვს საძიებელში, როგორც scholarii Trapezuntini), სხვა შემთხვევებში კი *σχιλαρις*-ს თელის ტრაპიზონულ თანამდებობად თუ ხარისხად (*dignitas Trapezuntina*). ბროსეს (იქვე) მიზომატისები ისევე, როგორც ჭანიხიტისი და კავაზიტისები და სხვები, წარჩინებულ გვარად მიაჩნია, სქოლარისებზე კი სულაც არას ამბობს. ლამბროსსაც ფალმერაიერის მსგავსად პატარა ასოებით უწერია ორივე სიტყვა.

ჯერ კიდეც ადრე, ლამბროსისა და ხახანაშვილის გამოცემების დაბეჭდვამდე, ტრაპიზონის ისტორიისა და ბერძნული ფილოლოგიის შესანიშნავ მკოდნეს, პაპადოპულო-კერამევსს თავისი ტრაპიზონის ისტორიის წყაროთა კრებულის ერთ-ერთ სქოლიოში (Сборник источников, 134) ამ ადგილის ტექსტი ფალმერაიერიდან აქვს დამოწმებული, მაგრამ ამ სიტყვებს ასომთავრულით იწყებს, ოღონდ რაიმე შენიშვნას კი არ ურთავს. შემდეგ ამ ადგილის გაგების საკითხს სპეციალური მოკლე ნაშრომით გამოეხმაურა ასევე ცნობილი ბერძენი ფილოლოგოსი N. Βέγς (B. Z. 17 [1908] 487—„Είς τὴν παραεξουσίαν των χριστιανῶν Μιχαήλ Παναρέτου“), რომელმაც აღნიშნა, რომ სქოლარისები და მიზომატისები ამჟამად აქ გვარების აღმნიშვნელი სიტყვებიაო. იმავე წყაროში, რომლის სქოლიოდაც პაპადოპულო-კერამევსმა მოიტანა ეს ადგილი (იქვე, გვ. 134), ნათქვამია, რომ განხეთქილების შემდეგ ამიძანტარანტებად და სქოლარანტებად (სქოლარისებად) გაიყვნენო, ე. ი. მკაფიოდ ჩანს, რომ განცალკევებულ პარტიებს უფრო გავლენიანი მეთაურების გვარების მიხედვით შერქმევიათ სახელი. ისედაც მელავნდება თვით ამ ქრონიკიდანაც, რომ სქოლარისები მართლაც ერთ-ერთი ყველაზე უფრო მძლავრი და დიდი გავლენის მქონე გვარი ყოფილა. ასე რომ შესაძლებლად უნდა მივიჩნიოთ ამ კონიექტურის მიღება. ამ თვალსაზრისით გადასასინჯია ნიკიფორე გრიგორასის თხზულების ის ადგილებიც, სადაც სქოლარიოსები თუ სქოლარისები არიან მოხსენებულნი სწორედ ამ ამბებთან დაკავშირებით. სქოლარისების გვარზე დაბეჯითებით ლაპარაკობს თ. უსპენსკი პანარეტოსის ტექსტთან კავშირში (Очерки, 102, 107, 110), მაგრამ ნიკიფორეს ტექსტს კი არავითარ შენიშვნას არ უკეთებს. ამ სქოლარისების გვარის სწორად ამოცნობის საქმე, ეტყობა, იმან გააბუნდოვნა, რომ აღრინდელი ბიზანტიელი მწერლების პროკოპისა (Arg., 24) და ავათიას (5, 15) თხზულებებში, აგრეთვე იუსტინიანეს ნოველებშიაც (Just., 117, 11) და სხვაგან *σχιλαρις* და *σχιλαί* (ლათ. scholae) მართლა აღნიშნავდა საიმპერატორო გვარდიის რაზმებსა და მეომრებს, მაგრამ შემდგომში, გვიანბიზანტიურ ხანაში და ისიც ტრაპიზონის იმპერიაში, ჩანს, უკვე გვარადაც ქცეულა.

59. კამაქინოსის გვარს (Καμαχιδης) ბროსე უკავშირებს (Lebeau, XX, 484) მდ. ევფრატის ზემო ნაწილში მდებარე ქალაქ კამაქას, კამახას ანუ კემახს. შდრ. Honigmann, Ostgrenze, 56—57; Гр. Капанян, Хапаса—колыбель армян, Ереван, 1947, 46—51. კამაქა-კამახა დაახლ. 38 კმ-ზე უნდა იყოს ერზინჯანიდან (Успенский, Очерки, 90).

60. სამეფო ალაგიონი—მეფის პირად მცველთა რაზმს აღნიშნავს (იხ. დიმიტრაკოსის ლექსიკონი, s. v., სადაც კონსტანტინე პორფიროგენეტს იმოწმებს). მაგრამ ფალმერაიერი ამ სიტყვას ბიზანტიურ ἀλλόγειον-ს კი არ უკავშირებს, არამედ აღმოსავლურ ἄλακιეთ-ს, რომელსაც ამ ხანებში ცხენოსან მცველთა რაზმს უწოდებდნენ ეგვიპტის მამლუქთა სულთნის კარზეო (იხ. Original-Fragmente, II, 18; შდრ. Вазелонские акты, стр. 75, СХІІІ). საგულისხმოა, რომ სწორედ ასევე ცხენოსანი განსაკუთრებული რაზმი ჩანს ბიზანტიის იმპერატორის „ალაგიონიც“ XI საუკუნეშივე (Скабанович, 327).

61. წმ. ევგენის ტაძარი და მონასტერი ქალაქის გალავნის გარეთ მდებარეობდა (Успенский, Очерки, 14), ქალაქის მფარველი წმიდანის სახელობაზე იყო აგებული და მნიშვნელობით ქრისოკეფალოსს თუ უთმობდა პირველობას. ეს ტაძარიც გადაქცეულია მეჩეთად და ჰქვია ახლა იენი-ჯუმა. სწორედ ამ დროს, 1340 წელს, მომხდარ ბრძოლებში ისე მიძიმედ დაზიანებულია, რომ თითქმის სულ მთლიანად განახლება დასჭირებია. იხ. Безобразов, Трапезунт, 24—27; Успенский, Очерки, 22 და სხვ.; Original-Fragmente, I, 124; Paramichalopoulos, 183—184.

62. პარხალი ანუ პარხარი, რომლის ლოკალიზაციაც ვერ შესძლო ფალმერაიერმა (Orig.-Fragm., II, 19), ხოლო ბროსემ კი ბუნდოვნად მოხაზა („მთა და მთაგრეხილია ყარსის, ახალციხისა და ტრაპიზონის საფაშოებს შორისო“—Lebeau, XX, 485), პირველად ალ. ხახანაშვილმა დაუკავშირა საქართველოს ისტორიასა და გეოგრაფიაში კარგად ცნობილ პარხალს (Трапезундская хроника, 25, 32). ვახუშტი ასე აღწერს პარხალს: „არამედ ართვანს ზეითი, იდამდე, ქოროხის დასავლეთისა, თორთომის მთის აღმოსავლეთით არს პარხალი ანუ ტაოსკარი ანუ ტაო. და მზღვრის იმას: აღმოსავლით ქოროხის მდინარე; სამკრით თორთომიდან ჩამოსული მთა იდამდე; დასავლით თორთომის მთა; ჩრდილოთ ქოროხი და ისპირის მთა“ (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ. 1941, 138). მაგრამ გ. ყაზბეგი ვაცილებით უფრო ვიწრო ფარგლებში აღწერს პარხალს—ფაქტიურად თითქოს მხოლოდ ახლანდელი მდ. პარხლის ხეობაში ათავსებს მას (Казбек, Три месяца, 118—124). საინტერესოა, რომ ვახუშტის თხზულებაში „პარხალი“ სტრიქონს ზემოდან წერებულა, იგი ალბათ ჩამატებულია ლეონტი მროველის ტექსტის იმ ადგილის გავლენით, სადაც გვხვდება ფრაზა—„ქუეყანასა პარხლისასა, რომელ არს ტაო“ (ქ. ცხ., I, 48), ე. ი. პარხალი აქ აღიქმება საქართველოს მთელი ერთი დიდი ისტორიული პროვინციის სინონიმად. შესაძლოა ადრინდელ ხანაში ამ გაიგივებას თავისი საფუძველი ჰქონდა, მაგრამ ვახუშტის დროს კი, მისი ტექსტიდანაც ჩანს, რომ საეჭვოა კვლავ ასეთი ფართო ვაგებით ყოფილიყოს ნახმარი ეს სახელწოდება. პარხლის მდებარეობა პარხლის ტაძრის აღწერასთან დაკავშირებით მოცემული აქვს ექ. თაყაიშვილსაც, რომელსაც გ. ყაზბეგის ცნობებთან ერთად სომეხი ლუკა ინჯიჯიანის საინტერესო აღწერილობაც მოჰყავს (Археологическая экспедиция в южные провинции Грузии, Тбилиси, 1952, 90—91).

პარხლის მთებს ჩვეულებრივ აიგივებდნენ ანტიკური წყაროების პარი-ადრის მთებთან (ივ. ჯავახიშვილი, ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, 259—260), მაგრამ ეს მოსაზრება უკუაგდო ს. ჯანაშიამ შრომაში „პარიადრი, სკიდისი, მოსხური მთები“, (იხ. მისი, „შრომები“, ტ. II, თბ., 1952, 262 შმდ.). პარხალი უკავშირდება აღრებიზანტიური წყაროების ბარხონს (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგია, II, ტფ., 1934, 186, 188); პ. ინგოროყვა კი მას აიგივებს ანტიკური სკიდის-შქვიდისის მთებთან (იხ. გიორგი მერჩულე, 483—484). იმ პერიოდისათვის, რომელსაც ტრაპიზონის ქრონიკა ეხება, ქრონიკის პარხარი დაახლოებით იმავე ახლანდელი პარხალ-დაღის ანუ პარხლის მთებსა და ხეობაზე უნდა ვივარაუდოთ. ბაიბურთისა და სპერის ჩრდილოეთით გულისხმობს მას ჟამთააღმწერელიც, რომელსაც ძალიან საყურადღებო ცნობა აქვს სწორედ მიქელის ქრონიკის ტექსტის გაგებისათვის. იგი აღნიშნავს, რომ სამცხის მთავრის, ცნობილი ბექას დროს „გამოჩნდეს თურქნი საბერძნეთს მყოფნი, რომელნი დაემკვდრნეს ზაფხულის მთათა პარხლისათა და ზამთრის მახლობელად პონტოსა“ (ქ. ცხ., II, 310) და მეორე ადგილიც (იქვე, გვ. 312) მოწმობს, რომ პარხლის მთები თურქებს საზაფხულო საძოვრებად უქცევიათ. ბექას დროს, თვით ბექასივე ინიციატივით, სასტიკად დაამარცხეს ქართველებმა ეს თურქები, რომელთაც ვინმე აზატ-მოსე ბელადობდა, მაგრამ შემდგომში, საფიქრებელია, თურქების მომთაბარე ურდოები დროდადრო კვლავ ამოდიოდნენ ამ ადგილებში და ვინაიდან იქიდან ტრაპიზონის ქვეშევრდომ მხარეებსაც არ ექნებოდა მოსვენება, ამიტომ გაუსვევიათ ტრაპიზონელებს მარბიელი ჯარი პარხლის სანახებში მდგომი თურქებისათვის.

პარხალი გვხვდება კიდევ ქრონიკის 23-ე და 39-ე თავებშიც.

63. ამ იდელები — თურქები ზემო მესოპოტამიის ქ. ამიდისა, რომელიც ახლა დიარბექირის სახელით არის ცნობილი (Orig.-Fragm., II, 19; Капанян, Хайаса—колыбель армян, 131); გვიან ანტიკურ ხანაში ავეუსტას მეტსახელიც ერქვა (Honigmann, Ostgrenze, 4, და სხვ.). იქაური თურქების თავდასხმა რამდენიმეჯერ არის მოხსენიებული ქრონიკაში.

64. ამ დოლინოსის ძეთა მამად თუ სახლიშვილად თვლის ფალმერაიერი იმ პირს, რომელიც ტრაპიზონის ერთი კერძო შენობის კედელში ჩატანებულ ფრაგმენტულ წარწერაშია მოხსენიებული. იხ. Orig.-Fragm., II, 79. გ. ტაფელს დოლინოსი და მისი ძენი ამიდელები ჰგონია.

65. ეს ანდრონიკე პალეოლოგოსი არის ბიზანტიის იმპერატორი ანდრონიკე III (1328—1341).

66. ბიზანტიელებში აქ, როგორც ნიკიფორე გრიგორასის ტექსტიდან ჩანს (ტ. I, გვ. 549), ირინე პალეოლოგოსის კონსტანტინოპოლელი დაქირავებული ჯარი უნდა იგულისხმებოდეს, რადგან მათზეა ნათქვამი, უომრად უკუიქცნენო.

67. ანა I ანახტლუ (1341), ალექსი II-ის უფროსი ასული, აღბათ ბექას ასულთან არის ნაყოლი. ეს იქნებოდა მამ გიორგი V ბრწყინვალის დეიდაშვილი და, რასაკვირველია, ტრაპიზონში მომხდარი არეულობის ამბავი ისეთ გამჭირვალ პოლიტიკოსს, როგორც გიორგი V იყო, არ გამოეპარებოდა. ნიკიფორე გრიგორასის გადმოცემული ამბავი, რომ ირინეს მოწინააღმდეგე პარტიამ დაარწმუნა ანახტლუ, სამონაზვნო სამოსი გაეხადა და ლაზიკას გაქვეუდო, მართლაც საფიქრებელია, სწორედ გიორგის ხელისშეწყობითა და ინიციატივით მომხდარიყო (ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ი., III,

279—280). ივ. ჯავახიშვილის აზრით, ორი კვირაც არ მოსდომია ანახუტლუს ტრაპიზონიდან გაქცევას ლაზიკაში, რომელიც მას დასავლეთ საქართველოდ მიაჩნია, და იქიდან ლაზთა ლაშქრითურთ უკან მობრუნებას (იხ. იქვე, გვ. 278—279). მაგრამ სავარაუდო კი არის, რომ ანახუტლუს ტრაპიზონიდან წასვლასა და უკან დაბრუნებას შორის გაცილებით მეტი დრო გაივლიდა და უფრო ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდიც ექნებოდა მთელ ამ საქმეს. ამას ვვაფიქრებინებს მიქელ პანარეტოსის ქრონიკის ერთი ფრაზა, რომელსაც მოადევნებს 1341 წლის 4 ივლისს ამიღელი თურქების თავდასხმის ამბავს, — „მაგრამ ამაზე აღრე... ანამ... სამონაზვნო სამოსი გაიძრო, წავიდა ლაზიაში და იქ გამაგრდო“, ე. ი., რასაკვირველია, აღრევე გამოსულა მონასტრიდან და წასულა ლაზიას და არა თავდასხმის დღეებში. თანაც ამ ლაზიაში თუ დასავლეთ საქართველოს ვიგულისხმებთ, მაშინ ხომ კიდევ უფრო ძნელი შესათანხმებელი იქნება ეს მონაცემები, რადგან იქ მისვლას, გამაგრებას, ე. ი. სათანადო სამხედრო ძალების მოკრეფას, და მერე გამოლაშქრებას კიდევ უფრო მეტი დრო მოუწოდებოდა, მაგრამ ასეთ რთულ სიტუაციაში ორი კვირის ვადა თვით ჩვეულებრივ ლაზეთის სახელით ცნობილი მხარიდან (რიზე-ათინის ოლქი) ჩამოსასვლელადაც კი არ იქნებოდა, ჩვენის აზრით, საქმარისი. უნდა ვივარაუდოთ, რომ ბასილ I-ის გარდაცვალებისა და ირინე პალეოლოგოსის გამაბატონებიდანვე უნდა დაწყებულიყო ანახუტლუს მომხრეთა მოქმედება და მისი ლაზეთს წასვლაც აღრევე უნდა მომხდარიყო, ეგებ იმაზე აღრეც, ვიდრე ქანიხიტისი და მისი მომხრეები ტყვედ ჩაცვივდებოდნენ. შდრ. აგრეთვე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, 274; ინგოროყვა, მერჩულე, 287—288; Успенский, Очерки, 80; Miller, Trebizond, 49—50.

68. დიდი ქალაქი—იგულისხმება კონსტანტინოპოლი.

69. ლაზეთის ამ საქმეში მონაწილეობა ადასტურებს, რომ ისინი ანახუტლუსთან ერთად ჩამოსვლის შემდეგ ტრაპიზონშივე დარჩენილან და მალევე ამიღელი თურქების თავდასხმის უკუგდებაც მათი მონაწილეობით უნდა მომხდარიყო. შდრ. ივ. ჯავახიშვილი, იქვე, გვ. 280—281; Успенский, Очерки, 104—105.

70. ინეონი—თანამედროვე უნიე, ყოფილი ქალაქი და სიმაგრე იასონიოსის კონცხის დასავლეთით. ხელნაწერის წაკითხვა—*სασιον*—ახალბერძნული გამოთქმის გავლენით უნდა იყოს დაწერილი, რადგან ი-სა და ს-ს შორის ახალ გამოთქმაში განსხვავება არაა—ორივე „ი“-ს გამოხატავს. შდრ. Original-Fragmente, I, 113, 115—118; II, 18; Lebeau, XX, 486—487.

71. კონიექტურა *παιματον* კონტექსტით სრულიად გამართლებული ჩანს; მართლაც სარგალეს დახრჩობაზე უნდა იყოს ლაპარაკი და არა მხოლოდ დაცინვაზე ან მასხარად აგდებაზე, როგორც ეს ტაფელს, ბროსეს და ხანაშვილს ესმით. დიმიტრაკოსის ლექსიკონშიც *ἡ παιματον* სწორედ ტაფელის გამოცემაზე მითითებითა და ამ ადგილის მიხედვით არის განმარტებული, როგორც „დაცინვა“, „გაქირდება“. ფალმერაიერს თარგმანში სწორად აქვს — „Sargale... ward erdrosselt...“ (Original-Fragmente, II, 49). ასევე სწორად აქვს თარგმნილი და გასწორებული თ. უსპენსკის (Очерки, 106).

72. წმ. საბას გამოქვაბული—კლდეში გამოკვეთილი მონასტერი, ახლანდელი ბოზ-თეფეს მთაზე (Lebeau, XX, 487). მასში ასევე მხოლოდ თოკის კიბით ყოფილა შესაძლებელი. იგი გადმოჰყურებდა ზღვას, ქვემოთ გა-

დაშლილ ტრაპიზონს (*Успенский, Очерки, 106*) და, როგორც ჩანს, ერთგვარ სატუსალოდაც იყენებდნენ წარჩინებულ სახელმწიფო დამნაშავეთათვის.

73. ამ უწარჩინებულეს თავადებში ანუ არხონტებში, ჩანს, იგულისხმებიან ქართული ორიენტაციის მომხრე დიდებულები, რომელნიც ამჯერად დამარცხდნენ კონსტანტინოპოლის კარის ხელშეწყობით გაძლიერებულ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში. ამიტომ ხდება დიდი თანამდებობების განაწილება გამარჯვებულთა პარტიაში. ტრაპიზონის იმპერიის სამოხელეო ტიტულების შესახებ ნაწილობრივ ზემოთაც გვეკონდა მსჯელობა (იხ. შენ. 44, 45). აქ, მათ გარდა, კიდევ სხვებიცაა წარმოდგენილი. მართალი უნდა იყოს თ. უსპენსკი, როცა ამბობს, ამ ტიტულებისა და თანამდებობებისათვის კიდელი უთუოდ იმითაც არის გამოწვეული, რომ ეს ტიტულები ფუჟ სიტყვას კი არ წარმოადგენდნენ, არამედ მათთან დიდი ნივთიერი სარგებლიანობაც იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით მიწებისა და სოფლების სახით (*Очерки, 112*; საერთოდ ამ ხანებში მომხდარ სახელმწიფო გადატრიალებათა შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. იქვე, გვ. 99—113).

74. პროტოვესტიარიოსს ჩვეულებრივ განმარტავენ, როგორც ბიზანტიის იმპერატორის პირადი სამოსსაცავის და სალაროს (*βασταριον*—ლათ. *vestiarium; vestis*—სამოსი, ტანსაცმელი) გამგებელს (*Byzantium, 287; Fallmerayer, Geschichte, 333; Miller, Trebizond, 54*). იხ. აგრეთვე, R. Guiland, *Le protovestiaire Georges Phrantzes. Rev. Ét. Byz., 6 (1948) 48—57*, რომელშიაც დიდი დუკას ანუ დუქსისა და დიდი ლოგოთეტის თანამდებობებსაც ეხება ავტორი. კოდინოსის თანახმად, პროტოვესტიარიოსს სამეფო კარზე მეექვსე ადგილი ეჭირა. სკაბალანოვიჩის გამოკვლევით, ეს თანამდებობა ერთ-ერთი უახლოესთაგანი იყო იმპერატორის პიროვნებასთან და იგი ასრულებდა ობერცერემონმაისტერის მოვალეობას დიდი სამეფო დარბაზობების დროს (იხ. *Скабаланович, 171—172*). მაგრამ ეს უკანასკნელი გარემოება არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ამ თანამდებობის თავდაპირველი შინაარსი სრულიად შეიცვალა და რომ სამოსსაცავისა და სალაროს გამგეობა აღარ ეკისრებოდა.

75. ეპიკერნისი — ფალმერაიერის „Oberst - Mundschenk“ (*Geschichte, 333*) და მილერის „High Steward“ (*Trebizond, 52*)—დაახლოებით ჩვენი კარის გარიგების მელვინეთ-უხუცესს უნდა უდრიდეს.

76. დიდი ლოგარიასტისი ფალმერაიერს ლოგოთეტის ბადალად და კანცლერად ესმის (*Geschichte, 334*), ალ. ხახანაშვილი ინტენდანტად თარგმნის (*Трапезундская хроника, 27*), თ. უსპენსკისაც დიდი ლოგოთეტის სწორად მიუჩნევია (*Очерки, 111*). ჩვენი აზრით, კეშმარიტებისთან უფრო ახლოს უნდა იყოს უ. მილერი, რომელიც ფინანსთა მინისტრად თვლის მას (*Trebizond, 52—53*). შდრ. ახალ ბერძნულში სიტყვას *λογαριαστής* (= მონაგარიშე, კალკულატორი, ბუხჰალტერი). ტრაპიზონში რომ კანცლერის თანამდებობის აღმნიშვნელი ყოფილიყო, საფიქრებელია, უფრო წინ, სხვა თანამდებობაზე ადრე მოიხსენებდნენ ამ ჩამოთვლების დროს.

77. კარაკიმომენოსი—ლათ. *Cubicularius principis*, ჩვენი კარის გარიგების მესაწოლეთ-უხუცესის ბადალი ჩანს თავისი პირველი მნიშვნელობით. ადრე მისი მოვალეობა მარტო მეფის საწოლის გამგებლობით ყოფილა შემოზღუდული (შდრ. *Byzantium, 287*), ხოლო შემდგომში, კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე, ორად გაყოფილა ეს თანამდებობა—ერთს ეკისრებოდა

მეფის ფარეშთა ზედამხედველობა, მეორეს კი ებარა მეფის ბეჭედი, ოღონდ პირველი მათგანი უფრო მაღალი ხარისხისა იყო. ფალმერაიერი „Oberst-Kämmerer“-ად განმარტავს (*Geschichte*, 333), მილერი — „Chamberlain“-ნად (*Trebizond*, 53), უფრო მკაფიოდ კი არ ჩანს, კერძოდ ტრაპიზონელი პარაკიმომენოსი რა მოხელე იყო.

78. ამირჩანტარიოსი თუ ამირცანტარიოსი ხელნაწერისა ფალმერაიერსაც და ტაფელსაც ამირ-ჩაუშად აქვთ ამოკითხული. იგი თურქ-სელჯუკებისგან შეთვისებულად ითვლება და ეს თანამდებობა კონსტანტინოპოლის სამეფო კარზეც ჩანს. ამირ-ჩაუში ანუ დიდი ჩაუში განსაკუთრებულ სამეფო დავალებათა მოხელედ ითვლებოდა, როგორც კოდინოსის თხზულება ამტკიცებს (*De officiis*, თავი 2, 56). შესაძლოა, ჩვენი კარის გარიგების ამირ-ჩაურის ანუ შიკრიკთ-უხუცესის მსგავსი თანამდებობაც იყო (იხ. კარის გარიგება, 9, 17). ფალმერაიერის აზრით, იგი Oberst-Hofmarschall-ია (*Gesch.*, 334) ანუ Oberst-Ceremonienmeister-ი (იქვე, გვ. 323). მილერი მარშლად იხსენიებს (*Trebizond*, 53).

79. დიდი კონტოსტავლოსი — უნდა მოდიოდეს ლათ. Comes stabuli-დან (=საჯინიბოს გამგე, მეჯინიბეთ-უხუცესი). XII საუკუნეში კონტოსტავლოსი ანუ კონოსტავლოსი უკვე სამხედრო თანამდებობად ჩანს, ხოლო დიდი კონტოსტავლოსი კი XIII საუკუნიდან ჩნდება; როგორც ფსევდო-კოდინოსი მოწმობს, ნაქირაგები უცხოელი მეომრებისაგან (უმთავრესად ევროპელებისაგან) შემდგარი ჯარის ნაწილის მეთაურად ითვლებოდა კონსტანტინოპოლის კარზე და მეთერთმეტე რანგისა იყო. ამ თანამდებობის შესახებ სპეციალური გამოკვლევაც R. Guillard-ს ეკუთვნის იმავე ეტიუდების სერიაში (*Études sur l'histoire administrative de l'Empire Byzantin. Le grand Connétable, Byzantion*, 19[1949] 99—111), მაგრამ ტრაპიზონის მასალას აქაც არ იყენებს. ნაქირაგები ჯარი ტრაპიზონის სამეფო კარზე დიდ როლს ასრულებდა, ყოველთვის ბლომად იყო, ოღონდ უფრო კავკასიიდან, კერძოდ საქართველოდან შეკრებილი კონტინგენტებისაგან შედგებოდა. ასე რომ სრულიად შესაძლოა ტრაპიზონელი დიდი კონტოსტავლოსის თანამდებობაც მისი მეთაურის მოვალეობასთან იყო დაკავშირებული.

80. წმიდა ანდრია — ადგილის, სიმაგრის სახელად ესმის ფალმერაიერს (*Geschichte*, 303), ხოლო მილერი დაბად თუ ქალაქადაც (*Trebizond*, 53) თვლის. იგი ინეონის მხარეს, ტრაპიზონის დასავლეთით იგულისხმება, მაგრამ ნამდვილი ადგილმდებარეობა გაურკვეველია. შესაძლოა, რომ ისევე, როგორც შუა საუკუნეების ბევრი სხვა მონასტერი, ისიც გამაგრებულ ეკლესიასა და მონასტერს წარმოადგენდა (შდრ. ბროსეს შენ. Lebeau, XX, 488).

81. იანუელეებში აქ გენუელები უნდა იგულისხმებოდნენ (იხ. ტაფელი, *Eustathii opuscula*, p. XXXV). იმ დროს გენუელებს მძლავრი ფაქტორიები ჰქონდათ შავ ზღვაზე და მშვიდობიანი ვაჭრობის წარმოების გარდა, მათი ხომალდები ხშირად თავდასხმებსაც ახდენდნენ სანაპირო ქალაქებზე. ბროსეს გაურკვეველად მიაჩნია, ეს სიტყვა რომელიმე გვარის აღმნიშვნელია თუ ეროვნებისა (*Lebeau*, XX, 488).

82. ეზინკელი — ეზინკის, ერზინკის ანუ ახლანდელი ქალაქ ერზინჯანისა და მისი სანახების თურქი მფლობელი. იგი ტრაპიზონის იმპერიის მო-

საზღვრე იყო სამხრეთით და, ხშირად აწიოკებდა მეზობლის სამფლობელოს. ეზნიკა მრავალგზის იხსენიება ქართულ წყაროებშიაც და საინტერესოა, რომ უფრო ხშირად სწორედ ფორმით „ეზნიკი“ და არა „ერზნიკი“ (შდრ. ქ. ცხ.. ეზნიკი—ტ. II, 48, 100, 192; „ეზნიკელი“ და „სულტანი ეზნიკისა“—ტ. II, 133, 140, 213) და მართლაც არ არის ხოლმე საჭირო „რ“-ს ჩამატება ამ სიტყვაში, როცა იგი აკლია. ჩანს ურთავო ფორმაც სრულიად კანონიერი ყოფილა, რადგან იგი ალბათ ცოცხალ მეტყველებაში არსებულ სურათს ასახავდა, როგორც ჩვენში, ისე ტრაპიზონშიაც. ვახუშტისაც ასევე ურთავო აქვს ვაღმოცემული (იხ. მისი, აღწერა..., თბ., 1941, ეზინგი, გვ. 122, 141; ეზინგის მთები, გვ. 141). ეზნიკის ანუ ერზნიკის სახელის სხვადასხვა ფორმის შესახებ იხ. აგრეთვე, Honigmann, Ostgenze, 196.

83. ბაიბურთი—ქალაქი მდ. ჭოროხის ხეობის ზემო ნაწილში, ტრაპიზონის სამხრეთ-აღმოსავლეთით; ქართული ბაბერთი ანუ ბაბერდი (ამ მხარის აღწერა იხ. ვახუშტი, აღწერა..., გვ. 141—142) ისტორიული სპერის ანუ ისპირის პროვინციაში, ამ დროს თურქი ამირას ხელში იყო. მდებარეობდა კარინისა (თეოდოსიოპოლი ანუ ახლანდელი არზრუმ-ერზურუმი) და ტრაპიზონის შემაერთებელ გზაზე და დიდი მნიშვნელობა ჰქონდა შუა საუკუნეებში (შდრ. აგრეთვე, Original-Fragmente, I, 122).

84. ახისი, ეიკეპტარისი, პოსტოგანისი—ეს მაჰმადიანური სახელები ისევე დამახინჯებული ბერძნულში, რომ მათი სწორად ამოკითხვა ვერ ხერხდება. სხვა სახელებიც (აინა-ბეი, თურ-ალი-ბეი და სხვ.) ვარაუდით არის აღდგენილი და შესაძლოა სადავო იყოს. ტაფელისა და ფალმერაიერის „აინა-ბეგ“-ს „აინა-ბეი“ ვარჩიეთ, რადგან ხელნაწერში აშკარად „*zixaxétyz*“ ყოფილა.

85. ჭაპანიდები ანუ ჭანიდები (ასევე—სანები, ცანები) ბერძნული წყაროებისა ქართულ ჭანებთან არიან ჩვეულებრივ გაიგივებულნი, ჭანები კი იგივე ლაზების სინონიმად ითვლება. ფალმერაიერი საკმაოდ დაწვრილებით მიმოიხილავს ანტიკურ და ბიზანტიურ წყაროებს მათ შესახებ (Geschichte, 287—291; Original-Fragmente, II, 80—83), მაგრამ რატომღაც მათ ლაზებს არ უკავშირებს. ანტიკური და ადრე ბიზანტიური ხანის ცნობებით, ჭანებს ანუ ჩანებს ეკირათ შავი ზღვის მთელი სამხრეთი ზოლი ჰალისის სანაპიროებზე და მის აღმოსავლეთით. ამის დადასტურებას მკვლევრები ნაწილობრივ ხელდავენ თურქეთის სანჯაყის—„ჭანიკის“ სახელში, რომელსაც სწორედ ჰალისის გამოღმა უჭირავს ვრცელი ტერიტორია. (პ. ინგოროყვი, მერჩულე, 267—273). გვიანდელ ბიზანტიურ წყაროებში ჭანების სახელით უმთავრესად იხსენიებიან ტრაპიზონის სამხრეთით მოსახლე მთიელები, რომლებსაც კერძოდ ჩვენი წყარო, მიქელ პანარეტოსის ქრონიკა, სრულიადაც არ აიგივებს ლაზებთან. ჭაპანიდები ანუ ჭანები ორჯერ არიან მოხსენიებულნი და ორივეჯერ თურქებთან კავშირში. ამასთანავე მეორე ადგილას (თ. 50-ე) აშკარადაა ლაპარაკი, რომ როცა ჭაპანიდების წინააღმდეგ გაილაშქრა ტრაპიზონის მეფემ, ზღვითა და ხმელეთით დასავლეთისაკენ გასწვია, დაახლოებით პეტრომადან დაიწყო სამხედრო ოპერაციები და ზღვის ნაპირიდან აპყვა ხეობას. ლაზები კი მაშინ სწორედ ტრაპიზონის აღმოსავლეთით მოსახლეობდნენ. იქვეა ნათქვამი, „ბევრჯერ მოუხდათ ხელჩართული ბრძოლა უკან მდევნელ თურქებთან და მრავალი თურქი მოიკლაო“, ე. ი. ამ ჭაპანიდ-ჭანებს პანარეტოსი თურქებად თვლის და სავარაუდოცაა, რომ აქ იგულისხმებიან ჭანების ტერიტორიაზე გაბატონებული თურქები, რომელთაც მიწა წყლის გარდა ჯაპყ-

რობილთა სახელიც მიისაკუთრეს თუ მიუსაკუთრეს მათ სხვებმა, კერძოდ ამ შემთხვევაში, ტრაპიზონელმა ბერძნებმა. ეს ისეთივე ამბავი ჩანს, როგორც ქართულ წყაროებში არა ერთგზის ნახსენები საბერძნეთისა და ბერძენთა საქმეა. „ქართლის ცხოვრებაში“ სელჯუქიანთა იკონიის სასულტნოს ნაწილობრივ სწორედ საბერძნეთის სახელით იცნობენ. მაგ., ცნობილი ნუქარდინი ანუ რუქნადინი, თამარის მოქიშპე, „მთავრობს დიდსა საბერძნეთსა“ (ქ. ცხ., II, 92), მისი შვილი ყიასდინიც „საბერძნეთის სულტანია“ (იქვე, გვ. 171) და სხვ.

ბერძენთა ანუ ურუმთა (რუმთა, რომთა, ჰრომთა, ე. ი. ბიზანტიელთა) ტერიტორიის ხელთ ჩაგდებით, სახელიც მათი დაისაკუთრეს დამპყრობლებმა. ვფიქრობთ ასეთივე ვითარებასთან ვვაქვს საქმე ამ შემთხვევაში ტრაპიზონის ქრონიკის ჭანნიდ-ჭანების საკითხშიც. ამიტომ არ უნდა იყოს მართალი თ. უსპენსკი, როცა აქ ნახსენებ ერზინჯანისა და ბაიბურთის ამირების მოკავშირე ჭანებს ლაზებთან აიგივებს (История, III, 743).

86. კათა—თეოდოსია ყირიმში ანუ მაშინდელ გოთიაში. (Успенский, Очерки, 129). იგი ერთ-ერთ მთავარ დასაყრდენ პუნქტსა და ციხესიმაგრეს წარმოადგენდა გენუელებისათვის შავ ზღვაზე. ფრანგებშიაც აქ გენუელები უნდა იგულისხმებოდნენ. კათა-თეოდოსიის მნიშვნელობა გენუელებისათვის კარგად ჩანს ბრუნის წიგნში (Ф. К. Брун, Черноморье. Сборник исследований по исторической географии Южной России, Одесса, 1880, ч. 1, 276—280 და სხვ.).

87. დაფნუსი—ახლანდელ ბოზ-თეფეს, ე. ი. ძველი მინთორიონის მთის ძირში წმ. ფილიპესთან მდებარე ყურე თუ ნავმისადგომი, სადაც გენუელებისაგან დამწვარი საზღვაო არსენალი იდგა. (Original-Fragmente, II, 83; Успенский, Очерки, 11; შდრ. აგრეთვე, Paramichalopoulos, გვ. 40, 45 და სხვ.).

88. ხმელეთზე მყოფი ფრანგებიც გენუელები უნდა იყვნენ. რაკი მათი თანამოძმენი დაესხნენ თავს ქალაქს, ტრაპიზონელთაგან შურისძიება ამით აიხსნება.

89. ამინსო ანუ ამისო—ახლანდელი სამსუნია. იგი იყო ძველი ბერძნული საზღვაო ციხე-სიმაგრე და სავაჭრო ნავსადგური. გვიან მის ახლოს თურქებმაც დააარსეს თავიანთი სავაჭრო ახალშენი სამსუნი, შემდეგში კი ძველი ქალაქიც ხელთ იგდეს (Успенский, Очерки, 32—33; აგრეთვე, М. И. Максимова, Античные города..., 83—88; Lebeau, XX, 489; Ramsay, 27—28, 45 და სხვ.).

90. ლეონტოკასტრონი ანუ „ლომის-ციხე“ ახლანდელი გუზელსერაის თუ დაფნუსის ყურის მიდამოებში უნდა მდებარეობდეს (Успенский, Очерки, 11; შდრ. აგრეთვე, Lampsides, Ποντιακάστρον—Λεοντόκαστρον. Ἐλληνικά 8 [1935] 353).

91. მიხეილ I 1341 წლის ივლისში ჩამოვიდა ტრაპიზონს გასამეფებლად, მაგრამ ანახეტლუს მომხრეებმა მაშინვე დააპატიმრეს (შდრ. შენ. 67, 69) და, როგორც მე-13 თავიდან ჩანს, ლიმნიაში გაგზავნეს. ანას ტახტიდან ჩამოგდებისა და სიკვდილით დასჯის შემდგომ, იოანე III კომნინოსი, მიხეილის ძე, გამეფდა (1342—1344), ხოლო მერე კვლავ მიხეილმა დაიბრუნა ტახტი 1344 წლის მაისიდან, გადააყენეს კი 1349 წლის დეკემბერში (იხ. თ. 16), ე. ი., რასაკვირველია, 5 წელიწადზე მეტი იმეფა და არა მხოლოდ 2

წელიწადი და 3 თვე, როგორც ტაფელს, ფალმერაიერს და, მათი მიხედვით, ბროსესა და ხახანაშვილს აქვთ.

92. იოანე, რომელსაც პაპის მიხედვით ალექსიცი ერქვა, არის ალექსი III კომნინოსი ბასილის ძე, ტრაპიზონელ ირინესთან ნაყოლი. იგი ხანგრძლივად მეფობდა (1349—1390) და ყველაზე ვრცლადაც არის აღწერილი მისი მეფობა, რადგან მიქელ პანარეტოსი სწორედ მისი თანამედროვე და მისი კარისკაცი იყო. მეფედ რომ დასვეს, 12 წლისაც არ იქნებოდა, მაგრამ ეს მოხდა მაშინ, როცა კონსტანტინოპოლის ტახტზე იჯდა უზურპატორი იოანე VI კანტაკუზინოსი (1341—1355), რომელიც დაინტერესებული იყო პალეოლოგოსების მომხრე მიხეილ I-ისა და მისი ძის იოანე III-ის თავიდან მოშორებით. ამიტომვე დაუმოყვრდა მას—ჯერ სრულიად ყრმას, თოთხმეტიოდე წლისას, მიათხოვა თავისი ნათესავი ქალი თეოდორა. მისი მეფობის დროს და შემდეგ ტრაპიზონის სამეფო ძლიეს-და ინარჩუნებდა თავის პოზიციებს მოძალბებული თურქი ამირების წინააღმდეგ ბრძოლაში. იგი უფრო ცნობილია ეკლესია-მონასტრების შენება-განახლებით. მისი დაარსებულია ათონის მთაზე დიონისიოსის მონასტერი, რომელიც აღწერილი აქვს ტიმოთე გაბაშვილს (მიმოსლვა, გვ. 39—42); ამისივე და ამისი ცოლისა და დედის სურათი იხილა მან ტრაპიზონს დედათა მონასტერში (იქვე, გვ. 8; შტრ. აგრეთვე, შენ. 148; Paramichalopoulos, 157). ალექსი III-ის მეფობის შესახებ იხ. Успенский, Очерки, 114—117;

93. წმ. საბას გამოკვებულის შესახებ იხ. შენ. 72.

94. ტატას სხვადასხვანაირად განმარტავენ. ტაფელს თითქოს საკუთარ სახელად მიაჩნია. ფალმერაიერი Oberst-hofmeister-ად თვლის და დასძენს, იგივეა, რაც მაჰმადიანური ქრონიკების ათაბაგიო (Geschichte, 334); ასევე „ატას“ და „ათაბაგს“ უკავშირებს ბროსეც (Lebeau, XX, 490); ხოლო მილერი „Intendant of the Palace“-ს უწოდებს (Trebizond, 54) და სპეციფიკური ტრაპიზონული ტიტული ჰგონია (იქვე, გვ. 123). როგორც ფ. დელგერი ცხადპყოფს თავის რეცენზიაში და ბიზანტიური წყაროებიც მოწმობენ, მილერი ცდებოდა ამ საკითხში—ეს ხარისხი ნიკეისა და კონსტანტინოპოლის სამეფო კარებზეც ჩანს და მართლაც თურქებისაგან შეთვისებული უნდა იყოს (იხ. ფ. დელგერის რეცენზია მილერის წიგნზე, —B.Z. 27 [1927] 386). კოდინოსის თანახმად, მის დროს კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე ამ ხარისხს თითქოს აღარავითარი თანამდებობა არ უკავშირდებოდა (იხ. მისი, De officiis Aulae Constantinopolitani, c. 5. n. 57), მაგრამ ადრევე გამოითქვა აზრი, რომ რაკი ეს სიტყვა აღმზრდელს აღნიშნავს, ალბათ უფლისწულთა აღმზრდელის თანამდებობა უნდა ყოფილიყო. ეს მოსაზრება კარგად დასტურდება გიორგი ფრანძისი დიდი და პატარა ქრონიკების ერთი ადგილის ერთმანეთთან შეპირისპირებით—დიდი ქრონიკის სატყვას „Παρθαρχός“ (ბონის გამოც., გვ. 125) მცირე ქრონიკაში (მინის გამოც. 1032 D) შეესატყვისება სწორედ τασα ანუ τασαζ. ჩვენს ტექსტშიაც საგულგებელია, რომ უფლისწულის აღმზრდელს ნიშნავს, რადგან სწორედ მიქელ სამსონი ახლავს მცირეწლოვან ალექსის და არა სხვა ვინმე დიდი თანამდებობის პირი, როცა იგი კონსტანტინოპოლს მიდის ცოლის სათხოვრად. ისიც საფიქრებელია, რომ ეს მიქელ სამსონი კონსტანტინოპოლელია და რომ იქ ყოფნისასვე ყავდა მას მიჩენილი აღმზრდელად, შემდეგ კი ტრაპიზონს გასამეფებლად რომ წამოიყვანეს ალექსი, ისიც თან ეახლა. იგი, ჩანს, დაწინაურებულია თავისი აღზრდილის კარზე—

შემდეგ უკვე დიდ სტრატოპედარხისად იხსენიება (თ. 19) ამ ტიტულის მქონე სხვა პირი—*ταταξ τῆς βασιλικῆς ἀσλῆς Θεριαυτοῦ δ' Ἐβουσιχοῦ*—გვხვდება ვაზელონის ერთ 1381 წელს შედგენილ საბუთშიაც (Вазелонские акты, 99).

95. ტრაპიზონისი—ერთ-ერთი მთავარი ქალაქი იმპერიისა ტრაპიზონისა და კერასუნტის შორის, ახლანდელი ტირებოლი. აქედან იწყებოდა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მარჯვე გზა, რომელიც მთებში გადიოდა ერზინკ-ერზინჯანისა და კამახასაკენ, შემდეგ კი აღმოსავლეთისაკენ მიემართებოდა. (Успенский, Очерки, 89; Miller, Trebizond, 57; Orig.-Fragm., II, 85).

96. კეხრინა ანუ კენხრინა—ციხე-სიმაგრე კერასუნტსა და ტრაპიზონის შორის, ოლონდ, ეტუობა (თ. 18), უფრო ქვეყნის შიგნით იყო, მთებში.

97. სევასტოკრატორი დიდი ხარისხი იყო კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე, იმპერატორის შემდეგ—მეორე (Успенский, Очерки, 27). იგი დაახლოებით XII ს-ის დასაწყისიდან თუ XI საუკუნის ბოლოდან იქნა შემოღებული. ტრაპიზონის იმპერიაში ეს ტიტული არ ჩანს (კანტაკუზინოსებთან დამოყვრების შესახებ იხ. აგრეთვე შენ. 92).

98. პიკერნისი ანუ იგივე ეპიკერნისი (იხ. შენ. 75). ამ შემთხვევაში მილერი „cup-bearer“-ად თარგმნის ამ სიტყვას (Trebizond, 57), ე. ი. ჩვენი კარის ვარიეტების თანახმად „მელვინე“ გამოდის და არა მელვინეთუხუცესი, მაგრამ უფრო მელვინეთ-უხუცესი უნდა იყოს აქ.

99. ჭანხა—ქალაქი და ციხე-სიმაგრე ქალღიაში, არგიროკასტრონის (გიუმითუშ-ხანე) შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი ამ მხარეში (Успенский, Очерки, 88; იხ. აგრეთვე შენ. 56).

100. ამ ადგილის გავების სიძნელეს ჯერ კიდევ ბროსე უჩიოდა (Lebeau, XX, 492). საქმე განსაკუთრებით იმან გააბუნდოვნა, რომ *μηγισματα* (სიტყვიდან—*τὸ μηγισμα, αἰτις*—*veste, izвещение, сообщение, обращение, воззвание*; ინგლ. information laid, indication; გერმ. Botschaft, Bestellung) ფალსეფაიგმა და ტაფელმა *μηγισματα*-დ ამოიკითხეს და პირველი სიტყვა თვის ბაღდად მიიჩნიეს. ჩვენის აზრით, აქ მოლაპარაკებანი, მიმართ-მიმართვანი და მოციქულების მიგზავნ-მოგზავნა უნდა იგულისხმებოდეს, რასაც თითქოს მომდევნო თავში აღნიშნული გამოთქმაც—„ბევრი ლაპარაკი და დავაც“—გვიკარნახებს.

101. ეს ბასილი ხუპაკოსი სხვა ადგილას (თ. 26) „ხუპაკა“-დ და სქოლარისად არის ნახსენები. უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს („ხუპაკოსი“) მეტსახელი იყო მისი.

102. ქალღია ტრაპიზონის იმპერიის ხანისა ნახევრად დამოუკიდებელ სამთავროს წარმოადგენდა. მისი მოურავობა, გამგებლობა (დუქსი ანუ დუკა) კვაზიტისების სახლს ეკუთვნოდა. მათ ხელში იყო მნიშვნელოვანი სავაჭრო გზა, რომელიც ზიგანის უღელტეხილით ტრაპიზონს ჩადიოდა. ეს მხარე მოიცავდა ფრიად მთავორიან ტერიტორიას ზიგანიდან სამხრეთით არგიროკასტრონამდე, ახლანდელ გიუმითუშ-ხანემდე (ქართული წყაროების ქალღია—შდრ. ტ. ვაბაშვილის, მიმოსლვა, გვ. 98: „მივიწინით ქალღიას, აწ უქმობენ გუმისხანას... და მიერთვან განვიხილენით ეკლესიანი და იყო აღშენებული ქართველთაგან“), მდ. კელკიტამდე და ბაიბურთამდე (ქართული წყაროების ბაბერთი). მის მთავარ ქალაქად სწორედ არგიროკასტრონი ანუ ვერცხლის-ციხე ითვლებოდა (Успенский, Очерки, 87—88). თურქები XIV ს-ში უკვე ფეხს იკიდებენ ამ მხარეში მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ.

მაინც და გამუდმებული ბრძოლებია მათთან. ანტიკური წყაროები ქალდიასა და ქალდეებს უძველესი დროიდან იხსენიებიან ამ მიდამოებში (იხ. Baumstark-ის სტატიები „Chaldia“ და „Chaldaioi“—Pauly-Wissowa's Real-Encyclopädie, III B. [1899] 2061—2063) და ზოგი მეცნიერი მათ უკავშირებდა ძველი ურარატუს ხალხს, რომლის სახელი ხალდეზად ჰქონდათ წარმოდგენილი (C. F. Lehmann-Haupt, Armenien Einst und Jetzt, I B. Berlin, 1910, 93—94; აგრეთვე მისივე, On the Origin of the Georgians, Georgia, № 4 [1937] 46—51; მისივე, Вступительная лекция по истории и культуре халдов, თბ. სახ. უნ. შრომები, VI, [1937], გვ. 265—266). მაგრამ ეს დაკავშირება ამჟამად უარყოფილია სამეცნიერო ლიტერატურაში. ხალიზ-ქალდეების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ იხ. შენ. 28. შუა საუკუნეების ქალდია, ვითარცა ბიზანტიის ერთ-ერთი თემა, თითქმის მთლიანად ემთხვევა ტრაპიზონის იმპერიის ფარგლებს მისი აყვავების ხანაში (Honigsmann, Ostgrenze, 53—54;; Скабаланович, 203—204; Успенский, Очерки, 31; იხ. აგრეთვე პ. ინგოროყვა, მერჩულე, გვ. 203—4, 210—11, 214—215, 267—269, 273, 285; М. И. Максимова, Античные города..., 192—194; R. Janin, Chaldia, Diet. Hist. et Géogr. Eecl., 12 [1951], 280 შმდ.; Orig.-Fragm., 112—113 და სხვ.

103. ხერიაანა—ქალდიის ერთ-ერთი ძველი ციხე-სიმაგრე და ქალაქი (Успенский, Очерки, 122) ახლანდელი ულუ-შერიანი თუ შირანი კელკიტის ჩრდილო-დასავლეთით (Сборник источников, 86; Honigsmann, Ostgrenze, 54; R. Janin, Chaldia, Diet. Hist. et Géogr. Eecl., 12 [1951] 632; Orig.-Fragm., II, 86).

104. იასონი. ანუ ძველი იასონიონი—იასონის კონცხი, ახლანდელი იასუნ-ბურნი კერასუნტსა და ინეონს (უნეი) შორის. აქ უნდა იგულისხმებოდეს დასახლებული პუნქტიც.

105. მაცუქა (ანუ მაჭუქა, ახლანდელი მაჩკა)—ტრაპიზონის იმპერიის ერთ-ერთი ბანდა ანუ ოლქი (სამთავან) და მისი ცენტრი; ტრაპიზონის სამხრეთით ახლანდელი ჯივიზლიკიდან (დიკესიმონი) ზიგანის უხელტეხილამდე და მთებამდე ვრცელდებოდა (Успенский, Очерки, 82, 84—85). ეს ბანდა ხანდახან პალეომაცუქის ბანდადაც იწოდება. პალეომაცუქა ანუ ძველი მაცუქაც ერთ-ერთი ცალკე დასახლებული პუნქტი ყოფილა ამ ოლქში.

106. ხაჯიმირი თ. უსპენსკის (Очерки, 125) და მილერს (Trebizond, 60) ჰაჯი-ომარად ანუ ომერად აქვთ ამოკითხული.

107. დიკესიმონი—სოფელი მაცუქის ოლქში, ახლანდელი ჯივიზლიკი, ტრაპიზონიდან დაახლოებით 21 კმ-ზე (Успенский, Очерки, 84; Вазелонские акты, стр. XXX; Сборник источников, 119).

108. „ციხე-სიმაგრე“ აქ აღნიშნულია სიტყვით—„ჯაჰაჰ“, რომელიც ამ ფორმით იშვიათია. თ. უსპენსკი სწორედ ამ ადგილის შესახებ ამბობს: „Я не сомневаюсь, что нужно читать: тае жаух (Очерки, 108; შდრ. აგრეთვე, გვ. 88). ტაფელი კითხვის ნიშანს უსვამს. ბროსეს სულ არა აქვს ეს ადგილი. ფალმერაიერი უთარგმნელად ტოვებს ამ სიტყვას, ოღონდ სქოლიოში აღნიშნავს, რომ ეს არის: „Barbarischer Name eines chaldäischen Pass-Kastelles“ (Orig.-Fragm., II, 28). ალ. ხახანაშვილს კი პირდაპირ უთარგმნია, როგორც „проход“ (Трапезундская хроника, 33). თ. უსპენსკის ვარაუდი სწორი უნდა იყოს.

109. ხოჯა-ლატიფი თ. უსპენსკის „Хаджи-Латиф“-ად აქვს გადმოცემული (Очерки, 124), მაგრამ ხოჯა-ლატიფი უფრო შესაძლო ჩანს (შდრ. Orig.-Fragm., II, 28).

110. სუმელის მონასტერი ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის სახელობაზე აგებული ტრაპიზონის სამხრეთ-აღმოსავლეთით ხეობაში. პანარეტოსის ქრონიკის ამ ადგილის მიხედვით უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი მაკტუკის ბანდაში შედიოდა, მაგრამ თ. უსპენსკი (Очерки, 86) სუმელის მონასტერს გიმორის ბანდაში გულისხმობს. იხ. Безобразов, Трапезунт, 45—48; Miller, Trebizond, 62; Paramich alopulos, 45—86; E. Θ. Κυριακίδης, Ἱστορία τῆς ... μισῆς τῆς Ἰπεραρχίας Θεσσαλονικεῖς Σουμელᾶ, Ἐν Ἀθήναις, 1898.

111. ახიაინაკი—მე-15 თავში მოხსენიებული ახის აინა-ბეი ჩანს, ოღონდ აქ კიდევ უფრო დამახინჯებულია ეს სახელი (შდრ. შენ. 84). მე-15 თავში აღწერილ ამბავსა და აქ აღწერილ შორის 20—21 წელი გავლილი და ქრონოლოგიურადაც სრულიად შესაძლოა ამათი ვაიგივება.

112. გოლახა ანუ გალახა—ქალდიის ერთ-ერთი მთავარი ციხესიმაგრე (Успенский, Очерки, 134; Miller, Trebizond, 65). აღ. ხახანა-შვილს „καστρον“ შეცდომით აქვს ნათარგმნი, როგორც „лагерь“ (Трапезундская хроника, 34).

113. წმ. ფოკას ტაძარი და მონასტერი კორდილეში, თ. უსპენსკის და ფალმერაიერის დაბეჯითებული მტკიცებით, ტრაპიზონის ახლოს მდებარეობდა, შემდეგდროინდელი წმ. ათანასეს ადგილას (Успенский, Очерки, 133; Виз. Вр. XXIII, 1917—23, стр. 3; Fallmerayer, Geschichte, 303). კორდილეს ფალმერაიერი ერთგან აგრეთვე კონცხადაც ახსენებს (Original-Fragmente, II, 99). ეს კორდილე, თუ ამ მეცნიერებს დაეუჯერებთ, არ უნდა იყოს ის კორდილე ანუ კორდილა, რომელსაც შავი ზღვის ანონიპური (ფსევდო-არიანოსი) პერიპლუსის (§ 39) თანახმად, რიზესა და ათინას (უფრო ამ უკანასკნელის ახლოს) შორის ვარაუდობენ. მას ახსენებენ აგრეთვე უფროსი პლინიუსი (VI, 11—Cordule-ს ანდა Chor-dule-ს სახით) და პტოლემეოსი (5, 6, 10—გარიანტებში არის სხვადასხვა წაკითხვა, მათ შორის—Χορδάλη), მაგრამ ძალიან ბუნდოვან კონტექსტში. საინტერესოა, რომ ქართულად შემორჩენილ ერთ წმიდათა ცხოვრებაშიაც იგი „კორდილოს“-ის ფორმით რიზეს აღმოსავლეთით იგულისხმება (იხ. ს. ყაუხჩიშვილი, გეორგიკა, ტ. IV, გვ. 415; შდრ. აგრეთვე, პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, გვ. 272; ნ. ლომოური, კრებულში—მას. საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 32, გვ. 42, 51).

114. მესოქალდია ანუ მესოქალდიონი—ციხე-სიმაგრე ქალდიაში (Успенский, Очерки, 32; Orig.-Fragm., I, 113).

115. იოანე კომნინოსი—იოანე III მიხეილის ძე უნდა იყოს, რომელიც მამამ ჯერ საბას მონასტერში დაატუსალა, შემდეგ კი კონსტანტინოპოლს გაისტუმრა (იხ. აგრეთვე, თ. თ. 13, 14; შენ. 72).

116. მინტროსის სერისა და მინტრონის შესახებ იხ. შენ. 49. იოანე ნათლისმცემლის ეს ტაძარი, თ. უსპენსკის აზრით, სწორედ მითრას საკურობელოს ადგილას უნდა ყოფილიყო აგებული (Очерки, 158). ზოგი მითრას ტაძარს სხვაგან ვარაუდობს (იხ. შენ. 148).

117. ჩელები (თურქ. çelebi) ანუ ქართული წყაროების „ჩალაბი“ ან შეიძლება „ჩალიბიტი“ (შდრ. ივ. ჯახიშვილი, ქ. ე. ი., III, 3) „ბატონს“.



„წარჩინებულს“, „დიდებულს“, „განათლებულს“ ნიშნავს. მის შესახებ იხ. Н. Я. Марр, Еще о слове „челоби“, Зап. Вост. отд. РАО, т. XX, 1911, стр. 99—151.

118. გალატა—გენუელთა უბანი შუა საუკუნეების კონსტანტინოპოლში.

119. დიდებული ქალაქი—კონსტანტინოპოლი.

120. დიდი ლოგოთეტის თანამდებობას კონსტანტინოპოლის სამეფო კარზე ენსლინი დროშის ლოგოთეტის თანამდებობიდან (The postmaster-general — ფოსტის საქმეთა მეთაური, გამგებელი) განვითარებულად თვლის. იგი ჯერ საგარეო საქმეთა მინისტრი შეიქნა, ბოლოს კი, გვიანბინანტიურ ხანაში, კანცლერის მაგვარიც გახდა და დიდი ლოგოთეტის სახელი მიიღო (Byzantium, 289—290); მაგრამ იმასაც დასძენს, რომ თუმცა დიდ ლოგოთეტს საგარეო საქმეთა მინისტრი ვუწოდებდნენ, ეს ტერმინი ძალიან თანამედროვე მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთო (იქვე, გვ. 306). დიდი ლოგოთეტის ტიტული XIII საუკუნეში იქნა შემოღებული და ერთ-ერთი პირველი დიდი ლოგოთეტთაგანია გიორგი აკროპოლიტისი (მისი ამ თანამდებობის შესახებ შდრ. ალ. გამყრელიძე, გიორგი აკროპოლიტისი და მისი ცნობები საქართველოს შესახებ, მასალები საქ. და კავკ. ისტ., ნაკვ. 31, 1954, გვ. 227). ტრაპიზონელ გიორგი სქოლარისის დიდი ლოგოთეტობის შესახებ ჭირს თქმა, მართლა მთავრობის მეთაურობასაც ნიშნავდა ეს თუ არა. საგარეო საქმეთა მოურავობა რომ ევალებოდა, უფრო დაბეჯითებით შეიძლება ვივარაუდოთ, რადგან სწორედ დიპლომატიურ საქმიანობაში ჩაბმულს ვხედავთ. ლოგოთეტის და დიდი ლოგოთეტის შესახებ იხ. Сборник документов, 307; A. Semenov, Über Ursprung und Bedeutung des Amtes der Logotheten in Byzanz, B. Z. 19 (1910) 440—449; H.-G. Beck, der byzantinische „Ministerpräsident“, B. Z. 48 (1955) 309—338.

121. პროტოსევასტოსი და პროტონოტარიოსი ანუ პროტონოტარისი მაღალი ტიტულები ჩანს სამეფო კარზე. უკანასკნელთან თანამდებობაც უნდა იყოს დაკავშირებული. თვით სიტყვის შინაარსის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ (νοτάριος—ლათ. notarius—მწერალი, ჩამწერი, მწესველი) ჩვენი კარის ვარიანტების ძველი მწიგნობართ-უხუცესი გამოვა (შდრ. Сборник документов, 309); მაგრამ არა იმ აზრით, როგორც მან მიიღო საქართველოს სამეფოს აღზევების ხანაში, როცა იგი ვაზირთა უპირველესს, ე. ი. პრემიერ-მინისტრს ნიშნავდა. „პროტონოტარის“ ხსენება ჩვენი ძველ მწერლობაშიაც გვხვდება. საბა მას განმარტავს, როგორც „მწერალთ უფროსს“. უფრო გვიანფეოდალური ხანის მდივან-მწიგნობრის ან მდივანბეგის თანამდებობას ჰგავს. ვასათფალისწინებელია ისიც, რომ ბიზანტიაში შექმნილი თემები, რომელნიც სამხედრო და სამოსამართლო-ადმინისტრაციული ოლქების გარდა სავადასახადო ოლქებსაც წარმოადგენდნენ, ვადასახადო მოკრების თვალსაზრისით, პროტონოტარატად იწოდებოდნენ; ხოლო ის პირი, რომელიც იგზავნებოდა ვადასახადო აკრების ხელმძღვანელობისათვის, სხვა სახელებს შორის პროტონოტარიოსის სახელსაც ატარებდა (იხ. Скабашинович, 189). საერთოდ როგორც ნოტარიოსს, ისე პროტონოტარიოსს, ვითარცა კანცლერის მოხელეებს, საბუთების შედგენისა და წერის გარდა, ჩანს, ნაირნაირი სხვა მოვალეობანიც შეიძლებოდა დაკისრებოდათ (შდრ. აგრეთვე, Byzantium, 291). მიქელ პანარეტოსი, თუ მის ნამდვილ მწიგნობრულ მიდრეკილებებსაც გავითვალისწინებთ, რაც ამ ქრონიკის ავტორობაში გამოიხატება,

შეიძლება სწორედ მეფის კანცელარიის გამგე მდივან-მწიგნობრად მიგვეჩნია. ისიც შესაძლოა, რომ ქრონიკის შედგენაც მის მოვალეობაში შედიოდა და მეფისავე ბრძანებით დაწერა იგი. დიმიტრაკოსს (იხ. s. v.) პროტონოტარიოსი მხოლოდ სასულიერო პირად ჰყავს წარმოდგენილი.

122. იმპერატორი ბატონი იოსაფ მონაზონი კანტაკუზინოსი იგივე უზურ-ბატონი იოანე VI კანტაკუზინოსია (1341—1355), რომელიც ამ დროს უკვე კონსტანტინოპოლის ტახტიდან ჩამოგდებული და შემონაზუნებული იყო (იხ. აგრეთვე, შენ. 92).

123. მოურავი ბერძნ. *πρωτοπατρις*-ის (იტალ. *podesta*) შესატყვისად დაეწერეთ.

124. *καταξαρτυ* ლამბროსს, როგორც ჩანს, ადგილის საკუთარ სახელად ესმის და ამიტომაც ასომთავრულით იწყებს. მაგრამ *καταξαρτυς, ἡ, ὁ*-ის ერთ-ერთი მნიშვნელობა არის აგრეთვე „დაქანებული“, „ციცაბო“, „დაფერდებული“, „დაღმართი“ (შდრ. დიმიტრაკოსის ლექსიკონი, s. v.), ასე რომ შეიძლება ისედაც გავიგოთ, როგორც ტაფელს და სხვებს ესმით. მით უმეტეს ასეთი საკუთარი სახელი თითქოს არ ჩანს ტრაპიზონის მიდამოებში. ალ. ხახანაშვილს თარგმანში წმ. გრიგოლის მაგიერ წმ. გიორგი უწერია რატომღაც (Трап. хроника, 35). აქ უნდა იგულისხმებოდეს გრიგოლ ნოსელის სახელზე აშენებული ტაძარი, რომელიც მას შემდეგ, რაც ქრისოკეფალოსს თურქები დაეპატრონენ, როგორც ჩანს, სამიტროპოლიტო ტაძრად აქციეს (იხ. *Paramechelopulos*, 204, 309). სხვათა შორის ამ ტაძრის ეხოზია დაკრძალული იმერეთის მეფე სოლომონ II (იქვე, გვ. 205).

125. ანისსუ იგივე ამინსო ანუ ამისო—სამსუნი (იხ. შენ. 89).

126. დაკნოპინის ამოკითხვა ფალმერაიერს გასჭირვებია, მხოლოდ დასაწყისია მოყვანილი და ამიტომაც, რომ ალ. ხახანაშვილის თარგმანში სულ გამორტოვებულია ეს გვარი. ჯიანოტო სპინოლას სახელსა და გვარს უფრო ცხადად ეტყობა, რომ ის იტალიელი უნდა იყოს, ალბათ ტრაპიზონში არსებული ფაქტორიის მოთავე; მეორე გვარი, დაკნოპინი, შესაძლოა, დამახინჯებულია და აგრეთვე რომელიმე იტალიელისაა.

127. მიტროპოლიტი ბარნაბა ის ბარნაბა უნდა იყოს, რომელიც პაპადოპულო-კერამევსის მიერ აღწერილ ერთ ტრაპიზონულ ხელნაწერშია მოხსენიებული (იხ. მისი, *Греческие рукописи Трапезунта, Виз. Вр., XIX, [1915], 225*).

128. სკევოფილაქსი—სასულიერო თანამდებობა და წოდება. აღნიშნავდა იმ პირს, რომელსაც ეკლესიის სალარო-სამოსსაცავი ებარა. ძველად ჩვენში სწორედ ამას ერქვა მოლარე.

129. იოსებ ლაზაროპულოსი იგივე იოანე ლაზაროპულოსია, რომელიც იოსების სახელით მიტროპოლიტობდა ტრაპიზონში (1364—1367 წ.წ.). მის კალამს ეკუთვნის წმ. ეგვენის სასწაულთა აღწერა, რომელიც ჯერ ფალმერაიერმა გამოაქვეყნა თავის *Original-Fragmente*-ს I ნაწილში, შემდეგ კი უფრო სრულად—პაპადოპულო-კერამევსმა (*Сборник источников, 52—136*; მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ იხ. იქვე, გვ. IV—V, X—XI). კონსტანტინოპოლს წავიდაო, აქვე რომ წერია ქრონიკაში, იმიტომაც, რომ კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს რაკი ეკუთვნოდა ტრაპიზონი, მიტროპოლიტად იქ უნდა დამტკიცებულიყო. მისი წასვლის ამ მიზანს ქვემოთ ტექსტიც (თ. 37) ადასტურებს.

130. მოედანის სახელი ახლაც შემორჩენილი ყოფილა ტრაპიზონში-სპარსულიდან მომდინარე სიტყვაა. აქ მდგარა გენუელებისათვის გადაცემული ლეონტოკასტრონი (Βεζονταζοβ, Τραπεζυνη, 18; Orig.-Fragm., 32, 89).

131. კონსულს ეძახდნენ ვენეციელთა ფაქტორიის მეთაურს, ხოლო ბაილს ანუ ბაილოს—გენუელთა ფაქტორიის მეთაურს ანუ მოურავს. ასე რომ ვენეციელთა და გენუელთა წარმომადგენლებს შორის მომხდარა უთანხმოება.

132. ამ ახანტაკას შესახებ იხ. შენ. 49 (ბოლო ნაწილი).

133. მაკროს-ეგიალოსი ანუ მაკრეგიალუსი (თ. 48)—მაკრიალი ლაზეთში. მდებარეობს გონიასა და ხოფას შორის, ზღვის სანაპიროზე. „მაკროს-აიგიალოს“ „გრძელ ნაპირად“ ითარგმნება, მაგრამ სრულიად შესაძლოა ადგილობრივი ლაზურ-ქართული სახელწოდებაა შემდეგ ასე გააზრებული ბერძნების მიერ. ამ სახელის მდინარე, ხეობა და ადგილი ახლაც მოიპოვება. იგი ისევე, როგორც მთელი ლაზეთი, ამ დროს საქართველოს მეფის საბრძანებელში იგულისხმება (ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ი., III, 283—284; შდრ. საქართველოს ისტ., ნაწ. I, გვ. 277). გ. ყაზბეგი აქედან დასავლეთით ვარაუდობს ლაზისტანს (იხ. მისი, Три месяца, 93, 100), ხოლო ვახუშტი კი წერს—გონიადან მოყოლებული რიზეს იქით რკინის პალომდე არის ლაზეთით (აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 142).

134. ანა, დიდი კომინიოსი, ამ დროს დაახლოებით 10 წელზე მხოლოდ ცოტათი მეტი ხნისა უნდა ყოფილიყო (დაიბადა 1357 წლის 6 აპრილს, იხ. თ. 44). თუ პანარეტოსის ამ თარიღებს სწორად ჩავთვლით, საეჭვოა, რომ მანინ მომხდარიყოს ჯერისწერა, რადგან ასე პატარა ასაკი, საფიქრებელია, ხელს შეუშლიდა კანონიერ ქორწინებას. ამ დროს შესაძლოა დაინიშნა იგი ბაგრატ მეფეზე, ქორწინება კი უფრო გვიან მოხდა.

135. ბაგრატ ბაგრატოინი იბერთა და აფხაზთა მეფე, საქართველოს მეფე ბაგრატ მეხუთეა (1360—1393), გიორგი ბრწყინვალის შვილი-შვილი და დავით IX-ის ძე (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ი. III, 282—307; საქართველოს ისტ., ნ. I, 277—279).

136. ლარახანე ლაზეთის ადგილად იხსენიება ერთ საბუთში (Βαζελονские акты, стр. XXXII).

137. ლიმანი—შესაძლოა თვით ფორმა ამ სიტყვისა კვლავ საეჭვო იყოს, მაგრამ ეს კი აშკარად ჩანს, რომ ამ ადგილს სახელის მსგავსების გარდა არაფერი კავშირი აქვს ტრაპიზონის იმპერიის ისტორიაში ცნობილ სხვა ლიმნიასთან ანუ ლიმნიონთან (შდრ. შენ. 28 და ბერძნული ტექსტის ამ ადგილის სქოლიოც). ხუთვერსიან რუკაზე ლიმანი მაკრიალის სამხრეთ დასავლეთით ოთხი-ხუთი ვერსის დაშორებით არის აღნიშნული ზღვის პირას. მაგრამ ისიც შესაძლოა, რომ ეს სახელი სწორად არ იყოს ამოკითხული (ფალმერაიერი აღნიშნავს კიდევ—ქარაგმით წერიაო) და აქ იგულისხმებოდეს საქართველოს ერთ-ერთი ძველი კუთხე ლივანი ანუ ლივანის-ხევი, იგივე ნივალის და ნივალის-ხევი, ანდა ლივანა. ლივანის ხევს არა ერთგზის იხსენიებს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში. კერძოდ იგი ამბობს: „ამ ართვანის სანახებითურთ, ვიდრე ერგეს საზღვრამდე, ქოროხის ვეობის იმიერი და ამიერი იწოდების ლივანის ვეობადო“ (იხ. მისი, აღწერა სამ. საქართველოსა, გვ. 136). პარხალი და მისი ხეობა სწორედ ამ ლივან-ნივალის შემდეგ არის ქოროხის აყოლებამზე. ე. ი. ტრაპიზონის მეფე, შესაძლოა, ქორო-

ხის ხეობით ასულიყოს პარხალს და შემდეგ იმავე ქოროხის ხეობაზე გაეგრძელებინოს გზა ქალდიისაკენ, რომლისაკენ ასე მიმავალი გზა მაშინ ალბათ სახიფათოც იქნებოდა ბაიბურთელი თურქების მოსალოდნელი თავდასხმის გამო. მაგრამ რაკი ჯარი ახლდა მეფეს, შესაძლოა, ამ მხარის დასალაშქრავადაც აირჩია ეს მარშრუტი. ლივანის ხევის ანუ თანამედროვე ლივანის უფრო დაწვერილებითი აღწერილობა აქვე აგრეთვე გ. ყაზბეგს (Три месяца, 74—92) და დიმიტრი ბაქრაძეს (Археологическое путешествие по Гурии и Адчаре, СПб, 1878, 22, 39—42). შდრ. აგრეთვე, ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წ. I, ბათუმი, 1958, გვ. 29—30.

138. ელევსის ანუ შეწყალების მონასტრის ადგილმდებარეობა ისევე, როგორც არანიელების ანუ არანიოტების სამყოფელი, რომელთა მხარეშიაც ივარაუდება ეს მონასტერი, გაურკვეველია. თავდასხმეულ მეგობრებში ოსმალთურქებს ხედავენ, რომელთაც ნელ-ნელა ხელთ იგდეს სელჯუქიანი თურქების სამფლობელოები ანატოლიაში (შდრ. Original-Fragmente, II, 90—93; Miller, Trebizond, 66; Трапезундская хроника, 37).

139. წმ. სოფიას ტაძარი და მონასტერი ქრისოკეფალოსისა და წმ. ეგვენის ტაძრებთან ერთად ერთ-ერთი მთავარი წმიდათა-წმიდა იყო ტრაპიზონელებისა. იგი მდებარეობდა ქალაქის დასავლეთით, დაახლოებით სამიოდე კილომეტრზე, ზღვის ნაპირას. მისი აგება მანუილ I-ს მიეწერება. ახლა ისიც მჩიეთად ყოფილა გადაკეთებული (იხ. Безобразов, Трапезунт, 29—43; Успенский, Черки, 63, 149—154; Orig.-Fragm., II, 93; Paramichalopoulos, 185—190).

140. პარხლისათვის იხ. შენ. 62.

141. მიტროპოლიტი თეოდოსი, პაპადოპულო-კერამეცის გამონაგარი-შებით (Сборник источников, стр. II), 1370—1391 წლებში მიტროპოლიტობდა ტრაპიზონში (შდრ. აგრეთვე, Трапезундская хроника, 38).

142. მთაწმიდა—ათონის მთა.

143. შუასაუკუნეების ბათუმის ისტორიისათვის ეს ერთ-ერთი საინტერესო ცნობათაგანია. ამ დროს ბათუმი, როგორც ამ ცნობიდან ჩანს, საქართველოს სამეფოს ფარგლებში შემოღის, როგორც გურიელის სამფლობელოს ნაწილი (იხ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ი., III, 284). ბათუმის ანუ ბათომის შესახებ იხ. ვახუშტი, აღწ. სამ. საქ., გვ. 176; ლიტერატურა—იქვე, გვ. 249; აგრეთვე, ს. ყაუხჩიშვილი, ანტიკური მასალები ბათუმის ისტორიისათვის. ქუთაისის პედ. ინსტ. შრომები, X, გვ. 17—23.

144. აქ მოხსენიებული გურიელი მართლაც შეიძლება კახაბერ გურიელი იყოს, რომელიც მოხსენიებულია ლეხოურის ანუ ძველი რეხეულის ეკლესიის ხატის წარწერაში, როგორც დიმიტრი ბაქრაძეს აქვს ამოკითხული (Арх. пут. по Гурии и Адчаре, 109), 1352 წლის თარიღის ქვეშ (შდრ. Трапезундская хроника, 39—40). თ. ჟორდანიას არ ექვობს და მართალიც ჩანს, რომ ეს კახაბერი იგივე კახაბერ გურიელია, რომელიც დ. ბაქრაძის აზრით, ჯუმათის მთავარ-ანგელოზ გაბრიელის ხატის წარწერაში იხსენიება (იქვე, გვ. 263—264), ვითარცა ერისთავთ-ერისთავის გიორგი დადიანის ერთ-ერთი ძე (მეორეა—მანდატურთ-უხუცესი ვაჟეყა, რომელიც მამის გარდაცვალების შემდეგ 1384 წ. დამჯღარა დადიანად); თუმცა თვითონ დ. ბაქრაძე მათ ერთმანეთთან არ აიგივეს (იხ. ქრონიკები, II, 198—199). ოღონდ თ. ჟორდანიას ის კი ძალიან საეჭვოდ მიაჩნია, რომ პირველი წარწერის დასაწყისი 6. მასალები, ნაკვ. 33

ასოები მართლა ქორონიკონს აღნიშნავდეს და თარიღის მაჩვენებელი იყოს (ქრონიკები, II, 183).

145. ამ ადგილს ალ. ხახანაშვილი თარგმნის ასე: „который (ე. ი. გურიელი) пришел выразить императору преданность“, ხოლო სქოლიოში შემდეგნაირ შენიშვნასაც ურთავს: „Владетели Гурии в это время, очевидно, признавали какую-то ленную зависимость от трапезундских царей. Этим объясняется представление Гуриеля трапезундскому царю с выражением *πρὸς αὐτῷ*“ (Трапезундская хроника, 39). მაგრამ ეს სიტყვა სწორედ „პატივისცემას“, „თავაზს გაწევას“ და (გვიანდელ ბერძნულში) სულაც „მისალმებას“ ნიშნავს და ამ ადგილის მიხედვით მსჯელობა—გურიელი ბათუმში ტრაპიზონის მეფეს ერთგულების გამოსაცხადებლად ეახლო, რასაკვირველია, სწორი არ იქნებოდა (შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ი. III, 284). ალექსი III-ის დროის ტრაპიზონის იმპერიის მძიმე შინაგანი და საგარეო მდგომარეობის გათვალისწინების საფუძველზე ჯერ კიდევ ფალმერაიერი წერს: ძნელი არ არის, პასუხი გავცეთ კითხვას, გურიელის *πρὸς αὐτῷ* ზრდილობასა და თავაზს ნიშნავს თუ ვასალურ მოვალეობას (Orig.-Fragm., II, 96). ცხადია, გურიელი ეახლა თავისი ნამდვილი სიუზერენის, ბაგრატ V-ის სიმამრს სტუმართმოყვარეობის გამო და არა მორჩილების განოსაცხადებლად და ეს სრულიად ბუნებრივი იქნებოდა მის სამფლობელოში ჩასული მეზობელი მონარქის მიმართ. ოღონდ ფალმერაიერი იმაში ემორჩილებოდა, რომ ცდებოდა, რომ გურიის სამთავრო ხან საქართველოს მეფეს ემორჩილებოდა, ხან ტრაპიზონისას. ჯერ ერთი ტრაპიზონის იმპერიის არსებობის მანძილზე გურია არც ჩანს ცალკე გარკვეულ დამოუკიდებელ სამთავროდ, მან ეს სახე უფრო გვიან მიიღო; მეორე კიდევ, ტრაპიზონის მეფის ხელისუფლება აქარა-გურიაზე არასოდეს არ აღწევდა, მით უმეტეს XIII საუკუნის დამლევის შემდეგ, როცა მთელი ზღვისპირა კლარჯეთ-ლაზეთი და სხვა ადგილები სამცხის მთავართა ხელში გადავიდა. ტრაპიზონის იმპერიის საზღვრების თვით ფაზისამდე, ე. ი. რიონამდე მოყვანის აზრი, რაც სრულიად მცდარია, კარგა ხანს, თვით თ. უსპენსკიმდეც კი, ტრიალებდა უცხოურ და რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში (იხ. Успенский, Очерки, 31—32).

146. იოანე პალეოლოგოსი ბიზანტიის იმპერატორი იოანე V უნდა იყოს, რომელიც ინტერვალებით მეფობდა 1341-დან 1391 წლამდე. მას ჯერ იოანე კანტაკუზინოსმა წაართვა მეფობა, მერე ანდრონიკე IV-მ, თავისმა ძემ, ბოლოს კი—შვილიშვილმა, იოანე VII-მაც.

147. დესპოტის ტიტულს ბიზანტიის სამეფო კარზე ატარებდნენ ტახტზე მჯდომი იმპერატორის შვილები და ძმები, ჩვეულებრივ კი—უფროსი ძე, ტახტის მემკვიდრე. ძალიან იშვიათად იგი სხვა წარჩინებულ პირებსაც ენიჭებოდა. ეტყობა, ტრაპიზონის სამეფო კარზეც ძირითადად ასევე იყო. დესპოტის ტიტულით ერთი ეს ანდრონიკე იხსენიება ამ ქრონიკაში, მეორე კიდევ—დავითი, შემდეგში ტრაპიზონის უკანასკნელი იმპერატორი, ალექსი IV-ის ძე და იოანე IV-ის ძმა (თ 57).

148. თეოსკეპასტოსი — დვთივადცული ყოვლადწმიდა დვთის-მშობლის სახელობაზე კლდეში აგებული ტაძარი და დედათა მონასტერი მთარას მთაზე (Успенский, Очерки, 12; Безобразов, Трапезунт, 43—44; Papamichalopoulos, 206—208). ჩანს ამ მონასტერში იყო სტუმრად ტიმოთე გაბაშვილი და აქ იხილა ალექსი III-სა და მისი დედისა და მეუღლის სურა-

თები (იხ. მისი, მიმოსლვა, 8). ბეზობრაზოვს მოჰყავს ერთ-ერთი მოგზაურის მიერ გამოთქმული აზრი, რომლის მიხედვითაც, მითრას ტაძარი აქ უნდა ყოფილიყო, რადგან ამ ღმერთის საკურთხევლისთვის სწორედ ისეთ ხელოვნურ ან ბუნებრივ გამოკვებულს არჩევდნენ, სადაც წყარო გამოდიოდა (Граниевский, 44). თ. უსპენსკის აზრით კი მითრას საკურთხევლის ადგილას იოანე ნათლისმცემლის ტაძარი და მონასტერი იდგა (Очерки, 158; შდრ. შენ. 116).

149. ეს თბილისის მეფე დავითი რომელი დავითია, ძნელი გასარკვევია წყაროთა სიმცირის გამო. დავით IX (1346—1360) რომ იყო, ბაგრატ V-ის მამა, მაშინ სასძლო, სულ მცირე, სამი წლით უფროსი მაინც გამოდის სასიძოზე—მანუილი 1344 წ. დაიბადა; ჯერისწერა 1377 წელს ხდება, ხოლო რაკი დავით IX 1360 წ. გარდაიცვალა, გულქან-ხათუნი, მისი ასული 17 წლის მაინც იქნებოდა ამ დროს. პროფ. ს. კაკაბაძე რამდენიმე შრომაში ეხება ამ ქრონიკაში მოხსენიებული დავითის ვინაობის საკითხს და დაბეჯითებით ამბობს, რომ იგი უნდა იყოს ე. წ. ალასტანელ მეფეთა ოჯახიდან—უფროსი ძე ანდრონიკესი, ძმა გიორგი ალასტანელისა და 1355—1382 წლებში ჩაშლი (იხ. მისი, დავით უცნობი მე-XIV საუკ. მეფე, წერილები და მასალები საქ. ისტ. I. გვ. 137—140; მეფე გიორგი ანდრონიკეს შვილი ალასტანელი, წერილი შტუდიები საქ. ისტ. საკითხების შესახებ, ტფ. 1914, გვ. 20—22; ვეფხისტყაოსნის პრობლემის გარშემო, საისტორიო მოამბე წ. I, 1924, გვ. 144, 147. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებანი ალასტანელ მეფეთა შესახებ იხ. ქ. ე. ი. III, 124—126). საქმე ის არის, რომ თბილისის ტახტის მფლობელად ამ ხანებში ბაგრატი ითვლება, მასზე ადრე კი—მამამისი დავით IX. თუ იმ ალასტანელ დავითსაც თბილისის მეფედ მივიჩნევთ, მაშინ საკითხავია—როდის მეფობდა, ანდა, უფრო სწორად, როდის წაართვა მან ტახტი ბაგრატს. ამასთანავე ბაგრატი და ტრაპიზონის მეფე უკვე დამოუკრებულნი იყვნენ ამ დროს—მას ცოლად ჰყავდა ანა, ალექსი III-ის ასული და მანუილის და. თუ მანუილი მართლაც ალასტანელთა ოჯახიდან მიიყვანდა ქალს, აშკარაა, ეს ბაგრატის სურვილის წინააღმდეგ უნდა მომხდარიყო, რადგან ალასტანელთა ოჯახი, ბუნებრივია, მის მეტოქედ გამოდის სამეფო ტახტისათვის ბრძოლაში და ამნაირი დანათესალება არ შეიძლებოდა მიზანშეწონილი ყოფილიყო მისთვის. როგორც ქართული და უცხოური წყაროები ადასტურებენ, ბაგრატი მხნე და მორქმული ხელმწიფე იყო, არც უსაფუძვლოდ უნდა ჰქონდეს შერქმეული ებათეტი „დიდი“ (ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ი. III, 282) და თითქოს არც ის ჩანს, რომ თბილისის ტახტი დავითოს ვინმესთვის. თბილისის მეფის დავითის სახელი ისევ ბაგრატის მამას დავით IX-ეს უფრო უნდა შეესაბამებოდეს, თუმცა, როგორც დასაწყისშიაც აღვნიშნეთ, ზოგიერთი დამბრკოლებელი მოსაზრება მაინც ხელს გვიშლის ამის კატეგორიული მტკიცებისათვის. ალ. ხახანაშვილი გულქან-ხათუნს ბაგრატის დად და დავით IX-ის (ოლონდ იგი VII-დ თელის) ასულად მიიჩნევს (Граниевская хроника, 41). საინტერესოა, რომ, ქრონიკის მიხედვით, მანუილის შვილიც დაახლოებით 13—14 წლის ასაკში დაქორწინებულა (შდრ. აქვე, თ. 50 და 55).

150. აღბუღა უნდა იყოს ივანე ათაბაგის მამა, დიდი ბექას შვილი-შვილი XIV ს. II ნახევრის მოღვაწე. ცნობილი ბექა-აღბუღას სამართლის ერთი ავტორთაგანი. იგი, ს. კაკაბაძის აზრით, 1386 წელსაც ცოცხალი ყოფილა. იხ. მისი, სჯულმდებელთა ბექას და აღბუღას ვინაობა, ტფ., 1912, გვ. 4—7;

ივ. ჯავახიშვილი, ქ. სამ. ი., ნ. I, 107—109; ი. დოლიძე, ძველი ქართული სამართალი, თბ., 1953, 39—41.

151. მანუილი მომავალი იმპერატორი მანუილ III კონინოსია (1390—1417).

152. გონია ციხე-სიმაგრე და პუნქტი ქოროხის შესართავთან. ზოგი მეცნიერი მას აფსაროსთან აიგივებდა (Ф. И. Успенский, Старинная крепость на устье Чороха, ИАН, № 2, 1917, 163). მის შესახებ სპეციალური ნარკვევი ლიტერატურის მიმოხილვითურთ ეკუთვნის ვ. იაშვილს—„გონიის ციხის ისტორიისათვის“, კრებულში „ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები აპარაში“, ბათუმი, 1955, გვ. 5—27. შდრ. აგრეთვე, Original-Fragmente, II, 96—97; ი. სიხარულიძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ტოპონიმია, წ. I, ბათუმი, 1958, გვ. 30—32.

153. გულქან-ხათუნის შესახებ იხ. შენ. 149.

154. ჭაპნიდების შესახებ იხ. შენ. 85. ამ ადგილიდან კარგად ჩანს, რომ ამბავი ხდება ტრაპიზონის დასავლეთით თუ, უფრო სწორედ, სამხრეთ-დასავლეთით და არა საკუთრივ ლაზეთში, როგორც ალ. ხახანაშვილს (Трапезундская хроника, 42) და ბროსესაც (Lebeau, XX, 504) აქვთ აღნიშნული.

155. პეტრომას ციხე ახლაც ამ სახელით ყოფილა შემორჩენილი. ფალმერაიერის თქმით, იგი მდებარეობს ტრიპოლისსა (ახლანდელი ტირე-ბოლი, შდრ. შენ. 95) და კორდილეს შორის ჩამომავალი მდინარის ხეობაზე. ზღვის სანაპიროდან 2 საათის სავალზეა (იხ. Original-Fragmente II, 99; აგრეთვე, Lebeau, XX, 492, 504; Вазелонские акты, 27), ხოლო ტრიპოლისიდან 26—27 კმ-ზე უნდა იყოს (Успенский, Очерки, 89).

156. ეს ადგილი ბუნდოვანია და მის შესახებ სხვადასხვანაირი აზრისანი არიან მკვლევარები. ტაფელს განუმარტებლად შეაქვს სიტყვათა საძიებელში; ბროსე თარგმნის, როგორც „barques“. ფალმერაიერი ვერ დასდგო-მია რაიმე გარკვეულ აზრს და თარგმანში სულ გამოუტოვებია ეს სიტყვა, შენიშვნაში კი ვარაუდს გამოთქვამს, შესაძლოა, რაიმე პირუტყვის ჯოგს ან ფარას გულისხმობდესო (Original-Fragmente, II, 99). ალ. ხახანაშვილსაც ბუნდოვანად აქვს გადმოცემული (Трап. хроника, 42), ამ სიტყვის გარკვეულ ბადალს არ წერს. ხომ არ არის ეს სიტყვა დაკავშირებული სიტყვასთან *σαμψελής*, *εξ* (= ინგლ. *in unison, in time*—„თანხმობით“, „შეთანხმებით“, „შეწყობით“, აგრეთვე—„ღროზე“, „ღროულად“)? მაშინ შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ტყვეები ღროზე, ღროულად გაათავისუფლა, ე. ი. მანამ, სანამ ალბათ სხვაგან, უფრო შორს წაიყვანდნენ და გადაკარგავდნენ მათ.

157. სოლავოპიასტეში ფალმერაიერი, რომელიც ცნობილია თავისი საკუთარი თავისებური თეორიით სლავების დიდი როლის შესახებ საბერძნეთისა და ბიზანტიის ისტორიაში (იხ. А. Васильев, Славяне в Греции..., Виз. Вр., V, 1898, 626, შმდ.), ხედავს აქ ჩამოსახლებული სლავების სახელის კვალს—„Slavo-Piastes“ უნდა იყოსო (შდრ. მისი, Orig.-Fragm., II, 99—100). აღსანიშნავია, რომ რაიმე განსაკუთრებული მსჯელობის გარეშე იგი ამ პუნქტს რატომღაც ტრაპიზონის აღმოსავლეთით გულისხმობს (იხ. მისი, Geschichte, 33). ნთელი კონტექსტი კი თითქოს სხვას გვიკარნახებს (შდრ. შენ. 85 და 154).

158. ამის შემდეგ ახალ ამზაცამდე რაც ტექსტია, ალ. ხახანაშვილის თარგმანში გამორჩენილია.

159. ეს ჩამატებული სიტყვა აზრით იგულისხმება და ამიტომ შემოაქვს ლამბროსს. შეიძლება ასეც გვეთარგმნა: „დაიმედებულნი, რომ მეფეს შეხედებოდნენ (იპოვნიდნენ)...“

160. ამ ბასილის თვლიან მომავალ ალექსი IV-ედ (Orig.-Fragm., II, 104) იმ მოსაზრებით, რომ მანუილის სხვა შვილის დაბადება აღარსად მოიხსენება (შდრ. Трапезундская хроника, 42).

161. საზარღვლების სენში უნდა იგულისხმებოდეს შავი ქირი, რომელსაც ჯირკვლების გასივება ახასიათებს (იხ. აგრეთვე, თ. 31).

162. ს ი რ მ ე ნ ე ანუ სურმენე—პატარა ქალაქი ზღვის სანაპიროზე, ტრაპიზონის აღმოსავლეთით რამდენიმე საათის სავალზე (Orig.-Fragm., I, 138; Казбек, Три месяца, 96). პ. ინგოროყვას აზრით, იგი ძველი ჰისის ნავსადგურია, შემდეგ დროინდელი იგივე სუსარმია ანდა სუსურმენე (გიორგი მერჩულე, გვ. 224—225).

163. ეს და დანარჩენი თავები უკვე შემდეგ მინაწერი ჩანს და მიქელ პანარეტოსს აღარ უნდა ეკუთვნოდეს. იხ. ამის შესახებ შესავალი, გვ. 14.

164. თ ე მ უ რ - ლ ე ნ გ ი (1336—1405)—მოწილი დამპყრობელი, რომელმაც სასტიკად მოარბია მთელი შუა აზია, სპარსეთი, კავკასია, ინდოეთი და მესოპოტამიამდე და სირიამდე უწია. ანგორის ბრძოლის შემდეგ (1402 წ.), რომელშიაც თემურ-ლენგმა თურქები დაამარცხა, მცირე აზიასაც დაებატრონა და ტრაპიზონის მაშინდელი მეფე მანუილ III იძულებული იყო, მის ქვეშევრდომად ეცნო თავი (Успенский, Очерки, 117). თემურ-ლენგისაგან საქართველოს არაერთგზის დალაშქვრის ამბები საკმაოდ დაწვრილებითაა მოთხრობილი ჩვენს საისტორიო წყაროებში (იხ. ქ. ცხ., II, 323—339 და სხვ., შდრ. ივ. ჯავახიშვილი, ქ. ე. ი., III, 285—307; ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორია მე-13—14 სს., თბ. სახ. უნ. შრომები, VI, 1937, 299; საქართველოს ისტორია, ნ. I, 278—285).

165. ხ ა ტ ა ე თ ი „ხატაია“-ს ფორმით წერია ორიგინალში და საინტერესოა, რომ ძველ ქართულ ძეგლებშიაც გვხვდება იგი ჩინეთის აღსანიშნავად (ქ. ცხ., II, 162—163; 171, 181 და სხვ.; აგრეთვე „ვეფხისტყაოსანში“). ფალსერაიერი ამ სახელის მქონე ქვეყანას ვარაუდობს მდ. სირ-დარიასა და ჩინეთის დიდ კედელს შორის მოქცეულ ტერიტორიაზე (Orig.-Fragm., II, 101—103; შდრ. Трапезундская хроника, 43).

166. თ ბ ი ლ ი ს ი ს შესახებ ეს ცნობა ერთ-ერთი საინტერესოთაგანია ქალაქის ისტორიული წარსულის გასათვალისწინებლად. ამ თხზულების თანახმად იგი მდიდარი და დიდებული ქალაქი ყოფილა იმ დროს. ბაგრატ V დახასიათებულია, როგორც განობრძმედილი სარდალი.

167. ბ ა გ რ ა ტ V - ი ს ძ ი ს დ ა ვ ი თ ი ს შესახებ ვახუშტის ნათქვამს, რომ იგი ბაგრატის პირველ ცოლთან, ელენესთან ნაყოლი შვილი უნდა იყოსო, ივ. ჯავახიშვილი პანარეტოსის ამ ცნობის საფუძველზე უარყოფს, რადგან ეს უფრო სანდოდ და სარწმუნოდ მიაჩნია (იხ. მისი. ქ. ე. ი. III, 285). ს. კაკაბაძე ამ დავითს თვლის XVI ს-ში ალექსანდრე II კახთა მეფის ბრძანებით გადაწერილი სიგლის გამცემ პირად (იხ. მისი, XV ს. დასაწყისის ერთი დავით მეფის შესახებ, კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, თბილისი, 1920, გვ. 22—26). საერთოდ წყაროებში აღრეულობა ჩანს ამ საკითხის შესახებ. ამ მხრით საინტერესოა „ახალი ქართლის ცხოვრების“ პირველი და მეორე ტექსტების შესაბამისი ადგილების შედარება.

პირველში ნათქვამია: „ხოლო კახეთისა მებატონეთა მამა იყო დავით. და ამა დავითის მამა, არა უწყით, თუ ვინ იყო. ესე დავით დიდოეთიდამე ჩამოიყვანეს და კახთა გააბატონეს“ (ქ. ცხ., II, 348). მეორე ტექსტში ეს ამბავი უფრო ვრცლად და ხორცშესხმულად არის: „და მოკლეს მეგრელთა მეფე გიორგი იმერეთისა. ამასვე წელსა გარდაქდა დიდი მეფე ბაგრატ იმერეთისა, და დაჯდა მეფედ ძე ბაგრატიისა კონსტანტინე, და იმეფა შუდ წელ, და მოკლეს ჩალალას. ხოლო ოდეს ლანგ-თენურ მოვიდა, მაშინ შეინახეს დიდოეთს ძე ბაგრატიისა და ძმა გიორგისა დავით და ოდეს აღესრულა მეფე გიორგი, მაშინ შთამოიყვანეს ქართველთა და კახთა დიდოეთიდამ და გააბატონეს ქართლსა და კახეთს“ (ქ. ცხ., II, 472). მაგრამ არ ჩანს რა წყაროდან შეუტანიათ ეს ცვლილებანი. ივ. ჯავახიშვილის თქმით, არც ვახუშტის იმ ცნობის წყარო ჩანს, რომელშიც იკითხება: „...მოკვდა ცოლი მეფისა ბაგრატიისა დედოფალი ელენე და დაუტევნა ძენი გიორგი და დავით წელსა 1366“. ჩვენის აზრით, შესაძლოა აქ აღრეულობა გამოიწვიოს იმ გარემოებამ, რომ წყაროებში, სხვადასხვა დროს, ბაგრატ-ელენეს ორი სხვა წყვილიც მოიპოვება, მაგ., ერთი ელენე ალექსანდრე I-ის ძმის ბაგრატიის მეუღლე იყო (ქ. ცხ., II, 477), ხოლო მეორე—იმერეთის მეფის ბაგრატ მესამისა. ვახტანგ მეფის სწავლულ კაცთა კომისიის ნამუშევარი, მისი შემდგომი რედაქციები და თვით ვახუშტის ისტორია კი იმდენი ხნით არიან დაშორებულნი აღსაწერ ხანას, რომ შეცდომა სრულიად მოსალოდნელია და შეიძლება, რომ ბაგრატ V-ის პირველ მეუღლეს იქნებ სულაც არ ერჭვა ელენე ისევე, როგორც პანარეტოსის ცნობით მტკიცდება, რომ დავითი მისი შვილი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ბაგრატიის მეორე ცოლისა.

168. თბილისის მოხრებისა და ბაგრატ მეფისა და დედოფალ ანას ტყვედ ჩავარდნის ამბავი (ოლონდ მათი შვილი დავითი კი არ ჩანს) ორგზის იხსენიება ქართულ ქრონიკებში: ერთხელ 1385, ხოლო მეორედ 1387 წლების ქვეშ (იხ. ქრონიკები, II, 199 და 191).

169. ალექსი III-ის გარდაცვალების ამ თარიღს ამოწმებს ერთ-ერთი ტრაპიზონული ხელნაწერის მინაწერი, რომელიც პაპადოპულო-კერამეცსმა გამოაქვეყნა (იხ. მისი, *Трѣзасъсѣдѣніа, Виз. Вр. V, 1898, 679*).

170. ხელნაწერის წაკითხვა უცნაურად ეჩვენა ჯერ კიდევ ფალმერაიერს (Orig-Fragm, II, 102—106) და ვრცლად მსჯელობს ამ საკითხის შესახებ. მას შესაძლებლად მიაჩნია აქ მითვლილი იყოს თანაიმპერატორობის წლებიც. ამასთანავე ერთი სომხური წარწერის საფუძველზე ამტკიცებს, რომ მანუილი 1415 წელსაც ცოცხალი უნდა ყოფილიყო და დარწმუნებულია, რომ შეცდომა დამწერს გარდაცვალების წლის აღნიშვნაში მოუვიდა—ე (5) დააკლდაო. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ბოლო თავები შემდგომდროინდელი მიწერილია და საკმაოდ უთავბოლოდაც, — გვიან მომხდარი ამბები წინ არის გადმოსული, აღრინდელი კი შემდეგ მოდის; თანაც ორთოგრაფიაც მოისუსტებს, — ფალმერაიერის ვარაუდი მართებული ჩანს. ლამბროსი პირდაპირ ასწორებს მეფობის წლების რაოდენობას—27-ის მაგიერ 22-ს წერს, დასაბუთებას კი არ იძლევა. ამიტომაც, რომ მანუილის გარდაცვალების წლად ჩვეულებრივ მიღებული 1417 წელი დავტოვეთ (შდრ. შენ. 151).

171. ალექსი IV დიდი კომნენოსი მანუილის ძე, რომლის მეფობის წლების დადგენაშიაც აგრეთვე აზრთა სხვადასხვაობა არსებობს, ის მეფეა, რომლის მეუღლის სატრფიალო თავგადასავლის შესახებაც ვრცლად გვიამ-

ბობს ხალკოკონდილისი (Laonici Chalcocondylae Historiarum demonstrationes, ed. Darko, II, 219-221; შდრ., Успенский, Очерки, 126—129; Fallmerayer, Geschichte, 245—250). ამ მეფის საფლავის არქეოლოგიურ გამოკვლევას მიუძღვნა თ. უსპენსკიმ სპეციალური შრომა—„Усыпальница царя Алексея IV в Трапезунте“, Виз. Вр., т. XXII, 1917—1922, 1—14. ალექსი IV-ის მკვლელობის შესახებ უ. მილერი, რომელსაც მხარი დაუჭირეს ლამბროსმა და იორგამაც, ამბობს, 1429 წლის 28 ოქტომბერზე ცოტა ადრე უნდა მომხდარიყო (Trebizond, 82; შდრ. აგრეთვე მისი სპეციალური სტატია იოანე IV-ის ტახტზე ასვლის შესახებ—English Historical Review, July, 1923, XXXVLI, 408).

172. გი დ ო ნ ი ანდრონიკე I გიღონ-კომნინოსი უნდა იყოს. იხ. შენ. 10.

173. გ ო თ ი ა შ ი ყირიმის ნახევარკუნძულის მოზრდილი ნაწილი იგულისხმება, რომელზედაც, წყაროთა მოწმობით, ტრაპიზონის მეფის ხელისუფლება ვრცელდებოდა. იგი იხსენიება იმპერატორთა ტიტულშიაც „გაღმა მხარის“ სახელწოდებით (Orig.-Fragm., I, 110—111).

174. თ ე ო დ ო რ ე ლ ი ანუ თეოდორადან, ფალმერაიერის განმარტებით, უკავშირდება გოთიის მთავარი ქალაქის თეოდოროს სახელს. შუა საუკუნეებში ლათინები მას „Todoro“-ს ან „lo Todoro“, ხოლო ბიზანტიელები τὸ Τεδορο-ს უწოდებდნენ (Orig.-Fragm., I, 110). ფ. ბრუნი მას აიგივებს მანგუპთან, XV ს. I ნახევარში იგი მართლაც ალექსის სამფლობელო იყო (შდრ. Ф. К. Брун, Черноморье, I, 303, 314; II, 217, 230—31 და სხვ.). ეს ადგილი არც ბროსეს აქვს სწორად და არც ხახანაშვილს—ორივეს თეოდორა ანუ თეოდორი აქ ალექსის მეუღლის სახელი ჰგონია და მარია წარმოდგენილია თარგმანში, როგორც ალექსისა და თეოდორას ასული (იხ. Lebeau, XX, 509; Трап. хроника 44).

175. დ ა ვ ი თ ი ტრაპიზონის მომავალი უკანასკნელი იმპერატორია (1458—1461) იოანე IV-ის ძმა. იმპერიის უკანასკნელი წლების შესახებ იხ. Успенский, Очерки, 129—140; Fallmerayer, Geschichte, 251—279; Miller, Trebizond, 96—106; აგრეთვე, V. Laurent, David Comnène, dernier empereur de Trebizonde (1458—1461), Dict. Hist. et Géogr. Eccl., 14 (1957) 117—119; J. E. Powell, Die letzten Tage der Grosskommenen, B. Z. 37 (1937) 359—360.

საკუთარ სახელთა საქმეებელი

(ვარსკვლავიანი ციფრი სავანგებო შენიშენის ან განმარტების გვერდს მიუთითებს)

ბ

აგათია, ბიზანტიელი ისტორიკოსი 66.
 ავალიშვილი ზ. 9—11, 48, 50.
 ავგუსტა, იხ. ამიდა.
 ახატ მოსე, თურქების ბელადი, რომელიც პარ-
 ხალს შეესია 68.
 ათინა, ქალაქი შავი ზღვის სანაპიროზე 77.
 ათონი 54, 55, 74, 81.
 აინა-ბეგი, იხ. ახის აინა-ბეი.
 აინა-ბეი, იხ. ახის აინა-ბეი.
 აკაკიოსი, ტრაპიზონის მიტროპოლიტი 24.
 აკომინატისი (ხონიატისი) ნიკიტა, ბიზანტიე-
 ლი ისტორიკოსი 47, 52.
 აკროპოლიტისი გიორგი, დიდი ლაგოფოტეტი,
 ბიზანტიელი ისტორიკოსი 47, 51, 78.
 ალა-ად-დინ-ქაი-ქუზად I, იკონიის სულთა-
 ნი 53*.
 ალაგიონი, ტრაპიზონის მეფის მცველი რაზ-
 მი 22, 64, 67*.
 ალექსანდრე I დიდი, საქართველოს მეფე
 (1412—1443) 86.
 ალექსანდრე II, კახთა მეფე (1574—1605) 85*.
 ალექსი I დიდი კომნინოსი, ტრაპიზონის
 იმპერატორი 9*, 10, 16, 48, 49—50*, 51—
 53, 60.
 ალექსი II დიდი კომნინოსი 18—20, 23, 24, 59*.
 ალექსი III დიდი კომნინოსი 14, 15, 21, 22,
 27, 35—39, 41—45, 64, 74*, 82, 86.
 ალექსი IV დიდი კომნინოსი 45, 46, 86—87*.
 ალექსი კომნინოსი ანდრონიკუს-ძე, იხ. კონნი.
 ნოსი ალექსი ანდრონიკე I-ის ძე.
 ალექსი, გათიის ქალაქ თეოდორუს მფლობელი
 (XV ს. I ნახ.), ამის ასულია მარია 46, 87*.
 ამანელის-ძეები 57*.
 ამასტრია ქალ. 49.
 ამიდა, ახლანდელი დიარბექირი 68*.
 ამიდელეები, ამიდელი თურქები 23—26, 29,
 68*, 69.
 ამინსო, ამინსუ, ამისო, ახლანდელი სამსუნე
 (იხ.) 27, 37, 73*, 79*.
 ამიძანტარიოსები, ამიძანტარანტიკები, ტრა-
 პიზონის ერთ-ერთი წარჩინებული გვარი
 22, 23.

ანა I დიდი კომნინოსი, ანახუტლუ 23, 25,
 68—69*, 73.
 ანა კომნინოსი, ალექსი III-ის ასული, ბაგრატ
 V-ის მეუღლე 15, 32, 38, 45, 80*, 83, 86.
 ანა, ფილანთროპენოსის ასული, მანუილ III-ის
 მეორე ცოლი 46.
 ანა ქსილაღო, მანუილ I-ის ერთ-ერთი მეუღ-
 ლე 17, 55*.
 ანახუტლუ, იხ. ანა I დიდი კომნინოსი.
 ანატოლია 81.
 ანგელოსები, ბიზანტიის იმპერატორთა დი-
 ნასტია, მეფობდა 1185—1204 წლებში 48.
 ანგოლა, ანგორის ბრძოლა 85*.
 ანდრიანოპოლი 35.
 ანდრონიკე I გიღონ-კომნინოსი, ტრაპიზონის
 იმპერატორი 16, 53*, 54, 87*.
 ანდრონიკე II დიდი კომნინოსი 17, 55*.
 ანდრონიკე III დიდი კომნინოსი 20, 21, 60*.
 ანდრონიკე I კომნინოსი (1183—1185), ბიზან-
 ტიის იმპერატორი 49*, 50.
 ანდრონიკე II პალეოლოგოსი, ბიზანტიის იმ-
 პერატორი 18, 57*, 59.
 ანდრონიკე III პალეოლოგოსი, ბიზანტიის იმ-
 პერატორი 21, 23, 68*.
 ანდრონიკე IV პალეოლოგოსი, ბიზანტიის იმ-
 პერატორი 82*.
 ანდრონიკე კომნინოსი, ალექსი III-ის უკანონო
 ძე, ამაზე იყო დანიშნული ქართველი
 გულქან-ხათუნი, რომელიც შემდეგ მანუილ
 III-ემ შერთო 31, 41, 82.
 ანდრონიკე, მეფე გიორგი ალასტანელის მამა
 (XIV ს.) 83*.
 ანდრონიკოპოლისი იოანე, პროტოვესტიარ-
 რიოსი 41.
 ბაკალია—ჭერაკლია, ქალაქი შავი ზღვის სა-
 მხრეთ სანაპიროზე 49.
 ბარანიელეები, ბარანიოტები 39, 81*.
 ბრგროკასტრონი, ახლანდელი ქ. გიუმუშ-
 ხანე 75*.
 ბრზრუმი (თეოდოსიოპოლი, კარინი) 52, 72*
 ბრთვანი—ბრთვინი 67, 80.
 ბრტანი 59.
 ბრტანეჯი 59.

ასონატოსი 20, 60—61*.
 აფსაროსი, მას აიგივებენ გონიასთან (იხ.) 84*.
 აფსახები 38.
 აქსოსი როანე, იხ. იოანე I აქსუხოსი.
 აღბულა ათაბაგი, სამცხის მთავარი 41, 83—84*.
 აქარა 59, 84.
 აქარა-გურია 82.
 ახალციხის საფაშო 67.
 ახანტა, იხ. აგრეთვე ახანტაკა 63*.
 ახანტაკა 21, 38, 63*, 80.
 ახიანიაცი, იხ. ახის აინა-ბეი 35, 77*.
 ახის აინა-ბეი 26, 72*, 77*.
 ახლო აღმოსავლეთი 54.

ბ

ბაბეროი, ბაბერდი 72, 75, იხ. ბაიბურთი.
 ბაგრატ V, საქართველოს მეფე 15, 38, 40, 45, 80*, 82, 85, 86.
 ბაგრატ III, იმერეთის მეფე 86*.
 ბაგრატი, ალექსანდრე I-ის (იხ.) ძმა 86*.
 ბაგრატიონები 10.
 ბაგარიის სამეცნიერო აკადემია 12.
 ბათუმი 15, 40, 81*, 82.
 ბაიბურთი 26, 33, 34, 68, 72*, 73, 75, 81.
 ბაირამ-ბეგი, იხ. ბაირამ-ბეი 60*.
 ბაირამ-ბეი 20, 60*.
 ბაირამი, ამის ძე ამირა ხაჯიმირი 32.
 ბარნაბა, ტრაპიზონის მიტროპოლიტი 37, 79*.
 ბარზონი, იხ. აგრეთვე პარზალი 68*.
 ბასილი I დიდი კომნინოსი, ალექსი II-ის ძე 21, 22, 32, 45, 61*, 63, 64, 69, 74.
 ბასილი ეზოსმოდგარი 49, 50, 52, 58.
 ბასილი კომნინოსი, იხ. კომნინოსი ბასილი.
 ბასილი, მანუილ III დიდი კომნინოსის ძე, ამას თელიან ალექსი IV-ედ (იხ.) 44, 85*.
 ბასილი ხუპაკა, ხუპაკოსი, იხ. სქოლარისი ბასილი.
 ბაქრაძე დ. 51, 81.
 ბეზობრაზოვი პ., რუსი ბიზანტინისტი 9, 10 51, 59, 67, 77, 80—83.
 ბეკერი ი., გერმანელი ფილოლოგოსი 52.
 ბენეფიჩი ვ., პროფ. 56.
 ბერიძე ვახტანგ, პროფ. 59.
 ბერძენიშვილი ნ., აკად. 10, 67, 69, 80, 85.
 ბერძენები, იხ. აგრეთვე ბიზანტიელები, რომაელები 10, 49, 50, 61, 73.
 ბერძენები—ანტიკური ხანის ბერძენები 47.
 ბესარიონი, კარდინალი, ტრაპიზონელი, აღორძინების ხანის მოღვაწე II*.
 ბექა, მანდატურთუხუცესი, სამცხის მთავარი 19, 59*, 68, 83.
 ბიზანტია 9, 15, 23, 29, 40, 43, 47, 49—51, 53, 55, 56, 58, 65, 67, 70, 76, 78, 84.

ბიზანტიელები 9, 23, 42, 43, 47*, 68*, 73, 87.
 ბოზ-თეფე 63*, 69, 73, იხ. მინთარიონი.
 ბოსფორი 52.
 ბროსე მ., აკად. 12, 51, 60, 63, 64, 66, 67, 69, 71, 74—76, 84, 87.
 ბრუნი ფ. 73, 87.

8

გაბაშვილი ტიმოთე 47, 63, 74, 82.
 გალატა 35, 36, 78*.
 გალაზა, იხ. გოლაზა 77.
 გამყრელიძე აღ. 51, 78.
 განტაპედინი, ადგილია 38.
 გაღმა მხარე, ყირიმა 47.
 გენუელები, იხ. აგრეთვე ლათინები 25, 29, 71*, 73, 78, 80.
 გიბონი ე., ინგლისელი ისტორიკოსი 48.
 გიდონი, თედორე I ლასკარისის სარდალი 53*, შდრ. ანდრონიკე I გიდონ-კომნინოსი.
 გიდონი 46, 87*, იხ. ანდრონიკე I გიდონ-კომნინოსი.
 გიმორა, გიმორის ბანდა 61, 77.
 გიორგი I დიდი კომნინოსი, მანუილ I-ის ძე, ტრაპიზონის იმპერატორი 17, 18, 55*, 56, 57*.
 გიორგი III, საქართველოს მეფე (1156—1184) 51.
 გიორგი V ბრწყინვალე 59*, 68*, 80.
 გიორგი ალასტანელი, ქართველი მეფე, ანდრონიკეს-ძე (XIV ს.) 83*.
 გიორგი-აღბულა, ალექსი II-ის ძე; ძმამ, ანდრონიკემ, მოაკვლევინა 20, 60*.
 გიორგი, ბაგრატ V-ის ძე 86*.
 გიორგი, იმერეთის მეფე „მოკლეს მგვრელთა“ 86*.
 გირესუნე, იხ. კერასუნტი.
 გიუმეიუშ-ხანე, იხ. არგიროკასტრონი.
 გოთია, იხ. აგრეთვე გაღმა მხარე. გოთია 46, 73, 87*.
 გოლაზა, გალაზა 35, 39, 41, 77*.
 გონია 42, 80, 84*.
 გრიგოლ ნოსელი, IV ს-ის საეკლესიო მოღვაწე, ამის სახელობაზე უნდა იყოს აგებული წმ. გრიგოლის ტაძარი ტრაპიზონში 79*.
 გრიგორასი ნიკიფორე, ბიზანტიელი ისტორიკოსი 47, 56, 59, 64, 66, 68.
 გუმეიშხანა, იხ. გიუმეიუშ-ხანე, არგიროკასტრონი.
 გუზელ-სერაი, ადგილი ტრაპიზონში 73.
 გულქან-ხათუნი, ევდოკია, მანუილ III-ის მეუღლე 41, 42, 83*, 84.
 გურიელი 15, 40, 81—82*.
 გურიელი კახაბერ, 81, იხ. აგრეთვე გურიელი.

დ

დადიანი გიორგი, ერისთავთ-ერისთავი 81*.
დადიანი ვამეყ, გიორგი დადიანის ძე, მანდატ-ურთუხუციანი 81*.
დავითი, დიდი კომინოსი, ტრაპიზონის უკანასკნელი იმპერატორი (11458—11461) 14, 46, 82, 87*.
დავით IV აღმაშენებელი (1089—1125) საქართველოს მეფე 51.
დავით VI ნარინი, რუსუდანის ძე, საქართველოს მეფე 18, 55, 57*.
დავით IX, ბაგრატ V-ის მამა, იხ. აგრეთვე დავითი, თბილისის მეფე 83*.
დავითი, ალასტანელ მეფეთა ოჯახიდან, ანდრონიკის ძე, გიორგის ძმა 83*.
დავითი, ბაგრატ V-ის და ანას ძე 45, 85—86*.
დავითი, თბილისის მეფე 41, 83*.
დავითი, „კახეთისა მებატონეთა მამა“ 86*.
დავით კომინოსი, იხ. კომინოსი დავით.
დაქნობანი სტეფანე 37, 79*.
დარკო გ., უნგრელი ბიზანტინისტი 63.
დასავლეთ საქართველო 54, 57, 69, იხ. აგრეთვე საქართველო და იბერია.
დაფნუსის ყურე 27, 73*.
დოლგერი ფ., თანამედროვე გერმანელი ბიზანტინისტი 48, 49, 74.
დიარბექირი, იხ. ამიდა.
დიდოეთი 86.
დიკესიმონი, ახლანდელი ჯივიზიკი 32, 76*.
დიმიტრაკოსი, ბერძენი ლექსიკოგრაფოსი 54, 60, 64, 65, 67, 69, 79.
დიმიტრი II თავდადებული, საქართველოს მეფე 59*.
დიონისიოსის მონასტერი ათონზე 54, 74.
დიუ-კანჯი, შ., ფრანგი ბიზანტინისტი 48.
დოლინოსის ძენი, დაიხოცნენ ამიდელთა დარბეგის დროს 23, 68*.
დოლიძე ი., პროფ. 84.
დორანიტისი თედორე, დიდი სტრატოპედარხისი, ეძახოდნენ პილელისს 28, 29.
დორანიტისი იოანე კონსტანტინეს-ძე, ეპიკურნისი 24, 25.
დორანიტისი კონსტანტინე, პროტოვესტიაროსი 22, 24, 25, 28, 29.
დორიონა, ადგილია 44.

ე

ეგვიპტე 67.
ეგდოკია, იხ. აგრეთვე გულქან-ხათუნი 41, 42, 44, 45.
ეგდოკია კომინოსი, ალექსი III-ის ასული, შვირთო ტაჯ-ედინ-ჩელეზმა 42, 45.

ეგდოკია ძოწითშობილი კომინოს-პალეოლოგოსი, იოანე II-ის მეუღლე, მიხეილ VIII პალეოლოგოსის ასული 18, 19, 56*.
ეესტაბოროსი, თესლონიკის მიტროპოლიტი 11*.
ეფთრაცი, მდ. 67.
ეზინკა, ერზინკა, იხ. ეზინკი.
ეზინკი, ეზინგი, ერზინკი, ერზინჯანი 26, 34, 58, 71—72*, 73, 75.
ეიკებტარისი, იხ. მაჰმად ეიკებტარისი.
ელევისის მონასტერი 39, 81*.
ელენე, ალექსანდრე I-ის ძმის ბაგრატის მეუღლე 86*.
ელენე, ბაგრატ V-ის პირველი მეუღლე (ვახუშტის მიხედვით) 85—86*.
ელენე, იმერეთის მეფის ბაგრატ III-ის მეუღლე 86*.
ემენელასძე თამარ, იხ. თამარ ემენელასძე.
ენსლინი ვ. 65*, 78.
ეპროსის სამთავრო ანუ კალონიკის სადეპოტი 48.
ერგე, ადგილია 80.
ერზინჯანი 67, 71, 73, 75, იხ. ეზინკი.
ერზურუმი, იხ. არზურუმი.
ეკთიმე (Euthymios), ათონის დიონისიოსის მონასტრის ბიბლიოთეკარი 54, 61.
ეშილ-ირმაკი, მდ., ძველი ირისი 58.

ვ

ვახუშტის მონასტერი, რომლის საბუთები გამოსცეს თ. უსპენსკიმ და ვ. ბენეშევიჩმა 75.
ვამეყ დადიანი, იხ. დადიანი ვამეყ.
ვარდანისძეები 58.
ვასილიევი ა. 9—11, 47, 48, 50—53, 63, 84.
ვახტანგ VI, ქართლის მეფე, მისი სწავლულ კაცთა კომისია 86.
ვახუშტი 51, 67, 72, 80, 81, 85, 86.
ვენეცია 11.
ვენეციელები 24, 29, 80, იხ. აგრეთვე ლათინები.
ვენეციის წმ. მარკოზის მონასტრის ბიბლიოთეკა 11, 13.
ვერცხლის-ციხე, იხ. არგიროკასტრონი.
ვეფხისტყაოსანი“ 54, 85.

ზ

ზიგანის უღელტეხილი 75, 76.

თ

თამარ მეფე (1184—1213) 9, 10, 16, 50—52*, 54, 73.

თამარ ემენლასძე, დავით VI ნარინის მეუღ-
ლე 57*.
თაყაიშვილი ვ., აკად. 47, 67.
თბილისი 41, 45, 52, 83, 85*, 86.
თედორე I ლასკარისი (1204—1222), ნიკეის
იმპერატორი 53.
თემურ-ლენგი (1336—1405) 44, 83*.
თეოდორა I დიდი კომნინოსი, მანუილ I-ის
ასული, იბერიიდან მოყვანილ რუსუდანთან
ნაყოლი, ტრაპიზონის დედოფალი 19,
55, 57*.
თეოდორა კანტაკუზინოსი, ალექსი .IV-ის მე-
უღლე 46.
თეოდორა კომნინოსი, ბასილი I-ის ასული,
გათხოვდა ამირა ხაჯინირზე, ბაირომის-ძეზე 33.
თეოდორა კომნინოსი-კანტაკუზინოსი, სევა-
სტოკრატორ ნიკიფორე კანტაკუზინოსის
ასული, ალექსი III-ის მეუღლე 29, 32,
74—75*.
თეოდორა, თეოდორა, ქალაქი გოთიაში (ყი-
რიმში) 46, 87*.
თეოდოსი, ტრაპიზონის მიტროპოლიტი 40,
42, 44, 81.
თეოდოსია 73*, იხ. კაფა.
თეოდოსიოპოლი 52, 72*, იხ. არზრუმი.
თესკეპასტოსი, თესკეპასტოსის მონასტერი
41, 45, 82*.
თერმე-ჩაი, მდ., ძველი თერმოდონტი 58.
თესლანონი 40.
თორთომის მთა 67.
თურალი-ბეი პოსდოგანისი 26, 72*.
თურქები 14, 19, 20, 23—26, 31, 32, 34, 36
39, 43, 59, 63, 68, 72, 74, 79, 81, 85.
თურქები 72.
თურქი-სელჯუკები 53, 71, 81.

0

იაშვილი ვ. 84.
იანუგლები 26, 71*, იხ. გენუელები.
იასონი, იასონიანი, იასონისი, იასონის კონც-
ხი, იასუნ-ბურნი 32, 58, 69, 76*.
იბერები, იბერიელები, იხ. აგრეთვე ქართვე-
ლები 38, 48, 52, 56.
იბერია, იხ. აგრეთვე საქართველო 16, 18, 19,
41, 45, 52, 56.
იბრაიმ რუსტამის-ძე, თურქი მოთარეშე 21,
63—64*.
იფნი-ჯუმა, მეჩეთად გადაკეთებული წმიდა
ეგგენის ტაძრის სახელი, იხ. წმ. ეგგენი 67*.
ივანე ათაბაგი, აღბულას მამა 83.
იკონია, იკონიის სულთანი 53.
ინგოროყვა პ. 51, 55, 57—59, 68, 69, 72, 76,
77, 85.
ინდოეთი 85.

ინეონი 24, 26, 42, 59, 69*, 71, 76.
ინჯიჯიანი ლუკა 67.
იოანე I აქსუხოსი, დიდი კომნინოსი, ტრაპი-
ზონის იმპერატორი 17, 53—54*.
იოანე II დიდი კომნინოსი 18, 55, 56*,
57, 58.
იოანე III დიდი კომნინოსი 24—26, 35, 73*,
74, 77*.
იოანე IV დიდი კომნინოსი 84.
იოანე V პალეოლოგოსი, ბიზანტიის იმპერა-
ტორი 15, 33, 36, 40, 82*.
იოანე VI კანტაკუზინოსი, ბიზანტიის იმპერა-
ტორი 29, 74*, 79*, 82.
იოანე VII პალეოლოგოსი (1390) 82*.
იოანე, იხ. ალექსი III დიდი კომნინოსი, ალექსი
პაპის მიხედვით ერქვა 27, 74*.
იოანე საქურისი, დიდი დუქსი 21, 23, 25.
იოანეიოსი, კომნინოსი, ბერად შედგა 17.
იოასაფ მონაზონი კანტაკუზინოსი 36, 79*, იხ.
იოანე VI კანტაკუზინოსი.
იორგა ნ., რუმინელი ისტორიკოსი 10,
48, 87.
იოსებ ლაზაროპოლისი, ტრაპიზონის მიტრო-
პოლიტი, იხ. აგრეთვე ლაზაროპოლისი იოა-
ნე 37, 39, 79*.
ირინე პალეოლოგოსი, ბასილ I-ის მეუღლე,
ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე III-ის
ასული 21—24, 64, 68, 69.
ირინე სირიკენე, მანუილ I-ის ერთ-ერთი მე-
უღლე 17, 55*.
ირინე ტრაპიზონელი, ბასილ I-ის მეორე მე-
უღლე, ალექსი III-ის დედა 22, 27, 33, 44,
64*, 74.
ირისი, მდ., ახლანდელი ეშილ-ირმაკი 58.
ისპირი, სპერი 72.
ისპირის მთა 67.
იტალია II.
იუსტინიანე I (527—565), ბიზანტიის იმპერა-
ტორი, მისი ნოველები 66.

კ

კალოიონე კომნინოსი, იხ. იოანე II დიდი
კომნინოსი 19, 58*.
კალოიანე, ბასილ I დიდი კომნინოსის ძე,
იგი კონსტანტინოპოლს გაგზავნეს დედითა
და ძმითურთ 22.
კაფა, ახლანდელი თეოდოსია ყირიმში 27,
35, 73*.
კახაბერ გურიელი, იხ. აგრეთვე გურიელი 81*.
კავაზიტისები, ტრაპიზონის ერთ-ერთი წარჩი-
ნებული გვარი, კალდისის დუქსობა ამათ
სახლს ეკუთვნოდა 22, 36, 37, 66, 75*.
კავაზიტისი იოანე, დიდი ლოგარისტისი, შემ-
დეგ დიდი დუქსი 25, 27.

კავახიტისი იოანე, ქალდიის დუქსი 31, 33.
 კავახიტისი ლეონ 25, 28.
 კავასია 71, 85.
 კავასიონის მთები 55.
 კაკაბაძე ს., პროფ. 83, 85.
 კალისტოს I, კონსტანტინოპოლის პატრიარქი (1350—1353; 1355—1362) 36.
 კამაქა ქ., იხ. კამაბა 67.
 კამაქინოსი, ტრაპიზონის წარჩინებული გვარი 22, 67*.
 კამაზა 58, 67, 75.
 კანტაკუზინოსები 75.
 კაპანაძე დ., იხ. Капанадзе Д. Т.
 კარი, ახლანდელი ყარსი, იხ. აგრეთვე ყარსის საფაშო 59.
 კარინი, იხ. არზრუმო.
 კარნიფორა 59.
 კანტაკუზინოსი ნიკიფორე, ბიზანტიის იმპერატორის იოანე VI კანტაკუზინოსის ბიძა-შვილი 29, 75*.
 კახაძე მ. 51.
 კახეთი 86.
 კახნი, კახელები 86.
 კამელოძე კ., აკად. 53.
 კელკიტი, მდ. 58, 75, 76.
 კემაზი, იხ. კამაზა.
 კერასუნდი, იხ. კერასუნტი 49.
 კერასუნტი, ქალ. 14, 19, 26, 29, 30, 32, 34 37, 42, 58, 59*, 75, 76.
 კეზრინა ანუ კენზრინა 27—31, 75*.
 კიტორა, ქალაქი შავი ზღვის სამხრეთ სანაპიროზე 49.
 კლარჯეთი 59.
 კლარჯეთ-ლაზეთი 82.
 კოდინოსი, ბიზანტიელი მწერალი 62, 65, 70, 71, 74.
 კოლა 59.
 კორიდეთი 55.
 კორდილა, იხ. კორდილე.
 კორდილე 35, 77*, 84.
 კოლხები, ტრაპიზონის იმპერატორებს კოლხთა გამგებლებს უწოდებდნენ 47.
 კომნინოსები, დიდი კომნინოსები, ბიზანტიისა და შემდეგ ტრაპიზონის სამეფო დინასტია 9, 11, 13, 16, 47, 48—49*, 51, 54, 57.
 კომნინოსი ალექსი, ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე I-ის ძე 50*.
 კომნინოსი ბასილი, ალექსი III-ის ძე, სახელი დარქვეს პაპის მიხედვით 33.
 კომნინოსი გიორგი, მოხეტიალე, იხ. გიორგი I დიდი კომნინოსი 18, 57*.
 კომნინოსი დავით, ალექსი I დიდი კომნინოსის ძმა და თანამოსაგრე 9*, 48, 50, 52, 53, 60.

კომნინოსი კირ მიხაილ ბერძენთა რეფე, აშან წაიყვანა. ქამთალმწერლის მიხედვით, ცოლად ბექას ასული 59.
 კონსტანტინე VII პორფიროგენეტი, ბიზანტიის იმპერატორი (913—959) 67.
 კონსტანტინე, იმერეთის მეფის ბაგრატის ძე 86.
 კონსტანტინე, მიქელ პანარეტოსის ვაჟი 14, 39.
 კონსტანტინოპოლი 14, 16, 18, 19, 21, 22, 24, 26, 28, 29, 31—33, 35, 37, 39, 40, 45, 47, 48, 50, 51, 55, 56, 61, 64, 69—71, 74, 77—79*.
 კოპენჰაგენი, კოპენჰაგენის სამეფო სამეცნიერო საზოგადოება 11.
 კორდილოსი, რიხეს აღმოსავლეთით მდებარე ადგილი 77.
 კოცუტა, ადგილია 43.
 კუნკი ა., აკად. 9, 12, 50, 51, 53.
 კუსტუგანი 19, 60*, შდრ. ქურქუ-ალა.

ლ

ლახარევის ინსტიტუტი აღმოსავლური ენების მოსკოვში 12.
 ლახაროპულოსი იოანე, სკევოფილაქსი, შემდეგ ტრაპიზონის მიტროპოლიტი იოსები; იხ. აგრეთვე იოსებ ლახაროპულოსი 53, 60, 79*.
 ლაზები 23, 24, 47, 69, 72*, 73.
 ლაზეთი 15, 23, 38, 40, 41, 49, 52, 63, 68, 69, 80, 84.
 ლაზია, ლაზიკა, ლაზისტანი, იხ. ლაზეთი.
 ლათინები 20, 60*, 87; იხ. გენუელები, ვენეციელები.
 ლათინები, კონსტანტინოპოლის დამპყრობი ევროპელი ჯვაროსნები 48, 51, 56.
 ლამეროსი სპ. 11, 12—14*, 15, 54, 66, 79, 85—87.
 ლამბსიდისი, თანამედროვე ბერძენი ფილოლოგოსი 50.
 ლანგ-თემური 86*, იხ. თემურ-ლენგი.
 ლარაზანე, ლაზეთის ადგილად იხსენიება 34, 38, 80*.
 ლასკარისები, ნიკეის იმპერიის სამეფო დინასტია 47, 48, 56.
 ლებო შ., ფრანგი ბიზანტინისტი 12.
 ლეკი ჭანჭიძე, იხ. ლეკის ჭაჭინჭეოსი.
 ლეკის ჭაჭინჭეოსი, დიდი დუქსი 21, 61*.
 ლეონარდო დე მუნტატო, გენუელების კაპიტანი და მოურავი გალატაში 36.
 ლეონტი მროველი 67.
 ლეონტოკასტრონი 27, 73*, 80.
 ლეონტოსტეოტოსი იოანე, კონსტანტინოპოლიდან მოვიდა ელჩად 32, 33.
 ლეხოური 81*, იხ. აგრეთვე რეხეული.

ლიგანი ანუ ლიგანის-ხევი 80*, 81, იხ. აგრეთვე ლიგანის ხეობა, ნიგალი, ნიგალის-ხევი. ლიგანა, იხ. ლიგანი. ლიმინი, იხ. აგრეთვე ლიმინია, ლიმინონი და და სხვ. 38, 80—81*. ლიმინია, ლიმინონი 14, 19, 23—25, 29—33, 39, 43, 44, 49, 58*, 73, 80. ლიმონა 58*, იხ. ლიმინია. ლიმონი 49, 58*. იხ. ლიმინია. ლინთ-იქითნი 49, 52. ლომის-ციხე, იხ. ლეონტოკასტრონი. ლომოური თ. 67. ლომოური ნ. 77.


ა

მაკალათია ს., პროფ. 63. მაკრეგალი, იხ. მაკრიალი. მაკრეგიალუსი, იხ. მაკრიალი. მაკრიალი 38, 42, 63, 80*. მაკროს-გეგიალუსი, იხ. მაკრიალი. მალიქ-სულთანნი 16, 53*, 54*. მალიქ-შაჰ I, სელჯუქიანთა სულთანნი (1072—1092) 53. მანგანონის მონასტერი კონსტანტინოპოლში 40. მანუკი, ქალაქი ძველ ყირიმში, ფ. ბრუნი მას ჭ. თეოდოროსთან აიგივებს 87*. მანუილ I დიდი კომნინოსი, ტრაპიზონის იმპერატორი 17, 19, 47, 54—55*, 57, 81, მანუილ II დიდი კომნინოსი (1332), რვა წლისა გამეფდა 20, 21, 60*, 63. მანუილ III დიდი კომნინოსი, ალექსი III-ის ძე 37, 41, 44—46, 83, 84*, 85, 86*. მანუილი, სეგესტოკრატორი, ბიზანტიის იმპერატორის ანდრონიკე I-ის ძე, ალექსი I დიდი კომნინოსისა და დავითის მამა 49*, 50. მარია, დედოფალ-ხათუნი, დიდი კომნინოსი, ხუტლუ-ბეგის მეუღლე, ალექსი III-ის დეა 29, 32, 38. მარია, თეოდოროველი ალექსის ასული, დავით კომნინოსის მეუღლე 46, 87*. მარმარა, მარმაროსი, ადგილია 38, 39. მაცუკა, მაჭუკა, ახლანდელი მარკა 32, 34, 44, 61, 76*, 77. მაცუკელები 34, 56. მაცუკის ბანდა 77. მაჩკა, იხ. მაცუკა. მაჭუკა, იხ. მაცუკა. მაჭუკელები, იხ. მაცუკელები. მაჰმად ეიკებტარისი, ბაიბურთული 26, 72*. მელა პომპონიუს, რომაელი გეოგრაფოსი 58. მენგრელნი 86. მესოპოტამია 68, 85. მესოქალდია ანუ მესოქალდიონი 35, 77*.

მეტრეველი ე. 47. მთაწმიდა, იხ. აგრეთვე ათონი 40, 81*. მიზომატისები, ტრაპიზონის ერთ-ერთი წარჩინებული გვარი 22, 66*. მიზომატისი მიქელი 24, 25. მიზომატისი გრიგოლ, დიდი სტრატოგედარონისი, შემდეგ დიდი დომესტიკოსი 24, 25, 26, 31, 62. მითრა 63*. მითრას საყურობეველი 77*. მითრას ტაძარი 83*. მითრას მთა, მითრას სერი, იხ. მინთრიონი 63*, 82*. მილერი უ., ინგლისელი ბიზანტინისტი 9, 53—56, 59, 60, 62, 65, 69—71, 75—77, 81, 87. მინთრიონი 23, 63*, 73, 77*. მინთროსის სერი 35, 63, 77*. იხ. მინთრიონი. მიქელი-აზნაუტლუ კომნინოსი, ალექსი II-ის ძე 20, 60*. მიქელ-პანარეტოსი, იხ. პანარეტოსი მიქელ. მიქელ სამსონი, იხ. სამსონი მიქელ. მიხაილ კომნინოსი, იხ. კომნინოსი კირ მიხაილ 59. მიხეილ I დიდი კომნინოსი 24—27, 31, 73—74*. მიხეილი, ანგელოსების სახლის უკანონო შთამომავალი, ეპირის სადესპოტოს დამარცხელი 48. მიხეილ VIII პალეოლოგოსი 18, 56—57*. მიხეილ პალეოლოგოსი, იხ. პალეოლოგოსი მიხეილ. მიუნიფენი II. მოედანი ტრაპიზონში 37, 80*. მორეის სამთავრო 65. მოსკოვი 12. მოსხური მთები 68*. მურდულის ხეობა 55. მცირე აზია 85.

ბ

ნეო-კესარია, ქალ. 58. ნიგალი, ნიგალის-ხევი, იხ. ლიგანი, ლიგანის-ხევი 59, 80*. ნიკეა, ნიკეის იმპერია 47, 48, 56, 65, 74. ნიკიტა აკომინატისი, იხ. აკომინატისი ნიკიტა 52. ნიკიფორე II, კონსტანტინოპოლის პატრიარქი (1260—1261) 55. ნიკიფორე გრიგორასი, იხ. გრიგორასი ნიკიფორე. ნიკსარი, იხ. ნეო-კესარია. ნიფონ პეტრიგონიტისი, ტრაპიზონის მიტროპოლიტი 37. ნურადინ ამირ შიხი 63. ნუქარდინი, იხ. რუქნადინი.



ო

ორბელის სულხან-საბა 61, 78.
ორთავისარ-ჯამი, მეჩეთად გადაკეთებული
ქრისთეფალოსის (იხ.) ტაძრის სახელი 59.
ორქისი, ადგილია 55.
ოსმალ-თურქები 81.

პ

პალეოლოგოსები, ბიზანტიის სამეფო დინას-
ტია 47, 74.
პალეოლოგოსი მიხეილ, იოანე V პალეოლო-
გოსის (იხ.) ძე 40, 41.
პალეოლოგოსის ასული, იხ. ირინე პალეოლო-
გოსი 23.
პალეომატეა 32, 76*.
„პალილოღოს (პალეოლოგოს) კონსტანტინე-
პოლის მეფის ასული“, დავით VI ნარინის
მეუღლე 57*.
პანარეტოსი მიქელ 9—12, 13—15*, 33*, 36,
47, 48, 51—55, 58, 63—65, 68, 69, 72, 74,
77, 78—79*, 80, 85, 86.
პაპადოპულო-კერამეუსი ა., ბერძენი ფილო-
ლოგოსი 53—55, 66, 79, 81, 86.
პაპამისილოპულოსი კ. 59, 67, 73, 74, 77, 79,
81, 82.
პაპადოპულოსი, აჯანყების მოთავე ტრაპიზონ-
ში 18, 56*.
პარიადრის მთები 68*.
პარხალ-დაღი 68*. იხ. პარზლის მთები.
პარხალი, პარხარი 22, 23, 32, 38, 39, 63,
67—68*, 80, 81.
პარზლის მთები 68*.
პაფლაგონია, იხ. ფებლაღონი 49.
პახინეოისი, ბიზანტიელი ისტორიკოსი 47,
56, 59.
პეტროსა, ციხე-სიმაგრე 43, 72, 84*.
პილეღისი, იხ. დორანიტისი თედარე 28, 29.
პლინიუს უფროსი 77.
პომპონიუს მელა, იხ. მელა პომპონიუსი.
პონტო 49, 68.
პონტოს თაუბი, პონტოა ქედი 52, 55.
პოსტოგანისი, იხ. თურ-ალი-ბეი. პოსტოგანი-
სი.
პროკოპი, ბიზანტიელი ისტორიკოსი 66.
პტერიგოინიტისი ნიფონი, იხ. ნიფონ პტერი-
გოინიტისი.
პტი ლ. (L. Petit), ფრანგი მეცნიერი 55.
პტოლემეოსი, ბერძენი გეოგრაფოსი 77.

ჟ

ჟამთააღმწერელი 47, 57, 59.
ჟან ჰუას ძე, ამირაზოზი, იხუენიება კორიდუ-
თის სახარების მინაწერში 55.
ჟორდანია თ. 51, 57, 81.

რ

რეხეული, იხ. ლეზორი.
რიხე 55, 77, 80
რიხე-თინის ოლქი 69.
რიონი, მდ. 82.
რკინის პალა 80.
რობაქიძე ა. 54.
რომაელები, ლატინები 61.
რომაელები, იხ. აგრეთვე ბიზანტიელები
47*, 56.
რომანოზი, მიქელ პანარეტოსის შვილი 14, 39.
რომი, ძველი რომი 47.
რუსუდანი, თამარ მეფის ასული, საქართვე-
ლოს მეფე (1222—1245) 57.
რუსუდანი, მანუილ I დიდი კომნინოსის მეუღ-
ლე, იბერიიდან მოყვანილი, ამის ასულია
თეოდორა I (იხ.) 19, 55, 57*.
რუსტამი, იბრაიმის მამა, თურქი 21.
რუქნადინი, რუქნ-ად-დინი, ქართული წყარო-
ების ნუქარდინი, იკონიის სულთან 73.

ს

საბა, იხ. ორბელიანი სულხან-საბა.
საბერძნეთი, იხ. აგრეთვე ბიზანტია 54, 68,
73, 84.
სალონიკის სადგამოთო ანუ ვიბრის სამთავ-
რო 48.
სამსონი, იხ. სამსუნი, აპოკ.
სამსონი მიქელ, ტატა, მერე დიდი სტრატა-
პედარზისი 27, 28, 31, 74—75*.
სამსუნი, ძველი ამისო 49, 73, 79*.
სამცხე 59, 68, 82.
სანები, იხ. ჰანები 72*.
სარგაღე, წარჩინებული ტრაპიზონელი მანდი-
ლოსანი, რომელიც ანაბუტუსთან ერთად
დახარჩეს 25, 69*.
სარგის I ჯაყელი ციხისგვარელი 59.
საქარაველი, იხ. აკრეთე იბერია და დასაე-
ლთ საქართველო 9, 10, 15, 47, 48, 50—55,
57, 59, 60, 63, 67, 71, 78, 80—82, 85.
სალირის-ძეგბი 58.
სელჯუკები, იხ. თურქი-სელჯუკები.
სენ-მარტენი მ., ფრანგი ბიზანტინისტი და
ორიენტალისტი 12.
სოლაგოპასტე, ადგილია 43, 84*.
სინოპელები, სინოპელი თურქები 20, 60*.
სინოპი 32, 35, 49, 60*.
სირ-დარია, მდ. 85.
სირია 85.
სირიკენა, დიდი დუქსის მეუღლე, ჩააქოლკი-
ნეს 21.
სირენე ანუ სურმენე 44, 85*.
სიხარულძე ი. 81, 84.

აბალანოვიჩი ნ., რუსი ბიზანტინიტი 65, 67, 76, 78.
სკიდისის მთები, სკიდის-შკივიდისის მთები 68*.
სლავეები 84.
სოლომონ II იმერეთის მეფე 79.
სოროგენა, ადგილია 31.
სპარსეთი 44, 85.
სპელია, ადგილია 38.
სპერი ანუ ისპირი 59, 68, 72.
სპინოლა ჯიანოტო 37, 79*.
სტრაზონი 58.
სულეიმან-ბეგი, ხალიბიელ ხაჯიმირის-ძე 14, 44.
სულხატოსი, ადგილია 31.
სუმელის მონასტერი 14, 33, 37, 56, 77*.
სუსარმია, სუსურმენე, იხ. სირმენე.
სქოლარისები, ტრაპიზონის ერთ-ერთი წარჩინებული გვარი 22, 66*.
სქოლარისი ბასილი ზუპაკოსი, პროტოვესტიარიოსი 30, 33, 74-75*.
სქოლარისი, დიდი დუქსი, მოციქულად იყო 46.
სქოლარისი გიორგი, დიდი ლოგოთეტი 14, 36, 37, 78.
სქოლარისი ნიკიტა, დიდი დუქსი 24-31, 34.
სქოლარისის (ნიკიტას) ძე, პარაკიმომენოსი 25, 30.

o

ტავრეზონის მთა 17, 55-56*.
ტაეროსის მთები, ტაეროსის ხეობები 55, 56.
ტამარტა, თურქი, შეიხ-ჰასანის მამა 21, 63*.
ტაო 59, 67*, იხ. ტაოსკარი, პარხალი.
ტაოსკარი 67*, იხ. პარხალი, ტაო.
ტასისკარი 59.
ტაფელი გ., გერმანელი მეცნიერი 11*, 13-14*, 50, 60, 61, 64, 66, 68, 69, 71, 74, 75, 76, 79.
ტაფ-ედინ-ჩელები, ლინინის ბატონი, თურქი ამირა 14, 35, 42, 44, 77-78*.
ტირებოლი, იხ. ტრიპოლისი 75*, 84.
ტიუბინგენი, ქალ. II.
ტიმაშევი 3, 52, 58.
ტრაპიზონი, ტრაპიზონის იმპერია, ტრაპიზონის სამეფო, ტრაპიზონის საეკსერო 9-10*, 11, 12, 14-16, 18, 19, 21, 23, 25-27, 30-32, 34-40, 42, 44, 46-52, 54, 55, 58, 60, 63, 65, 68-72, 73, 76, 79-82, 84, 85, 87.
ტრაპიზონის საფაშო 67.
ტრიკომია, ადგილია 44.
ტრიპოლისი, ახლანდელი ქ. ტირებოლი 28, 30, 31, 75*, 84.

უ

უნეი, ქალ., იხ. ინეონი.
ურარტუ, ურარტუს ხალხი 76.

ურუმნი, რუმნი, რომნი 73, იხ. ბიზანტიელები.
უსპენსკი თ. აკად., ცნობილი რუსი ბიზანტი-ნიტი 9, 10, 47, 48, 50, 51, 53-59, 62, 63, 66, 67, 69, 70, 73-77, 81-85, 87.

ვ

ვახისი, იხ. რიონი.
ვალმერაიერი ი. ფ. 9, 11-14*, 47, 48, 50, 51, 53-56, 58-61, 63-72, 74-77, 79-82, 84-87.
ვებლაღონი, პაფლაგონია 49.
ფინაოე, ადგილია 38.
ფილაბონიტისი, მდ. 43.
ფილანთროპუნოსი, მ.ნ.წილ III-ის სიამარო მეორე ცოლის მხრით 46.
ფინელი ჯ., ინგლისელი ისტორიკოსი 9, 47, 51.
ფირ მაჰმად ამირ შიხი 63.
ფრანგები, იხ. აგრეთვე გენუელები 24, 27, 73.
ფრანძისი (სფრანძისი) გიორგი, ბიზანტიელი სახელმწიფო მოღვაწე და ისტორიკოსი 70, 74.
ფსევდო-არჩანოსი, მისი პერიპლუსი 77.
ფსევდო-კოლინოსი, იხ. კოლინოსი.

ძ

ქალდეა 75*. იხ. არჯიროვასტრონი.
ქალდეები, ქალდეელები 41, 56, 58, 76.
ქალდეა 30, 31, 33, 35, 38, 39, 58, 75-76*, 77, 81.
ქართველები, იხ. აგრეთვე იბერები, იბერიე-ლები 9, 10, 52, 68.
ქართველნი, ივულისხმება ქართლელნი 86.
ქართლი 86.
ქილიჯ-არსლანი, ქილიჯ-ალსანი, თურქი თავ-დამსხმელი 39, 42.
ქრისოკეფალოსის ტაძარი 19, 25, 37, 46, 58-59*, 67, 79, 81.
ქსენიტოსის შვილები 28.
ქუზტუკ-ალა, იხ. კუსტუვანი 60*.

ყ

ყაზბეგი გ. 67, 80, 81, 85.
ყარსის საფაშო, იხ. აგრეთვე კარი 67.
ყაუხჩიშვილი თ. 58.
ყაუხჩიშვილი ს., პროფ. 51, 68, 77, 81.
ყიასდინი, რუქნადინის ძე, იკონიის სულთა-ნი 73*.
ყიზილ-ირმაკი, იხ. ჰალისი.
ყირინი 73, 87*, იხ. აგრეთვე გოთია, ჯალმა მხარე

შ

შავთელი იოანე 58.
 შავი ზღვა 9, 52, 71—73, 77.
 შავშეთი 59.
 შვირანი (თუ შირანი) 76*, იხ. ხერიაწა.
 შეიხ-ჰასანი, ტამარტას-ძე, თურქი მოთარეშე
 21, 63*.
 შიხ-ბაირამ 63*.
 შიხი იოანე 63*.
 შუა ახია 85.

ჩ

ჩალალა, კონსტანტინე ბაგრატიის-ძე მოკლეს
 აქ 86*.
 ჩარშამბა, ქალ. თურქეთში 58.
 ჩინეთი, შდრ. ხატაეთი 85*.

ც

ცანები 72*, იხ. კანები, კაპნიდები.

წ

წმ. ათანასეს ტაძარი და მონასტერი 77*.
 წმ. ანდრია, მონასტერი, სიმაგრე? 26, 71*.
 წმ. გრიგოლის ტაძარი 79*.
 წმ. გრიგოლის წყალი 36, 79*.
 წმ. ეგგენის ტაძარი და მონასტერი 22, 27,
 29, 67*, 79, 81.
 წმ. იოანე ნათლისმცემლის მონასტერი 35, 38,
 77*, 83*.
 წმ. კვირიკეს ტაძარი და მონასტერი 21, 63*.
 წმ. მარკოზის მონასტერი ვენეციაში, იხ. ვენე-
 ციის წმ. მარკოზის მონასტერი.
 წმ. მერკურისი 38.
 წმ. საბას გამოქვაბული, წმ. საბას მონასტერი
 25, 28, 69—70*, 74, 77.
 წმ. სოფის ტაძარი და მონასტერი 39, 81*.
 წმ. ფილიპეს ტაძარი 73*.
 წმ. ფოკას ტაძარი და მონასტერი 35, 45, 77*.

ჭ

ჭანები, იხ. აგრეთვე კაპნიდები 10, 72—73*.
 ჭანეთი 59.
 ანიკი, თანამედროვე თურქეთის სანჯაყი 72*.
 ჭანიხა, ქალაქი და ციხე-სიმაგრე ქალდეაში
 29, 65*, 75*.
 ჭანიხელი, ჭანისციხელი, შდრ. ჭანიხიტისი 65*.
 ჭანიხიტისები, ჭანიხიტისი, ტრაპიზონის ერთ-
 ერთი წარჩინებული გვარი 65*, 66.

ჭანიხიტისი იოანე, პიკერნისი 29.
 ჭანიხიტისი მიჭელი 27.
 ჭანიხიტისი სევასტი, დიდი სტრატოპედარ-
 ხისი 22, 23, 62, 69.
 ჭანიხიტისი სტეფანე, დიდი კონტოსტაფლო-
 სი 26.
 ჭაპნიდები, ჭანიდები, იხ. აგრეთვე კანები 26,
 43, 72—73*, 84*.
 ჭიას ძე ყან, იხ. ყან ჭიას ძე.
 ჭოროხი, ჭოროხის ხეობა 55, 67, 72, 80,
 84.

ხ

ხალდეები 76*.
 ხალიბები 56, 76.
 ხალიზია 14, 19, 34, 44, 58*.
 ხალკოვანდილისი, ბიხანტიელი ისტორიკოსი
 65, 87.
 ხასდენიხა, ადგილია 34.
 ხატაეთი, ხატაია 44, 85*.
 ხახანაშვილი აღ. 9, 12*, 13, 14*, 51, 63,
 65—67, 69—70, 74, 76, 77, 79, 82—84, 87.
 ხაჯიმირი, ბაირამის-ძე, ზალიბიელი ამირა
 32—34, 44, 76*.
 ხერიაწა, ახლანდელი შვირანი 14, 31, 40, 76*.
 ხონიატისი ნიკიტა, იხ. აკომინატისი ნიკი-
 ტა.
 ხოჯა 80.
 ხოჯა-ლატიფი, ბაიბურთის მფლობელი 33,
 34, 77*.
 ხოჯა შიხ-ალი 63*.
 ხუპაკა, ხუპაკოსი, იხ. სქოლარისი ბასილი ხუ-
 პაკოსი,
 ხუტლუ-ბეგი, თურ-ალის ძე, ამიდელთა ამირა,
 29, 32, 36, 38.

ჯ

ჯაბა, დიდი დომესტიკოსი 21, 61*, 62.
 ჯაგანიშვილი ივანე, აკად. 10, 47, 57, 59, 60,
 64, 68, 69, 77, 80—86.
 ჯანაშვილი მ. 51, 52.
 ჯანაშვილი ს., აკად. 10, 68, 69, 80.
 ჯივიზლიკი, იხ. დიკსიმონი.
 ჯუმათი 81.

ჰ

ჰალისი, ახლანდელი მდ. ყიზილ-ირმაკი 58, 72.
 ჰაჯი-თმარი, ჰაჯი-თმერი, იხ. ხაჯიმირი.
 ჰეროდოტე 58.
 იპისის წავსადგური, იხ. აგრეთვე სირმენე 85*.

Ала-эддин 54, იხ. აგრეთვე ალა-ად-დინ-ქაი-
ქებად I.

Безобразов П. Б., იხ. ბეზობრაზოვი პ.
Брун Ф., იხ. ბრუნი ფ.

Васильев А. А., იხ. ვასილიევი ა.

Казбек Г., იხ. ყაზბეგი ვ.

Капанадзе Д. Т. 54.

Капаниця Гр. 67, 68.

Куник А., акад., 9, იხ. აგრეთვე კუნიკი ა.

Максимова М. И. 58—60, 73, 96.

Март Н. Я., акад. 55, 78

* *

Руссудан, თ. უსპენსკის აზრით, ამახე იყო გა-
თხოვილი თეოდორა, მანუილ I-ის (იხ.) ასუ-
ლი; შერ. ოუსუღანი, მანუილ I-ის მეუღლე
57*.

Скабаламович Н., იხ. სკაბალანოვიჩი ნ.

Успенский Ф. И., იხ. უსპენსკი თ.

Чампа, იხ. აგრეთვე ჯაბა 62.

Хаджи-Латиф, იხ. აგრეთვე ხოჯა-ლატიფი 77.
Хаханов А., იხ. ხახანაშვილი აღ.

* *

Ἀράντος Κ. 10, 49.

Baumstark 76.

Beck H.-G. 78.

Βέης Ν. 66*.

Chordule 77*, იხ. აგრეთვე კორდილე.

Χορδάλη 77*, იხ. აგრეთვე კორდილე.

Cordule 77*, იხ. აგრეთვე კორდილე 77*.

Darko E. 87, იხ. აგრეთვე დარკო ე.

Dimitracos, იხ. დიმიტრაკოსი.

Dölger F. 49, იხ. აგრეთვე დელგერი ფ.

Du Cange Ch. 48, იხ. აგრეთვე დიუ-კან-
გი შ.

Ensslin W. 65, 78, იხ. აგრეთვე ენსლინ-
ნი ვ.

Ἐπαγγελίδης Τ. 9, 49.

Eugenicus, ავტორი ტრაპიზონის ხოტბისა,
რომელიც ვ. ტაფელმა გამოაქვეყნა მ. პანა-
რეტოსის ტექსტთან ერთად II.

Euthymios 61, იხ. აგრეთვე ეჟთიმე.

Fallmerayer J. Ph., იხ. ფალმერაიერი ი. ფ.

Finlay G., იხ. ფინლეი გ.

Gibbon E. 48, იხ. აგრეთვე გიბონი ე.

Ginzler F. K. 53.

Grumel V. 53.

Guilland R. 62, 65, 70, 71.

Honigmann E. 67, 68, 72, 76.

Iorga N. 10, 48, იხ. აგრეთვე იორგა ნ.

Ἰωαννίδης Σ. 9.

Janin R. 60 70.

Krumbacher K. 15.

Κυριακίδης Ἐ. Θ. 77.

Lampsides O. 14, 48, 59, იხ. აგრეთვე
ლამპსიდისი.

Laurent V. 62, 87.

Lebeau Ch., მისი ბიზანტიის ისტორია 12,
60, 63, 64, 66, 67, 69, 71, 75, 84, იხ. აგ-
რეთვე ლებო შ.

Lehmann-Haupt C. F. 76.

Loenertz L. II.

Mentz A. 53.

- Mლაჭი 63*, იხ. მინტრონი.
 Miller W., იხ. მილერი უ.
 Moravesik G. 15.
 Oikonomides N. A. 59.
 Ostrogorsky G. 10.
 Papamichalopoulos, იხ. პაპამიხალოპულო-
 სი კ.
 Pero Tafur 63.
 Petit L. 55, იხ. აგრეთვე პტი ლ.
 Pfaffenhoffen de F. 9.
 Powell F. E. 87.
 Ramsay W. M. 58, 60, 73.
 Robinson D. M. 49.
 Semenov A. 78*.
 Σααλιέρης P. K. 10*.
 Slavo-Piastes 84*, იხ. აგრეთვე სთლავიასტ-
 სტე.
 Stadtmüller G. 10.
 Tedoro, იხ. თეოდორო.
 Θεόδωρα τζ, იხ. თეოდორო.
 Θεριανθς ὁ Εὐνοῦχος 75*.
 Todoro, იხ. თეოდორო.
 Tomaschek W. 58, იხ. აგრეთვე ტომაშეკი ვ.
 Vasiliev A. A., იხ. ვასილიევი ა.

ბ. ლომინაძე

ბიჭვინტის ხატის 1568 წლის წარწერა

საქართველოს ხელოვნების მუზეუმში, ქართული ოქრომჭედლობის სე-
 იფში, ექსპონირებულია ცნობილი „ბიჭვინტის ღვთისმშობლის“ ხატი, ოქრო-
 ზე ნაქედი 40×32¹. ხატზე გამოსახულია ფეხზემდგომი ღვთისმშობელი, რო-
 მელსაც ხელში ყრმა იესო უჭირავს; ყრმა ქრისტეს მარცხენა ხელში გრაგ-
 ნილი უკავია, მარჯვენათი კურთხევას იძლევა. ღვთისმშობლის ზემოთ, თავ-
 თან, არის წარწერა: ყდ/წა/ ივ/ქე [ყოვლად/ წმიდა /იესუ/ ქრისტე]. ღვთის-
 მშობლის გვერდით არეგებზე გამოსახულია ორი ანგელოზი და ორი წმიდა
 ნამა სათანადო წარწერებით. წარწერები გამოსახულებებს მიწერილი აქვთ
 ხატის ორნამენტირებულ კარნიზში. მარცხნივ: მთვარანგლი|მიქელ (მთავარ
 ანგელოზი|მიქელ); ცნთ|ლისმც|ემელი (იოანე ნათ|ლისმც|ემელი). მარჯვნივ:
 მთვარანგლი|გბრლ (მთავარანგელოზი |გაბრიელ). ი|ნეოქრობ|ირი (იოანე|ო
 ქრობ|ირი). ყველა წარწერა შესრულებულია ასომთავრულით და გამოყვა-
 ნილია რელიეფურად. ხატი შემკულია ორნამენტებით და ძვირფასი თვლებით.
 ხატის ზურგზე გადაკრულია ვერცხლის ფურცელი, რომელზედაც გამოყვანი-
 ლია წარწერა რელიეფურად ასომთავრული დამწერლობით. ჩვენს ინტერესს
 ამჟამად ეს წარწერა წარმოადგენს. ხატის ზურგზე, რაზედაც წარწერაა მო-
 თავსებული, გამოხატულია ჯვარი. ამ ჯვრის მკლავებში ჩასმულია წარწერა,
 მაგრამ ისე, რომ ჯვრის ხაზი წარწერას კი არ ყოფს ნაწილებად, არამედ
 სტრიქონებს კვეთს მხოლოდ.

ბიჭვინტის ღვთისმშობლის ხატის ეს მეტად საინტერესო ისტორიული წარ-
 წერა მკვლევართა ყურადღებას იპყრობდა. XIX საუკუნეში იგი ოთხჯერ არის
 გამოქვეყნებული. პირველი მისი პუბლიკაცია ეკუთვნის მ. ბროსეს²; 1891
 წელს ბროსეს ნაშრომიდან გადმობეჭდა გ. წერეთელმა გელათის სიძვე-
 ლეების აღწერილობაში³. 1894 წელს წარწერა გამოაქვეყნა ა. ცაგარელმა გე-

¹ საქართველოს ყოფილი მენშვეიკური მთავრობის მიერ ეს ხატი 1921 წელს გატანი-
 ლი იყო საზღვაოგარეთ. 1945 წელს საბჭოთა მთავრობის ინიციატივით დაბრუნებულ იქნა
 პარიზიდან.

² Записки Академии наук, т. IV, 434 II.

³ Г. Церетели. Полное собрание надписей на стенах и камнях и приписок
 к рукописям Гелатского монастыря. Древности Восточныя, т. I, вып. II, 1891,
 გვ. 244.

ლათის მონასტრის სიძველეთა აღწერილობაში¹, ხოლო 1897 წელს თ. ყორღანია „ქრონიკების“ მეორე ტომში დაბეჭდა ის ძლიერ შემოკლებულად². ყველა ამ პუბლიკაციის შედარებამ დედანთან გვიჩვენა, რომ ისინი ტექსტს ვერ გადმოსცემენ სრულად და უნაკლოდ. შეინიშნება ცალკეული სიტყვების გამოტოვება, არასწორი წაკითხვა, ზოგჯერ გამოტოვებულია მეტად საყურადღებო ცნობების შემცველი მთელი სტრიქონი.

მოგვაქვს ტექსტი ჩვენი წაკითხვით. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია ერთი, ორი და სამი წერტილი. დაქარაგმებაში ერთნაირი წესი არ არის დაცული. ზოგან ეს ნიშნები არ ზის ადგილის უკმარისობის გამო. ეკონომიისათვის გამოყენებულია ტექსტის შემშვიდროვება და ჩვეულებრივად ასოების ერთმანეთში ჩართვა-გადახლართვა. ასოთა გრაფიკული გამოსახულებანი ლამაზად და გემოვნებით არის შესრულებული.

ქ: პლვე: მოგასწავეს. ყდ ოხრწნლ ო.: მწყობრმნ: წნ: წწყულთამნ.
 დთ: გიწო

და: კიდობნად: სიწისა: სოლომნ: ცხედრად და ესაია: ღრობლად:

და: კდ: მშბლად

ვემანოელისა: რ: აწ მეცა: მრწმნბელმნ: ანათმნ: ქლვეც: წენკობად
 ხტსა შნსა: წა:

ჩრდილოსა. და: ყრსა: აფხაზეთისა: კზმნ: ევდემონ: რა: ღირს მყო.
 მრჯნით. ძისა. შისა: მდგომარეთა:

ქ. წყლბითა: ზეშთა: ვემესრისა. ღნსათა: მე: ყრსა. ჩრდილოეთისა:
 და. აფხაზეთისა. კზმნ.

ევდემონ: ჩხეტისძემნ: მოვაქედინე. და შევამკვე: ხტი: ესე: ყდ წისა.
 დედოფლისა: ჩნისა: ღთის.

მშობლისა. და მარადის: ქწლისა. მარიამისა: ძითორთ: თავი: ხატი: ოქ-
 როთა. და

თალთა: შრ: და: მარგალიტთა. ბრწყინვალედ: გწწმენე: რხ: გარეშემო-
 პტივი: და კარნი:

ვეცალათა: დავასკნე ტპარსა. წიაა. ღთ მშობლისასა. ბიჟონტას.
 სალოცველად: და სა

ოკონოდ: მოსაქსენებლად: და შესანდობლად: და სალხინებლად: ცდვ-
 ლისა. სლისა: ჩისა.

და ცდვათა: ჩმთა: მოსატებლად: ან: ქე. შე: სლითა: დადიანი.
 მამიაი. და მხ: ეყავ. სკნოდ

და ძე. მისი დადიანი: ლეონ. ადიდე: ღთო: ორთავე: შა: ცხრებთა:
 ან. რ. მოიჭედა: და სრლ

იქმნა. ხტი: ესე ქსა. სნვ დასაბამითგნ. წელთა. კოვ. ქს: მოსლვითგნ.
 წლთა: ჩ.ფ.ა.წ. ინ

¹ А. Сагарели, Сведения о памятниках Грузинской письменности, т. 1, вып. III, 1894, гв. 42.

² თ. ყორღანია, ქრონიკები II, გვ. 4:1. ზელოვნებათმცოდნე ნ. კონდაკოვს მოცემული აქვს ხატის მოკლე აღწერილობა, მაგრამ შეკვლინებით, მაგ, იგი წერს—ხატა ზურგზე ორი წარწერა აქვს. М. К. Кондаков, Описание памятников древности в некоторых храмах и монастырях Грузии, 1890, гв. 35.

დიკტიონსა: . ია: . რ: . ჩნ: . ზა. მეოფებასა: ქს: . ღისა: . ჩნისასა: .
ქარაგმების გახსნით:

ქ. პირველვე მოგასწავეს, ყოვლად უხრწნელო, მწყობრმან წმიდამან წინასწარმეტყველთამან: დავით გიწო|და კიდობნად სიწმიდისა, სოლომონ ცხედრად და ესაია ღრუბლად და კვალად მშობლად|¹ვემანუელისა¹. ხოლო აწ მეცა, მრწმუნებელმან ამათმან, ჯელვყავ შემკობად ხატისა შენისა წმიდისა| ჩრდილოსა და ყოვლისა აფხაზეთისა კათალიკოზმან ევდემონ, რათა ღირს მყო მარჯვენით ძისა შენისა მდგომარეთა|.

ქ. წყალობითა ზეშთა ვიდრემე სახიერისა ღვთისათა მე ყოვლისა ჩრდილოეთისა და აფხაზეთისა კათალიკოზმან (ევდემონ ჩხეტისძემან მოვაჰყედინე და შევამკვე ხატი ესე ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩვენისა ღვთის/ მშობლისა და მარადის ქალწულისა მარიამისა ძითურთ, თავი ხატი ოქროთა და/ თუალთა მიერ და მარგალიტთა ბრწყინვალედ განვაშვენე, ხოლო გარეშემო ზატივი და კარნი/ ვეცხლითა. დავასვენე ტაძრისა წმიდისა ღვთის მშობლისასა² ბიჭვინტას, სალოცველად და სა/უკუნოდ მოსაქცენებლად და შესანდობლად და საღვინებლად ცოდვილისა სულისა ჩემისა/ და ცოდვათა ჩემთა მოსატევებლად. ამინ. ქრისტე, შეიწყალე სულითა დადიანი მამია და მეოხ ეყავ საუკუნოდ/ და ძე მისი დადიანი ლეონ ადიდე ღმერთო ორთავე შინა ცხორებათა. ამინ. ხოლო მოიჰვედა და სრულ/იქმნა ხატი ესე ქორონიკონსა სნე, დასაზამითგან წელთა კოვ, ქრისტეს მოსლვითგან წელთა ჩფაშ, ინ/დიკტიონსა ია, ხოლო ჩუენ ზედა მეუფებასა ქრისტეს ღვთისა ჩუენისასა.

წარწერა დათარიღებულია ოთხეგვარად: ქორონიკონით—სნე (256 + 1312 = 1568), ქრისტეს მოსვლიდან—ჩფაშ (1568), ევდემონ ჩხეტიძის კათალიკოსობის ინდიკტიონით—ია (11) და დასაბამიდან—კოვ (7076—5508 = 1568).

წარწერა გვამცნობს, რომ კათალიკოს ევდემონ ჩხეტიძეს ღვთისმშობლისა ხატი („თავი ხატი“) მოუტყედიანებია ოქროთი და შეუშკვია ძვირფასი თვლებით, ხოლო სახატე კარებიტურთ („გარეშემო ზატივი და კარნი“) გაუკეთებინებია ვერცხლისაგან. ხატი დაუსვენებია ბიჭვინტის ღვთისმშობლის ეკლესიაში თავისი სულის საოხად (ეს ხატი ბიჭვინტიდან საკათალიკოსო რეზიდენციის გადმოტანის შემდეგ სხვა ნივთებთან ერთად გადმოტანილი იქნა გელათში). როგორც წარწერა მოწმობს, ბიჭვინტის ღვთისმშობლის ხატი თავდაპირველად კარედი ხატი ყოფილა. ე. ი. მას ჰქონია სახატე კარებიანი („გარეშემო ზატივი და კარნი“), მაგრამ დღეს შემონახულა მხოლოდ „თავი ხატი“ ზურგზე წარწერით), სახატე და კარები მას აღარა აქვს.

ხატის შემკვეთი ევდემონ ჩხეტიძე ცნობილი პიროვნებაა დასავლეთ საქართველოს ისტორიაში. იგი არის კათალიკოსი, მწიგნობარი, მრავალი ხელნაწერის გადამწერიცხელი. გელათის მონასტრის მაშენებელ-მომხატვინებელი. იგი მოხსენიებულია გელათის მონასტრის ტაძრის კედლის წარწერებში. ასაფლავია გელათის წმინდა გიორგის ეკლესიაში. საინტერესოა ევდემონის საფლავის წარწერა, სადაც იხსენიება ეს ხატიც³. ბიჭვინტის ხატის წარწერა კარგ

¹ ტექსტში: ვიმანუელისა.

² ტექსტში: ლთლმშობლ¹ისასა.

³ „ქ. განუსვენე სულსა მონისა შენსასა აფხაზეთის კათალიკოზს ევდემონ ჩხეტიძეს და მე დაპარზულმან საფლავთა შინა მეფეთასა დაჯაბატინე საყდარი ესე და შევამკვე ხატი ბიჭვინტისა ღვთისმშობელი სახსენებლად სულისა ჩემისა. ამინ“. А. Цагарели, დასახ. ნაშრომი, გვ. 42—43; ბ. ლომინაძე, გელათი, თბ., 1955, გვ. 51.

ცნობას იძლევა ევდემონის კათალიკოსობის დასაწყისი თარიღის გარკვევისათვის. მეუთერთმეტე ინდიქტიონის მიხედვით ევდემონის კათალიკოსობა იწყება 1557 წლიდან (1568—11=1557).

წარწერაში მოხსენებული არიან სხვა ისტორიული პირებიც—მამია და ძე მისი ლეონი (დადიანები). წარწერიდან ჩანს, რომ ამ დროისათვის მამია გარდაცვლილია, ხოლო ლეონი მთავრობს. უეჭველია, ევდემონისათვის ამ პირებს შეეწეობა გაუწევიათ, რაკი იგი მათზე მეოხებას სთხოვს ღმერთს. წარწერა კარგ მასალას იძლევა ბიჭვინტის საკათალიკოსოს (დასავლეთ საქართველოს საკათალიკოსოს) ისტორიისა და კათალიკოსის დამოკიდებულების გარკვევისათვის იმ დროის ოდიშის სამთავროსთან. მამია დადიანი და ლევანი ოდიშის მთავართა შორის ფართოდ ცნობილი მოღვაწეები არიან. მამია გარდაიცვალა 1533 წელს. ლევანი მთავრობს დაახლოებით 1533—1572 წლებში.

წარწერის ტექსტში ნახმარია სიტყვა „პატივი“. ამ ტერმინის მნიშვნელობა ქართულ პალეოგრაფიაში სავსებით მართებულად ახსნა თ. ხაყოშიამ. „პატივი“. მკვლევარის განმარტებით, ეწოდებოდა ხელნაწერის ან წიგნის აშისა¹. „პატივის“ ასეთ გაგებას კარგად უჭერს მხარს მოტანილი წარწერაც, სადაც სიტყვა „პატივი“, კონტექსტში „—გარეშემო პატივი...“, სახატეს გულისხმობს, რომელიც, მართლაც, „გარეშემო“ უვლის ზატს („თავ ზატს“) ისე, როგორც აშია (პატივ-სახატეს ჰქონია კარები ორივე მხრიდან).

¹ თ. ხაყოშია, ტერმინა „პატივი-ს“ გამო ქართულ პალეოგრაფიაში, „მიმომხილველი“, ტ. III, გვ. 227.

ბ. ლომინაძე

საეკლესიო-„სამწყსო“ გადასახადთა საბუთების
მნიშვნელობისათვის

ცნობები V—XIII საუკუნეების სოციალური ურთიერთობის ისტორიის გასაშუქებლად შედარებით ცოტაა, რაც უმთავრესად მოღწეულ საბუთთა (სიგელ-გუჯრები, წარწერები და სხვ.) სიმცირით აიხსნება. ნარატიულ წყაროებში კი, ისტორიულსა თუ საეკლესიო-პაგიოგრაფიულ თხზულებებში, სოციალური ეითარების გადმოცემას მხოლოდ ეპიზოდური და შემთხვევითი ადგილი უჭირავს, რამდენადაც ავტორებს მარტოოდენ პოლიტიკური ამბებისა ან წმინდანთა ცხოვრების მოთხრობა აინტერესებდათ. XIII—XVIII საუკუნეებიდან მრავალი სიგელ-საბუთია ჩვენს განკარგულებაში და სოციალური საკითხების გასაშუქების მეტი შესაძლებლობაა. ბუნებრივია, ამ მნიშვნელოვანი სფეროს შესწავლას თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში საგანგებო ყურადღება აქვს დათმობილი. დაიბეჭდა რიგი გამოკვლევები სოციალურ-კლასობრივ ურთიერთობათა ცალკეულ საკითხებზე, გამოქვეყნდა საბუთების რამდენიმე ტომი, მიძღვნილი სპეციალურად სოციალური ყოფისადმი. აღნიშნული სამუშაოები, რასაკვირველია, ჯერ კიდევ ვერ ავსებენ ხარვეზს. სისტემატური კვლევა ამ მხრივ უნდა გაგრძელდეს და გრძელდება კიდევ.

ქართული ფეოდალიზმის პრობლემაში სოციალურ-კლასობრივი ურთიერთობის საკითხების კვლევისათვის მეტად საინტერესო მასალას იძლევა საეკლესიო, ე. წ. „სამწყსო“, საბუთები.

ამ რიგის საბუთები ჯერჯერობით ძლიერ მცირეა გამოქვეყნებული და მათგან ზოგი, ზედახლად გამოცემას საჭიროებს. მაგალითად, მეტად ძვირფასი დოკუმენტი, როგორცია XVI საუკუნის სამთავნელ ეპისკოპოსების სამწყსოს დრანისა და საკანონოს სიგელი, თ. ჟორდანიას მიერ ძლიერ შემოკლებულადაა დაბეჭდილი (ქრონიკები, II, 272 გვ.), საქ. მეცნ. აკად. ხელნაწერთა ინსტიტუტში მოიპოვება ამ საბუთის პირი ხუცურად დაწერილი (ფონდი Ad, № 604). არსებობს აგრეთვე ამ საბუთის სხვა სრული ტექსტიც (შეად. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. I, 60—65 გვ.). არის აგრეთვე ერწო-თიანეთის მოსახლეობის საეპისკოპოსო სათხოვართა საბუთი, სრულიად გამოუცემელი (ივ. ჯავახიშვილი, იქვე, 60—61 გვ.); ხელნაწერთა ინსტიტუტის Ad, Sd ფონდებში და საქართველოს არქივის 226 ფონდში მრავლდა მსგავსი შინაარსის (საბუთები. ისინი ეკუთვნიან სხვადასხვა ეპისკოპოსებს: მანგლელს, ნინოწმინდელს, ალავერდელს, მცხეთის კათალიკოსს და სხვ.

ამ წერილში ჩვენ გვსურს აღვნიშნოთ მხოლოდ რამდენიმე მომენტი, თუ რით შეიძლება იქცევდეს მკითხველის ყურადღებას ასეთი საბუთები.

სამწესო საბუთების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ამა თუ იმ კუთხის სოციალური ურთიერთობის შესასწავლად სამწესო-საეკლესიო საბუთები უფრო სრულ სურათს იძლევიან, ვიდრე ხალხის აღწერის დავთრები.

სამწესო საბუთებში ჩვეულებრივად აღებულია გარკვეული ტერიტორია-ლური ერთეული საეპისკოპოსოს სახით, სადაც, თითქმის ადგილგამოუტოვებლად, აღწერილია მოსახლეობის სარწმუნოებრივი მდგომარეობა—საეპისკოპოსო (სამწესო) ვალდებულება-გადასახადები.

სამწესო გადასახადს ეპისკოპოსის (თუ კათალიკოსის) სასარგებლოდ ახდის სამეფოს ყველა ქვეშევრდომი განურჩევლად წოდებისა და მდგომარეობისა, ვინც კი ქრისტიანობას აღიარებს. გადასახადი არის ყოველწლიური, მაგრამ ერთდროულიც.

მოსახლეობაზე დაკისრებული სამწესო გადასახადები მკაცრად იცავენ სოციალურ განსხვავებულობას. გარკვეულ სოციალურ ჯგუფს მხოლოდ გარკვეული სახის სამწესო გადასახადი ადევს, ისე რომ ამ უკანასკნელის სახეობის მიხედვით სავსებით შესაძლებელი ხდება გადამხდელის სოციალური კუთვნილების დადგენა.

იმისათვის, რომ ყმა-გლეხთა მდგომარეობა სისრულით შევისწავლოთ, უმჯვენლად საჭიროა სამწესო ვალდებულება-გადასახადთა გათვალისწინებაც. გლეხზე დაკისრებული სამწესო გადასახადი საგრძნობლად ამძიმებდა მის ცხოვრებას (აღნიშნული გადასახადები ნიეთიერი შემადგენლობითა და ხასიათით ისეთივე იყო, როგორც საერო საბატონო გადასახადები). რასაკვირველია, შემთხვევითი არ არის ის ფაქტი, რომ გლეხთა კლასობრივი ბრძოლის ისტორიაში, სადაც ცნობები არც ისე უხვია, ერთი მთავარი ადგილი უჭირავს გლეხთა გამოსვლებს საეკლესიო-სამწესო გადასახადების წინააღმდეგ. გლეხთა ამ უკმაყოფილებების შესასწავლად სამწესო-საეკლესიო საბუთები კარგ მასალას იძლევიან.

ყოველივე ზემოთქმულის ნათელსაყოფად შეგვიძლია მივმართოთ ერთ-ერთ ასეთ საბუთს—1669 წლის „წილკნელის სამწესოს დრამისა და საწირავის სიგელს“. პუბლიკაცია ეკუთვნის შ. ჩხეტას („საისტორიო მოამბე“, 1925 წ., II, 9—26 გვ.). ამ საბუთში აღწერილია წილკნის საეპისკოპოსოს ტერიტორია. მდებარე მდ. არაგვსა და მდ. ქსანს შორის, სულ 52 სოფელი და ანანურს ზევით მთიულეთი. პოლიტიკური დაყოფის მიხედვით საეპისკოპოსო ტერიტორიაზე მოდიოდა სამუხრან-ბატონოს, არაგვის საერისთავოს და ქსნის საერისთავოს ნაწილები.

საბუთს ახასიათებს გარკვეული გეგმა: ჯერ სოფელია დასახელებული, ხოლო შემდეგ ამ სოფელში მოსახლეთა სამწესო გადასახად-ვალდებულებანი—ასეთი თანმიმდევრობით: 1. ჯერ ამ ადგილის უმაღლესი გამგებელ-მფლობელი (ჩვენ შემთხვევაში მუხრან-ბატონი, ერისთავი...) ან სხვა ვინმე დიდი მოხელე, რომელიც აქ ცხოვრობს, აქვე ასახელებენ მონასტერსაც (ცხადია, თუ ის არის), მათთან ერთად ლაპარაკია მათ გადასახადებზედაც. 2. შემდეგ იხსენიება სოფელში მოსახლე დიდი აზნაური და გადასახადი ცალ-ცალკე: „სახლის უფ-

როისი“ წევრისა, „უმცროსისა“, „უცოლოს“, ანუ „უცოლშვილოსა“; ამის შემდეგ დასახელებულია: 3. სოფლის სამღვდელთა („მღვდელი“, „ხუცესი“, „დეკანოზი“, „მამამთავარი“); შემდეგ 4. „სოფლის კაცი“, ან „სოფელი“ (მთლიანად), 5. „მსახური“ ან „სოფლის მოხელე“. წერილი „ახნაურიშვილები“ „სოფლის კაცებში“ არიან მოქცეული.

სამწყსო-საგადასახადო სისტემა წილკნის საეპისკოპოსოში (ისე როგორც სხვა საეპისკოპოსოში) შემდეგი სახისა იყო: დრამა, სახუცო, ნიშანი, საწირავი, წასახური-გარდასახურავი და სხვ.

„ნიშანი“ („მთელი ნიშანი“) ერთდროული გადასახადია, „რომელიც ჰმართებს მიცვალებულის პატრონთ“. ნიშანი ადევს მალალ სოციალურ გვარს: აზნაურებს, თავადებს, მთავრებს, მეფეს, ეპისკოპოსებს და ა. შ. წილკნელის საბუთის მიხედვით, აზნაურთა გვარში ნიშანი ადევს მხოლოდ „სახლის უფროსს“ წევრს და მის მეუღლეს ან ამ გვარის იმ წევრს, რომელსაც რაიმე მოხელეობა უჭირავს. სახლის დანარჩენ წევრებს ნიშანი არ მართებთ. თავადის სახლში კი, მაგალითად მუხრან-ბატონის საუფლისწულო სახლში, არავეის ერისთავის სახლში, ნიშანი სახლის ყველა წევრს მართებთ, უფროსსაც, უმცროსსაც, უმოხელოსაც და ა. შ. ნიშნის ვადამხდელია წილკნის საეპისკოპოსოში აგრეთვე მონასტრის წინამძღვარი, დეკანოზი.

ნივთიერი შემადგენლობით „მთელი ნიშანი“ გულისხმობდა გარდაცვალებულის საუკეთესო პირად სახმარ ნივთებს, რაც ერთგვარად განსაზღვრული იყო ნორმით. ასე მაგ., გარდაცვალებული მამაკაცისათვის: „შეკაზმული ცხენი“, სუფრის იარაღი—„თასი“ რა ა. შ., ქალისათვის—„კეება, ტყავი და ტოლომა, სარტყელი, ღილი, ბეჭედი, თავსახურავი“ და ორივე სქესისათვის „წასახური—გარდასახურავი“. ქრისტიანობამ ბევრი რამ გამოიყენა თავის სასარგებლოდ წინა რელიგიებიდან. თუ წარმართობა გარკვეული სარწმუნოებრივი მოტივით საფლავში აყოლებდა მიცვალებულს პირად ნივთებს, ქრისტიანობამ აკრძალა პირადი ნივთების საფლავში ჩაყოლება და სარწმუნოებრივი მოტივითვე დააკანონა ამ ნივთების ეკლესიის მსახურთა ხელში გადასვლა გადასახადს—„ნიშნის“ სახით. ქრისტიანულმა ეკლესიამ ამ გზით თვითონ გაიჩინა მუდმივი შემოსვლის წყარო. საყურადღებოა ნინოწმინდელი ეპისკოპოსის განცხადება „ნიშნის“ ვადამხდელის მიმართ: ნიშანი „თუ მე არ მომეცემაო, მე შენ რაღა ეპისკოპოსი ვიქნებო და შენის ოჯახი დამ ჩემს ეკლესიას რა სარგებელი ექმნებაო“ (ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Ad, 130).

აღნიშნული „ნიშნის“ შესწავლა მთელი მისი ისტორიის გათვალისწინებით მრავალ საინტერესო საკითხს წამოჭრიდა როგორც ვადამხდელის, ისე შიშლებია სოციალ-ეკონომიურ-პოლიტიკური ისტორიისათვის. ასე მაგ., თუ აღმოსავლეთ საქართველოში „ნიშანი“ ძირითადად დასახელებული ნორმის ფარგლებში ცვალებადობს (ე. ი. პირადი სახმარი ნივთების), დასავლეთ საქართველოში გარკვეულ დროს სრულიად განხვევებული ამბები იჩენს თავს. საეკლესიო ხელისუფალნი ცდილობენ „ნიშანში“ მიიღონ ადგილ-მამული და ყმები, რასაკვირველია, ეს შემთხვევითი არაა და მას თავისი ახსნა მოეპოვება.

„ნიშნის“ ინსტიტუტი პოლიტიკური თვალსაზრისით იმ მხრივაც საინტერესოა, რომ იგი წარმოადგენს იმ ერთ-ერთ ფაქტორს, რომელიც ეკლესიას ცენტრალური ხელისუფლების მომხრეთა რიგში აყენებდა. ეს მომენტი კარგად ისახება წილკნელის საბუთშიც, სადაც „ნიშნის“ მეოხებით წილკნელის ვალდებულ-

ნი არიან ამ მხარის ყველა წარჩინებულნი, იმის მიუხედავად, თუ პოლიტიკურად და სოციალურად ვის ექვემდებარებოდა ისინი. ამ საეპისკოპოსოს თავადნიც კი, რომელნიც ცალკე პოლიტიკურ ერთეულებს განაგებენ, „ნიშანი“ იზდიან (ნიშანი თავის მხრივ ნაწილდება კათალიკოსს და წილენელს შორის. კათალიკოსს მიაქვს „ნიშნის“ ძირითადი ნიწილი).

„ნიშანი“ ამავე დროს ცენტრალურ ხელისუფლებასთან კავშირის ერთ-ერთ რგოლია.

ცენტრალური ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში თავადები, თუ მთავრები, ენერგიულად ცდილობენ თავის ვასალურ დამოკიდებულებაში მოაქციონ ეპისკოპოსები, უარი სთქვან კათალიკოსის სამწყსო გადასახადებზე, ან მისგან რელიგიურ მომსახურებაზე. მაგრამ როგორი დამოუკიდებლობისათვისაც არ უნდა მიეღწიათ მათ, თუ ისინი საკუთარ კათალიკოსს ან კათალიკოსობამდე აღზევებულ ადგილობრივ ეპისკოპოსს არ დაისვამდნენ ეკლესიის უმაღლეს მესაქედ, ცენტრალურ ხელისუფლებას მაინც თავს ვერ დაღწევენ—„ნიშანი“ კათალიკოსისათვის უნდა გაეგზავნათ. ამგვარად, „ნიშნის“ ინსტიტუტი საქართველოს პოლიტიკურ გამოთიანებაში ერთგვარ როლს ასრულებდა.

სხვა სამწყსო გადასახადებს შორის ჩვენ შეეჩერდებით მხოლოდ „დრამაზე“. დრამა ჩვეულებრივად გლეხობაზე დაკისრებული კომლობრივი გადასახადი იყო. დრამას იზდიდა აგრეთვე წვრილი აზნაურიშვილიცა და ბოგანოკი. დრამა წილენის საბუთში ნატურალურია. „სოფლის კაცს“ მართებს დრამა „კოდი ერთი კომლზედ“, ან ქერი-ლიტრა ერთი, შულო და ა. შ. დრამასთან ერთად გლეხს მართებს ეპისკოპოსის „ერთ დღეს ჩაყენება“, ან „ერთ დღეს მასპინძლობა“, ან მთლიანად „სოფელს ერთ დღეს ჩაყენება“.

წილენელის სამწყსო საბუთში კარგად ჩანს მოსახლეობის, გლეხობის უკმაყოფილება, გამოწვეული საეკლესიო-სამწყსო გადასახადებით. აქ აღწერილია ამ ნიადაგზე წარმოშობილი აჯანყებანიც. ანანურს ზემოთ, ნათქვამია საბუთში, „ქაისხეველებს არა აძევს რა: არა დრამა, არა სახუცო, არა ჩაყენება წილენელისა. თვინიერ მღვდელი თუ მოკვდეს, ან გამოჩენილი მსახური, რაც შეეძლოს საწირავი მიართონ. ქაისხეველებს ამიტომ არა ედვათ რა, რომ იმათი გული კიდევ მოუქცევარი იყო: ე ფ ი ს კ ო პ ო ზ ი ს შ ე ს ვ ლ ა ს წ ყ ი ხ ო ბ ე ნ ე ნ, არც აღსარებისა იცოდნენ. ზაალ ერისთავმა რომანოზი წილენელი შეგზავნა. წილენელს ჯანლი უყვეს. არ შეუშვეს“. როგორც აქედან ჩანს, წილენელ ეპისკოპოსს რამდენჯერმე უცდია ქაისხევიშე შესვლა, ხოლო „ეპისკოპოსის შესვლა“, ცხადია, უწინარეს ყოვლისა, იქ საეკლესიო გადასახადების დადებას გულისხმობდა. მოსახლეობა ეპისკოპოსს აჯანყებია და გამოუტყდა. მართალია, ქაისხევთან, როგორც თავისებური სოციალური წყობის მქონე (ე. ი. მთლად არაფეოდალურ) მხარესთან გვაქვს საქმე და თვით საბუთსაც მოსახლეობის ამგვარი ქცევის გასამართლებლად მათი „მოუქცევრობა“, ე. ი. წაკლებ ქრისტიანობა, მოყავს მიზეზად, მაგრამ სწორედ ეს ფაქტი კიდევ უფრო მკვეთრად გამოხატავს იმას, თუ რა მძიმე უნდა ყოფილიყო თავისუფალი მოსახლეობისათვის აღნიშნული ვალდებულებანი. საბუთი განაგრძობს იხრობას და იძლევა იმის განმარტებას, თუ რატომ ქაისხეველ მოსახლეობას (მღვდლისა და მსახურს გარდა) არაფერი არ ედვათ. ქაისხეველებს „ერისთავმა უწყინათ, იასა-

ულები გამოუსივით, ავით მოეპყრა. ადგნენ და წილკნელს შეეხვეწნენ და წილკნელმა იპატივა და წილკნელისა საწირავი დაიდევს. ამას იქით ვინც გასჯულავთ, იმათვინაც კეთილია და მწყემსისთვინაც ბოროტე არ არის რა“ და სხვ. ამგვარად, როგორც ჩანს, არაგვის ერისთავს აჯანყებულები დაუსჯია, მათთვის ისაულები მიუსევია. აჯანყებულები (იგულისხმება მოთავე პირები) თავის დასაფარავად წილკნელს შეხიზნინან, წილკნელს ისინი დაუცავს სასჯელისაგან, მაგრამ სამაგიეროდ ქაისხველებისათვის „საწირავი“ დაუღვია და მათაც უქისრიათ. „საწირავი“, როგორც საერთოდ ამ საბუთითაც კარგად დასტურდება, ეკისრა მოხელეობას ან მაღალი სოციალური წრის წარმომადგენლებს. ამგვარად ქაისხველები, რომლებსაც „საწირავი“ დაედვათ შედარებით მაღალი მდგომარეობის წარმომადგენლები იყვნენ და ასეც არის საბუთში: საწირავის გადამხდელი—ქაისხვეის „მღვდელი“ ან „მსახური“.

ქაისხვეელთა აჯანყება წილკნელის წინააღმდეგ ერთის მხრივ იყო პოლიტიკური აჯანყება, რამდენადაც წილკნელის შესვლა ქაისხვეში არაგვის ერისთავს დახმარებით გულისხმობდა არაგვის ერისთავის მფლობელობის გავრცელებას (სარწმუნოებრივდ ორიენტაცია—იგივე პოლიტიკური ორიენტაცია). მეორეს მხრივ, ეს იყო შედარებით თავისუფალი მოსახლეობის გადაქცევა წილკნელის მონარქედ.

ამავე წილკნელის საბუთში დასახელებული და აღწერილია მეორე ფაქტი მოსახლეობის უკმაყოფილების გამომჟღავნებისა წილკნელი ეპისკოპოსის მიმართ. ეს ეხება ანანურს ზემოთ მთიულეთს, რომელიც საბუთისგე გადმოცემით ქრისტიანობაზე მოქცეულა ჯერ კიდევ VI საუკუნეში ისე წილკნელის მიერ, მაგრამ ქრისტიანული წესები დროთა ვითარებაში შეუშლიათ. ანლა უკვე დასამწყსავად მიდის წილკნელი რომანოზი, რომელსაც შეიარაღებულ დახმარებას უწევს არაგვის ერისთავი. მიუხედავად ამისა წილკნელი აქ ვერაფერს გამხდარა: მოსახლეობას „ვერა საეპისკოპოსო გამოსაღები ვერა დავადევითო“, ამბობს იგი. სამაგიეროდ მომდევნო ეპისკოპოსებს მოუწოდებს განამტკიცონ სარწმუნოების საქმე მთიულეთში და თუ მრავალგზის არ გაიგონონ, მაშინ, როგორც სახარებაში სწერიაო, მათ დასჯაში მწყემსი—ეპისკოპოსი „უბრალო“ იქნება, რადგან ღმერთი „ეპისკოპოსის ხელიდამ გამოიძიებს თავის სამწყსოს საქმეს“ (24 გვ.).

საქართველოს ძველი ისტორიიდან არა ერთი მაგალითია ცნობილი, როცა ეპისკოპოსის „შესვლას“ ასეთი რამ გამოუწვევია მოსახლეობაში.

საეკლესიო-სამწყსო საბუთებში ბევრი სხვა თავისებური გადასახალი გვხვდება, რომელიც კარგად აშუქებს ქვეყნის სოციალურ ურთიერთობას, მაგრამ მოტანილი მაგალითებიც საკმარისად მიგვაჩნია იმის ნათელსაყოფად, თუ რა მნიშვნელობა აქვს საეკლესიო—სამწყსო“ გამოსაღებთა ამსახველი საბუთების გათვალისწინებას.

ბ. ჯამბურია

 დოკუმენტები შართლის სათავადოების
 ისტორიისათვის XVII—XVIII სს.

წარმოდგენილი დოკუმენტები ძირითადად ახსიათებენ ქართლის სათავადოებს XVII—XVIII საუკუნეებში. საყურადღებოა ცნობები სათავადოს „სახლის რიგის“, სახლის უფროსისა და თავადიშვილის (ანუ უფლისწულის) უფლება-მოვალეობათა, ქონების მფლობელების წესის, სათავადოს მოხელეებისა და ყმების, სამართლის წარმოების, გაყრის წესისა და სხვა მრავალი საკითხის შესახებ. ერთი სიტყვით, მოტანილი მასალების მიხედვით სათავადო წარმოგვიდგება როგორც სენიორია, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ორგანიზაცია. ანდენად ქართლის სათავადოების შესახებ საბუთების გამოცემა საქიროდ მიგვაჩნია, — მით უფრო, რომ ამგვარივე ხასიათის დოკუმენტები დასავლეთ საქართველოს სათავადოების შესახებ უკვე გამოცემულია¹.

როგორც ამ დოკუმენტებიდან ჩანს, ყოველ სათავადოს თავისი „სახლის რიგი“ ანუ „სახლიკაცობის რიგი და წესი“ ჰქონდა, რომელსაც მეფე ამტკიცებდა. „სახლის რიგში“ ჩამოყალიბებული იყო სახლის უფროსისა (თავადის) და უფლისწულების (სახლისკაცების ანუ თავადიშვილების) უფლება-მოვალეობანი, ყმა-მამულის მოვლის წესი, შემოსავლის განაწილების რიგი და სხვა. სახლისკაცებს შორის მტრობა იწვევდა „სახლის რიგის“ დარღვევას, რასაც ბოლოს გაყრა მოყვებოდა. სათავადოს გაყრა კი მეფის ინტერესში არ შედიოდა. ამის გამო მეფე ცდილობდა დაეცვა სახლის რიგი (იხ. საბ. №№ 5, 11, 12).

სათავადოს თავისი „სახლის უფროსი და ბატონი“ ჰყავდა, რომელსაც მეფე ნიშნავდა „სახლისკაცების [ნება] მყოფლობით“. სახლის უფროსს თავადი ერქვა, სახლის კაცები კი თავადიშვილებად იწოდებოდნენ. მართალია, სახლის უფროსი იყო უზენაესი გამგებელი სათავადოში, მას ეკითხებოდა სახლის ყველა საქმე (საუფლისწულოს მიმართ კი რამდენადმე შეზღუდული იყო მისი უფლებები), მაგრამ „მამულისა და ოჯახის საქმეს სახლისკაცების შეკითხვით“ განაგებდა (იქვე, საბ. № 11).

სახლის უფროსი, როგორც სოციალურად, ისე ეკონომიურად მაღლა იდგა თავადიშვილებზე. ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მიხედვით, თუ სახლის უფროსი პირველი ხარისხის თავადი იყო, თავადიშვილი მეორე ხარისხის თა-

¹ ი. ს. ს. ე. ლ. ი. ა., მასალები დასავლეთ საქართველოს სათავადოების მმართველობის ისტორიისათვის. იხ. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 31, 1954, გვ. 169—197.

ვადად ითვლებოდა¹. სახლის უფროსის ეკონომიური უპირატესობა კი გამოიჩატებოდა იმაში, რომ სათავადოს შემოსავლის განაწილების დროს მას ორი წილი ეკუთვნოდა, სახლისკაცებს კი თითო (აქვე, საბ. №№ 5, 11).

სათავადოში მფლობელობის სამი ფორმა გვხვდება: „სახასო“ ანუ „საერთო მამული“ (იგივე „სასახლო“), რომელიც გვარის საერთო მფლობელობაში არის დატოვებული, „საუფლისწულო“, რომელიც სათავადოს ცალკე ოჯახებს აქვს მიცემული „სარჩოდ და საჭმელად“ (უფრო ხშირად სათავადოებში 3—4 ოჯახი იყო) და „სათავისთავო“, რომელიც ცალკე თავადიშვილის პირადი საკუთრება იყო. თუ საუფლისწულოდან ყმა-მამულის გაყიდვა სახლის სხვა წევრების ნებართვის გარეშე არ შეეძლო (რადგან იგი სახლის საერთო ქონების ნაწილი იყო), სათავისთავოს გაყიდვა თუ გაჩუქება სახლისკაცს თავისი სურვილისამებრ შეეძლო, რადგან იგი მის უცილობელ საკუთრებას შეადგენდა.

სათავადოში სამართლის წარმოება თავადის უფლებას შეადგენდა. ვახტანგ VI მუხრან-ბატონების „სახლიკაცობის რიგში“ წერდა, რომ „თუ მუხრან-ბატონი შინ არ იყოს, მოჩივრის სამართალს ერეკლე (სახლისკაცი — გ. ჯ.) იქმოდესო“ (საბ. № 5). მეორე საბუთიდან კი, რომელიც თეიმურაზ II-ის მიერ არის მიცემული ყაფლანიშვილებისათვის, ნათქვამია, რომ საუფლისწულოში სამართლის წარმოება უფლისწულის კომპეტენციას შეადგენსო (საბ. № 11).

თავადს ისეთივე მოხელეები ჰყავდა, როგორც მეფეს: სახლთუხუცესი, ბოქაულთუხუცესი, მამასახლისი, მოურავი, იასული, მდივანი და სხვა. ამ მოხელეების საშუალებით მართავდა და უვლიდა თავის სათავადოს თავადი. თავისი „უფლებების“ ძალით განხორციელებისათვის მას პოლიცია ჰყავდა (ბოქაულთუხუცესი და იასულები). გარეშე ეკონომიური იძულების განსახორციელებლად თავისი ყმების მიმართ თავადს, გარდა პოლიციისა, შეიარაღებული რაზმებიც ჰყავდა აზნაურებისა და მსახურების სახით. ამ რაზმებს თავადი იყენებდა აგრეთვე მეზობელი თავადის წინააღმდეგაც. არაიშვიათად თავადი თავისი სამხედრო ძალით მეფის წინააღმდეგაც გამოსულა.

მკითხველი საინტერესო მასალას იპოვის ამ საბუთებში აგრეთვე სათავადოს გაყრის წესის, აზნაურების, მსახურებისა და გლეხების, როგორც ეკონომიური, ისე უფლებრივი მდგომარეობის, სათავადოს სასახლეების, ციხეების, სამეხრეობის, „ქარხნის“, სასახლისკაცო და სათავადოებს შორის ბრძოლის შესახებ და სხვა.

* * *

ქვემომოტანილი საბუთები (სულ 27) ამოკრეფილია აკად. ს. ჯანაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილება-სა და საქართველოს სსრ ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდებიდან (მითითებულია მოკლედ: საქ. მუზ., სცსსა და ფონდის ნომერი). ყველა საბუთი პირველად ქვეყნდება. საბუთების ენა დაცულია. პუნქტუაცია ჩვენ გვეკუთვნის. აღდგენილი სიტყვები და ქარაგმების გახსნა ჩასმულია კვადრატულ ფრჩხილებში. ბეჭდის წარწერები ჩამოტანილია სქოლიოში. დაზიანებული ადგილები, რომელიც არ იკითხება, მრავალწერტილით არის აღნიშნული.

¹ ვახტანგ VI სამართლის წიგნი, თ. ვნუქიძის გამოცემა, 1955. გვ. 57.

№ 1. 1692 წ. მარტის 15-ს განჩინების წიგნი ერეკლე I-ის (ნაზარალიხანის), ალექსანდრე იმერთა მეფისა და სხვების, ამილახვრიანთ სახლის საქმეზე, პირი ტექსტი გამართულია ორივე პირის მიხედვით—საქ. ნუს., № 2280 Sd; № 2251 Hd¹

ქ. ნებითა და შეწვენითა ღვეთისათა ჩვენ, ღვეთიურ აღმატებულმან, ღვეთიურ დამყარებულმან, ღვეთიურ ზეცით გვირგვინოსანმან იესვან, დავითიან, სოლომონიან, პანკრატოხვანმან მეფეთ-მეფემან და კელმწიფემან პატრონმან ნაზარალიხან და ჩვენი ძმა იმერეთის მეფე პატრონი ალექსანდრეე ჩვენ სახლში ბძანდებოდა. ამ ორთავე კელმწიფეთა გვერთ ვიახელით ქათალიკოზი პატრონი იოვანე, მთავარეპისკოპოზი ქრისტეფორე და სხვანი ეფისკოპოზნი სამლოგანნი. დარბაისელნი: არაგვის ერისთავი ბატონი გიორგი, მუხრანის ბატონი აშქოთან, ქსნის ერისთავი დავით, ორბელისშვილი ასლან, ციციშვილი ქაიხოსრო, მდივანბევი ბარძიშ, სარდალი თამაზ, სალთხუცესი პაპუა, ყულარალაზი ლუარსაბ, სხვანი ჩვენნი დარბაისელნი, კარის გამრიგენი და მდივნები—ამილახორის ვივისა და მისის ძმისწულის იოთამისა და ავთანდილისა და სხვათა მისის ძმის და ძმისწულებსა სარჩელი და საჩივარი და რომელიც სალაპარაკოთ ჰქონდათ, ყველა გავიგონეთ და გავშინჯეთ.

ამას წინათ, მეფის გიორგის ქაშში, ერთმანეთში ლაპარაკი და სამდურავი ჩამოვარდნიყოთ და იმათვე შექცევებინათ და მათგან გარიგებისა წიგნებიცა ვნახეთ. მას უკან კიდევ ერთმანეთში ბევრი ჩხუბი და ავის ენის ტარება შექნილიყო. ზოგი მტრისაგან და ზოგი ყმისაგან დიდი სამდურავი და ასაშლელი სიტყვა ჩამოვარდნილიყო, ასე რომე მათი სახლისკაცობა დაემორბინათ. პირველზედ ვეცადენით, სასახლიკაცოთ ერთმანეთს ველარ მოვიკიდეთ და ვერც ერთსახლობალა ვაქნევინეთ. გაყრაზე დადგნენ და არ დაიშლეს. გასაყრელათ ელაპარაკეთ და გაყრის სამართალი უყავით, რომელიც საქართველოში გაყრის წესი და რიგი იყო, ისე გაუჩინეთ. საუფროსო, როგორც სხვას ქართველო დარბაისელზედ აღებულა, იმგვარად. იოთამს ამილახვარს მრავალი ჭინახული ექნა და საჭინახულო კარგი. უმცროსს საუმცროსო და სხვას ძმებს, რომელიც ერგებოდა საშუალო, ესეცები უბჭევით.

აწ, აქაში არც ჩვენ გვინდოდა ამათის ოჯახის მოშლა და დამცრობა და თითონაც დაინახეს, რომ დიდი ზიანი და თავეთი წახდენა იქნებოდა. ამისათვის ჩვენც ვიგულმოდგინეთ და თავათ მეფენი შუა ჩამოვედით და ჩვენი ეპისკოპოზნი და დარბაისელნი შუა ჩამოვაყენეთ და მათი გაყრა აღარ მოვანდინეთ და ისევ ერთობა და ერთსახლობა მოვანდომებინეთ. ასე გავარიგეთ და ამ წესით შევარიგეთ, რომე ამილახვარი ვიცი, როგორც უფროსი ყოფილა. ისრე უფროსი იყოს და მისი ძმისწულები და ძმანი მისი მორჩილნი და ნებისყოფელნი იყვნენ. მის შეუკითხავს და გარდასულს ნურას იქმნენ, ნურც აზნაურიშვილს და ნურც მსახურს და გლეხს ნუ დაურბევენ. და მისად შეუკითხავად, ნურც აზნაურიშვილს და ნურც მსახურს ნუ გამოიყვანებენ, ნურც მხლებელს გამოიყვანენ. ნურც მამულის მოსავალს უდასტუროდ და შეუკითხავად დაუხარჯვენ, რასაც ამილახვარი შინ არ ბძანდებოდეს, ყმის სამართალს ან იოთამ, ან ყორჩიბაში იქმოდეს და რომელიც სამართლიანად ყმისაგან გამოვიდოდეს, ქარხანაში

¹ დოკუმენტები №№ 1, 6, 21 გაკვაცნო ისტორიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა მ. ქიქოძემ, რისთვისაც მას მადლობას მოვახსენებთ.

მოატანინებდნენ და საერთოდ დაიხარჯოდეს. ამილახვარმან ამ რიგი უფრო-სობა უყოს სახლში, რომელიც შეეძლოს, იმრიგად ნურას დააკლებს და ქელი შეუწყოს. რომელიც საკლისკაცი ჩვენთან იქნებოდეს, მართებულათ ნუზღს გაურიგებდეს და ჩვენთან მოდგომას შეაძლებინებდეს. იოთამს და ავთანდილს ყოველ წელიწადს ოცდასუთ თუმანს მისცემდეს. მახრალაჯი სოფელი ბატონს ანახანუმს უწინაც ეპირათ და ახლაც დავანებეთ. სადამდინ ცოცხალი ბძანდებოდეს, ეპიროს, სკამოს და საქორწილოს მეტს ამილახორი ნურას გამოართმევს. რახან სოფელმან მისი არ დაიშალოს და ბატონი ანახანუმ აღარ ბძანდებოდეს, ის სოფელი სახასოთ დაიდვას და ამისთვის ამილახორმან იოთამს და ავთანდილს სხვა სარჩო მოუმატოს. სხვას ძმებს და ძმისწულებს როგორც ჯამაგირი ჰქონდეს, თუ უნდოდეს, ისევე თეთრად აძლიოს და თუ არა, თითო სოფელი რამ დაუდვას და თეთრს ნულარ მისცემს.

რახან სოფელმან მისი არ დაიშალოს და ამილახვარი აღარ იყოს, რომელიც ამილახორათ დაჯდეს, ამილახორს გვიცის შვილს ანდუყაფარს ასრე გაურიგონ: თუ ყაენის ჯამაგირი ჰქონდესთ, როგორც ახლა იოთამისა არის გარიგებული, ისრე სოფელიცა და ჯამაგირიცა ანდუყაფარს გაურიგოს და თუ ყემინდამ ჯამაგირი აღარ ჰქონდეს, ისრე სოფლით არჩინონ.

ამილახორი ყმათ წახდენას² და გაკეთებას და მამულის გაცემას სახლისკაცთ შეკითხულობით იქმოდეს და მართებულათ ქრთამს მისი ამათვისინაც მოაცემინებდეს [sic] და მროველი შეიჯერებდეს. აზნაურისშვილმან და მსახურმან იქითაც და აქეთაც, ზოგნი ავათ დარჩნენ სიტყვას, მაგრამე ყველა ჩავატარეთ. და საველოებს ნურც ერთს მოუშლიან და ნურას უსაყვედურებენ. იოთამმა დემეტრეს დარჩენა მოინდომა და ჩვენც შუა ჩამოვედით, დავარჩინეთ. კიდევ იოთამმა ორიოდე—სამის კაცის დარჩენა მოუდვა, როგორც შეეფერებოდეს. მართებული იყო, ვარჩინეთ.

აშლას უკან, რაც ამილახვრისაგან და ან იოთამისაგან მამული მისცემიათ ვისმე, ორნივე ერთათ დასხდნენ და ერთმანეთისა შეკითხულობით დაამტკიცონ. რაც პაატას მამული მისცემია, იმას კი ნულარ მოუშლიან და ნურც უხსენებენ. გოჩიაშვილის მამულის ასრე იქნას: სახლისკაცი ერთდ შეიყარნენ და თუ გასაცემი იყოს, გასცენ, თუ არა და გასაცემი არ იყოს, საჯასოთ³ დაიჭირონ. ეს ასე გაგვირიგებია.

რომელიც ამ სახლისკაცში ჩვენ ჰელმწიფეთაგან, ეფისკოპოზთა და დარბაისელთაგან მტკიცედ გარიგებულს ერთობისა და ერთსახლობისა მოშლასა და გარდასვლასა მოინდომებს, და ანუ უარშობასა და გაყრის სიტყვას მოგვახსენებს და ეტყვის, ჯერე დამზადებლისა და შემოქმედისა მღვთისა შემცოდება[თ] მიავკითხავთ, მერე ბედნიერის ყე[ე]ნის ოჯახის ნამაქებმწარამ იყოს და ხანათ დარბობილი და მისი ოჯახის სისხლად, ჩვენ მოვკითხავთ და ბედნიერს ყე[ე]ნისაც გაუწყრობებთ და მერმე ჩვენ ღალატად, ჩვენის შვილის სისხლად. ჩვენ მოვკითხავთ. კვალად იგივე, რომელმანცა ამილახორის სახლისკაცმა, ან ამილახვარმან, ან იმის ძმისწულმან და ძმამა და ან შვილმა ამ გარიგების მოშლა პირად გამოიღოს ან გაყრა, თავეთის ოჯახის დამცრობა მოინდომოს რომელიმე, ღმერთო ჩვენო, ყვენ იგინი, ვითარცა ლერწამი წინაშე პირსა ქარისსა და

¹ წერია: სოფელს.

² წერია: ხახდენას.

³ წერია: საბესოთ.

აღედვას ცეცხლი თავთა ზედან მათსა, ვითარცა თავთა დამწვნეთა კელისათა (sic), მტერთა მათთა კელითა დაითრგუნეთ, ვითარცა თიხა უბნისა იყვნენ, გზანი მისნი ბნელ და საცთომელ. ბრძანებითა საუფლოცა ცოცხლივ შთახდენ ჯოჯოხეთად და იყვნენ სავანე მათი ცეცხლი დაუშრეტელი, მატლი დაუძინებელი, ანგელოზმან მალღისამან ძლიერად აჭირვონ მას, შემცა ედების ძრწოლაკენისა, კეთრი გეზისა, ცოცხლივ შთანქმა ფარაოსი და თანა აბირომისი (sic) ქრისტეს ჯვარცმულთან და განცემულისა იუდასა და მარცხენისა ჯვარცმულისა ავაზაკისა თანამცა მატლსა მას დაუძინებელსა და ცეცხლსა დაუშრეტელსა შინა იყოს ცხოვრება და მოქალაქობა სულისა მისისა. კოლო დამტკიცებულმან ამ წიგნისა და განაჩენისა, ესე ვითარისა კვივისაგან განიწინენეს სული მისი.

დაიწერა წიგნი და განაჩენი ესე ყოვლითურთ უნაკლულთ, ყოველთა კელთაგან შეუცვალებელი ბრძანება და ნიშანი ესე ერთსახლობისა ქ[ორონი]კ[ონ]ს ტპ, მარტის იე, კელითა კარისა ჩვენისა მდივან-მწიგნობრისა თუმანიშვილას გივისათა. თუ რაიმე ერთმანეთში სახერხო წიგნები გამოჩნდეს, სიგლითა ამით გაგვიცუდებია. მტკიცე ესე არის.

რასაც პაატა ქარუმიძეს და ან სხვათა ყმათა, ან ერთმანეთსა ეწამებოდენ და ედებოდენ რასმე, ყველა ჩავატარეთ და ჩაველილი არის.

საუფლისწულო ყორჩიბაშს არქაუნი მივეციით და რევაზ[ს] შეისულიან. რაზან ქორწილი ქნას, ერთი უმცროსი სოფელი ბეჟანსაც დაქაენებონ.

ნახარ ალიხანი	კათალი- კოზ იოანე	მეფე ალექსანდრე	გიორგი ერისთავი	დავით ერისთავი
	სახლთხუცესი პაპუა	სარდალი თამაზ		

ამ კელმწიფეთაგან, ეფისკოპოზთა და დარბაისელთა გარიგებისა და ბრძანებისა ჩვენც გამთავებელნი და დამაჯერებელნი ვართ. თუ ამაში ვიმტყუნოთ, ეს ღვთის წყარომაც და ბედნიერის ყვეინისა და კელმწიფისა ჩვენზე მოვიდეს.

ამილახვარი გივი	ყორჩიბაში	რევაზ	ბეჟან
--------------------	-----------	-------	-------

ჩვენ, ყოვლად სამღვდელომ გერვასიმ, ამ წერილის მკვიდრი ვნახეთ ამ ბეჭდებით მტკიცედ დამტკიცებულნი. ეს სისწორით არის მკვიდრზედ გარდაწერილი ლექსით ლექსამდე და მართლის ბეჭდებით დაბეჭდილი. ვემოწმებ, რომ მკვიდრზედ არის ეს გადაწერილი. დეკემბრის 13, ჩყიე წელსა. ყოვლად სამღვდელო ღერვასი.

№ 2, 1703 წ. სახლისკაცობის რიგი, დადებული ამილახვრიანთ მიერ. დედანი 21,3×15,5 სმ. დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ. № 2142 Hd.

¹ სპარსული ბეჭედი.

ქ. ნეფის ნაზარალიხანის ბძანებითა და მისის კარისკაცების პირობით ბიძაჩვენს ბატონს კათალიკოსს ვიახელით ჩვენ, ამილახორი ბატონი ავთანდილ, ჩვენი ბიძაშვილები რევაზ, ანდუყაფარ, ბეჟან და ბარძიმ და ჩვენის სახლისკაცობა ასრე ვარიგდა, რომ რაც საამილახორის კაცისაგან და საამილახორო მამული, გლეხი, მიწა თუ ვენაქი, რაც ან მამის ჩვენისაგან და ან ჩვენგან ნასყიდი იყოს, ხუთთავ სახლის კაცებს ეს პირობა დაგვიდებია, რომ უნდა სასახლოთ დაედვათ, აღარც ჰელახლა ვიყიდოთ. სამილახორის მიწა-წყლისაგან რაც გამსყიდველი ალავს იყოს, თავისი გასყიდული თვითანვე დაიდვას. თუ აყრილი და ან ამოწყვეტილი იყოს, სასახლოთ დაიდვას. თუ პატრონი მოუვიდეს, რაც ფასი აელოს, ისრე უნდა მისცეს. ამ საქმის ვარიგებაში დაგვეწრა სამთავნელი ყანჩელი იოსებ, სხვა ჩვენი აზნაურის-შვილები სახლთუხუცესი ქარუმიძე ზაალ, ჩიკოიძე¹ დათუნა, ქარუმიძე გარსევან, ყანჩელი ფეშანგი და ქაიხოსრო, ქარუმიძე ზაზა და ოტია, ღაზნელი ღამარ, ქარუმიძე ჯამასპი.

დამიწერია მდივანს ვახუშტის და მოწამეცა ვარ ამისი, ქ[ორონი]კ[ონ]ს ტვა თუ ქალბატონებს და ან მხვლებელთ (sic) ეყიდნოს, ისიც ასრე უნდა გარიდეს. ქ[ათალიკო]ში²



№ 3. XVIII ს. დასაწყისი. საყაფლანიშვილოს დავთარი. დედანი, დასაწყისი აკლია. დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ცოფელი სიტყვის შემდეგ ნახნარია ორ-ორი წერტილი. უთარილო. დავთარში მოხსენებული პირები გულაიზაშვილი ბეჟან და ხანდამაშვილი ბიძინა იხსენიებიან საყაფლანიშვილოს 1701—1711 წლების აღწერაშიც (იხ. ი. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი, I—II, გვ. 221—226), ამდენად დავთარი შეიძლება დათარიღებულ იქნეს XVIII ს. დასაწყისით. აქ ვაჭვეყნებთ დავთარის ნაწყვეტს, რომელშიც ჩამოთვლილია საყაფლანიშვილოს მოხელეები—საქ. მუხ., № 1365 Hd³.

- ქ. მერიქიფე გულაიზაშვილი ბეჟან
- ქ. ფინეზაშვილი გიორგი
- ქ. წრაურთის მამასახლისის შვილი ბაინდურა
- ქ. ფარეში ივანა
- ქ. ფარეში ბეშენაშვილი თურმანა
- ქ. ფარეში ბეჟუა
- ქ. ფარეში შიშინა
- ქ. ფარეში ვატეხილისაყდრის მამასახლისის შვილი
- ქ. ფარეში იანგიჩახის მამასახლისი უღულაშვილი
- ქ. ფარეში ტერტერაშვილი ბაინდურას ძმისწული
- ქ. ფარეში კობწიაშვილი დათუნა

¹ წერია: ჩიკოიძე.
² ხვეულად.
³ ამილახვარი ავთანდილ.
⁴ მონა ღეთისა ბოქოლთუხუცესი რევაზ.
⁵ მონა ღეთისა... ბეჟან.
⁶ ანდუყაფარ.
⁷ ქ. ბა[რძიმ].



- ქ. ფერეში ციხისთავისშვილი გიორგი
- ქ. ფარეში ჯაბანაშვილი

ქ. მეჭინბეთუხუცესი რამაზ

- ქ. შიგმდეგი ხანდამაშვილი ბიძინა
- ქ. მეჭინბე ვართანა
- ქ. მეჭინბე კაკალა
- ქ. მეჭინბე ოსიაშვილი თამაზა
- ქ. მეჭინბე დემურა

ქ. ბოქაულთუხუცესი ზურაბ

- ქ. იასაული თათარი ჯალია
- ქ. იასაული თათარი ისმეილა
- ქ. იასაული თათარი უსუფა
- ქ. იასაული შეითან ჩაქუჩი
- ქ. იასაული ჭეშმარიტა
- ქ. იასაული პაატა
- ქ. იასაული ნანიშვილი დათუნა
- ქ. იასაული მოლოდინაშვილი ფრიდონა
- ქ. იასაული ყაზამფარა

№ 4. 1717—19 წწ. პირობის წიგნი, მოცემული ნიკოლოზ. ქაიხოსრო და გიორგი ჯავახიშვილების მიერ რძლის ანახანუშისადმი. დედანი. 27,4×15 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაწმარია ორ-ორი წერტილი. ასო მეტ-ნაკლები. უთარილო. საბუთში მოხსენებულია „ქართველის ბატონი ბაქარი“, რომლის ბატონობა მოდის 1717—19 წწ. საბუთიც ამ წლებში უნდა იყოს დაწერილი—საქ. მუხ. 2175 Hd.

ქ. ეს წიგნი მოგართვით ჩვენ. ჯავახიშვილმა ნიკოლოზ და ძმისწულმა ჩემმა ქაიხოსრომ და შვილმან ჩემმა გიორგიმ თქვენ, ჩემს რძალს ბატონს ანახანუშს;—ასე და ამა პირს ზედან, რომე ჩემი ძმა კახა რომ ყანდარს წავიდა, თორმეტი კვამლი კაცი სათავისთოთ თქვენ დაგიდევით და თქვენ გქონდათ ბატონის ბძანებით. აწე იმ თორმეტის კვამლის¹ კაცისაგან თქვენისავ ნებადართულობით ათი კვამლი კაცი ისევე საერთოთ დაგიდევით. და ორი კვამლი¹ კაცი—ხოვლეს ბითაძე ბეჟანა და მისი სახლისკაცი და ხანდაკს შეგიჯკრიტაშვილი გიორგი და მისი სახლისკაცი—სათავისთოთ თქვენ დაგიდევით, ასე, რომ ჩვენგან არაფერი გამოსაღები — არა კვნა, არა თესვა და არაფერი გამოსაღები არა ეთხოვებოდეს—რა. რაც რომ გამოვიდეს, თქვენთვის სათავისთოთ უნდ იმსახუროთ. ამას გარდა, წელიწადში კალოზე ოცს კოდს პურას უნდა მოგცემდეთ და ოცს კოკას ტკბილს სთველზედა, და პუთს მინალოთუნს თეთრს ტანისამოსის ფასად უნდა მოგართმევდეთ. ამას გარდა, ჩვენს სახლში უნდა ბძანდებოდეთ და რაც რომ გვეშოვებოდეს, სმა და ჭამა ერთი იყოს, ჩვენდა დედად და დამტირებლად ბძანდებოდეთ. ამაების თავდებად და მამართმევად ზალიშვილი გარსევენ და ყარაღაჩის მამასახლისი ბერიაშვილი ბერი მო-

¹ წერია: კვამალის

გვირთმეგვია. თქვენს კაცს პურსაც ესენი მიაბარებდნენ და ტკბილსაც და თეთრსაცა. თუ ამაში გაგიმტყუნდეთ და ეს ჩვენგან მორთმეული გარიგება მოგიშალოთ, სანამდე თქვენ ცოცხალი ბძანდებოდეთ ეს პირობა მოვშალოთ ჭერ ვიყოთ მღთის შემცოდებ, მერმე ქართველის ბატონის ბაქარის მკვლელი¹ ვიყოთ და ისე მეფეს ვახტანგს კელით დავრჩომოდეთ. არის ამისი გამრიგე და მოწმე ხერხეულიძე რევას, ხერხეულიძე ზურაბ, რატიშვილი ოთარ², ხერხეულიძე ჯამასპი³, გაბაშვილი ბეჟან ³, ჩვენი სახლთუხუცესი ტაჭიაშვილი დავით, ნონიაშვილი მღვდელი იესე. მე, ხერხეულიძეს იასეს, დამიწერია და გამირიგებია და მოწამეც ვარ ამისი.

, , + + +

№ 5. 1720 წ. მარტის 23-ს. „სახლისკაცობის რიგი და წესი“. გაჩენილი ვახტანგ VI მიერ მუხრან-ბატონის სახლისათვის. დედანი. 116×22,2 სმ. დაწერილი სამერთმანეთზე გადაკერებულ თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია ორ-ორი წერტილი. საბუთი თავში დაზიანებულია. რესტავრაციის დროს ნაფლეთები ერთმანეთში აურევიათ და ამჟამად საბუთის თავი დამახინჯებულია. საბუთის ეს ნაწილი რესტავრაციამდე ჩვენ მიერ გადმოღებული პირის მიხედვით გავმართეთ—სცსსა, ფონდი 226, № 1114.

...[მეფეთი მეფემან და კელმწიფემან ვახტანგ]... ...[და ძემან ჩვენმან სასურველმა... გიორგი და... შაჰნავაზ, ჩვენთან მყოფარემან ძმამან [ბატონმან დომენტომ გვერთ ვიახელით [დარბაისელნი და მუხრანის-ბატონის ლევანისა, ერეკლესა, კოსტადილეს შვილისა და სვიმონი შვილის სახლისკაცობის რიგი და წესი ესრე გაუჩინეთ და ამ რიგად იქცეოდნენ:

მუხრანის-ბატონად ლევან არის და] იოს⁴. მამულისა და სახლის გარიგებას კარგად ეცადოს. რომელიც მამულის შემოსაველი საქმე იყოს. სახლისკაცობაც დაჭკითებოდეს. ბატონისაგან თუ სახელო, თუ ჯამაგირი იშოვნონ, თავთავისათვის ქონდეს. სამეხროვები ყველამ მოშალონ. თუ ვინ იცის იყოლიონ სახასო მიწას აზნაურშვილისასა და გლეხისას ნუ მოხუნენ. ტყე რომ გაყენონ და ან ბეითალმალი მიწა მოხნან, ის არაფერია. როგორც უწინ სხვის მუხრანის-ბატონების დროს სამეხროვები სახასოში საერთოთ ყოფილიყოს, ლევანც ისრე გარიგოს და გამართოს.

პური ამდენი მოიყვანოს, რომე სახლისკაცს არ დააკლოს. თუ დააკლდეს, ღვითან ვაულონიერდეს და თუ გარდარჩეს, მუხრან-ბატონისა იყოს. ქერსაც მუხრან-ბატონი ვაულონიერდეს⁵ და ამ გზით უქმიოს. თვითო ცხენი მარიამობისთვის ნახევარს დაუბას. ოროლი ცხენი მარიამობისთვის გასულს დაუბას. სხვა ცხენები ღვინობისთვის ნახევარს გასულს დაუბას. მუხრანში მსახურ-აზნაურიშვილი ქერს ნუ ითხოვს ნურცერთისა. რომელიც მუხრან-ბატონისშვილი ქალაქს წამოვიდეს, მისის ცხენისას და ორის-სამის მსახურის ქერსა მუხრან-ბატონი ქერს გაურიგებდეს. ლაშქარ-ნადირობაში რაც კაცი ახლდეს. გველს უქნიოს.

ღვინო და საკლავი არ მოუვათ საყოფი. მაგრამ რაც მოუვიდოდეს, მთელეთ მიებარებოდეს, თავილად დაეწეროდეს. საერთოს მარნიდა და სამზ-

¹ წერია: მკვალელი

² აქ ბეჭდის ადგილია დატოვებული.

³ არ ირჩევა.

⁴ ამ სიტყვების შემდეგ საბუთი დაუზიანებელია.

⁵ წერია: ვაულონერდეს.

რეულოთგან მუხრანის რიგით და შეკითხვით მოხელეები მართებულათ მოახმარდნენ. თუ დაკლდეს, ან შეწერითა და სხვარიგათ გალონიერდნენ და ისიც ისრე დახარჯონ და რახანაც აღარც ის იყოს, თავთავისა გალონიერდნენ^[6], მუხრანის ბატონს ვერა სთხოვენ.

ნურც აზრანურშვილსა და ნურც მსახურსა და ნურც გლეხს ნურავინ დარბევს. მუხრანის-ბატონმაც მართებულს დანაშაულზედ დარბიოს, ქარხანაში მიბარონ ნარბევი, საქურო, გასამყრელო, თუ რაც რაფერი მამულიდამენ მოვიდეს, სამუშაოს სამეზურ^[7]ოს გარდასდებდეს და სხვას ქარხანაში მიბარებდენ. ქარხანა, როგორც უწ^[8]ინ საერთოთ ყოფილიყოს, ისრეც ერთად გამართონ.

თეთრის მოსავალი, როგორცა თეიმურაზის ქამშია იყოფდენ. ისრე ახლა გაიყონ.

აზნაურშვილისა და [მ]სახურისა ასრე იქნას: ეს ძმანი დასხდნენ, რომელიც მუხრანის-ბატონის სახლებული იყოს, მისთვის ვარდაყენონ და რომელიც ერეკლეს უწინ კლებოდეს, ის იმას იახლოს. თუ აკლდეს, მიუმატონ. რომელიც პაპუას ხლებოდეს, ის ლევანის შვილს იახლოს. რაც აშოთანის ბატონობაში კოსტანტილეს ხლებოდეს, ისი იმის შვილს იახლოს. რაც სვიმონის¹ შვილს მამის იმისი ნაქალი ჰყუანდეს, ისეც იახლოს. სხვა ახლი გამოყუანილები ყუელამ გაუშვას. თუ აკლდეს ვისმე, ძმანი შეიყარნენ, მუხრანის-ბეტონიც გამოიყუანონ და იახლონ. აგრეთვე მუახლის გამოიყუანა. რომელსაც მსახურმან დაუკარგოს რამე, ის დანაკარგი აზღვევინონ, პეტს ნუ წართმევენ. თუ სხვარიგად აწყენინონ, სცემონ, დაბან, დარბევით ნუ დარბევენ. მამულის გაცემა, აზნაურშვილის წახდენა და გამორთმევა რისამე ერთმანერთის შეკითხვით იქმოდენ. თუ ვისმე მისცენ რამე ფეშქაში, მართებულათ ყუელას მიეცემოდეს.

თავარეფისკოპოზის ნასყიდი გლეხები საერთოდ იყოს. მის საქონელსა და მანედ დანახარჯს ერთმანეთს ნურას ელაპარაკებიან. კონსტანტილესი და წილქნელის ნასყიდი თავთავისათვის ქონდეს. ახლა რომ ერეკლეს რატის-შვილისაგან გლეხები უყილია, ის ერეკლეს ქონდეს, მაგრამე როგორც რატის-შვილის ყმათ მუხრანის სამსახური ექნასთ, იმას ისრე იქმოდენ.

ლაშქარ-ნადირობასა და გარეობაში მუხრანი-ბატონი იქ ბძანდება. მის ხარჯზე უნდა იყუნენ. თუ არა და სახლისკაცი გაგზავნოს, ულაყსა და ნუზუს გაურიგებდეს.

თუ მუხრანი-ბატონი შინ არ იყოს, მოჩიერის სამართალს ერეკლე იქმოდეს, თუ რამე მოვიდოდეს, ქარხანაში მიბარებდეს. პურს, ღვინოს, საკლავს მუხრანის-ბატონის უბრალოთ ნუ დახარჯავენ და ნურც გასცემენ; სამუშაოზედ დაღებოდნენ. და ნურც ოჩხარს, ნურას სათხოვარს უმუხრანის-ბატონოთ ნუ სთხოვენ. ნურც ულაყს და ურემს შეაწერენ. ნურც მსახურსა და გლეხს ცხენზედ ნუ შეუჯდებიან. თითო დიასახლისი, თითო მეცხვარე იყოლიონ. სხვას გლეხს ნურას მიბარებენ. საქორწილო ვისთვინაც შეაწეროს, მისი არის. სხვა ქამის ხარჯი მუხრანის-ბატონმან უნდა ქნას.

გლეხა, რომელიც აყრილი სხვაგან დასახლებულიყოს, ისეც თავის ალაგს მიიყუანონ. დავითისაგან და ქაიხოსროსაგან მუხრანი-ბატონს რომე გლეხები უყილია უმამულოდ, ისეც დახსნევიონ.

¹ ასურია: ვიწონის.

სახელოები: ვარჯანს ისევ სარკინეთის მოუტრაობა ეჭიროს. წილკნისა დეკანოზს ქონდეს, ნუ მოუშლიან. სხვები, ვის როგორ ეჭიროს, ისრევ ქონდეს.

ქელმწიფის სამასპინძლო რომ შეაწერონ, რაც მორჩეს, ქარხანაში მიაბარონ.

ეს სამეხრაოები რომ მოშალონ, მუხრანში ნუ ხუნენ, ნურც საკათალიკო-ზოში. ამიტომ, რომე ამათი სახნავი კათალიკოზის მამული არის. თუ იქ ხვხას არ მოიშლიან, ისევ იქნების.

ქარხანა, რათგან უფროსი არის, მუხრან-ბატონმან სადაც უნდა, გამართოს. სტუმარს, ვისიც უნდა იყოს, ორს დღეს მუხრანი-ბატონი დახუდეს.

ვისაც უწინდელს შენაეოდარს მსახურს-აზნაურიშვილს პაპუა უჩივის, ჩვენთან ილაპარაკოს.

აყრაზედ ცხენს, ურემს მუხრან-ბატონს სთხოვდენ¹, ის შეაწერდეს.

ვისთვისაც ერეკლეს მიეცეს რამე, ამათაც დაბეჭდინონ, მართებულთ ფეშქაში მიართვან.

ჭაბურს გასიტაშვილსა და გუგულას-შვილისა მამული ისრევ პატრონებს დახსნევიონ, ერეკლე ნუ დაიჭერს. ვარდისუბანს რომ წისქვილი უყვიდია, პატრონს ფასი გამოართვან და წისქვილი დანებონ.

აყრილის კაცის თავის ალაგს მიყუან² რომ დავწერეთ, იმას ან თავისი მამული მისცენ და ან სხვის მამულით არჩინონ.

რახან ლევან შეიძლოს, ამ ძმათ ოდენი ამანც იყიდოს. მთავარეპისკოპოზს ნასყიდს ბაგას გარდაის, სხვა მისი ნასყიდები საერთო არის.

ახალი გათარხნებული კაცები: ძმანი შეიყარნენ, რომელიც არა სჯობდეს მოშალონ. თუ არ მოშალონ, ვისაც არ დაბეჭდოს, ახლა დაბეჭდინონ. მართებულნი საბეჭდავი მიართვან.

რაც პურის ვალი მართებსთ, თუ უნდოდესთ სამეხრაოების მოსავალი მუხრანის-ბატონს მისცენ და იმან გარდიხადოს, თუ არადა ისიც იმათა ქონდესთ და ვალიც იმათ გარდიხადონ. ნასყიდმან კაცებმან იმ მამულს სამსახურები ისრევ ქნან.

პაპუსა რომე დიასახლისი ყოლებია, მამა და შვილი, ისევ პაპუსა შვილს ჰყუანდეს. სადაც სახლებულიყოს, იქ წაიყუანოს.

ზურისა და ხოდაბუნის მუშას გარდაისად, ერთს კვირას შემოდგომაზედ და ერთს კვირას გაზაფხულზედა მუხრანს მუშას შეაწერდენ. გაყოთოდენ—ორი წილი მუხრანის ბოტონმან ამუშაოს და თითო ძმათ ამუშაონ.

მამისა და დედის, ძმისა და დის საქონელზედ ყუელანი რომ ლაპარაკობდეს, ერთმანეთს ედავებოდენ, ვავსინჯეთ და სალაპარაკო არა იყო რა, ჩავტარეთ. ჭელი არა აქუსთ.

ლევანს, რასაც დანახარჯს თეთრსა ედავებოდნენ, ნულარასა სთხოვენ. კიდევ ლევანს კახურის ცხურის დანახარჯს რომ ელაპარაკებოდნენ, ის ცხვარი ლევანს ჰყვანდეს, ლევანს მიეცეს.

ყოველს წელიწადს ორმოცს კოდს პურსა, ოცდაათს კოკას ტკბილსა საერთოდამან ბატონს ჩვენს რძალს კონსტანტილეს დედას მიართმევდენ.

მარტის კვ. ქლორონიქონის უმც.

სამეხრაოების მოშლა რომე ზევით დაგვიწერია, თუ არ მოშალონ, ნურც მუხრანშია და ნურც ქათალიკოზის მამულშია ნუ მოხუნენ. ამიტომ, რომე ამათა

¹ წერია: სთხოვდენ.

² წერია: მიყუან.

სახნავი ქათალიკოზის მამულია. თუ იქ ხუნას არ მოიშლიან, ისრივ იქნების. ვაზ-ტანგ¹.

№ 6. 1723 წ. მაისის 28-ს. სასაბლსკაცო პირობის წიგნი მიცემული ვახტანგ ამილახორიშვილის მიერ ბეჟან ამილახორიშვილისადმი. დედანი. 33,5×13 სმ. დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. თავნაკლები. განკვეთილობის ნიშნად ნახმარია თითო ან ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., ფ. Ad № 711.

...ვახტანგ კვ[ალად ბიძაშვილმა ჩემა ედიშერ და ძმა ჩემა გივმა და ამირან-
[ლომ] და [ათანასემ და შვილმა] ჩემა ავთანდილ და გიო [რგომ] და მომავალ-
თა სახლისა ჩემისათა თქვენ, ბიძაშვილსა ჩვენსა ბოქაულთუხუცეს ბეჟანს და
შვილსა შენსა თეიმურაზსა, ბარამსა და თევდორესა და მომავალთა სახლისა
თქვენისათა ასე და ამა პირსა ზედა ვიყნეთ დღეს და დღეის იქით თქვენი კა-
[რგის] მდომნი. ღვთითა და კაცითა რაც კარგი მოგვევლინებოდეს, იმის მცდელნი
ვიყნეთ. არც თქვენსა სკვა სახლისკაცი ვირჩიოთ, მტერზე მტერი ვიყენეთ,
მოყვარეზე მოყვარე. რომელმაც სახლის კაცმა თქვენზე ავი ან ჩხუ-
ბი მოინდომოს, ჩვენსი თავი იმას სასიკვდილოთ არ დავარიდოთ და არც სამიზე-
ხო საქმე არა მოვიწოდოთ. ვინ იცის, ჩვენის სახლის უფროსობა მოგვეცეს,
თქვენი შუაქითხავი საქმე არა ვქნა რა. რომელიც მამული და სახელო ჩვენგან
გქაიცეს, იმისი მართებული ფეშქაში არ დაგაკლდეს. რაც სამილახოროდამ გა-
მოვიდეს საკლავი, პური ან ღვინო, ყველა მისის მართებულით არცეთი დაგაკ-
ლოთ. სამხრითილამ ბრინჯისა და ხავისაც წილი ვარგინოთ. თუ ბატონთან წა-
ხვიდეთ, ნუზლის საქმე ჩვენ გავრიგოთ. ბეშუთს კვიწინაძის მამულიც და ცი-
ცინაშვილიც მოვკე. ექსი მსახურიც მოვკე. ბეშუთის მოურაობა ვისაც შენ გინ-
და მიეც, რომელიც თქვენი ერთგული ყმა მიგაჩნდეს, ჩვენც მართებულად მი-
ვიჩინოთ და მწყალობელნი ვიყნეთ. მოგიცემია ამისად თავდებად ღმერთი
დაუსაბამო და ყოველნი მისი წმინდანი, დაიწერა ფიცი და პირი თვესა მაისსა
ოცდარუასა, ქ[ორონი]ქონს უია².

□⁵, ედიშერ³, გივი⁴, 7

№ 7. 1735 წ. „ამბობისა და ერთობის“ წიგნი, მიცემული ამირინდო [ამილახვარის]
და მისი ძმის ათანასე მროველის მიერ თავისი სახლისკაცებისადმი. დედანი. დაზი-
ანებული: საბუთის თავში მარჯვენა კუთხე მოხვეულია. 37×21 სმ დაწერილი თეთრ
ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ყოველი სიტყვის შემდეგ
ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 2139 HII.

ქ. ესე ძმობისა და ერთობის წიგნი და პირი მოგარ[თვით] ჩვენ ამირინდომ და
ძმამან ჩვენმან მროველმა ათანასემ თქვენ ამილახვარს⁵ ძმასა თქვენსა იოთამს,
ბიძაშვილსა თქვენსა იასეს, დემეტრესა და ბარქიმს;—ასე რომე რვეაზიშვილმა
ოთარმა და ბეჟანიშვილებმა უდანაშაულოთ ჩვენი წაქდენა მოინდომეს, არაგ-
ვის ერისთავი ბარქიმ და ამირეჯიბი ალიყულიბეგ მოიკმარეს, ხანთან გვაბეზ-
ლეს დაუნაშაებლათ. ამილახორობაც ოთარმა იშოვნა. ჩვენი და თქვენი და-
კარგვა და დატოვა მოინდომეს. გამოეცალენით, რაც რამ ან სათავისთაო ან სა-

¹ ხვეულად. საბუთის ზურგზე გადაკერებულ ადგილებში არის ვახტანგის ასეთივე ორი ხელრთვა.

² სტრიქონს ზედიდანაა ჩამატებული სხვა ხელთ და სხვა მელნით.

³ წერია: ვისაც.

⁴ დიდანშია: უაი, რაც ჩვენ მექანიკურ შეცდომად მიგვაჩნია.

⁵ ვახტანგი.

⁶ ხვეულად.

⁷ მონა მღვთისა ამილახორიშვილი ამირინდო

საბუთის ზურგზე სხვა ხელით: ეს წიგნი ვრც მანეთში სახლისკაცთ წიგნის მიცემა ციცი...

⁸ აქ ორი სიტყვის ადგილი მოხვეულია.

ერთო ჩვენი წილი დაახლეს, აიკლეს, დაარბიეს, ვინც გამოასწრა, მამული და ყმა გაუშვეს. ჩვენთან მოვიდნენ ჩვენი მსახურ-აზნაურშვილი, ჩვენ უწინაც ერთნი ვიყავით და ახლაც ეს პირობა დავდევით ჩვენ, ერთმანეთს არ უმტყუნოთ, ერთნი ვიყვნეთ ამ საქმეზე. ზიანი და სარგებელი ერთი იყოს, ვინც გვინდომოს ერთად ვინდომოთ, ვინც არ გვინდომოს და მტერი იყოს, ჩვენც იმას ერთად უმტეროთ. რომელმაც ბატონმა ერთსა წყალობა გვიყოს, მეორესაც უშოვნოთ, ერთმანერთი გამოვიტანოთ, თუ რამ გვქონდეს ერთმანერთისაგან არა გვშურდეს. ვიცხ მოვკვდეთ, ერთმანერთი დავმარხოთ, ვინც ცოცხალი დარჩეს, იმას მოუაროს, ვინც თქვენ არ ვინდომოს, ჩვენ ის კაცი არ ვინდომოთ. რევაზ რომ ციხეში მოუტვდა და დაიპირეს, იმისიც როგორც ვამჯობინოთ, ისე ექნათ. თუ კიდევ ამისგან უფრო ჩვენი წაქვდენა მოინდომეს, ჩვენმა სახლისკაცებმა, ჩვენც ერთად უმტეროთ—ეს პირი და ფიცი დავგივდეთ. ვინც ამაში იმტყუნოს, მასამც რისხვაჲს მამა, ძე და სული წმინდა, დაუსაბამო ღმერთი და ყოელნი მისნი წმინდანი და ორსავ სოფელსამც დაიკარგების. არიან ამისი მოწამენი ჩვენი სალთხუტესი შიომში მოძღვარი, წინამძღვარი მეღქიზედდე ჩიკოტიძე, ამირან ქარუმძიძე, თამაზა, ქარუმ და ბესარიონ, დემეტრე ლაზნელი, ზურაბ ლიპარიტიშვილი, ბექან, სულ ჩვენი მსახური და აზნაურშვილი.

მე, დავითს, დამიწერია და მოწამეცა ვარ .დაიწერა ქორონიქონის უკვ.

მე, ამირინდოს, ამის ყაბული მაქს



№ 3. 1746 წ. ივლისის 25-ს. საუფლისწულოს გარიგების წიგნი საყაფლანიშვილში. პირი. გადაწერილი XIX ს-ში მხედრული ხელით—სცსსა, ფონდი 229, დავთარი 2, № 117.

ჩვენ, ერთობით ორბელისშვილებმა, ჩვენი ძმობაჲ ასე გავარიგეთ და გავრამდის ასე ამ პირობით შევარიგდით, რომ რაც ძველთაგან საერთო მამული გვქონდა; სახასოებსავით მოვირიგეთ და ამ რიგით გავიყავით. რაც სახეშვიფო ხარჯი და სათხოვარი გვეწეროს, ამ ბარათის პირით ვაძლიოთ. სანამდის სახელმწიფო ხარჯი გვეთხოვბოდეს, ამაზედ ვიღვანეთ.

ერთს წილად ერგო:

ქვემო ვარდისუბანი, იქავ ზვარი,

სოფელი ხული,

სოფელი ქვემო მიჯა, იქავ სამეხრაო,

თავუთი ხანდამაშვილებით, იქავ სამეხრაო.

სოფელი ძველი დმანისი, იქავ სამეხრაო,

სოფელი ყადრიყული,

სოფელი მუსეფრიანი,

სოფელი გატეხილისაყდარი,

სოფელი ლორაშენი,

სოფელი ბაზაური.

დმანის: ციხისა, დუქნებისა, მსახლობელის კაცისა, მიწისა, წისქვილისა, ბაღისა, ყოვლისფერის მეოთხედი.

¹ ამირინდო.

² აქ პირის გადამღები უჩვენებს ბეჭდის ადგილს. ჩვენ გადაგვაქვს დანარჩენ ბეჭდებთან ერთად.

ფიტარეთს: ციხისა, მსახლობელის კაცისა, მიწისა და მამულის, ყოვლისფერის მეოთხედი.

ტანძიას: სოფლისა მსახლობელის კაცისა, მიწისა, ყოვლისფერის მეოთხედი. აღბაბლუს: მსახლობელის თათრის, მიწისა, სოფლისა, ყოვლისფერის მეოთხედი.

აზნაურშვილები ჩაჩიკაშვილებისა დღეს რისაც მქონებელნი არიან: სოფლებისა, მამულით, ყოვლისფერის მეოთხედით.

აზნაურშვილი მკელისშვილები (sic) თავისი ყმით და მამულით. ნასყიდი შუა-ბოლნის ზერისა აქელაშვილებისა ქვემო ბოლნის ზერის მეოთხედით.

სოფელი სესაყარი (sic) მურვანშვილებით თავისის ნასყიდით და რისაც მქონებელი იყოს.

ადგილი
ბეჭდისა

ადგილი
ბეჭდისა

ადგილი
ბეჭდისა

ადგილი
ბეჭდისა

ადგილი
ბეჭდისა

ადგილი
ბეჭდისა

ადგილი
ბეჭდისა

ადგილი
ბეჭდისა

ჩვენ, მეფე თეიმურაზს, ეს ორბელისშვილების გარიგება ასე დაგვიმტკიცებია: სანამდინ ზემწიფის სათხოვარი იყოს, მანამდინ ამ გარიგებაზედ იღვწენ და ან როგორც თითონ პირობის წიგნი დაედვასთ, იმ პირობაზედ ნუ გარდავლენ.

მკათათვის კე.ქ[ორონი]კონს ულდ.

ადგილი
ბეჭდისა

№ 9. 1746 წ. საუფლისწულოს გარიგების წიგნი საყაფლანიშვილოში. პირი, გადაწერილი XIX ს-ში მხედრული ხელით. მოთავსებულია ყაფლანიშვილების საბუთთა პირების კრებულში—საქ. მუხ., II 2511/19.

ქ[ორონი]კონს ულდ.

ქ. ჩვენ, ერთობით ორბელის-შვილებმა, ჩვენი ძმობა ასე გავარკვეთ და გაყრამდის ასე ამ პირობით შევერიგდით, რომ რაც ქველთაგან საერთო მამული გვქონდა, სახასოებსავით მოვირიგეთ და ამ რიგით გავიყავით. რაც საკელმწიფო ხარჯი და სათხოვარი გვეწეროს, ამ ბარათის პირით ვაძლიოთ. სანამდის საკელმწიფო ხარჯი გვეთხოვებოდეს ამ გარიგებაზე ვიდგეთ.

ქ. ერთწილად ერგო მდივანბეგის-შვილებს:

სოფელი ქ. ზემო ვარდისუბანი ავთანდილაშვილებით,

სოფელი ქ. ტაშირზედ წითელეკლესია აღზიბეუქით,

სოფელი ქ. ქარტაკი, იქავ სამეხრალო

ქ. ჯის სოფელი კიბრუჭი,

ქ. სოფელი წყნეთა,

¹ წერია: ფიტარეთის.

² ეს ბეჭედი მოთავსებულია ერთი წინადადებით ზემოთ, რაც პირის გადამღების შეცდომად მიმართა.

³ მინაწერი: ასლთან თანასწორ არის სოვეტნიკი თ[ავად]ი დიმიტრი თარხანოვი.

ქ. სოფელი ქრციხილა, იქვე სამეხრლო,

ქ. თაფანს ბაღუჩაშვილი,

ქ. დმანისი, ციხისა, დუქნებისა, ბალისა, წისქვილისა, მიწისა, მსახლობელის კაცისა, ყოვლისფრის მეოთხედი.

ქ. ფიტარეთს¹: ციხისა, მსახლობელის კაცისა, მიწისა, მამულისა, ყოვლისფრის მეოთხედი.

ქ. ტანძიას: სოფლისა, მსახლობელის კაცისა, მიწისა, ყოვლისფრის მეოთხედი

ქ. აღბაბლოს²: მსახლობელის თაჯრისა, სოფლისა, მიწისა, ყოვლისფრის მეოთხედი.

ქ. აზნაურშვილები ჩაჩიკაშვილებისა დღეს რისაც მქონებულნი არიან: სოფლებისა, მამულისა, ყოვლისფრის მეოთხედი.

ქ. აზნაურშვილი დორათაშვილი თავისი ყმითა და მამულით.

ქ. ნასყიდი შუა ბოლნის ზვრისა აქელაშვილებისა³, ქვემო ბოლნის ზვრის მეოთხედი.

ბეჭედი	ბეჭედი	ბეჭედი	ბეჭედი	ბეჭედი	ბეჭედი	ბეჭედი
--------	--------	--------	--------	--------	--------	--------

№ 10. 17-9 წ. მარტის 15-ს. პირობის წიგნი, მიცემული ამირინდო ამილახორის მიერ თავისი ბიძაშვილების დიმიტრის, რევაზის, იესეს, ნიკოლოზისა და თეიმურაზისადმი. დედანი. 40×16 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუხ., № 1365 Ad.

ქ. ესე წიგნი მოგართვი მე, ბატონმა ამილახორმა ამირინდომ, თქვენ, ჩემს ბიძაშვილებს დიმიტრის, რევაზს, იესეს, ნიკოლოზს და თეიმურაზს;—ასე რომე თქვენ მობძანდით და პირობა დასდევით, რომ მე უფროსი უნდა ვიყო და თქვენ უმცროსნი. რახან უჩემოთ აღარასა იქთ და არც არას მამულში დაშავებთ, მეც ეს პირობა დამიდგია:

რაც სამილახვაროში ან პური, ან საკლავი, ან თეთრი გამოვიდოდეს, ორა წილი მე უნდა ავიღო და ერთი წილი დიმიტრის უნდა მივსცე და ერთი წილი რევაზს უნდა მივსცე და ერთი წილი თეიმურაზს მივსცე. თუ ამაში გავიშვებულე და თქვენი წილი დაგაკლო, ჯერ ვიყო ღმრთის შემცოდე და მერმე მეფის თეიმურაზისა და მეფის ერეკლეს შემცოდე და ბატონის წმინდის პატრიარქისაგან შეჩვენებული. ამას გარდა, ან მამულზედ, ან მსახურ-აზნაურშვილზედ რაც სალააა რაკო გქონდეს, ვილაპარაკოთ და მართებულათ გავრიგედეთ. საუფლისწულოში სახასო კაცი ნუ დადგება, თუ სადმე იყოს და ავეაროთ და თავის ალაგს დაგაყენოთ. და როგორც რომ თქვენ ჩემს მორჩილებასა იქთ, ისე მე უთქვენოთ არც საქელო გავსცე და არცავინ წავახდინო თქვენს შეუჯიბთხავად. თუ არლაშქარსა და ან ბატონთან ნუხლი წავიღოთ, ამის უარს ვერ გვეტყვის ჩვენ ყმანი. ამას გარდა, ვერც გასასყიდელი პური წავიდეს სახასოს ურმიითა და სხვა-

¹ წერია: ფიტარეთს.

² წერია: აღბაბალოს.

³ წერია: აქელაშვილებისა.

⁴ განმეორებულია.

⁵ წერია: და ვეაროთ.

⁶ შემდეგ წაშლილია ორი სიტყვა.

რიგათ სადაც ჩვენი მოსავალი პური სოფლებში მოვიდეს, ის კი უნდა მოგვიტანონ ჩვენს სასახლეში.

ქორონიქონს ულზ, თევსა მარტსა იე გასულს. დაიწერა კელითა ნიკოლოზ დეკანოზისათა



ამიაზე ამავე ხელით:

ქ. ამისი დამსწრე და გამრიგე ბატონი სამთავნელი ბენეკტიცე².

№ 11. 1749 წ. მაისის 7-ს. სახლის რიგი. გაჩენილი თეიმურაზ II-ის მიერ ორბელიშვილებისათვის. პირი, გაკაწერილი XIX საუკუნე დასაწყისში მხედრული ხელით — სცსსა, ფონდი 229, დავთარი 10, № 187.

წყალობითა ღმრთისათა ჩვენ, ზეგარდმოსა კურთხევით გვირგვინოსანქა ცხებულმან მეფეთ-მეფემან პატრონმან თეიმურაზ, ოდეს სამეფოთა ჩვენთა-თვის თავი დავდევით და სიკვდილსა და განსაცდელსა არ მივერიდეთ, მრავლად ცდითა და ფრიადის შრომით მრავალნი საქმელონი¹ სახელმწიფო მოხარკეობანი საქართველოსანი აღვზოცეთ ძლიარებითა ღმრთისათა, სამეფოდ ჩვენდავე მოვაწივენით, მაშინ ჯერჩინებითა სასურველისა ძისა ჩვენისა, კახთა მეფისა პატრონის ერეკლესათა და ყოვლად სანატრელისა საქართველოს პატრიარქის მეფის ძის ანტონისათა, მოუწოდეთ ქართველთა და კახთ ჩინებულთა თავადთა. სამეფონი ჩვენნი ძველსავე წესსა ზედან დავადგინეთ და ვიხილეთ ორბელიანთ განთვისებით განკერძობანი და მათთა მამა-პაპათა განწესებათა შეცვალბანი და ესე არა ვინებეთ. გამოვიძიეთ, ვითა ძველთაგანვე მათი სახლის რიგი ყოფილიყო. ჩვენც მასვე წესსა ზედან დავამტკიცეთ. ჩვენი სიძე, ეშკილაძეობა ორბელიანი დიმიტრი, თავისის სახლისკაცების მყოფელობით ამათ უფროსად, სახლის ბატონათ, დავადგინეთ. ამ წესით სახლისკაცი უფროსის მორჩილნი და სიტყვის გამგონენი იყვნენ. მამულში ამის შეუკითხავათ ნურას იქმონენ. თუ უფროსის ნება არ იყოს, ნურც არას დახარჯვენ, ნურც კაცს დარბევენ. რომელიც სახლისკაცი მამულში უარშიობას დაიწყებს და გლეხს უსამართლოს უზამს, უფროსი დაუშლიდეს და ნუ აქნევინებს. თუ ჩვენ მოგვხსენდა, ჩვენც დიდათ უწყენთ. ვინც უფროსისაგან მამულში დაყენებული მოხელე იდგეს, რაც საერთო მამული ქონდესთ მთისა ან ბარისა, შენი თუ უშენი, ამაში რაც გამოსავალი და საბატონო ბეგარი იყოს მიწისა, საქონლისა თუ კაცისა, ყოველისფრისაგან განწესებულს აიღებდეს. ამისგან ორს წილს უფროსი დახარჯედეს და თითონ წილს სხვა ძმათა შვილებს მისცემდეს. რაც საერთოს მამულიდამ შემოსავალი იყოს, უფროსი მართებულად და რიგიან მოიკითხავდეს, სახლისკაცებს თავთ-ვის წილს ნუ დაკლებს, როგორც ძველადგან გარიგებული ქონიათ, ყველას აგრევე მისცემდეს. სათემო ხოდაბუნებს უფროსი მოახვედრებდეს, აგრეთვე საერთოს ზერებს: შეამუშავებინებდეს და რაც ამის მოსავალი მოვიდოდეს, ესეც უნდა გაყოფოდეს და სახლისკაცებს წილს მისცემდეს. რადგან უფროსი ერთს წილს მეტს აიღებს, სახლისკაცების ღვინსა და ჭირში გაირჯებოდეს და ყო-

¹ ქუშენ გესავ ნებრძოლი გ. ამირინდო.

² სათაურის მაგიერ ასეთი მინაწერი აქვს: ესეც ერთმანეთის სახლისკაცობის წიგნისა მოცემულ[ობა?].

³ წერია: საძლენონი.

⁴ წერია: მოხარკეობანი.

ველს ბედნიერ დღეს მასპინძლობას გარდისდიდეს. რაც საერთოს მამულის მოხელობა იყოს, ისიც ხუთათ გაიყონ. მსახურ-აზნაურშვილი ვის როგორ ზღვებოდეს, ისევ ძველის წესითა და მამა-ბიძათ რიგით იახლონ, ერთმანერთს ხურავინ შეეცეცილება, ყველას თავთავისი დანებდეს. გლეხი საცა ძველთაგან სახლებულა, იქვე დასახლდეს. საერთო გლეხი უფროსმან მოიკითხოს, ვისაც ესახლოს, ისევ აყაროს, თავის სამკვიდროზე დასახლოს. გარევე რომელსაც სახლისკაცს საუფლისწულო სოფლის გლეხი ესახლოს, ისევ თავის ბატონს დანებოს. ერთმანეთს საუფლისწულო გლეხს ნუ შეეცეცილებიან, თავთავის გლეხს დასჯერდნენ. რომელმაც საერთო გლეხმა ანუ საუფლისწულოსამა საცა მოხნას, იმ მიწისა და სოფლის ბატონს მისცემდეს. სამეხრეოები ვითაც ძველთაგან ყოველს ორბელისშვილს ქონიათ, თავთავისთვის სჭერიათ, ისევ დაიჭირონ და თუ მეხრე აკლდეს ვისმე, უფროსმა გაუტიგოს. ვინც სამეხრეოს მიწაში მოხნას, დოლა სამეხრეოს ბატონს მისცეს, საწილიდ ნუ ჩადგებენ. რაც საერთოს მამულში ციხე იყოს, უფროსის ხელდებული იყოს. თუ რამ შემოსავალი შემოვა რაჟამ ციხეებიდან, ისიც საძმო იქნება და უფროსი იმის წილს ვერ დაკლებს. მაგრამ, რადგან უფროსი სახლის ბატონი არის, ციხეები უფროს უნდა ებაროს. სახლისკაცნი უფროსის მორჩილებითა და სიტყვით მამულის მოვლაზე, მტრისა და მოყვრის პასუხის მიცემაზე ბეჯითნი იყვნენ და წინააღმდეგ ნუ ექმნებიან. აგრევე უფროსი მამულსა და ოჯახის საქმეს სახლისკაცების შეკითხვით განაგებდეს. საუფლისწულო სოფლები ვის როგორ სჭერია მამა-პაპათ განწესებით, იმავ წესითა და რიგით ეჭიროსთ. საუფლისწულოში უფროსი ნურც ისაულს შეგზავნის და ნურც სამართალსა იქს.

დაიწერა მეფობისა ჩვენისასა მაისის ზ. ქორონიკონსა ულზ, კელითა კარისა ჩვენისა მდივანმწიგნობრის თუმანისშვილის გორჯასპისათა.

ადგილი ბეჭდისა

ადგილი ბეჭდისა

ჩვენ, მაღალთა მეფეთა შარავანდედი საქართველოს კათალიკოქს-პატრიარქი მეფის ძე ანტონი, ორბელიანთა სახლისა გარიგებასა მეფეთაგან ჩვენსა ვამტკიცებთ. ჩლმთ. კათალიკოზი ანტონი¹.

№ 12. 1749 წ. მაისის 11-ს. სახლისკაცობის რიგის წაგნი ორბელიანებისა, პირი, ვადაწერილი XIX საუკ. დასაწყისში მხედრული ხელით—სესსა, ფონდი 229. დავთარი 10, № 182.

ნებითა და შეწყვენითა ღვთისათა ესე ძმობისა და პირობის წიგნი მოგაროვით ჩვენ, ორბელიანთ სარდალმა რევაზ, დივანბეგმა იოვანემ, ვახტანგ, თვასგ-ჩიალასმა ზაალ და ერთობილად თქვენმა სახლისკაცებმა თქვენ, ჩვენს ძმას ეშიკლასბაშს-ელილას ბატონს დიმიტრის — ასე რომე ბატონის ბრძანებით და ჩვენის ნებაყოფლობით გამოგარჩიეთ ჩვენის სახლისა და მამულის უფროსათ და ბატონათ დაგადგინეთ. როგორათაც ჩვენის მამა-პაპათ დროს უფროს-უცროსობა ყოფილა, შენც ისე გვიუფროსო და ჩვენც ისე გიუმცროსოთ. ვითაც ოჯახში უფროსი გარჯილიყოს, შენც იმ რიგად მოგვიარო და ჩვენც² ამ წესით გიუმცროსოთ, რომ შენი მორჩილნი და სიტყვის გამგონნი ვიყვნეთ. რაც ოჯახისა და მამულის შემატებისა და მოვლისათვის დაგეპატიყო, უარი არ მოგახსე-

¹ მინაწერი: ასლთან თანასწორი არის, სოვეტნიკი დიმიტრი თარხანოვი. ასლი დოკუმენტი მივიღე თ. დიმიტრი ორბელიანოვი.

² წერია: ვინც.

ნი.თ და ჩვენი თავი გარჯისათვის არ დავზოგოთ. შენი უნებური და წინააღმდეგი მამულში არა ექნათ რა. რომელმაც მამულში უარშიობა დავიწყოთ, გლეხს უსამართლო და ძალა უყოთ, ან შენს უკითხავათ მამულში დავხარჯოთ რამე, ან რომელიც ბედნიერის მეფებისაგან ნაბოძებს განაჩენში გვიწერია, ვინც აქ ბძანებას გარდახდეს, ერთობით ნურც ჩვენ ვიყაბულებთ და ბატონსაც დავატექსინთო. რაც საორბელიშვილოს კაცი იყოს აზნაურშვილი, მსახური თუ გლეხი საერთოსი და საუფლისწულოსი, ყველა ავაყრევინოთ, დმანის ციხეში დაყენო, ყველამ ჩვენი კაცი იქიდამ ვიმსახუროთ. სანამდინ არეულობა იყოს, იქ იყვნენ და რომელმანც შევიძლოთ, დმანის ხევეში სიმაგრე ვავაყეთოთ, იმ ადგილის გლეხი გავიყვანოთ და იმ სიმაგრეში დავაყენოთ. რაც ჩვენგან შეიძლებოდეს, ძმობას და ერთობას ვეცადნეთ. მერმე ჩვენ სამთავ ძმის შვილებს რადგან საერთოდამ შემატებული სოფლები საუფლისწულოდ გვეჭირა, თქვენ ძმობაში თამაზ სარდლის შვილებს გაკლდათ, ამის სამუქეთო¹ საერთოდამ მანაკერტი დავიდევით და საუფლისწულო მოგეცით.

დაიწერა მაისის ია, ქ[ორონი]კონის ულზ.

ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა
ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა	ადგილი ბეჭდისა

№ 13. 1754 წ. თებერვლის 10-ს. ბრძანება თეიმურაზ II-ისა ამილახვრიანთდმი. დედანი. 17,8×15,9 სმ. დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 8590 Hd.

ქ. ჩვენი ბძანება არის, ამილახორის-შვილის რვეაზის პაპისათვის რომ თავისის სახლისკაცებისაგან საუფლისწულოთ სოფლები მიუციათ, მაშინ ხუთი თუმანი ამათის საერთოს ბაჟიდამ საუფლისწულოზე დაუდვიათ. ეს ხუთი თუმანი ბაჟიდამ უნდა მიეცემოდეს. ბატონის ოქმშიაც ეწერა და რვეაზ ამას ბაჟიდამ უნდა აიღებდეს თავის სახლისკაცებისაგან.

თებერვლის ი, ქ[ორონი]კონის უმბ

№ 14. 1754 წ. ივნისის 15-ს. განაჩენი ამილახვრიანთ მამულების თაობაზე. დედანი. 123×22 სმ. დაწერილი ორ ერთმანეთზე გადაკრულ თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობას ნიშნებად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი—საქ. მუზ., № 2532 Qd

ქ. ამილახორი ამირინდო და ამის ბიძაშვილები იესე, რვეაზ და თეიმურაზ თავის ბიძაშვილებს დემეტრესა და დათუას მამულზედ ელაპარაკებოდნენ, მლ[კ]თ[ი]ვ ცხებულს საქართველოს პატრონს მეფეს თეიმურაზთან და ძესა მისს კახთ მეფეს ერეკლესთან და საქართველოს პატრიარქს მეფეს ძის ახტოხისთაზ ჩივოდნენ. ამათი სამართალი² ჩვენ გვიბძანეს ციცის-შვილს სარდალს ალექსან-

¹ წერია: სამუქეთო.

² მინაწერი: ასლთან თანასწორ არის სოვეტნიკი თ. დიმიტრი თარხანოვი. ასლი დოკუმენტი მივიღე თ. დიმიტრი ორბელიანოვი.

³ უ[ფლისა] მიერ მეფედ ცხებული თეიმურაზის დამტკიცებული.

სახუთის ხურგზე სათაური, სხვა ხელით: ქ. ბაჟისა.

⁴ ჯერ დაუწერიათ: საჩივარი, მერე: სამართალი.

დრეს, აბაშიძეს პატას, სარდლის-შვილს ფარსადანს და ეფისკოპოსს სამთავ-
 ნელს ბენეტიტეს. ჩვენ დავსხედით და ამათი საჩივარი ვავშინჩეთ და ასე ვავა-
 რიგეთ.

ქალაქის სასახლეზედ ასე მოვარიგეთ: დიმიტრის მამის აშენებულს სახ-
 ლებს გარდა დარჩა ვეზირი რომ იდგა ის სახლები ძველი, გიორგის ამოტახი-
 ლის კედლის სწორათ კედელი უნდა გავლონ, რასაც ის კუთხე ვატანს წორეთ
 (sic), ამავე ვეზირის სახლს იქით ერთი სახლი, ბაკი და ძველი სახლები, ყვე-
 ლას ამილახორის-შვილებს დარჩა. ამაში დემეტრეს ხელი არ აქვს. იმას იქით
 ბაღი და ახალი აშენებული სახლები დემეტრესა დარჩა. სხვას ამილახორის-შვი-
 ლებს ამასთან ხელი არ აქვთ. ალაყაფის კარი საერთო არის. ამ ალაყაფის გარეო
 კართან სასახლე რომ აქვთ, რაც გიორგის და სალომუცეს უყიდნიათ, ის დემეტ-
 რესი და დათუასი არის. და ამ ნასყიდობას გარდა საჯინიბო რომ დგას, ის ალაგი
 საერთო არის. კალატოზი და ხურო მიყვანონ, იმათ დასაფასონ. როგორც იმათ
 დასაფასონ ნაშენობა, ერთი წილი დემეტრემ უნდა ჩაიგდოს და სამი წილი ამა-
 რინდო ამილახორმა თავის სახლისკაცებით, დემეტრეს ფასი უნდა მისცენ და სა-
 ჯინიბო საერთო იქნება. დიდვამს რომ ბანგუას ვენახი დაუხსნია, საერთოს გლე-
 ხისა არის. სანამდინ ცოცხალი იყოს, ის ვენახი ბანგუას უნდა ეჭიროს და მას
 უკან საერთოთ უნდა დაიდვას. რეხზედ ზილფიყარას-შვილი და მანიას-შვილი
 საერთო არის. მეჯერის-ხევს ჩორჩოტაძე თავისის მამულით დემეტრესი არის.
 კასპს ვენახი დემეტრეს დარჩა. კასპს ბაღი რევაზს დარჩა. ვენახი რომ აქვს რე-
 ვაზს, ის ვენახი საერთო არის. კასპს რომ იესეს ვენახი აქვს, ისიც საერთო არის.
 თეიმურაზს რომ ვენახი უჭირამს კასპს, ისც საერთო არის. კარბს რაც ტატის-
 შვილის იესეს მამული უჭირამს, საერთო არის. ტერის-შვილის მამული საერთო
 არის. წურიაშვილი ტარიელა კაცი დემეტრესი არის და მამული საერთო არის.
 სვიმონას-სოფელი, შაისულანი, ზევდულეთი დემეტრეს საუფლისწუ-
 ლო იყო და საერთოთ დაიდვა. ამილახორს ამირინდოს უწინ საუფლისწულოთ
 მახარაღაჯი, იმის მავგიერი ახრისი, ეს ორივე საერთოთ დაიდვა. რევაზს საუფლის-
 წულოთ ეჭირა ორჭაშენი, ავახანი, ვენახი ედვა კასპს, ესეუბი საერთოთ დაიდ-
 ვა. თეიმურაზს საუფლისწულოთ ეჭირა ბეშოეთი და ნუგუზარას სოფელი. ესე-
 ნიც საერთოთ დაიდვა. რევაზს რომ მჭითვათ მისცემია ყუთულას კონიაშვილე-
 ბი, საერთოთ დაიდვა. დალაბაძე კაცი რევაზისა არის და რაც იმას მამული უჭი-
 რამს, ის საერთო არის. ყულიას-შვილის მამული საერთო არის. ჯავახას-შვი-
 ლი კაცი დემეტრესი არის, იმას რომ ოთხი კვამლი კაცი უჭირამს, ის საერთო
 არის. რაც სახასო მამული ნასყიდი ჭონდეს, რაგვარათაც სხვის მონასყიდისა გ-
 რიგდეს, იმ გვარათ ამისი. გორს ალექსან-შვილი კუჭუას-შვილი თავისის მამ-
 ულით საერთო არის. ძევერას ასადურის მამული, ამისი ბიძა თავის მამულით,
 ქრისტესია თავის მამულით, იმერლის მამული, შიქელას კერძი თავისის მამუ-
 ლით, ერთი ახალშენი ბაგა, რაც საქაქბრამისშვილოს სახნავი მამული იყოს, ერ-
 თი საწისქვილო, სამი ქვეერი, ორი ხოდაბუნი, ეს მამულები და კაცები გივი-
 სა და იმის ძმების ნასყიდი არის. რაც ძევერას მოსახლე კაცნი არიან, ეს მამუ-
 ლები იმათ უნდა იბოვონ და საერთოთ უნდა დაიდვას. დემეტრეს რომ მჭითვის
 წიგნში უწერია ზედგენიძე, ამისი ყმა ნასყიდობაში არა სწერია, მამალაძის მამ-
 ული, ჯავახის მამული და ქუმისის-შვილი თავისის მამულით. ეს ზედგენიძე ამ
 სამის კვამლის² კაცი დემეტრესი არის. კარბს საბანაძის მამულს გარდა ან ლო-

¹ წერია: ყამა.

² წერია: კავამლი.

ლაძეს, ან საბანაძეს, ან ციმაკურიძეს საერთოს კაცისაგან მამული ეყიდნოთ, ეს კაცებიც და მამულიც დემეტრესი არის. თუ სამილახოროს სახასოს კაცისაგან მამული ეყიდნოთ, თუ ბატონი გამოუჩნდეს მიმყიდველი, თავისი მამული იპაჩ უნდა დაიხსნას. თუ არა და რაგვართაც სხვის მონასყიდის გარიგდეს, ისე ამათი გარიგდეს. ხარებას-შვილის ვენახი რომ უჭირამს ციმაკურიძეს ნასყიდობით, ისიც ამგვართა უნდა გარიგდეს. დიბას ნასყიდი მამული და ვენახი საერთო არის. კახიძეს თუ რამ საერთოს სახასოს კაცის ვენახი ეჭიროს, საერთოთ უნდა დაიდევას. ქვემო-სობის თათრის-შვილის წიგნი ნასყიდობისა მოიჯანოს ვისგანც ეყიდნოს, თუ ამ კაცს თვალთ უჩნდეს, ფასი იმანვე უნდა მისცეს. თუ ამოწყვეტილიყოს, როგორათაც ბატონის მეფის ვახტანგის განაჩენში ეწეროს, ისე უნდა გარიგდეს. რაც საერთოს მამულიდამ მისცემოდეს, ისევე საერთოთ უნდა დაიდევას. ეს თათრის-შვილი კაცი დემეტრესი არის. ბეყოეთს გიქაქური დემეტრესი არის და ამის მამული საერთო არის. ფხვენის გალავანი, ბატონისაგანაც ასე ბძანება იყო. ნახევარი დემეტრესი და დათუასი არის და ნახევარი სულ ყველა ამილახორის-შვილებსა არის. რადგან ბატონის ბრძანებაც ასე იყო, ჩვენც ასე გავარიგეთ იალღუშის-შვილებსა და ბედიანას-შვილებსა. ამილახორს ამირინდოსა და დემეტრესს ამათი წიგნები ქონდათ ძველათ ხელმწიფებისა წყალობისა, მაგრამ საერთოთ დაიდვა. ამათი თითო კაცი ერთი ამილახორს ამირინდოს უნდა ასლდეს და ერთი დემეტრესს. რასაც ყმისა და მამულის ბატონი არიან, სულ საერთოთ დაიდვა. ფხვენის კუპატაძე, ოდიკაძე კოჩივარდაშვილის მამულით დემეტრესი არის. თანდუას-შვილის რომ იესეს უჭირამს მამული, ნასყიდობით ფასი ისევ თანდუას-შვალმან უნდა მისცეს და ვენახი საერთო არის. თლენავი საერთო არის. ქავთარას-შვილს თუ რომ მამული ეყიდნოს სახასო, ვისაც მიეყიდნოს, თავის ბატონმა დაიხსნას და სახასოთ დაიდევას. და ეს ქავთარას-შვილი კაცი რევაზისა არის. პაპუნია მახარიტაშვილი, წიქუა ხაჭუტაშვილი, გულისადგებაშვილი თევდორა, ესენი თავიანთ მამულზედ უნდა მივიდნენ და საერთოსი არიან. პაპუნას-შვილი რუის არის, რაც იმან წილი გაიტანოს, ვისთანაც სახლისკაცათ არის, თითონაც და მამულით საერთო არის. ვარდიანიძე იესეს რომ ყავს, კარბს უნდა მივიდეს და საერთო არის. ცინცილაშვილი და ნონიაშვილი იესეს ყავს, ავნევი საერთო არის, თვის მამულზედ უნდა მივიდნენ. ქაიხოსროს რომ ღაზნელის ვენახი უჭირამს ნასყიდათ, ფასი ისევ ღაზნელმან უნდა მისცეს ქაიხოსროს და ვენახი ღაზნელს დარჩეს. ატენს მარჯანაძის ვენახი საერთო არის. ატენს ზვარი რაც გიორგი ამილახორს უყიდნია, ის დემეტრესი არის და იმას გარდა რაც ზვარი არის, საერთო არის. ბეშოეთს სამუკა საერთო არის თავისის მამულით. ზემო-სობის ტატულაშვილი საერთო არის. ძაგანაძე საერთო არის. თუმანიშვილი საერთო არის. ივანე სობის აწკარუნეს-შვილი საერთო არის. გრაკალს, ან დოეს, ან ქვახვრელს, რაც სამილახორო კაცი იყოს, ან ქართველი, ან სომეხი, ყველა უნდა აიყაროს და თავთავის მამულზედ მივიდნენ, რაც შაყულისხანს ყურას მამულში თეთრი მიეცეს, ის თეთრი ყურამ დათუას მისცეს და მამულიც საერთო იქნება. ასანიძის-შვილის მამული რომ უჭირამს პაპუნა შათირს მამულიც და ეს შათირიც თეიმურაზს დარჩა. თეიმურაზს რაც რეხზედ მამული უჭირამს, საერთო არის. იოსებას-შვილი ამირინდოს დარჩა. ზილიხან მოლოზანს რომ ნასყიდი მამული აქვს. ვისაც მიეყიდნოს, ისევ დაიხსნას და საერთო არის. ჩიტისკუთა ბლუ მამუქას-შვილი დათუას დარჩა უმამულოთ. ამირაძე ურუმის-შვილი თავის ნასყიდობით რევაზის არის. რენე დემეტრესი არის. კასპს რაც წმინდის თევდორეს ვენახი ამირინდო ამილახორს ეჭიროს, იქაურმა გლეხმა

თქვას, იმაზედ ამირინდომ ხელი უნდა აიღოს. სახასოს მამულში ნურცეთი ამილახორის-შვილი გუთანს ნუ ხნავს, ნიკოლოზს რომ ხუცის ვენახი უჭირამს, იმაში რაც ფასი ნიკოლოზს მიეცეს დასაბუთი უყოს, თეთრი უნდა მიეცეს და ვენახი საერთოთ უნდა დაიდვას. ჯოლბორდს რომ ხატის მამული უჭირამს, ისევ ხატისა არის და რაც სახასოს კაცისა ნასყიდი ქონდეს, როგორათაც სხვისა გარიგდეს ნასყიდობისა, ის[ე] ამისი გარიგდეს. ეს ჯოლბორდი რევაზისა არის. ფასკუნჯს რაც ხატის მამული ეჭიროს, ისევ ხატისა არის და კაცი თეიმურაზისა არის. ეკაშვილს მამული საერთო არის და კაცი თეიმურაზისა არის. გიოგაშვილებზედ ლაპარაკობდნენ და სამართლით დემეტრეს დარჩა თავის მამულით. და რაც სახასოს კაცის მამული ეჭიროს უნასყიდოთ, ის საერთოთ უნდა დაიდვას და რაც ნასყიდობით ეჭიროს, როგორც სხვის მონასყიდისა გარიგდეს, ისე ამის უნდა გარიგდეს. ამილახორს ამირინდოს რომ თუხარლისაგან¹ ვენახი უყიდა, ფასი თუხარელმა უნდა მისცეს და ვენახი თუხარელს დარჩეს. გიორგი ამილახორს რომ ქრისტეს საფლავისათვის და ერთაწმინდისთვის ქალაქის საერთო სასახლე შეუწირამს, იმის მაგიერი, რაც წილში ერგებოდეს, დემეტრემ უნდა ქალაქში მაგიერი სახლი მისცეს ამირინდოს და იმისი სახლისკაცებს. რომელსაც ამილახორის-შვილს აზნაურშვილის ყმა² ეჭიროს, ყველამ თავის პატრონებს დახეობს³.

თვითო ამ წიგნის პირი თვითოს ძმის შვილებს ამათ ყველას აქეს ოთხთავ ძმათა შვილებს.

დაიწერა მდივან-მწიგნობრის თუმანის-შვილის გორჯასპის ხელით, ქრისტეს აქათ ქ[ორონი]კ[ონ]ს ჩლნდ, თვესა მთიბათვისასა იე გასულს,

ქ[ორონი]კ[ონ]ს უმბ. ⁴, ⁵

ზემო აშიაზე სხვა ხელით:

ქ. ჩვენ, ლ[ექ]თივ აღმატებულმან და ლ[ექ]თივ ცხებით გვირგვინოსანმან საქართველოს და ყაზახ-ბორჩალოს[ს] მტკიცედ მპირავმან მეფეთ-მეფემ და თქივთ⁴ პელმწიფემ პატრონმან თეიმურაზ, [ისე]ვ ჩვენის ბძანებით გსაჩიგებულს გსანაჩენ[ს] ჩვენც ასრევ ვამტკიცებთ.

თ[იბათ]ვის კდ, ქ[ორონი]კ[ონ]ს უმბ. ⁶

№ 15. 1756 წ. იანვრის 12-ს. საამალახორთოში საუფლისწულოს გარიგების წიგნი. დედანი 43,3×15,5 სმ, დაწერილი თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით, განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია თითო წერტილი—საქ. მუხ, Hd 2141.

ქ. ჩვენ, ამილახორი ამირინდო და ჩვენი სახლისკაცები, სახლისკაცობაზე დაგლაპარაკდით და ბატონს არავის ერისთავს ჯიმშერს ვიახელით და ციცი-შვილი ფარსადანც გვერთს იახლა. საუფლისწულოს საქმეზე ვილაპარაკეთ და იმათის ბრძანებით და სიტყვით ასე გავრიგდით: მინბაშს რევაზსა და უზბაშს ნიკოლოზს დაეანებეთ საუფლისწულოთ ორჭოშანი და ავაზანი მისის მიწა-

¹ წერია: თუხარლისაგან.

² წერია: ყამ.

³ ამის შემდეგ განსხვავებული მელნით.

⁴ მონა ლ[ექ]თისა ალექსანდრე.

⁵ არ ირჩევა.

⁶ შუაში ასომთავრულით: თეიმურაზ; აშვიებზე არ ირჩევა.

წყლითა და სამძღვრითა და ყოვლის მისის სამართლიანის სამძღვრითა დაგვიბეგებია საუქუნოთ, რომ ამათი ფარდი ყველას სახლისკაცებს უჭირავს. თუ ვინ იცის ბოლოსაც იყოს და გაყრა მოგვიტდეს, ეს საუფლისწულოები არცერთი ბარათში აღარ უნდა ჩავარდეს. ავაშენებთ თუ წაავადნებთ, ერთმანეთის საუფლისწულოებთან კელი აღარ გვექნება. გაყრაზე ოთხისავე ძმის საუფლისწულო უნდა დაითვალოს და ამათი მავიერი საუფროსო და საჭინახულო სხვაგნிடამ უნდა აიღონ. თუ მამულის მემკვიდრე კაცი ვინმე მოვიდეს და დღეის იქით დასახლდეს, იმაზე საუფროსო და საჭინახულო აიღება და თუ ან ჯავახი, ან იმერელი, ან სხვა ქვეყნის კაცი მოვიდეს, მემკვიდრე კაცის მამულზე დასახლდეს, ის კაცი, ვისაც დაუსახლებია, უმამულოთ იმასვე უნდა მიეცეს და მამულზე საუფროსო და საჭინახულო სხვაგნიდამ აიღება იმის სამუქფოთ, აშენებულზედაც აიღება და ხარაბაზედაცა. ერთმანეთის რაზითა და ჯერებით ასრე გავშველდით და გავსწორდით.

მინბაშის რევაზის და ნიკოლაოზის საუფლისწულოში ლეკის შიშით კვსა არ არის. სანამ იმ ადგილს მიუდგებოდეს¹, მანამდისინ ჩვენს სახასოს რეკზე და გოხაზე და ჭათოლეში უპატრონოს კაცის მამული მოკნას, ბარას არა ვთხოვთ. და თუ ვინმე ამათი კაცი მოკნავს, ბარა უნდა მოგვეცეს. როცა თავის საუფლისწულოში კენა გაჩნდეს, იქ უნდა კნას, სახასოში კენა აღარ იქნება.

დაიწერა იანვრის იბ, ქორთონიქონს უმდ.

ავაზანზე რომ კასპური ვენაქი ედვა, ის ნავენაქები ისრეგ მინბაშ რევაზსა და ნიკოლაოზს დავენებთ.

მინბაში რომ ხუთას თუმანს გორის ბაყზე ლაპარაკობდა, იმაზე აღარ უნდა ილაპარაკოს, სიტყვა აღარა აქვს რა.

□² □³ □⁴ □⁵ □⁶

აშიაზე:

ქ. ჩვენ, მუხრანის-ბატონი სალთხუცესი კონსტანტინე ამის მოწამე ვართ

□

ქ. ჩვენ, არაგვის ერისთავსან ჯიმშერ, ამილახვარიანი⁸ ბატონის ბრძანებით გავარიგეთ და მოწმეც ვართ ამისი □⁹.

ქ. მე, ციცის-შვილი ფარსადან, ამისი მოწამე ვარ □¹⁰

№ 16. 1767 წ. ივნისის 25-ს. ბრძანების წიგნი, გაგზავნილი დავით ერისთავის მიერ მოსესა ლალაშვილისადმი, პირი, გადაწერილი XIX საუკ. დასაწყისის მხედრული ხელით—სცსსა, ფონდი 229, დავთარი 24, № 129.

¹ დედანში წერია: მიუდგებოდეს.

² მ[ო]ნა ლ[ვ]თისა ამილახვარი ამირინდო.

³ ასომთავრულით: დავით (?)

⁴ მ[ო]ნა ლ[ვ]თისა მილახვარისშვილი მოხრავე იესე.

⁵ არ ირჩევა.

⁶ არ ირჩევა.

⁷ აშიაზე: განმგედ (?) მიწოდა მეფენა სახლთხუცად მისმა სეფენა, შუაში: მუხრანბატონი კონსტანტინე.

⁸ დედანში წერია: ამილახვარიანი.

⁹ აშიაზე არ ირჩევა, შუაში ასომთავრულით: ჯიმშერ.

¹⁰ ფარსადან.

ერისთავი დაეით გიბრძანებ, მოსესა ლალაშვილო, მერმე ამ საბრალო შერ-
 მაზანას ამბავი ხომ კარგად იცი. კაცი არის და არც ჩვენი წყალობა მამული რაჲ
 აქვს თქვენში. ამას მანდაურს ჩვენს შემკვიდრე მამულის პატრონებთან¹ ბარას¹
 და სათხოვარს რად ადებთ. მერე დედის ჩემის სათავისთავო არის. არც სახლის-
 კაცს აქვს ხელი და არც სხვათა. დიამც (sic) სხვას ჩვენს სამსახურში გაუბრით.
 ულაყსა, ტიკს, ტომარასა, საბელსა და აქა-იქ გაგზავნას დაეხსენით, ხურც გ-
 რეთ² თუ ჩვენი ბატონ-ყმობა გინდათ, იცოდეთ. თიბათვის კა, ქოროხიქოხს

უნე

 ადგილი
 ბეჭდისა

№ 17. 1768 წ. სექტემბრის 1-ს. წყალობის წიგნი, მიცემული ერეკლე II-ის მიერ
 რევაზ ამილახვარისადმი. პირი გადაღებული XIX ს. ში—საქ. მუხ., Qd 3098.

ჩუქნი ბრძანება არის მერმე პირველიდგანვე ჩვენი სამკვიდრო სახასო სო-
 ფელი ტინისხიდი ჩვენის დიდათ ერთგულის ამილახვარის რევაზისათვის წყ-
 ლობა გვიქნია და გვიბოძებია სამკვიდროთ და საბოლოოდ ამისათვის და ამისას
 შვილებისათვის. მარტოდ ამილახვარს რევაზს და ამის შვილებს გარდა სხვას
 რომელსამე იმის სახლისკაცს საქმე არავისა აქვს ამ ტინისხიდის სოფელში.

აღიწერა სექტემბრის ა ქორონიქონის უნე.

 ბეჭედი მეფე
 იოაკიმისა
 მეორისა

№ 18. 1771 აპრილის 10-ს. ფიცის წიგნი, მიცემული დაეით, იესე და სხვა
 ერისთავების მიერ ბიძაშვილის ყულარაღასის გიორგის და მისი შვილებისადმი.
 დედანი, დაზიანებული: გვერდები შემოცრეცილი აქვს. 35,5×27 სმ. დაწერილი
 თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებზე ადგილ-ადგილ
 ნახშირია მძიმე ან წერტილი, იშვიათად ორწერტილი—აცსა. ფონდი 226. № 2857

ქ. ესე პირი და ფიცი მოგეცით ჩვენ, შენმა ბიძაშვილმა ბატონმა ერისთავმა
 დაეით და ძმამან ჩემმან იესე და ძემან ჩემმან შალვამ, როსტომ, ბიძინამ და
 ძმისწულმან ჩემმან შანშე და კიდევ ძემან ჩემმან მიხაილ, მირმანოზ და სოლო-
 მონ და კიდევ ძმისწულთა ჩემთა ელისბარ და იოვანემ, ჩვენს ბიძაშვილს, ყუ-
 ლარაღასს გიორგის და ძეთა შენთა რევაზს, ელისბარს, ზურაბს, ბესარიონს და
 ლუარსაბს და ყოველთა მომავალთა სახლისა თქვენისათა:—ასე რომე ურიგის
 კაცის ენითა და მოჩხუბარის კაცის სიტყვით ასე მოგვიხდა, რომ ერთმანეთს
 შეგესძლდით და მერმე დაშორებამ გაყრა მოგანდომებინა. და ბატონს გაყრა
 შეეხვეწე და მრავალჯერ თავი აწყინე და მე მრავალჯერ უარი გითხარ, მაგრამ
 შენ მაინც არ დაიშალე და რადგან აღარას გზით მოველო, მეც მოგყევ. სამს-
 ოთხს წელიწადს უკან რომ აღარ იქნა, მერმე გაყრა დაიწყეთ. ბატონმა და
 მოსამართლეებმა სამართლით საუფროსო და საჭირნახულო ამაგდადებულო-
 ბისა და უფროსის ძმის შვილობისათვის მე მიბოძეს და აგრევე შანშეს წილი-
 სასამი წილი და ერთი წილი შენ. და საუმცროსოთ შენ გიბოძეს ახალგორის სა-
 სახლე გარეშემო რაც გალავანი ავლია, იმ გალავანს შიგნით რაც რომ დაყვება,
 ბაღთა და შანშეს ნაშენის სახლებითა და მოედნით,—ესენი ბატონის ბძახებთ
 და განაჩენით საუმცროსოთ შენ გიბოძეს. ამაზედ რომ ელპარაკობდით და ვიყ-
 რებოდით, მოვიდნენ ჩვენნი აზნაურშვილნი და მსახურნი, [ვკვირჩიეს და დავა-

¹ წერია: ბარს

² წერია: გარეეთ.

ნახეთ ჩვენ, რომ ჩვენი ოჯახი იქცეოდა და ბოლოს ერთმანერთში ყათლანი მოგვივიდა—ასეთს რიგათ ვიყრებოდით. მას უკან ავსდევით და ერთმანერთს ლაპარაკი დაუწყეთ და ისევ ძმობა მოვახდინეთ. ჩვენ ბატონისაგან საუფროსო, საქირნახულო, შანშეს წილისა სამი წილი და სისხლი გვეძლეოდა. ახლა რახან ეს ძმობა შენც მოინდომე და მეც, ორთავეს ნებაყოფლობით ეს პირობა და მიღვია ჯერ ღმერთისათვის და მერმე შენთვის: რომ თუ შენმა შვილმა და ა. შვილის შვილმა გაყრა არ მოინდომეთ და რომელიც მე მამული და ყმა მიჭირავს იმათზე უსამართლოდ რბევა არ მოინდომეთ და ცილება და უბრალო მიზეზე? და რომელიც პირობა დაგვიცხ, ამაზედ არ გარდახვედით, რაც ამ წიგნით პირობა მომიცია, მე არ გარდავიდე და რომელიც ამ პირობას გარდვიდეს, გაყრალა მოინდომოს დაუსაბამოს ღმერთისა მამისა და ძისა და სულისა წმიდისაგან იყოს შეჩვენებული და წყეული. და მე, ჩემი ძმა, თუ ჩვენი შვილი და შვილის შვილი გარდვიდეთ ამ პირობას, ვეღარც სისხლი გთხოვთ და მამულისგანაც უწილად გავიდე. და თუ შენ, ან შენი შვილი და შვილის შვილი გახვიდეთ, სისხლიც მომცეთ და მამულისაგანაც უწილად გავიდე. და რომელიც ამ წიგნით თქვენთვის მამული და ყმა დაგვენებებია, იმასთან არც მე და არც ჩემს ძმას და ჩვენს შვილსა და შვილის შვილს სარბევლად საქმე გვექონდეს და არ დაგირბოთ და არ დაგვიპიროთ, რომელიც შენთვის დაგვენებებია საუფლისწულოთ ეს ქვემო ნაწერი აცხადებს: ლიახვი ფურცელადის საქელო რაც არის, ოსი და ქართველი გაღმა და გამოღმა ხადურის ედიშერის კარს გარდა იმ კლდის ზეითი თავს ქნოლომდის ფოტრისა რაც ჩვენი სახასო არის; გვიდისი, რაც ჩვენი სახასო არის, საყდრის ყმებს გარდა. დვალილა (?) სულ მთლივ. ვაკეში მარანა ახნაური და გლეხი სულ მთლივ... ქრცხინვალს გრიგოლა და პაპისა შვილები. ამათში რაც ამათი გამოსავალი ბეგარი, ან საჩუქარი, ან დაჭერა ან დანარბევი, ან საიასულო, ან რაც ფერი ყველა შენი იყოს, ჩვენ იქიდან არა მივიღოთ რა და არც კელი გვექონდეს, შენ დაგვენებდეს. ამას გარდა სათემოს გამოსავლის მესამედი, აგრევე სარუისა, აგრევე სახასოებისა ქიწნისისა და კარალეთის პურისა და კულუხის გამოსავლის მესამედი, აგრევე არცევისა კულუხის მესამედი, დუდეთის ზვარი რუს ზეითი, ღმერთმაქნ თუ ინებოს და ქვეყნის მშვიდობით ატენს ზვარი გაკეთდეს. იმ ზვორსა და უფლისციხის გამოსავლის მესამედი რაც ედვას ესენი ჩემის მოკელისაგან თქვენს მოკელს მიეცემოდეს. ამას გარდა სარბევლად და დასაჭერად საქმე არა გქონდეს რა და საქელმწიფო სამსახური რომელიც გვებძანოს და შენს კაცს შემოხვედეს, რაც ჩემს კაცს დაწერებოდეს იმის ტოლს კაცს, ისე შენს კაცს დაწერებოდეს ქართველსა რომელსაც ბატონის ბეგარი სძეს ქართველს, სადაც სახლობდეს.

დაიწერა პირობისა და ფიცის წიგნი ესე ჩემ, ტფილელის მიხაილის მიერ აზრილს ი, წელსა ჩლოა.

□ 4 □ 5

სხვადასხვა ხელით:

- 1 შემდეგ სამი სიტყვის ადგილია გამოტოვებული.
- 2 ამ სტრიქონს ზნოთ სხვა ხელით ჩამატებულია: სხო ვაჟუ.
- 3 შემდეგ ერთი სიტყვა წაშლილია.
- 4 მქონა ღვეთისა ვრისთავი დავით.
- 5 ასომთავრულით: იესე.

ქ. მე, ორბელიანი სარდალ-სალთხუცეს დავით, ამ შერთების თანამოწმე ვარ

□¹

ქ. ჩვენ, სარდალი ალექსანდრე ციციშვილი, ამისი მოწმე □²

ქ. მე, ციციშვილი მდივანბეგი ფარსადან, ამ შერიგების თანამოწამე ვარ

□³

ქ. მე, მთავარ ეპისკოპოსი ბესარიონ, ამ პირობისა და შერთების მოწამე ვარ

□⁴

ქ. მე, ქისიყის მოურავის შვილი მდივანბეგი ქაიხოსრო, ამისი თანამოწამე ვარ

□⁵

ქ. ჩვენ, მდივანბეგი იესე, ამისი მოწმე □⁶

ქ. ჩვენ მეფის ძე ლევან ამ შერთების თანამოწამენი ვართ □⁷

ქ. ჩვენ, ყოვლისა საქართველოჲსა პატრიარქი მეფის ძე ანტონი, ამ პირობისა და შერთების წიგნის მოწამე ვარ. კათალიკოზი⁸.

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი, ამ პირობის და შერთების წიგნის ჯერმჩინებელი ვართ □⁹

№ 19. 1760 წ. იენისის 26-ს. ციციშვილების სახლისკაგობის რიგი, გაჩენილი მოსათართლეთა მიერ. დედანი, 43×16,7 სმ. დაწერბილი თეთრ ქაღალდზე ხვედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნებად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტილი ან ორწერტილი—სცსსა, ფ. 226. № 874

ქ. ციციშვილის ბატონის სარდალ ქალაქის მოურავისა და ამის სახლისკაცების გარიგებაში დავსხედით მდივანბეგი თეიმურაზ, ყორიასაულბაში ხახა, მსაჯული იესე და მდივანი სულხან.

საუფლისწულო, როგორც განჩენში სწერია, ისე უნდა თავთავისი ეჭიროსთ.

დოესის თეთრი გოგიას აკლია, უნდა მისცეს ექვსი თუმანი და ნიკოლოზშაყ უნდა მისცეს ექვსი თუმანი. და როცა ეს თეთრი დავით მოურავს მიბარდეს. დოესი ციხით¹⁰ საერთო იქნება.

კლიმიაშვილის ბეთალმანი საერთოთ დაიდვა.

ის ციხე, ავკეთი ჭავახიშვილთან ათ თუმანახევრათ გირათ ყოდილა და ალექსანდრე სარდალს დაუხსნია. ეს თეთრი სამმოთ უნდა გამოიღონ და მოურავს მიერთვას. მაგრამ მოურავი ამას ბძანებდა: ამ თეთრის გულისათვის მამაჩემმა ერთი ოქროს ჯაჭვი და ერთი სიასამურის ტყავი დედის ჩემისა ჯიმეილს ექვსი თვის ვადით დაუგირავა, ორივე სამოცის თუმნისა იყო. ის ვადაზე გუდარდაიხსნა და ჯიმეილს დარჩაო და აღარ მოსცაო. ეს მათს უმალღესობას შოახსენონ და როგორც სამართალი ებძანოსთ, ამაზე ისე გარიგდნენ.

¹ ვინ დავითს ტომობს სქესობით სპასპეტ მყო სახლთხუცესობით.

² არ ირჩევა.

³ აშიაზე არ ირჩევა; შუაში ასომთავრულით: ფარსადან.

⁴ ასომთავრულით: ბესარიონ.

⁵ ქაიხოსრო.

⁶ მონა ღვთისა ამილახვრისშვილი მოურავი იესე.

⁷ მრჩობლთა მეფეთა ძესა ლეონ სახელად მძესა.

⁸ ხვეულად.

⁹ აშიაზე: მე ფეხთ განბანილთა მიერ ეკლესია ვადიდე; ასომთავრულით შუაში: ერეკლე.

¹⁰ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ წერია.

ციხიაზე რომ ლაპარაკობენ, მოურავი ამას ბძანებს: ორმოც თუმნათ ფარსადანმა და იმის სახლისკაცებმა ბატონიშვილს ელენეს დაუგირავესო. სახლისკაცები ეუბნებოდნენ: ფარსადანმა თავის საქმეზე დაუგირავაო, სახლისკაცებო არ ურევიანო და არც სასახლო საქმეზე დახარჯულიო. ამაზე მოურავს შემოდგომამდინ მულათი მივეციო. თუ თავისი სიტყვა სარწმუნოს მოწმით გააძართლა, ეს ვალი სამოთ უნდა გაიდონ და მამული საერთო იქნება. და თუ მოწმით არ გარდასწყდა, ერთი თავის საუფლისწულო კაცი გოგიამ წააყენოს, ერთი კაცი ივანემა და პატამ და ერთი კაცი ნიკოლოზმა და ასე შეაფიცონ, რომ ფარსადანს თავის თავისათვის აელოს და სახლისკაცები აღებაში არ ერივნენ. და თუ ასე ფიცით დაამტკიცონ მოურავი ნულარ ედავება.

დოელი ბერუა ხორბალაძე საერთოთ დაიდვა.

კავთელაშვილი და ელგანდაშვილი მოურავის გირათა როცა სამოთ დაინსნან, საერთოთ დაიდება.

წრომი საერთოთ დაიდვა.

ოთარის მკვლელი კემუხტაშვილი თავის შვილებით უმამულოთ¹ გოგიას მიეცა.

ბაეი მთისა და ბარისა და წყლის გამოსავალი როგორც უწინდელს განაჩეხში უწერიათ, ისე გაიყონ.

შეწერ-გაწერა, ყმის წახდენ-გაკეთება და ყმის გამოსავალი² როგორც განაჩეხში უწერიათ. სახლისკაცების შეკითხვით ისე უნდა იქნეს.

საუფლისწულოს სოფლების დღისა როგორც განაჩეხში უწერიათ, ისე აღასრულონ. გოგია თავის საუფლისწულოს მიწას რომ ვერ სწვდება, მანამდის³ მისწვდებოდეს, თხუთმეტის დღისა თავის საუფლისწულოდამ მოურავმა ათხოვოს, თხუთმეტის დღისა ივანემა და პატამ ათხოვოს და თხუთმეტის დღისა ნიკოლოზმა და ამილდაბარ ათხოვონ.

სახლისკაცობაზე უფროს-უმცროსულათ როგორც განაჩეხში უწერიათ, ისე მორჩილნი იყვნენ.

ტვლებიაშვილი მოურავის დახსნილია და იმის შვილი გოგიასია. ოსარო როცა გააკეთონ, ერთი კაცი მოურავისა დადგეს, ერთი კაცი გოგიასი, ერთი კაცი ივანესი და პატასი და ერთი კაცი კიკოლასი.

და თევზი როგორც რიგია, ისე გაიყონ.

სახასოდამ ივანესა და პატას ახლავს მსახურათ მიხანაშვილი და ხუციაშვილი. ნიკოლოზს და ამილდამბარს ახლავს სახასოდამ გოგიჩაშვილი. ახლაც უნდა მიეცეს სახასოდამ ერთი მსახური. გოგიასაც უნდა მიეცეს სახასოდამ ორი მსახური. კლიმაშვილი კაცია ნიკოლოზს და ამილდამბარს ახლავს, ერთი აზნაურაშვილი კიდევ აახლოს. კლიმაშვილი დათუა და ტერიშვილ იესე ივანესა და პატას ახლავს. გოგიას აზნაურიშვილი როგორც ხლებიან, ისეც ახლდნენ.

საუფლისწულოს კაცს სახლის უფროსი ნურასა სთხოვს და ნურც სამსახურს უბძანებს; ძველს განაჩეხშიაც ასე უწერიათ.

გუჯარეთსა და სკრაზე რომ ლაპარაკობენ, ამაზე მათს უმაღლესობას მოახსენონ და სამართალი რაც ებრძანოსთ, იმაზე დადგნენ.

¹ ეს სიტყვა სტრიქონს ზემოთ წერია.

² უქანასკნელი სამი სიტყვა სტრიქონს ზემოთ წერია.

³ წერია: მარამდინ.

მელენთხოციშვილი ზალ ივანესა და პატას ხლებოდა და ამათთან დაბერებულყო. სახლისკაცებმაც ნება დართვეს და ამათვე უნდა ახლდეს.

ხორბალაძე ბერს მოურავის ცხერის თეთრი ღრმ დაზღებია. ის იმ გლენმა კაცმა მოურავს უნდა მიართვას. და ამ კაცის გამოტანაზე აღქსანდრე სარდალი ბევრს გარჯილა და ორი ტივი დაუხარჯავს. ესეც საქმოდამ უნდა გარიგდეს და მოურავს თავისი მიერთვას.

აღიწერა ივანისის კზ, ქ[ორონიქ]ონის უაქ

□¹, □², □³, □⁴,

აშიაზე:

ქ. მე, ქალაქის მოურავს დავითს, ამ გარიგების ყაბული მაქ.

□⁵.

ქ. ჩვენ, ციციშვილებს: გიორგის, ივანეს, ნიკოლაოზს, პატას, ამილაბარს და ციცის, ამ გარიგების ყაბული გვაქეს.

□⁶, □⁷, პატა⁸

საბუთის თავში:

ქ. ჩვენ, მეფე ქართლისა და კახეთისა ირაკლი, ამ გარიგების განჩინებას ვანტყიცებთ. ივანისის ლ. ქ[ორონიქ]ონის უაქ □⁹.

№ 20. 1795 წ. ნოემბრის 8-ს. წყალობის წიგნი, მიკუმული ქაიხოსრო ამილახორის-შვილის და მისი შვილების გიორგის, ვახტანგის, ანირინდოს და იოანე მიერ თავიანთი სათავისთავო აზნაურის გლავა დავითიშვილისადნი. დედანი. 3ა X X 21,5 სმ. დაწერილი ლუარჯ ქალაღდზე (რომელიც დაკრულია თეთრ ქალაღდზე გამაგრების მიზნით) ძველრული ხელით. განკვეთილობა ნიშნებად ადგილ-ადგილ ნახსარია წერტილი. ძველთაჲდ ორ-წერტილი—საქ. ნუზ., № 2151 Hd.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღმრთისათა ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, ამილახორის-შვილმან ქაიხოსრომ და შვილმან ჩვენმან გიორგიმ, ვახტანგ, ანირინდომ და იოანემ შენ, ჩვენს ყმას სათავისთავოს აზნაურიშვილს დავითაშვილს. ისეს შვილს გლახას და მომავალსა შენსა; — ასე რომე აღამამდხან ქალაქზე რომ მოვიდა, მაშინ ჩვენზე ვითაც გმართებდა, ზომისაკვან ნაბეტურად ვრღ-გულობით და თავდადებით გაისარჯე და ბევრს რიგად გემსახურე და ბევრსაც გაისარჯე. ამის საპასუხოდ და სამუქფოდ ჩვენ წყალობა გიყავით. კურთხეულის ბიძის ჩვენის ამილახორის იასესაგან ჩამორთმეული ბიძინაშვილი ზურაბა თავისის ძმებითა¹⁰ და შვილებით და კიდევ ბიძინაშვილი ელიოზო თავისის ძმით და შვილებით—ესნი თავისის მამულით შენ[თ]ვის საკუთრად გვიბოძებია, რომ შენს მეტს ამათთან საბატონემოდ საქმე არავისა აქვს და არცა აქონდეს; გყვადნენ და გიბედნიეროს ღმრთ[თ]მან ჩვენს სამსახურსა და ერთგულებაზე. არ

¹ მონა ლეთისა მდივანბეგი თეიმურაზ.

² ქართულ-სპარსულად: ხაზა.

³ არ ირჩევა.

⁴ მონა ლ[თ]ისა სულხან.

⁵ ასომთავრულით; დავით.

⁶ დედოფლის ამაგი ვიყავ.

⁷ არ ირჩევა.

⁸ ხვეულად.

⁹ აშიაზე არ ირჩევა. შენსი ასომთავრულით: ეოკლე.

¹⁰ წერია: ძმებითა.

მოგვემალოს წყალობა ესე არა ჩვენგან და არცა შემდგომად ჩვენსა მოძაველთა-
გან.

ალიწერა ხელითა მისი სიმალის კარის მღვდლის ალექსიძის ალექსისათა.
ნოემბრის 8, ქორონიქონის უბე. ¹ ²

* № 21. 1796 წ. ივლისის 10-ს. არხა ბეჟან ამილახორიშვილისა ერეკლე II-ისად-
მი სასახლისკაცო დავია გამო. დედანი. 21×16 სმ, დაწერილი ლურჯ ქაღალდზე
მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ალაგ-ალაგ ნახმარია თითო წერტილი.
—საქ. ხუბ., ფ. Ad № 1387.

ქ. ლმერ]თმან ბედნიერის კელმწიფის ჭირი ამათს მიწამტვერს ამილახვ-
რიშვილს მინაშს ბეჟანს მომცეს—მერმე ამილახვარიშვილს დემეტრეს თქვენა
მუხანათობა რომ შეამჩნდა, იმისის წილის კაცებიდამ, ერთი კომლი კაცი, იჩქი-
თი, კურთხეულს რევანს ამილახვარს უბოძეთ და ერთი კომლი კაცი ეგაძე მე
მიბოძეთ. ეხლა ჩემი ძმისწულები გამეყარნენ და ეს³ თქვენგან წყალობა ეგაძე
საუფროსოთ აიღო. ჯერ სამილახვარო გაუყოფელი არის და ჩვენი წილი საუფ-
ლისწულო იმდენი არ არის, რომ საუფროსო აიღებოდეს. როდესაც სამილახვა-
რო გაიყოთ, თუ ერგება საუფლისწულო, მაშინ აიღოს. ამ წყალობას ვითხოვ,
რომ თქვენი წყალობა ეს ერთი კომლი არ გამომართვას. ამისი ერთი ოქმი მეზო-
ძის, ლმერ]თი გაგიმარჯვებთ.

ივლისისი, ქ[ორონიქონის] უბდ.

საბუთის თავში, მარცხნივ, სხვა ხელით მიწერილია:

ქ. ჩვენი ბძანება არის ნასახჩიბაშო ნაიბო გოგიაუ! მერმე ამ არზით ამილა-
ხვარისშვილი მინაშაში ბეჟან, ასე რომ ჩივის, ის ჩვენი წყალობა კაცი ამასვე უწ-
და მოაბარო და როდესაც სამილახვარო გაიწილება და გაიყოფენ, მაშინ თუ
ერ[გება], სეუფროსო რასაც სამართალი მისცემს, მაშინ აიყვანოს. ახლა საუფ-
როსოს ალება არ იქნება.

ივლისის 8, ქ[ორონიქონის] უბდ.

ჯერ კელი ამართე და ამას მოაბარე და მას უკან თუ სიტყვა ჰქონდეს მოკ-
ვანსენოს და თუ სამართალში შემოსაატანი [არა ჰქონდ]ეს-რა, ნულა ილაპარაკებ,

 ⁴

* № 22. 1796 წ. სექტემბრის 8-ს. ფიცის წიგნი, დადებული სამთავნელი ეპისკო-
პოსის გერვასის და ამილახვიანთ ახნაურების მიერ. დედანი. 34×22,5 სმ, დაწე-
რილი ორფერცილიან ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. საბუთის მეორე ფურ-
ცელი ერთ ადგილას ამოხეულია, სასვენ ნიშნებად ადგილ-ადგილ ნახმარია წერტი-
ლი—სცსა ფონდი 226, № 4473.

ქ. ჩვენ, ყოვლად სამღვდელმომ სამთავნელ ეპისკოპოსმან გერვასიმ, ქარუ-
მიძე კასპის მოურავმა იოანემ, ქართუმიძე ზაზამ ჩიკოიძე ქაიხოსრომ, ლიპარი-
ტის-შვილმან ბერმან, თუხარელმა მსხველოსის მოურავმა გიორგიმ, ზაალის-
შულმა იოანემ, ქარუმიძე ალექსანდრემ, ყანჩაელმან ბიძინამ და ზაალ, ქარუმიძე
ნაცვლის-შვილმან ნინიამ, ზაალის-შვილმა იოსებმ, გიორგაშვილმა ბოქაულთუხუ-
ცესმა უთრუთ, ჩიკოიძე ზაალმან, თუხარელმა რამაზამ, ალექსის-შვილმან ევთი-

¹ ქაიხოსრო.

² გიორგი.

³ წერია: ამ.

⁴ ქარის მიცემს დავით მიხობს ძედ კახეთის მეფედ ცხებულს, ერეკლე. საბუთის ზურგ-
ზე სხვა ხელით: ეგაძების წიგნი.

მიმ, გიოგაშვილმან პაატამ, ბასილაშვილმან შარმაზან, ზაალის-შვილმან ზურაბ, ტარშიაშვილმან ლუარსაბ, ავთანდილ ქარუმიძის შვილმან გლახამ, ალექსის-შვილმან ნინიამ, მურაჩაშვილმან ფირან, ქავთარაძე მამამთავარმან თამაზ, ვეცადენით, რომ ამილახორის ოთარის რიგზედ სახლისკაცების უმცროს-უფროსობა და შეერთება მომხდარიყო, მამა-პაპათ განწესებანზედ დამდგარიყვნენ და რომელიც ჩვენზედ და გლეხს კაცზედ რბევა, ჭრილობა, აკლება და ეკლესიის ყმის უსამართლო დებულება და დარბევაზედ კელი აელოთ და რიგიანი უმცროს-უფროსობა და სიყვარული მომხდარიყო. ეს ხომ არ დაიშალეს და ჩვენ ამაზედ მეტი ჩვენის თავის მოვლა ვერ შევიძელით. მივედით სამთავისს ყ[ოვლ]ად სამღუდელს სამთავნელი გერვასი წინ შვიმძლურათ და ამ ზემოხსენებულთ აზნაურშვილებმა და მღუთების ეკლესიაში მღუდელთმთავრის წინ მიძლოლით მეფის ირაკლის და იმისის შვილების უწინააღმდეგო საქმე ამილახორის ოთარის დროს დაეფიცეთ. ვიყვნეთ ერთი მეორის კაი მდგომნი და რომელიც უფლისწულებისაგან უსამართლოთ ცემა, ჭრილობა, აკლება და შვილების მოახლეთ წართმევა გვეჭირებია, ამაებს ნუღარ ვიყაბულებთ. თუ რომელიც ჩვენში ან ვაილახოს, ან დაიჭრას, ან დაირბეს, ერთიანათ ერთმანეთთან დავიმართნეთ. ბატონთანაც საჩივარი ერთი იყოს და ჩვენს ბატონს ამილახორთანაცა და ლაპარაკიც ერთი იყოს. და სადაც აზნაურშვილი სოფელში იდგეს და უფლისწულში იქ უსამართლო მოინდომოს, აზნაურშვილმან გლეხს კაცს უქომავოს და გლეხმა აზნაურშვილსა. და ერთი მეორეზედ ვინც შორს იდგეს, კიდევ [ე]რთი მეორე: მივეშველნეთ. ამ ჩვენის ფიცის წერილზედ რომელმაც პელი მოგვიწეროს, ხომ ჩვენთან იქნება და რომელმაც კელი არ მოგვიწეროს, ერთიანათ მიუხდეთ, დაგსწვთ და ავიკლოთ და ცარიელი კაცი ამილახორს მივართუთ. რომელიც ჩვენს მამა-პაპათ ამილახორისათჳს ერთგულად უმსახურნიათ და ოჯახის ერთგული ყოფილან, ჩვენც ისე მიუდგეთ და უერთგულოთ. და რომელმაც უფლისწულთან ყმაზედ და ამილახორზედ წინააღმდეგი საქმე ქნას და მოგვისიოს, უფლისწულზედ ისე მივესიენეთ. და რომელმაც უფლისწულზედ ამილახორის უბართოთ ვერც მსახური გამოიყვანონ, ვერც ურემი, ვერც ცხენი, ვერც ხარი გამოართოს, ვერც ღალა გაყოფს და რაც მამა-პაპათ დებულება არის ვერც სახასოს მოუმატოს და ვერც ეკლესიის ყმასა. რომელიც ამ წერილში დაგვწერია და პირობა და ფიცი დაგვც, ვინც ამას გარდახდეს, იყოს პირველად წყევულ ყ[ოვლ]ად წმიდისა სულისაგან ოთხის პატრიარხისაგან და ყოვლის საქართველომსა კათოლიკოს-პატრიარხისაგან და საქართველოს მღუდელთმთავართაგან და ყ[ოვლ]ად სამღუდელს სამთავნელ ეპისკოპოსის გერვასისაგან.

დაიწერა წერილი ესე და პირობა და ფიცი საეკლემბერს **გ**, წელსა ჩლევ: ქორონიქონის უბდ.

რომელმაც ამაში მოხსენებულმა კაცმა ამაში უმტყუნოს, ყველანი მას მიუხდეთ და დავსწვთ და ავიკლოთ. და ესეც, რომ რაც ეკლესიის ყმას არ სდებია, ვერც ისინი იმსახურონ. სეკდემბერს **გ**, ქორონიქონის უბდ.

ყ[ოვლ]ად სამღვდელს სამთავისისა, ქსნისა წინამძღუარი მღვიმისა გერვასი!


...სი სესია ამ წერილის ყაბული მაქქუს

¹ ხეველად.

² ან ირჩევა. ბეჭდის შემდეგ დასწულია 51 ჯვარ-ხელრთვა; ნაწილი კი ხელრთვისა მოხეტლია.

ქ. მე, მოურავი თუხარელი, ხელს ვაწერ მეც. ეს ჩემი ხელია +
მინაწერი პირველი გვერდის აშიაზე:

ქ. ჩვენ, ამილახორი ოთარ და ჩემი სახლისკაცები, რომელიც პელს მოწერა:
და რომელიც ურჩი იქნება, რომელზედაც თქვენ ვიფიცავსთ, ჩვენც ფიცად
თქვენი თანახმანი ვართ, რომ რომელიც თქვენზედ უსამართლობას იხმარებს და
უსამართლოთ ან თქვენ შეგაწუხებს, ან გლეხს კაცსა, ჩვენც თქვენთანა შეძქენი
იქნებით, რომელიც ბეჭედს დავსვამთ და ხელს მოვაწერთ



№ 23. 1797 წ. სექტემბრის 1-ს. წყალობის წიგნი, მიცემული ბარძიმ ამილახორის შვილის მიერ თევდორე და გიორგი კუბატაძეებისადმი. დედანი. 53×22,3 სმ, დაწერილი თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ადგილადგულ ნახშირია თითო წერტილი—საქ. მუხ., Hd 2273.

ქ. ნებითა და შეწევნითა ღვთისათა ჩვენ, ამილახორის-შვილმან ბარძიმძას, ესე წყალობის წიგნი და სიგელი შეგიწყალეთ და გიბოძეთ შენ. ჩვენს ერდგულს საუფლისწულოს¹ ყმასა და ყმის შვილს კუბატაძეს, კურთხეულის მამის-ჩვენის დახდილს თევდორეს და გიორგის და მომავალთა სახლისა თქვენისათა;—ასე რომე ეამთა ვითარებისაგან და ჩვენის მოუცლულობისაგან აქა-იქ სტხოვრებდით და თქვენ სამკვიდრო მამულზე არ იდევით. მოხვედით და გვეაჩენით თქვენის სამკვიდროს მამულისა და ადგილის ბოძებას და ბინის მოცემას. ჩვენც ეს დიდათ დავამადლეთ და ვაგიახლეთ წიგნითა ამით თქვენი მამაბაპის ძაძულ ფხვენის,—რისაც მქონებელი ყოფილხართ სასახლისა, წისქვილისა, მიწისა, სახნავისა და უხნავისა. ჭალისა და რიყისა. და ჩვენგან ზოგი მიწა და ზოგი საწისქვილო დაგირავებული და გასყიდულია. იმის სამუქფოდ ოდიკაძის ბეთალძაძე მიწები და რისაც მქონებელი ყოფილა, ისიც თქვენთვის გვიბოძებია. და რაც გირაოთ შენი მიწებია და წისქვილია, ღმერთიქმან შეგაძლებინოს, დაიხსნე. ღმერთიქმან მოგახმაროს ესენი, რომელიც ზემო დაიწერა. და ჩვენი სამსახური თქვენგან ასე უნდა იყოს: ერთი მსახური უნდა გვახსლოთ. სხვა. მზისა და წვიმის მეტი, ჩვენგან არა მოვადგება რა სამსახურის თხოვნა. როგორც შენნი ამხანაგნი აზნაურნი იმსახურებოდნენ, შენც ისე უნდა გვმსახურო. ამას გარდა ეს წყალობაც გვიბოძებია შენ, გიორგი კუბატაძისათვის.—ჩვენის ყმების საუფლისწულობების მოურაობა ფხვენის, თამარშენს, წორბის, რაც ამ სოფლებში მსახლობელნი გლეხნი ჩვენი ყმანი არიან, და ან რაც დასახლდება, და ან რაც საკომლოები გვაქვს ამ სოფლებში, შენთვის გვიბოძებია სამოურაოდ, როგორც საამილახოროში მოურავები მოურაობენ. შენც ისე ერთგულად უნდა შემოუთარო ამათ და ამათგან კომლზე ერთს კოკას ღვინოს, დღესასწაულს დღენს ძღვენს, სართვლოს ძღვენს, ერთს დღეს მკას, ერთს დღეს ბარვას იმსახურებდე: ქალი გათხოვდეს, საჩქემეს გამოართმევდე. ჩვენგანაც, ჩვენი შემოსავლიდამ, შენის სახელოდამ იქილამ ათისთავს აიღებდე. ამ ყმასა და მამულზე ბეჭითად უნდა მოიქცე, არავინ რა მოიბაროს, ჩვენგან ეს წყალობა გქონდეს და გიბედნიეროს

¹ შუაში ასომთავრულით: ოთარ; აშეებზე არ ირჩევა.

² არ ირჩევა.

³ გიორგი.

⁴ სტრიქონს ზემოთ იმავე ხელით.

ღმერთმა ჩვენს სამსახურსა და ერთგულობაში. არ მოგეშალოს არა ჩვენგან და არცა ჩვენთა შვილიშვილთაგან შენს შვილსა და შვილიშვილთა ზემოხსენებულნი ეს წყალობანი. დამამტკიცებელნი ამისნი იყავნ კურთხეულ, ხოლო, შლად პელმყოფელნი ამისნი იყავნ წყეულ და შეჩვენებულ მამისაგან საუკუნოსა!

ალიწერა ხელითა მისი სიმადლის კარის მღვდლის ალექსიძის ალექსისათა, თვესა სექტემბერსა ა, ქ[ორონი]ქ[ონს] უბე.

ამ ჩვენის საუფლისწულოს მოურაობის წყალობის წიგნი სხვათაცა აქვს მიცემული ჩვენგან, მაგრამ ამ წიგნით ისინი სულ გაგვიბათილებია. ვინც ამისი მოშლა ინებოს, ისიც შეიშლება თავისის სახისაგან, მასაც რისხავს ღმერთი და მისნი წმინდანი; მასამც ედების კეთრი გეზისა, შიშთვლი იუდასი, ზიარება დათან და აბირონისა. ხოლო დამამტკიცებელნი ამისნი იყავნ კურთხეულ მამისაგან საუკუნოსა, ამინ.

— 1

№ 24. 1803 წ. მარტის 13-ს. საუფლისწულოს გარიგების წიგნი საყაფლანიშვილოში. პირი, გადაწერილი XIX ს-ში მხედრული ხელით—სცსსა, ფონდი 229, დავთარი 2, № 116.

გიორგის-შვილის სახასო რაც შენათ არის:

ყალაშქიანი,

თავის ზემო ჯამბახჩა,

ტაშირის შავისაყდარი,

ორზმანი,

ტამალა,

ქვემო ოროზმანი,

ფარაჯუკი,

ხინძორთალა²,

შულავერი,

კატავეთი,

ყამიში³,

ბახჩალარი,

ოცი (sic) თალა,

დამბლუტი,

დარბაზთალა,

წნელაქარი,

ბერთაქარი,

ტაშირზე:

სულეიმანას სოფელი.

მოლყესუმი

ბაშის სოფელი,

სარუჩამა

ზემო ფარჩუხლუ.

1803 წელსა მარტის ცამეტს.

¹ ბარძიბ.

² წერია: ხინძორთალა.

³ წერია: ყმიში.

ჩვენ ორბელისძეთ ძმობით და მშვიდობით მორიგება მოვინდომეთ და ვნახეთ ეს დავთრები ოთხისავე სახლისა წილად ნარგები. რადგან ჩვენთა ძამა-პაპათა უმეტესად ეცოდინებოდათ ამ სოფლების თანასწორად შეფარდება, ასე შეუფარდებიათ და გაუყვიათ. ჩვენც, ოთხისავე სახლის შვილნი, ამ ოთხის ძმის დავთარს¹ ჩვენის ბეჭდით ასე ვბეჭდავთ და ვყავბულობთ.

თ[ავად]ი სარდარ-სალთხუცესი იოანე

ადგილი
ბეჭდისა

თავადი ვახტანგ ორბელიანი

ადგილი
ბეჭდისა

თავადი² ორბელიანი ეშვიკალბაში თამაზ

ადგილი
ბეჭდისა

№ 25. 1803 წ. მარტის 13-ს. საფულისწულოს გარიგების წიგნი საყაფლანიშვი-ლოში. პირი, გადაწერილი XIX ს-ში მხედრული ზელით, მოთავსებულია ყაფლანი-შვილების საბუთთა პირების კრებულში—საქ. მუხ., II 2511/20.

ქ. მდივანბეგის-შვილისა სახასო, რაც შენათ არის:

- ქ. შინდლარა,
- ქ. იაღღუზი,
- ქ. ქედის ეკლესია,
- ქ. ხარაბა მუსიყალა,
- ქ. ვართევანას სოფელი,
- ქ. დემურას სოფელი,
- ქ. ზემო საფიქლე,
- ქ. გოგარჩლე,
- ქ. ალუმბრუ,
- ქ. სუგეჩანი,
- ქ. ქერანდელი,
- ქ. ერგენტალა,
- ქ. კიპრუჭი,
- ქ. მიჩანბი,
- ქ. ლოშქი შუმბუნნი,
- ქ. ფალქიას-შვილის სოფელი,
- ქ. დევისკალო,
- ქ. ძველბანო,
- ქ. ყოშაქილისა,
- ქ. შიშტეფა,
- ქ. აკოფას სოფელი,
- ქ. ხანზადას სოფელი,
- ქ. თახლიბითმაზი,
- ქ. ხუცის სოფელი,

¹ წერია; დავითას.

² წერია თავადდი.

³ შინაწერი: ასლთან სწორ არს სოვეტნიკი თ. რატიევი.

⁴ წერია 1806 წ., რაც შეცდომაა. ასეთივე ხასიათის საბუთს ცენტრ. არქივში დაცულს თარიღად 1803 წ. აქვს.

- ქ. ყამიში,
- ქ. აზატქალაქი.
- ქ. ელისბარას სოფელი.

1803 წელსა, მარტის ცამეტს.

ჩვენ, ორბელისძეთ, ძმობით და მშვიდობით მორიგება მოვინდომეთ და ვნახეთ ეს დაეთრები ოთხისავე სახლისა წილად ნარგები. რადგან ჩვენთა მამა-ბაბათ უმეტესად ეცოდინებოდათ ამ სოფლებისა თანასწორედ შეფარდება, ასე შეუფარდებიათ და გაუყვიათ. ჩვენც, ოთხისავე სახლის შვილნი, ამ ოთხის ძმის დავთარს ჩვენის ბეჭდით ასე ვბეჭდავთ და ვცაბულობთ.

თავადი ორბელიანი სარდალ-სალონუცესი იოანე ბეჭედი

თავადი ორბელიანი ეშიკაზბაში (sic) თამაზ ბეჭედი

თავადი ორბელიანი ზაალ ბეჭედი

ლენერალ-მაჰორი დიმიტრი ორბელიანი,

ნებითა, ჩიქის ბიძაშვილის ლუარსაბითა ვაწერ, დიმიტრი ორბელიანი.

№ 26. 1811 წ. ივლისის 20-ს. „ოჯახის ერთობის“ წიგნი, მოკმეული უცნობი პირის მიერ თავისი ძმის ელიზბარისადმი. დედანი. 22,3 x 13,5 სმ. დაწერილი ლურჯ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობა ნიშნებად ალაგ-ალაგ ნაშბარია მძიმე, ან წერტილ-მძიმე—საქ. მუხ., 4363 Hd.

ჩყია წელთა, ივლისის კ დღესა.

ჩვენ ძმათა სიყვარულობისა და ოჯახის ერთობისა და მშვიდობით ცხოვრებისათვის ამა წერილსა ვდებ და შეკრულ ვყოფ თავსა ჩემსა შენ, ჩემს საყვარელს და სასურველს ძმას ელიზბართან, მე ქვემო კელის მომწერელი ამა სახითა და ამა კანონიერის სჯულდებითა, რომელი ქვემოთ დაიწერებთან:

ყოველსავე ჩვენის საკუთრის ყმისა და მამულისა და შემოსავლის გახწვების დავთრები შენთვის მომირთმევია და შენ გახლდეს მთისაცა და ბარისაცა და ოვსებისაცა.

ხენა და თესვა როგორც შენი ნება იყოს, სადაც გნებადდეს და რაერთიც გინდოდეს, ახგნევიანეთ, ჩემდა ცნობა არა საჭირო არს. ეგრეთვე ვენახის მუშაკობა როგორც შენი ნება იყოს, იმ სახით ამუშავეთ, არც ამისი ცნობა არის ჩემდა საჭირო. ჩვენს მოხელეთ აღებინებდეთ ჩვენს შემოსავალს და თქვენ ანგარიშს გამოართმევდეთ და მე თქვენ შემატყობინებდეთ. თუ ვინმე დაძმაშავეთ აღმოჩნდებოდეს, თავის დანაშაულის მგზავსად გარდახდებოდეს.

ყოველივე ჩვენნი მოხელენი ჩვენ ერთმანერთის სიტყვით და გამორჩევით დავადგინოთ და თუ მებრ თავის ღირსებისა და თანამდებობისა ჩვენს ერთგულად ვერ იქცეოდეს, ისევე ჩვენ ორთავე განზრახვით გარდავაყენოთ თვისისა შობელობისაგან. ყოველსავე ჩვენს შემოსავალს ანგარიშით შენ მოიკითხევდეთ და შემდგომად მოკითხვისა მე მაცნობებდეთ.

ყოველივე ჩვენის ყმისა გამოსაღები მთისა თუ ბარისას შენ გამოართმევდე ანგარიშებისმებრ განწესებისა და თუ რომელიმე დაცემული და შეუძლებელი იყოს, რომ ვერ ძალედვას ხარკის მიცემა, რომელიც დებულებათ აძევს, აღუსუბუქეთ ხარკი, რათა არა შეუძლებლობის გამო ივლტოდენ ჩვენგან. და ყოვლისა წლის შემოსავალი სიით გაკეთდეს და ჩვენს ოჯახს როგორც დასჭირდეთ, ისე მოხმარდეს ხოლმე¹.

¹ წერია: ხომე.

ჩვენს მამულში ბრძანებელი მე და შენს მეტი სხვა ნურავინ იქმნება. და როდესაც ჩვენი უმცროსი ძმა ლუარსაბ გადმოვა და ჩვენთან ცხოვრებას მოიგებს, ხოშ რასაკვირველია ისიც, როგორც უმცროსის ძმის თანამდებობა არის თვისის უფროსის ძმის მორჩილებასა, ისიც ჩვენი სიტყვისა და განწყობის შორჩილი იქნება. ჩვენი შვილები, რომელთაც სამსახური შეეძლოსთ ყმისა და მამულის მოვლა, ისინიც გაისარჩენენ, იმსახურონ იმ სახითა, როგორც ჩვენ დავარიგოთ და საქმე უჩვენოთ. ყმასა და მამულში ნურცავის აიკლებენ და ნურცავის დაიჭერენ და ნურცავის დაარბევენ. ყოველსავე, რასაც იქმოდენ ჩვენის შორჩილებით იქმოდენ, მე ვიყო მახლობელად, მე დამეკითხებოდენ და თუ შეხბძანდებოდეთ, ყოველსავე შენს სიტყვასა და ნების სამსახურს აღასრულებდებოდა მაგათის შენახვისა და რჩენის მოვალენიც ჩვენ ვართ. იმ სახით, როგორც ჩვენ შეგვეძლოს, იმ სახით დაგვეჯერდენ ჩვენს შენახვასა და თუ ჩვენის ყმისა და მამულის დროს ეპოით (sic), ერთად შევიყაროთ, ვარჩიოთ, შევიდეთ სამართალში და ჩვენს მოდავეს, რომელთაც ჩვენი ყმა და მამული უჭირავთ უსამართლოთ, იმათ ვედავენთ. და რაც დაიხარჯოს შემოსავლიდამ მიეცესთ. და თუ საოჯახო ვალი აღებული იყოს, რომ ჩვენის ყმისა და მამულის თაობაზედ დახარჯული იყოს, ის ვალიც შემოსავლიდამ გარდავიხადოთ.

და თუ ვისმე მამულს მივეცემდეთ და ანუ სახელოსა, როგორც უმცროსის რიგია ისე საბუქდავს მიირთმევდეთ. და ამიერთგან მოენეს ნუც შევიყვარებთ და ნურც ყურს მიუბყრობთ, უფროსად დაეტუქსოთ და მოენე კაცი ერთავე მოვიმოროთ.

ამ სიყვარულის განწყობებით ვიცხოვროთ ჩვენ, ურთერთარს საყვარელმა და სასურველმა ძმებმა.

№ 27. 1812 წ. აპრილის 6-ს. სახლისკაცობის გარიგების წიგნი, ერისთავებისა, პირი გადაწერილი XIX ს-ის დასაწყისში მხედრული ხელით—სცსსა, ფონდი 229, დეპთარი 42, № 301.

წელსა ჩყიბ, აპრილის 6 დღესა.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერთა, ჩვენის ოჯახის მშვიდობისათვის ჩვენ, სამთა ძმათა, თანხმობით დავსდევით ჩვენთა შორის ესე პირობა და კანონი¹ ჩვენის ყმისა და მამულის კეთილად მოვლისათვის და ჩვენის სიყვარულით² ცხოვრებისათვის.

პირველი. რადგან ამ ქამათ ჩვენის საერთო მამულიდამ შეფარდებით ავიღევით სამთა ძმათა საუფლისწულოთ რომელიმე სოფლები და გვაქვს იმათი ბარათები, ყველამ თავის საუფლისწულო თავისის ნებისაებრ უნდა მოვიხმაროთ ამ საუფლისწულოებს გარდა რაც საერთო მამული გვაქვს ქსანზედ, შეჯუღაზედ, გვერდისძირსა და ვაკეში ლიახზედ, მალლა დავლეთას (sic) თლე და ჩიფრანი აქეთი მხარე მყოფთ ოსთა ამათი, თუ ქართველთა, თუ ოსთა, რაც დებულება აქვსთ, ყველა გამოსავლის დავთრის თითო პირი თითო ძმასა გვაქვს. ამათი შემოსავალი რაც იქმნება, ჩვენმა³ მოხელეებმა უნდა მოგვეცენ ჩვენ ანგარიში. და ის შემოსავალი ჩვენ სამთა ძმათა უნდა გავიყოთ სჯულისამებრ მეფისა ვახტანგისა. და ამ შემოსავლის მიღებისათვის განვაწესეთ სამთა ძმათა თითო კაცი, რომ იმათ მიიღონ თავიანთის დამყენებელის წილხდომა და ჩვენ მოგვიტანოს.

¹ წერია: კანონი.

² წერია: სიყვარულის.

³ წერია: ჩუნმა.

მეორეთ. ჩვენის საერთოს მამულიდამ და ყმიდამ თავიანთის წილს გარდა ვერც ერთმა ვერა ვთხოვოთრა, ვერც დავხარჯოთ, და ვერცარა წავართოთ და ვერც შევავუხხოთ აზნაურნი და ანუ გლეხნი საკუთრათ. თუ საჭიროებამ მოითხოვოს, სამთა ძმათა თანხმობით ვსთხოვოთ, ანუ გამოვართოთ.

მესამე. ჩვენსა ყმებს რაც დებულეა აქვსთ ქრისტიანთაგან მეტს ნურას გამოვართმევთ და ოსების კარგათ დამორჩილებამდინ, როგორც შევიძლოთ, ასე გაგსტეხოთ დაჰქერიოთაცა, წართმევიოთაცა და აკლებითაცა, როგორადაც შევიძლოთ იმათი გატეხა. და ჩვენგან რომელსაც შეხედეს ჩვენ თავათ², კიდევ დავიპიროთ და კიდევ გარდავახდევინოთ და ვინც რაც გარდახდევინოს, სამთა ძმათა შორის სჯულსამებერ მეფის ვახტანგის, გავყოთ.

მეოთხე. ჩვენმა მოხელემა თუ თავიანთ განწესებაზედ მეტი ჩვენის შემოსავლიდამ დახარჯონ რამე. თავიანთ თავათ ჩვენ მალვით. იმათ გადავახდევინოთ თავიანთ მოცემულის ხელისწერილისამებრ.

მეხუთე. ოსების გატეხისათვის ჯარი მოგვინდეს, ანუ ხარჯი, რაც დაიხარჯოს, სამთა ძმათა საერთოს შემოსავლიდამ უნდა დაიხარჯოს. ეგრეთვე თუ სხვა რამ საოჯახოს საქმეზედ ხარჯი რამ დაგვკირდეს, ისიც საერთოდამ უნდა დაიხარჯოს.

მექექსე. და რომელიც საერთოდამ მამულეები გვიწინდა ანუ საერთოს მამულის შოვნაზედ დახარჯულა, ისიც საერთოს მამულიდამ უნდა მიეცეს მოვალეს.

მეშვიდე. რომელიც ჩვენს ბიძაშვილებს მამულეები აქვსთ ჩვენი მიძძლავრებული, იმაზედ რაც დაიხარჯოს და ან ლაბარაკი მოხდეს, ერთათ საქმით დავხარჯოთ და ერთათ ველაპარაკნეთ.

მერვე. რომელსაც ძმას რომელი აზნაური და მსახური ახლდესთ იმათ დაუშავონ რამე. ყველამ თავისთავად როგორც გვინდოდეს, ისე გარდავახდევინოთ, მეორე ძმებს უკითხავათ.

და ამ პირობის წიგნები დავსდეთ ეგ და დავსწერეთ ერთ პირათ და ყოველს ძმას თითო აქვსთ.

ჩვენის თანხმობით ხელს ვაწერ, თავადი რევაზ ერისთავი³.

თავადი რევაზ ერისთავი

ელიზბარ ერისთავი⁴.

¹ წერია: ჩვენც.

² წერია: თავთა.

³ უკანასკნელი ორი წინადადება მერვე მუხლის წინ არის მოთავსებული. შინაარსის მიხედვით მერვე მუხლის შემდეგ გადმოვიტანეთ.

⁴ შინაწერი: ასლთან თანასწორი არის სოფეტნივი რატიყვი. ამისი ნამდვილი შივილე თავადი დავით (გვარი არ ირჩევა).

დ. მებრეღაძე

მასალები XVIII ს. ოციანი წლების მართლ-კახეთის
ისტორიისათვის

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში, სხვათა შორის, დაცულია დოკუმენტების საინტერესო კოლექცია XVI-II საუკ. 20-იანი წლების ქართლ-კახეთის სოციალური და პოლიტიკური ისტორიისათვის. ეს არის კახეთის მეფის დავით II (იმამყულიხანის) 17 წერილი ქართლის მეფის ვახტანგ VI-სადმი (ჰუსეინყულიხანისადმი); კახეთის მეფის დავით მეორის ძმის—თეიმურაზის 3 წერილი და 1720 წ. დათარიღებული კახელ დარბაისელთა და ეპისკოპოსთა მიმართვა ისევ ვახტანგ VI-სადმი.

ეს კოლექცია 1923 წ. მიუღია საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოების ხელნაწერთა საცავს საზიო მუზეუმისაგან.

ზემოთ აღნიშნული წერილების შინაარსები გამოქვეყნებულია აკად. მ. ბროსეს მიერ ფრანგულ ენაზე: *Histoire de la Géorgie, II P. Additions XIV, St.—Petersbourg, 1857.*

ქართულად ეს დოკუმენტები პირველად ქვეყნდება.

კახეთის მეფე დავით II შაჰის კარზე დაიბადა და აღიზარდა. მისი მამამდიანური სახელი იმამყულიხანი იყო. მის მამას. ერეკლეს შაჰის კარზე დიდი სამხედრო თანამდებობა ეჭირა. დავითი შაჰის ერთგული და მისი ნება-სურვილის აღმსრულებელი იყო.

1703 წ. შაჰმა 22 წლის დავითს კახეთი უბოძა და საქართველოსაკენ გამოისტუმრა.

ამავე დროს შაჰმა ქართლში „ჩანიშინა“—მოადგილედ, სპარსეთში გაწვეული ქართლის მეფის გიორგის, ვახტანგ მუხრან-ბატონის ძმის ნაცვლად, ვახტანგ ლევანის ძე, გიორგის ძმისწული დანიშნა.

1703 წ. ვახტანგი და დავითი მცხეთაში შეხვედრიან ერთმანეთს და ურთიერთისათვის სიყვარული და ზავი აღუთქვამთ.

1712 წ. შაჰმა ვახტანგი ირანში გაიწვია, საიდანაც იგი 1719 წ. დაბრუნდა. ამჯერად ვახტანგი და დავითი საფურცლეს შეყრილან. როგორც დავითის წერილებიდან ჩანს, მიმოწერა ვახტანგსა და დავითს შორის საფურცელში შეხვედრის შემდეგ გაბმულა¹.

ჩვენ ხელთ მხოლოდ კახეთიდან გამოგზავნილი წერილები გვაქვს. არ ვიცნობთ ამ წერილებზე გაცემულ პასუხებს. მიუხედავად ამისა, მხოლოდ კახეთიდან გამოგზავნილი წერილებიდანაც ბევრი საინტერესო მასალის ამოკრეფა შეიძლება.

¹ დიმ. ბაქრაძე ფიქრობდა, რომ ამ წერილებს ვახტანგი ირანში ღებულობდა 1720—22 წწ. Заметки о Закатальском округе, გვ. 257.

წერილებიდან ირკვევა, რომ კახეთის მეფე ქართლის მეფეს „ლეკების“— დაღისტნელი თავდამსხმელების წინააღმდეგ ჯარით დახმარებას სთხოვდა.

XVII ს. მანძილზე მთიულმა დაღისტნელებმა შაჰ-აბასის ლაშქრობების შედეგად დაცარიელებულ ქართულ მიწა-წყალზე იწყეს ჩამოსახლება. დროთა განმავლობაში დაღისტნელი ტომთა ბელადები და ფეოდალური ზედა ფეხაოს-მალეთის აგრესიის იარაღად იქცნენ ამიერკავკასიაში. მათმა თავდასხმებმა კახეთზე სისტემატური ხასიათი მიიღო. XVIII ს. 20-იანი წლებისათვის მათ მარტო კახეთი ვეღარ უმკლავდებოდა. ამიტომ მიმართავდა კახეთის მეფე დახმარებისათვის ქართლის მეფეს.

ქართლს „ლეკები“ პირველად 1717 წ. ეწვივნენ. მართალია, ქართლებმა მათი თავდასხმა მოიგერიეს, მაგრამ ვახტანგ VI კარგად ხედავდა, რომ თუ „ლეკები“ დღეს კახეთის მეფის სამფლობელოებს ძარცვავდნენ, ხვალ ისინი ქართლსაც შემოადგებოდნენ. ამიტომ მათ წინააღმდეგ კახეთთან კავშირის შეკვრა ვახტანგისათვისაც მისაღები იყო.

წერილებიდან ირკვევა, რომ ვახტანგს თავისი ჯარები მართლაც გაუგზავნია კახეთში, რაც ნარატული წყაროების მონათხრობს ადასტურებს¹.

როდესაც ვახტანგ VI ირანიდან საქართველოში ბრუნდებოდა, მას შაჰისაგან დაეაღებული ჰქონდა მოეგვარებინა „ლეკების“ საკითხი, რადგანაც ისინი არა მარტო კახეთს, არამედ შაჰის სხვა სამფლობელოებსაც არბევდნენ ამიერკავკასიაში. ვახტანგ VI ირანის შაჰის მოხელე იყო, ამდენად მოვალეც, შაჰის ქვეყნები გარეშე მტრისაგან დაეცვა.

ქართულ ნარატულ წყაროებში შემონახულია ცნობა იმის შესახებ, რომ ვახტანგ VI ირანის შაჰის ბრძანებით „ლეკებზე“ სალაშქროდ წასულა კახეთის მეფესთან ერთად, მაგრამ შაჰს მისი ლაშქრობა ბრძანებითვე მოუშლია. „ლეკებზე“ ამ ლაშქრობის ამბავს ვახუშტი ბატონიშვილი და სეხნია ჩხეიძე სხვადასხვაგვარად მოგვითხრობენ.

ვახუშტის ცნობით, ვახტანგ VI ჭარზე სალაშქროდ გაემართა მას შემდეგ, რაც შირვანის ბეგლარბეგის ლაშქრობა მარცხით დამთავრდა. ვახტანგი ქართლის ლაშქრით მდლაროს დამდგარა: „მაშინ მოვიდა ყენიდან ბეჟან თოქალთოიანი, რათა უკუნ იქცეს მეფე მათგან“², რის შემდეგაც ვახტანგი უკან გაბრუნებულია.

სეხნია ჩხეიძის გადმოცემით კი, მდლაროს მდგომ ვახტანგს მოუვიდა: „...ბრძანება ყენისაგან და ხალათი, დაბრუნება და შირვანის ხანისაგან ლეკზე ლაშქრობა“³.

ვახუშტის გადმოცემით, შირვანის ბეგლარბეგს თავს დაესხნენ ჭარელები შაქს და მოკლეს⁴. ფეიქრობთ, ვახუშტი გულისხმობს შირვანის ბეგლარბეგ ჰუსეინალიხანს, რომელიც მართლაც შაქში მოკლეს ჭარელებმა⁵.

¹ ვახუშტის გადმოცემით, საფურცელში ორი მეფის შეჩვედრის შემდეგ, ვახტანგს ჯარი გაუგზავნია კახეთში ერასტი ყაფლანიშვილის სარდლობით. ამ ჯარს კახეთში სამი (თუ ოთხი) თვე დაუყვია. გვ. 81, 136. ქორონიკონებში ამ ამბის თარიღად ვახუშტი 1720 წ. იძლევა. გვ. 253. აქ გადმოცემული ამბავი არ უნდა ავრიოთ მეორე მომენტთან, როდესაც თვით ვახტანგი დიდი ჯარით გავიდა კახეთს და დადგა მდლაროს.

² ვახუშტი, გვ. 81.

³ სეხნია ჩხეიძე, გვ. 329.

⁴ ვახუშტი, გვ. 81, 136.

⁵ Хроника войн Джара, Баку, 1931, гв. 10, 54.

მეორეს მხრივ, არც სეხნია ჩხეიძის ის ცნობა უნდა იყოს მცდარი, სადაც იგი აღნიშნავს, რომ ვახტანგს ლაშქრობის მოწლა ებრძანა, შირვანის ხანს კი — ლაშქრობაო. შესაძლებელია, სეხნია აქ გულისხმობდეს „ეთმადოვლეს ძმის-შულის ქალბაღიხანის“ ლაშქრობას ქართველების წინააღმდეგ, რომელსაც შაჰმა, მართლაც, შირვანის ბეგლარბეგობა უბოძა. უნდა ვიფიქროთ, რომ ქალბაღიხანის ლაშქრობაც მარცხით დამთავრდა; იგი მოკლეს. დავით II ერთ-ერთი წერილიდან ჩანს, რომ ქალბაღიხანის ლაშქრობის შემდეგ „ლეკებზე“ სალაშქროდ შაჰმა „ეთმადოვლეს ძმა მამაღიხანი“ გამოგზავნა.

დავით II წერილებიდან ირკვევა, რომ როდესაც შირვანის ბეგლარბეგი (ე. ი. ქალბაღიხანი) წამოვიდა სალაშქროდ, ქართველი მეფეები — „ერთავ ვალები“ ყიზილბაშებს უნდა მიშველებოდნენ. ამ დროს ვახტანგის ჯარი კახეთში ჯერ არ იყო წასული, ამდენად სეხნია ჩხეიძის თხრობა ამ შემთხვევაში უფრო თანმიმდევრული ჩანს.

ქართულ ნარატულ წყაროებში არაფერია ნათქვამი იმის შესახებ, რომ შაჰ-ბრძანებით ლაშქრობა ორჯერ ჩაშალა.

მიუხედავად გაფრთხილებისა, ვახტანგს ჯარი არ დაუშლია. კახ და ქართლელ დარბაისელთა თათბირზე გადაწყვეტილა, რომ ვახტანგი სალაშქროდ მაინც წასულიყო. ამ დროს ვახტანგს შაჰისაგან მეორე ბრძანება მიუღია, რითაც შაჰი კვლავ უშლიდა „ლეკებზე“ ლაშქრობას. აქ უკვე ვახტანგს შაჰისათვის წინააღმდეგობა ვეღარ გაუწევია და უკანვე გაბრუნებულა. საფიქრებელია, სალაშქროდ მზადების პროცესში შაჰმა ვახტანგის შესახებ რაღაც ცნობა მიიღო.

სეხნია ჩხეიძის გადმოცემით, თითქოს ირანში ფიქრი მისცემოდათ: „თუ მეფემ ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყანასაც ის დაიჭერსო“¹.

საქმე ისაა, რომ ირანში ყოფნის დროს ვახტანგს საშუალება ჰქონდა ირანია მდგომარეობა შეეფასებინა, იგი ხედავდა, რომ ირანელთა ბატონობისაგან ტავისუფლების დრო დადგა. ვახტანგი ძლიერ მოკავშირეს ეძებდა.

სწორედ ამ ხანებში გამოდის პეტრე დიდის რუსეთი ამიერკავკასიის სარბიელზე. მისი მიზანი კასპისპირა მიწების ხელში ჩაგდება იყო. პეტრე დიდმა ასტრახანის გუბერნატორ ვოლინსკის საიდუმლოდ დაავალა სპარსეთის წინააღმდეგ ლაშქრობის მომზადება, ქართლის მეფის ვახტანგისა და ამიერკავკასიის სხვა ქრისტიანი ხალხების მიმხრობა. ვახტანგი რუსეთის დახმარებით ირან-ოსმალეთთან ურთიერთობის საკითხის გადაჭრას ფიქრობდა, ამიტომ მისი დაკავშირება რუსეთთან ხელსაყრელი ჩანდა.

ინგლისელი ჰანვეის ცნობით, შაჰს თავისმა დიდებულებმა ესე წარმოუდგინეს საქმე, რომ ვახტანგს „ლეკებზე“ გამარჯვების შემდეგ შეეძლო ირანისათვის ზიანი მოეტანა. თანაც მისთვის ადვილი იქნებოდა რუსეთიდან დახმარების მიღება, რის გამოც დიდებულებმა შაჰს ვახტანგის ლაშქრობა მოაშლევინეს².

¹ სეხნია ჩხეიძე, გვ. 329. სეხნიას ამ გადმოცემას სარწმუნოს ხდის შაჰის ნაკმედება, როდესაც უკანასკნელმა დავით II სიკვდილის შემდეგ კახეთში კონსტანტინე (მამადაყულიხანი) დასვა და ქართლის დაჭერაც მას დაავალა. ჩანს, შაჰს სურდა ვახტანგისათვის დაესწრო და ქართლ-კახეთი თავისი ხელისუფლების ქვეშ გაეერთიანებინა.

² ვსარგებლობთ ისტორიის ინსტიტუტში დაცული თარგმანით, გვ. 203—204.

ვახტანგის რუსეთთან დაკავშირებამ, რომ სპარსეთი შეაშფოთა, ეს ირკვევა ვახტანგის წერილიდან პეტრე I-სადმი 1722 წ. 19 სექტემბრის თარიღით¹.

ამდენად სეხნია ჩხეიძისა და ჰანვეის ცნობები, შაჰის სიფრთხილის შესახებ, მართალი ჩანს.

ამ დროისათვის საქართველო „აღდგომისა და გამოხსნისათვის“ ემზადებოდა. როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს: „წამყვანი როლი ამ საქმეში ჭართლს ეკუთვნოდა“². ასეთ შემთხვევაში შაჰს მართლაც ექნებოდა ფიქრი, რომ ვახტანგს კახეთი არ დაეკავებინა და შაჰის ინტერესებისათვის პეტრე დიდის რუსეთი არ დაეპირისპირებინა.

კახეთის მეფის დავითის წერილებში აღნიშნულია „ლეკების“ მხარეზე გლეხების მასიურად გადასვლისა და მათი „გალეკების“ ფაქტი. აკად. ნ. ბერძენიშვილი განმარტავს, რომ: „კახელი გლეხები „ლეკობაში“ „უბატონობას“ ხელაღდენენ და ეს კი საბოლოოდ ყოველივე დაბრკოლებას სძლედა. კახელი გლეხი „გალეკებაში“ უბატონობას ექმბდა“³.

დავითის წერილებიდანვე ირკვევა, რომ „ლეკები“ ღამის გადიდებასა და აგრილებასთან ერთად, ე. ი. შემოდგომის დადგომასთან ერთად აძლიერებდნენ თავიანთ თავდასხმებს.

მთიელი დაღისტნელების ძირითადი მეურნეობა მესაქონლეობა იყო. როგორც კი ზაფხული მიიწურებოდა, „ლეკები“ ზაფხულის საძოვრებიდან—ილაღებიდან ზამთრის საძოვრებისაკენ—ყოშლალებისაკენ დაეშვებოდნენ. საზამთრო საძოვრები კახეთის ბარში მდებარეობდა. საზამთრო საძოვრებზე ჩამოდენილ ჯოგებს, უნდა ვიფიქროთ, თან მოჰყვებოდნენ მთიელი თავდამსხმელები, ამიტომ იყო, რომ შემოდგომის დადგომასთან ერთად „ლეკების“ მხრივ საშიშროებაც მატულობდა.

ქვემომოტანილი წერილებიდან ირკვევა, რომ დავითის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზი დავითის საქმეებს აგრძელებდა კახეთში. თეიმურაზიც ისევე, როგორც დავითი, ვახტანგს ჯარით დახმარებას სთხოვდა, როგორც კახეთის, ისე „განჯას და სხვას ყოილბაშის ალაგების“ დასაცავად. მაგრამ ვახტანგს ყოილბაშეების ქვეყნის დაცვა არაფრად აინტერესებდა, იგი პეტრე დიდთან ერთად სალაშქროდ ემზადებოდა.

დავითის გარდაცვალების შემდეგ შაჰმა კახეთი დავითის ძმას კოსტანტინეს (მამადყულიხანს) უბოძა. თუ კახეთის მეფე დავით II და ქართლის მეფე ვახტანგ VI „ლეკების“ წინააღმდეგ გაერთიანებული ძალებით გამოდიოდნენ, კოსტანტინემ „ლეკების“ მიმართ პოლიტიკა შეცვალა და ისინი ოსმალთა წინააღმდეგ საბრძოლველად შეიკავშირა. 1723 წ. მათი დახმარებით თბილისიც აიღო. ვახტანგ VI დიდი ამალით რუსეთს გადაიხვეწა. ქართლში „ოსმალთა“ დამყარდა, ხოლო კახეთი კოსტანტინეს მოკავშირე ლეკებმა დაიკირეს.

როგორც აღნიშნული იყო, ვახტანგ VI ირანის შაჰის მოხელე იყო და ვალდებულიც მის წინაშე ქვემომოტანილი წერილებიდან ირკვევა, რომ იგი ყოველთვის პირნათლად არ ასრულებდა თავის ვალდებულებებს შაჰის წინაშე.

¹ Броссе М., Переписка на иностранных языках грузинских царей с российскими государями, С.Петербург, 1861, гл. 141.

² ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. I. თბილისი, 1944, გვ. 173.

³ იქვე, გვ. 188.

დადგა თუ არა ხელსაყრელი მომენტი და ირანის მდგომარეობა შეირყა, ვახტანგმა რუსეთთან გააბა კავშირი.

საწინააღმდეგო სურათია კახეთში. კახეთის მეფე დავით II შაჰის ერთგული მოხელეა, შაჰის ბრძანებების პირნათლად აღმსრულებელი და „ქელჴწიფის ქვეყნების“ თავდადებული დამცველიც.

ამ ორი სხვადასხვა ორიენტაციის, სხვადასხვა მისწრაფებების შქონე მეფის ერთმანეთთან კეთილი ურთიერთობა ფორმალური იყო, ვინაიდან ორივე მეფე ერთი „პატრონის“—შაჰის ყმად ითვლებოდა. ფაქტიურად კი მათი მეგობრობა ამ შემთხვევაში მხოლოდ ქვეყნის საერთო მტრის—„ლეკების“ წინააღმდეგ გაერთიანებაში გამოიხატებოდა. საკმარისია, თვალი გადავავლოთ დავით II წერილებს, დავრწმუნდეთ, რომ ვახტანგი კახეთს მთელი შესაძლებლობით არ ეხმარებოდა. უნდა ვიფიქროთ, იგი ძალებს გადამწყვეტი ბრძოლებისათვის ზოგავდა.

* * *

ჩვენს მიერ გამოქვეყნებული წერილები ყველა უთარაილოა. თვით წერილების შინაარსის მიხედვით ვცადეთ თანმიმდევრობით დაგველაგებინა და დაგველაჩილებინა თითოეული მათგანი. ჩვენ მ. ბროსესაგან რამდენადმე განსხვავებული თარიღები მივიღეთ (იხ. საბუთების ლეგენდები). დოკუმენტების პუნქტუაცია ჩვენს მიერაა გაკეთებული. კვადრატულ ფრჩხილებში ვათავსებო გახსნილ ქარაგმებს. ისეთ შემთხვევებში, როდესაც მოსალოდნელი იყო სიტყვის დაქარაგმება და დედანში კი სიტყვა უქარაგმოდაა, დედანს უცვლელად ვტოვებთ. კუთხურ ფრჩხილებში ვათავსებთ საბუთის დამწერის მიერ გამოტოვებულ ასოებს, ხოლო მრგვალ ფრჩხილებში მოთავსებული გვაქვს დედნისეული დაზიანების აღდგენა.

საბუთების ლეგენდებში ჩვენ მოკლედ ვუთითებთ ფრანგულად გამოქვეყნების აღვილს Additions-ის მითითებით, სადაც იგულისხმება მ. ბროსეს *Histoire de la Géorgie, II P., Additions, XIV.*

მოკლე მითითება გვაქვს აგრეთვე ვახუშტი ბატონიშვილისა და სეხნია ჩხეიძის თხზულებებზე. ყველა მითითების შემთხვევაში ჩვენ ვსარგებლობთ დ. ჩუბინაშვილის მიერ სანკტპეტერბურგს 1854 წ. გამოცემული ქართლის ცხოვრებით.

მითითება АВПР ნიშნავს: Архив Внешней Политики России.

საბუთების დასათაურებაში ქართლისა და კახეთის მეფეების მაჰმადიანურ სახელებს ვხმარობთ ისე, როგორც ეს თვით წერილებშია ზოლმე. სხვა შემთხვევაში კი მათ ყოველთვის ქრისტიანული სახელებით ვიხსენიებთ.

„დამატებაში“ ვათავსებთ დავით II იმ წერილებს ვახტანგ VI-სადმი, რომლებიც შინაარსობლივად არ უკავშირდება სხვა წერილებს.

1. 1720 წ. დასაწყისი. იმამყულიხანის წერილი უსინყულიხანისადმი. დედანი, 50,5×31,5 სმ., დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნასმარია ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და თარიღი 1719—22 წწ. განოქვეყნებულია Additions-ში თარიღით—1716 წ. შემდეგ¹. გვ. 411—412.

ეს წერილი დაწერილი უნდა იყოს საფურცელში ორი მეფის შეხვედრის შემდეგ ახლო ხანებში, რაც ვახუშტის ქრონიკონით 1719 წ. დეკემბერში მოხდა (გვ. 253), ამიტომ ვვარაუდობთ, რომ წერილი 1720 წ. დასაწყისშია დაწერილი.

დედანი—Hd 1448.

უსინყულიხან

ქ. მაგათის ბედნიერისა და ბედნიერ ნივთ-ეტლ-ბურჯ-კამარათა ზედან დაბადებულ-აღზრდილისა, სახელოვანისა, ურიცხვად სახელ კეთილობით განთქმულისა, ღთისაგან სამართლად მრავალ წყალობა განმრავლებულისა და პატრივ საფარველ მინიჭებულისა, სატრფიალოდ გამოჩენილისა, სიკეთე შიუწდომელისა, ყოველთა ენა მოძრავთაგან დიდად საქებელისა და ყოველითურთ საქელმწიფოთა სიბრძნე, სწავლა, მეცნიერ(ო)ბა, სიმკნე, სიუხვე, სიმდაბლე, მოწყალე ყოფითა და საღმრთო-საერო ფილასოფოსობა უნაკლულოსა (sic) და ყოვლისა საქელმწიფოთა ქცეუითა აღმკულსა, იესეს ძირსა, დავითის ნორისა, სოლომონის ნაყოფსა, კულად სოლომონისებრ მსგავსადვე დასაბამსა სიბრძნისასა, ხოლო იოსებისებრ კეთილ შვენიერსა და პირველ ყოფილისა, მის კარვისა საწამებელისა ახლისა ბესელიელ კელოვნისა² უგონერესისა³ სიყრბე, სიკეთე, სიქველე, რიტორს სიტყუა კმა კეთილი განსრულისა, დიდისა კელმწიფისაგან ღირსად პატიოსნად გამოჩენილისა, ძმურებ და შვილურებ მიჩნეულისა და მის მიერვე კეთილ მხედველობით და ჯერჩინებით მალალსა ტახტსა ზედან მპრობელად მჯდომარესა და ღთისა განგებით მეფედ ცხებულსა, ტომისა დიდებულთა, მათ მეფეთასა და მათ მიერვე რტო ნორჩად აღმოცეხებულსა, გრალად რალა ვკადროთ კემწიფეთ ძესა და (ა)წთოთკელმწიფესა, საქართველოსა მპრობელ-მართებელ-⁴განმწესებელსა ძმასა ჩვენსა მეფესა ბატონს⁵ მეფე იმამყულიხან მოვასხენებთ: მარავალი (sic) მაგათის სიყრმითგანვე ღთისა განგებით ზეციერთა პატრივ დიდებათა მინიჭებულისა და ჩვენთვის დიდათ ზურგად და იმედად და ნუგეშინის მცემლად მონიჭებულისა, სანახავად სალერსოდ (sic) დიდად სანატრელისა, ყოვლის ქება დიდების წარმოთქმის ღირსისა და ჩვენ მიერვე დღითი დღე და წამ-წუთ საქებარ სადიდებლის თავის საკადრისი მოკითხვა, კარგად ყოფნის სუფევა, გონების თვალთ მარადის მხედველობის წადირება და ჰამოდ ყოფნის სიხარული მოგვიხსენებია⁶ ქმერმე, ჩვენი ებისკაპოზი ჰერემელი გრიგოლი⁷ გვიახლენია. სხვას ჩვენს სიტყუას ეს⁸ მოვასხენებთ, ამისათვის დაგვიბარებია; სხვა ერთი ეს მოვასხენოთ: ღ[მერ]თი მის წყალობას მოგცემსთ, როგორადაც ჩვენთვისცა, მათთვისც (sic) სასიამოვნო ეს იყოს, რომ ჩემი ძმა და ბატონი ჩემი რძალი მუდამ თქვენ გახლდენ და

¹ დაწერილი ყოფილა კელოვნისა, ზედმეტი ნ შემდეგ წაუშლიათ.

² დაწერილი ყოფილა მართებელსა. ბოლო -სა შემდეგ წაუშლიათ.

³ ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

⁴ ეს სიტყვა ჩამატებულია.

⁵ „სიტყუას ეს“ დაწერილია იმავე სტრიქონზე დაწებებულ პატარა ოთხკუთხ ქაღალდზე.

რადგან ღვთისმეტყველები ერთობა არის,—აგრეც იქნება. მაგრამ, რადგან ამთენი ზანია, რომ ბატონი ჩემი რძალი თქვენ გახლავსთ, მაგათის აქ წამოძახების დრო არის. ჩვენც ამდენს ხანს მაგათი უნახაობა მწვედ შეგვაწუხებს¹. ამ კვლად რუსხათი უბოძეთ, წამოძახდეს და როდისაც უბძანებთ კიდემ ღვთისმეტყველებით. ამის უარს ნუ ბძანებთ, რომ ამ კვლად მაგას რუსხათი არ უბოძოთ².

2. 1720 წ. დასაწყისი. იმამყულიხანის წერილი უსეინყულიხანისადმი. დედანი, 65,5×25 სმ., დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია სამ-საჩინო წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და თარიღი 1719—22 წწ. გამოქვეყნებულია Additions-ში 1721? —თარიღით, გვ. 424—25.

წერილში დავით II აღნიშნავს: „მანდ რომ გახლდითო“, რაც მის საფურცელში ყოფნას უნდა გულისხმობდეს. ამავე დროს წერილიდან ჩანს, რომ ვახტანგ VI ლაშქარი კახეთში ჯერ არ წასულა. ამიტომ წერილს, საფურცელში ორი მეფის შეხვედრის ახლო დროით—1720 წ., დასაწყისით ვათარიღებთ.

დედანი—Hd 1445.

ლ[მერ]თო
უსეინყულიხან

ქ. მაგათის მღვდლისაგან სამართლად ცნობილისა და დიდისა ზეშთა აღმატებულის კელმწიფისაგან მოწყალის თვალთ დანახულის და უხვად წყალობა ბოძებულის, სახელოვანის და ყოველს ქვეყანას კმა აღმატებით სახელ განფენილის და ყოველის პატიოსნობის მქონებელის თავის კარგად ყოფნის დიდად უზომოდ მონატრე მეფე იმამყულიხან მოვახსენებთ ჩვენსა დიდსა იმედსა და დიდად იმედად ღმერთის წყალობად ღმერთ-სახარულ-პატივ-საფარველად მოსალოდნელსა, ჩვენსა უანგარიზოდ კეთილ მყოფელად საგულგებელსა და ყოველის ფილასოფოსობით მოუკლებარსა. გრძლად რალა მოვახსენოთ მეფეს ბატონს³ მრავალი და აღურაცხელი მაგათის სიკეთით კმა გაწუხელსა და სწავლა მეცნიერობით აღსავსის და მღისის მოყვარის თავის საკადრისი მოკითხვა და მათ ნება-წადილზედ ბძანების ვაგონების სიხარული მოეხსენოსო. მერმე ეს მოვახსენოთ: მანდ რომ გახლდით, ხომ ქვემოთი ალაგების გაქირება დარბაისელთ ყველა თვითან მოვახსენესო და ჩვენსაც მ(ა)ნდ ყოფაში ორ-სამს ალაგს მოკლდომოდენ. რომ მოვედით, თქვენის ჯარის ჩამოსვლა კიზიყს შეუთვალეთ და ისომ (sic) ჯარმა დაიგვიანა, გონებოდათ აღარ მოვაო. ჩვენი ჯარი ზოგი იქ იყო და ზოგს კიდევ ვგზავნიდით, მაგრამ ეს პასუხი მიეცათ: „კახეთი სრულ სარათი არისო, ყველგან ჯარი უნდა იდგესო, მარტო კახეთის ჯარით ვერ ვავმაგრდებითო“. ამაში აყრილიყვენენ კიზიყი, სავაჩნაძრ და საენდრონიკიანო. აქ კარს

¹ დედანში წერია: შეგვაწუხებს.

² საბუთის verso-ზე დასმულია იმამყულიხანის ბეჭედი. 1712 წ. შამა ვახტანგი ირანში გაიწვია; ამის უწინ კახეთის მეფე და ვახტანგი დამოყვრებულან. ვახტანგს თავისი ასული თამარი დავითის უმცროსი ძმის თეიმურაზისათვის მიუთხოვებია (ვახუშტი, გვ. 77). ეტყობა მას შემდეგ, რაც ვახტანგსა და დავითს შორის უკმაყოფილება ჩამოვარდა, თამარი და თეიმურაზი ვახტანგის კარზე დარჩენილან. ამ წერილით კი დავით II თხოვს ვახტანგს, რომ მისი ძმა და რძალი კახეთში დაბრუნდნენ.

³ ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

მოგვადგენ. ცოლ-შვილი აქ დაყენეს (sic) და ჩვენც იქ წასვლას გვეპ-ტივებთან (sic) და თვითანც თავკ(ა)ც(ა)დ წასვლას აპირობენ და ჩვენგანაც წაუსვლელობა აღარ იქნება.—უნდა წავიდე და ამისას თქვენ რას ბძანებთ? აწე ეს მოვასხენოთ: მანდ ზოგი აყრილი კაცი ჩამოსულან და ახლავე ადრე ბატონმა იასაული დაყენოს. ეგენი აყაროს, მაგათმა იასაულმან წამოასხას და საგარეჯოს მოურავს მოაბაროს, რომ ეგენიც სხვ(ა)ს ჯიხიყელთან დაყენოთ, თვარემ, თუ ეგენი ახლავ არ ააყრევენით, სხვანიც ბევრი წამოვა: ქვეყნის დაცლა არა სჯობს! ბეჭითი კაცი დაყენეთ და გამოგზავნეთ და ერთიც ეს მოვასხენოთ: ბატონმა ყადაღით მრავალი ტყვია-წამალი უბძანოს, რომ აქ თელავს მოიტანონ, რომ ჯარისკაცმან თავიანთ ფასით იყიდონ. ტყვია წამალისაც ადრე გამოგზავნა ბძანონ და აყრილის კაცისაც ადრე აყრა სჯობს!

3. 1720 წ. კახელ დარბაისელთა და ეპისკოპოზთა მიმართე ვახტანგ VI-სადმი დედანი, 38,5×22,5 სმ., დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობა ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით. სადავ მოცემულია საბუთის შინაარსი. გამოქვეყნებულია Additiona-ში, გვ. 412—413.

დედანი—Hd 1433.

ვახტანგს

ქ. ნებითა ღთისათა ესე მტკიცე და პირუტყუეველი წიგნი და პირი მოგართვით, ჩვენ კახთ ეპისკოპოზ-დარბაისელთ: ალავერდელმან ნიქოლოზს, სხლითუხუცესმან სახვერელმან, რუსთველმან ნიქოლოზს, მოურავმან გარსეგან, ხარჭაშენელმან ფილიპემ, კერემელმან გრიგოლიმ.—თქუ(ე)ნ,—საქარველოს კელმწიფეს მეფეს¹. ასე ამა პირსა ზედან, კახმა ბატონმან ჩვენმან კელმწიფემან ჩვენი თავი გაახლოთ და ჩვენის პირით კახეთის მოშველება, ლაშქრობა და გამობძანება დაგაბატოჯათ და ჩვენს ვიახელით და ბატონის ჩვენის სიტყუა მოვასხენეთ და ჩვენც ბედნიერს მუხლს მოგვხვივენით და ჩვენის ქვეყნის მოშველებას შემოგვხვიწვინით. ღმერთმა² აღგამალლოსთ და თქუენი დღე ათასად აქციოს, წყალობის სიტყ(ვ)ები გვიბძანეთ და ქვეყნის მოშველების იმედი გვიბძანეთ, რადგან ჩვენის ბატონის მოსაკმარებლად და ქუეყნის მოსაშველებლად განობძანდებით, ჩვენ და ჩვენს ქვეყანას ამის უკეთესი დიდი ღქვითის წყალობა რა დამართებოდა. ღმერთმა² უმეტესი დიდება მოგანიჭოსთ და პატივი. აწე კემწიფეს ცოტა რამე სიტყუა მოხსენებოდა: თუ რამე კახეთში გაბძანდით, კახნი არც თქუენს ლაშქარს დაინდომენო და არც თქუენის დავლათის საქმეს მართლა გზას წაიყუანენო. ეს სიტყუ(ე)ბი ყუ(ე)ლა ჩვენთვის გებძანათ, ამისი პირობის დადება და წიგნის მორთმა გებძანათ: „ასეთი ფიცი და პირობა და წიგნი მომართვითო, ჩემი გული ასე გეჭყერებოდესო, ჩემი სამჯობინარო საქმეები ქნათო, კარგად მიბელადოთო და ჩემის დოვლათის გზა კარგად გზას წაიყუანოთო“. აწე ჩვენ ეპისკოპოზთ, დარბაისელთ ეს პირი და ფიცი მოგართვით: ჯერ ღქვითის გამობაში გავერივნეთ და ჩვენი სჯული დაგვეგდოს, ჩვე-

¹ საბუთის verso-ზე დასპულია იმამყულიხანის ბეჭედი.

² ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

ნის სარწმუნოებისაგან ურწმუნონი შევექმნილეყუნეთ, დიდის კემწიფის ორ-გულნი და შემცოდებელნიმც შევიქნებით, ჩვენის კემწიფის იმამყულიხანისამც შემცოდე და მკულელნი შევიქნებით, თუ რომე თქუენი გამობძანება და ლაშქრობა ჩვენს ქვეყანას გველირსა, რაც თქუენთან ყიზილბაშთ ჯარი, ან ხანები ვინმე ვიახლებიან, ან თქუენ და ან თქუენი ჯარი ჩვენს ქვეყანაში ვნახოთ, რაც რომე დავლათს უჯობდეს, თქუენის ჯარის სასარგებლო საქმე იყოს, ან თქუენთან მყოფს ყიზილბაშთ ჯარს უჯობდეს—ბატონმა ჩვენმაც ასე არა ქნას. ჩვენ სრულ კახთ დარბაისელთ, ეპისკოპოზთაც ეგ არ მოვინდომოთ, რაც გიჯობდესთ: ისე ბელადობა, ის მოვლა, ის ყარაულობა და სამსახური! და სიამოვნე, რომელიც თქუენი გამოსაყენებელი გარჯა ჩვენის კელით გამოვა, ყუ(ე)ლა ესები არა ვქნათ, როგორადაც ბატონის ჩვენის ერთგულობას გაუფთხილდეთ ისე თქუენს დავლათსაც არ გაუფთხილდეთ, წყენასაც ისე მოვერიდნეთ, სიამოვნესაც ისე ვეცადნეთ. ამაში რაც პირობაები მოგახსენეთ, არც ე(რ)თის სიმტყუნე არაში შევიჩინოთ. ამისად თავსმდებად მოგვიცია ჯერეთ დ[მერ]თი და ყოველნი მისნი წმინდანი; თუ რომე ეს პირობა ასე არ გავითავოთ, მეორეთ მოსვლას წინაშე ღთისა პასუხის მომცემი ჩვენ ვიყუნეთ თქუენი. არის ამისი მოწამე: წმინდის დავითის წინამძღვარი ონოფრე. ქ [ორონიქრონ]ს უმ.

ალავერდელი ნიკოლოზ,¹ მონა ღთისა სახვერელი, რუსთველი ნიკოლოზ,² ნი[ონა დვ[თისა] გ[არსევან]³
გრიგოლ², ფილიპე².

4. 1720 წ. იმამყულიხანის წერილი უსეინყულიხანისადმი. დედანი. 42×24 სმ. დაწერილია თეთო ქაღალდზე მხედრული ხელით. გახვევითილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია ორ-ორი წერტილი, ორიოდ შენთხვევაში სამიც. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მელნით მ. ბრასეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და თარიღი 1719—22 წწ. გამოქვეყნებულია Additions-ში 1721?—თარიღით. იქვე აღნიშნულია, რომ არ ჩანს, თუ ვახტანგის რომელი ექსედიციაა. გვ. 423.

რადგანაც წერილიდან ირკვევა, რომ ვახტანგ VI ჯარი უკვე კახეთში დგას, ხოლო ვახტანგი ქართლში დარჩენილა (ქარზე სალაშქროდ მზადების დროს თვით ვახტანგი მიდის კახეთში) ვფიქრობთ, ეს არის ერასტი ყაფლანიშვილის მეთაურობით 1720 წ. გაზაფხულზე კახეთში გაგზავნილი ლაშქარი (ვახუშტი, გვ. 81, 136, 253). ამდენად წერილსაც 1720 წ. ვათარიღებთ.
დედანი—Hd 1443.

უსეინ(ყ)ულიხანს

ქ. მეფეს ბატონს აქაური ამბავი ეს მოვახსენოთ: ჩვენ თქვენის ჯარის დასახედავად და მათის რიგიანად საქმის გასარჩევლად წამოვედით. ორშაბათს რომ კალაურში მოვედით, ჩვენმა ყარაულმა ამბავი მოიტანა: „ალაზანს ლეკის ჯარი გამოვიდაო“. ჩვენ თქვენის ჯარის თავს დასხმისა და მათს სიახლოვეს მოკლომის ფიქრი ვქენით. იმავე ღამეს თავადისშვილები ქვეითის მეთოფის ჯარით, მივაშველეთ სამშაბათს დილას იმათთან ჩაშველება გვინდოდა. ქარხანა რომ დააყვირეს, იმ დროს კიდევ სხვა ყარაული მოვიდა:—„ლეკის ჯარი რორზე მოვიდაო და რადგან იორზე მოვიდაო, ლაშქარს და მის გარეშემოს ალაგებს ველარ

¹ დაწერილი ყოფილა სამსახული, შემდეგ გაუსწორებიათ.

² ხვეულად.

³ ამ ბეჭედს მოსდევს ხელმოწერა ხვეულად. სახელი ვერ ამოვიკითხეთ. დ. მ.

ქ. მ.

მოხედვად, ზემოთ შესცილდნო“ და ვინცა ვინ ალაგის ბალადი (sic) თავადის-
შვილი გვახლავს, ყველამ ეს მოგვახსენა:—„ეს ჯარი ან საგარეჯოს, ან მარტ-
ყოფს და ან უჯარმას და უფრო საგარეჯოს მიუტღებოდ“. ჩვენ შევსხედით და სამ-
შაბათს საღამოს ოთხი საათი რომ დამისა და გასულიყო, გიორგიწმინდას მო-
ვედით. ჯარს აქ მოველით და ეგების მარტყოფს ან უჯარმას მოვიდეს, თქვენც
ბძანებლით ხოლმე: „ლეკის ჯარი რომ შუა ჩაივიდოთ, კარგი იქნებაო და პასუ-
ხიც კარგად გაეცემათო“. ახლა ესენი ნაპირის ალაგს სადაც მივლენ, შუა ჩამო-
ვარდნილი შეიქნებინან. თადბირი (sic) და რჩევა თქვენს უკეთ არავინ იცის და
რადგან ესენი თქვენზედ ასე ახლოს მოვლენ და ჩვენც პირაქათ ვართ, თუ ახლა
ესენი უპასუხოდ გაბრუნდენ, კულავ უფრო ძალიანს საქმეს გაბედვენ. ჩვენ
რომ აქათ წამოვედით, თქვენს ჯართან კაცი გავგზავნეთ,—ჩვენი აქ წამოსვლა
შევატყობინეთ და ჯერ არ შემოგყვრიან (sic), ზოგი ჩვენი ჯარიც იმათთან არის,
პირველ რომ ამ ლეკის ჯარის ამბავი მოგვივიდა, მაშინვე საგარეჯოს ნაცვალი
გაახლევით და ჯერ არ მოსულა. ახლა თქვენი ამბავი აქ საგარეჯოს გვიბძანეთ!

ქ.² ეს წიგნი ღამითვე დაიწერა. დღეს ოთხშაბათს დილას, აქ საგარეჯოს,
დიად, მოლოდინი გვექონდა. სადილობაც გარდვიდა, რომ არსად რა ამბავი გამო-
ჩნდა. ორმა რიგმა ყარაულმა ჯარის გამოსვლა უეჭველად მოგვახსენეს და ეს არ
ვიციტ წიგნამ დააბრუნა, თუ სადით წავიდენ, — არ ვიციტ. მოამბები (sic)
გავგზავნილია.

5. 1720 წ. იმამყულიხანის წერილი უსენყულიხანისადმი. დედანი, 26,5 × 23 სმ.,
დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი
სიტყვის შემდეგ ნახშირია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია
ფრანგული მინაწერი მეღვინე მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკ-
ლე შინაარსი და ვარაუდი, რომ შეიძლება ეს წერილი დაწერილი იყოს 1719 წ.
შემდეგ, გამოტყვევებულია Additions-ში 1721 წ. თარიღით, გვ. 424.

რადგანაც ამ წერილის შინაარსი № 4 (აქვე) წერილის შინაარსის გაგრძელებას
წარმოადგენს, ამ წერილსაც 1720 წ. ვათარიღებთ.
დედანი—Hd 1444.

უსენყულიხანს

ქ. მეფეს ბატონს ეს მოვახსენოთ: ჯარის ამბევები (sic) ხომ უწინვე მოგახსენ-
ნეთ სამ რიგად და ჯერ ამბავი არ მოგვსვლია. ეს ლეკის ჯარი დღეს ხუთშაბათს
დილას პატარძელს მოუტღენ. სოფელი უწინვე გამაგრებული გვექონდა, მეთო-
ფე მიგვეშველებინა და იმ ჩვენგან მიშველებულმა მეთოფემ არ შეუშვეს. ვერც
ტყვე, ვერც საქონელი ვერა წაიღეს რა. სოფლის ბოლოს სადგომები დაწვეს.
იმათ ბევრი კაცი მოუტყვდა. ჩვენგან მიშველებულის ჯარიდამ ორი კაცი მოუტყვ-
და (sic). სხვა ვერა ქნეს რა, ამრიგად გაბრუნდენ. ახლა ეს მოვახსენოთ: რადგან
ორსაც საქართველოს ბატონებს შუა ჩამოგვიცვივდენ, თქვენზედაც ასრე ახლოს
მოვიდენ და ჩვენზედაც, თუ ახლა ამათ ასე უტკომოდ გაუშვებთ, სხვას უარესს
საქმეს გაბედვენ. ჩვენი ჯარი სულ ამ ნაპირის ალაგის სოფლებში ალაგების გასა-
მაგრებლად დაფანტული გვყავს. იმათაც შემოვიყრიტ. ძალსა და ქომავს თქვენ-
განველიტ. ქალაქიდამ მომშველებელი ჯარი დღეს აქ ჩვენთან მოაწვეს და დრო-
იანად და ღქვითოტ. აღრე. მის დროს, ხვალ ამათი ომი კარგს დროს მოტღება. ბაზი-

¹ დასმულია იმამყულიხანის ბეჭედი.

² ეს აზბაცი დაწერილია recto-ს არშიაზე.

ერთუხუცესი ბეჟან გვიანდობა. წიგნის სუბუქობაზედ უკაცრავად ნუ ვიქნებით —საჩქაროდ დავაწერინეთ. ეს ჯარი ხომ წავიდა, წყნარ-წყნარა მიდის, ჩვენ მკარდამკარ ავყევით, თქვენს ჯარსაც შევეყრებით და თქვენი იმედიცა გვაქვს!

6. 1720 წ. იმამყულიხანის წერილი უსეინყულიხანისადმი. დედანი, 51,5×30,5 სმ., დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და თარიღი 1719—22 წწ. გამოქვეყნებულია Additions-ში 1720 წ. თარიღით. გვ. 417.

წერილიდან ჩანს, რომ ვახტანგის ჯარების გაგზავნიდან ერთი თვე არ გასულა, ხოლო ვახტანგი ქართლშია. ამიტომ ამ წერილსაც 1720 წ. ვათარილებთ.
დედანი - Hd 1437.

უსეინყულიხანს

ქ. მაგათის ყოვლად მეცნიერისა და საღვთო სახელმწიფო² ზნე-კეთილო-ბა მდიდრად გარმოზღუდვილისა და ჩვენთვის მრავალ-პატივ-საფარვლად და უანგარიშოდ კეთილის მყოფულად მოსალოდნელის, პატიოსნის თავის დღე ყოველ ქება-დიდების წარმომთქმელი და ხლებისა და მუსაიბობის მოწადე მეფე იმამყულიხან მოვასხენებ ჩვენსა დიდ ღმერთისწყალობად მოსალოდნელსა და ზურგ საიმედოვნოდ საგულგებელსა, ყოვლის დიდებით წარჩინებულსა და ქების უაღრესად სახელგანფენილსა, კეთილთა ძირთავან შესატყვის რტოდ სარწმუნოდ აღმოფურჩუნილსა (sic) ძმას, მეფეს ბატონს³ მრავალი და აურაცხელი. მაგათის ღმერთისაგან კეთილ-საფარველ-მინიჭებულისა და დიდისა და ზემთა აღწევნილის კემწიფისაგან უხვად წყალობა. გარდაამეტებულის თავის მოკითხვა, უვნებელად მათს ნება-წადილზე სუფევის წადიერება და მუდამ დაუღვენელად კეთილის ამბვის სმინების ნეტარება მოგვიხსენებია. მერმე ეს მოვასხენოთ: მაგათს ჯარს მაგათგან დაბარების ამბავი და წიგნი მოსვლიათ და აქადამ წამოსვლას აპირობენ. ქვეყნების ამბავი, მუდამი (sic) ბრძოლა და ლეკის დღე და დღე⁴ გაძალიება და ყოვლის კუთხის ქვეყნების რბევა და ძალის დატახება ხომ მრავალჯერ მოგვიხსენებია და ესეც ხომ მოვასხენეთ, რომ, თუ ამავ ზაფხულ თქვენისა და ჩემის გარჯით ქვეყნებს არ შევიანხავთ, ლეკნი უფრო ბევრს ავს იქმენ და ქვეყნებს დასუსტებენ (sic) მეთქი. ახლა რა ეს თქვენი ჯარი აქ მოვიდა, ვითაც კახეთის ჯარი მუდამ სარათებში დგანან და იბრძვიან, ახლა კიდევ უფრო ბევრი ჯარი ზოგი ამ თქვენს ჯართან და ზოგი სარათებში დავაყენეთ და ამ ჯარების იმედით ხიზანი ისევ თავიანთ ალაგებში მივიდენ და ქვეყნებს იმედი მიეცათ. ამ დროს სხვის ჯარის მოუსვლელად რომ ესენი აქადამ (sic) წამოვიდენ, ურიგო საქმე იქნება. ქვეყნებს საქმე გაუჭირდება, უიმედოთ ვაჭდებთან და ლეკნი რომ ამას შეიტყობენ, უფრო გაძალიანდებიან და ქვეყნებს რბევას მოუმატებენ. რადგან თქვენ ასე გვიბძანეთ და ჩვენც იმ პირობაზედ ვართ, რომ როდისაც ერთს რიგს ჯარს თავიანთი ყავლი გაუთავდებათო, მეორეს რიგს ჯარს

¹ საბუთის verso-ზე დასმულია იმამყულიხანის ბეჭედი.

² დაწერილი ყოფილა-სახეფ. შემდეგ დაუწერიათ სახელმწიფო.

³ ამ სიტყვის შემდეგ დატრეპებულია თავისუფალი ადგილი.

⁴ ეს სიტყვა ჩამატებულია.

გამოგზავნათ. მეორე რიგი ჯარი რომ მანდ მოვიდესო, მას უკან ეგ ჯარი წამოვიდესო, ახლაც ასე მოაჯდინეთ. ამათ წიგნი უბოძეთ, რომ მანამდინ სხვას ჯარს გამოგზავნიდეთ და აქ მოვიდოდეს, მანამდინ ესენი აქ იყვნენ, ქვეყანა ცარიელი არ დარჩეს. ჯერ ხომ ერთი თვე არ არის, რომ ესენი აქ არიან, არც არა მისჯირებიათ. სხვის ჯარის მოსვლამდინ ამათ² აქადამ (sic) ნუ დასძრავთ. ეს ჩათარი აღრე გამოაბრუნეთ, რომ თქვენმა წიგნმა ამ ჯარს აქვე მოუსწრას³.

7. 1720 წ. შემოდგომა. იმამყულიხანის წერილი უსეინყულიხანისადმი. დედანი, 54 × 36,5 სმ., დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და დათარიღების ვარაუდები: „1719 წ. შემდეგ 22-მდე და 1722 წ. აღრე. 1720(?) იენისი“. გამოქვეყნებულია Additions-ში 1720 წ. თარიღით. ბროსეს აზრით, საბუთში მოხსენებული მდივანბეგი არის ვრასტი ყაფლანიშვილი. გვ. 418—419. იგი შართლაც მდივანბეგად იყო 1703-4—1731 წწ. (გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1955, გვ. 147). ვახტანგის ჯარი კახეთში 1720 წ. გახაფუღზე წავიდა. ამ წერილში კი ლაბარაკია წყლების ადიდებაზე, ღამის გადიდებასა და აგრილებაზე ე. ი. შემოდგომის დადგომაზე. ვახუშტის ცნობით, ქართლის ლაშქარი კახეთში სამი თვე (გვ. 81) თუ ოთხი (გვ. 136) იდგა, ამდენად უნდა ვფიქროთ, რომ ეს წერილი 1720 წ. შემოდგომაზეა დაწერილი. დედანი—Hd 1438.

უსეინყულიხანს

ქ. მაგათის ღვთივ დიდებით დიდებულისა და კეთილ-თვისტომთა მათთა შესამსგავსად სახელ-სიკეთე-განმრავლებულის, სიბრძნე-მეცნიერებით აღვსილისა და ყოვლის საკემწიფოს ზნით პირად პირადად აღმკულის, ჩვენთვის მრავალ ღვთის წყალობად და კეთილის მყოფლად საგულეებელის, თავის ჟამითი ჟამად დაუცადებლად სიკეთით მხსენებელი და იმედოვნობით მგონებელი მეფე იმამყულიხან მოვახსენებ ჩვენს დიდად პატივ-საფარვლად საგულეებელსა და ძალ-ძლიერებად მოსალოდნელს, ღვთისაგან მისად მრავალ წყალობად მონიჭებულსა და კეთილის შესაძინელად მოვლინებულს ღვთისა მიერვე კეთილ საბარონოდ რჩეულსა და მალის კელმწიფისაგან წყალობა გარდამეტებულს. სიმკნით დავითიანს, სიღრმით სოლომონიანს ძმას, მეფეს ბატონს⁴ ნრავალი მაგათის პატიოსნისა და ყოველს ქვეყანს (cis) სახელოვნად ჩინებულის თავის შესაფერი მოკითხვა და ამოდ და მათს ნება წადილზე სუფევის წადიერება მოგვიხსენებია. მერმე, მაშინ რომ თქვენის ჯარის რიგ(ი)თ და რიგით აქ მოყენება გვიბძანეთ და მდივანბეგის⁵ ჯარი რომ წამოვიდა, მეორეს ჯარის გამოგზავნა (sic) მოგახსენეთ. გეძმანათ: „დიდი წყალი არისო, ლაშქარი არ გამოვაო და მის დროს გამოგზავნიითო“. აქამდიც ხომ მუდამ მტერობდენ, მაგრამ ახლა მწვედ ძალიანად მტერობა და ქვეყანას ცემა დაუწყეს. კიზიყს მოვიდენ, სოფლები დაწვეს, იალალიდამ ჩამობრუნდენ, ღამე გადიდდა და აგრილდა, ახლა ესენი ლაშქრობისაგან აღარ მოისვენებენ და თქვენც მოგეხსენებათ, კახეთი ყოველს შკრისაკენ საცემი არის. აჭაური ჯარი ერთს ალაგს ვერ დადგება და ამაში ქვეყანას ძალს უზმენ. ჩვენი

¹ განმეორებით ყოფილა დაწერილი—ჯარი, შემდეგ წაუშლიათ.

² ამ სიტყვის შემდეგ დაწერილი ყოფილა—თუ, რაც შემდეგ წაუშლიათ.

³ საბუთის verso-ზე დასმულია იმამყულიხანის ბეჭედი.

⁴ ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

⁵ ეს სიტყვა ჩამატებულია.

ძმა ბატონის შვილი თეიმურაზ ზოგის რასმე ჯარით გავგზანეთ ქვე-
მო კახეთს და ახლა იქ არის. ამ დროს ჯარი დიად ზარტუი არის და ამ კელად
ჯარი გვიბიძიეთ, მუნასიბს ადგილს დავაყენებთ, რომ დიდის ჯარის შეყრაჲდი
ქვეყნები შევიწახოთ. სხვას ჩვენს სიტყვას და ამ ქვეყნის ამბავს ეშვიკალსა-
ში ზაალ გვ(ი)ახლებია და ეს მოახსენებს.¹

8. 1720 წ. იმამყულიხანის წერილი უსეინყულიხანისადმი. დედანი, 68×30 სმ,
დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი
სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაცემებულია ფრანგული მი-
ნაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი
და დათარიღება 1719 წ. გამოქვეყნებულია Additions-ში 1720 წ. თარიღით, გვ.
416—417.

ვფიქრობთ ეს წერილი დაწერილია შანშე ქსნის ერისთვის შვილის საკუთარ მა-
მულში დაბრუნებისა და გამაგრების შემდეგ. ეს ამბავი ვახუშტის მოთხრობილი
აქვს ქართლის ჯარების კახეთიდან დაბრუნების შემდეგ. ჩვენც ამ წერილს ვათავსებთ
იმ წერილის შემდეგ, სადაც ლაპარაკია ვახტანგის ჯარების კახეთიდან დაბრუნება-
ზე და 1720 წ. ვათარიღებთ.
დედანი—Hd 1436.

უსეინყულიხანს

ქ. მაგათის ღვთივ კურთხეულით ამალღებულისა და კეთილ სატახტოს-
ნოდ გამორჩეულის, სახელოვნად კმა განფენილისა და სიკეთე მიუწოდომლად
განმრავლებულის, თავის ძმებრივის სიყვარულით აღვსილი და კარგად ყოფის
წადიერი, მაგათი ძმა მეფე იმამყულიხან მოვახსენებ ჩვენს კეთილ პატივ სა-
ფარვლად საგულგებელსა და დიდად ღვთის წყალობად მისაჩენელს, ზურგ
საიმედოდ და ძალ ძლიერებად მოსალოდნელს, მკნედ-ახანასა (sic), გმირ-
გოლიათსა და თვით მათისავე დიდებულის ძირ მოდგმის შესამსგავსად სიბრ-
ძნე მეცნიერების მქონებელს მეფეს ბატონს² მრავალი მათის საღმრთოს
სწავლით სრულისა და საკელმწიფოს ზნე-ქცეულობით შემკულის თავის შესა-
ფერი მოკითხვა, კარგად ყოფის³ დიდად ნატრა და უვნებლად ცხოვრების სიხა-
რული მოეხსენოს. მერმე ეს მოეხსენოს, თაობითგან თქვენ და ჩვენ რომ
ზუჯეთას შევიყარენით, რაც პირობა მოვახსენეთ, ღმერთმაჲს ზომ იცის. მე
არც ერთი გამიტეხია. მაგრამ თქვენ კი ბძანებდით—პირობა გამიტეხათ. მას
უკან იყო და ჩვენ რომ კელმწიფეს დავებარებინეთ და მანდ ქალაქს გიახელით
და თქვენსა და ჩვენს შუა მოყრობა მოვაქდინეთ და ერთი ძმა მყვანდა, ძმა-
ცა და ჩვენი ქვეყანა ყველა თქვენს კელში ჩამოვაგდევით და მოვაბარეთ. მაგ-
რამ მაშინც კიდევ ჩვენს პირობა გაუთავებლობას ბძანებდით. ღმერთმაჲს გა-
სინჯოს, რომე არას დროს მე თქვენი ერთობა და პირი არ გამიტეხია. თუ ვის-
მე თქვენსა და ჩვენს შუა დაშორება ნდომებია, არას ვიცის სიტყვას არ აყო-
ლივარ და არც ვისი დამიჯერებია. ახლა იყო საფურცლეს შევიყარენით და
რომელიც კელმწიფის დოვლათისა და ქვეყნების სსარგებლო იყო, თქვენც
ის პირობა ვვიბძანეთ და ჩვენც მოვახსენეთ და ღმერთმაჲს იცის ჩვენ ის პი-
რი არ გავეიტეხია და არც ვავტებთ. მაგრამე, რამთეჯერ (sic) თქვენ ამგვართ.

¹ საბუთის verso-ზე დასმულია იმამყულიხანის ბეჭედი.

² ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

³ ეს სიტყვა ჩამატებულია.

კელმწიფეს მოახსენეთ და ჩვენ თავი ვიშარტლეთ, თქვენ პირობის გატეხაში ჩამიგდეთ, თვარემ ახლა ჩვენ ამაზე თავს არას ვიშარტლებთ. ქვეყანამ იცის, რომე ქსნის ერისთვის შვილები, ყმანი თქვენი არიანია (sic) და თავის ალაგ-ში არიან. არც არა ჩვენი დასაბრალებელი არის. თუ ჩვენში ეჭვს რასმე იყავით, უნდა გებძანებინათ. თუ ასეთი ფიცი მოგვეხსენებინა, რომ თქვენი გული შეგვეჭვრებინა—არაფერი. თუ არა და კემწიფისათვის მას უკან უნდა მოგვეხსენებინათ.¹ ღმერთმა მის მაგისტანა ნურა ქანს რა თქვენსა და ჩვენს შუა, რომე ამგვარი საქმე კელმწიფის მოსახსენებელი ეთიაჯი იყოს, რადგან თქვენც აქ გამობძანდებით და ერთად შევიყრებით. ჯერ რომელიც ქვეყნების მაოკრებელი მტრები გვეყანან ღვსითა და კელმწიფის როგლათით იმათ თანბა უყით და მას უკან, რომელსაც თქვენ გეობძანებთ,—ჩვენ იმას ვიჭთ. ჩვენ არას დროს კემწიფის ბძანება არ დაგვიგდია და არც დავაგდებთ. სხვა ზეპირი სიტყვა მღიენის გორჯასპის პირით მოგვეხსენებია.²

9. 1720 წ. იმამყულიხანის წერილი უსეინყულიხანისადმი. დედანი. 67,5X29 სმ. დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ოთი, ან სამ-სამი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის ძოკლე შინაარსი და თარიღი 1721 წ. გამოქვეყნებულია Additions-ში თარიღით „1720 წ. შემოდგომა“ გვ. 414—415. 1720 წ. 10000 ლაშქრით მირ-მაჰმუდი (წერილში მოხსენებული მირვეისის შვილი, დ. მ.) თავს დაესხა ჭირმანს. მისი ეს პირველიცა მარცხით დამთავრდა. დამარცხებულებმა ყანდაარს მიმართეს (M. C. Иванов, Очерк истории Ирана, 1952, გვ. 82). ამ წერილში სწორედ ამ ამბებზეა ლაპარაკი, რის გამოც წერილს 1720 წ. ვათარიღებთ.]
დედანი—Hd 1434.

უსეინყულიხანს

ქ. მაგათის სახელოვანისა ურიცხვად სახელ-კეთილობით განთქმულისა, მღვსთისაგან და მალღის კელმწიფისაგან სამართლად მრავალ-წყალობა-განმრავლებულ მონებულისა და ბატივ-საფარველ-აღმატებულ-აღწეწილისა და სატრფიალოთ გამოჩენილისა და სიკეთე მიუწოდომელისა და ყოველითურთ საკელმწიფოთა ზნითა და ქცეულებითა და აღმკულისა და პირად-პირადად შემკობილისა, იასიან (sic) დავითიან სოლომონიანისა, კჳალად მსგავსადეც სოლომონისა

¹ ვახტანგ VI-ის ირანში ყოფნის დროს, ქართლში დატოვებულმა ბაქარმა ქსნის ერისთავს დათუნას სახლთუხუცესობა ჩააოართვა. ამის შემდეგ დათუნა მალე გარდაიცვალა. მისი შვილები კახეთს შეეხიზნენ. ქსნის ერისთავების მამული ვახუშტი ბატონიშვილმა დაიჭირა. დათუნას ძე შანშე შაჰს მიუფიდა. მისი თავი ვახტანგმა ითხოვა. შაჰმა უბოძა, დაბატონრებული შანშე ვახტანგმა საქართველოში ბაქარს გამოუგზავნა (ვახუშტი, გვ. 80). მალე შანშემ შესძლო გაქცევა და თავის მამულში გამაგრება. მაგრამ მდგომარეობა დიდბანს ვერ შეინარჩუნა. ამ წერილიდან ირკვევა, რომ ვახტანგ VI იჭვი ჭქონდა, რომ ქსნის ერისთავის შვილებს დავით II უშარტავდა ხელს. კნ. ელისაბედ დავითის-ას. ერისთავის ისტორიული საბუთების სიაში შეტანილი ერთ-ერთი საბუთის სათაური, კერძოდ. „შერიგების წიკნი, მიცემული კახთა მეფის იმამყულიხანის ნიერ ქსნის ერისთავისა დავითისა და მისი შვილებისადმი“ (Hd 5753), გვეფიქრებინებს, რომ ვახტანგის იჭვი უსაფუძლო არ იყო. შეიძლება გვეფიქრა, რომ ამ სათაურში მოხსენებული დავითი ქსნის ერისთავია, რომელიც ერეკლე I დასვა, მაგრამ იგი ერეკლეს მეფობაშივე იქნა მოკლული (ვახუშტი, გვ. 67), ამიტომ ვფიქრობთ, რომ აქ მოხსენებული დავითი ქსნის ერისთავი დათუნაა.

² საბუთის verso-ზე დასმულია იმამყულიხანის ბეჭედი.

სიბრძნისა სადგურისა და ფილასოფოსობა მოუკლებრისა, საქართველოს მპყრობელ-მართებელსა ძმასა ჩვენსა მეფესა ბატონსა მეფე იმამყულიხან შა-ვახსენებთ. მრავალი მაგათის ყოვლის ქება, დიდების¹ ღირსისა და ჩვენ მიერ-ვე დღითი დღე საქებარ-სადიდებელისა ზურგად და იმედათ საგულვებელის, თავის საკადრისი მოკითხვა, კარგად ყოფნის სუფეუა, გონების თვალით მარადის მხედველობის წადიერება და ამოდ ყოფნის სიხარული მოგვისსენებია. ვიცით კელმწიფის კარის ამბავს იკითხავთ და ჩვენი ჩაფარი მოვიდა. კელმწიფეს ერთი რაყამი ებოძა სამახარობლოდ: „სპასარლის ჯარი და მირვეისის შვილის ჯარისა² შეიბნენო. ღვეითო, სპასალარის ჯარს გაემარჯვა და მირვეისის შვილის ჯარისაგან დიააღ, ბევრი კაცი დაკოცესო და სპასალარიც მირვეისის შვილის³ შესაბმელად წავიდაო. მირვეისის შვილი გაიქცაო და ყანდაარს მიმართაო და სპასალარი უკან მისდევსო და მირვეისის შვილი კი გაექცაო და ქირმანი კემწიფის თასარუფში მოვიდაო“. მეორე რაყამი ებოძა, ეს ეწერა: „საქართველოს ვალსა და შენ რომ ერეენის ხანის ლეკზე სალაშქროდ გამოგზავნა მოგეხსენებინათო, ერეენის ხანის გამოგზავნა არ ვარჩივეთო და იმის მაგიერ ეთმადოველს ძმისწული ქალბალიხან გამოგზავნეთო, შირვანის ბეგლარბეგობა უბოძეთო. იმან შირვანის ჯარი უნდა მოსხსასო და ყარაბაღის ხანი თავისის ყოლბეგებით უნდა მოვიდესო და მულამის ხანით. ყიზილბაშიდამ ეს ჯარები გვიბოძებია და ორივე ვალები ჯარით⁴ ერთათ შეიყარენითო და ლეკს თამბა უყავითო“. ღმერთიმან კელმწიფის დღე ერთი ათასად ქნას, რადგან თქვენი და ჩვენი მოხსენება გაიგონა და ქვეყანას ყური მოუგდო, მანამდი ეს ჯარები შეიყრებოდეს, ქვეყანას ცარიელს ნუ დაგდებთ (sic), რომ მტერმა ეგების ვედარა შეიძლოს რა. რადგან, რომელიც შერიგებაში ჯარი გვიბძანეთ, და ახლაც მოგვეწერათ, მაგათ ნულარ და(ა)გვიანებთ, აღრე გვიბოძეთ, რომ მღვ[ვ]ითი ქვეყნები გავამ(ა)გროთ. მუშუოზა (sic) და მკა მოეჯარა⁵, ახლა ეცი-რება სიდთხილ⁶.

10. 1721 წ. იმამყულიხანის წერილი უსეინყულიხანისადმი. დედანი, 61×31 სმ., დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ჯანკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმაოთა ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მეღნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და დათარიღება—1719—22 წწ. გამოქვეყნებულია Additions-ში 1721 წ. თარიღით. მ. ბროსე უთითებს სენია ჩაიძის თხზულებაზე გვ. 422.
 წერილში ლაპარაკია იმის შესახებ, რომ „ლეკები“ შემახას მიხდომიან და „ძალა დაუტანებიათ“. აქ, როგორც ჩანს, ლაპარაკია შემახისათვის ბრძოლებზე. შემახა კი „ლეკება“ მართლაც 1721 წ. აიღეს (Очерки истории СССР, XVIII в. первая четверть, Москва, 1954, გვ. 608)⁷, ამდენად მ. ბროსეს მიერ წერილის 1721 წ. დათარიღება მართებულია.
 დედანი—Hd 1441.

¹ ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი და გასმულია სამი მოკლე ხაზი.
² ეს სიტყვა ჩამატებულია.
³ დაწერილი ყოფილა—ჯარებ, შემდეგ—ებ მოუშლიათ და დაუწერიათ ჯარით.
⁴ წაკითხვა საეჭვოა. დ. მ.
⁵ უკანასკნელი წინადადება შემდეგ უნდა იყოს მიწერილი. საბუთის verso-ზე დას-წულია იმამყულიხანის ბეჭედი.
⁶ „Очерки“-ში მოთავსებული ეს თარიღი აღებული უნდა იყოს Dorn-ისაგან. თავის-თავად B. Dorn-ი 1840 წ. 27 ნოემბერს წაკითხულ „Geschichte Schirwans unter den Statthaltern und Chanen von 1538—1820“-ში, Krusinsky-ზე მითითებით შემახის აღე-ბის თარიღად 1721 წ. 15 აგვისტოს იძლევა, გვ. 408.

უსენყულიხანს

ქ. მაგათის ზეგარდამო ღვთისა მიერ კურთხევით ამაღლებულ-განმდიდრებულის და სიბრძნე-მეცნიერება ზღვისაებრ აღვსით გარდაცემულ-გარდამატებულის და დიდთა მათ კელმწიფეთა თვისად სწორად პატივცემულობით განმდიდებულისა და მაღლად განვრცელებულთა ტახტთა ზედან შვებათ მჯდომარისა და პატიოსანთა საპატრონოთა მუპატრონისა და ერთა ურიცხვთა და ლაშქართა უმარაეთა (sic) სიმქნით მპყრობელისა და ჩვენთვის დიდად ზურგად და იმედად საგულეებელის და მრავალთა კეთილთა საყოფლად საიმედოვნოს ყოვლად პატიოსნის თავის კარგად¹ ყოფის მოწადე და ხილვა-განცდა-აღერსის მოსურნე ძმა მათი მეფე იმამყულიხან მოვახსენებთ. ჩვენგან ყამითი-ყამად მიმდემად (sic) მიუცილებლად, მათად საკადრისად საგონებელსა და ქება-დიდებას წარმოქმით სახსენებელსა ძმას ჩვენსა მეფეს ბატონს² მრავალი მაგათის სიყრმითაგან ღვთის მსახურებით აღზრდილის და ყოვლითურთ სიკეთე გონება მიუწომელობით (sic) მქცევისა და ფილოსოფოსებრ რიტორ-გამომეტყველებრ სრულისა და ჩვენთვის დიდად ღთის წყალობად საგონებელის თავის საკადრისი მოკითხვა და კარგად ყოფის ნატრა მოგვიხსენებია. გვიბძანონ მაგათის უჭირველობის ამბავი. თუ ღვთის შეწევნით უჭირველად ბძანდებოდენ, ვიცით ჩვენს ამბავს იკითხავთ, ღთით მშვიდობით ვართ. აწე ეს მოვახსენოთ: ყარაბაღიდან ჩაფარი მოვიდა. ჩვენთვის წიგნი მოეწერა ყარაბაღის ბეგლარბეგს, რომ: „აღხაზ-სულთან არეშისა და შაქის სულთანი შამახიდან ბარდას მოვიდაო და ასე შემოეთვალაო და სხვანი ვინცაინ იქილამ მინავალ-მომავალი კაცები იყვნენო იმათგანაც ასე გავიგონეთო, რომ სურხაი კულმუხის ბატონი და უსმის შვილი და დაუდ მუსვირი თაბარსარანას ჯამათით შამახიას მოკდომიანო და ურიების მაპლაიდან ქალაქამდას გარშემოსდგომიანო და იმ ქალაქის კაცს და ლეკებს ძალიანი ომი შექნიათო. ბოლო (sic) ლეკს ძალა დაუტანებიაო. მე ყაჯარის ჯარი უჯროსის კაცის სარდლობით იქ შირვანს მივაშველეო და თვითონ ნეტ ვავდეგო იქ წასასვლელადო და ყოვლის ჩემის ყოლბეგებისა და ჯარის შემოსაყრელად კაცები დაფარინეო და იმათი მოლოდინი მაქვსო და მე იმათს შეყრას ველიო და ჩვენ რადგან ორნივე ერთის კელმწიფის ყმანი ვართო, თქუენ რას გვიჩვეთო? სულყველას ჩვენთვის ვაჯიში (sic) არისო, რომ მტერს კელმწიფის ქვეყანა არ დავანებოთო“. ახლა მე ამას მოვახსენებ: თქუენთანაც წიგნი ქონდა ყარაბაღის ბეგლარბეგისა და წიგნიც თქუენთვის მიახლებია და კაციც. ახლა ყარაბაღის ბეგლარბეგსაც ურჩივეთ, იმან რა ქნას. ჩვენც გვიბძანეთ.—ან ჩვენ რა გვმართებს. ან თქუენ რასა იქო. ამას დაგვიანება აღარ გეწყობა, მალე გვიბძანეთ. ეს კაციც აქვე გვიბოძეთ, რომ მალე გავისტუმროთ. ჩვენც თქუენის სიტყვის მომლოდინე ვართ. კიდემ ესეც მოეწერა ჩემის წიგნი³ აშოაზე: „ეს ამბავო აღხაზ სულთანს წიგნათაც მოეწერაო. საჯაროდ ნუ გამოვა ეს სიტყვა. ქვეყნებს გული წაუტდება და კელმწიფის დოვლათის მასლათი არ არის“. უკაცრავად ვიყავით, რომ ეს მოვახსენეთ, მაგრამ ჯერ საჯაროდ გამოსული არ არის და ეს კა-

¹ დედანში წერია: კარგავად.

² ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

ციც მალავს და მისთვის მოგახსენეთ. ანამც (sic) თქუენ საჯაროდ გამოსული გგონებოდათ.¹

11.1721 წ. იმამყულიხანის წერილი ჰუსეინყულიხანისადმი... დედანი, 64,5 × 33 სმ, დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახშირია ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაცემებულია ფრანგული შინაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და თარიღი—1721 წ. გამოქვეყნებულია Additions-ში 1721 წ. თარიღით, გვ. 419—420.

საბუთში ლაპარაკია შირვანის ლეკებისაგან დაქვარზე, რასაც ადგილი ჰქონდა 1721 წ. ამიტომ, ამ საბუთს ჩვენც 1721 წ. ვათარიღებთ.
დედანი—Hd 1439.

ჰუსეინყულიხანს

ქ. მაგათის ღვთისა მიერ ზეგარდამო კურთხევით ამალეებულის და ტახტ-გვირგვინ შესატყვისად ჩინებულის და სკიპტრა-პორფირ შესაფერად განდიდებულის და ზეადმატებულის და ცათა შესწორებულის კემწიფისაგან დიდად პატივცემულის და წყალობა განმრავლებულის და ყოვლის სიკეთის დასაბამის და ყოვლის მეცნიერების მქონებელის და ყოვლის საკელმწიფოს ზიითა და ქცევით უნაკლულს თავის მარადის ქებით მგონებელი და ხილვა თანამზრახველობა და თანამეინაცობა მოსწრაფედ მნებებელი და მოწადე მეფე იმამყულიხან მოგახსენებ ჩვენთვის ღთისაგან წყალობით ჩვენად ზურგად და პატივ საფარვლად გამოჩენილო, ყოვლად ყოვლითურთ ყოველსა შინა სწორ-უპოვრად ქებულო, კმა აღმატებით ყოველთა მიერ საქებელ-სადიდებელო მეფეც ბატონო² მრავალი თქვენის სიბრძნის საუნჯის სიმკნე ახოვანება გარეშემოზღუდვილის გმირ გოლიათებრ ძალ-ძლიერებით აღჭურვილის და ჩვენთვის დიდად საღთისწყალობოდ საგულეებელის თავის საკადრისი მოკითხვა ნახვისა და შეყრის ნატრა (sic) და კარგადყოფის სიხარული მოგვიხსენებია. გვიბძანეთ თქუენის უჭირველობის ამბავი, თუ ღთის შეწევით უვნოდ, უზიანოდ და უჭირველად ბძანდებოდეთ. ვიცით ჩვენს ამბავს იკითხავთ ღვთის შეწევით უჭირველად ვართ, აწუ ეს მოგახსენოთ კემწიფისათვის უწინდელი ქვეყნის ამბები ხომ უწინვე მოგვიხსენებია და კემწიფის³ ბძანებით თქუენი ჯარით გამობძანება და კემწიფისავე ბძანებით თქუენი გაბრუნება⁴ და ქვეყნის შეწუხება, ლეკთაგან ძალის წამოტანება და ზოგის სოფლებისაგან ლეკის პირის დაქვრა ახლა ენისგლთ მოურავის ზალის (sic) პირით ჩვენ მოგახსენეთ, რომ შინ მდივნის გუროვნის პირითა თქუენც მოგახსენეთ და შირვანის ლეკისაგან დაქვრა ყიზილბაშის ხანებისაგან მოხსენებოდათ. ღმერთ[ქ]მან კემწიფის ერთი დღე ათასად ქნას ქვეყნებისათვის ყური მოუგდიათ. თქუენთვის აქ გამობძანება უბძანებიათ და კარიდამ ეთმადოვლეს ძმა მაჰმადხან გამოუგზავნიათ მრავალის ყიზილბაშის ჯარით, რომ კემწიფის რაყმის სავადი მანდ გვიახლებია

¹ საბუთის verso-ზე დასმულია იმამყულიხანის ბეჭედი.

² ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

³ დაწერილი ყოფილა ხელმწიფეს. შემდეგ გაუსწორებიათ.

⁴ ვფიქრობთ, ამ წერილში ლაპარაკია შაჰის პირველი ბრძანების შესახებ ლაშქრობის მოშლის გამო. რადგანაც ამავე წერილში ლაპარაკია ვახტანგის ხელახლა სალაშქროდ გასვლაზე „ლეკების“ წინააღმდეგ.

და ასლი რაყამი ჩვენთან არის. აწე ქვეყნის შეწუხებას და ლეკისაგან გაოჯრებას და დღე ყოველ ოჯრობას ზომ თქუენც ხედავთ და კემწიფის ბძანებას არის, დაგვიანებაც არა სჯობს. ერთი ამიტომ არა სჯობს დაგვიანება, რომ ქვეყანას ვაძლებს ღონე აღარა აქვსთ და რახან¹ ყიზილბაშის ჯარის წამოსვლას და ამ ამბებს შეიტყობენ, უფრო ქვეყნის გაოჯრებას ეცდებიან და მტრობას მოუმატებენ და მეორე ამიტომ, რომ, რადგან ყიზილბაშის ჯარი წამოსულა, თუ აქათ ლეკის სიახლოვეს თქუენ და ჩვენ ჯარით არ მიუდგებით. ლეკნი ყიზილბაშის ჯარს გარდუდგებიან და ღონე ნუ ქნას და თუ იმათ რამ დაუმარცხდათ, თქვენც მოგესხენებთ, კელმწიფის დოვლათისათვისაც დიდი საზიანო არის და ჩვენთვის(ა)ც ძნელი საქმეა. ახლა ამისას რას ბძანებთ ჩვენც გვიბძანეთ დღეობითა, რომ, როდისაც თქუენ გამობძანდეთ ჩვენც მზას დაგზუდეთ ღწითითა და მაჰმადხანის ჩვენთან მოწერილის წიგნის სავადიც მანდ გვიასლებია. მერმე ვიცით გიამებათ და კიდევ გუშისწინ (sic) აქ ჩვენს ახლოს დიდი ლეკის ლაშქარი მოგვიტდა და ღთითა და კელმწიფის დოვლათით გაგვემარჯვა. ლეკნი დიად გაიქცენ და მრავალი ლეკი მოკვდა, ჩვენი მდივანბეგ(ი) პაატა და ეშვიკალასბაში ზაალ გვიასლებია, ჩვენს ზეპირს სიტყუ(ა)ს ესენი მოგახსენებენ.

12. 1721 წ. ბარათი. მიწერილი უნდა იყოს დავით II-ის მიერ ვახტანგ VI-სადმი. დედანი, 15,5×11,5 სმ., დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით, სადაც აღნიშნულია რომ ეს წერილი წინა წერილის მომდევნოა და მოცემულია თარიღი—1721 წ. მ. ბროსეს ამ მოსაზრებას ჩვენ ვეთანხმებით.
დედანი—Hd. 1442.

ღმერთო 1 73.

ქ. ბატონს რომე წიგნში მოვასხენეთ, რომ კელმწიფის რაყმის სავადი მოგვირთმევიო, სავადი კი აღარ მოვართვით, ისევ უფრო ეთიბრისათვის ასლი რაყამი მოვართვით. რავარათაც კელმწიფეს თავდაბეჭდილი ებოძათ ჩვენთვის, ჩვენც ისე თავდაბეჭდული (sic) მოვართვით. რახან ბატონმა წაიკითხონ (sic), ისევ მალე წყალობა გვიყონ და გვიბოძონ.

13. 1721 წ. იმამყულიხანის წერილი უსეინყულიხანისადმი. დედანი, 61×31 სმ., დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და თარიღი—1719—22 წწ. გამოქვეყნებულია Additions-ში თარიღით „1716 წ. შემდეგ“, გვ. 411.

წერილში მოხსენებულია მდივანბეგი, რომელიც „თავისის ჯამაგირის საქმეზედ კარზე მივიდოდა“. ვუიკრობთ, რომ ეს არის „კახეთის დივანზეგ პაატა-ბეგ გურიჯი როსტომ-ბეგის ძე“ (ზუბუა მ., საქართველოს მუზეუმის საპარსული ფირმანები და პოქმები, თბ., 1949, გვ. 56), რომელმაც 1703 წ. მექვიდრეობით მიიღო მამამისის ჯამაგირი (იქვე, გვ. 44), ხოლო 1722 წ. ირანის ხელისუფლებამ დაამტკიცა: „...რჩეულის კახეთის მდივანბეგ პაატა-ბეგის გასამრჯელო, რომელიც დადგენილია ყოველწლიურ სარგოდ“ (იქვე, გვ. 54).

¹ დედანში წერია ნახან.

წერილში მოხსენებულია „სამსახური“, რომელიც ორივე ქართველი მეფისათვის უბრძანებია „ხელმწიფეს“. ეს „სამსახური“ „ოროთავ ვალების ჯარებით შეყრა“ უნდა ყოფილიყო. ამ საქმის მოსაგვარებლად დავით II ვახტანგ VI-სთან თავის მდივანბეგ პაატას გზავნის (იხ. აქვე საბ. 11). ამრიგად ეს წერილი აქ გამოქვეყნებულია საბ. 11 შემდეგ განოგზავნილად მიგვანჩნია და 1721 წ. ვათარიღებთ, დედანი—Hd 1447.

უსეინყულიხანს

ქ. მაგათის სახელოვანისა და ყოვლის სახელმწიფოსა და სამკედროს სწავლით და ქცეულებით შემკობილისა და მალღის კელმწიფისაგან მათ საკადრისათ პატივ-წყალობა-განმრავლებულისა და მღვთისაგან კეთილად დაცულ-დაფარულის თავის შეყრისა და მუსაიბობის უზომოდ მოწადე მეფე იმამყულიხან მოვასხენებთ. ჩვენსა განუშორებლად კეთილად საგონებარ-სახსენებარსა და დიდათ იმედათ. ზურგად და ლხინ-სასიხარულოდ, საიმედოვნოთ საგულევებელს გრძლად რადლა მოვასხენოთ, საქართველოს მპყრობელს მეფეს ბატონს! მრავალი და აღურაცხელი მაგათის მღვთისა მიერ ამალღებულისა და ყოვლის საფილასოფოსოს და სამეცნიეროს ქცევით აღვსილისა და სამღოს ს(ა)ეროს ზნით შემკობილის, თავის შესამსგავსი მოკითხვა და ამოდ ყოფის სიხარული მოახსენეთ. აწუ მდივანბეგი რადგან თავისის ჯამაგირის საქმეზედ კარზე მივიდოდა, ჩვენ ზომ ჰერემლის პირითაც მოვასხენეთ და რადგან კელმწიფეს ამგვარი სამსახური თქვენთვის და ჩვენთვის უბძანებია, ამისი მუნასიბი სიტყვები დავაბარეთ და მივსწერეთ. თვითან მდივანბეგი მოვასხენებსთ, რაც დავვიბარებია და რომელიც მუნასიბი იცოდეთ, თქვენც ის დაბარეთ (sic) რომე, მღვთით ეს სამსახური წინ წავიდეს და ქვეყნებს ერგოს რამე.²

14. 1721 წ. იმამყულიხანის წერილი უსეინყულიხანისადმი. დედანი, 66×29,5 სმ., დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაწმარია ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მგლნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და ვათარიღება 1721 წ. (ჯგერ დაუწერია 1720 წ. და შემდეგ გადაუსწორებია). გამოქვეყნებულია Additions-ში 1721 წ. თარიღით, გვ. 420—422.

წერილში ლაბარაკია შაჰისაგან ლაშქრობის მოშლაზე ორჯერ, რასაც ადგილი ჰქონდა 1721 წ., ამდენად ამ საბუთსაც 1721 წ. ვათარიღებთ. დედანი—Hd 1440.

უსეინყულიხან

ქ. ვითარცა ყოვლად ყოვლისავე პატიოსნობისა მქონებელსა და სახე სახელოვნებისა და პატივ სახოვანისა სახისა განმკვეთენელსა და ზეშთა ზენარობით უზეშთა ზენარობით უზეშთაეს კაცთა ბუნებითთა მქცეუელობათა, უზედაესსა და ქუენა ქუეყნიერთა, მიწა მიწიერთა, ნერგებ მცენარეთა, და ხე მწვანილოვანთა, მთა კაპან კლდოვანთა და ველებ მალნართა, სიბრძნით დამპყრობელსა, ხოლო სხეულოვნობის მქონებელთა პირებით წარმომოქმედლთ და სიბრძნის მქონეთა, ანუ თუ უტყუთა ქუე დამხედველთა, მტეცებერ ძლიერთა, ანუ უძლურთა, უნდოდ უმეცართა ყოვლადვე მეცნიერებით დამმორჩილებელსა, ხოლო ცისა შორისთა მყოფთა ღვთისა მიერ ქმნილთა საკუთრველებათა და ძნიად

¹ ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

² საბუთის verso-ზე დასმულია იმამყულიხანის ბეჭედი.

მისაწოთმა საქმეთა ვრცელად გამომეტყუელსა და ძალსა მზისასა ბუნებასა მთოვარისასა და ქცეულებათა სხვათა მნათობთასა თავსა შორის თვისსა წინა დამსარკებელსა, გინა თუ ქუეყანით ზენა აღსაწუენელთა. ზომით ზომიერობასა, კნინლა ბრჭალითა თითათა რავდენობა რიცხვით მეცნიერსა, ხოლო ზღვისა შორისთა დაფარულებთა საიდუმლოთა თვის თვისითა ცნობიერებითა საცნაურ მქმნელსა და მწყურნებისაცა მისისა აღმწყულობითა პეშვთაცა რიცხვედსა არა უმეცარსა, საზოგნობა სახელისა უმეტესსა და სახელ სახისა უმჯონიეროსა, სწავლა მეცნიერების უსაზღროსა და მეცნიერება სწავლის საზღვარ შეუგებელსა და რიტორებრიეთა მეტყუელებითა ყოველთა ბრძენთა უკმოდ გამომჩინებელსა და პირველის მეფობის დამპყრობელისა მამისა ჩვენისა დავითის, მსგავსად დქეთისა მიერ პოენიერსა და მისევებრად გულითადად მისსა ცხოვრებულსა, გარნა ქუეყანისა ყოვლისა და მზისა ქუეშეთა ყოველთა ძლიერად მპყრობელისა დიდისა კელმწიფისაგან დიდებულებითა დიდითა და კელმწიფობითა ამალღებულსა, ჩვენთვისცა მსგავსად ნათლისა თვალთა ჩვენთასა, ეგრეთვე სამხედველოსა გულთაცა ჩვენთათვის გულითადად მოძმედ შემეწე შემთვისედ შეყუარებულსა, შემეგობრებულსა; ძალად დიდად და უზეშთაეს დიდ იმედებად სიმაგრე სიმტკიცედ მოსალოდებელსა და ესე ყოველ სამეტყუელოდ სამუსაიბოდ საშეგებლად და სასიხარულოდ მისახედ სახატრელსა ჩვენსა უხუცესსა ძმასა მეფეს ბატონს¹ ყოვლითა წადიერებითა, ნახვად მეძიებელი და შეყარად წადიერი და წამითი წამად თანამზრახველობის მნებებელი მეფე იმამყულხან მოვიკითხავ. დღე კეთილობით მქცეუელობასა თქუნსა და უუნებლობით და უენო უმიზეზობით ცხოვრებასა და კეთილ ქცეუადობათა წარმატებასა თქუნსა მრავალი და აუოაცხელი მოკითხვა. კეთილმყოფობის ნატრა, შეყრის, მუსაიბობის და სიტკობით თანაგანზრახვის სურვილი და კეთილის ამბის გაგონების სიხარული მომიხსენებია, ღმერთისა მადლობა მიერთმოდენ, ვინადგან თქუენი უენებლობა და უენო უმიზეზობა გვესმის ვიკით², ჩვენს შეუძლებლობას იკითხავთ ისეუ შეუძლებლად ვართ. აწე ეს მოგახსენოთ კემწიფის ბძანებით რომე მურად-ბეგ ეშკაღასი თქუნთან მოვიდა და მას უჯან ჩენი ეპისკოპოზ დარბაისელნი ვახელით თქუნ რომელიც გმართებდათ იმგვარად თავს შეგედვათ და ამ ქუეყნის მოშეველების თადარიგში შებძანებულოყუენით და ამ (მ) ზადების დროს მურად-ბეგს რაყამი მოსლოდა. ის დაებარებინათ და თქუენი აქ გამობძანება მოუველდუი ექნათ. მაგრამ თქუენ რადგან ამ სარათის ბეგი ბძანდებით, აქაურს საქმეს ხედუდით. რომ იმ კელად თქუენი აქ გამოუბძანებლობა კემწიფის დოვლათს არ უჯობდა და ამ სარათის საქმე შაშინვე ასე მოჰხდებოდა, როგორც რომ ახლა მოჰქდა. ამისთვის არ დიშალეთ, რომელიც კელმწიფის დოვლათის სამჯობინარო იყო და თქუენგან მართებული იყო, იმ გვარად დიდის ჯარით, ხარჯით და რიგით გამობძანდით. ჩვენ ერთად შევიყარენით და ქართველნი და კახნი დარბაისელნი ერთად დასხდენ, არჩივეს და ლეკის თამბის საქნელად წაბძანდით. მეორე რაყამი მოგსლოდათ, რომე თქუენი ლეკზე მისვლა კემწიფეს კარიდამ დაეშალა. თქუენ ხომე ხედუდით, რომ თქუენი ვაბრუნება არა სჯობდა. ჩემის ძმის თეიმურაზის და ალავერდლის პირით ჩემთვი (sic) შემო-

¹ ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

² დაწერილი ყოფილა ვიკით. შემდეგ გაუსწორებით.

ვეთვალათ, მაგრამე მეორედ კემწიფის ბძანების უარი აღარ იქნებოდა. გაბრუნდით და თქუნემა გაბრუნებამ ქუეყანას გული გაუტეხა. ლეკთაც სარათის სოფლებს მრავალჯერ უთხრეს: „კემწიფემ ქართველი ბატონი ამაზე გააბრუნნაო, რომე თქუნენზე კელი აიღოო“ და თვალთაც თქუენი გაბრუნება ნახეს და თქუნეც მოგვხსენებათ მრავალჯერ მტრისაგან! მოთხრილი და შეწუნებული გლეხი კაცი ადვილად მოტყუვდება. ამათ ლეკის პირი დაიჭირეს და ლეკს მიუდგენ და², რომელიც³ ლეკს მიუდგენ, ისინი ქუეყანას მტერობენ და ეს საქმე კემწიფის დოვლათის საზიანო და ქუეყნების მოსათხრელი არის. შიას ჯოცენ, არბევენ. ქართველს ასე ეპყრობიან. კემწიფის ერთგული საქართველოს ბატონი ბძანდებით. თქუნეთვის არ მოგვეხსენებია, როგორ იქნებოდა წყე რას ბძანებთ, რომელი გემართებს? ჩვენ ამას ვხედავთ და მართალიც არის: თუ ამ ქუეყანას ამავე ზაფხულ მშველელი არ მოუვიდათ, ვინც დარჩომილან და ან ვინც დახიზნულან, ესენიც ლეკის პირს მისცემენ და რახან ლეკნი და კახნი ერთს პირს დაიჭერენ, აღრიბკ(ა)ნს და აქათს სართებს დიად ძალს უზმენ და ამათი თამბა ძნელი შეიქნების და თუ აღრე, ამავე ზაფხულ ამათ ქომავი მოეშველათ, ვინც უკუშდგარნი არიან, ისინიც აღრე გამობრუნდებიან და ლეკის თამბაც გაადვილდება, თუ არა და ქუეყნები გათავდება. ჩვენ ამ ქუეყნების ამბავი ყოველთვის კელმწიფისათვის, კარისა და სარათის ბეგებისათვის მოგვიხსენებია და რაც ჩემგან გაეწყობა გარჯა და კმალი არ დაგვიკლია, მაგრამ თქუნე ხომე კარგად მოგეხსენებათ, მარტო კახეთით ამათი თამბა არ იქნებოდა და არც ახლა იქნება. ამას მოველით თქუნეგან ჩვენს საქმეს და ამ ქუეყანისასაც ყური მოუვდით და რომელი სამჯობინარო იყოს ამ ქვეყნების საქმე, კელმწიფეს ისე მოახსენოთ. კემწიფისათვის ჩვენც მოგვიხსენებია. თქუნეც ხომე მოახსენებდით. ახლა სანამდინ რომე კემწიფის ბძანება მოგვივიდოდეს, რა უნდა ვქნათ. ამ ქუეყნებს რით გავაძლებინოთ? მარტო აქათი ლეკნიც არ არიან, რომე მარტო კახთ ამათი თამბა შეიძლონ. ზაფხულში მრავალს დაღისტნის კაცს მოიშველებენ. ალაგს თავისას მისცემენ, ნუზლს თვითან აძლევენ, ჯარს გააძრავლებენ და ქუეყანას ამ რიგად მტერობენ. კახეთის სოფლები ხომე თავად შორის შორს არის და მერმე ზამთარ გლეხი კაცი სრულ მუშაობაში არის: კენაში, ვენაჯის მუშაობაში და ამით კახეთის ჯარი დაფანტული არის და როდესაც რომე შეიტყობენ დაფანტული ჯარი გვეყოლება, მაშინ მოვლენ და როდესაც რომე ერთად შეგპყრბთ ჯარს, მაშინ აღარ მოვლენ და ხაცა უჯარო ალაგია. იქ მივლენ. მერმე დაღისტანს გარდა ყაბალა. შაქი და სხვა იმათშივე გარემემო სოფლები შემოიმატეს და ამით კახეთი მარტო თავისის თავით თამბას ვერ უზამს⁴.

15. 1721 წ. შემოდგომა. იმამყულიხანის წერილი ჰოსაინყულიხანისადმი. დედანი, 65×32 სმ., დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. ზანკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაცემებულია ფრანგული შინაწერი მელნით ა. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და თარიღი—1719—22 წწ. გამოქვეყნებულია Additions-ში, თარიღით „1720 წ. შემოდგომა“. გვ. 415—416.

¹ დედანში წერია: მტრისაგან

² „და ლეკს მიუდგენ და“—ჩამატებულია

³ დაწერილი ყოფილა „რომეც“. შემდეგ ჩაუნახეს ათი „ლი“. საბუთის verso-ზე დასმულია იმამყულიხანის ბეჭედი.

წერილი დაწერილია „ხელმწიფისაგან ჯარის მოშლის“ შემდეგ, რასაც ადგილი ჰქონდა 1721 წ. ამდენად ეს წერილი 1721 წ. შემოდგომით (წერილში აგრილგბახეა ლაპარაკი) უნდა დათარიღდეს.

დედანი—Hd 1435.

პოსიანყულობან

ქ. მაგათის ღვთისა მიერ კეთილად ცნობილისა და მის მიერითა ღირსად წყალობა მინიჭებითა კეთილად დაცულ დაფარულისა და მალასა და აღმატებულს სამეუფოსა ზედა წარჩინებულისა და სუფევა განმდიდრებულისა და აგრევე მალისა და ზეშთა აღმატებულის დიდის კელმწიფისაგან ზღვისაებრ პატივ-წყალობა გარდამეტებულის, პატიოსნის თავის დღითი-დღე ხანდაუზმნელად ქება-დიდების წარმომთქმელი და მარადყამ ხილვისა და თანამეინაჯობის მოსურნე მეფე იმამყულობან მოვახსენებ ჩვენსა სამარადისოდ პატივ საფარვლად მოსალოდნელსა, ჩვენსა ძალ-შემწედ და დიდ სიქადულად საიმედოვნოსა, ყოვლის დიდებით და სახელოვნობით წარჩინებულსა და ყოველთაგან საქებრად კიდით კიდემდე კმაგანფენილსა გრძლად რა მოვახსენოთ მეფეს ბატონს! მრავალი და აურაცხელი, მაგათის სახელოვნისა და მრავალჯერ სახელოვნად ომგამარჯვებულისა, ყოვლის სახელისა და სიკეთის მიძებნელის თავის მოკითხვა, ამოდ და ბედნიერად მათს ნება წადილზე სუფევის წადიერება მომიხსენებია. გვიძანონ მაგათი უვნებელად ცხოვრების ამბავი, თუ ღვთით უმიზეზოდ ბძანდებოდენ, აწ ეს მოვახსენოთ: ყოველთვი (sic) ამ ქუეყნების ლეკისაგან ძალის წამოტანება და დღე ყოველ კმალს ქუეშ ყოფა მუდამ მოგეხსენებია და მაშინ გავაზელთ და გავამკრის სოფლებს რომ ლეკთ ლაპარაკი დაუწყეს და კელმწიფისაგან ჯარის მოშლისა და მას უკან ჯარის მოუშველლობისა (sic) და უიმედობის კმა შემოუგდეს და ნამეტნავის ძალის წამოტანებით და ზოგი გლეხის კაცის უჭკუობით, ამითაც პირის მიცემა მოინდომეს. ის ამბავი ხომ მაშინვე კემწიფესაც მოვახსენეთ და თქუენ და სარათის ბეგებს ყველას შეგატყობინეთ და მოვახსენეთ. ახლა ხომ იმ სოფლებმა პირი მისცეს, მათს ლაშქარში ერეკებიან და როგორც შექი და ყაბალა ლეკთ მიუდგენ და იმათს ლაშქარში ერევიან და როგორც იმათთან შირვანს არბევენ, ნახეს რომ იმათ არ გარდაცდათ რა, ამითაც ისე ქნეს: ლეკნი და ესენი ერთად მუდამ ქუეყანას არბევენ. დღე არ გამოვა, რომ არსად მოუტდენ და ყოველთვი (sic) ომი არ იქნას. ხან ჩვენი ჯარიც პასუხს აძლევენ და ზოგან ჩვენს ჯარს გამარჯვება ხოლმე, მაგრამ ამდენი ომი და კმალს ქუეშ ყოფა თქუენც მოგეხსენებათ კაცისაგან არ გაიძლება და ამაში ამ ქუეყნის კაცი დიად შესჯერდა. ვლგხმა კაცმა სამუშაოდ ვედარ მოიცალა და ყანა რაც მომკეს ისინი სწვენ. აქამდის ჭარელნი, თალალელნი და პირიქით? ლეკნი ლაშქრობდენ, რომ ზოგი რამ მათის ლაშქრობისა და ომების ამბავი ოტია ჩაფრის კელით წიგნად მოგწერეთ. ახლა რომ აგრილდა გულჯადარის ჯარი ჩამოასხეს. გულჯადარა და ესევე ჭარელნი და პირაქეთი ლეკნი ერთად დიდი ჯარი შეყრილიყო და ხოდაშენს, საყდ-

¹ ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

² უნდა იყოს პირაქეთი.

რიონს და სამაყნოს ერთიანად თავს დაესხნენ. სოფლები დაწვეს და მოაკრ-
რეს. ჩვენ რალაც ჭარი გვახლდა, მივაშველეთ. დიალ, ძალიანი ომი გარდაიჭა-
დეს. ლეკებიც დაიჭოცა და წავიდნენ. გავაზს დგანან, თავად ხომ ყოველს
გლვხს კაცს ამას ემოციქულებიან, ჩვენი პირობა დაიჭირეთო და როგორც გა-
ვაზს არას უსცოდებთო, ისე თქუენ აღარას შეგცოდებთო და ამ მოკდომი-
ვაც. ამავე სიტყვით ბევრი ელაპარაკნათ. თქუენც მოგეხსენებათ, გლვხს კაცს
მოკლე ჰქვა (sic) აქვს, რასაც თვალთ არ ნახავს, მის მეტი არა იციან რა და
მერმე ისომე (sic) მეშველი ჭარი ვერსადით ნახეს, მუდამის ბრძოლისაგან შე-
წუხებულნი, დიალ, უიმედოდ გაკდენ და ეჭვს იქით ვართ, რომ რაც გლვხი
კაცი დარჩომილა, ესენიც პირს მისცემენ და რახან გლვხი კაცი იმათს პირო-
ბას დაიჭერს, ზოგი ასეთი თავადიც არის, რომ ისინიც მიჰყუებიან და ამაში
საქმე უფრო გაძნელდება. თქუენც მოგეხსენებათ, რომ გარჯა და თავის გარ-
დადება ამისგან უფრო აღარ იქნება, რამე მე კემწიფის სამსახურისა და ქუეყ-
ნის სოცლისათვი (sic) თავი გარდამიდვი. მაგრამ უმეშულოდ ამდენს ხანს
მარტო ერთს კაცს ლხინიც შეაჭერებს, არამც მუდამე დღე კმალი და ომი. ამა-
ში ჩვენ რა გემართებს:—ვიცით რომ კემწიფის ერთგული, ჩვენთვის მოყვარე
და საიმედოვნო ბძანდებით და რადგან ამდენს ვაჭირებას ხედავთ, ქუეყნები-
საც შეგპირსთ და ვითაც თქუენს ჰქვასა და სიკეთეს შევნოდეს იმ გვარად
მოგვეკმარენით და აღრე თავს შეიდევით, რომ ჯერ ღქვითთა და კემწიფის
ბუნდირობით თქუენის გარჯით და მოკმარებით კემწიფის დავლათის საქმეც
წინ წადგეს და ქუეყნებსაც მოსვენება მიეცეს. ეს ლეკნი აქ გავაზს დგანან.
ხომ აგრილდა და აღარ წაელენ და თუ მოშველება დაგვიანდა, ბევრი ავი საქ-
მე იქნება. დემეტრე მდივანბევი, კვიფანე და ალავერდის სახლოთხუტევის
სულხან გვიახლებია. ჩვენსა და კახთ მაგიერს სიტყუას ესენი მოგახსენებენ².

16. 1722 წ. ახლო. იმამყულიხანის წერილი უსენყულიხანისადმი. დედანი
65×29 სმ., დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განკვეთილობის
ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაკეთებუ-
ლია ფრანგული მინაწერი მელნიო მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის
მოკლე შინაარსი და თარიღი 1719—22 წწ. გამოქვეყნებულია Additions-ში
1719 წ. თარიღით, გვ. 409—411.

წერილიდან ჩანს, რომ ვახტანგი ლილოზე აპირებდა ჯარით დადგომას. ეს გეგ-
მა დავით II არ მოსწონდა. ქვემომოტანილი წერილი დავით II-ის უკანასკნელი
წერილი უნდა იყოს ვახტანგ VI-სადმი. როგორც ჩანს ვახტანგი და დავით ვერ
შეთანხმებულან და დავით II-ის გარდაცვალების შემდეგ მოლაპარაკება ამ საკითხ-
ზე გრძელდებოდა ვახტანგსა და თეიმურაზს შორის (იხ. საბ. 17, აქვე). დავით II
1722 წ. შემოდგომაზე გარდაიცვალა, ამიტომ წერილს მის ახლო წინაზნებით ვა-
თარიღებთ.

დედანი—Hd 1432.

უსენყულიხან

ქ. ვითარცა ყოვლისა სიბრძნისა საუნჯესა და მეცნიერებისა ვრცელსა უფს-
კრულსა და ოთხთავე კიდეთა ქვეყანისათა წარჩინებულებით და ქებულებითა-

¹ დაწერილი ყოფილა უმეშუროდ და შემდეგ გაუსწორებიათ.

² საბუთის verso-ზე დასმულია იმამყულიხანის ბეჭედი.

ქ. 8

ქებულსა, განათლებულსა და ბრწყინვალესა, დიდებით დიდებულსა და მარად-
 ეამ უმდიდრესთა პატივთა აღწევნილსა, თვალთაგან ჩვენთა მარადლე საჭვი-
 რებლად (sic) სანატრელსა და გონებისა ხედვათაგან წამი(თ)ა წამად თანაგანზ-
 რახვად საწაღწეროსა, ჩვენსა ძალსა, ჩვენსა ძლიერებასა და ჩვენთვის დი-
 ლად შემწედ სიმტკიცედ და განმძლიერებელად მისახედ მისაჩვენელს, საქმე
 საქციელ უმჯობესს და საქციელ საქმისა უსანატრელესს ყოვლისავე, საქართ-
 ველოს მპყრობელს, უზუტცესსა ძმასა ჩვენსა მეფეს ბატონს! ჩვენ მათთაგან
 სიტკბო სიყუ(ა)რულთაგან შვებული, ძმობის, ერთობისა და განუშორებელი-
 ბით შემტკიცებული მეფე იმამყულიხან მოგახსენებ: მრავალ და ურტივ
 უვნოდ და უმიზეზოდა არიან დღენი, ეამნი და წელნი მტკიცეულობისა თქუენი-
 სანი, მრავალი თქუენის ჯერეთ ზეგანგებით დ[ე]თვისაგან ამაღლებულის და
 მიერთგან მალის კემწიფისაგან განძლიერებულის, სიჩჩო-სიყრმითგან ვიდ-
 რე მოდღენდელად-დღედმდე კმა აღმატებით და ენა მრავლობით ქებულის,
 ჩვენთვის შესაყრელად და სამუსაიბოდ სანატრელის, თავის შესაფერი მოკითხ-
 ვა, კარგის ანბის (sic) სმენის სიხარული და უვნო უჭირველობის ნატრა მო-
 გვისხენებია. მერმე წიგნი გებოძათ და თქუენი ლილოზუდ გამოსვლა გებძა-
 ნათ. მართალს მოგახსენებ თქუენი კახეთში¹ გამოძახანება. დიად ქვეყნების
 სარგებელი და კემწიფის დავლათის სამჯობინარო არის, მაგრამ თქუენც მო-
 გეხსენებათ: ლილო ჩვენზედ და აქეთ კახეთზედ შორს არის, თორემ თქუენის
 ჯარით გამოძახანების უყეთესი რა იქნების და მაშინც ხომე თქუენს გამოძა-
 ნებას ბევრი სარგებელი აქვს. ასეთი ალაგებიც არის ლილოს გარდა ჯარის
 სადგომი სხვაგან, რომე ქართლზედ მიმავალს ჯარსაც წინ გარდაუდგება იქა-
 დამე და კახეთსაც არგებს, — უმაგრესი ლილოსაგან. ერთი ეს გებძანა: „რას აპი-
 რებთო და რას საქმეზედ სდგებართო“. თავად ყოველთვის და ახლაც კიდემ ამ
 ქვეყნის გაჭირება, კემწიფისათვის² მოგეხსენებია და მათი ბძანების მაყურე-
 ბელი ვარ და რაც გაეწყობა და ან გაძლებალა არის ამას ვსცდილობ. რომე
 კემწიფის ჯარის მოსვლამდი ამის უარესი აღარა იქნას რა და თუ ჯარი დაგ-
 ვიანდა, ვიცით საქმე დიად გაძნელდება. კემწიფის მოხსენებას გარდა თქუ(ენ)
 ყარაბაღს (sic), შირვანს (sic) და ერევნის ხანებს ყველას ხომე მაშინვე შევატ-
 ყობინე, რომე კემწიფის ბძანების მოსვლამდის ჯარს ვინმე გვიბოძებთ კარგი
 იქნების და თუ არა და ჩვენის თავის გარდადებისა და კემწიფის ბძანე-
 ბის მოცდის მეტი, თუ მტერმა დაგვაცალა, — რა გამეწყობა, ჩემგან სხვა რა
 მოგეხსენებათ: ჰკუა და ცოდნა თქუენს უყეთესი არავისა აქვს. კემწიფის ერთ-
 გულნი და ერთიბრანი ბეგი ბძანდებით და ჩვენთვის მოყუარე და კაის
 მნდომნი (sic) და რადგან ასე ახლოს მეზობლად ბძანდებით, ამ ქვეყნის საქმეს
 ყოველ დღეთ ხედავთ მოშველებისა და იმედის მოცემის მეტი ამ ქვეყა-
 ნას რა ერგება და ჯარის ჩვენების მეტი მტერს უკან რა დააყენებს. დემერქიშქან
 იცის და თქუენმა კარგად ყოფნამ, ამას ჩემის თავის სიფთხილით და არც
 სხვა რიგად არ მოგახსენებ. ვიცი და ვხედავ, რომე თუ ჯარი და მშველელი
 დაგვიანდა, ამ ცოტას ხანს დიდის ლეკის ჯარის მოსვლაზედ ასეთი რამ მოკ-

¹ ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

² დაწერილი ყოფილა — ლილოზუდ, შემდეგ წაუშლიათ და იმავე ხელით და მელნით დაუწერიათ — კახეთში.

³ დაწერილი ყოფილა — ქვეყნისათვის და შემდეგ გადაუსწორებიათ.

დება, რომე კემწიფის დოვლათისაც და ყოვლის აქეთის ქვეყნების საქმე გა-
ჭირებული შეიქნება. ჩვენ ასეთს გაჭირებაში ვართ, რომე ღ[მერ]თ[მან] იცის
და ყენის თავის მზემან. ეს თქუენგან წიგნის მოწერაც ერთს ქომავსა, ზურგის
მომბასა და მოყრობაში ჩავიდევით. ჩვენც, უწინვე, რომე ზემოღამე ჩამო-
ბძალდით ნინოწმინდელს (sic) ხლებას ვიპირებდით, დავიბარე, არ ვიცი რა
დაემართა,—არ მოვიდა. თუ ეს ავად არ არის, იმას გახლებთ. თუ იმან ვერ შე-
იძლო და სხვას მისანდოს ვისმე გახლებთ ცოტას ხანშია. სხვა ამ ქვეყნისა
ეს მოგახსენოთ ამბავი: ამ ალაგების გაჭირება და დღე ყოველ კმალს ქვეშ ყოფა
წვრილად რომე მოგახსენოთ ამბავი, დიად, გრძელი შეიქნება. ამის უფრო
საქმის გაჭირება აღარ იქნება, რომ ამ ქვეყანას არის. დღე ძვირად გავა, რომე ომი
და ცემა არსად იქნას. ამ დღეებში ლეკის აღსაყალებს ჩემთვის წიგნი რამ მოე-
წერათ, უცხო რამ, უმსგავსო და უთავბოლო სიტყუა იყო, რომე ვერ შევიტ-
ყევით, თუ ამისი მოწერა რა არის. ეს მოწერათ: „ვიცნე შენი ყმა გახლავს-
თო ეგენიც წამოასხიო და ყარაღაჯში დაჯეყო. ჩვენც კახეთის რბევანედ კელს
ავიღებთო და ჩვე(ნ)ც ქომავნი ვიქნებითო, ქვეყანა დასწყნარდესო“. ღიციო
მოეწერათ, რომე „ჩვენ თქუენზედ სამტროდ აღარ გავივლითო“. ჩვენი ამისი
ასსუხი ასე შეუბრუნეთ: „რადგან კემწიფის ქვეყნებს არბევთ, შირვანი თქვენ-
გან შეწუხებული არისმეთქი, მოდით ასეთი პირობა დადევით, რომე კემწი-
ფის ალაგებს აღარა შესცოდოთ რა და დასწყნარდეთმეთქი. თქუენგან ხათ-
რიჯამი შევიქნები, კელმწიფესაც მოვახსენებთ და მას უკან თქუენს სიტყუას
გავიგონებთმევთქვი (sic). კემწიფის ალაგს სხვაგან რომ ისრევ მტერობდეთ
და მარტო კახეთზედ კელი აიღოთ, ამით გერც მე შეგრიგდები (sic) და არც
კემწიფის დავლათს უჯობსმეთქი“.—ენ ამიტომე მივსწერე, რომე რადგან ქვე-
ყანა ასე შეწუხებულია ამდენი ჯარი არა მყავს, რომე მულამ იმათ პასუხს ვაძ-
ლევდე. მანამდი ჯარი მოგვეშველებოდეს ეგების ცოტას ხანს დასწყნარდეს
მევთქვი, თორემ თქვენც მოგესხენებათ და მეც ვიცი, რომე მანამდი ამათ ძა-
ლიანი თანბა არ დაემართებათ ქვეყნების რბვეისაგა (sic) კელს არ აიღებენ,
არც დასწყნარდებიან. ეგების ასრე ვინმე გავაშინჯოსთ, რომე ამ საქმეზედ
მე გავლაპარაკებოდე. ღმრთის მადლმა, ყენის თავის მზემან და მამა ნუ წამი-
წყიდებენ, რომე არც მე და არც ჩემს ყმას იმათთვის არც წიგნით, არც სიტყ-
ვით ამისი არა შეეთვალოსთ რა და ისინი რად შემომელაპარაკენ არ ვიციოთ.
ახლა ჩვენ რომე ამგვარი პასუხი შეუთვალეთ, შეიყარნენ და თელავს მოუტ-
დენ. სოფელი დაწვეს და ძროხა და ცხვარი წაიღეს. ტყვის წასაყვანად კი ვერ
შეუვიდნენ. ჩვენ ვინც აქ გვახლდაენ (sic) მივაშველეთ, უკან მისწოდენ და
ლთით ჩვენს ჯარს გამარჯვებოდა, ნაშოვარიც გაეყრენინათ და ოცდაერთი თა-
ვი მოგვიტანეს. ამის მეორეს დღეს თუშნი მოვიდეს, შილდას მიუტდენ, დაწ-
ვეს და ბევრი ავი უყუ(ღ)ს. ტყუე, საქონელი წამოიღეს. რაც იმ სოფლებში
ლეკის ჯარი¹ დგას ისინი თუშს ვერ შემოებნენ. თუშნი წაივინენ. ახლა კიდევ
აგრილდა, მთის ჯარის მოსვლის დროს არის და ვინც აქ ლეკი არის, ამათაც კა-
ცრ გაუტგავენიათ და ლაშქარი დაუბარებიათ. ვიციოთ, რომე ახლა დიდი ლეკის
ჯარი მოვა, ამ სოფლებში დადგება. კახეთს ცემას დაუწყებს. ჩვენზედაც მოსვ-
ლას ამბობენ. ღმრთითი რას მოახდენს იმან უწყის, ან რასაც გლეხს კაცს იმათ-

4. გ.

¹ თავდაპირველად დაწერილი ყოფილა: —ლეკი დგას. შემდეგ ჩაუმტებიათ—ლეკის
ჯარი.

თვის პირი არ მიუყვიათ. ან ისინი რას იქმენ ღმერთთა იცის. ონოფრე წინამძღვარიც თქუენად სახლებლად პაშტა ხანია დავიბარეთ, მაგან დაიგვიანა, არ მოვიდა. ბატონმა უბძანოს რომე წამოვიდეს ნინოწმიდელი და ეგ ერთად ვახლოთ ბატონს¹.

5 შ.გ.

17. 1722 წ. თეიმურაზის წერილი უსეინყულიხანისადნი დედანი, 47×27 სმ., დაწერილია თეთრ ქალაღზე მხედრული ხელით. განვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნაჩანია ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მეღნიტ მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და თარიღი—1722 წ. გამოქვეყნებულია Additions-ში 1721 წ. თარიღით, გვ. 425—427.

წერილში ლაბარაკია იმამყულიხანის გარდაცვალებაზე. ვახუშტის ქორონიკონით იგი 1721 წ. მაისში უნდა იყოს გარდაცვლილი (გვ. 253). კახეთის ცხოვრებაში კი აღნიშნული აქვს: „მოკუდა მეფე დავითიცა ქს ჩღებ“ (გვ. 136),—ე. ი. 1722 წ. ვახუშტის ამ მეორე ცნობას მხარს უჭერს გრაფ ტოლსტოის წერილიც, სადაც აღნიშნულია, რომ იმამყულიხანი 1722 წ. 2 ნოემბერს გარდაიცვალა (იხ. ისტორიის ინსტიტუტში დაცული АВНР დოკუმენტების პირები. საქმე № 5, სართ. II, გვ. 54) დედანი—Hd 1451.

უსეინყულიხანს

ქ. სიმცროთგ(ა)ნ ვიდრე აქანობამდე ჩემთა უღირსთა პატრონებთ მოშორებისათვის მგლოვარე და სამუდამოთ მათის საფარვლიანის წყალობის გაყრისათვის მოჩივარ-მოტირალი, კემწიფის მამის შეუსწაველი და ყოველად კურთხეულის დედის დედოფლის დაქვრივებულსა წილსა შინა აღზრდილი და მათსა უნაგარიშოსა გრზდასა (sic) და ნებიერობასა შინა ფუფუნეული და აქანობამდე მოწვენილი და მსგავსად შეცოდებისათვის ჩემისა მოგცა (sic) დატყვევებული და უქამოდ გარდაცვალებისათვის მისისა მარადღე მოჩივარი და მათის პატრონობის გაყრისათვის ცხელთა ცრემლთა მომდინარე და აწ ღთისაგან ჩემთვის დიდად წყალობად მონიჭებულის და მამის მსგავსად ნუგეშინის საცემლად ჩემდა ბოძებული, ჩემად მწყალობელად აღზრდელი, უხუცესი ძმა ჩემი, ჩემთვის რამდვენ (sic) რიგად მოწყალე, რამდვენ გზის საპატრონო ჩვენის ო(გ)ის და სახლის, კელახლა გამომჩენელი, დაქცეულის სახლის აღმამართებელი, ყოვლის საკეთილს საქმის მქონებელი, სიღრმით და სიბრძნით და მეცნიერებით მამა-პაპათ შესამსგავსი, კემწიფის მუსაიბი და შვილად აღზრდილი, ჩემი აუარებელი ღთის წყალობად ყოვლის კეთილის მომნიჭებელი, რა ზურგი², რა იმედი, ჩემზედ რამდვენ ქირანახული, ჩემი პატრონის ძმის მეფის მიცვალებისათვის ასე უნაგარიშოდ ღთის რისხვა მოვლენილი³ და ყოველი ჩემი შეგება-სიხარული განქარვებულ ჩემს ქამში არღარას კეთილის მომლოდინე სიხარულ შეგება განცუდებელი და მარადჟამ დაუცხრომელითა ცრემლითა მტირალ-მოჩივარი, ჩემს ქამში უარესისა და უმწარესისა ღთის რისხვის მხილველი უკეთესისა და უბატონისნის, ჩემის მოწყალეთ კემწიფეთ დაშორებულო, თქვენი სიძე ბატონის შვილი თიმურაზ (sic) მოვახსენებ ჩვენო აუარებელო ღთის წყალობაჲ და უნაგარიშოდ შემწე-შემწყნარებელო, მეფეთ მეფევ ბატონო⁴ ჩემო,

1

შ.გ.

2

შ.გ.

¹ საბუთის verso-ზე დასმულია იმამყულიხანის ბეჭედი.
² დაწერილი ყოფილა—გურგი შემდეგ გაუსწორებიათ.
³ დაწერილი ყოფილა მოვლული შემდეგ გაუსწორებიათ.
⁴ ამ სიტყვის შემდეგ დასმულია შვიდი ვერტიკალური ხაზი.

უხვად შემბრალო ამ დღისათვის გებრალეზობდეთ და ამისთანას ჩემის გაუძღვებელის დღის მოვლენისათვის შეგვიწყნარეთ, ჩემი რა მოწყალე, რა პატრონი, მამის უტკბოსად მომღელი (sic), ბატონი ჩემი ძმა მეფე იმამყულხან გამიქარდა. დავითი მას უკან უძმო, უპატრონო, მომღელ-მომნიჭებელ დაძვირებული და ჩემს დღეში მისი მგლოველი და მისი კემწიფეს თავის მგონებელი. ვაი ჩემს ყოფა-ცხოვრებას! ასე წიგნი გებოძათ, რაც გებძანათ ყველა გავიგონე ღმერთი მამეცეს თავდებათ, რაც წმინდანი ღთისანი არიან იმათიმც მგმობელი ვიქნები, თქვენიმც თავი მაიკლება (sic) და ღმერთმან თქვენი შაუბრალეზბელი მამკლას, (თ)უ რასაც ჩემს დარბაისელთ ეფისკოპოზთ ჩემთვის ბატონობა დეშალოს (sic), ან ჩემის ძმის ბატონობა ერჩიოსთ და იმის მისაცემლად კახეთი მოენდომებინოსთ. თითქმის ჩემის ძმის სიცოცხლეში ჩემთვის უნდოდათ. ამათში გახდილვარ (sic) და ამათგან ნაჭირნახულევი. ესენი მაგას როდის მირჩევდენ, მაგრამე მე ჩემის ვუნებით დავინახე და მივხდი (sic), რომე გამეგონა და შესმოდა: იოანი ძმანი იყვენენ იმამყულხან და მამადყულხან: ერთათ დაბადებულნი. ერთად გახდილნი. კურთხეულმა მამაჩემმა კინალარ იმისის თავაზით კახეთი იმას უშოვა.—უფროსი არისო და დღეს აქამდი სულ შემომწყარალსავით იყო: „ძმისა ბატონობა არ მითავაზო“. მაგრამ ჩემი ძმა კურთხეული იმამყულხან მშვიდი კაცი ბძანდებოდა და კაის საქმით ამშვიდებდა. ახლა მაგისი რა რჩევა მიწოდდა, რომე მამადყულხანის საწყენს თუ რასმე ვიქმოდო, ან უკითხავს— დამმეტერებოდა და ჩემს საქმეს გზას არ წაიყვანდა და ბიზღებოდაც არ მომისვენებდა, თუ რგება და მოკმარება შეუძლიან,—დაპარცხება უფრო არ შეუძლიან! ერთი ერნაში გამოჩენილი კაცი ისიც არის. სიყრმითგან კელმწიფეს სულ ბეგობაში ყვანდა და ახლა შვიდი-რვა წელიწადია თავის ტახტზე უჯდა. მამაჩემი არ უძახოდა ნაბიჭვარს, ჩემი ძმა და კემწიფე ნაბიჭრობით! არას პატივს აკლებს, ახლა მე როგორ დაუძახო ნაბიჭვარი და კმალზედ დაუდგე! აოკრებულის კახეთით რა მაგისთანა ძალი მაქვს! თქვენი უმცროსი ძმა ბძანდება კარზე ყულარადასი, ღმერთმან ნუ ქნას. ისე რომე კარზედ მაწყენლად გყვანდესთ უამებლად და მოუსვენლად (sic), ვეჭობ თქვენც შეიქნათ, თქვენმა მზემა. მე ასე მეგონა. რადგან ჩემი უღირსი პატრონი ბძანდებოდა და მამის ალაგს მოწყალე ამ ჩემს ნდომასა და ჩემს ძმასთან ჩხუბის² ჩამოუგდებლობას მომიწონებდით და თქვენ კი გამწყრომიყავით. თქვენის თავის მზემა, თუ იმან და მე ერთმანეთს ცემა დაუწყევით, თქვენც დიდად შეგაწუხებთ და ქვეყანაც მამეთობრება. ვეღარც შვილი მოისვენებს და ვეღარც შვილისშვილი. რალა ვართ, რომე ახლა ჩვენ ერთმანეთს ცემა დაუწყეთ. ორი ძმანი ჩვენ ვართ და ორი ძნისწული დავგრჩა. თუ კემწიფე არ გაგვიწყრა, ჩვენ რალანი ვართ ერთმანეთისა. რომელიც გაბატონდება ყველა ერთმანეთის პატრონი ვიქნებით. მაგაზე თქვენგან წყრომას არ ველით და არც სხვას რიგს საქმეს. იშვი(ა)თი საქმე ბევრჯელ! მომკლარა საქართველოებში, რა დადება არის ერთი უშვილო კაცი როსტომ მეფეც ბძანებულა კემწიფედ და ერთი ესეც იქნება. თუ ღმერთმა იმისი

1 დედანში წერია: ნაბიჭობრით.
 2 დედანში წერია: ჩხუბის.
 3 დედანში წერია: რახნი.
 4 დედანში წერია: ბევრჯელ.

მოსვლა! მალირსა. ღვეითა და თქვენის ბედნიერობით, რადგან მე თქვენი ვარ, ჩემის გულისათვის ის უფრო მამებელი (sic) შაიქების. თუ ჩემი ძმობა ენდომება ჩემთვის დიდი ღირსის რისხვა არის, რომ თქვენ ერთს საქმეს მიშლიდეთ და მე უარს მოვახსენებდე, მაგრამ ის კარზე არის და ჩემი წიგნი რომ ჩასულოყო იმის უნდომლათ ვინ რას გაიგონებდა.²

18. 1722 წ. თეიმურაზის წერილი უსენყულიხანისადმი. დედანი, 54,5×22 სმ., დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და ვარაუდი, რომ დაწერილია იმამყულიხანის გარდაცვალების შემდეგ 1722 დან 1724 წ. დე. გამოქვეყნებულია Additions-ში 1722 წ. თარიღით, გვ. 427—428.

წერილი მართლაც, დაწერილია დავით II გარდაცვალების შემდეგ ახლო ხანებში! ამიტომ 1722 წ. ვთარიღებთ.
დედანი—Hd 1452.

უსენყულიხან

ქ. მრავალ მცოდნელობათა ჩემთაგან და ღირსა უხვ მოწყალეა აღძარცვითა, ესეოდენად განცდილი და ჩემ უღირსად მობრალულ-მოწყალე ძმა და კელმწიფე და მის მრავალ საფარკლიანობა განშორებული და მისგან უნუგეშინისცემოდ დატყვევისათვის ვიდრემდე სულდგმულ ვარ, მწარედ მოჩივარ-მორუდუნე მაგათი სიძე ბატონის შვილი თეიმურაზ ვკადრებთ და მოვახსენებთ ყოვლად დიდებულსა, ქებულსა და ღირსად პატიოსნებისა მათისა ამაღლებულსა ჩვენად მოწყალედ შემწე-შესავედრებლად და პატივ საფარკლად მისახედ-შესავედრსა, მამის მსგავსად მისამართ-მისაჭვრეტსა და უმეტესად მამისა მამად წოდებულს, ჩვენს დიდად და აუვარებლად ღირს წყალობად საგულევებელს მეფეს და სიმამრს ბატონს¹ მრავალი მაგათის ქება შეუგებელის და ჩვენთვის სახლებლად სანაჯავდ შესაყრელად და სამსახუროდ სანატრელის თავის შესაფერი მოკითხვა, ნახვა-შეყრის წადიერება მრავლად⁴ და მსახურების ნატრა მომიხსენებია. აწე წიგნი ებოძათ და რომელიც ებძანათ გავიგონეთ. ისეც ღმერთი მაგათის ბედნიერის თავის პატივ-საფარველს ჩვენ ნუ მოგვიმლის, როგორც ჩვენ მაგათზედ გუნება დაჭერებული გვექნადეს. ქვეყანაც მაგას ხედვედეს რომელიც ჩემი სამჯობინარო იყოს, იმას გვიბძანებთ და გვაქნევიანებთ და რომელიც კემწიფის

¹ ამ სიტყვის ადგილას დაწერილი ყოფილა სხვა სიტყვა. ის წაუშლიათ და ეს დაუწერიათ.

² დასმულია თეიმურაზის ბეჭედი. დავით II-ის ძმა კოსტანტინე, რომელსაც მაჰმადიანობაში მაჰმადყულიხანი ეწოდებოდა „ნაშობი მხედლისაგან“ ე. ი. „უკანონო“ შვილი იყო (ვახუშტი, გვ. 137). ვახუშტის ცნობით იმამყულიხანის გარდაცვალების შემდეგ „განიყუნენ კახნი“, ზოგს თეიმურაზი სურდა მეფედ, ზოგს კი მაჰმადყულიხანი (გვ. 136). ამ წერილიდან ირჯ ვევა, რომ ვახტანგ VI თავის მხრივ, კახეთში თავისი სიძის თეიმურაზის გამეფება სურდა, რაც კიდევ უნდუნებია თეიმურაზისათვის. კოსტანტინე ამ დროს შაჰის კარზე იყო და ვახტანგი მომენტს შესაფერისად თვლიდა. მაგრამ თეიმურაზი ქვეყნის არეგ-დარევეს მორიდებია და ვახტანგის მოსაზრება შორს დაუჭერია. უნდა ვიფიქროთ თეიმურაზი შაჰის რისხვის ვრიდებოდა. ხოლო ვახტანგს, რომელიც თეიმურაზს ასეთი ნაბიჯის გადადგმას კარნახობდა ირანთან შეჯახების შემთხვევაში, ძლიერი მოკავშირის იმედი უნდა ჰქონოდა.

³ ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

⁴ დაწერილი ყოფილა მოკითხვა. შემდეგ წაუშლიათ და დაუწერიათ მრავლად.

დავლათსა და ქვეყანას უჯობს თქუენც იმას იქთ და ჩვენც ღვეთითა და თქუენისავე ბატრონობით თქვენს გარდუალს, ვითაც გემართებს, როგორ რასამე ვიქთ, ჩემი ყოელი (sic) მოვლა და ბატრონობა თავად უწინაც თქუენს კელში ჩამომეგდო და ახლა ნამეტნავად თქუენს იქით რაღა მეცოდინება. თქუენის ჯარისა ლილოზედ გამოსვლა გებძანათ და ჩვენთვის გეკითხათ. კურთხეულის ჩემის ძმის მეფის იმამყულხანისა და ჩვენი დარბაისელთ. ებისკოპოზთ მოხსენება და თავის წყენა თქუენთან ყოველთვის ეს არის,—თქუენ ჯარით გამობძანდეთ და ჩვენს ქვეყანას უშველოთ და მტერი გაგვილაზოთ. თქუენის გამობძანდების იმედით აქანადღინ გეყვენებო; ქვეყანა ხიზანი იყო, თუ მოსახლე ვინმე სახლობს, თქუენი გამობძანება რომე ესმოდა, ბატონის ჩემის ძმის სიცოცხლეშიაც დიდს ზურგსა და იმედს აბემა (sic) და ამდენი ჭირი გასძლეს. თქუენგან და თქუენის დიდის ჯარით გამოსვლის უკეთესი არა იქნების რა, რომე ამ გათავებულს ქვეყნებსაც თავის ალაგს დაყენებს და მტერსაც დასჩაგრავს და ძალას მოუშლის. ამ ქვეყნის ანბავიც ეს არის, რომე მოგვიხსენებია. ბატონი, ხომე გონიერად გაშინჯავს, კიდევ მოხსენებია და კიდევ თვალითაც უნახავს კახეთის ვაოჭრება და მტრისაგან წახდენა. თუ ღმერთი და მაგათი ბედნიერობა გვადირსებდეს და მაგათი გამობძანება იქნებოდეს, ჩვენც აღრე გვიბძანონ, რომე ჩვენი ფიქრიცა ვქნათ. კახეთის შიგნით სოფლები რომე გალექდნენ იმათი ცასეთი ფიქრი გვაქვს, ღვეთითა და თქუენის ბედნიერობით, რა მაგათს გამობძანებას და კახეთის მოშველებას შეიტყობენ, ისინიც ჩვენკენ მოიწევენ და ვისაც ვალეკებისა და აყრის ფიქრი აქვს, ისინიც ამ კახეთის ალაგს ველარ დავლებენ, ველარც ვალეკდებიან, ზოგი შიშით და ზოგი იმედით და ზურგის მობძმით. მაგრამე ბატონსაც მოეხსენება, ლილოზედ ჯარის დადგომა შიგნით კახეთის ალაგებს არას არგებს, ამიტომე რომ, რადგახ ვალეკებული სოფლები არიან იმათ თავიან (sic) ალაგებში ლეკნიც ყუანან ზოგირამ და რა ამას დაინახავს ჯარი შორს დგასო, საცემლად ვერ მოგვეწვდებო, სოფლებს ცემას დაუწყებენ. ლილოზედ დგომა ამიტომე ყოც(ე)ლს ალაგზედ შორს იქნება, თორემე, სადაც თქუენს ტახტზედ ბძანდებით მანდილამაც დიდი იმედები ესმით და ამ ალაგებს კიდემ ის აყენებს, თორემ თქუენი ლილოზედ დგომა როგორ ქვეყანას არ მოაბრუნებს. ერთი ესეც არის ლილოზედ მდგომი ჯარი ვანჯას და სხვას ყიზილბაშების ალაგებს არას არგებს, რადგან ჩვენც და ჩვენს ალაგებსაც მაგ წყალობას უხამთ და გამობძანდებით, ასეთს ალაგს მობძანდით, რომე კახეთსაც არგოთ და ყიზილბაშის ქვეყნებზედაც სამ(ო)ყროდ ბძანდებოდეთ. ჩვენთვის დიდი წყალობა და ქვეყნისათვისაც სამჯობინარო იქნება. ბატონმა ესეები ვამიწვოს და მაგათ უკეთ საქმის დანახვა ვინ რა იცის, რომელიც ან მაგათ უჯობდეს და ან ამ ქვეყანას,—ის მოახდინონ და ის ქნან. ჩვენგან მაგათი მოხსენება ძნელია, მაგრამე რადგან ებძანათ ჩვენ ეს მოგვიხსენებია და რომელიც ბძანოს მალე გვიბძანონ, რომე ჩვენც ჩვენი ფიქრი ვქნათ და საქმე კელთ დავიქოროთ. ჩვენი ებისკოპოზი ჭერემელი გრიგოლი გვიანლებია და ჩვენს სიტყუას ბატონს მოახსენებს³.

ე. გ.

¹ დაწერილი ყოფილა ჯარის, შემდეგ გაუსწორებიათ.

² დედანში წერია: დიდიდი.

³ საბუთის verso-ზე დასმულია თეინერაზის ბეჭედი.

19. 1723 წ. თეიმურაზის წერილი უსეინყულიანისადმი. დედანი, 45×25,5 სმ., დაწერილია თეთრ ქალაღზე მგებრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია სამ-საი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და თარიღი 1722 წ. გამოქვეყნებულია Additions-ში 1722 წ. თარიღით, გვ. 428—429.

წერილში ლაპარაკია შაჰისაგან ვახტანგისათვის სარდლობის წყალობის შესახებ. ამ ამბის თარიღით ვახუშტი ქართლის ცხოვრებაში 1722 წ. აგვისტოს იძლევა (გვ. 82), ხოლო კახეთის ცხოვრებაში 1723 წ. (გვ. 137), ვინაიდან 1722 წ. აგვისტოში იმამყულიანი ცოცხალი უნდა ყოფილიყო, ხოლო ეს წერილი დაწერილია იმამყულიანის გარდაცვალების შემდეგ, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ვახუშტის მეორე ცნობა უფრო სწორია. ამდენად საბუთსაც 1723 წ. ვთარიღებთ.

დედანი— Hd 1453.

უსეინყულიან

ქ. მაგათის ღვთის მიერ ზეგარდმო განგებით ღირსად ამაღლებულსა¹ და განძლიერებულს, საბედნიეროს ეტლზე დამყარებულის, თავის გვერც (sic) ზღებისა და სამსახურის მოწადე და (ა)მოდ ყოფნის მონატრე მაგათი სიძე, კახეთის ჯანიშინი ბატონის შვილი თეიმურაზ ვჰადრებთ და მოვახსენებთ ჩვენსა აღურაცხელ, ღთისაგან წყალობად მობოძებულსა, ყოვლის კეიილის მყოფლად მონიჭებულს სახელოვანს და ყოვლს (sic) ქვეყანას კმა აღმატებია სახელ-განფენილ-განწენილს, მრავლის დიდებით აღმატებულსა და წარჩინებულსა, ღვთისაგან ზეცით საფარვლიანსა და ქვეყანად დიდის კელმწიფისაგან უზვად წყალობა განმრავლებულსა, გრძლად რალა თავი ვაწყინოთ მეფეს ბატონს² მრავალი და აურაცხელი, მაგათის მრავლის სიკეთით შემკულისა და ყოვლის სახელმწიფოს ზნე-ცოდნა მოუკლებელის თავის შესაფერი მოკითხვა, გვერც ზღების სამსახურის ნატრა და ამოდ ყოფნის სიხარული მოეხსენოთ. მერმე ეს მოვახსენოთ: ჩვენს ძმას წიგნი მოეწერა და კელმწიფისაგან მაგათთვის სარდლობის წყალობის როსვლა ებძანა და მაგათი და ჩვენის ძმის ერთობის და კაის მდომობს რაყმის მოსვლა მოეწერა, მათი მოწერილი წიგნი მანდ გვიახლება. ღმერთისან ბედნიერის კელმწიფის წყალობა ნურაოდეს დაგილიოსთ, ღვთის წყალობას მოგცემსთ, როგორადაც ჩვენთვის სასიხარულო და სასიამოვნო აბავი ეს იყოს. ჯერ კელმწიფისაგან თქვენთვის დიდი წყალობა და მერმე კიდევ რომელსაც ღმერთს ვეჯეწებოდით თქვენსა და ჩვენს ძმას შუა იმგვარი ერთობა კელმწიფესაც მოუტდენია. ღთით იმედი გვაქვს, რომე დღეს ამას იქით ერთმანეთის საწყენი არცეთმა იკადროთ. თქვენმა მზემან ყენის რაყამიც არ მოსლოდა მე ჩემის ძმისგან ვიცოდი, რომე თქვენი დიად, ერთობისა და სიკეთის მდომელი იყო და თქვენც ასეთს სიტყუას მიბძანებდით. თქვენც მწყალობელი და სიკეთის მდომი ბძანდებოდით. ახლა ასე მოქდა, მე ამას ღთისაგან წყალობად ვიმაღლი, რომელიც მოგეხსენებოდესთ ან თქვენი ჩაფარი მოსულიყოს, გვიბძანოთ. ამასაც მოვახსენებთ: კახეთში ლეკმა დიად ძალა ქნა, დიდი ჯარი ჩამოვიდა და გაღმამკარში დგას და იქიდან რალაც სოფლები დაგერჩომია ლაშქრენ³ და აოკრებენ. ამას მოველით, რომ ჩვენც ყური მოგვიკდონ, რომე ამას

¹ დედანში წერია ამაღლებულსა.

² ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი და დასმულია რამოდენიმე დეფიზი.

³ ამ სიტყვის შემდეგ დაწერილი ყოფილა—დგას, შემდეგ წაუშლიათ.

უფრო ეს ქვეყანა არ მოითხაროს. მდივანი სულხან გვიახლებია და სხვას ჩვენ ამბავს ეს მოგახსენებთ¹.

და მ ა ტ ე ბ ა

20. 1720—22 წწ. იმამყულიხანის წერილი უსეინყულიხანისადმი. დედანი, 48,5×25,5 სმ., დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი ან სამ-სამი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და ვარაუდები, რომ დაწერილი უნდა იყოს 1719 წ. გამოქვეყნებულია Additions-ში თარიღით: „1716 წ. შემდეგ“. გვ. 412.
დედანი—Hd 1449.

უსეინყულიხან

ქ. მაგათის ყოვლად პატიოსნისა და მრავლის კეთილით აღსავსის, თავის განუშორებლად ერთად ყოფნის წადიერი და ამოდ ყოფნის გაგონების მდომებელი მეფე იმამყულიხან ვაკადრებთ და მოგახსენებთ ჩვენსა აღურაცხელ ღთის წყალობასა ყოვლის კეთილის მყოფელსა, პატივ საფარვლად საგულეებელსა, ლხინ-სიხარულად მოსალოდნელსა, სახელოვანსა და ყოვლს (sic) ქუეყანას სახელოვნობით კმა განფენილსა, მრავლის სიკეთით პირად-პირადად შემკულსა, ყოველთა მეფეთა შორის წარჩინებულსა და აღმატებულსა, ღთისაგან ზეცით საფარვლიანსა და ქუეყნად დიდისა და მალლის კელმწიფისაგან უხვად ღირსად და სამართლად მრავალ წყალობა მონიჭებულსა და განმრავლებულსა და ამალღებულ განძლიერებულსა გრძლად რაღა თავი ვაწყინოთ მეფეს ბატონს² მრავალი მაგათის სიბრძნე მეცნიერება მოუკლებლის და ყოვლის საკელმწიფოს ზნითა და ქუეყნით უნაკლულოს თავის შესაფერი მოკითხვა და უუნოდ (sic) და უზიანოდ ბქანების სიხარული მოესენოსთ. მერმე ხალილაშვილი ისმეილა აქ ჩვენ გვემსახურებოდა, ნოქარი იყო და ამ ჩვენს ხოჯა ალა თავის, მაგის თავზედ განჯას ზოგი რამ წართმეუია ეს ხოჯა თავს³ (sic) მანდ გვიახლებია და ამისი საჩივარიც მოიხსენონ და გასინჯონ და სამართალი უყონ. უსამართლოს ნუ დამართებენ³.

21. 1720—22 წწ. იმამყულიხანის წერილი უსეინყულიხანისადმი. დედანი 47,6×31 სმ., დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად ყოველი სიტყვის შემდეგ ნახმარია ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრანგული მინაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე შინაარსი და ცნობა, რომ ვახუშტის ანა მიაჩნია 1716 წ. გარდაცვლილად. იქვე მინაწერილია თარიღი „1716“ გამოქვეყნებულია Additions-ში თარიღოდ, გვ. 408.

1716 წ. გაზაფხულზე გარდაცვლილად ვახუშტის მიაჩნია დედოფალი ანა, ერეკლე I-ის მეუღლე. რადგან საბუთში ანა მოხსენებულია მხოლოდ „მონახონ ბატონ ანანად“, „ბატონ დედაკაცად“, ჩვენ ვეკვობთ, რომ იგი კახეთის დედოფალი იყოს.
დედანი—Hd 1430.

უსეინყულიხან

ქ. სიკშოთა შინა გონებისათა განვრცობით და დაუყუდუნებლად (sic) ვრცელ-სივრცით-სიყვარულისა დამნერგველმან, განუკეთელობისა და თანავე

¹ საბუთის verso-ზე ხვეულად ხელს აწერს თეიმურაზი.

² ამ სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

³ საბუთის verso-ზე დასმულია იმამყულიხანის ბეჭედი.



შეძერწილობის შემწვანდნამან, თანა-თვალგდებისა და განუშორებელობის მნე-
 ბავმან, მათთვის დიდ-დიდებად, ქებად და ამაღლებად განმზრახველმან, ურთი-
 ერთს შესიტყუებად თანადგომად ინაჩით ჯდომად ჟამად-ყოლე (sic) მომნატე-
 რელმან, თქუ(ე)ნებრთასიბრძნეთა, სიმკნეთა და სიღრმე სიქველეთა მცნობელ-
 მან და თქუ(ე)ნადვე მომხედველმან, მეფეთა ძემან, ძმად თქუენად ჩვენმან იმამ-
 ყულისან გიწყენ ძიებად მეძიებელმან, კეთილთამან საძიებელნი კეთილოვნე-
 ბისანი გიძიენ, ნაძიები უწყინარსვე ზენა ზენათგან ღვთისა წადიერებით ძიე-
 ბული და თითთა მისთაგან სამეფუფოთა მიწიერად მიწა შესაქმედ კეთილ-კმა-
 საყოფელი, გარბა კაცობრივ კაცად ადამიანად ადამისადვე ბაძიიერი ვინათგან
 ცთომით არავე ადამიერი, დიდ-დიდებული და ნადიდებ დიდებულებად მიწიე-
 ნული, მთავრებრივთა ბატივთა უმთავრესად ზედან უდიდებულეს ჩინებული,
 გონებისა განგულვებით სურვებით სასურვო და თვისობით თვისად, თან-თანა-
 დობით სათვისო, ზღუდედ სიმტკიცედ, სიმკნედ, სიმშვიდედ და გოდლად
 უძლევებლობისად მპოვნებელმან გპოვენ ძმად ჩვენდა ძმათა შორის უმთავრე-
 სი ძმა და მპყრობელი კელმწიფობისა მეფე¹ მომკითხველმან კითხვით მოვიკით-
 ხნით, ანაქესთ (sic) მქტეველებრივნი უენო-უმიზეზობით ცხოვრებანი მათნი და
 განვსით განვრცელებით ვისურვეთ დღე-ა(ღ) თილობით, განქეშმარიტებანი თვი-
 თებანი, დღეთა მათთანი რათა მან დამაარსმან არსებათამან და ორღანოთა ნიე-
 თებით დამინიეთებელმან, ნივთთა აღნაგნი, სივრცით, სიღრმით, სიგრძით, დღე-
 მრავლობით და ჟამ განუკუთელობით ყოს ქტევა მოძრაობანი ჩვენნი, ამათ
 დღეთა შინა საწუთოსა ცხოვრებისა ჩვენისათა აწ და საუკუნოდ¹.

აწე იუწყ(ებ)ნით ესეცა, ჩვენ მიერ წარმოთხრობილნი თქუენც მოგახსე-
 ნებათ და იღნობ და იცით, რომე რომე წარნაზონი ბატონი ანნა, როგორად სიმც-
 როთგან ღვთის მსახურებაზედ აღზრდილა და იქცევა და თავის თავი ღთისა-
 თვის შეუწყირავს. მწვედ ბატონისანი და კეთილად მქტევი ბატონი დედაკაცია. მა-
 შინ, რომე ბატონი მამა ჩვენი მანდ ბძანდებოდა, თან ახლდა. მწვედ მწყალო-
 ბელი და ყურის მიმგდები ბძანებულა. ასრე მაშინაც იერუსალიმს წასვლა
 მოენდომა. ბატონს მწვედ დაეშალა და არ მნდომოდა (sic) გაშვება, მაგრამე არ
 დაეშალა წასვლა.—წასულიყო, ბატონს მანდ თქუენის ქალაქიღამე, მოქალა-
 ქე ბელადი გენტარებინა თანა. ბელადებს კარგად და უმიზეზიენოდ იერუსალიმს
 ნიეყუანათ. კარგად ხანი იერუსალიმს ყოფილიყო. ახლა იმათივე შენდობით აქა-
 ვე საქართველოებში მოსულა. აქანამდის აქ ბძანდებოდა. ახლა ისევე დაგვე-
 თხოვა. მწვედ გვეწყინა და დაუშალეთ, რომე ჩვენთვისაც მწვედ დასაკლისად
 დავიწახეთ და ჩვენს ქვეყანასაც დიდად დააკლდება, რომე ერთი ამ რივი სი-
 კეთის მქონებელი არავინ დარჩომილა. რადგან დიდი აღთქმა ქონოდა, ჩვენგან
 აღარ, დაიშალა. წამოვიდა. ამანაც თქუენ მოგმართათ და ჩვენც თქვენ შემოგვედ-
 რეთ. რომე თქვენნი მოქალაქენი ვაჭარნი ბევრნი იარებიან იმ ალაგებშია. ამ-
 დენი წყალობა უყავით ამას და ჩვენის გულისათვისაც მოიწადინეთ, რომე ერ-
 თიბრიანს (sic) კაცს გაატანოთ და იქ მოარულს, რომე ღთისა შეწევნით უმიზე-
 ზოდ იმ ალაგებში მიიყუანონ. როდისაც მაიღწიოს, ბატრიაქს ან იმის ვექილს მი-
 უთვალოს და მიაბაროს, რომე იმათი წიგნი მოგერთვას და ჩვენც შევიტყოთ.
 რომე ამისი მისვლა როგორად მშვიდობით მიუწევიო, ჩვენც მწვევედ (sic) და-
 ვინაღლებთ და ამასაც თქუენი თავი ალოცვინეთ, რომე¹ თქუენის შემწეულობით

5

6

¹ ან სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი.

7 7-ბ

იმ ალაგებში მიაწიოს და თქვენ გლოცედეც და ვიხსენებდესთ. ღმერთზე დი-
დად დაგიმადლებსთ, რომე გზაზედ ერთი რამე შესაწუხებელი ვარჯა არა შეხვ-
დეს რა, კის ბელადების ვარჯითა. რადგან ღმერთის სახელზედ მივა და რომელიც
სჯული უჭირავს იმის გზაზედ ირჯება ყოველმან ვინმე კელი უნდა მოუ-
მართოს¹.

22. 1721—22 წწ. იმამყულიხანის წერილი უსეინყულიხანისადმი. დედანი, 57×25,5 სმ.
დაწერილია თეთრ ქაღალდზე მხედრული ხელით. განკვეთილობის ნიშნად
ყოველი სიტყვის შემდეგ ნახარია ორ-ორი წერტილი. საბუთზე გაკეთებულია ფრან-
გული მინაწერი მელნით მ. ბროსეს ხელით, სადაც მოცემულია საბუთის მოკლე ში-
ნაარსი და თარიღი—1719—22 წწ. გამოკვეთებულია Additions-ში უთარიოდ.
გვ. 412. წერილში მოხსენებულია მამიჭიან (sic) ჩვენ ვფიქრობთ ეს არის ეთმადო-
ვლეს ძმა მამაძიანი (იხ. წერილი 11). რომელიც 1721 წ. გამოგზავნეს „მრავლის
ყიზილბაშის ჯარით“, აპიტომ წერილს 1721—22 წწ. ვათარიღებთ.

დედანი—Hd 1450.

უსეინყულიხან

ქ. მაგათის მღთის მიერ² ამაღლებულისა და დიდის კელმწიფისაგან სამართ-
ლად წყალობა მობოძებულისა და ბატონ სავარველ განმრავლებულისა და ყოვე-
ლის სიბრძნე მეცნიერობით და საფილოსოფოსის (sic) მეტყუელებით აღვსილის
თავის შეყრისა და მუსაიბობის მოწადე ქმნილი მეფე იმამყულიხან მოვასხენებთ
ჩვენსა დაუღვენელად მღთის წყალობათ საგულეებელსა და სამარადისოთ ჩვენ-
თვის კეთილზე ზურგად და საიმედოვნოდ გამოსალოდნელსა, გრძლით რადლა
მოვასხენოთ საქართველოს მპყრობელს მეფეს ბატონს³ მრავალი და აღურე-
ცხელი (sic) მაგათის სახელოვანისა (sic) და ყოველს ქუეყანას მაგათ საკადრი-
სად სახელოვნად კმა-მიწვენილისა, საკელმწიფოს ქვეულობით და სამ-
კედროს ზნით შემკობილისა და უნახველთაგან სანახავად სას(ა)ტრელისა და
მნახავთაგან საქებარ სადიდებარის თავის შესამსგავს, მოკითხვა და ამოდ ყოფ-
ნის სიხარული მოახსენეთ. მამიჭიან (sic), რომ ჩვენი ათასი თუმანი ყენის (sic)
წყალობა თეთრი დაგვისარჯა, მაგისავე ხანობაში წიგნი მოვსწერეთ, ვსთხოვეთ
და ასე მოეწერა: „მე დავხარჯეო,—ჯინშს მოგცემო“. მაგისი წიგნი კელთა გვა-
ქვს, ჩვენ რომ ჯინშის სათხოვენლათ კაცი გავგზავნეთ, მანამდის მაგისთვის ხა-
ნობა გამოერთმევათ. უღულებან მოსულიყო. ჩვენს კაცს ეთხოვნა და მაგას
უღულებანთან პირობა დაედვა: „ხვალ მივსცემო“. იმ ღამეს ეგ მანდ წამოსულიყო
და მაშინვე ამ საქმეზე თქვენ წიგნი და კაცი გახელით (sic) და არა მოგვცა რა.
ახლა ჩვენ კემწიფის სხვის ალაგიდამ თანხა ვსთხოვეთ და ებძანა: „იმანვე მის-
ცესო“. უღულებანისათვის ებძანებინათ,⁴ რომ მაგისის კერძის რისაც ფერისა-
გან უნდა, მაგას გამოართვას და მოგვცეს ახლა ეგ მანდ არის და უბძანეთ, რომ
ან მანდილამ თავისის საქოლნით (sic) მოგვცეს და ან თავის ძმას უღულებანს
წიგნი მოსწეროს, რომ იქილამ მაგისის რისაც ფერი (ა)მ იმან მოგვცეს. ეს სომ
თქვენც მოგესხენებათ. ჩვენ ეს გვერჩიენა, რომ სხვის ალაგიდამ ებოძებინათ,
მაგრან ისევე მაგაზე ავალა გვიყუეს და რადგან მაგასვე მოცემა უბძანეს, ასე
გარიგოს (sic), რომ კემწიფისათვის აღარ შეგვაწყენინონ თავი. ამ საქმეზე ზალ
(sic) სუფრაჩიშვილი გვახლებია.⁵

¹ საბუთის verso-ზე დასმულია იმამყულიხანის ბეჭედი.
² ეს სიტყვა ჩამატებულია
³ ან სიტყვის შემდეგ დატოვებულია თავისუფალი ადგილი და გასმულია რამდენიმე
დეფიზი.
⁴ დაწერილი ყოფილა: ებძანებათ, შემდეგ გაუსწორებიათ.
⁵ უკანასკნელი წინადადება შემდეგ უნდა იყოს მიწერილი. საბუთის verso-ზე დასმუ-
ლია იმამყულიხანის ბეჭედი.

გამისა ბერძენიშვილი

ძველი თბილისის ტოპონიმიკიდან
(რასტაბაზარი და ჩორსუ)

ძველი თბილისის ტოპონიმიკის დადგენისას დიდ დახმარებას გვიწევს თბილისის სინამდვილეში დღემდე შემონახული სახელწოდებები. ასეთებია, მაგ., სირაჯ-ხანის აღმართი, დახურული ბაზა-ხანა, ოქრომჭედლების ქუჩა და სხვა მისთანანი, რომლებიც ამ ქუჩათა ახალ, თანამედროვე სახელწოდებათა გვერდით კიდევ ცოცხლობენ თბილისელთა მეტყველებაში. მაგრამ ძველი თბილისის ბევრი ქუჩისა და უბნის სახელს ჩვენამდე არ მოუღწევია. ასეთ უკვალოდ დაკარგულ სახელწოდებებზე რიცხვს მიეკუთვნებიან რასტაბაზარი და ჩორსუ, XVII—XVIII საუკ. თბილისის ერთ-ერთი ხალხმრავალი და გაცხოველებული ვაჭრობის ადგილები.

ორივე ეს ცნება და მათი სახელი თბილისში შემოსულია ირანული სინამდვილიდან. რასტაბაზარი *راستا بازار* ერთ სწორ ხაზზე განლაგებულ სავაჭროთა რიგს აღნიშნავს (სიტყვიდან *راستا* —სწორი). ჩორსუ¹ *چارسو* კი სიტყვა-სიტყვით ოთხკუთხეს ნიშნავს. ირანში ის იხმარებოდა გზაჯვარედინებზე გამართული ბაზრის აღსანიშნავად. რაკი ამ ცნებათა მნიშვნელობა ჩვენთვის ცნობილია აღმოსავლეთის სინამდვილიდან, ამიტომ თბილისის მიმართ დასადგენი რჩება მხოლოდ მათი ადგილმდებარეობა.

ძველი თბილისის გარეგნული სახის შესწავლისას და განსაკუთრებით ამა თუ იმ ობიექტის სალოკალიზაციოდ, წერილობითი წყაროებისა და თბილისის გეგმათა გარდა, საიმედო ორიენტირს გვაძლევს თბილისური დოკუმენტები. ეს იმიტომ, რომ ქართულ დიპლომატიკაში ადრევე შემუშავებული წესის თანახმად აუცილებელი იყო ადგილ-მამულის ნასყიდობის, წყალობის თუ გაცვლის წიგნებში გასხვისებული ობიექტის მიჯნების ზუსტი აღნიშვნა. თბილისური დოკუმენტებიც ამავე წესს მისდევს. ამიტომ ძველი თბილისის ამა თუ იმ ობიექტის ადგილმდებარეობის გასარკვევად თბილისურ დოკუმენტებზე დაყრდნობა ჩვენ გვეჩვენება ყველაზე უფრო სარწმუნო გზად.

დავიწყეთ რასტაბაზარი.

¹ ამ სიტყვის უფრო მართებული ფორმაა ჩარსუ, მაგრამ რაკი თბილისურ დოკუმენტებში და, მაშასადამე, თბილისელთა მეტყველებაშიც ის დამკვიდრდა ჩორსუს ფორმით, ჩვენც ამ ფორმას ვაძლევთ უპირატესობას.

რასტაბაზარი XVII—XVIII ს. მრავალ თბილისურ დოკუმენტში იხსენიება¹, მაგრამ მის სალოკალიზაციოდ განსაკუთრებით ნიშანდობლივია თეიმურაზ II-ის 1758 წლის წყალობის წიგნი, მიცემული ოქრომჭედელ გიორგისადმი². ამ საბუთში ნათქვამია: „...მას უამსა, ოდეს... რასტაბაზარის თავს ერთის დუქნის წყალობას დაგვეაჯე თავისის საოთახით, ვისმინეთ აჯა და მოხსენება შენი და წყალობა გიყავით და გიბოძეთ მეი დნის პირთან შესავალზედ რასტაბაზარის თავს ერთი თაღბანი დუქანი; უკან, მეიდნის პირისაკენ, ერთი საჩვენო დუქანი აკრავს ამ ჩვენგან ნაწყალობევს დუქანს, რომ იმ საჩვენო დუქანს პირი მეიდნისაკენ აქვს. ამ დუქნის ნახევარიც ოთახათ მოვიჭერიო“.

ამ აღწერილობიდან გარკვევით ჩანს, რომ ეს ნაწყალობევი დუქანი მდებარეობს რასტაბაზარის თავს, ე. ი. რასტაბაზარის დასაწყისში. ამასთან ისიც მკაფიოდ ჩანს, რომ ეს დუქანი „მეიდნის პირთანაა“, მაგრამ უშუალოდ მოედანზე არ გამოდის: მოედანსა და რასტაბაზარის ამ დუქანს შორის დევს „ერთი საჩვენო (ე. ი. სამეფო) დუქანი“, რომელსაც პირი მოედნისაკენ აქვს. აქედან კი ცხადი ხდება, რომ რასტაბაზარი მოედანთან იწყებოდა.

მაგრამ რომელ მოედანთან? XVIII ს. თბილისის ძირითად ნაწილში (ე. წ. კალაში) ორი მოედანია ცნობილი: ბატონის მოედანი და თათრის მოედანი. რომელი მათგანი იფულისხმება აქ? ამ კითხვას სრული უპეკელობით გვირკვევს ზემონახსენებ 1758 წლის წყალობის წიგნზე გვიან გაკეთებული მინაწერი, რომელიც ეკუთვნის ამ ნაწყალობევი დუქნის მფლობელის—გიორგი ოქრომჭედლის ჩამომავალს მთავარდიაკონ ნიკოლოზ ოქრომჭედლოვს³. ამ მინაწერში ნათქვამია: „ეს დუქანი სახელოსნო სასწავლებლის მარჯვნივ კუნჭულის პირდაპირ იყო, დედაჩემს უჩვენებია ჩემთვის“—⁴. ეს მეტად ზუსტი ტოპოგრაფიული მითითებაა. თბილისში 1917 წლამდე არსებობდა ერთადერთი სახელოსნო სასწავლებელი, იგი მდებარეობდა ეგზარქოსის მოედანზე⁵ ანუ ერეკლე II-ის მოედანზე, სახელდობრ ამ მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში⁶, სი-

¹ მაგ., 1678 წ. საბუთი—საქ. ც. ა. ფ. 1450, დავთარი 5, საბუთი № 101; 1679 წლის საბუთი, იქვე, დავთარი 5, საბუთი № 87; 1683 წლის საბუთი—საქ. ხ. ი. ფ. Hd, № 13135 1719 წლის საბუთი—საქ. ც. ა. ფ. 226. № 4420 და სხვ.

² საქ. ხ. ი. ფ. Qd № 1651.

³ სხვათა შორის ეს პირი არის ავტორი წიგნისა „აზალი მკურნალობა“, გამოიცა 1913 წელს.

⁴ საქ. ხ. ი. ფ. Qd № 1651.

⁵ Кавказский Календарь 1917 г. Адрес-Календарь, учреждения Министерства народного просвещения, стр. 444. სხვათა შორის, ამ სასწავლებელში სწავლობდა ცნობილი კამო ბეროსიანი.

⁶ აქ უნდა აღინიშნოს, რომ დღევანდელი ერეკლე II-ის მოედანი უფრო ფართოა, ვიდრე ადრე არსებული ბატონის მოედანი იყო. ახლა მას მომატებული აქვს ჩრდილო-დასავლეთი მხარე, სადაც ადრე, XVIII ს-ში, დუქნების რიგი და თოფხანა იყო; აღამამად-ხანის შემოსევისას დუქნებიც და თოფხანაც დაინგრა და შემდეგ აღარ აშენებულა. ბუღლია ორბელიანის თქმით, თოფხანა „ყიზილბაშებმა ჯერ სრულად დაწვეს და მას უკან დააქციეს, სადაც განიერი ვაკე ადგილი გამოჩნდა, რომელზედაც ამ რუსობის დროსა თავად-ახაჯრობა შეიკრებოდა და ყველანი თავისთავისად ლაპარაკობდნენ და რომელსაც ამ ლაპარაკის გამო დაეოქვა ამ ადგილს სალაკბო“ (საქ. ხ. ი. ფ. S. 1646/ა, გვ. 16). სალაკბო ერქვა დღევანდელი მოედნის ჩრდილო-დასავლეთ მხარეს. დანარჩენ ნაწილს მოედნისა აკ ბატონის, მეფის ან ზოგჯერ ზემო მოედანს ეძახდნენ. ამ მოედანმა XIX—XX საუკუნეთა მანძილზე რამდენჯერმე იცვალა სახელი: მეფის (царская), გუბერნატორის, ეგზარქოსის, ბებელის და, ბოლოს, ერეკლეს მოედანი.

წოდებული კანტორის შენობის სამხრეთ გვერდზე. ოქრომჭედლის ზემონახსენებში დუქანი კი მის პირდაპირ, ე. ი. დასავლეთით მდებარეობდა. აქედან გამოდის, რომ რასტაბაზარი იწყებოდა არა თათრის მოედანთან, არამედ ბატონის მოედნის სამხრეთ მხარეს, სადაც მერე იყო სახელოსნო სასწავლებელი. ახლა ამ ადგილზე გამავალ ქუჩას ერეკლე II-ის ქუჩა ჰქვია. ეს ქუჩა აწ ერეკლე II-ის მოედნის სამხრეთიდან იწყება და მიიმართება სამხრეთით, მტკვრის დონების თითქმის პარალელურად.

რასტაბაზარი რომ მართლაც ბატონის მოედნის სამხრეთი მხრიდან იწყებოდა, ამას სხვა დოკუმენტებიც გვიდასტურებენ. შაჰ., 1779 წლის ერთ ნასყიდობის წიგნში, რომელიც შერგილანთ პაპასაგან ყაზარას შვილ ინოქასადმია მიცემული. ნათქვამია: „მოგვიდეთ ჩვენი სარაჯ-ხანაში ერთი დუქანი... და არის ამ დუქნის ნიშანი: ერთი გვერდი ნაცვალის დავეთას დუქნის კედელი, მეორე გვერდი მკერვალი ლაზარეს შვილი პაპუნას დუქნის კედელი, მესამე გვერდი უკან ბატონის მეიდნის მეჩითის კედელი, მეოთხე წინ ბაზარი“¹. ამ საბუთის ჩვენებიდან ჩვენთვის ისაა საინტერესო, რომ სარაჯ-ხანის დუქანს უკანა მხრიდან ესაზღვრება ბატონის მეიდნის მეჩითი. 1781 წლის ერთი ნასყიდობის წიგნით ზემოდასახელებული დუქნის შემოპელი დუქანი იხსენიება როგორც რასტაბაზარში მდებარე. ამ საბუთით იმავე შერგილანთ პაპამ მიჰყიდა დუქანი ქედინანთ ოქრომჭედელ უსტა ისაიას: „...მოგვიდეთ რასტაბაზარში ჩემი ერთი დუქანი... არის ამ დუქნის ნიშანი: ერთი გვერდი მკერვალი ლაზარეს შვილი ოქრომჭედელი პაპუნას დუქნის კედელი, მეორე გვერდი ამავე პაპუნას დუქნის კედელი, მესამე უკანა გვერდი მეჩითის კედელი, მეოთხე წინ ბაზარი“².

ამ ორი საბუთის გულდასმით წაკითხვა ნათელს ხდის, რომ აქ ლაპარაკია ერთიმეორის მეზობლად მდებარე ორ დუქანზე. ამაზე მეტყველებს შემდეგი: ორივე ამ დუქანს ჰყიდის ერთი და იგივე პიროვნება—შერგილანთ პაპა; ორივე ამ დუქნის მომიჯნავეა მკერვალი ლაზარეს შვილი პაპუნას დუქანი (უნდა ვიფიქროთ, რომ პაპუნას ეს დუქანი ჩვენთვის საინტერესო ორ დუქანს შორის დევს); ორივეს უკან მეჩითია, წინ კიდევ ბაზარი, რაკი ამ ორ საბუთში მოხსენებული დუქნების მეზობლად მდებარეობა გამოირკვა, ამიტომ შესაძლებელი ზდება ამ საბუთებში დაცული სხვა საორიენტაციო მითითებების გაერთიანებაც. პირველი დოკუმენტით (1779 წლისა) მეჩეთი განსაზღვრულია, როგორც „ბატონის მეიდნის მეჩითი“, ხოლო მეორე დოკუმენტი (1781 წლისა) იმ ადგილს, სადაც ეს დუქანი მდებარეობს, რასტაბაზარს უწოდებს. გამოდის, რომ „ბატონის მეიდნის მეჩითი“ და რასტაბაზარი ერთიმეორის მეზობელი პუნქტები ყოფილა. აქედან: რასტაბაზარი მოიცავს იმ ტერიტორიას, რომელიც უკანა ბატონის მოედნის მეჩეთისკენ ზურგით მიქცეულ დუქნებს. ბატონის მოედნის მეჩეთისა და რასტაბაზარის მეზობლობა გვარწმუნებს, რომ რასტაბაზარი სწორედ ბატონის მოედანთან არის საქმნი.

ბატონის მოედნის მეჩეთის შესახებ ჩვენ გვაქვს გარკვეული მითითება ვახუშტი ბატონიშვილისა: „მეჩითი... მეფემან როსტომ აღაშენა... სასახლესა შინა

¹ საქ. ხ. ი. ფ. Qd № 842.

² საქ. ც. ა. ფ. 1450. დავთარი № 7, საბუთი № 89.

თხსა ერთი¹. ბატონის მოედანთან მდებარე ეს მეჩეთი გარკვევით ჩანს თბილისის გეგმებშიაც. მაგ., 1785 წელს ა. პიშჩევიჩისაგან შედგენილ გეგმაზე², 1800 წლის გეგმაზე³, 1802 წლის გეგმაზე⁴ და აგრეთვე XVIII საუკ. ერთ უთარილო ფრანგულ გეგმაზე⁵. ყველა ამ გეგმით ეს მეჩეთი ბატონის მოედნის სამხრეთ გვერდზეა.

ერთადერთი ქუჩა, რომელიც ბატონის მოედნიდან მიდის ამ მეჩეთის ახლოს, არის დღევანდელი ერეკლე II-ის ქუჩა. მეტად საგულისხმოა, რომ ყველა გეგმაზე ეს ქუჩა სწორი ხაზითაა აღნიშნული. იგი მტკვრის დინების პარალელურად მიიმართება დღევანდელი სარეწაო საბჭოს შენობამდე, აქ კი იგი ოდნავ სამხრეთ-აღმოსავლეთით უხვევს, ჩაუვლის სიონს და მერჯ თათრის მოედნისაკენ მიიმართება (სარეწაო საბჭოდან თათრის მოედნამდე ამ ქუჩას დღეს სიონის ქუჩა ჰქვია). მთელ ამ გზას, ბატონის მოედნიდან ვიდრე თათრის მოედნამდე, XVII—XVIII ს-ში სავაჭრო-სახელმწიფოებო და ქარვასლებით რომ იყო მოყვანილი, როგორც თბილისის აღწერილობებში, ისე გეგმების ექსპლიკაციებში, ეწოდება ბაზარი. შარდენი ამ გზას long bazar-ს უწოდებს. მისი სიტყვით ბატონის მოედანი „დუქნებით იყო გარშემორტყმული და ებჯინებოდა გრძელ ბაზარს, რომელიც მეფის სასახლის ალაყაფის პირდაპირ იწყებოდა“⁶. 1800 წლის გეგმის ექსპლიკაცია მთელ ამ გზას Большой базар-ს უწოდებს⁷, 1802 წლის გეგმაც ასევე⁸. პლატონ იოსელიანის თქმითაც ბაზარი იგივე სიონის ქუჩაა. მისი სიტყვით ბატონის მოედნის მეჩეთსა და ნალარა-ხანის შენობას შორის „была перекинута арка для ворот, зашпировавших ночью ход через площадь парскую в базар или улицу Сионскую“⁹.

ქართული დოკუმენტები კი ბაზრის სახელით ცნობილ ამ გზას სხვადასხვა მიკროუბნებად ჰყოფენ და თითოეულ უბანს თავის სახელს არქმევენ. კერძოდ, ამ გზის დასაწყისს, ბატონის მოედნის სამხრეთ კუთხიდან რომ იღებს სათავეს, რასტაბაზარი ერქვა¹⁰.

მაგრამ სადამდე გრძელდებოდა რასტაბაზარი?

ამ კითხვაზე პასუხს ისევ თბილისური დოკუმენტები იძლევიან. 1683 წლის ნასყიდობის წიგნით პაატაბეგ ციციშვილმა გაყიდა ოთხი ტახტის ადგილი

¹ ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, თბილისი, 1941 წ., გვ. 53.

² ეს გეგმა დაბეჭდილია 1902 წელს. Записки императорского одесского общества истории и древностей, т. XXIV. Одесса, 1902 г. გეგმას ახლავს ფრანგული ექსპლიკაციები. ამ ექსპლიკაციებზე ეს მეჩეთი № 16-ითაა აღნიშნული.

³ დატულია მოსკოვში, ВИА ფ., В.А. № 22660. ჩვენ აქ ვაქვეყნებთ ამ გეგმის ნაწილს. ეს მეჩეთი აღნიშნულია № 57-ით.

⁴ დატულია მოსკოვში, ВИА, ფ. В.А. № 22661. ექსპლიკაცია № 68.

⁵ იქვე, № 22657. ექსპლიკაციით № 6.

⁶ „Place... est entourée de boutiques et aboutit à un long bazar, vis-à-vis la porte du palais.“—Chardin. Voyages... Paris, 1811 წ., ტ. 2, გვ. 82.

⁷ ВИА, ფ. В.А. № 22660. ექსპლიკაციით № 62. იხ. ჩვენს სურათზე ექსპლიკაცია ა.

⁸ იქვე, № 22661. ექსპლიკაციით № 20.

⁹ П. Иоселиани, Описание древностей города Тифлиса, Тифлис, 1866 г., გვ. 248.

¹⁰ შ. მესხია რასტაბაზარს „მოედნის ბაზართან“ აიგივებს. III. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии, Тбилиси, 1959, стр. 410.

„რასტაბაზრის ჩორსუში“¹. 1749 წლის საბუთით ბებუთაშვილებს ჰქონიათ დუქანი „რასტაბაზრის პირში, ჩორსოსთან“². ორივე ეს საბუთი გვიჩვენებს, რომ რასტაბაზრის გაგრძელებას წარმოადგენს ჩორსუ, ანუ. სხვაგვარად რომ ვთქვათ, რასტაბაზარი მთავრდება ჩორსუთი.

ჩორსუ, როგორც ითქვა, სპარსული სიტყვაა და ნიშნავს ოთხკუთხეს. ირანის ქალაქებში სავაჭრო რიგების გზაჯვარედინებზე მდებარე დუქნები გუმბათით იყო გადახურული. ასეთ ნაგებობას ჩორსუ ერქვა.

ჩვენთვის ცნობილ თბილისურ საბუთებში ჩორსუ გვხვდება უკვე 1664 წლიდან. ამ წელს აშხარბეგ ბებუთაშვილმა ეჩმიაძინს შესწირა ჩორსუში მდებარე სამი ქულბაქი³. ამ დროიდან ჩორსუ სისტემატურად იხსენიება ქართულ საბუთებში ვიდრე 1813 წლამდე⁴.

თბილისში, როგორც ამას დოკუმენტები და სხვა წყაროები გვიჩვენებენ, ორი ჩორსუ იყო: დიდი და მცირე. სომხურ „ჯამბრში“ მოიხსენება თბილისის დიდი და მცირე ჩორსუ (აქ უნდა აღინიშნოს, რომ „ჯამბრის“ მალხასიანცის რუსულ თარგმანში *фирр Зарум* მცირე ჩორსუ—ნათარგმნია Малая торговая улица-დ, ხოლო *ძხბ Зарум*—დიდი ჩორსუ—Большая торговая улица-დ)⁵.

დიდი ჩორსუ ზშირად მოიხსენება როგორც „ზემო ჩორსუ“⁶, მცირე კი—ქვემო ჩორსუდ⁷. აქ საჭიროა ითქვას, რომ ძველი თბილისის ტოპონიმიაში „ქვემოს“ და „ზემოს“ მტკვრის დინების მიმართულება განსაზღვრავდა. „ზემოს“ ეძახდნენ იმას, რაც მტკვრის აღმა იყო, „ქვემოს“ კიდეც მტკვრის დაღმა, უფრო სამხრეთით მდებარეს უწოდებდნენ. მაგ., თბილისის ბატონის მოედანი დოკუმენტებში ზშირად იხსენიება „ზემო მოედნის“ სახელით, თათრის მოედანი კი „ქვემო მოედანდ“⁸. რაკი ეს ვიცით, თავისთავად ცხადია, რომ ზემო ჩორსუ ქვემოს ჩრდილოეთით მდებარეობს.

ორივე ჩორსუ გრაფიკულად გადატანილია თბილისის თითქმის ყველა გეგმაზე, მისი სახელწოდება კი არც ერთ ექსპლიკაციაში არ არის აღნიშნული. 1800 წლის გეგმაზე, —ამ გეგმის ერთი ნაწილის რეპროდუქციას აქვე ვებეჭადეთ,—ძალიან მკაფიოდ ჩანს ორივე ჩორსუ. აქ ორივე ჩორსუ აღნიშნულია წრით, რომელშიაც თავს იყრიან ერთმანეთის მოპირდაპირე ქუჩები⁹. ზემო ანუ დიდი ჩორსუ, ე. ი. უფრო ჩრდილოეთით მდებარე, ამ გეგმით ჩრდილოეთიდან იერთებს ბატონის მოედნიდან გამომავალ ქუჩას, ე. ი. რასტაბაზარს, სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ კი ამ წრიდან მიდის ის ქუჩა, რომელიც სიონის ტაძარს გვერდით ჩაუვლის (თბილისის ამ ადგილებში ქუჩათა კონტურები დღესაც ძალიან

¹ საქ. ხ. ი. ფ. Hd, № 13135.

² იქვე, ფ. Qd, № 506.

³ III. Месхиа, Города и городской строй феодал. Грузии, стр. 410.

⁴ საქ. ც. ა. ფ. 1450, დავთარი № 21, საბუთი № 47.

⁵ იქვე, დავთარი № 44, საბუთი № 138.

⁶ Симеон Ереванци, Джамбр. Москва, 1958 г. გვ. 230.

⁷ 1745 წლის საბუთი, საქ. ც. ა. ფ. 226, № 137.

⁸ 1813 წლის საბუთი, საქ. ც. ა. ფ. 1450, დავთ. № 44, საბუთი. № 138.

⁹ მაგ., 1796 წლის ბრძანება ერეკლე II-ისა, საქ. ც. ა. ფ. 226, № 9711; 1768 წლის საბუთი, —საქ. ც. ა. ფ. 1450, დავთ. № 22, საბ. № 89; 1757 წლის საბ.—საქ. ხ. ი. ფ. Qd № 863.

¹⁰ იხ. სურ. ანოები ბ და გ.

პგვანან XVIII საუკ. გეგმებს). ამ გეგმის შესწავლა და დღევანდელი ამ ტერიტორიის ზერელე მიმოხილვაც ნათელს ხდის, რომ გეგმაზე წრის ფორმით აღნიშნული (ჩვენი ექსპლიკაციით ბ) და საბუთები: „დიდი“ ანუ „ზემო ჩორსუ“ იმ ადგილას უნდა ყოფილიყო, სადაც დღეს ერეკლე II-ისა და სიონის ქუჩები ერთმანეთს ეყრებიან. ამ გზაშესაყართან დღეს დვას სარეწაო საბჭოს შენობა, რომელიც ერთის მხრით ლესელიძის ქუჩაზე გადის, მეორე მხრით სიონის ქუჩაზე, ხოლო წინა ვიწრო ფასადი მიქცეული აქვს იმ პაწია შესახვევისაკენ, ლესელიძის ქუჩას რომ სიონის ქუჩასთან აერთებს. ეს პაწია შესახვევი დიდ ჩორსუში დასავლეთიდან შემავალი ქუჩა იქნებოდა.

1800 წლის გეგმა არ ასახელებს ამ ჩორსუში შემავალ ქუჩათა სახელწოდებებს, სამაგიეროდ პიშჩევიჩის გეგმის ექსპლიკაციები აღნიშნავენ, რომ ჩორსუდ ნაგულისხმევ ამ წრეში თავს იყრიან ხარას ხანა (Boutiques aux cordonniers), ბაზახ ხანა (Marché aux...soieries) და მაუღით მოვაჭრეთა რიგი (Boutiques des drapiers)¹. ხარახ ხანა და ბაზახ ხანა იოანე ბატონიშვილის „კალმასობაშიც“ ერთიმეორის მეზობლად არის დასახელებული: „იწყეს მეღინდამ წასვლა, შევიდნენ ხარასხანის ბაზარში... რა ჩაიარეს მცირე-იხილეს სარაჯები, მერე იხილეს ყაზახები... მერე მივიდა ბაზახებთან“².

რაც შეეხება ქვემო ანუ მცირე ჩორსუს, იგი საბუთებში ხშირად ჭონხანის ჩორსუდ მოიხსენიება³.

ქვემო ჩორსუ 1800 წლის გეგმაზე გრაფიკულად მოხაზულია სიონის ქუჩაზე, სიონის ტაძრისა და ქარვასლების (მეფის, მელიქისა და ტფილელის) სამხრეთით. პიშჩევიჩის გეგმით ამ ჩორსუში დას-ეთიდან შემავალი ქუჩა ექსპლიკაციებში სახელდებულია როგორც მექვაბეთა რიგი (Boutiques des chaudronniers)⁴. მექვაბეებია რიგის ადგილმდებარეობა კი ჩვენთვის ადვილი დასადგენია. XIX საუკუნის დასაწყისში მექვაბეების რიგზე გაშენდა დახურული ბაზახხანა. ამას აღნიშნავს მაშინდელი არაერთი საბუთი. მაგალითად, 1816 წლის ერთ დოკუმენტში ვკითხულობთ: „ახალი ბაზახ-ხანა ძველად მექვაბეების რიგი იყო“-ო.⁵ ახალი ბაზახ-ხანა გადახურული იყო და ამიტომ მას დახურულ ბაზახხანას უწოდებდნენ. ამ ბაზახ-ხანას გადახურული სახით იარსება XX საუკ. დასაწყისამდე. 1918 წლისთვის, როგორც ი. გრიშაშვილი აღნიშნავდა: დახურული ბაზახ-ხანა... ესლა ლომფინ-აყრილია. აღარ არის დახურული“. დახურული ბაზახ-ხანა მდებარეობდა იმ ქუჩაზე, დღეს რომ ბნელი ქუჩის (Темный ряд) სახელითაა ცნობილი. (ბოლო ხანებში ამ ქუჩას შარდენის ქუჩა ეწოდა). ასე რომ ქვემო ჩორსუ ბნელი ქუჩის დასაწყისთან უნდა იყოს ლოკალიზებული. იმ ადგილას, სადაც დღეს სიონის ქუჩა „ბნელ ქუჩას“ ეყრება, თავს იყრის კიდევ ორი ქუჩა: ბამბის რიგი და რიყინაშვილის ქუჩა (ყოფ. ჯვარის მამის ქუჩა). სწორედ ამ ქუჩათა გზაჯვარედინზე უნდა არსებულიყო ქვემო ჩორსუ. (იხ. სურ., ექსპლიკაცია გ).

¹ პიშჩევიჩის გეგმის ექსპლიკაციები, № 26. 27. 28 (Записки императорского одесского общества Истории и Древностей, 1902., т. XXIV).

² იოანე ბატონიშვილი, კალმასობა, 1895, გვ. 394—5.

³ მაგ., ალავერდას შვილ გიორგისაგან ჭონ მეღვინააადმი 1733 წ. მიცემულ ნასყიდობი წიგნში. საქ. ი. ფ. Hd № 13-20.

⁴ ექსპლიკაცია № 35.

⁵ 1816 წლის საბუთი. საქ. ც. ა. ფ. 1450, დავთ. № 55, საბ. № 147.

⁶ ი. გრიშაშვილი, საათონოვა, 1918, გვ. 82.



1800 წლის თბილისის გეგმა
ექსპლიკაციები [ქართული ტექსტი ჩვენია.]

- 25—Собор успения пресв. Богородицы (სიონი)
 26—(Церковь) Иоанна Предтечи
 28—(Церковь) Иоанна Предтечи
 29—(Церковь) рождества Иоанна Предтечи
 30—(Церковь) рождества Богородицы
 31—(Церковь) св. велико-мученика Георгия
 37—(Церковь) Иерусалимская, воздвижения Креста (ჯვარის მანა)
 44—Армянская церковь пресв. Богородицы (ნორაშენი)
 54—Татарская мечеть
 57—Разоренная татарская мечеть (ბატონის მოედნის მეჩეთი)
 60—Прежде бывший а ныне разоренный царский дворец
 62—Большой базар
 63— { (ტფილელისა)
 64— { Караван-саран (მეფისა)
 65— { (მელიქისა)
 67—Батонис-Мейдан или Царская площадь где и ныне плац-иhrad
 68—Татрис Мейдан или Татарская площадь
 69—Монетный двор (ხარაფხანა)
 ა—რასტაბახარი; ბ—ხეშო ჩორსუ; გ—ქვემო ჩორსუ

ორივე ჩორსუ, ქვემოც და ზემოც, ირანის ჩორსუს მსგავსად, გადახურული და თაღოვანი ყოფილა. ამაზე მიუთითებს „ჯამბრი“. აქ დიდ ჩორსუში მდებარე დუქანი „თაღ ქვეშ მდებარედ“ არის დასახელებულიც (*ქ. ნსრციქ ქაყჩხ*), ხოლო მეტივე ჩორსუს ერთი დუქანი—„თაღის წინ“ მდებარედ (*ქაყჩხ თაღი*)¹.

ჩორსუში თავმოყრილი იყო მრავალი სხვადასხვა დარგის ვაჭარ-ხელოსანი, მაშინ როცა სხვა რიგებში ერთი დარგის ვაჭარ-ხელოსნები ისხდნენ ერთად. მარტო ბებუთაშვილებს ზემო ჩორსუში 8 დუქანი ჰქონდათ სხვადასხვა დარგის ხელოსანთათვის მიჭირავებულ². რაკი ჩორსუ სავაჭრო ქუჩათა ჯვარედინზე მდებარეობდა, ვაჭარ-ხელოსანთათვის იქ ჯდომა მიმზიდველი და მომგებიანი იყო. ამიტომ აქ დუქნები უფრო ძვირად ფასობდა, ვიდრე ქალაქის სხვა ადგილებში.

М. М. БЕРДЗНИШВИЛИ

ИЗ ТОПОНИМИКИ СТАРОГО ТБИЛИСИ (РАСТАБАЗАРИ И ЧОРСУ)

Резюме

Анализ реалий тбилиских документов XVII—XVIII в.в., где упоминаются Раствабазари и Чорсу, и изучение планов старого Тбилиси дают возможность локализовать эти объекты с иранскими названиями.

Раствабазари (رستا بازار) — это ряд торгово-ремесленных лавок, расположенных в одну прямую линию. Чорсу же (چارسو) перекрытая куполом площадка на перекрестке двух торговых улиц.

В Тбилиси XVII—XVIII в.в. Раствабазари находилась на нынешней улице Ираклия II-го (улица эта начиналась у южного угла площади Ираклия). Верхнее Чорсу локализуется с конца Раствабазари, т. е. от поворота с улицы Ираклия II-го на Сионскую, где сейчас здание Промышленной кооперации. А нижнее Чорсу находилось за Сионским собором, южнее караван-сараяв, на перекрестке улиц Сионской, Рижинашвили, Ватного и Темного рядов.

¹ *სქიპისი ჯაჭიიქისი, ჯამბრ, შაყარჯაყათა*, 1873. გვ. 207 და 208. შეადრ. რუსული თარგმანი—Симеон Ереванци, *Джамбр*, Москва, 1958. გვ. 280.

² 1749 წლის გასამყრელი ბებუთაშვილებისა, საქ. ბ. ი. ფ. Qd. № 506.

ო. სოსელია

აზატი გლხისთა კატეგორია დასავლეთ საქართველოში
(XIX ს. 20-იან წლებამდე)

„აზატი“ სპარსული სიტყვაა, თავისუფალს, განთავისუფლებულს, დამოუკიდებელს, ამოკვეთილს, გამორიცხულს და სხვ. აღნიშნავს¹.

ქართულ საისტორიო წყაროებსა და ლიტერატურაში სიტყვა აზატი იხმარება როგორც სოციალური ტერმინი გლხთა პრივილეგირებული ფენის აღსანიშნავად. თავისთავად სიტყვა აზატი კი თავისუფალს ნიშნავდა. „აზატის“ სწორედ ამ უკანასკნელი გაგებით ხმარებას ადასტურებს რუსთაველის „ვეფხისტყაოსან“-ში ავთანდილის მიერ ასმათის მიმართ თქმული სიტყვები: „ორისაგან ერთი მიყავ: ტყვე მქენ, ანუ მააზატე“².

აზატი, როგორც სოციალური ტერმინი, დასავლეთ საქართველოში პირველად XVI ს-ის მეორე ნახევარში შედგენილ ქუთაისის საყდრის გამოსავლის დავთარში გვხვდება. ეს წყარო აზატს თავისი ვალდებულების ნორმით მკვეთრად განასხვავებს სხვა კატეგორიის გლხისაგან³. მათხოჯის XVI ს-ის ნუსხაც⁴ აზატს მესაფე ანუ მუშაობის (სეფობის) მოვალე გლხთან დაპირისპირებით ასახელებს⁵. „ეს აზატი კაცი, აწ ამას გარდა—მესეფე კაცი“—ნათქვამია ამ ნუსხაში და ამით აზატსა და მესეფეს შორის სხვაობაა განაზღვრის.

¹ И. Ягелло, Полный персидско-арабско-русский словарь, 1909; М. А. Гаффаров, Полный персидско-русский словарь, т. I, М., 1914.

² შოთა რუსთაველი, ვეფხისტყაოსანი, თბ., 1937, სტროფი 251. იხ. აგრეთვე სტრ. 267.

³ ე. თაყაიშვილი, დავთარი ქუთათისის საყდრის გამოსავალი ბეგრისა, შედგენილი 1578 წელს, ძველი საქართველო, ტ. IV, ე. თაყაიშვილის რედ., ტფ., 1914—1915, გვ. 30, 32, §§ 210, 234 (ქვემოთ მოკლედ; დავთარი ქუთათისის).

⁴ მათხოჯის ნუსხა გამოსცა ჯერ პროფ. ს. კაკაბაძემ (იხ. მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, წ. I, ტფ., 1928, გვ. 39—40), ხოლო შემდეგ აკად. ნ. ბერძენიშვილიმ (დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ტ. I, ნ. ბერძენიშვილის რედ. თბ., 1940, № 611, გვ. 437—438). ეს ნუსხა უთარიღოა. პირველი გამოცემა მას XVIII საუკუნით ათარიღებს, მეორე კი—XVII საუკუნით, ჩვენ უკანასკნელი გამოცემის თარიღი უფრო სწორად მიგვაჩნია. ლ. მუსხელიშვილიც მათხოჯის ამ ნუსხას 1702-იან წლებს მიაკუთვნებს. იხ. მისი დასავლეთ საქართველოს გლქობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები XVI—XVII სს., ენიშის მონაბე, V—VI, თბ., 1942, გვ. 314.

⁵ მესეფესა და აზატის შესახებ იხ. ს. კაკაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, I, გვ. 8, 10, 12, 41—42, 67; ლ. მუსხელიშვილი, დასახლებული ნაშრომი, გვ. 274, 314.

⁶ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედ., № 611, გვ. 437—438. (შეადგენი დავასახელებთ მოკლედ; დოკუმენტები).

აზატი იყო საბატონო ბეგარა-გამოსაღებისაგან მთლიანად ან ნაწილობრივ განთავისუფლებული ყმა-გლეხი. ქართული ფეოდალური წყობილების მიხედვით, შენიშნავს აკად. ნ. ბერძენიშვილი, თარხანი, აზატი „სავსებით ან ნაწილობრივ თავისუფალი იყვენენ სხვადასხვა გადასახადისაგან“¹. მკვლევარი აქ „გადასახადს“ უთუოდ მარტო ნატურით ან ფულადი გამოსაღების მნიშვნელობით კი არ ხმარობს, არამედ ზოგადი გავებით და მასში შრომით და სამსახურებრივ ვალდებულებასაც გულისხმობს: აზატი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, არა მხოლოდ ხატურითი და ფულადი, არამედ შრომითი და ზოგჯერ სამსახურებრივი ვალდებულებისაგანაც იყო ნაწილობრივ ან მთლიანად თავისუფალი.

ყმის განთავისუფლება ფეოდალური სამართლით დაშვებული იყო. ვახტანგ VI თავის სამართალში სპეციალურად იხილავს აზოტობის საკითხს და საამისო წესსაც მტკიცედ განსაზღვრავს; 234-ე მუხლში ამის შესახებ ვკითხულობთ: „კარგად მყოფმან ანუ ავად მყოფმან ვინ ინებოს განთავისუფლება თავის ყმისა და აზატი უყოს, იმის ასრე იქნას: უნდა დაუწეროს წიგნი, რითაც მამულით, რითაც საქონლით გაზატა თავისი ყმა, ან აღაპი დაღვა და სხვა თავისის სულის სამსახური, და მაშინ შეიქნება წინგითა და მოწმებით ის კაცი აზატი. თუ არ იყოს სათავისთაო, ან თავისის ცოლის ზითვით ნასყიდი. და სამმო და სასახლო იყოს, მარტო თვითან არ შეუძლია აზატი, ის კაცი ყველას მოსამსახურე იქნება, არა მარტო იმისი იმან რომ კიდევც მისცეს აზატი, თუ სხვა ძმები არ დაუმტკიცებენ, იმისთანა აზატი და სადაო ანდერძი დაუმტკიცებელი შეიქნება და არც გაუთავდება“².

ამგვარად, აზატობის უცილებელ ფორმალურ პირობას წარმოადგენდა გააზატებული ყმისადმი ბატონის მიერ, მოწმეების თანდასწრებით, აზატობის წიგნის მიცემა, სადაც აღნიშნული იქნებოდა რა „მამულითა“ და „საქონლით“ გააზატა ბატონმა თავისი ყმა და რა „სამსახური“ დააკისრა მას. ამასთანავე თუ ყმა „სამმო“ იყო და არა „სათავისთაო“, მაშინ აზატობის წიგნი ძმებსაც უნდა დაემტკიცებინათ.

ვახტანგ მეფის მიერ ქართლის სამეფოსათვის დაღვნილი ეს წესი მიღებული იყო ფეოდალური ხანის მთელ საქართველოში.

ბატონის მიერ ყმა-გლეხის გააზატება ბატონის გულკეთილობით როდი იყო გამოწვეული. საიქიოზე ზრუნვით ნაკარნახევი ქველმოქმედების გარდა, რაც ხშირადაა მითითებული საბუთებში, მას საფუძვლად უმთავრესად სხვა მიზეზი ედგა. ასე მაგალითად, ზაალ წერეთლის მიერ გიორგი და სხვა ჩუბინიძეებისადმი ბოძებულ აზატობის წიგნში ნათქვამია: „...რადგან თქვენ ჩვენი ერთგულ ყმა იყავით, ჩვენ გიბოძეთ აზატობის წიგნი და ამოგიკვეთეთ სეფობა, და დღეს ამას იქით ერთის კაცის სამსახურის მეტი თქვენს კარზედ არა მოდგებოდეს რა. ჩვენ დაგვპირდა და შემოგიკვეთეთ და მოგვართვით ქრთამი ათის ხარისა და წიგნი გვიბოძებია. გვიაზატებინარ...“³.

მოტანილი ამონაწერიდან ნათლად ჩანს, რომ ბატონს გარკვეული რაოდენობის—„ათის ხარის“—თანხა დასჭირდა. ეს თანხა მან ფულად თუ სხვა სახით თავის ყმას „შეუყვითა“. ყმამ მთავრად ბატონს შეკვეთილი თანხა—„ქრთამი ათის

¹ ივ. ნ. ბერძენიშვილი. XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან. მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 1, თბ., 1944, გვ. 179.

² ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი, თ. ნუქიძის გამოც., თბ., 1955.

³ ქუთაისის სახ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის საბუთების ფონდი, საბ. № 884.

ხარისა“.—და ასე მან იყიდა აზატობა; ბატონმა კი თავის მხრით მიყიდა ყმას მას-
წე თავისი უფლების გარკვეული ნაწილი.

ამავე მიზეზით უნდა იყოს გააზატებული 1801 წელს ვარძიის არქიმანდრიტ
იოვაკიმეს მიერ გიორგი სვიმონიშვილი-ხიჯაკაძეც. თავისი ყმისადმი მიცემულ
აზატობის წიგნში არქიმანდრიტი ეუბნება ყმას: „...ერთგულად გემსახურებდით
და ერთგულად მსახურებასა შინა თქვენისა ოჯახის[ს] აზატობას შემოგვეყვდრეთ
და ქრთამიც ჳეროვანი მოგვართვით, როგორც გული ჩვენი შესჯერდება და
ჩვენც ვისმინეთ ხვეწნა და მოხსენება, წყალობა გიყავით და ამოგიკვეთეთ სა-
ური, საუდიერო, ღვინო, ღომი და სიმინდი, რომ თვინიერ ვარძიის ღვთისმშობ-
ლის ზეგარისა და შინა-ყმობის თქვენს კარზედ არასფერი საგლუხო გარდასახადი
და სათხოვარი არა მოგადგესთ რა, ისე ყოველითურთ განგვითავისუფლები-
ხართ“...¹.

როგორც ვხედავთ, აქაც ყმის გააზატების სანაცვლოდ ბატონი „ჳეროვან“
და გულის შემაჯერებელ „ქრთამს“ ღებულობს. სწორედ ეს „ქრთამის“ საჭირო-
ება აიძულებს არქიმანდრიტს „ისმინოს“ ყმის „ხვეწნა და მოხსენება“ და პი-
ცეს მას „აზატობისა და განთავისუფლების წიგნი“.

მოვიტანთ კიდევ ერთ მაგალითს: მარიამ დედოფლის მიერ „სათავისთაო“
ყმებისადმი, გიორგაძეებისადმი, ბოძებულ აზატობის წიგნში ეკითხულობთ:
„...ძველათაც აზატი ყოფილიყავით, მაგრამ ქამთა ვითარებისაგან პირველ ჰე-
ფეთა წყალობის წიგნი დაგკარგოდა. მევედრე და ვისმინე ვედრება თქვენი და
ქრთამიც მომართვი, როგორც გული შემეიჯერებოდა. გიბოძე აზატი, ასე რომ
ჩვენი სათხოვარი არაფერი არ გეთხოვოს...“².

როგორც ჩანს, არც მარიამ დედოფალი იძლევა „უქრთამოდ“ აზატობას,
გიორგაძეების მიმართ თავის სათხოვარს დედოფალიც სწორედ „ქრთამის“ გამა-
თმობს.

ყმის მიერ გაღებული „ქრთამი“ იმ ვალდებულებების, ან ვალდებულებების იმ
ნაწილის ღარებულებაა, რომელსაც ყმა ყიდულობს ბატონისაგან და რომლისა-
განაც ბატონი ხელს იღებს ყმის გააზატების შემთხვევაში.

„ქრთამი“ ასეთ შემთხვევაში ზოგჯერ სხვა სახეს ღებულობდა. მაგალითად,
1829 წელს ლევან დადიანი წყალობის წიგნს აძლევს ქუჩუ კაკულიას და აღ-
ნიშნავს: „...ესრედ რომელ ჩვენი საყვარელის ასულის პუბლინას ძიძა იყო მე-
ულღე შენი ჩუკაია ლატარიას ქალი და როგორც ძიძაობას შეესაბამებოდა, ისე
კანონიერად იმსახურა და გაზარდა ასული ჩემი და ჳილდოდ მისა სხვათა წყა-
ლობათა თანა ეს წყალობა გიყავით, რომ გააზატეთ ყოველის ჩვენის სასამსახურო
გარდასახადისგან და მესადგმობისაგან, ესე ვითარად რომელ არც ჩვენგან და
არც ჩვენის მოხელე კაცისაგან თქვენ არაფერი სათხოველი და გარდასახადი
არასოდეს არ გეთხოვებოდეს და არც მესადგომე არაოდეს ჩაგიყენოთ...“³.

მოტანილი ამონაწერიდან ირკვევა, რომ ლევან დადიანს მისმა ყმამ კარგი
სამსახური გაუწია, „როგორც ძიძაობას შეესაბამებოდა“. იმ სამსახურის შეს-
რულებისათვის, რომელიც ყმას ღებულებით ევალებოდა, ბატონი იშვიათად თუ

¹ „დროება“, 1883, № 26.

² ს. კაკაბაძე, იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, „საისტორიო მონაბე“, V, თბ., 1950, საბ. № 15, გვ. 182.

³ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდი Od N9218. ქვე-
მოთ ვუთითებთ მხოლოდ ფონდსა და საბუთის ნომერს.

დააჯილდოებდა მას. ყმას „ქრთამი“ უნდა გავლო ან რაიმე განსაკუთრებული დამსახურება უნდა ქონოდა ბატონის წინაშე, რომ მას მისთვის აზატობა მიეცა. ეტყობა, კაკულის ბატონყმობის რიგით „ძიძაობა“ არ მართებდა, ამიტომ ეკუთვნოდა მას „ჯილდო“ ბატონისაგან. ჯილდოს ანგარიშში დადიანმა კაკულა გააზატა თავისი „სასამსახურო გარდასახადისაგან და შესადგომობისაგან“. ამგვარად, გააზატება, ამ შემთხვევაში, ყმის მიერ გაწეული შრომის საზღაურია.

ყმის გააზატებას რომ ეკონომიური პირობები იწვევდა, ეს სხვა საბუთებიდანაც კარგად ჩანს. მაგრამ, სანამ ამ საბუთებს განვიხილავდეთ, უნდა გავარკვიოთ სიტყვა „თარხანის“ მნიშვნელობა.

თარხანი თურქულ-თათრული კილოების შედარებით ლექსიკონში მოცემული განმარტებით ბევარა-გამოსაღებისაგან თავისუფალ კაცს ნიშნავს¹.

ქართულ საისტორიო წყაროებში თარხანი და აზატი ერთი და იგივე მნიშვნელობით ერთმანეთის სანაცვლოდ იხმარება. ასეა ეს, კერძოდ, დასვლეთ საქართველოშიც. მაგალითად, სოლომონ II-ის მიერ ზარათის მღვდელ იოანესადმი ბოძებულ აზატობის წიგნში გააზატება, გათარხნება და განთავისუფლება იდენტური მნიშვნელობის სიტყვებად არის წარმოდგენილი².

ასევე, სოლომონ მეფისაგან ბოძებულ სიგელსაც გიორგაძეები ხან თარხნობის წიგნს ეძახიან, ხან კიდევ — აზატობისას³.

მაგრამ არის შემთხვევა, როცა ეს ორი სიტყვა თითქოს სხვადასხვა მნიშვნელობით გვხვდება. მაგალითად, „აზატობისა და თარხნობის წიგნი“⁴. ასეთი შემთხვევაც ამ სიტყვების იგივეობას არ გამორიცხავს. სინამდვილეში აქ დაპირისპირებასთან კი არ გვაქვს საქმე, არამედ წინადადების აზრის გასაძლიერებლად სინონიმური სიტყვის ხმარებასთან.

მიუხედავად ამისა, გააზატება თითქოს მაინც უფრო აღზევების ნიუანსის მატარებელი სიტყვა ჩანს, ხოლო გათარხნება თითქოს არაწოდებრივი ხასიათის მქონე ვალდებულებისაგან განთავისუფლებას გულისხმობს. მაგრამ ამასთან ზოგჯერ გვხვდება ისეთი საბუთიც, რომელშიც თარხნობა უეჭველად დაწინაურებასაც გამოხატავს. მაგალითად, ზაალ წერეთლის მიერ ლაზარე და სხვა მაჭარაშვილებისადმი ბოძებულ „სითარხნის წიგნში“ ნათქვამია: „...ესე სითარხნისა წიგნი გიბოძეთ, არცა გეთხოვებოდეს ობოლი და არცა ქვრივი და არცა ძიძა და არცა ბევარა და არცა საპურობო და არცა ცხენის ჳედნა და არცა საკვები არა გმართებს რა...“⁵.

¹ იხ. Л. Будагов, Сравнительный словарь турецко-татарских наречий. СПб, 1869, გვ. 349.

² „მწყემსი“, 1884, № 12, გვ. 6.

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით „თარხანი სხვათა ენაა, თავისუფალს ჳქვიან“. იხ. მისი ქართული ლექსიკონი, პროფ. ი. ყიფშიძის და პროფ. ა. შანიძის რედ., ტფ., 1928. სიტყვა თარხანის მნიშვნელობის შესახებ იხ. აგრეთვე С. М. Шапша. К вопросу о тарханных ярлыках (Академику Владимиру Александровичу Гордлевскому, к его семидесятилетию, Сборник статей, М., 1953, გვ. 302—316).

³ ს. კაკაბაძე, იმერეთის საბუთები. გვ. 192, საბ. № 27, გვ. 193, საბ. № 28.

⁴ იქვე, გვ. 177—178, საბ. № 11.

⁵ sd—5091.

აქ ჩამოთვლილი ვალდებულებებიდან ობოლის, ქვრივის და ძიძის გამოყვანა მეტად დამამძირებელ ვალდებულებად ითვლებოდა და მდაბიო გლეხისათვის იყო დამახასიათებელი¹. მაჭარაშვილის ამ ვალდებულებათაგან გათარხნება უთუოდ მისი აღზევება იყო.

ამგვარად, სითარხნის წიგნი ამ შემთხვევაში აზატობის წიგნის შესატყვისი ხოლო თარხნობა და აზატობა კი ერთი და იმავე მოვლენის სხვადასხვა სახელია.

აღსანიშნავია მხოლოდ, რომ გლეხის ამა თუ იმ ვალდებულებასაგან განთავისუფლების აღსანიშნავად აღებული ხანის დასავლეთ საქართველოში ხმარებაში მიღებულია უფრო გააზატება. თარხნობა ან გათარხნება ამ მხრივ აქ შედარებით ნაკლებად გავრცელებული ტერმინი ჩანს.

ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ თავისთავად ცხადია, რომ თარხნობაც იმავე ეკონომიურ მიზეზს უნდა გამოეწვია, რომელიც აზატობას იწვევდა და პირიქით². საამისო საბუთებიც შეიძლება მოვიტანოთ. მაგალითად, ზემოხსენებული მაჭარაშვილები წერეთელმა იმიტომ გაათარხნა, რომ მაჭარაშვილებმა ზღაპრული ქრთამი³ მიაართვეს³.

1819 წელს იმერეთის მდივანბეგები—სენიჩა წულუკიძე, დავით მიქელაძე და დავით ჩხეიძე—გლეხთა გათარხნების მიზეზს ასე წარმოგვიდგენენ: „...რომელიცა სახასოთა გლეხთა მეფისათა ბოძებდესთ თარხნობის წერილინი მიზეზისა გამო მცეცხროვნობისა, თუმცა ქეშიკობისათვის, ან ჩვეულებითა მოჯალაბებით მყოფისათვის, თუმცა სხვისათვისა, რომელისა მიზეზისათვის და არიან ამჟამადაც ესე ვითარნი გათარხნებული სახასონი გლეხნი თავისუფალნი სახელმწიფო გამოსაღებისაგან და დღეს იმ მეფეების დადებულის სამსახურისაგან თავისუფლად არიან, ამისთვის რომელიც რუსეთის მხედრობას ესე ვითარნი სამსახურის არ ესაჭიროებათ, ამის გამო დაედვასთ მათ სახაზინოთ მათდამი შესაბამი გარდასახადი“⁴.

როგორც ჩანს, მეფეს მეციხოვნისა და ქეშიკის მოვალეობის შემსრულებელი პირნი სჭირდებოდა; მათი შენახვა სათანადო სახსრებს მოითხოვდა. ამიტომ სახასო გლეხი, რომელიც მეციხოვნობას ან ქეშიკობას იკისრებდა, მეფე სახელმწიფო გამოსაღებისაგან გათარხნებდა. თარხნობა ამ შემთხვევაში არის მეციხოვნობის ან ქეშიკობის სახით გლეხის მიერ გაწეული სამსახურისათვის კუთვნილი სარგოს კომპენსაცია, რომელსაც მეფე ერთბაშად აძლევს მას იმ ყოველწლიური გამოსაღების ხარჯზე, რომელიც თვით გლეხს მართებ.

გააზატებულ თუ გათარხნებულ გლეხთა დიდი უმრავლესობა ბატონის წი-

¹ იხ. ამის შესახებ ლ. მუსხელიშვილის დასავლეთ საქართველოს გლეხობის სოციალურ-ეკონომიური კატეგორიები..., გვ. 278. შდრ. სამებელ ნეკტარიოზის მიერ ვაცხის მაცხოვრისადმი მორთმული შეწირულების წიგნი. ს. კაკაბაძე, მასალები დასავლეთ საქართველოს სოციალური და ეკონომიური ისტორიისათვის, საისტორიო კრებული, წ. III, ტფ., 1928, გვ. 59.

² როცა ყმა-გლეხის გააზატება-გათარხნებაზე ვლაპარაკობთ, ჩვენ მსგეველობაში გვაქვს უშუალო ბატონის მიერ გლეხის საბატონო ვალდებულებებისაგან განთავისუფლება (გათარხნება), და არა მეფის მიერ თავის ვასალის გლეხის გათარხნება სამეფო გადასაწადებისაგან, უკანასკნელ შემთხვევაში გათარხნება გულისხმობდა არა თვით გლეხის განთავისუფლებას, რომელიც ამ გადასაწადს მაინც იხდიდა, არამედ მისი ბატონის სარგებლობას, რომელსაც ამიერიდან უფლება ეძლეოდა აღნიშნული გადასაწადი მეფის მაგიერად თვითონ მიეღო. იხ. ს. კაკაბაძე, იმერეთის საბუთები თარხნობის შესახებ, გვ. 167.

³ Sd—5091.

⁴ ს. კაკაბაძე, იმერეთის საბუთები..., გვ. 197—198, № 37.

ნაშე მინც გარკვეულ ვალდებულებას იხდიდა. მაგრამ ამასთან იყენენ საბატონო ვალდებულებისაგან მთლიანად თავისუფალი აზატებიც.

აზატები თავიანთი ვალდებულების ნორმის მიხედვით ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ. XVI ს-ის მეორე ნახევარში საქუთათლო აზატთაგან ზოგს მხოლოდ „პურის ჭამა და ცხენით სამსახური“ მართებდა, ზოგს კი—„პურის ჭამა, ცხენით სამსახური და ლაშქრობა“. ქუთაის საყდრის მუშაობა¹. ცხადია, აზატი, რომელსაც მხოლოდ პურის ჭამა და ცხენით სამსახური ევალებოდა, უფრო პრივილეგიურ მდგომარეობაში იქნებოდა, ვიდრე აზატი, რომლის ვალდებულებაში „ქუთაის საყდრის მუშაობა“ შედიოდა. აზატისათვის გადაკვეთილ ვალდებულებათა სხვა ნორმა აღნიშნულ დროს არა ჩანს.

XVII ს-ში აზატთა ხსენებას მხოლოდ ზემოთდასახელებულ მათხოჯის ნუსხაში ვხვდებით. იქ სულ 15 კომლი აზატი არის აღრიცხული და ყველა „მეზროხეებად“ არიან წოდებული². ამგვარად, მათხოჯის აზატთა ვალდებულება ერთი ნორმით იყო გადაკვეთილი. ამ ნორმის მიხედვით თითოეული აზატი თითო ძროხის იხდიდა. ამიტომაც აწერია მათხოჯის აზატთა სიას თავზე: „არის მათხოჯს მეზროხე კაცი“³. მართებდათ თუ არა მათხოჯის აზატებს აღნიშნულ საუკუნეში სხვა ვალდებულება და რა სახისა და რაოდენობის იყო დასავლეთ საქართველოს სხვა კუთხის აზატთა გამოსაღები, წყაროებიდან არა ჩანს.

XVIII ს-ში აზატთა ვალდებულების ნორმები უფრო მრავალგვარია. ასე, მაგალითად, 1757 წელს ცაგერის ღვთისმშობლისადმი თამარ დედოფლის მიერ „აზატობით“ შეწირულ იოანე და ძალუტა სილაგაძეებს, რომელთაგან ერთი მღვდელი არის და მეორე—ერის-კაცი, წელიწადში ერთი რუბის სანთელი ჰართებთ და შემწირველის „სულის საოხად“—წირვა⁴.

1791 წელს სოლომონ II-ის მიერ მღვდელი ანდრია და სხვა ყვიბანეშიელებისადმი ბოძებულ „აზატობისა და სითარხნის წიგნში“ კი მათი ვალდებულება უფრო სხვაგვარადაა გადაკვეთილი. ყვიბანეშიელებს მართებთ: „სამსახური ღვთისმშობლისა და გენათლის“ და ყოველ აღდგომას მეფის „განსამლიერებლად და სასულიეროთ“ წირვა. ამასთან უკანასკნელი ვალდებულება—„აღდგომის წირვა და მოხსენება“—მაშინაც არ უნდა მოეშალათ ყვიბანეშიელებს, როცა მათ „სახლში“ მღვდელი არ იქნებოდა⁵.

იმერეთის დროებით მმართველობაში თავად-აზნაურთა და გლეხთა მიერ წარდგენილ სითარხნის სიგლებს უწყისში აზატთა ვალდებულება უფრო მძიმე ნორმებითაც გვხვდება. მაგალითად, მღვდელ სიმონა და სხვა კაპანაძეებს მართებთ ორი ლიტრა სანთელი, ერთი ცხვარი, ბატონისათვის წირვა და სპენჯი 104 ფარა⁶.

ბერიკელა და სხვა გეცაძეები იხდიან ღვინოს, ხორცის, ღომის და ფულის ბეგრას⁷.

¹ დავთარი ქუთათისის... გვ. 30, 32, §§ 210, 234.

² დოკუმენტები... I, გვ. 437—438, საბ. № 611.

³ იქვე.

⁴ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, II, ტფ., 1921, გვ. 8—9.

⁵ ს. კაკაბაძე, იმერეთის საბუთები... გვ. 177—178, საბ. № 11.

⁶ იქვე, გვ. 201, № 6. „სპენჯი“ („ისუენჯი“) ქართულ ენაში თურქულის გზით შემოსული სპარსული გასართქმია, ნიშნავს მუხუთებს. მაგრამ სახელდობო რის მუხუთებს, ეს უკვე კიდევ გასარკვევია.

⁷ იქვე, გვ. 202, № 11.

აღნიშნულ საუკუნეში ზოგი აზატის ვალდებულების ნორმა ხუთი კოკა ღვინითა და ოთხი კოდი ღომით არის განსაზღვრული¹, ზოგის—ბეგართა და „სპენჯით“². ზოგის—მხოლოდ ერთი ჩარეკი სანთლით³, ზოგის—ბატონისათვის მსახურის მიცემით⁴. ზოგი აზატი კიდევ მთლიანად თავისუფალია ყოყოველგვარი ბეგარა-გამოსაღებისაგან⁵.

აღსანიშნავია, რომ XVIII ს-ში აზატთათვის გადაკვეთილმა ზემოთნაჩვენებმა ნორმებმა ცვლილება განიცადეს. მაგალითად, გააზატებულ მღვდელ სიმონა კაპანაძეს თუ 1784 წლიდან ორი ლიტრა სანთელი, ერთი ცხვარი, ბატონისათვის წირვა და სპენჯი 104 ფარა მართებდა. მისი მემკვიდრეები იმერეთში რუსული მმართველობის დამყარებიდან, 24 მარჩილს იხდიან⁶.

ან კიდევ, 1789 წელს გათარხნებული ბერიკელა გეცაძე თუ ღვინოს, ხორცის, ღომისა და ფულის ბეგარას იხდიდა, შემდეგ მას იმერეთის მმართველმა სიმონოვიჩმა 24 მარჩილი გააწერა⁷.

ასევე მეტნაკლებად შეიცვალა იმერეთში რუსული მმართველობის დამყარების შემდეგ, სხვა აზატთა ზემოაღნიშნული გამოსაღებებიც⁸. ამასთან აზატთა დიდი ნაწილის ბეგარა-გამოსაღების კომპლაცია მოხდა და მათი ვალდებულება აშკარად გადიდა⁹.

იგივე ითქმის დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის დამდეგს გააზატებულ გლეხთა ვალდებულების ნორმებზედაც¹⁰.

მრავალნაირი და ცოტად თუ ბევრად ერთმანეთისაგან განსხვავებული ჩანს ეს ნორმებიც. მაგალითად, 1801 წელს ვარძიის არქიმანდრიტ იოვაკიმეს მიერ გააზატებულ ყმას ხიჯაკაძეს ვარძიის ღვთისმშობლის ბეგარა და შინაყმობა მათრებს¹¹, ხოლო მღვდელს იოანე ფორჩხიძეს—სამი დღის წირვა¹².

წერეთლიანთ სათავადოს აზატებს კიდევ ბატონისათვის „პურის ჭმევა“, მსახურის მიცემა და, თითო ძროხა ევალებათ; ოლონდ ძროხას ყველა თანაბრად არ იხდის; შეძლებისდამიხედვით ზოგს მთელი, ზოგს ნახევარი და ზოგს მესამედი ძროხა მართებს¹³.

უწერაში შვიდ აზატთაგან ხუთის ვალდებულება მხოლოდ საურით განსაზღვრება, ორი კიდევ ამისგანაც თავისუფალია¹⁴.

¹ ს. კაკაბაძე, იმერეთის საბუთები... გვ. 217, № 118.

² იქვე, გვ. 205, № 29.

³ იქვე, გვ. 227, № 183.

⁴ იქვე, გვ. 207, № 42.

⁵ იქვე, გვ. 182, № 15, გვ. 217, № 115, 116, გვ. 231, № 2 გვ. 254, № 27.

⁶ იქვე, გვ. 201, № 6.

⁷ იქვე, გვ. 202, № 11.

⁸ იქვე, გვ. 217, № 18, გვ. 226, № 181, გვ. 205, № 30, გვ. 227, № 183.

⁹ იქვე, გვ. 201, № 6, გვ. 202, № 11 და საერთოდ გვ. 200—255.

¹⁰ იქვე, გვ. 200—255.

¹¹ „დროება“, 1883, № 26.

¹² ს. კაკაბაძე, დას. საკ. საეკლ. საბ., II, გვ. 163.

¹³ იქვე, 1302 (ეს საბუთი გამოცემულია ნ. მახარაძის მიერ, იხ. მისი „Восстание в Имеретии 1819—1820 гг.“, მასალები..., ნაკვ. III, თბ., 1942, გვ. 45.

¹⁴ ს—5369 (ხურაბ წერეთლის არქივი, უწერის აღწერა).

აღნიშნულ პერიოდში ვხვდებით აზატს, რომლის ვალდებულების ნორმა ხუთი კოკა ღვინით, ერთი კოდი ღომითა და ერთი ცხვრით არის განსაზღვრული¹. არის ისეთი აზატი, რომელსაც ბეგარა, ღვინო და სპენჯი აქვს დაკისრებული², ან ისეთი, რომლის ვალდებულება მხოლოდ სპენჯით არის გადაკვეთილი³. ბოლოს არიან ყოველგვარი საბატონო ბეგარა-გამოსაღებისაგან თავისუფალი აზატები⁴ და ისეთიც, რომელთა ვალდებულებანი აქ ჩამოთვლილთაგან მეტნაკლებად განსხვავებულია⁵.

უნდა აღინიშნოს, რომ სამეგრელოს სამთავროს აზატთა ვალდებულება XIX ს-ის 60-იანი წლების ცნობების მიხედვით, რომელიც შეიძლება აღრინდელი პერიოდის დასახასიათებლადაც გამოვიყენოთ, იმერეთის სამეფოს აზატთა ვალდებულებასთან შედარებით რამდენადმე მძიმე ჩანს.

ქვემო სამეგრელოში აზატთა ვალდებულების შესახებ რ. ერისთავი წერდა: აზატი მოვალეა გადაუხადოს ბატონს ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ერთი კარგი ძროხა, ერთი-ორი ქილა ღომი, ერთი-ორი კოკა ღვინო, გაუმასპინძლდეს ბატონს და მისი ოჯახის წევრებს წელიწადში ერთხელ, ეახლოს ცხენით ყველგან, გაეგზავნოს სხვადასხვა ადგილას, საჭიროების დროს ათხოვოს ცხენი, შეინახოს ბატონის სტუმრების ცხენი და აკამოს მეჩინიბეს⁶.

დაახლოებით ასეთივე იყო, რ. ერისთავისვე ცნობით, აზატთა ვალდებულება ზემო სამეგრელოსა და ლეჩხუმში, ოღონდ ლეჩხუმში იმ განსხვავებით, რომ აზატს ბატონის გამასპინძლება არ მართებდა⁷.

ამგვარად, აზატთა ვალდებულებანი, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, მაგრამ ამ განსხვავებასთან ერთად დასავლეთ საქართველოში ყველა დროისა და კუთხის აზატთა ვალდებულებებს ერთი ნიშანდობრივი მსგავსება ახასიათებს, სახელდობრ ის, რომ აზატთა ვალდებულებაში რამე სათავილო მუშაობა ან სამსახური და გამოსაღები არ ირიცხება⁸.

ყმა-გლეხის გააზატება ნიშნავდა მებეგრე გლეხის ვალდებულებისაგან, ან საბუთების ენით რომ ვთქვათ, „საგლეხო“ ვალდებულებისაგან მის განთავისუფლებას. ეს ნათლად ჩანს ზემოდასახელებულ ხიჯაქიძის 1801 წლის აზატობის სიგლიდან, რომლითაც ბატონი ყმას „თვინიერ ვარძიის ღვთისმშობლის ბეგრისა, შინა-ყმობისა,“ ყოველგვარი „საგლეხო გადასახადი და სათხოვრისაგან“ ათავისუფლებს⁹.

გააზატება რომ სწორედ მებეგრე გლეხისათვის დამახასიათებელი ბეგ-

¹ ს. კაკაბაძე, იმერეთის საბუთები..., გვ. 202, № 14.

² იქვე, გვ. 203, № 17.

³ იქვე, გვ. 205, № 31.

⁴ იქვე, გვ. 182, № 15, გვ. 224, № 165, გვ. 249, № 55.

⁵ იქვე, გვ. 203, № 19, გვ. 204, № 25, გვ. 218, № 124, გვ. 225, № 176.

⁶ კ. ბოროზდინი, რაფ. ერისთავი და მურიე, ბატონყმობა სამეგრელოში (მასალები), თარგმანი და წინასიტყვაობა თ. სახოკიასი, ტფ., 1927, გვ. 102, 103.

⁷ იქვე, გვ. 103.

⁸ საქუთათლო აზატთა XVI ს-ის მეორე ნახევარში გადაკვეთილ ვალდებულებებში ზოგან შეტანილი „ქუთაისის საყდრის მუშაობა“ (გვ. 32, § 234) საბეგრეო ნუსხებში ხსენებული ყანის, ზერის და სხვა ჩვეულებრივ მუშაობაზე უფრო საბატონო ჩანს.

⁹ „დროება“ 1883, № 26.

რისაგან განთავისუფლება იყო, ეს მერმინდელი ცნობებითაც დასტურდება. რაფ. ერისთავის გადმოცემით, სამეგრელოში აზატს „მებეგრე“ გლეხისათვის ნიშანდობრივ დაწესებული ღორის გამოსაღები არ მართებდა და აზატთა რიგებიდან გამოსული შინა-ყმა და ფარეში ბატონის სასახლეში მძიმე და ტლანქ სამუშაოს არ აკეთებდნენ¹.

ასე იყო იმერეთსა და გურიაშიც².

ამიტომაც არის წყაროებში აზატი და მებეგრე გლეხი ერთმანეთთან დაპირისპირებული. მაგალითად, ძმები გიორგი და პაატა წულუკიძეების მიერ მათი დედის, მათი აბაშიძის ასულისადმი მიერთმეულ ფარდის წიგნში ნათქვამია: „...ჩვენ ორთა ძმათა შორის მამულის განწილება მოგვიხნდა და განვიწილეთ იმერეთისა და რაჭის აზნაური, აზატი კაცი და გლეხი და თქვენ თქვენი შესასვედრი მოგართვითო“³.

აზატი, ამ წყაროს მიხედვით, გლეხი არ არის. წყაროს მიერ აზატის ასეთი გაგების საფუძველი მისი ბეგარა-გამოსაღებებიდან „საგლეხო“ ვალდებულების ამოკვეთაში უნდა ვეძიოთ.

„საგლეხო“ ვალდებულება უნდა გულისხმობდეს მებეგრე გლეხის ვალდებულებისათვის დამახასიათებელ თავ-ბეგარას, რომლის შემადგენლობაში მთავარი და ნიშანდობრივი იყო საკლავი⁴. დასავლეთ საქართველოს საბეგრო ნუსხების საკლავი კი ღორს ნიშნავდა⁵.

ამგვარად გლეხის „საგლეხო“ ვალდებულებისაგან განთავისუფლება უნდა მივიჩნიოთ თავი-ბეგრისაგან მთლიანად ან ამ ბეგრის მთავარი ნაწილის — საკლავისაგან განთავისუფლებად.

საკლავისაგან განთავისუფლებას დასავლეთ საქართველოში გლეხი თავისი ღირსების საქმედ თვლიდა⁶. ამიტომ საკლავის „ამოკვეთისათვის“ იგი ზოგჯერ დიდ თანხას („ხუთ თუმანს“) უხდიდა ბატონს⁷.

მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, გლეხის გააზატება ხდებოდა ხშირად არა მარტო თავი-ბეგრის ნაწილისა ან მთლიანად თავი-ბეგრისაგან, არამედ სხვა საბატონო ბეგარა-გამოსაღებისაგანაც. ამის მიხედვით აზატთა შორისაც რამდენიმე სხვაობა იყო⁸. რა თქმა უნდა, საბატონო ბეგარა-გამოსაღები-

¹ კ. ბოროხდინი, რაფ. ერისთავი და მჟორიე, ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 102.

² იბ. ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 315; მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, თბ., 1957, გვ. 95.

³ საქართველოს ცენტრალური ისტორიული არქივის ფონდი 1448 (226), საბ. № 7128.

⁴ თავ-ბეგრის შესახებ იბ. ლ. მუსხელიშვილის ზემოდასახელებული ნაშრომი, გვ. 275—276, 315; კ. ბოროხდინი, რაფ. ერისთავი და მჟორიე, ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 89—90.

⁵ ლ. მუსხელიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 276, იბ. აგრეთვე ი. სოსელია, საგლეხო ვალდებულებანი დასავლეთ საქართველოში XVII ს., მასალები..., ნაკვ. 32, თბ., 1955, გვ. 77.

⁶ იბ. კ. ბოროხდინი, რაფ. ერისთავი და მჟორიე, ბატონყმობა სამეგრელოში, გვ. 102.

⁷ Hd 5469.

⁸ იბ. ამის შესახებ მ. დუმბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, გვ. 94—95.

13. მასალები, ნაკვ. 33

საგან მთლიანად გააზატებული ღირსებით უფრო მაღლა იდგა, ვიდრე მხოლოდ თავი-ბეგრის ან მისი ნაწილისაგან გააზატებული გლეხი.

აზატ გლეხებთან ერთად უნდა განვიხილოთ „თავდახსნილი“ გლეხებიც, რომელნიც საკმაო რაოდენობით იყვნენ აღებული ხანის დასავლეთ საქართველოში. გლეხთა მიერ მეზატონეებისაგან თავდახსნა ხშირდება განსაკუთრებით XIX ს-ის 20-იანი წლებიდან. თავდახსნასაც იგივე მიზეზები იწვევდა, რაც გააზატებას. მაგრამ ამ მიზეზებს კლასობრივი ბრძოლით გამოწვეული კონფლიქტებიც ერთოდა. ასეთ შემთხვევაში ბატონთან შეურიგებელი, სათანადო მატერიალური შესაძლებლობის მქონე, ყმა თავს იხსნიდა ბატონისაგან. თავის მხრივ ყმის საფასურით დაკმაყოფილებული ბატონი ადვილად იმეტებდა „ორგულ“ ყმას¹. უამისოდაც, თუ ყმას თავის დახსნისათვის საჭირო სახსრები მოეპოვებოდა და ბატონი მატერიალურ საჭიროებას განიცდიდა, ყმას შეეძლო „თავისუფლების წერილი“ მიეღო ბატონისაგან².

ამის ფაქტები მეტად მრავალადა. დავასახელებთ რამდენიმეს.

1808 წლის ახლო ხანში გლეხმა გიორგელა სეზისკვერიძემ თავი დაიხსნა თავის მეზატონე დათიკა მარგველაშვილისაგან და ამის სანაცვლოდ მას გული გაუჭერა³.

როსტომ ჯაფარაშვილისაგან „მოსყიდული“ ქიტესა ჩერქეზოვი, როგორც ჩანს, გაქცა თავის ბატონს და თბილისში ცხოვრობდა. თექვსმეტი წლის შემდეგ აქ მას ნასყიდობის სიგელით ხელში მოადგა ზურაბ აბაშიძე და ბატონყმობაზე გამოელაპარაკა⁴. მაგრამ ქიტესა ყმობაზე არ დათანხმდა. თავი დაიხსნა. ძველი ნასყიდობის სიგელიც დაიბრუნა და 1810 წელს „განთავისუფლების მტკიცე წერილი“ მიიღო, სადაც აბაშიძე აცხადებდა: „შენ ჩემი გული შეიჭერე, რითაც იყო, და მე განმითავისუფლებიხარ, შენთან საზატონყმობით ჭელი არც მე მქონდეს, არც ჩემს მძისწულს გიორგის და არც სახლისა ჩვენისა მომავალთა“⁴.

ასევე ბეჟან გამყრელიძის ყმება კიკოლა, თევდორე და ჯოჯიტა ჭილაძეები იმერეთიდან აიყარნენ და ქართლს დამკვიდრდნენ. ბატონთან დაბრუნება „ალარ ინებეს“. ამის გამო ბატონი იძულებული გახდა თავდახსნილობის სიგელი მიეცა მათთვის; აძლევს ამ სიგელს 1817 წელს გამყრელიძე და წერს: „...რომელიც კანონიერი ფასი იყო შენი სახსარი გამოგართვით. წადი, ღმერთმან ხელი მოგიმართოს, საცა გერჩომინებოდეს, იქ დადექ, არას ჩემს გვარსა და ჩამავალს კაცს შენთან ხელი არა ქონდესო“⁵.

1829 წელს სიმონიკა სვანიძემ თავი დაიხსნა თავისი მეზატონე ქაიხოსრო ყრუაშვილისაგან. სვანიძისადმი მიცემულ თავდახსნილობის სიგელში ყრუაშვილი წერდა: „...დაგახსნევიანეთ თავი და ავიღეთ ფასი სრული და უნაკლულო, რითაც ჩვენი გული შეიჭერე. არავინ იყოს მოცილე და მოდავე. არცა ჩვენ და არც მომავალი სახლისა ჩვენისანი. საცა შენი ნება იყოს, იცხოვრო, ჩვენ ნება მივივცია და გავგითავისუფლებიხართ ყოველის უმიზეზოდო“⁶.

¹ საქ. ცენტრ. არქივის ფონდი 229, დავთ. 39, საბ. № 135.

² იხ. ვახტანგის სამართალი, მუხლი 260.

³ საქ. ცენტრ. არქივის ფონდი 1448 (226), საბ. № 5159.

⁴ Qd-72.

⁵ საქ. ცენტრ. არქივის ფონდი 229, დავთ. 50, საბ. № 32.

⁶ ქუთ. მუხ. საბ. № 476.

ამგვარად, გლეხთა თავდახსნის სიხშირე XIX ს-ნის პირველი ათეული წლებიდან დასავლეთ საქართველოში აშკარა ფაქტია¹.

ისმის კითხვა: ჰქონდათ თუ არა მთლიანად გააზატებულსა და თავდახსნილ გლეხებს აზატობისა და თავდახსნილობის შენარჩუნებისათვის სათანადო ეკონომიური საფუძველი? ამასთან, თუ გლეხი უმამულოდ იყო გააზატებული ან თავდახსნილი და თავისი ბატონის მამულზე რჩებოდა, როგორი უფლებრივი დამოკიდებულება იქმნებოდა მეზატონესა და მას შორის? ხოლო თუ გლეხი შორადებოდა ბატონის მიწა-წყალს, როგორი იყო მისი მომავლის პერსპექტივი?

გააზატებული ან თავდახსნილი გლეხის მდგომარეობა მაშინ იქნებოდა მყარი, თუ ის მამულიანად იყო განთავისუფლებული, ან თუ ქონდა მას თავისი „ნასყიდი“ საკმაო მიწა. წინააღმდეგ შემთხვევაში ერთი მეზატონისაგან თავდახსნილი ან გააზატებული გლეხი ხშირად იძულებული იყო უმამულობის გამო მეორეს მისვლოდა.

ასეთი შემთხვევა ასახულია წყალობიკი და სხვა აბქანდაძეების მიერ ზუზრაბ წერეთლისადმი მიერთმულ პირობის წიგნში: აბქანდაძეები თავდაპირველად „საკათალიკოზო“ ყმები ყოფილან. მერე „ქრთამის“ საშუალებით აზნაური ლალიძე დაბატრონებია მათ. ლალიძისაგან აბქანდაძეებს თავი დაუხსნიათ, „აზატობის წიგნი“ მიუღიათ². მაგრამ უმამულოდ. უმიწა-წყლოთ დარჩენილ აბქანდაძეებს ზუზრაბ წერეთლისათვის მიუმართავთ, თავიანთი აზატობის წიგნი წარუდგენიათ და მამული უთხოვიათ. წერეთელს უბოძებია მათთვის ადგილ-მამული „დიდ წიფელაზე შერგილაშვილისეული სამოსახლო, საყანე, სახნავი, სათესი, სავენახე, ტყე, სახარდნე, საშეშე და საფიცრე“. თავიანთი პირობის წიგნით კი აბქანდაძეები ამის სანაცვლოდ აღუთქვამენ წერეთელს: „...საუკუნოდ სამკვიდრო ყმად მოგვიცემია თავი, რომ არც ჩვენ და არც ჩვენს შვილსა და მომავალს, არც თქვენი და თქვენი შვილისა და მომავლის მეტი ბატონი არ უნდოდესო“³.

ასე რომ, უმამულოდ გააზატებულ-თავდახსნილი გლეხის მიერ აზატობით ან თავდახსნით მოპოვებული უფლების შენარჩუნებას ყოველთვის საფრთხე მიელოდა.

მაგრამ მამულიანად განთავისუფლებული გლეხები ჩვენთვის ცნობილ საბუთებში არ ჩანან. ამგვარად, გამოდის, რომ აზატობას და თავდახსნას აღებული ხანის დასავლეთ საქართველოში ეკონომიური საფუძველი არ ქონდა; ის, უმეტეს შემთხვევაში, მხოლოდ დროებითი იყო.

თუ ეს ასეა, მაშინ რატომ ხარჯავდა გლეხი ასე დაუზოგავად აზატობისა და თავდახსნისათვის ესოდენ დიდ თანხას, როგორც იყო სამოცი მარჩილი, ან ექვსი თუმანი ან კიდევ ცამეტი თუმანი?⁴.

¹ იხ. მაგ., საქ. ცენტრ. არქივის ფონდი, № 229, დავთ. 39, საბ. № 5; ფონდი 1448 (226) საბ. №№ 7056, 5736; 839. ქუთ. მუხ. საბ. №№ 475, 896.

² აღსანიშნავია, რომ ამ საბუთში თავდახსნა და აზატობა გაიგივებულია.

³ sd—1555; იხ. აგრეთვე sd—1220.

⁴ საქ. ცენტრ. არქივის ფონდი 229, დავთ. 39, საბ. № 135; ფონდი 1448 (-226), საბ. №7056, 5839.

თქმა არ უნდა, მამულიანად თავდასხნილ-გააზატებული, ან საკუთარი მიწის მქონე განთავისუფლებული გლეხის მდგომარეობა ჯობდა მებატონისაგან უმამულოდ განთავისუფლებული გლეხის მდგომარეობას. მაგრამ ბატონის მიწაზე დარჩენილი უმამულოდ თავდასხნილ-გააზატებული გლეხის მდგომარეობაც განსხვავდებოდა მისი წინანდელი მდგომარეობისაგან.

გლეხის უმამულოდ თავდასხნილ-გააზატება იყო ბატონის პირადი დამოკიდებულებისაგან, ან უკეთ, გარეშე ეკონომიური იძულებისაგან განთავისუფლება. ასეთ შემთხვევაში გლეხი თუ ბატონის მამულზე რჩებოდა, რჩებოდა არა როგორც მიწაზე მიმაგრებული ყმა, არამედ ბატონის მიწით სარგებლობისათვის მხოლოდ გარკვეულ ვალდებულებათა გადასხმული გლეხი.

ბატონის მიწაზე დარჩენილი თავდასხნილი გლეხი რომ საბატონოდ გარკვეულ სამამულო ვალდებულებას იხდიდა, ეს საბუთებიდან ნათლად ჩანს. მაგალითად, თავდასხნილი გლეხი ივანე ჯულაყიძე, რომელიც ნიკოლოზ ჩიჩავაძის მამამ „არჩინა“ და თავის მამულში „დვალისევილების ქვეყანაში“ დვასახლა, მას „მსახურებდა“¹.

ასევე, თავადი წულუკიძისაგან თავდასხნილი გლეხი, კაციელა ჯავახიძე თუ „თავის ადგილზე“ მივიდოდა, ისევე წულუკიძის „მოსამსახურე“ უნდა ყოფილიყო².

ასეთსავე მდგომარეობაში უნდა ყოფილიყვნენ აზატებიც.

წყაროებიდან არ ჩანს კონკრეტულად, თუ რას გულისხმობდა ბატონის მიწაზე დარჩენილი თავდასხნილი გლეხის სამსახური, მაგრამ, რასაც არ უნდა გულისხმობდეს ის, ერთი მაინც ცხადია: თავდასხნილ-გააზატებულ გლეხს უფლება ქონდა, სადაც ენება, ან „საცა ერჩომინებოდა“, იქ ეცხოვრა თუ იგი მოინდომებდა, ბატონი მას აყრას ვერ დაუშლიდა³.

ამის თქმის უფლებას იძლევა, როგორც ზემოდასახელებული თავდასხნილობის წიგნები⁴, ისე მდივანბეგთა განაჩენი მაჰავარიანებისა და ოყრეშიძის დავის გამო. 1821 წლის ახლო ხანს ქაიხოსრო და სხვა მაჰავარიანებისა და პაატელა ოყრეშიძის საქმე გაარჩიეს. მაჰავარიანები უჩიოდნენ ოყრეშიძეს: „...ბაბუა შენი... ბიძა ჩვენი ნიკოლოზის დახსნილი იყო, მას ყავდა და იმ ბიძა ჩვენმა... თქვენი ოჯახი ბაბუა ჩვენს როსაპს მისცა... და თქვენი ბაბუა და მამა და თქვენ, ბაბუა ჩვენს, მამა ჩვენს და ჩვენ გყავდით... და წაგვიხვედით ჩვენ თქვენ და წერეთელს თავი მიაცემთ, მის მამულშიდ დაესახლეთ და თავს გვართმევთ, მარა თუ სამართალი არ წავგვართმევს, ვერ ვაგიშვებთო“. ოყრეშიძე ასე პასუხობდა მაჰავარიანებს: „როგორც თქვენ ჩივით, ბიძა თქვენმა ბაბუა ჩემი დაიხსნა... და თავის დედისა და მამის საფლავზედ მომხსენებლად დააყენა და წერილი მისცა: ჩემი დახსნილი იყავი და მამის ჩემისა და დედის ჩემის მომხსენებლად დამიყენებისარ და თუ სხვამ ვინმემ გარჩინოს და შენ წასვლა რნებო, არ ვისგან დაგეშალოს... და რადგან იმ ნიკოლოზ ბერმა⁵ თავის დახსნილს ბაბუა ჩვენს ეს განთავისუფლების წერილი უბოძა, თქვენ ჩვენთან ხელი არ გაქვს,

¹ ქუთ. მუხ. საბ. № 328.

² საქ. ცენტრ. არქივის ფონდი 229, დავთ. 39, საბ. № 5.

³ აზატის ეს უფლება შენიხნული აქვს ს. კაკაბაძეს. იხ. მისი „Крестьянский вопрос и крестьянские движения в Восточной Грузии в XVIII веке“, История классової борьбы в закавказьи. сборник статей, кн. I, Тифл., 1930; გვ. 158.

⁴ იხ. საქ. ცენტრ. არქივის ფონდი 1448 (226), საბ. № 5159; ფონდი 229, დავთ. 50, საბ. № 32; Qd—72; ქუთ. მუხ. საბ. № 476.

⁵ ტექსტში წერია: ბერისაგან.

ჩვენის ნებით და ამ წერილის ძალით ვისაც¹ გვინდა, იმას მივეყმობითო“. ამასთან ოყრეშიძემ „თავისუფლების წერილიც“ წარუდგინა ბჟეებს. მაგრამ მაჭავარიანებმა „აშორო“ უთხრეს ოყრეშიძეს. როგორც ჩანს, მაჭავარიანებმა ოყრეშიძის თავისუფლების წერილი ნატყუარ საბუთად გამოაცხადეს. ბჟეებმა გასინჯეს ეს საქმე და მაჭავარიანებს „ფიცო“ დააკისრეს. ამ დავის გამო მდივანბეგთა განაჩენში ვკითხულობთ: მაჭავარიანმა იშოვოს ჭთორმეტი გლეხი კაცი... ან ამავალი უფროსი სხვა კაცი, ასე დაუფიცოს... ეს წიგნი ნიკოლოზ ბერს მაჭავარიანს ბაბუი შენისთვის არ მიეცეს და არც გაშვების თავისუფლობა არ ეალნებოთ. თუ ასე [უფიცოს], მაჭავარიანი გამართლდეს, ოყრეშიძე თავის თავს ვერავის მიაყმობს, ისევე მაჭავარიანის ყმა შეიქმნეს. და თუ მაჭავარიანი ვერ გამართლდეს, ვისიც დახსნილი ოყრეშიძის მამა და ბაბუა ყოფილა, მისგან თავისუფლებების წერილი აქვს, და მაჭავარიანს ოყრეშიძესთან საბატონყმით ხელი აღარ ექნება“².

ამგვარად, ბატონის მიწაზე დარჩენილ თავდახსნილ-განთავისუფლებულ გლეხს, კანონი ბატონისაგან წასვლის უფლებას აძლევდა; ამიტომაც ცდილობდნენ გლეხები თავდახსნა-გააზატებას.

ეს კანონი ვრცელდებოდა სხვა ბატონთან ყმად მისულ თავდახსნილ-გააზატებულ გლეხებზედაც. ასე მაგალითად, თავის ბატონისაგან უმამულოდ განთავისუფლებულმა გლეხმა მამუკი მემარნისშვილმა „თავისის გონებით“ მღვდელს გიორგი დევედარიანს მისცა თავი „საყმოდ“. დევედარიანმა თავის მამულზე დააყენა იგი, ცოლი „მოგვარა“, „ხარჯი ბევრი“ მოუვიდა. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მემარნისშვილმა „აღარ ინება“ დევედარიანის „ბატონყმობა“ და გასწია „წასასვლელათ“. დევედარიანმა იგი „უსამართლოდ“ აღარ გაუშვა, რადგან მასზე „ხარჯი ბევრი“ ქონდა გაწეული. სასამართლომ გაარჩია დევედარიანისა და მემარნისშვილის საქმე და უკანასკნელს მხოლოდ დევედარიანის „ნახარჯის“ გადახდა დააკისრა. ნახარჯი სამოცდაათი მარჩილი გამოვიდა. ეს თანხა მემარნისშვილის თხოვნით ბეჟან წერეთელმა გადაიხადა და, როგორც ჩანს, მემარნისშვილი მას მიუვიდა ყმად³. თუ მემარნისშვილი წერეთლის მამულიდანაც აყრას მოინდომებდა, რა თქმა უნდა, წერეთელიც მას „უსამართლოდ“ არ გაუშვებდა, რადგან მისი „ნახარჯი“ წერეთელს ქონდა გადახდილი. მაგრამ მემარნისშვილს შეეძლო ამ ნახარჯის გადახდა ეთხოვა რომელიმე სხვა ფეოდალისათვის ისე, როგორც თავის დროზე თხოვა წერეთელს. და ერთი ბატონიდან მეორესთან გადასულიყო. ამასთან შეიძლებოდა ისიც, რომ გლეხს მასზე ბატონის „ნახარჯი“ ვერ გადაეხადა და ის ბატონთან კაბალურ პირობებში ჩავარდნილიყო.

ამგვარად, უმამულოდ განთავისუფლებულ და სხვა ბატონთან ყმად მისულ გლეხს მისგან წასვლის უფლება ჰქონდა, ოღონდ, თუ გლეხის გამო ბატონს რამე „ხარჯი“ მოუვიდოდა, იგი გლეხს უნდა გადაეხადა.

მაგრამ ბატონს მასთან საყმოდ მისული ყველა გლეხისათვის ხომ არ დასჯირდებოდა „ხარჯის“ გაღება. ყველა თავდახსნილ-გააზატებულ გლეხი მემარნისშვილის მდგომარეობაში ხომ არ იქნებოდა! ასე რომ, საეცებით დასაშვებია

¹ ტექსტში: ვისთვისაც.

² Hd—8372. საბუთი გამოქვეყნებულია. იხ. ო. სოსელია, მასალები კლასობრივი ბრძოლის ისტორიისათვის ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოში..., თბ., 1960, გვ.80—81, საგ. № 86.

³ Hd—1932.

სხვა ბატონთან ყმად მისულ გლეხის მისგან „უსამართლოდ“ წასვლაც. ოღონდ სანამ იგი ბატონის მამულზე იდგა, მისი „სამსახური“ მართებდა.

საბატონო ვალდებულებებისაგან ნაწილობრივ გაანატებული გლეხი კი მიწაზე მიმაგრებულ გლეხად რჩებოდა. მაგრამ მდაბიო გლეხთან შედარებით ის გარკვეული პრივილეგიებით სარგებლობდა. მაგალითად, ტვირთი ან სხვა რაჟე სათაჯილო ვალდებულება არ მართებდა.

ფეოდალური ურთიერთობის დროს გლეხთა თანდათანობითი განთავისუფლების შესაძლებლობა საერთოდ გამოირიცხული არ იყო. მაგალითად, გერმანიაში, როგორც ფრ. ენგელსი აღნიშნავს, „შუა საუკუნის ყმებმა... განახორციელეს თანდათანობით თავიანთი განთავისუფლება, როგორც კლასისა“¹.

უნდა აღინიშნოს, რომ გლეხთა მიერ მეზატონეთაგან თავდახსნა დასავლეთ საქართველოზე უფრო მეტად გავრცელებული იყო აღმოსავლეთ საქართველოში XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან². ამასთან აქ იყვნენ ისეთი გლეხები, რომელთაც თავდახსნისათვის საჭირო მატერიალური შესაძლებლობა მოეპოვებოდათ. იმ მრავალრიცხოვან საბუთთაგან მოვიტანთ მხოლოდ ერთს, დამახასიათებელს. 1782 წელს ზაალ ჭავჭავიშვილის ყმები, ბიჭიაშვილები ჩივიან ერეკლე II-ის წინაშე: „...ლმერთმან ბედნიერის ხემწიფის ჭირი მისცეს ხოვლელ ჭავჭავიშვილის ზალის ყმა ბიჭიაშვილებს. ზალს, რაც ყმა და მამული ჰქონდა უფროსი ერთი გაყიდა და ჩვენ ეს ერთი კომლი დავრჩომილვართ, და ქაქაძისინ იმ გაყიდულისა და გაფუჭებულისა ხარჯსა და ბეგარას ჩვენ გვაწვევინებდა. და მას გარდა. ესეც ჭავჭავიშვილებისაგან მოიკითხეთ, რომ რაც შეგვძლებია, იმისათვის როგორ გვიმსახურნია ყოვლის ფრიადამდე. აქა იქა თუმნობით, ორ თუმნობით ვალი აუღია და ისიც ჩვენთვის შემოუპირებია და ჩვენ მიგვიცია. ამისთანა გამოსაყენებელი ყმანი ვყოფილვართ. ახლა ბეცია თარხნიშვილისათვის ბარათი მიუცია, ამისი ხუთი თუმანი [მ]მართებს და თქვენ მიეცითო. ამას გარდა მოგვიხდა, მარნის კარი დაგვიმტერია, ღვინო ამოგვისხა. ორმოც მოგვიხდა და პური ამოგვიყარა და მოციქულის პირით ამასაც გვიკვეთინებს, რომ თქვენი აქ ყოფნა და დადგომა არ იქნებაო, გაშეცალენითო, საშკვიდრო და ნასყიდობა მამული, რაც გიჭირავსთ, სულ დამიგდევითო. ამისთანა უსამართლო[ბა] ქართლსა და კახეთში გლეხ კაცს არ დამართვია, რომ ჩვენ გვემართება. სად შეიძლება ერთისა გლეხის. კაცისაგან, რომ ერთს თავადიშვილს თავის კერძობით, რაც ხარჯი უნდოდეს და [ა]ნ ვალი ჰქონდეს და [ა]ნ ვალს აიღებდეს, იმან გარდაუხადოს და იმან შინახოს და ქვეყანასაც [და] მეზატონესაც ემსახუროს. მართალია, შემძლებელი გლეხი ქართლსა და კახეთში ბევრი გხვდებათ, მაგრამ ისიც შეძლებით უმსახურებიათ. ჩვენცა ჩვენის შეძლებით გვიმსახუროს. ესე ზემოსხენებები კაის თავადისშვილისაგანაც არ შეიძლება და ჩვენ როგორ შევიძლებთ. ოთხნი ძმანი აქ განლაგართ; თუ ერთი გზა არ მოგვეცა, ჩვენ იქ მისვლა არ შეგვიძლიან. ასე რიგად ატეხილა, რომ ერთს ღვინისა და თქვენს საწყყენს განასაცდელს მოგვაყენებს. ჩვენ რომ აყრას გვაკეთინებს და იქ უყოფნობი-

¹ ფრ. ენგელსი, ოჯახის, კერძო საქუთრების და სახელმწიფოს წარმოშობა, სახელგამი, 1953, გვ. 215—216.

² იხ. მაგ. საქ. ცენტრ. არქივის ფონდი 229, დავთ. 12, საბ. № 20, დავთ. 13, საბ. № 19; დოკუმენტება საქართველოს სოციალური ისტორიიდან, II, ნ. ბერძენიშვილის რედ., თბ., 1953, საბ. №№ 66, 188, 330 და სხვ.

ლებას. რა დანაშაული გვაქს და რა სამსახურის სამაგიერო წყალობა არის-სისხლი დგვიდგვრია, შიგ დავხოცილვართ, რა შაწუხებით თითო ოროლა შაური ჩვენის ცხოვრებისათვის მოგვიკლია და მამული გვიყიდნია; იმასაც გვაკეთონებს, რომ ნასყიდოც მე დამიგდევითო. ეს არავის დამართებია. ამ წყალობას ვითხოვთ: თუ არ გაგვიკვირებს, როგორც ბატონყმობის რიგია და შავგილიან, ვემსახურებით. თუ არა, ჩვენი თავი აღარ უნდა, მამულს ყმა გახლავართ; იმან თავისი სამკვიდრო მამულზედ ხელი აღვაგებინოს (sic) და ჩვენ ნასყიდს მამულზედ გახლდებით, ქვეყანას და თქვენს სიმაღლეს ვემსახურებით... ან არა, რასაც თქვენი სიმაღლე იწებებს და შავგაძლებინებს წელიწადში გადაკვეთით. ჩვენს ბატონს იმას ვემსახურებით. სხვა რიგათ უსამართლოდ გვაფუჭებს, დავგვხსნას. ქვეყნის მეპატრონე ბრძანდებით და მოგვიხსენებია ჩვენი საჩივარი. წყალობას ვითხოვთ, რომ სამართლიანი საქმით ამ კაცისაგან გამოგვიხსნათ, რომ არ გავგაფუჭოს...“¹.

საბუთს ახლავს ერეკლე II-ის ოქმი, სადაც ვკითხულობთ: „ჩვენი ბრძანება არის, ყორ-იასაულ-ბაშ ნაიბ ეშოკალარო (sic) ზაზავ. მერე ესენი მსაჯულთ სამართალში ალაპარაკე სამართლიანის საქმით და ერთი განწესება დაუდგან, რომ იმ წესით თავის ბატონს ემსახურებოდენ; ამათაც იცოდნენ თავიანთ განცესება (sic) და მის ბატონმაც. უსამართლოთ და ჯიბრით ნულარ მოექცევა...“.

ყორ-იასაულ-ბაში ზაზა თავის მხრივ წერს თარხნიშვილს: „რასაც წამს ეს ბატონის ოქმი მოგივიდეს, იმ წამს ამისი მოდავე უნდა გამოგზავნო. ამის დავიანება არ იქნება“².

ეს საბუთი მრავალმხრივ არის საყურადღებო. ამ შემთხვევაში ჩვენთვის ყველაზე მეტად საინტერესოა ცნობა „ნასყიდ მამულის“ მქონე გლეხის არსებობის შესახებ. ქართლ-კახეთში XVIII ს-ის მეორე ნახევარში ბიჭიკაშვილების მსგავსი გლეხები, როგორც ჩანს, მრავლად არიან³. ბიჭიკაშვილები თავიანთ „საჩივარში“ პირდაპირ აცხადებენ: „შემძლებელი გლეხი ქართლსა და კახეთში ბევრი გხლებიათო“. ასეთ გლეხებს, სავსებით დასაშვებია, მოეხერხებინათ თავდასხნა და თავდახსნით მოპოვებული უფლების შენარჩუნებისათვის ეკონომიური საფუძველიც ჰქონიათ. მაგრამ დავუბრუნდეთ დასავლეთ საქართველოს.

გლეხის მიერ თავდახსნა-გააზატებით მოპოვებული უფლებები მემკვიდრეობით გადადიოდა. ამას ადასტურებს ზემოთ დასახელებული მაჭავარიანებისა და ოყრეშიძის გაბჭობის წიგნი. ოყრეშიძე სასამართლოს წინაშე მაჭავარიანს ეუბნებოდა: „ჩემთან ხელი არა გაქვს“, რადგან ბაბუა ჩემს თქვენგან „თავისუფლების წერილი“ ქონდაო. მდივანბეგთა განაჩენშიც ნათქვამია: თუ მაჭავარიანი ფიცით არ გაიმართლებს თავს, ოყრეშიძის მამას და ბაბუას მაჭავარიანისაგან „თავისუფლების წერილი“ ქონიათ და ოყრეშიძეც თავისუფალიაო. მაჭავარიანებიც ამაზე არ დაობდნენ, რადგან ეს უდავო იყო. ისინი მხოლოდ ამტკიცებდნენ: ოყრეშიძის „თავისუფლების წერილი“ „სიცრუით აღშენებულ“ და ყალბიაო⁴. მაჭავარიანებმა კარგად იცოდნენ, რომ საქმის მოგებისათვის სხვა გზა არ იყო.

¹ საქ. ცენტრ. არქივის ფონდი 1449 (227) საბ. № 665.

² იხ. იქვე.

³ იხ. დავით გვრიტიშვილი, ფეოდალური საქართველოს სოციალური ურთიერთობის ისტორიიდან (ქართლის სათავადოები), სახელგამი, 1955, გვ. 213.

⁴ Hd—8372.

ამგვარად, თავდახსნილ-გააზატებული გლეხის მემკვიდრეებიც თავდახსნილ-გააზატებული იყვნენ.

მაგრამ შეეძლო თუ არა გლეხს ფეოდალურ ხანაში, „მუშტის სამართლის“ პირობებში, თავდახსნა-აზატობით მოპოვებული უფლების დაცვა?

თქმა არ უნდა, აღნიშნულ ვითარებაში გლეხის თავისუფლება ბატონის ძალ-მომრეობისაგან უზრუნველყოფილი არ იყო. მაგრამ გლეხი მას ადვილად არ თმობდა. ეს ჩანს თუნდაც იმავე მაჭავარიანებისა და ოყრეშიძის გაბჭობის წიგნიდან. „თავისუფლების წერილის“ მქონე პაატელა ოყრეშიძემ ხომ თავი „წაართვა“ თავის მებატონეს მაჭავარიანს!¹

ასე რომ, თავდახსნილ-გააზატებული გლეხის მდგომარეობა არც მთლად უიმედო იყო.

საბატონო ვალდებულებისაგან ყმა-გლეხის თავდახსნა-გააზატებას, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბატონის ეკონომიური სპირიტუა იწვევდა. თავდახსნა-აზატობის აუცილებელ პირობას „ქრთამი“ წარმოადგენდა. გლეხს სათანადო მატერიალური შესაძლებლობა უნდა გასჩენოდა, რომ მას საბატონო ვალდებულებისაგან ნაწილობრივ ან მთლიანად თავდასახსნელი „ქრთამი“ გაეღო. ეს არც ისე ადვილი საქმე იყო. მარტო სეფობისაგან განთავისუფლებისათვის ზაალ წერეთლის ყმა—ჩუბინიძემ ათი ხარის ფასი გადაიხადა². გლეხის მთლიანად თავდახსნა-გააზატება კი, რა თქმა უნდა, ბევრად უფრო მეტ სახსარს მოითხოვდა. ამიტომაც XVI — XVII საუკუნეებში აზატი გლეხები მცირე რაოდენობით იყვნენ. ამ დროს, ქვეყნის ეკონომიური დაქვეითების პირობებში, გლეხთა მხოლოდ მცირე ნაწილი ახერხებდა გააზატებას. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან, უფრო კი მომდევნო საუკუნის დამდეგიდან აზატთა და თავდახსნილ გლეხთა რიცხვი იზრდებოდა. აზატთა და თავდახსნილთა რიცხვის ზრდა, გლეხთა შორის ქონებრივი დიფერენციაციის გაღრმავება ფულადი-სასაქონლო მეურნეობის შედარებითი განვითარებით არის გამოწვეული. ამ ნიადაგზე მებატონეს მოთხოვნილება უვითარდება. მეტი შემოსავალი სჭირდება. გლეხი კიდევ საბატონო ვალდებულებისაგან ნაწილობრივ ან მთლიანად განთავისუფლებისათვის საჭირო სახსრების მოპოვებას ახერხებს³. პირადი თავისუფლების მოპოვება კი გლეხს გზას უხსნის საქალაქო ურთიერთობისაკენ და საკუთარი მამულის შექმნის შესაძლებლობას უქმნის.

ხდებოდა ისიც, რომ გლეხი არღვევდა კანონს, პირადი თავისუფლების მოპოვების გარეშე მიზნობდა ბატონისაგან, „იკარგებოდა“, საქალაქო ურთიერთობაში ებმებოდა და მერე იხსნიდა თავს მისგან, ასე მოიქცა, მაგალითად, 1810 წელს რაჭველი აბაშიძის ყმა ქიტესა ჩერქეზიშვილი⁴.

¹ Hd—8372.

² ქეთ. მუხ. საბ. № 84.

³ აზატთა კატეგორიაში იფულისსმება როგორც მთლიანად, ისე ნაწილობრივ გააზატებული გლეხი.

⁴ Qd—72.

О. Н. СОСЕЛИЯ

КАТЕГОРИЯ КРЕСТЬЯН «АЗАТИ» В ЗАПАДНОЙ ГРУЗИИ (до 20-х годов XIX в.)

Резюме

«Азати», как социальный термин, в Западной Грузии встречается в источниках со второй половины XVI в. В значении азати применяется в источниках также слово «тархани».

Азати представлял крестьянина, полностью или частично освобожденного от помещичьей повинности.

Переход крепостного крестьянина в ряды азати, говоря словами документов, был связан с освобождением его от «крестьянской повинности». А это означало освобождение крепостного от основного оброка, полностью или от его главной части. Вместе с тем были крестьяне, освобожденные не только от основного оброка, но вообще от всякой помещичьей повинности. В связи с этим, в среде азати имелось некоторое различие: азати, освобожденный полностью от повинности, по своему положению стоял выше азати, освобожденного лишь частично.

Освобождение крестьянина полностью или частично от помещичьей повинности, превращение его в азати было вызвано определенными экономическими причинами — нуждаемостью помещика при возможности самовыкупа полностью или частично со стороны крестьянина.

Нормы повинностей у азати различны, но общим, характерным является отсутствие в них обязанности или службы, признанных унижительными (напр., несение на спине тяжести и т. п.).

После установления русского управления в Западной Грузии происходит изменение норм повинностей азати. У большей части азати натуральный оброк заменяется денежной рентой, причем сама повинность в ряде случаев увеличивается.

К категории крестьян азати примыкают крестьяне, «откупившиеся» (тавдахснили) от своих господ. Таких крестьян в Западной Грузии в изучаемый период достаточно много.

Положение азати или «откупившегося» крестьянина могло быть устойчивым лишь в том случае, когда тот освобождался с землей или имел свою «купленную» землю в достаточном размере. В противном случае крестьянин, ушедший от одного помещика, вынужден был идти к другому помещику и просить у него «покровительства».

Однако положение крестьянина, освобожденного без земли и неимевшего таковой, все же отличалось от его прежнего положения: он освобождался от личной зависимости, от внеэкономического принуждения; оставаясь на земле своего прежнего господина или переходя на землю другого помещика, откупившийся крестьянин обязан был нести определенную повинность лишь за пользование землей. Он не был прикреплён к земле, закон разрешал ему уйти от помещика. Последний не мог его удержать, если тот в состоянии был возместить «расходы», понесенные на него помещиком.

Обычным условием для перехода в ряды азати являлась уплата возмещения, называемого «кртами». Крестьянин должен был иметь материальную возможность уплатить «кртами» за освобождение его полностью или частично от помещичьей повинности, что было не так легко. Поэтому в XVI—XVII вв. в Западной Грузии хотя

и имеются факты наличия крестьян азати, но их еще сравнительно мало. Лишь со второй половины XVIII в., в особенности с 20-х годов XIX века количество азати и «откупившихся» крестьян сравнительно увеличивается.

Увеличение количества азати и «откупившихся» крестьян должно быть связано с определенным развитием товарно-денежных отношений: с одной стороны, потребности помещика возрастают, с другой стороны, определенная часть крестьян находит средства для откупа полностью или частично от помещичьей повинности.

Права, приобретенные азати и «откупившимися» крестьянами, переходили по наследству.

ბ. აკოფაშვილი

ცვლილებები აზნაურთა ფენის მდებარეობაში XIX ს. პირველი ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში

საქართველოს რუსეთთან შეერთებით XIX საუკუნის დამდეგს ქართველი ხალხის ცხოვრებაში ახალი პერიოდი დაიწყო. შეწყდა ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებელი არსებობა და იგი განსხვავებული სოციალურ-ეკონომიური განვითარების დონის მქონე რუსეთის დიდი იმპერიის ნაწილი შეიქმნა. ამ მნიშვნელოვანმა მოვლენამ, ბუნებრივია, უდიდესი გავლენა მოახდინა ქართველი ხალხის სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-პოლიტიკური ცხოვრების შემდგომ განვითარებაზე. აღნიშნული მოვლენის შედეგები ისევე მრავალმხრივი იყო, როგორც მრავალმნიშვნელოვანი. წინამდებარე წერილში ამ შედეგების ერთ-ერთი მხარე გვაცნობს, კერძოდ, ის სიახლე, რომელიც ახალმა ვითარებამ აზნაურთა სოციალური ფენის ცხოვრებაში შემოიტანა.

როგორც ცნობილია, საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური განვითარების ერთ-ერთი თავისებურება რუსეთთან შედარებით ისიც იყო, რომ აქ აზნაურთა დამოკიდებული სოციალური ფენის სახით არსებობდა სრულიად განსხვავებული წოდებრივი კატეგორია ფეოდალთა კლასის შიგნით. რუსეთის მთავრობამ თავიდანვე აიღო გეზი საქართველოს სოციალურ-პოლიტიკური გარდაქმნისა რუსული წყობილების ყაიდაზე, რათა საქართველო შექმნილიყო რუსეთის მთლიანი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის შემადგენელი ნაწილი. ამდენად, ძალიან მალე საქართველოში რუსული მმართველობის დღის წესრიგში დგება აღნიშნული თავისებურების, აზნაურთა დამოკიდებული ფენის მოსპობის საკითხიც, ამ აზნაურთა რუსეთის აზნაურობასთან უფლებრივად გათანასწოების საკითხი. უნდა აღინიშნოს, რომ ქართული სოციალური ვითარების ეს მნიშვნელოვანი თავისებურება, აზნაურთა დამოკიდებული ფენის არსებობა, საკმაოდ რთული სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ვითარების გადაჯაჭვის შედეგი იყო — თავის დროზე ღრმად დამკვიდრებული არსებულ წყობილებაში, ამდენად, მისი მოსპობა თუ გარდაქმნა დიდ სიძნელეებს უკავშირდებოდა. მთავრობის არაერთგზისი ცდები მისი მოგვარებისა მიუხედავად XIX ს. პირველი ნახევრის მანძილზე წარმოებდა. მთავარი სიძნელე, რომელიც საკითხის მოგვარებას აბრკოლებდა, სამამულო საკითხი იყო. სამამულო გამოყოფა სათავადო აზნაურებისა მათი მფლობელი თავადების მამულებიდან მრავალ სიძნელეს აწყდებოდა.

ქვემოთ ჩვენ შევეცდებით ქრონოლოგიური თანამიმდევრობით გადმოვცეთ იმ ღონისძიებათა ძირითადი ეტაპები, რომელსაც რუსეთის მთავრობა ატარებდა.

და XIX ს. პირველი ნახევრის მანძილზე აზნაურთა ფენის გამოსაყოფად საეკლესიო და საერო ფეოდალების დამოკიდებულებისაგან.

რუსული მმართველობის დამყარებისთანავე საქართველოში რუსეთის მთავრობამ მიზნად დაისახა პრივილეგირებული კლასის ერთიან კონსოლიდირებულ წოდებად ჩამოყალიბება, რომელიც მისი დასაყრდენი უნდა ყოფილიყო საქართველოში. პირველ ღონისძიებად ამ გზაზე მთავრობამ ქართველი თავადებისა და აზნაურების წარმომადგენლობითი ორგანოს, სათავადაზნაურო დეპუტატთა საკრებულოს არჩევნები ჩაატარა.

საქართველოში ჩამოსვლისთანავე (1803 წ. თებერვალი) მთავარმართებელი პ. ციციანოვი შლის მუშაობას თავადაზნაურთა ყრილობის მოსაწვევად. მისი ბრძანებით „აღმასრულებელმა ექსპედიციამ“ სათანადო წესები შეიმუშავა, რის მიხედვითაც უნდა მომხდარიყო ყრილობის მოწვევა და ჩატარება. წესდების საფუძვლად მიღებული იყო რუსეთში არსებული წესები, ოღონდ მხედველობაში იქნა მიღებული ზოგიერთი ადგილობრივი თავისებურება. ასე მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობისათვის ასარჩევი პირის შემოსავლის რაოდენობა დადგენილი არ ყოფილა. წესდებაში აღნიშნული, იყო, რომ მხოლოდ ისეთი პირის არჩევა არ შეიძლებოდა თანამდებობაზე, რომელსაც არავითარი საკუთრება და არავითარი შემოსავალი არ ჰქონდა, რითაც შესაძლებლობა ეძლეოდა თავადაზნაურთა ფართო წრეებს არჩეული ყოფილიყვნენ თანამდებობებზე.

განსაკუთრებით საინტერესოა ის გარემოება, რომ ქართველ სათავადაზნაურო დეპუტატების საკრებულოში მონაწილეობის მიღების უფლება ჰქონდა აზნაურთა ფენას, მთლიანად აღებულს, განურჩევლად სხვადასხვა კატეგორიებისა. ეს არამცირედი მნიშვნელობის ამბავი იყო, რამდენადაც ამით სათავადო თუ საეკლესიო აზნაურებსაც ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის რაღაც საშუალება მიეცათ. რამდენადმე გადაჭარბებული გვეჩვენება ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული აზრი, რომ აზნაურთა ფართო წრეების ამ ყრილობაში მონაწილეობით „ბოლო ეღებოდა საუკუნოვან იერარქიულ ზღუდეებს მემამულე თავადაზნაურობის შიგნით“¹. ეს ზღუდე თავადაზნაურობის შიგნით ამის შემდეგაც ძალაში რჩებოდა და უფრო სამართლიანი იქნებოდა იმის თქმა, რომ, მართლაც, საზოგადოებრივ ცხოვრებაში სათავადო აზნაურთა ამ პირველი მონაწილეობით მათი დამოუკიდებელი არსებობის პირველი ნიშნები ისახებოდა და რომ ეს იყო პირველი ცდა არსებული იერარქიული ზღუდეების გარღვევისა. მაგრამ არავითარ შემთხვევაში „ამიერიდან თავადის აზნაური“ არ „ზღებოდა ფიქციად“. რაც მთავარია და განმსაზღვრელი, ძალაში რჩებოდა აზნაურთა ძლიერი ეკონომიური დამოკიდებულება თავის სენიორზე, ეს კი მთი დამოკიდებულების საძირკველი, მათი ურთიერთობის განმსაზღვრელი იყო. სათავადო აზნაური ისევ ვალდებული იყო, ერთგული სამსახური გაეწია თავადისათვის. ასევე ვალდებული იყო, თუ კი წაუვიდოდა ბატონს, მისთვის დაეტოვებინა თავისი სამკვიდრო ყმა-მული. საჭიროების შემთხვევაში თავადი აზნაურის გლეხებსაც იყენებდა თავის

¹ ა. კიკვიძე, საქართველოს ისტორია, XIX საუკუნე, 1954, თბილისი, გვ. 49.



სამეურნეო სამუშაოებში და საერთოდ, თავის საკუთრებად სთვლიდა, როგორც აზნაურის მთელ ქონებას, ისე თვითონ აზნაურსაც და ბოლოს, აზნაურის მამული ასევე წინანდებურად ცალკე ადმინისტრაციულსა და ეკონომიურ ერთეულს კი არ ქმნიდა სახელმწიფოში, არამედ ისევე და ისევე სათავადოსთან ერთად მის შემადგენელ ნაწილად განიხილებოდა. აზნაურის ყმობა ამიერიდან ფიქციად რომ ქცეულიყო, რატომ დასჭირდებოდათ სათავადო აზნაურებს ასეთი გაცხოველებული, აქტიური ბრძოლა თავადების ყმობისაგან თავის დასაღწევად, რაზეც XIX საუკუნის პირველი ნახევრის მასალები აშკარად მეტყველებენ. შემდეგში რუსეთის მთავრობას დიდი მუშაობის ჩატარება უხდებოდა იმისათვის, რომ გაარკვიოს თავადებისა და მათი აზნაურების დამოკიდებულების არსი და საფუძველი; კიდევ უფრო დიდი მუშაობის ჩატარება უხდებოდა იმისათვის, რომ გაატაროს საეკლესიო და სათავადო აზნაურების გამოყოფა მათ ყმა-მამულთან ერთად საეკლესიო და სათავადო სენიორებისაგან; დიდი დროისა და მუშაობის დახარჯვა გახდა საჭირო, სანამ რეალური მდგომარეობის ძირფესვიანი შეცვლა მოხერხდებოდა¹.

სამართლიანია ის აზრი, რომ აზნაურთა ყმობას თანდათან საფუძველი გამოეცალა სათავადოს ფუნქციების მოშლასთან ერთად². მას შემდეგ, რაც სათავადო აღარ წარმოადგენდა პოლიტიკურ ორგანიზაციას სახელმწიფოში, მას შემდეგ, რაც მას ჩამოერთვა მისი სამხედრო, სასამართლო და საფინანსო ფუნქციები, სათავადო აზნაურთა არსებობამ სათავადოში ძველი მნიშვნელობა ნაწილობრივ დაკარგა. სათავადო აზნაურები იმ ძალას წარმოადგენდნენ სათავადოში, რომლის საშუალებითაც თავადი თავის ზემოთ ჩამოთვლილ ფუნქციებს ასრულებდა, იყო ის რაზმი, რომელსაც თავადის პოლიტიკური ძალაუფლება ეყრდნობოდა, რომელიც მას ზურგს უმაგრებდა დეცენტრალიზაციისათვის ბრძოლაში. ახლა, როდესაც მოხდა მმართველობის ცენტრალიზაცია, როდესაც თავადები უფლებრივად რუსეთის მემამულე-პომეშიკებს უნდა გათანაწირობოდნენ, სათავადო აზნაურების არსებობას სათავადოს შიგნით თავისი ოდინდელი აზრი უნდა დაჰკარგოდა. მაგრამ სხვა საკითხია დამოკიდებული აზნაურების სოციალური მდგომარეობის საკითხი. დამოკიდებული აზნაურები კვლავ განსხვავებულ მდგომარეობაში არიან და გამოირჩევიან ფეოდალთა მთლიანი კლასის შიგნით. ისინი კვლავ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თავადების მძიმე ეკონომიურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან, თავადები აიძულებენ მათ, ემსახურონ და თუ არ სურთ სამსახური, თავი გაანებონ სამკვიდრო ყმა-მამულს, რომელსაც თავადები თავიანთ საკუთრებად თვლიან. ამდენად, „ცარიზმის სამხედრო და სამოქალაქო ბიუროკრატია“ ასე ადვილად ვერ გახდებოდა იმ სარბიელად, „რომელმაც თავადების აზნაურები უფლებრივად აამაღლა, მათი ყმობა მოშალა“, როგორც ეს აღნიშნული აქვს ა. კიკვიძეს ხსენებულ წიგნში. აზნაურის თავადისაგან ეკონომიური დამოკიდებულება მისი, აზნაურის, ისევე ძველ ყმურ დამოკიდებულებას აღნიშნავდა.

¹ სწორადაა შეფასებული აზნაურთა მიერ წოდებრივი დამოუკიდებლობის მოპოვების საკითხი საქართველოს ისტორიის დახმარებულ სახელმძღვანელოში (1958 წ., წ. I, გვ. 423); იხ. აგრეთვე, მ. დუშბაძე, დასავლეთ საქართველო XIX ს. პირველ ნახევარში, 1957, გვ. 322.
² ა. კიკვიძე, დასახ. ნაშრ., გვ. 49.

*
*
*

დამოკიდებული აზნაურების გამოყოფა მათი სენიორებისაგან საეკლესიო აზნაურთა ეკლესიისაგან გამოყოფით დაიწყო. ეკლესიის დამოუკიდებლობისაგან აზნაურთა გამიჯვნის საკითხი 1811 წელს იქნა აღძრული. „უწმინდესმა სინოდმა“ 1811 წელს შეადგინა მოხსენება — „Касательно управления в Грузини духовенства“. მოხსენებაში მოტანილი იყო გენერალ ტორმასოვის აზრი საეკლესიო აზნაურთა ეკლესიებისაგან ჩამოშორებისა და მათი სახაზინო მიწებზე გადასახლების შესახებ: „Дворян . . . церковных всех вообще с их крестьянами и имением, коим они до открытия в Грузии Российского правительства пользовались, отдать в казенное ведомство и для прекращения влияния их на церковные имущества переселить с крестьянами из настоящего их жительства на пустопорожняя казенные земли“. ეს აზრი სინოდმა მისაღებად ჩათვალა და დასამტკიცებლად იმპერატორს გადასცა.

საეკლესიო აზნაურთა ეკლესიისაგან გამოყოფის საქმის ორგანიზაცია სახაზინო ექსპედიციას დაევალა. საჭირო იყო გამორკვევა, თუ რა სახისა და რა რაოდენობის მამულებს ფლობენ საეკლესიო აზნაურები, ვინაიდან გადაწყვეტილი იყო, რომ მამულები, რომლებსაც ისინი ეკლესიის ყმობაში ფლობდნენ, ეკლესიას უნდა დარჩენოდა, ხოლო ეკლესიის ყმობისაგან განთავისუფლებულ აზნაურებს ტოლფასოვანი საზღაური უნდა მისცემოდათ სახაზინო მიწებიდან. საეკლესიო აზნაურთა ყმა-მამულის რაოდენობისა და მოცულობის გამორკვევა და დადგენა დიდი მუშაობის ჩატარებას მოითხოვდა. ამიტომ სახაზინო ექსპედიციამ 1812 წლის 28 თებერვალს ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანა: რადგანაც სახაზინო ექსპედიციამ არ იცის, სად და რამდენი საეკლესიო აზნაური იმყოფება და რამდენი და რა რაოდენობის მამულის მქონე ყმა-გლეხები ჰყავთ მათ, ამისათვის ეთხოვოს მცხეთის მიტროპოლიტს, წარმოადგინოს ექსპედიციაში დაწვრილებითი სია, თუ სახელდობრ ვინ არიან ეს აზნაურები, სად სახლობენ, რომელ მახრასა და სოფელში, რამდენი ყმა-გლეხი ყავს თითოეულს და რა შინაარსის შემცველი ამ აზნაურთა სხვა მამულები¹. საეკლესიო აზნაურთა მფლობელობის დადგენას ხანგრძლივი დრო დასჭირდა, რის გამოც თუმცა დადგენილება საეკლესიო აზნაურთა განთავისუფლების შესახებ 1811 წელს იქნა მიღებული, ამ საქმის განხორციელება ათეული წლებით დაყოვნდა. როგორც სახაზინო ექსპედიციის 1822 წლის 29 აპრილის განცხადებიდან ჩანს, მას ამ 1822 წელსაც ჯერ კიდევ ვერ მიუღია საეკლესიო აზნაურთა მფლობელობის აღმწესხველი რეესტრი, რომელსაც 1812 წელს ითხოვდა. მისი შედგენა ზოგიერთ დაბრკოლებას წააწყდა. მასალებიდან ირკვევა, რომ საქმის დროულად დამთავრებას პირველ რიგში ხელს უშლიან თვითონ საეკლესიო აზნაურები. მათ, როგორც ჩანს, სრულიადაც არ მოსწონთ ეს პროექტი—მათი სახაზინო მიწებზე გადასახლება. სახაზინო ექსპედიციამ 1812 წლის 5 მარტს თხოვნით მიმართა საქართველოს ეგზარქოსს ვარლამს ხსენებული რეესტრის შედგენის შესახებ. მაგრამ რეესტრი ვერ აიიღო. 1822 წლის მაისში სახაზინო ექსპედიცია

¹ ყველგან, სადაც საუბარი გვაქვს საეკლესიო აზნაურთა განთავისუფლების საკითხზე, ვემყარებით საქართველოს ენციკლოპედიის ისტორიულ არქივში დაცულ საქმეს, ამ საკითხზე შედგენილ 1812—1844 წლებში. იხ. თ. 1, საქმე № 210.



იგივე თხოვნით მიმართავს საქართველოს ეგზარქოსს იონას. ეგზარქოსმა საეკლესიო აზნაურების მფლობელობის აღწერა დაავალა თავის მოხელეს—მცხეთის ეკლესიის ქონების მეურვეს დეკანოზ ამირიძეს, მაგრამ, როგორც ირკვევა, ეს უკანასკნელი საეკლესიო აზნაურებს არ შეუშვიათ თავიანთ მამულებში. საქართველოს ეგზორჩოსი იონა 1823 წლის 7 აპრილს აცნობებს საქართველოს სამხედრო და სამოქალაქო გუბერნატორს ხოვენს: „Ныне Амиридзе доносит, что дворяне по управляемому им имению церкви не позволили ему составить предписанного сведения“ და ამიტომ ამირიძემ შესძლო ეკლესიის აზნაურთა მხოლოდ სახელდობრივი სიის შედგენა—სახელის, გვარის და საცხოვრებელი ადგილის აღნიშვნით. ეგზარჩოსი იონა სთხოვს გუბერნატორს, ებრძანოს ვისაც ჯერ არს, რათა საეკლესიო აზნაურებმა შეუშვან თავიანთ ნამულებში დეკანოზი ამირიძე დავალებული საქმის შესასრულებლად. მართლაც, ხოვენმა მიიღო სათანადო ზომები და 1826 წლისათვის შედგენილ იქნა საეკლესიო აზნაურთა მფლობელობის აღწერილობა, მაგრამ საქმის წარმატებით დამთავრებას ამით მაინც ვერ ეშველა. აღწერილობაში მოცემული ცნობები საკმაო არ აღმოჩნდა. განსაკუთრებით აყვებებდა საქმეს ის გარემოება, რომ საჭირო იყო გადაწყვეტა საკითხისა, თუ ვის ეკუთვნის ეს მიწები, რომელზეც ყმა-გლეხებს თავიანთი სახნავები და ბალ-ვენახები ჰქონდათ გაშენებული. არის ეს აზნაურების თუ ეკლესიის მიწები; ამ საკითხის გამორკვევისათვის გადაწყვიტეს, ჩაეტარებინათ საეკლესიო აზნაურთა ყმა-მამულის ხელახალი აღწერა, რომელსაც საგანგებო მოხელე, „სტრიაპჩი“ ჩაატარებდა მიწის მზომელის დახმარებით და ეკლესიის წარმომადგენლის თანდასწრებით. ამ საკითხზე მიმოწერა, სათანადო მოხელის გამოყოფა და საქმის ორგანიზაცია კიდევ რამდენიმე წელი გაგრძელდა და მხოლოდ 1831 წლის შემოდგომაზე შეუდგა სტრიაპჩი კონდორსკი აღნიშნული დავალების შესრულებას. მან საჭიროდ მიიჩნია, სანამ უშუალოდ მიწების აზომვას შეუდგებოდა, წინასწარ წერილობითი ცნობები ჩამოერთამია საეკლესიო აზნაურებისათვის მათი მფლობელობის შესახებ. ამ მიზნით შეადგინა სპეციალური კითხვარი. სადაც ძირითადი ყურადღება ექცეოდა საკითხს, საკუთარსა თუ საეკლესიო მიწებზეა გაშენებული თვითონ აზნაურისა თუ მისი ყმა-გლეხების ბალ-ვენახები და სახნავი მიწები.

საინტერესოა, რომ თავიანთ პასუხში ამ კითხვაზე საეკლესიო აზნაურთა უმრავლესობამ გადაჭრით განაცხადა, რომ ისინი სრულიადაც საეკლესიო მიწებს არა ფლობენ, რომ ეს უშუალოდ მათი საკუთარი მიწებია. ზოგმა ამ აზნაურთაგანმა, უმთავრესად კახეთის აზნაურებმა განაცხადეს, რომ ისინი საეკლესიო აზნაურები არც არიან და კახეთის აზნაურებად თვლიან თავს. ასე მაგალითად, აზნაურები გიეიმყრელი, ანდრონიკაშვილი, სულხანიშვილი, მელვინეთხუციშვილი, ნაცელიშვილი, ნაობიშვილი, მგალობლიშვილი, აბელიშვილი, იორამაშვილი გადაჭრით აცხადებენ, რომ ისინი ეკლესიას არასოდეს არ ეკუთვნოდნენ და ეკლესიას არც არავითარი საბუთი არ გააჩნია მათი კუთვნილების შესახებ და რომ ისინი ყოველთვის სამეფო აზნაურები იყვნენ. ამავე დროს XV—XVIII სს. საბუთების მიხედვით სრულიად უდავოა, რომ ეს აზნაურები, რომლებიც ახლა ასე ხელალებით უარყოფენ ეკლესიისადმი თავიანთ კუთვნილებას, საეკლესიო აზნაურები იყვნენ. ერთ-ერთი ამთავანი, აზნაური სვიმონ ბაქრაძე კი თავის პასუხში კითხვაზე ვერ უარყოფს იმას, რომ მისი სახლი

წარსულში ეკლესიას ეკუთვნოდა, მაგრამ აცხადებს: „იქნება ოთხამდე წელიწადი გასული, რაც რომ წინაპარნი ჩემნი და მემკვიდრეობით შთამომავლობით პაპის პაპეულსა სამკვიდროსა მამულსა ამას ჩემსა ზედან ცხოვრობენ თავისუფლად და თვინიერ ყოვლისა სხვისადმი სამსახურისა და ხარჯის მიცემისა, ვითარცა სამეფო აზნაური“.

საეკლესიო აზნაურების ამ დაქინებით ცდებში, უარყონ ეკლესიის დამოკიდებულება, ჩანს ის საერთო ბრძოლა ყმობისაგან განსათავისუფლებლად, რომელიც მძლავრად გაიშალა XIX საუკუნის პირველ ნახევარში. საეკლესიო და სათავადო აზნაურებმა ამგვარი განთავისუფლების რეალური შესაძლებლობა ნათლად დაინახეს და თავის მხრიდანაც გაშალეს ბრძოლა ყმობისაგან თავის დასაღწევად.

საეკლესიო აზნაურთა ცდა ყმობიდან განთავისუფლების შემდეგაც შეენარჩუნებინათ ის მამულები, რომელთაც ძველიდანვე სამკვიდროდ ფლობდნენ, საბოლოო ჯამში წარმატებით დამთავრდა. მიუხედავად მთავრობის მიერ გამოტანილი დადგენილებისა საეკლესიო აზნაურთა სახაზინო მიწებზე გადასახლების შესახებ და ამ მიმართულებით ჩატარებული ზოგიერთი ღონისძიებისა, საეკლესიო აზნაურთა გადასახლება არ მოხდა. 1841 წლის 8 ივლისს იმპერატორისაგან იქნა დამტკიცებული დადგენილება საეკლესიო აზნაურების სახაზინო უწყებაში გადაცემის შესახებ მათ ყმა-მამულთან ერთად: „От отдаче в казенное ведомство всех вообще церковных крестьян с их крестьянами и имением, коим они до открытия в Грузии Российского правительства пользовались.“ ძველი დადგენილება საეკლესიო აზნაურების სახაზინო მიწებზე გადასახლების შესახებ შეჩერებულ იქნა და საეკლესიო საგამგეოს—სინოდალურ კანტორას მიეცა უფლება: „буде окажутся документы на действительную принадлежность церкви садов, земель находящихся во владении тех дворян, производить иски о том судебным порядком.“

ასე დამთავრდა საეკლესიო აზნაურთა ეკლესიის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების საქმე, რომელიც 1811 წელს აღიძრა და შემდგომი ათეული წლების მანძილზე მიმდინარეობდა.

საქმის მიმდინარეობას განსაკუთრებით აყონებდა საკითხის არსებითი მხარის, აზნაურთა ყმა-მამულის კუთვნილების დადგენა. საკითხის გადაჭრა მხოლოდ 1841 წელს მოხერხდა.

*
*
*

განსაკუთრებით ძლიერდება XIX ს. პირველი ნახევრის მანძილზე ბრძოლა თავადებსა და მათგან დამოკიდებულ აზნაურებს შორის. სათავადო აზნაურთა ბრძოლა ყმობიდან განთავისუფლების მიზნით, როგორც ნათლად მეტყველებენ მასალები, განსაკუთრებით აქტიურსა და მწვევე ხასიათს ღებულობს

XIX საუკუნის დასაწყისიდანვე. მწვავე და ხანგრძლივი ბრძოლა მიმდინარეობს ქსნის საერისთავოში¹. აზნაურები ფიცხელაურები, ფურცელაძეები, ფავლენი-შვილები სხვადასხვა ხერხებითა და მეთოდებით აწარმოებენ ბრძოლას თავიანთი მებატონეების წინააღმდეგ. აქტიურად იბრძვიან სხვა სათავადოების აზნაურებზე. აღსანიშნავია აზნაურთა ყაითმაზაშვილების ბრძოლა ორბელიანების წინააღმდეგ, მუსხელიშვილებისა მუხრან-ბატონების წინააღმდეგ, რიკაძეებისა დავითაშვილებთან და მრავალი სხვა. ყველას მათ ამოძრავებს საერთო სურვილი—თავი დააღწიონ თავადებისაგან ყმური დამოკიდებულების მძიმე უღელს, იქცნენ სახაზინო აზნაურებად, შეიქნენ თავადაზნაურთა პრივილეგიურებული წოდების თანასწორუფლებიანი წევრები. თავიანთ ბრძოლაში სათავადო აზნაურები მოხერხებულად იყენებენ საქართველოში ახლად დამყარებული რუსული ხელისუფლების ყველა იმ ღონისძიებას, რომელიც მათი პრივილეგიურებული წოდების უფლებებში გათანაბრებისაკენ იყო მიმართული. თავიანთი უფლებებისა და თავადაზნაურთა წოდებასთან თავიანთი თანასწორობის დასაბამათებლად აზნაურები ფართოდ იყენებენ რუსეთის მთავრობის მიერ მათთვის მინიჭებულ სათავადაზნაურო დებუტატების საკრებულოში მონაწილეობის უფლებას; ეყრდნობიან 1801 წლის მანიფესტში შეტანილ საგანგებო მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ ქართველ თავადაზნაურობაზე თანასწორად ვრცელდება ყველა ის უფლებები, რომელიც მინიჭებული აქვს რუსეთში კეთილშობილთა წოდებას და მასთან ერთად რუსეთ-საქართველოს 1783 წლის ტრაქტატისათვის თანდართულ ქართველ თავადთა და აზნაურთა სიას, სადაც თავადებისა და სამეფო აზნაურების გვერდით სათავადო აზნაურებიც არიან შეტანილნი.

თავადებსა და მათგან დამოკიდებულ აზნაურებს შორის შინაკლასობრივი ბრძოლის განსაკუთრებული გააქტიურება XIX საუკუნის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე მჭიდრო კავშირშია რუსეთის მთავრობის ღონისძიებებთან. თავადაზნაურთა ერთიანი მასის შექმნისაკენ რომ იყო მიმართული. ამ მხრივ რუსული მმართველობის წინაშე მალე პრაქტიკულად დგება საკითხი — იქნენ თუ არა შეყვანილნი პრივილეგიურებულთა ერთიან წოდებაში სათავადო აზნაურებიც. აღმასრულებელი ექსპედიცია 1816 წელს სწორედ ამგვარი შეკითხვებით მიმართავდა საქართველოს მთავარმართებელს გენერალ რტიშჩევს და ამასთანავე თავის აზრსაც ატყობინებდა: „Княжские дворяне не могут быть признаны наравне с коронными, ибо служили не царям, а помещикам, следовательно не могут они пользоваться одним правом с коронными дворянами.“² გენერალმა რტიშჩევმა მიიღო ეს აზრი და თავის მხროვნაც ასეთი შეხედულება გამოთქვა: „Как по обычаю в Грузии существующему Грузинские князья имеют также своих дворян, коих назначают они сами из крестьян своих, для отличия усердной их службы, или дворяне княжеские почитаются в Грузии точно так, как в России управители волостей и деревень, а потому таковые княжеские в Грузии дворяне не могут

¹ სათავადო აზნაურების ბრძოლა XIX ს. პირველ ნახევარში სათავადო დამოკიდებულებისაგან განთავისუფლების მიზნით ერთი სათავადო სახლის მაგალითზე შესწავლილი აქვს შ. ხანთაძეს თავის საკანდიდატო დისერტაციაში.

² Акты, т. V, № 324.

пользоваться и привилегией, дарованною Российскому дворянству, а почитаться должны простолюдинами*¹.

ასე გადაწყდა საკითხი განხილვის პირველ ეტაპზე. შემდეგში ამ საკითხს რუსული მართველობა კვლავ არაერთხელ უბრუნდება და საკითხის სრულიად განსხვავებულ გადაწყვეტასაც იძლევა. გენ. რტიშჩევის ზემოთ მოტანილი აზრი მალე, რამდენიმე წლის შემდეგვე უარყოფილ იქნა და საკითხი ახალ, უფრო დეტალურ განხილვას დაუბრუნდა.

სენატის 1819 წლის 21 ივლისის მითითებით სათავადაზნაურო დებუტატების საკრებულო შეუდგა ცნობების შეკრებას სათავადო აზნაუროთა უფლებებისა და სოციალური წარმოშობის შესახებ წარსულში და საქმის ვითარების შესწავლის შემდეგ 1820 წლის 20 ოქტომბერს ასეთი პასუხი წარადგინა: სათავადო აზნაურებს არ უნდა ჩამოერთვათ მათი უფლებები და ისინი არ უნდა გაუთანასწორდნენ მდაბიურებს. საკითხის გამოძიება ამის შემდეგაც გრძელდებოდა. სათავადო აზნაურებმა მთავრობას მიმართეს თხოვნით, ნება მისცემოდათ აზნაურთა წოდებისადმი თავიანთი კუთვნილების დამამტკიცებელი საბუთების წარმოდგენისა. ამავე დროს ქართველ მრჩეველებსა და საპატიო თავადებს საით-თაოდ ჩამოერთვათ აზრი სათავადო აზნაურთა უფლებების შესახებ. შესდგა ვრცელი საქმე, რომელშიაც აღბეჭდილი იყო ფრიად საინტერესო მსჯელობანი და მოსაზრებანი სათავადო აზნაურთა წარმოშობისა და მათი მდგომარეობის თავისებურებათა შესახებ². მოხდა ქართველ მეფეთა დროინდელი არაერთი დოკუმენტის განხილვა და მათ საფუძველზე გარკვეული შეხედულებების გამომუშავება. თანდათან აშკარად წარმოისახა ორი მიმდინარეობა აღნიშნულ საკითხში. ერთი, მათ შორის თვით სათავადო აზნაურები ამტკიცებდნენ სხვადასხვა საბუთების მოშველებით მათ პრივილეგიურულ წარმოშობას და სამეფო აზნაურებთან თანასწორუფლებიანობას. მეორე, რომელთაც თავადები ეკუთვნოდნენ, ცდილობდნენ დამტკიცებინათ, რომ სათავადო აზნაურები არ უნდა იქნენ მიკუთვნებული პრივილეგიურული წოდებისადმი, რომ ისინი ისეთივე ყმები არიან, როგორც გლეხები.

როგორც ერთს, ისე მეორე მხარეს საქმის გარჩევის დროს თავთავიანთი რწმუნებულები ჰყავდათ, რომელნიც წერილობითი სახით იურიდიულად ასაბუთებდნენ საკუთარ პოზიციებს. ეს კამათი სრულდება 1825 წელს და სათავადო აზნაურთა საკითხის გადაწყვეტის მეორე ეტაპად შეიძლება იქნეს მიჩნეული. საკითხი არსებითად თავადების სასარგებლოდ გადაწყდა. მართალია, სათავადო აზნაურები აღიარებულნი იყვნენ პრივილეგიურულ, კეთილშობილთა წოდების წევრებად და მათ მიეცათ ნება გამოსულიყვნენ სათავადო მფლობელობადან, მაგრამ თითქმის მთელი თავიანთი ქონება თავადებისათვის უნდა დაეტოვებინათ. უმაღლესი მთავრობის საერთო საკრებულომ დაადგინა, რომ თავადებს ეკუთვნით უდავო უფლება იმ მამულებზე, რომლებიც მათ დამოკიდებულებაში მყოფი აზნაურების. მფლობელობაშია, მაგრამ მომავალში არ მოხდეს დავა და უთანხმოება მამულის გამო ამ ორ წოდებას შორის, აზნაურებმა თავადის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისას მათ უნდა დაუტო-

¹ Акты, т. V, № 324 (стр. 263).

² მ. დუშბაძე. გურიის სამთავროს სოც.-ეკონ. ვითარება XIX ს. პირველ მესამედში (მასალები საქ. და კავ. ისტ., ნაკვ. XXX, 1954, გვ. 36).



ვინ თავიანთი ყმა-მამულის შემდეგი სახეობანი: ყმა-მამული, რომლითაც მეფეთა წყალობისა თუ გამზითვების შედეგად თავადის დამოკიდებულებაში შევიდა; თავადისაგან ნაჩუქარი; ნასყიდი თუ მზითვში მიღებული თავისივე თავადისადმი კუთვნილი აზნაურისა თუ გლეხისაგან. ზოლო აზნაურს თავის საკუთრებაში რჩება ის ყმა-მამული, რომელიც მას ანდა მის წინაპარს უბოძა მეფემ რაიმე დამსახურებისათვის იმ დროს, როდესაც ეს აზნაური თავადის დამოკიდებულებაში იმყოფებოდა და ის ყმა-მამული, რომელიც მას ყიდვისა თუ მზითვის მიღების გზით შეძენილი აქვს სხვა, არა თავის თავადისადმი კუთვნილ სამფლობელოში¹.

უნდა ითქვას, რომ არსებითად ეს იყო აზნაურის უმამულოდ დატოვება. შეფეთაგან წყალობის ბოძება თავადის აზნაურისათვის მეტად იშვიათი მოვლენა იყო და XVII საუკუნის აქეთ, რამდენადაც მასალებს ვიცნობთ, არც კი უნდა ყოფილიყო, აზნაურსა და მეფეს შორის თავადი ისე მტკიცედ იყო ჩამდგარი; რომ აზნაურს იშვიათად თუ ექნებოდა საშუალება მეფისათვის სამსახურის აღმოჩენისა. მცირე მნიშვნელობისა იყო აზნაურის ის მამულიც, რომელიც მისი თავადის სამფლობელოს გარეთ მდებარეობდა. ამგვარ ნასყიდობას საგანგებო ნებართვა ესაჭიროებოდა და ნაკლებ მოსახერხებელიც იყო.

აღსანიშნავია, რომ საერთო საკრებულოს ამ დადგენილებას არ დაეთანხმა მისი ერთ-ერთი მრჩეველი—თავადი შიოშ თუმანოვი. საერთო საკრებულოს გადაწყვეტილებას მან ხელი არ მოაწერა და საკუთარ აზრს ინარჩუნებდა. მისი განსაკუთრებული აზრი, წერილობით გამოთქმული, საკრებულოს დადგენილებას დაერთო. დადგენილება გაიგზავნა უზენაესი დამტკიცებისათვის. დამახასიათებელი ჩანს ის გარემოება, რომ შიოშ თუმანოვი ისეთი სახის თავადი იყო, რომელსაც აზნაურები არასოდეს არა ჰყოლია და ასეთ აზრს გამოსთქვამდა: საერთო საკრებულოს მიერ წარმოდგენილი წესით სათავადო აზნაურთა განთავისუფლება აზნაურთა უსახსროდ დატოვებას ნიშნავს; ამგვარი სახით განთავისუფლებული აზნაურები ვერ შესძლებენ თავიანთი თავისა და თავიანთი ოჯახის შენახვას. თავის აზრს თუმანოვი ასე ასაბუთებდა: 1) ძნელი დამტკიცება იმისა, თუ რომელი მამულია აზნაურისათვის მეფის მიერ ნაწყალობევი აზნაურის თავადის დამოკიდებულებაში ყოფნის დროს. ამ საკითხის გამორკვევა მოიტანს გაუთავებელ დავას, რომელიც ორივე წოდებას დიდ ხარჯებს უქადის. 2) ძნელად თუ ექნება აზნაურს თუნდაც ერთი ნასყიდობის წიგნი თავის თავადისაგან მამულის ყიდვის შესახებ, 3) მზითვისა და ნასყიდობით შეძენილი მამული სხვა თავადის სამფლობელოში აზნაურს ძალიან იშვიათად აქვს და ისიც მეტად უმნიშვნელო სახით.

საერთო საკრებულოს მიერ 1825 წელს გამოტანილ დადგენილებას უზენაესი დამტკიცება არ მოჰყოლია, საკითხი ისევ ღიად რჩებოდა. ახალი კანონი ამ საკითხზე მხოლოდ 1833 წლის 11 ივლისს გამოვიდა. ეს უკანასკნელი შედარებით უფრო შეღავათიანი იყო სათავადო აზნაურებისათვის — 1) მათ საკუთრებაში რჩებოდა უკვე ყოველგვარი ნასყიდი მამული. 2) თუ ვინიცბოძა თავადისადმი მეფის წყალობის წიგნში აღნიშნული არ იყო აზნაურის ყმა-მამული, ეს უკანასკნელი აზნაურს რჩებოდა მთლიანად და გარდა ამისა, 3) ახლად განთავისუფ-

¹ АКТЫ. т. VI, № 168.

ლებულ აზნაურებს, რომელთაც ცხოვრების სახსარი არ დარჩებოდათ, განთავსუფლებების შემდეგ ეძლეოდათ გარკვეული ნაკვეთი სახაზინო მიწებიდან.

მაგრამ სათავადო აზნაურებს, ბუნებრივია, უჭირდათ თავიანთი სამკვიდრო ყმა-მამულის მინებება. ამ კანონის გატარება მათთვის მიიწეოდა საძველესი იყო და ამიტომაც, რომ შემდგომი წლების მანძილზე თითქმის ვერავითარ ცვლილებას მათ მდგომარეობაში ვერა ვხვდებით. ეს კანონი, ჩანს, არსებითად ქალაქებზე რჩება, რამდენადაც სათავადო აზნაურების თავადებისაგან სრული სამამულო გამოყოფის საკითხი არამც თუ ამ წლის ახლო ხანებში, არამედ XIX ს. 60-იანი წლების დასაწყისშიც ვერ არის ჯეროვნად გადაწყვეტილი და მით უფრო ვერ არის ცხოვრებაში განხორციელებული. ამიტომაც, რომ 1864 წლის 21 მაისს მთავრობამ საჭიროდ დაინახა კიდევ ერთი კანონი გამოეცა იმავე სათავადო აზნაურების საკითხზე და ახლა უკვე აზნაურთა ფენისათვის გაცილებით უფრო ხელსაყრელი სახისა. ამ კანონის ძალით აზნაურთა უკვე არა მთელი სამკვიდრო ქონება რჩება თავადს საკუთრებაში, არამედ მისი მხოლოდ ნახევარი (სამკვიდრო ყმა-მამულში იგულისხმებოდა ის ყმა-მამული, რომლითაც აზნაური მეფისაგან თავადს ებოძა), ხოლო ზოგ შემთხვევაში თავადს აზნაურის სამკვიდრო მამულის მხოლოდ ერთი მესამედიც კი ერგებოდა ხოლმე. ეს მაშინ, როდესაც თავადი ვერ მოახერხებდა სათანადო საბუთით დაემტკიცებინა, რომ ეს აზნაური მას მეფისაგან ყმა-მამულით ებოძა თუ მის გარეშე. თუ კი აზნაური შესძლებდა იმის დამტკიცებას, რომ უმამულოდ ებოძა იგი, მაშინ თავადს მამულის მხოლოდ ერთი მეოთხედი ერგებოდა. მიუხედავად ამისა, სამამულო დავა თავადებსა და აზნაურებს შორის ამის შემდეგაც გრძელდება. ეს არის ის მთავარი დაბრკოლება, რომელიც საკითხის წარმატებით გადაჭრასა და განხორციელებას ხელს უშლიდა.

მართალია, სათავადო აზნაურთა მამულების გამიჯნის პროცესი გრძელდება მთელი XIX საუკუნის მანძილზე და იგი ამ საუკუნის დასასრულსაც ვერ არის ჯერ კიდევ საბოლოოდ დამთავრებული, მაგრამ აზნაურთა ყმობას უკვე გამოკლილი აქვს თავისი პირვანდელი აზრი. მას ეცლება საფუძველი ძველი სათავადოების სოციალ-ეკონომიური ფუნქციების მოშლასთან ერთად.

ამ მხრივ საინტერესოა, თუ რით დასაბუთა სინოდმა 1811 წელს საეკლესიო აზნაურთა ეკლესიის მფლობელობისაგან გამოყოფის საზრიანობა: „так как сѣор доходов с крестьян церковныхъ возлагается уже на дикастерію, то въ такихъ управителяхъ и надобности не предвидется“, ნათქვამია სინოდის გადაწყვეტილებაში. აქ საუბარია საეკლესიო სენიორიის ერთ-ერთ სახელმწიფოებრივ ფუნქციაზე—სახელმწიფო გადასახადების აკრეფა-ჩაბარების შესახებ, რომელიც ამიერიდან დიკასტერიის, ე. ი. უმაღლესი საეკლესიო სამმართველოს ხელში გადადის.

ასეთივე მდგომარეობაა სათავადოშიც. რამდენადაც სათავადოს მოაკლდა ზოგიერთი იმ ფუნქციათაგანი, რომელთა აღსრულებასაც თავადები თავიანთი აზნაურების შემწეობით ახორციელებდნენ, საფუძველი ეცლება სათავადო, ისე როგორც საეკლესიო, აზნაურების ყმობის საჭიროებას. თავადებისათვის ახლა უმთავრეს მნიშვნელობას იძენს საკითხის ეკონომიური მხარე. ხოლო მანამდე

კი, იმ შემთხვევაში, როდესაც აზნაური უარს ამბობდა თავის სამკვიდრო ყმა-მამულზე და ისე მიდიოდა თავადისაგან, ეს უკანასკნელი მაინც ეწინააღმდეგებოდა და ყოველ ღონეს ხმარობდა, რომ ხელი შეეშალა მისგან აზნაურის წასვლისათვის, ვინაიდან დაინტერესებული იყო არა იმდენად აზნაურის ყმა-მამულით, რამდენადაც ყმა-აზნაურთა რიცხოზობით რაოდენობით, მათი არსებობით თავის სათავადოში. წერილში „აზნაურთა უფლებრივი მდგომარეობის საკითხისათვის XV—XVIII სს. საქართველოში“ აღნიშნული გვაქვს: „მიუხედავად იმისა, რომ თავადის ყმობიდან წასული აზნაურის ყმა-მამული თავადის ხელში გადადიოდა და მაშასადამე, ამის შემდეგ თავადი ხდებოდა ამ ყმა-მამულის შემოსავლის ერთადერთი მესაკუთრე და მომხმარებელი, თავადები მაინც სასტიკად ეწინააღმდეგებოან აზნაურების ყმობიდან წასვლას. ამის ახსნა იმით, რომ თავადს ესაკიროება აზნაური თავისი მეურნეობისათვის როგორც მოხელე. სჭირდება, როგორც დამხმარე ძალა ექსპლუატირებული მასის დასამორჩილებლად და სხვა, ვფიქრობთ, სამართლიანი იქნებოდა, მაგრამ არა საკმაო. ისმის კითხვა: ის ფაქტი, რომ თავადები ასეთ სასტიკ წინააღმდეგობას უწევენ აზნაურს მისი ყმობიდან წასვლის შემთხვევაში, ხომ არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ ეს თავადები ნაკლებად არიან ჩაბმული სასაქონლო მეურნეობაში, ნაკლებად არიან დაინტერესებულნი თავიანთი მეურნეობის ზრდა-განვითარებით და რომ ეს იმ ტიპის ფეოდალია, რომლის შესახებ მარქსს აქვს აღნიშნული, რომ მისი მადა მისი კუჭის მოთხოვნილებით გაიზომება. აზნაურის წასვლის შემთხვევაში თავადი ჩვეულებრივ დიდი ხნის განმავლობაში დაეძებდა მას. როცა იპოვიდა, მოითხოვდა მის უკან დაბრუნებას და თუ აზნაური ნებით არ დაემორჩილებოდა, მაშინ სასამართლოში ჩიოდა, ცდილობდა იმის დამტკიცებას, რომ აზნაურს უფლება არა ჰქონდა თვითნებურად წასვლოდა ყმობიდან“. ამის დამსაბუთებელი მასალა ნაშრომში მოტანილია.

ამასთანავე აქ ერთი გარემოების აღნიშვნასაც ვთვლი საჭიროდ. XVIII საუკუნეშიც საქართველოში იყვნენ ისეთი თავადები, რომლებიც დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებდნენ აზნაურთა ყოლას მამულში და უფრო დაინტერესებული იყვნენ თავიანთი სამფლობელოს ეკონომიური სიძლიერით. ვიდრე პოლიტიკური მნიშვნელობით. თავადების ასეთ ტიპს ეკუთვნიან თუმანიშვილები. მათ ხელთ იყო არამცირედი მამულები გორის რაიონში (მდიდარი და ყმაძრავალი, სოფლები: ხელთუბანი, გორისჯვარი, ახალდაბა, რეხა და სხვ.) და სრულიადაც არ გაუჭირდებოდათ ყმა-აზნაურების მომრავლება თავიანთ მამულში. შეეძლოდ სიმდიდრის მოხვევისაკენ—იქნება ეს სასაქონლო მეურნეობის გაშლის შორის, საკმაოდ ხშირი იყო აზნაურთა იმერეთიდან ქართლში გამოსვლა, უფრო ადრე კი მესხეთიდან ქართლს), ან გამოეთხოვათ მეფეთაგან აზნაურები წყალობის სახით (მეფეთაგან თუმანიშვილებს დიდადი წყალობა სჭირდათ) ან არა და, ბოლოს და ბოლოს, შეეძლოთ ეყიდათ ისინი (აზნაურთა ყიდვა-გაყიდვა მათი ყმა-მამულითურთ იშვიათი როდი იყო ამ დროის საქართველოში). არადგრს ასეთს არ მიმართავენ თუმანიშვილები. მათი ცდები მიმართულია მხოლოდ სიმდიდრის მოხვევისაკენ—იქნება ეს სასაქონლო მეურნეობის გაშლის გზით თავიანთ სათავადოში, ანდა, საერთოდ, სხვადასხვა საეკონომიკურ მოწოდებაში მონაწილეობა (ამ მხრივ მეტად აქტიურები ჩანან თუმანიშვილები). მაგრამ ასეთი ტიპის თავადი წარსულში იშვიათ გამოჩაყლისად რჩებოდა. ჩვეულებრივ

¹ მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, 1955, ნაკვ. 32, გვ. 97.

კი თავადები ყმა-აზნაურების მომრავლებაზე ზრუნავდნენ თავიანთ სათავადოებში, რითაც ზრდიდნენ თავიანთ პოლიტიკურ ძლიერებას. ახლა კი XIX საუკუნის დასაწყისიდან ძირითადი სადაო საკითხი თავადებსა და მათ მიერ დამორჩილებულ აზნაურებს შორის ამ აზნაურის ყმა-მამულის საკითხი დგება. ესაის მთავარი პრობლემა, რომლის გადაჭრა აზნაურთა განთავისუფლების საქმეს ყოველგვარ დაბრკოლებას მოუხსნიდა. ეს გარემოება კარგად შეიმჩნევა საეკლესიო და კიდევ უფრო მეტად სათავადო აზნაურთა განთავისუფლების საქმის მთელი მსვლელობიდან.

აზნაურთა ფენის ცხოვრებაში XIX საუკუნის პირველი ნახევრის მანძილზე კიდევ ერთი დიდად მნიშვნელოვანი მოვლენა აღსანიშნავი. ეს მოვლენა უშუალოდ დაკავშირებულია სავაჭრო-ეკონომიურ აღმავლობასთან, რომელსაც ადგილი აქვს საქართველოში XIX საუკუნის პირველ ნახევარში რუსეთთან შეერთების შემდეგ. ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების დამყარება და საგარეო უშიშროების პირობების შექმნა, რაც შედეგად მოყვა საქართველოს რუსეთთან შეერთებას, მტკიცე ცენტრალური ხელისუფლებით გარანტირებული საკუთრების უფლების დაცვა ფართო პერსპექტივებს შლიდა ვაჭრობის განვითარებისათვის. გზების მშენებლობა, რომელთაც სტრატეგიულთან ერთად სავაჭრო მნიშვნელობაც ჰქონდათ, რაზმების გამოყოფა სავაჭრო-საქარაუზო გზების დასაცავად, ფეოდალური საბაჟოების თანდათან ლიკვიდაცია და სხვა ამგვარი ღონისძიებანი ხელსაყრელ პირობებს უქმნიდნენ ვაჭრობის (როგორც საშინაო, ისე საგარეო) განვითარებას XIX ს. პირველი ნახევრის საქართველოში¹. საქართველოს ეკონომიური აღმავლობა ძლიერად მიდის წინ, რაც განსაკუთრებით შესამჩნევი 30-40-იანი წლებიდან ხდება.

ეკონომიურად შევიწროებული ხელმოკლე აზნაურები, რომელთა რიცხვი ფეოდალურ საქართველოში საქმოდ დიდია, ზოგჯერ ხელს ჰკიდებდნენ ხოლმე სავაჭრო საქმიანობას, როგორც არსებობისა და გამდიდრების საშუალებას. შ. მესხიას ხელნაწერ ნაშრომში „საქართველოს ქალაქები XIX საუკუნის პირველ ნახევარში“ მოტანილი აქვს თბილისში მცხოვრები აზნაურების წერილი ვახტანგ ორბელიანისადმი. ამ წერილში, რომელსაც 18 აზნაური აწერს ხელს, ნათქვამია: „ჩვენის მშობლის მამულიდან მტრის მიზეზით გადმოვარდით მეფეთ ეამში და აქ ტფილისს შინა ცეხოვრობდით და რადგან ქვეყანა აგვიოხრდა და იქიდან შემოსავალი აღარ გვქონდა რა, გამო ამისა რომელნიმე ჩვენ კეთილშობილთაგანი ვაჭრობის მსგავსად ცეხოვრობდით“. აღნიშნული წერილი ციტირებული აქვს გ. ჯამბურისაც თავის ნაშრომში „თბილისის მოსახლეობა XIX საუკუნის რეფორმამდე ზანაში“². „მტრის შიშს გამოქცეული ეს მოსახლეობა ცხოვრების პასიური მკაყურებელნი კი არ არიან, არამედ აქტიურად მონა-

¹ საქართველოს ისტორია, დამწარე სახელმძღვანელო, თბილისი, 1958, გვ. 421.

² ციტირებულია გ. ჯამბურის დასახლებული ნაშრომიდან (ისტორიის ინსტიტუტი, ტ. III, 1958, გვ. 136).

წილებზე საქალაქო ცხოვრებაში—ვაჭრობენ... ჩანს, რომ ფეოდალური არისტოკრატის ზოგიერთი წარმომადგენელი უკვე აღარ უკადრისობს „დაბალ“ საზოგადოებაში—ვაჭრობის საზოგადოებაში გარეცხს და მთავარი საარსებო წყაროს ვაჭრობის გზით მოპოვებს“ (იქვე).

ამგვარ ცდებს, როდესაც აზნაური თავის მთავარ საარსებო წყაროდ ვაჭრობას იხდის XIX საუკუნემდეც ჰქონდა ადგილი, თუმცა იშვიათად. ხელოვნობის წერილი სწორედ XIX საუკუნემდელი ვითარების გამოძახილია—მეფეთა დროს გადმოვარდნილვართო მტრის შიშით, აცხადებენ, ეს აზნაურ-ვაჭრები 1810 წელს და უსახსრობის გამო ვაჭრობას მივსდევთო. მაგრამ ამგვარი ცდები აზნაურთა მხრიდან არც თუ თვალსაჩინოა ძველად, XIX საუკუნემდეც ხანაში. ხოლო XIX საუკუნის პირველ ნახევარში ამ მხრივ მდგომარეობა თვალსაჩინოდ იცვლება. ახლა უკვე მრავალი აზნაური, რომელიც ადრე ვაჭრობაზე არც ფიქრობდა და წერილი მემამულური მეურნეობით ანდა სენიორის კარზე სამსახურით ირჩენდა თავს, ამ დროიდან მოყოლებული აქტიურად ებმება ვაჭრობაში. მოვიტანთ ორიოდ მაგალითს. ჩვენს ხელთაა ქვემო ქართლის აზნაურის, მეფის ყმის შანშიაშვილების საბუთები XVI საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული. ეს აზნაურები XVII და XVIII სს. მანძილზე წერილი სამეფო მოხელეები არიან და მეფეთა წყალობით, სამოხელეო შემოსავლით (ყაფიჩაშები და ხასადრები არიან) და წერილი მემამულური მეურნეობით ირჩენენ თავს. XIX საუკუნის პირველ ნახევარში კი საკმაოდ აქტიურად მოღვაწეობენ ვაჭრობის სარბიელზე. აზნაურ იოანე შანშიევს 1816 წელს მარტო ერთი პირისაგან 1200 თუმანი აქვს ვალად აღებული¹. ზურაბ შანშიაშვილი, როგორც მის გარდაცვალების შემდეგ 1848 წელს დადებული საბუთი აცხადებს: „იყო თავის სიცოცხლეში პირველად შაგირდათ ბაზიზის ვაჭრობაში ტფილისის მოქალაქის გაბრიელ უზბაშოვისა და შემდგომ რაოდენისამეწლისა ნახა რა უზბაშოვმა მას შინა სიკეთე გაიხადა ამხანაკათ მოგების მეოთხედს ნაწილში და მაშინ საკმაო ფული შეიძინა იმა ამხანაკობაში და შემდგომ იმავე უზბაშოვმა ხსენებული შანშიევი თანასწორ ამხანაკათ გაიხადა და მაშინ უმეტესი სარგებლობა ჰქონდა და უკანასკნელად უზბაშოვმა აიღო იმა ვაჭრობისაგან ხელი და გაიყარნენ უზბაშოვი და შანშიევი ამხანაკობისაგან და დუქანი ყოვლის მათდა ქონებულის საქონლით დარჩა საკუთრად ზურაბ შანშიევსა და შემდგომ ჰყვანდა მას შანშიევსა და სხვა შაგირდნი და ისე ვაჭრობდა“².

ასეთსავე საქმეში ებმება აზნაური იოსებ ფანიაშვილი, რომლის წინაპრები რუისში მოსახლე აზნაურები იყვნენ, იოსებ ფანიევი კი თბილისში მცხოვრებ აზნაურად არის მოხსენებული. ისიც მოღვაწეობას შეგირდობიდან იწყებს იმავე ზურაბ შანშიევთან. შემდეგ მის კომპანიონად ხდება ერთ მეოთხედ წილში³, ხოლო ზურაბის გარდაცვალების შემდეგ 1847 წელს მის ქვრივთან ეფემიასთან დებს საამხანაგო წიგნს, რომელშიც აზნაური სოლომონ ფანიევი და ალოფ კონიევიც მონაწილეობენ². ამგვარი საბუთების მოტანა სხვა მრავალის

² სსმ. ფ., № 13057.

¹ იქვე.

² სსმ. ფ., № 13044.

შეიძლებოდა. ამგვარად, ეკონომიურ აღმავლობასთან და ვაჭრობის განვითარებასთან ერთად ხდება აზნაურთა ერთი ნაწილის აქტიური ჩაბმა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებაში.

*
*
*

ყოველივე ზემოთ განხილული შემდეგი დასკვნის გამოტანის საშუალებას გვაძლევს: XIX საუკუნის პირველ ნახევარში საქართველოში სათავადოების შინაგანი ორგანიზაციის მოშლისა და რუსეთის მთავრობის მიერ გატარებულ ღონისძიებათა შედეგად აზნაურთა ფენამ წოდებრივი და ქონებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვა. აზნაურობა თავადებთან ერთად რუს პომეშჩიკებს გაუთანაბრდა.

სათავადო აზნაურების ჩამოცილება სათავადოებისაგან კიდევ ერთი მიღწევა იყო მიწისმფლობელობის ძველი, ჩამორჩენილი ფორმების ნგრევის გზაზე. რუსეთის ხელისუფლება ქართული ფეოდალური ურთიერთობის ამ სპეციფიკურობის მოსპობით ხელს უწყობდა მიწისმფლობელობის ახალი, უფრო პროგრესული ფორმების დანერგვას, რასაც ქვეყნის სოციალ-ეკონომიურ ძალთა შემდგომი ზრდა მოითხოვდა. ამაში მდგომარეობდა საქართველოს რუსეთთან შეერთების ერთ-ერთი დადებითი შედეგი.

Г. Д. АКОПАШВИЛИ

ИЗМЕНЕНИЯ В ПОЛОЖЕНИИ СЛОЯ АЗНАУРОВ ВОСТОЧНОЙ ГРУЗИИ В ПЕРВОЙ ПОЛОВИНЕ XIX ВЕКА

Резюме

На всем протяжении первой половины XIX в. русское правительство в Грузии неоднократно проводит мероприятия с целью объединения привилегированных слоев общества в единый консолидированный класс дворянства. Эта тенденция русского правительства отвечает стремлению слоя азнауров, подчиненного светским и церковным сеньориям. Их борьба за освобождение от этой зависимости активизируется и обостряется в первой половине XIX в.

В 1833 г. правительство издает закон об освобождении зависимого слоя азнауров и уравнения их в правах с остальной частью дворянства.

Выход из зависимости своего сеньора ставит азнаура перед угрозой потери большей части земельных владений. В 1864 г. издается новый закон более приемлемый в этом отношении для азнауров.

В первой половине XIX в., в частности, с 30—40-х годов этого столетия в связи с ростом товарно-денежных отношений становится очевидным быстрая имущественная деградация одной части слоя азнауров другая же часть ее связывается с развивающимся рынком товарного производства.

მ. ორჯონიძემ

მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის
შესახებ XIX ს. I ნახევარში

XIX ს. დამდგენიდანვე მეფის რუსეთის ხელისუფლება შეუდგა საქართველოს ფისკალურ-ეკონომიურ შესწავლას. ამ მიზნით ჩატარებულ იქნა მოსახლეობის კამერალური აღწერები: 1804—1805, 1816—1818, 1830—1832, 1841—1843 და სხვ. წლებში. გარდა ამისა, ამიერკავკასიის ეკონომიკის შესახებ ცნობების შესაკრებად ფინანსთა მინისტრის კანკრინის მიერ გამოგზავნილი იყო ფრანგი სპეციალისტი მორენასი, რომლის მოხსენებითი ბარათები მეტად საინტერესო ცნობებს შეიცავს.

1828 წ. ამიერკავკასიის სტატისტიკურ-ეკონომიური აღწერის შესადგენად მოგვნილ იქნა კომისია 3 მოხელის შემადგენლობით. კომისიამ ნაყოფიერად იმუშავა და 1836 წ. გამოაქვეყნა 4 ტომიანი ნაშრომი — «Обозрение Российских владений Закавказьем». ამ ნაშრომს საფუძვლად დაედო 1830-იანი წლების კამერალური აღწერების ცნობები. ამავე ხანებში ამიერკავკასიის ეკონომიური შესწავლა წინანდელთან შედარებით უფრო ფართო მასშტაბით დაიწყო სამხედრო უწყებამაც.

საქართველოს კამერალური აღწერები, რუსეთის შიდა გუბერნიებში წარმოებულ აღწერებთან, ე. წ. „რევიზიებთან“, შედარებით მეტად არასრულია. „რევიზიები“ გაცილებით უფრო სრულყოფილ და დეტალურ ცნობებს გვაწვდიან გლეხთა ეკონომიური მდგომარეობის შესახებ. საქართველოს გუბერნიაში წარმოებულ კამერალურ აღწერათა პროგრამაში მთელი რიგი კითხვებისა საერთოდ არ იყო შეტანილი, არ წარმოებდა აღწერების შედეგად მიღებული ცნობების შემოწმება, გაპართული იყო უხეში შეცდომები, ვერ ახერხებდნენ მთელი მოსახლეობის აღწერას და სხვ. ამ ნაკლებს მიუხედავად კამერალური აღწერების ცნობები საშუალებას გვაძლევს დაახლოებით მაინც გავითვალისწინოთ საქართველოს სოციალ-ეკონომიურ ურთიერთობათა სფეროში მომხდარი ცვლილებები.

კამერალური აღწერების ცნობებზე დაყრდნობით ჩვენ შევეცდებით წარმოვადგინოთ XIX ს-ის I ნახევარში თელავის მაზრის გლეხთა ქონებრივი დიფერენციაციის სურათი.

1836 წ. გამოქვეყნებული „ობოზრენის“ ავტორები აღნუსხავენ რა თელავის მაზრის სახნავ-სათეს მიწებს, დაასკვნაინ, რომ კომლზე საშუალოდ 10 დესეტინა სახნავ-სათესი მიწა მოდიოდა, მაგრამ იმდროინდელი თელავის მაზრის გლეხებს შორის ქონებრივი დიფერენციაცია საქმაოდ შორს იყო წასული.

ამიტომ ასეთი საშუალო ციფრის გამოყვანა გლახთა შორის ქონებრივი უთანასწორობის გარკვევისათვის არ გამოდგება.

1821 წლის კამერალური აღწერის მიხედვით თელავის მაზრაში, ქ. თელავის მოსახლეობის ჩათვლელად, ირიცხებოდა 2272 კომლი სახაზინო გლეხი, აქედან 169 კომლს, 645 სულს ორივე სქესისას არ ჰქონდა არც სახნავ-სათესი მიწა, არც ვენახი და ცხოვრობდა დღიური შრომით¹. ამრიგად, თელავის მაზრის სახელმწიფო გლეხთა 7,9% იძულებული იყო, სამუშაო ძალის გაყიდვით ეცხოვრა.

კამერალურ აღწერაში მითითებული არ არის, სად მუშაობდნენ ეს დღიური მუშები—მებატონესთან, თუ რომელიმე გლეხის მეურნეობაში. მხოლოდ სოფელურიათუნის ერთ-ერთი გლეხის შესახებ აღნიშნულია, რომ მოჯამაგირებს ამავე სოფელში მცხოვრებ გლეხ გოგია როსტიაშვილთან— «проживает в работниках у Гогия Росгияшвили»², სოფელ ტულნიანში მცხოვრებ დღიურ მუშაზე კი წერა «обращивает сад у другого крестьянина»³. ამის გარდა სხვა პირდაპირი ცნობები გლეხურ მეურნეობებში დაქირავებული მუშა-ხელის გამოყენებისა ჩვენ არ შეგვხვედრია, მაგრამ 1821 წლის კამერალური აღწერილობის ცნობები გვაფიქრებინებს, რომ ზოგიერთ გლეხურ მეურნეობაში დაქირავებული შრომის გამოყენების ფაქტები მეტი უნდა ყოფილიყო. ამ აღწერაში გვხვდებიან გლეხები, რომელთაც ქონდათ 100 და უფრო მეტი დღიური სახნავ-სათესი მიწა. მაგ., სოფელ პატარძელში მცხოვრებ ნაცვალს სოლომონ ბუთურაშვილს, რომლის ოჯახიც შედგებოდა 24 სულისაგან (აქედან იყო მუშახელი 8), ჰქონდა 300 დღიური სახნავ-სათესად ვარჯისი მიწა, სამი ვენახი, საიდანაც შემოდებოდა 40 საპალნე ღვინო, ჰქონდა 30 თუთის ხე, ჰყავდა 120 ცხვარი და 140 ღორი⁴. კამერალურ აღწერაში არ არის ნაჩვენები მთლიანად ამუშავებდა თუ არა ბუთურაშვილის ოჯახი 300 დღიურ მიწას, რა მოცულობის მოსავალს ღებულობდა, რამდენი მუშა პირუტყვი ყავდა და სხვ., მაგრამ, საფიქრებელია, რომ ამოდენა მეურნეობის მოსავლელად 8 მუშა-ხელი არ იქნებოდა საკმარისი; საფიქრებელია, აგრეთვე, რომ ბუთურაშვილი პროდუქტების ნაწილს სპეციალურად საბაზროდ ამზადებდა, წინააღმდეგ შემთხვევაში 40 საპალნე ღვინის მოსავლის მიღება გაუგებარი იქნებოდა.

მავე სოფელში მცხოვრებ გლეხს ოთარაშვილს ჰქონდა 200 დღიური სახნავ-სათესი მიწა ჰქონდა 4 ვენახი, საიდანაც იღებდა 10 საპალნე ღვინოს, ერთი წისქვილი და 3 საწისქვილე ადგილი, მისი ოჯახი შედგებოდა 9 სულისაგან, აქედან მუშახელი იყო მხოლოდ ორი⁵. პატარძელშივე ცხოვრობდნენ სხვა მდიდარი გლეხებიც, მაგ., ოსეფ ყუშიტაშვილს ჰქონდა 200 დღიური სახნავ-სათესად ვარჯისი მიწა, ორი ვენახი 10 საპალნე ღვინის შემოსავლით, ერთი წისქვილი, ჰყავდა 50 ცხვარი, 100 ღორი და 8 სკა. მისი ოჯახი შედგებოდა 16 სულისაგან, აქედან მუშახელი იყო 4⁶. გლეხი იოთამ ზუკაკიშვილს ჰქონდა 200 დღიური სახნავ-სათესი მიწა და ვენახი 20 საპალნე ღვინის შემოსავლით,

¹ საქ. ცსსა, ფ. № 254, საქმე № 510, ფურც. 1—900.

² იქვე, ფურც. 62.

³ იქვე, ფურც. 412.

⁴ იქვე, ფურც. 538.

⁵ იქვე, ფურც. 539.

⁶ იქვე, ფურც. 545.



მისი ოჯახი შედგებოდა 11 სულისაგან, მუშახელი იყო სამი. ამ შეძლებული გლეხების გვერდით სოფელ პატარძელის სახელმწიფო გლეხებიდან 3 კომლი ცხოვრობდა დღიური შრომით. 12 კომლის სახნავ-სათესი მიწების რაოდენობა და ღვინის შემოსავალი მეტად უმნიშვნელო იყო.

როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 1821 წლის კამერალური აღწერის მიხედვით თელავის მაზრაში ცხოვრობდა 2272 კომლი სახელმწიფო გლეხი, აქედან მესაქონლეობის რაიონში მცხოვრები 272 კომლის სახნავ-სათესი მიწების რაოდენობა არ არის აღნიშნული, დანარჩენი 2000 კომლიდან კი:

სულ არ ჰქონდა არც სახნავ-სათესი მიწა და არც ვენახი	333 კომლს.
1 დღიური მიწიდან 10 დღიურ მიწამდე ფლობდა	1269 კომლი
10 " " 25 " "	272 "
25 " " 50 " "	78 "
50 " " 100 " "	28 "
100 დღიური მიწა და უფრო მეტი ჰქონდა	20 კომლს ²

ქონებრივი უთანასწორობა ყველა სოფლებში ერთნაირად როდი იყო გამოხატული; იყო სოფლები, სადაც განსაკუთრებით მკვეთრად ჩანდა გლეხთა დიფერენციაცია, ასეთები იყო: საგარეჯო, ყვარელი, შილდა, კალაური, გიორგიშინდა და სხვ. და პირიქით—სოფ. სანავარდოში, ჭინჭრიანში, შაქრიანში, ხორბალოსა და ბახტრიონში მცხოვრები სახელმწიფო გლეხები თითქმის ერთნაირად განიცდიდნენ მიწის სიმცირეს.

ქვემოთ ვაქვეყნებთ ისეთი სოფლების აღწერას, რომლებშიაც გლეხთა დიფერენციაცია შედარებით უფრო მეტად მოჩანდა.

სოფ. საგარეჯოში მცხოვრებ სახაზინო გლეხთა აღწერა

კომლი	სულთა რაოდენობა				მუშახელის რაოდენობა	სახნავ-სათესი მიწა, დღიურები	ღვინის მოსავალი, სასაღწეები	თუთის ხეები	დამატებითი ცნობები
	ქართული		სომეხი						
	მამრ.	ფემრ.	მამრ.	ფემრ.					
1	7	1	—	—	4	100	20	30	I წიქვილი, ღორი 4
2	4	7	—	—	3	100	15	—	ცხვარი —80
3	4	3	—	—	4	80	13	30	—
4	5	3	—	—	3	20	13	20	ცხვარი —20
5	11	7	—	—	4	100	15	20	ღორები—80
6	8	6	—	—	6	100	15	20	ცხვარი—60
7	5	6	—	—	4	100	20	15	—
8	3	3	—	—	1	30	3	11	—
9	5	2	—	—	3	40	6	12	—
10	5	8	—	—	4	60	10	20	ცხვარი—60
11	3	2	—	—	1	20	4	15	—
12	8	5	—	—	4	80	13	20	—
13	2	1	—	—	1	20	6	12	—
14	7	5	—	—	5	30	7	13	—
15	4	3	—	—	3	60	5	20	—

¹ იქვე, ფურც. 548.
² იქვე, ფურც. 582.
³ იქვე, ფურც. 1—900.

კომლი	სულთა რაოდენობა				მუშა ხელის რაოდენობა	სახნა-სათესი მიწა, დღიურები	ღვინის მოსავალი, საბუნლეები	თუთის ხეები	დამატებითი ცნობები
	ქართული		სომეხი						
	ნამრ.	დედრ.	მამი.	დედრ.					
16									
17	3	5	—	—	2	30	3	—	—
18	4	7	—	—	2	20	3	—	—
19	4	2	—	—	4	20	5	—	—
20	4	3	—	—	2	18	4	25	—
21	5	3	—	—	5	12	2	10	ლორი—10
22	4	3	—	—	2	14	4	10	ლორი—10
23	2	2	—	—	1	20	12	20	—
24	2	2	—	—	2	14	10	20	—
25	3	2	—	—	1	11	9	15	—
26	2	4	—	—	1	15	10	20	—
27	4	3	—	—	2	10	10	14	—
28	5	4	—	—	3	100	10	10	—
29	1	4	—	—	1	20	3	15	—
30	4	1	—	—	1	20	3	15	ლორი—10
31	1	3	—	—	1	20	3	15	—
32	4	7	—	—	4	100	—	—	—
33	3	4	—	—	3	4	8	19	—
34	3	3	—	—	3	3	5	19	—
35	3	3	—	—	3	3	5	15	—
36	2	3	—	—	2	100	5	10	—
37	3	1	—	—	1	1	5	—	—
38	10	6	—	—	6	100	13	20	—
39	2	3	—	—	1	100	10	16	ლორი—20
40	7	4	—	—	3	40	2	20	—
41	2	2	—	—	1	10	5	—	—
42	4	3	—	—	2	5	4	19	—
43	3	2	—	—	3	10	4	15	—
44	2	2	—	—	1	6	5	15	—
45	6	5	—	—	3	10	10	20	—
46	3	2	—	—	2	8	5	20	—
47	6	7	—	—	3	10	6	12	—
48	3	4	—	—	2	12	7	15	—
49	4	5	—	—	3	9	10	20	—
50	3	5	—	—	1	40	14	70	ცხვარი—50
51	5	3	—	—	3	100	6	20	—
52	6	8	—	—	3	30	6	30	—
53	2	1	—	—	1	5	4	15	—
54	3	3	—	—	3	20	2	20	—
55	3	3	—	—	3	30	8	20	—
56	2	2	—	—	1	20	4	11	—
57	4	3	—	—	2	5	1	—	—
58	5	2	—	—	1	8	1	15	—
59	3	1	—	—	3	4	4	20	ცხვარი—60
60	4	3	—	—	3	20	6	20	წისკვილი—1
61	1	1	—	—	1	20	—	—	—
62	5	2	—	—	1	20	3	10	—
63	2	3	—	—	1	24	5	30	—
64	3	3	—	—	1	60	4	20	—
65	3	3	—	—	3	20	3	12	—
66	1	1	—	—	1	18	9	20	—
67	1	—	—	—	1	—	—	—	—
68	9	5	—	—	1	80	13	28	სკა—15
69	2	—	—	—	2	15	3	25	—
70	2	4	—	—	1	14	2	25	—
71	3	3	—	—	1	5	1	—	—

კომლი	სულთა რაოდენობა				მუშა ხელის რაოდენობა	სახნავ-სათესი მიწა, დღეურები	ლკინის მისაქვალის საბაღონები	თუთის ხეები	დამატებითი ცნობები
	ქართუ- ვი		სომეხი						
	მამრ.	დეფრ.	მამრ.	დეფრ.					
72	10	8	—	—	7	20	—	—	წისქვილი— I
73	3	—	—	—	1	12	—	—	ვაჭრობს.
74	—	—	3	3	1	არაქვეს	არაქვეს	—	ცხოვრობს ხელობით—დალაქია
75	—	—	4	1	1	"	"	—	" მეურავია.
76	—	—	4	1	2	"	"	—	" "
77	—	—	3	1	1	"	"	—	" "
78	—	—	2	1	1	"	"	—	ცხოვრობს ხელობით—
79	—	—	1	—	1	"	"	—	" —მღებავია
80	—	—	2	1	1	"	"	—	" ფეხსაცმელების მკერავია.
81	—	—	1	2	1	"	"	—	უნდა თბილისში გადასახლება
82	—	—	3	1	1	"	"	—	ცხოვრობს ხელობით. მღებავია.
83	—	—	3	4	1	არაქვეს	არაქვეს	—	უნდა თბილისში გადასახლება.
84	—	—	2	2	1	"	"	—	ცხოვრობს ხელობით — დალაქია.
85	—	—	3	1	2	"	"	—	" ფეიქარია.
86	4	2	—	—	2	20	—	—	" მღებავია
87	4	3	—	—	1	არაქვეს	არაქვეს	—	ცხოვრობს დღიური შრომით.
88	2	2	—	—	1	"	"	—	ცხოვრობს დღიური შრომით.
89	1	1	—	—	1	"	"	—	ცხოვრობს ხელობით—დურგალია, გადმოსულია იმერეთიდან.
90	—	—	3	2	1	"	"	—	ცხოვრობს ხელობით—მკვდელია.
91	—	—	1	—	1	"	"	—	" დალაქია.
92	5	2	—	—	1	"	"	—	" თოქებს ამზადებს.
93	—	—	1	5	1	"	"	—	ცხოვრობს ხელობით
94	—	—	2	4	2	"	"	—	" სხვ. და სხ. საქონლის ვაჭრობით
95	—	—	1	1	1	"	"	—	" ხელობით—დალაქია
96	8	6	—	—	5	10	—	—	—
97	3	1	—	—	3	15	3	10	—
98	3	—	—	—	3	10	—	—	ცხვარი—40.
99	—	—	8	3	6	არაქვეს	2	—	მღვდელია.
100	3	2	—	—	3	"	არაქვეს	—	ცხოვრობს დღიური შრომით.
101	4	2	—	—	1	10	6	15	—
102	3	2	—	—	1	არაქვეს	არაქვეს	—	იმერეთიდანაა, მეწისქვილე — გა- მოსყიდულია.
103	3	2	—	—	1	"	"	—	ცხოვრობს დღიური შრომით.
104	—	—	3	4	3	"	"	—	" ვაჭრობით.
105	1	1	—	—	1	12	—	—	—
106	8	3	—	—	2	10	2	—	—
107	6	4	—	—	2	არაქვეს	არაქვეს	—	" ხელობით—ფეიქარია.
108	3	2	—	—	1	"	"	—	ცხვარი—30 ცხოვრობს მწყემსო- ბით.
109	—	—	1	2	1	"	"	—	ცხოვრობს ხელობით—ფეიქარია
110	2	2	—	—	1	14	3	30	ლორი—10.
111	2	2	—	—	1	არაქვეს	არაქვეს	—	ცხოვრობს დღიური შრომით
112	5	3	—	—	3	"	"	—	ცხოვრობს დღიური შრომით
113	1	1	—	—	2	"	"	—	ცხოვრობს ხელობით—ფეიქარია.
114	4	2	—	—	1	"	"	—	მეღუქნე.
115	3	4	—	—	3	"	"	—	—
116	3	4	—	—	3	"	"	—	—
117	2	1	—	—	1	"	"	—	—
118	3	5	—	—	1	7	1	15	—



სოფ. შილაში მცხოვრებ სახაზინო გლეხთა აღწერა

კომლი	სულთა რაოდენობა				მუშა ხელის რაოდენობა	სახნავ-სათესი მიწა დღიურები	ღვინის მოსავალი, საბაღნეები	თუთის ხეები	დამატებითი ცნობები
	ქართუ-ლი		სომეხი						
	მამრ.	დედ.	მამრ.	დედ.					
1	10	4	—	—	6	40	35	40	—
2	4	3	—	—	3	10	10	30	—
3	5	5	—	—	4	10	10	15	—
4	2	2	—	—	1	10	4	15	—
5	2	2	—	—	2	2	4	—	—
6	3	2	—	—	2	2	4	—	—
7	4	3	—	—	3	7	4	10	—
8	4	2	—	—	2	7	4	—	—
9	6	7	—	—	4	8	3	—	—
10	1	2	—	—	1	6	6	10	—
11	2	1	—	—	2	7	7	—	—
12	6	5	—	—	4	7	6	—	—
13	1	2	—	—	1	4	—	—	—
14	1	1	—	—	1	არაქვს	1	—	—
15	—	—	3	2	3	"	არაქვს	—	ცხოვრობს ხელობით—მკედელია
16	—	—	4	4	3	"	"	—	" დალაქია.
17	2	4	—	—	2	2	—	—	" ფეჭარია.
18	—	—	2	—	1	1/2	არაქვს	—	ცხოვრობს დღიური შრომით
19	—	—	3	1	3	არაქვს	"	—	ცხოვრობს დღიური შრომით
20	—	—	5	2	5	"	არაქვს	—	აქვს საკუთარი სახლი, ცხოვრობს ხელობით—მღებავია.
21	2	3	—	—	1	"	"	—	ცხოვრობს დღიური შრომით,
22	2	2	—	—	2	"	"	—	"
23	1	2	—	—	1	"	"	—	"
24	2	2	—	—	2	"	"	—	ცხოვრობს დღიური შრომით, თავ-დახსნილია
25	3	3	—	—	1	"	"	—	ცხოვრობს დღიური შრომით, თავ-დახსნილია
26	2	1	—	—	1	"	"	—	ცხოვრობს დღიური შრომით
27	—	2	—	3	2	"	"	—	ცხოვრობს ხელობით—დალაქია.
28	6	2	—	—	4	"	"	—	ცხოვრობს ნასყიდ მიწაზე.

სოფელ გიორგიშინდაში მცხოვრებ სახაზინო გლეხთა აღწერა

კომლები	სულთა რაოდენობა				მუშა ხელის რაოდენობა	სახნავ-სათესი მიწა დღიურები	ღვინის მოსავალი, საბაღნეები	თუთის ხეები	დამატებითი ცნობები
	ქართუ-ლი		სომეხი						
	მამრ.	დედ.	მამრ.	დედ.					
1	5	3	—	—	5	40	9	40	წისქვილი—1, ცხვარი 50.
2	5	4	—	—	3	4	11	40	ცხვარი—40, ღორი—40.
3	4	4	—	—	1	20	10	10	ცხვარი—40.
4	3	3	—	—	1	10	6	10	ცხვარი—40.
5	11	9	—	—	6	100	15	20	წისქვილი—1, ღორი—60.
6	12	10	—	—	9	80	8	10	ღორი—40.
7	9	7	—	—	5	60	6	10	—
8	3	1	—	—	1	20	6	—	—
9	2	1	—	—	1	20	4	10	—
10	2	3	—	—	2	15	—	—	—
11	2	3	—	—	1	20	3	30	—

კომლი	სულთა რაოდენობა				მუშა-ბელის რაოდენობა	სახნავ-სათესი მიწა, დღიურები	ფვინის მოსავალი, საბალნეები	თუთის ხეები	დამატებითი ცნობები
	ჭარბე-ლი		სომეხი						
	მამრ.	დედრ.	მამრ.	დედრ.					
12	3	2	—	—	3	20	6	15	—
13	3	1	—	—	1	20	4	15	—
14	2	4	—	—	2	20	4	20	—
15	2	3	—	—	2	20	2	20	—
16	3	2	—	—	3	10	3	—	—
17	5	2	—	—	3	20	2	10	—
18	2	2	—	—	1	20	3	20	—
19	6	8	—	—	4	30	2	10	ლორი —10
20	8	4	—	—	3	50	4	20	ლორი —20
21	5	3	—	—	4	20	2	—	—
22	3	5	—	—	1	2	5	15	—
23	4	1	—	—	1	20	6	40	წისქვილი—1.
24	6	5	—	—	2	20	3	20	—
25	10	6	—	—	4	40	8	12	წისქვილი—2.
26	5	1	—	—	1	20	10	20	—
27	3	2	—	—	3	10	3	10	—
28	4	2	—	—	1	15	2	11	—
29	2	4	—	—	1	15	2	—	—
30	1	4	—	—	1	15	2	—	—
31	8	5	—	—	20	20	3	20	—
32	4	3	—	—	2	50	10	40	—
33	4	9	—	—	4	50	3	40	—
34	5	6	—	—	3	60	10	40	ცხვარი—20.
35	7	6	—	—	4	40	3	30	—
36	1	2	—	—	1	20	3	30	—
37	1	—	—	—	1	10	2	20	—
38	2	2	—	—	1	20	6	20	—
39	2	1	—	—	2	10	3	10	—
40	3	1	—	—	3	20	3	28	—
41	4	—	—	—	1	15	6	25	—
42	1	3	—	—	1	15	6	22	—
43	9	6	—	—	6	20	6	12	—
44	3	2	—	—	2	10	2	20	—
45	2	1	—	—	2	20	6	19	—
46	2	1	—	—	2	20	2	10	—
47	5	5	—	—	4	20	6	20	—
48	7	6	—	—	6	60	7	30	ლორი—20
49	10	7	—	—	9	50	8	20	ცხვარი—60
50	9	5	—	—	6	100	10	40	წისქვილი—1.
51	3	2	—	—	3	20	6	10	—
52	1	3	—	—	1	12	4	10	—
53	3	3	—	—	3	13	4	10	—
54	3	1	—	—	3	10	3	15	—
55	3	2	—	—	3	10	3	—	—
56	1	—	—	—	1	1	3	10	—
57	2	3	—	—	2	10	2	12	—
58	2	1	—	—	2	10	2	10	—
59	6	4	—	—	6	14	4	15	—
60	4	1	—	—	4	12	6	15	—
61	3	6	—	—	3	—	—	—	—
62	3	—	—	—	3	არაქვს	არაქვს	—	თავგამოსყიდულია. ცხვარობს ხელობით. ფეიქარია
63	2	1	—	—	1	—	—	—	ცხვარობს დღიური შრომით, თავდახსნილია.
64	5	4	—	—	1	—	—	—	ცხვარობს დღიური შრომით, თავდახსნილია
		3	—	—	1	—	—	—	თავდახსნილია. " "



კომლი	სულთა რაოდენობა				შუშა ხელის რაოდენობა	სანჯ-სათესი მიწა, დღეურები	ღვინის, მოსავალი, საბალნები	თუთის ხეები	დამატებითი ცნობები
	ქართუ-ჭი		სომეხი						
	მამრ.	დედრ.	მამრ.	დედრ.					
28	—	—	—	2	1	არაქვეს	არაქვეს	—	ცხოვრობს ხელობით
29	3	1	—	—	1	—	—	—	ცხოვრობს დღიური შრომით.
30	2	2	—	—	2	—	—	—	—
31	6	1	—	—	2	—	—	—	—
32	2	5	—	—	2	—	—	—	—
33	2	4	—	—	2	—	—	—	—
34	6	3	—	—	6	15	6	20	—
35	4	4	—	—	4	არაქვეს	არაქვეს	—	ცხოვრობს ხელობით, იარაღის შექმნელია
36	1	1	—	—	1	—	—	—	ცხოვრობს დღიური შრომით.
37	1	4	—	—	1	—	—	—	ცხოვრობს დღიური შრომით.

დანარჩენ სოფლებში მცხოვრებ სანჯღმეო გლეხებს სხნავ-სათესი მიწების რაოდენობის და ღვინის შემოსავლის მიხედვით შემადგენიარად ვაკატუფებთ

ს	ფ	უ	მ	ვ	ო	ცხოვრობს სულ სახლმ-წილი გლეხი (კომლენი)	არ აქვს არც მიწა, არც ვენახი	1—10-მდე დღიური სანჯ-სათესი მიწა, 1—5-მდე საბალნე ღვინო	10—25-მდე დღიური სანჯ-სათესი მიწა და 5—10-მდე საბალნე ღვინო	25—50-მდე დღიური სანჯ-სათესი მიწა, 10—20-მდე საბალნე ღვინო	50—100-მდე დღიური სანჯ-სათესი მიწა, 10-20-მდე საბალნე ღვინო	100 და მეტი დღიური სანჯ-სათესი მიწა
ურიათუბანი						56	4	34	14	4	—	—
გ ა ვ ა ზ ი						116	9	95	11	1	—	—
ჩიკაანი						37	—	29	8	—	—	—
კუჭატანი						68	1	58	—	1	—	—
სანჯვარდო						78	9	67	2	—	—	—
ფაშანი						1	1	—	—	—	—	—
ვეფხისტციხე						56	6	50	—	—	—	—
კინჭორიანი						23	1	22	—	—	—	—
ტუროსციხე						68	6	45	16	1	—	—
გ რ ე შ ი						5	2	3	—	—	—	—
ენისელი						79	4	74	—	—	—	—
ნაჭლაქევი						17	4	12	1	—	—	—
შაჭორიანი						60	—	60	—	—	—	—
ფშაველი						75	2	60	9	4	—	—
მადრანისი						16	3	13	—	—	—	—
ხურბალო						18	—	18	—	—	—	—
მარელისი						17	5	7	5	—	—	—
ა ხ მ ე ტ ა						27	4	3	20	—	—	—
ჭისტაური						16	4	12	—	—	—	—
ნემო-ხოდაშენი						48	18	30	—	—	—	—
შალაური						24	4	20	—	—	—	—
კონდოლი						5	4	—	1	—	—	—
ტულნიანი						43	7	25	—	—	—	—
წინანდალი						2	2	—	—	—	—	—
ქვემო-ხოდაშენი						16	4	3	6	3	—	—
კ ა ლ ა უ რ ი						102	18	67	17	—	—	—
შაშანი						60	2	50	8	—	—	—
ბატარძელი						148	5	37	49	35	15	7

სოფელი	ცხოვრობს სულ სახლმ- წიფი გლეხი (კომლები)	არ აქვს არც მიწა არც ვენახი	1-10-მდე დღიური სახ- ნავ-სათესი მიწა, 1-5-მდე საბაღზე ღვინო	10-25-მდე დღიური სახ- ნავ-სათესი მიწა, 5-10-მდე საბაღზე ღვინო	25-50-მდე დღიური სახ- ნავ-სათესი მიწა, 10-20- მდე საბაღზე ღვინო	50-100-მდე დღიური სა- ხნავ-სათესი მიწა, 10-20- მდე საბაღზე ღვინო	100 და მეტი დღიური სახნავ-სათესი მიწა
სართიქალა	66	6	43	17	—	—	—
უჯარმა	48	6	40	2	—	—	—
მარტყოფი	121	6	109	5	—	—	—
ნორიო	114	10	96	4	—	—	—
თიანეთი	58	16	34	6	—	—	—
საყარაულა	7	5	2	—	4	—	—
საყდრიონი	19	13	3	3	—	—	—
ნადირაანთკარი	11	10	1	—	—	—	—
გორანა	19	15	2	—	—	1	—
სიმონიანთბევი	10	8	2	—	—	—	—
ბულახური	10	8	—	—	1	—	1

როგორც ვხედავთ, გლეხობის უმეტესობა ფლობდა 1-დან 10-მდე დღიურ სახნავ-სათეს მიწას.

ამ განწილებული მიწების გარდა თითოეულ სოფელს ჰქონდა კიდევ სათემო მიწები, საძოვრები. თუ როგორ იყო ეს მიწები განწილებული თითოეულ კომლ-ზე, საქმიდან არა ჩანს. საფიქრებელია, რომ შეძლებული გლეხები ამ სათემო მიწებიდანაც უფრო მეტი მიწის მოხვნას მოახერხებდნენ.

იმდროინდელი ოფიციალური ისტორიკოსი აღნიშნავს, რომ თელავის მაზრის გლეხების უმეტესობა ღარიბები იყვნენ, ცხოვრობდნენ ნახევრად დანგრეულ ქოხებში და მხოლოდ რამდენიმე სოფელში ყვარელში, ენისელში, საგარეჯოსა და შილდაში იყო ქვით ნაგები წესიერი სახლები¹. ამავე სოფლებში ჩვენი აღწერით უფრო მკვეთრად შეიმჩნევა დიფერენციაცია. აქ ერთის მხრივ გვხვდებიან მდიდარი გლეხები 100 და მეტი დღიური სახნავ-სათესი მიწითა და მეორეს მხრივ დღიური მუშები; ამავე სოფლების სახელმწიფო გლეხებს შორის ქარბად გვხვდებიან ხელოსნები და ვაჭრები.

თელავის მაზრის საბატონო გლეხებს შორის დიფერენციაცია უფრო ნაკლებად შეიმჩნევა. იმავე 1821 წლის აღწერილობიდან ჩანს, რომ ამ დროისათვის თელავის მაზრაში ცხოვრობდა 1897 კომლი საბატონო გლეხი; აქედან:

სულ არ ჰქონდა მიწა 29 კომლს.

1-დან 10-მდე დღიური მიწა ჰქონდა—1328 კომლს.

10—25 — „ — „ — „ — 220 — „ —

25—50 — „ — „ — „ — 49 — „ —

50—100 — „ — „ — „ — 4 — „ —

100 დღიური და უფრო მეტი ჰქონდა — 6 — „ —

ცალკეულ სოფლებში ამ გლეხებს შემდეგნაირად ვაჭგუფებთ:

¹ Обзорение российских владении Закавказом, т. 1, стр. 29.

ს თ ვ ე მ ი	ცხოვრობს სულ საბატონო გლეხი (კომლეტი)	არ აქვს არც მიწა და არც ეგზანი	1-10-მდე დოლოური საბნაე-სათესი მიწა, 1-5-მდე საბალენე ღვინო	10-25-მდე დოლოური საბნაე-სათესი მიწა, 5-10-მდე საბალენე ღვინო	25-50-მდე დოლოური საბნაე-სათესი მიწა, 10-20-მდე საბალენე ღვინო	50-100-მდე დოლოური საბნაე-სათესი მიწა, 10-20-მდე საბალენე ღვინო	100 და მეტი დოლოური საბნაე-სათესი მიწა, 20-ზე მეტი საბალენე ღვინო
ურითუბანი	31	—	25	6	—	—	—
სანაეარდო	2	2	—	—	—	—	—
ყვარელი	84	27	38	19	—	—	—
ვეფხისტციხე	11	—	11	—	—	—	—
ტურისტციხე	15	5	4	4	2	—	—
თაშვანი	1	1	—	—	—	—	—
მ ი ლ დ ა	67	11	52	4	—	—	—
ს ა ბ ლ ე	60	8	50	2	—	—	—
ა ლ მ ა თ ი	22	—	22	—	—	—	—
გ რ ე მ ი	83	8	75	—	—	—	—
ენისელი	6	—	4	2	—	—	—
ნაქალაქვეი	2	—	4	—	—	—	—
ნათაოქული	91	2	73	16	—	—	—
სანიორე	34	1	29	4	—	—	—
ახატანი	51	2	38	8	—	—	—
ი ლ ტ ო	9	1	8	—	—	—	—
ლაღისყური	103	26	77	—	—	—	—
ტახტის სოფელი	9	—	7	2	—	—	—
მალრანი	9	—	9	—	—	—	—
ო რ კ ო ხ ი	20	4	16	—	—	—	—
ფიხოვანი	28	4	24	—	—	—	—
ოთხითვალი	6	—	6	—	—	—	—
ბახტრიონი	15	1	7	1	6	—	—
მარელისი	8	—	1	2	5	—	—
მ ა ტ ა ნ ი	67	15	35	15	—	—	—
ა ხ მ ე ტ ა	130	38	70	21	2	—	—
ჭისტაური	50	8	42	—	—	—	—
ა ხ ა ი ე ნ ი	7	2	—	—	—	—	—
ზემო-ხოდაშენი	13	8	5	—	—	—	—
ი ყ ა ლ თ ო	77	14	59	4	—	—	—
რუისპირო	115	7	108	—	—	—	—
არტოზანი	17	2	15	—	—	—	—
კურდღელაური	189	17	146	22	4	—	—
კიხისხევი	33	1	23	9	—	—	—
კ ო ნ დ ო ლ ი	67	6	32	15	11	—	—
ტულნანი	6	—	—	—	—	—	—
წინანდალი	50	2	14	31	3	—	—
ქვემოხოდაშენი	32	—	17	10	5	—	—
ვ ა ნ თ ა	3	—	3	—	—	—	—
ვანაძიანი	74	7	67	—	—	—	—
საგარეჯო	10	4	4	—	—	—	—
გიორგიწმინდა	3	—	—	3	—	—	—
მარიამჯვარი	13	—	6	4	3	—	—
სართიჭალა	6	4	2	—	—	—	—
მულანდუ	34	6	26	2	—	—	—
ყარაბულახი	28	—	14	10	3	—	—
ხაში	5	4	1	—	—	—	—
საცხენისი	5	2	3	—	—	—	—
მარტყოფი	20	3	15	—	—	—	—
ნ ო რ ი ო	6	—	—	2	—	—	—
თიანეთი	32	9	16	5	—	—	—
საყდრიონი	13	11	2	—	—	—	—
ბულაჩაური	16	5	—	—	—	—	—
კუბნიანთყარი	9	—	9	—	—	—	—

1821 წლის თელავის მაზრის კამერალური აღწერის გარდა ჩვენ მოგვეპოვე-
 ბა აგრეთვე ამავე მაზრის სახელმწიფო გლეხების 1842 წლის აღწერა¹. ეს აღ-
 წერა წინანდელთან შედარებით გაცილებით უფრო სრულ ცნობებს შეიცავს.
 აქ აღნიშნულია არამარტო თითოეული კომლის მფლობელობაში მყოფი სახნავ-
 სათესი მიწების რაოდენობა, არამედ ნაჩვენებია მარცვლეულის მოსავლის
 (სორბლის, ქერის, სიმინდის) და მუშა საქონლის რაოდენობაც. 1842 წლისათ-
 ვის თელავის მაზრაში, თელავის, ყვარელისა და უკანა მხარის უბნებში აღწერი-
 ლია 2579 კომლი სახელმწიფო გლეხი. აქედან 1064 კომლი სახელმწიფო მიწე-
 ბის სიმცირისა თუ სხვა მიზეზების გამო ცხოვრობდა საბატონო და საეკლესიო
 მიწებზე. ამ 1064 კომლის შესახებ ნათქვამია თუ რითი ცხოვრობენ ისინი—მი-
 წათმოქმედებით, ვაჭრობით თუ დღიური შრომით, თითოეული კომლის სახნავ-
 სათესი მიწებისა და ვენახების რაოდენობა კი მითითებული არ არის.

1064 კომლიდან 922 კომლისათვის არსებობის წყაროს წარმოადგენდა
 მიწათმოქმედება, 80 კომლისათვის—ვაჭრობა, 59 კომლისათვის—დღიური შრო-
 მა და 3 კომლისათვის—ხელოსნობა.

როგორც აღწერიდან ჩანს, დღიურ მუშებს შეძლებული გლეხების მე-
 ურნეობებშიც ქირაობდნენ. მაგ., სოფ. ჯიმითში მცხოვრებ 16 კომლ გლეხზე
 წერია: „სახნავ-სათესი მიწების უქონლობის გამო ზოგიერთი ამ 16 კომლიდან
 ადგილობრივ შეძლებულ გლეხებთან შოულობს სამუშაოს, რაშიც იღებს ქირას
 და იმით ცხოვრობს, ზოგიერთი კი ქალაქებში ყიდულობს სხვადასხვა წვრილმან
 საქონელს, სოფლებში დააქვს, ჰყიდის და მოგებით ცხოვრობს“². სოფელ ჩაი-
 ლურში მცხოვრებ 10 კომლ გლეხზე ნათქვამია: „სახნავ-სათესი მიწები არა აქვთ,
 ანუშავებენ მებატონეებისა და მათი გლეხების ვენახებს, იღებენ ქირას და იმი-
 თი ცხოვრობენ“³. მეორეს მხრივ ამავე აღწერაში გვხვდება ისეთი შეძლებული
 გლეხების მეურნეობანიც, რომელთა საწარმოებლად დაქირავებული მუშა ხე-
 ლის გამოყენება იქნებოდა საქირო, მაგ. სოფ. ველისციხეში მცხოვრებ შეძლე-
 ბულ გლეხს გეურქა მიტიჩაშვილს ჰქონდა 80 დღიური სახნავ-სათესი მიწა, საფ-
 დანაც მოჰყავდა 180 კოდი ხორბალი, 40 კოდი სიმინდი, ჰქონდა 4 ვენახი 42000
 ძირი ვაზით, შემოსდიოდა 14 ურემი, ე. ი. 42 საპალნე ღვინო, ჰყავდა 2 ცხე-
 ნი, 30 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 100 ცხვარი. მიტიჩაშვილის ოჯახში
 იყო 4 მამაკაცი, აქედან მუშა ხელი იყო 3. პურისა და სიმინდის მოსავლის რა-
 ოდენობიდან ჩანს, რომ გეურქა მიტიჩაშვილი 80 დღიური სახნავ-სათესი მი-
 წიდან მხოლოდ ნაწილს ამუშავებდა—დაახლოებით 30 დღიურს (დღიურზე 7—
 8 კოდ მარცვლეულის მოსავალს თუ ვიანგარიშებთ).

ზემოთ აღწერილი მეურნეობის მოსავლეად 3 მუშახელი არ იქნებოდა
 საკმარისი, მიტიჩაშვილს არა მარტო დღიური მუშა, არამედ მუდმივი მოჯამაგი-
 რეც კი დასჭირდებოდა და თუ მოჯამაგირე ჩვენს აღწერაში მითითებული არ
 არის, ეს კამერული აღწერის არასრული ხასიათით უნდა აიხსნას, ჩვენ შეგვი-
 ძლია მრავლად მოვიყვანოთ მაგალითები ველისციხეში მცხოვრები შეძლებული
 გლეხებისა, რომელთა მეურნეობის საწარმოებლად დაქირავებული მუშა-ხელი

¹ საქ. ცსსა, ფ. № 254, საქმე № 19055, 19025, 19024.

² საქ. ცსსა, ფ. № 254, საქმე № 19055, ფურც. 133—134.

³ იქვე, ფურც. 177.

იქნებოდა საჭირო, იგივე ველისციხეში 71 კომლ სახელმწიფო გლეხს არ ჰქონდა არც მიწა და არც ვენახი. საფიქრებელია, რომ ნაწილი მინც ამ 71 კომლი დან სამუშაოს შოულობდა ზემოთჩამოთვლილ შეძლებულ ოჯახებში.

1842 წელს აღწერილ 1515 კომლ სახელმწიფო გლეხებიდან არ ჰქონდა სახნავ-სათესი მიწა და არც ვენახი

არ ჰქონდა სახნავ-სათესი მიწა, ჰქონდა ვენახი	199 კომლს;
1-დან 10-მდე დღ. მიწა ჰქონდა	75 —
10-დან 25-დე დღ. მიწა ჰქონდა	890 —
25 — 50 — " " "	308 —
50—100 — " " "	38 —
	5 —

აღწერაში მითითებულია თითოეული კომლის მარცვლეულის მოსავლის რაოდენობა, საიდანაც ვასკენით, რომ ყველა გლეხი როდი ამუშავებდა მის სარგებლობაში მყოფ მიწას მოლიანად; მაგ., სოფ ქისტაურში მცხოვრებ გლეხს, ზურაბ ციღროშვილს, ჰქონდა 10 დღ. სახნავ-სათესი მიწა, საიდანაც მოჰყავდა 20 კოდი პური, 8 კოდი ქერი, 10 კოდი სიმინდი და 10 კოდი ფეტვი¹. იმავე სოფელში მცხოვრებ გლეხს გიორგი ხუციშვილს კი 4 დღიური სახნავ-სათესი მიწიდან მოჰყავდა 80 კოდი პური, 20 კოდი ქერი, 30 კოდი სიმინდი და 15 კოდი ფეტვი², ე. ი. გაცილებით მეტი, ვიდრე ეს მოჰყავდა ზურაბ ციღროშვილს 10 დღიური მიწიდან. სოფელ ურიათუბანში მცხოვრებ გლეხს გლახა ტერტერაშვილს ჰქონდა 20 დღ. სახნავ-სათესი მიწა, მოჰყავდა 60 კოდი პური, 40 კოდი სიმინდი და 20 კოდი ფეტვი³, იმავე სოფელში მცხოვრები მეორე გლეხი ტატულა სოლომონიშვილი 10 დღ. სახნავ-სათესი მიწიდან ზუსტად იმდენივე მოსავალს იღებდა⁴. სოფ. კალაურში მცხოვრები გლეხი მოსე ძალუკაშვილი 15 დღ. სახნავ-სათესი მიწიდან იღებდა 60 კოდ პურს, 10 კოდ ქერს, 20 კოდ სიმინდს და 5 კოდ ფეტვს⁵, იმავე სოფელში მცხოვრები გლეხი არტემ მირუმაშვილი მარცვლეულის მოსავალს ამდენივე რაოდენობით იღებდა 5 დღიური მიწიდან⁶. მუშა ხელის რაოდენობა აღწერის მიხედვით ორივე კომლებში თანაბარი იყო, გამწვევი საქონელი მოსე ძალუკაშვილს ჰყავდა 16 სული, არტემ მირუმაშვილს კი 8, სოფ. ენისელში მცხ. ერთ კომლ სახელმწიფო გლეხს ჰქონდა 20 დღ. სახნავ-სათესი მიწა, საიდანაც მოჰყავდა 20 კოდი პური, 15 კოდი ქერი და 15 კოდი სიმინდი⁷. აქვე მცხ. მეორე კომლს ჰქონდა 5 დღ. სახნავ-სათესი მიწა, ე. ი. პირველის 1/4, მოსავალი დაახლოებით, იმდენივე მოჰყავდა, რამდენიც პირველს: 20 კოდი პური, 10 კოდი ქერი და 10 კოდი სიმინდი. მუშა ხელის რაოდენობა აქაც ორივე კომლებში თანაბარი იყო, ხოლო მსხვილფეხა რქოსანი საქონელი არცერთს არ ჰყავდა. ასეთი უამრავი მაგალითების მოტანა შეიძლებოდა და ყველა მათი ჩამო-

¹ საქ. ცსსა. ფ. № 254, საქმე № 19025 ფურტ. 26.
² იქვე, ფურტ. 28.
³ საქ. ცსსა. ფ. № 254, საქმე. № 19025, ფურტ. 68.
⁴ იქვე, ფურტ. 66.
⁵ იქვე, ფურტ. 105.
⁶ საქ. ცსსა. ფ. № 254, საქმე № 19024, ფურტ. 49.
⁷ იქვე, ფურტ. 51.

თვლა ჩვენ შორს წაგვიყვანდა. აქედან ჩვენ მხოლოდ შემდეგი დასკვნის გამოტანა შეგვიძლია: XIX ს. ორმოციანი წლებისათვის თელავის მაზრის გლეხები უმთავრესად პურს და, საერთოდ, მარცვლეულს აწარმოებდნენ იმდენს, რამდენიც მათი პირადი მოხმარებისათვის იყო საჭირო, ბაზარზე კი მარცვლეულის მხოლოდ შემთხვევითი ჭარბი პროდუქცია გადიოდა. ისეთი შეძლებული გლეხიც კი, როგორც ჩვენ მიერ უკვე მოხსენებული ველისციხელი გეურქა მიტიჩაშვილია, მთლიანად არ ამუშავებდა თავის სარგებლობაში მყოფ მიწას, მას 80 ღლ. სახნავ-სათესი მიწიდან მოჰყავდა 220 კოდი მარცვლეული. ასეთი მოსავლის მიღება ჩვენი გამოანგარიშებით საესებით თავისუფლად შეიძლებოდა 30 ღლ. სახნავ-სათესი მიწიდანაც. როგორ იყენებდა იგი დანარჩენ მიწას, იჯარით ჰქონდა ვაცემული თუ არა. ამის შესახებ აღწერაში არაფერი არ არის ნათქვამი. იმავე 1842 წლისათვის კი, ბორჩალოს დისტანციაში მცხოვრები გლეხები უკვე ეწეოდნენ მარცვლეულის საბაზროდ წარმოებას, თბილისის მაზრის უფროსის თანაშემწე თავის მოხსენებით ბარათში წერდა: „ბორჩალოს უბანში მცხოვრები სახელმწიფო გლეხები ფლობენ მეტად კარგ სახნავ-სათეს მიწებს, ისინი თავის სარგებლობაში მყოფ მიწებს მთლიანად ამუშავებენ, სთესენ დიდი რაოდენობის საგაზაფხულო და საშებრდგომო პურს, იღებენ უხვ მოსავალს, ისე, რომ ყოველწლიურად 5-დან 6 ათასამდე ჩეტვერტს ყოდიან“¹.

იგივეს ვერ ვიტყვით თელავის მაზრის გლეხებზე, ისინი 40-იანი წლებისათვის ჯერ კიდევ არ მისდევენ მარცვლეულის სპეციალურად საბაზროდ წარმოებას, ბაზარზე მართალია გადის თელავის მაზრიდან მარცვლეული, მაგრამ გადის მხოლოდ შემთხვევითი ჭარბი პროდუქცია, სამაგიეროდ სულ სხვა მდგომარეობა: გვაქვს თელავის მაზრაში მეღვინეობის მხრივ, იმდროინდელი ოფიციალური ისტორიკოსები ერთხმად ამტკიცებენ, რომ კახელი გლეხების შემოსავლის მთავარ წყაროს მეღვინეობა წარმოადგენს და რომ თელავის მაზრაში უკვე გამოირჩევიან მეღვინეობით განთქმული სოფლები².

კახეთში უკვე 1830-იანი წლებისათვის ღვინოს უმთავრესად აწარმოებენ სასაქონლოდ, სპეციალურად საბაზროდ. ღვინის წარმოებას თელავის მაზრაში მაშინ სასაქონლო ხასიათი ჰქონდა; ეს ჩვენი აღწერიდანაც დასტურდება. ზემოთ ნახსენები ველისციხელი გეურქა მიტიჩაშვილი 42 საპალნე ღვინოს აყენებდა. ფაქტია, აქედან გარკვეული ნაწილი ბაზარზე გასატანად ენდომებოდა. ოფიციალური მიმომხილველის სიტყვით, ამ დროისათვის ურემი ღვინო (3 საპალნე) ღირდა 40 მან-დან 250 მან-მდე. საშუალოდ ურემი ღვინის ფასი 100 მანეთი რომ ვიანგარიშოთ მიტიჩაშვილს 1400 მან. ღვინის მოსავალი ექნებოდა. ღვინის ასეთი მოსავალი იმავე სოფ. ველისციხეში 5 კომლს ჰქონდა (30-დან 60-მდე საპალნე).

1842 წლის აღწერაში მოცემული 1515 კომლ სახელმწიფო გლეხებიდან 75 კომლს არ ჰქონდა სახნავ-სათესი მიწა და ცხოვრობდა მხოლოდ და მხოლოდ ღვინის შემოსავლით. გარდა ამისა, 200 კომლს ჰქონდა 1-დან 5-მდე ღლ. სახნავი მიწა, ღვინის შემოსავალი კი ჰქონდა 5-დან 10 საპალნემდე. ფაქტია ამ გლეხებისათვისაც ცხოვრების მთავარ წყაროს მეღვინეობა წარმოადგენდა, რადგანაც 1-დან 5-მდე ღლ. მიწაზე მათი მარცვლეულის მოსავალი საესებით უმნიშ-

¹ საქ. ცსსა, ფ. № 16, საქმე № 6244, ფურც. 89.

² Журнал „Северная Пчела“, СПб, 1811, № 64-65.

ვწელო იყო. დანარჩენი გლეხების მარცვლეულისა და ღვინის მოსავლის შედარებიდანაც ჩანს, რომ 40-იანი წლებისათვის თელავის მაზრაში მევენახეობა-მეღვინეობას სასაქონლო ხასიათი ჰქონდა. რაც შეეხება ღვინის ბაზარზე გატანას, ეს ხდებოდა შემსყიდველის, ე. წ. სირაჯის, საშუალებით. იმდროინდელი „სირაჯი ღვინის შემსყიდველია, რომელიც არა მხოლოდ ჩარჩ-ვაჭარია, არამედ იმავე დროს არის მევენახეც, მეტიკეც, შუამავალიც, კომისიონერიც, ერთი სიტყვით მრავალგვარ ფუნქციას ასრულებს“¹.

1821 წლის ქ. თელავის აღწერაში 10 კომლის შესახებ ნათქვამია, რომ ისინი ეწევიან ღვინით ვაჭრობას და ამით ცხოვრობენ, ვენახი კი არც ერთ მათგანს არ აქვს². ცხადია, რომ ისინი სირაჯები იყვნენ.

როგორც ვხედავთ, XIX ს-ის I ნახევრისათვის საქართველოში უკვე დაწყებული იყო სოფლის მეურნეობის პროდუქტების საბაზროდ წარმოება, ეს გარემოება კი თავის მხრივ ბატონყმობის დაშლას უწყობდა ხელს. ადგილი ჰქონდა შეძლებული გლეხების ხელში საკმაოდ დიდ რაოდენობით თანხის დაგროვებას. 40-იანი წლებიდან გახშირდა გლეხების მიერ თავგამოსყიდვის ფაქტები, რასაც მნიშვნელოვანი თანხა სჭირდებოდა. მაგ., სოფ. ვეჯინში მცხოვრებ გლეხს, დულარელიძეს, მებატონე ანდრონიკაშვილისაგან გამოუსყიდა თავი 1500 მანეთად³; სოფ. შილდაში მცხოვრებ გლეხს პეტრე ცეცხლაშვილს 1840 წელს გამოუსყიდა თავი ქონებით. ცეცხლაშვილის ქონების აღწერიდან ჩანს, რომ იგი შეძლებული გლეხი ყოფილა; მას ჰქონდა 30 დღ. სახნავ-სათესი მიწა, ვენახი 10 დღიურზე გაშენებული, საიდანაც შემოსდიოდა 40 საპალნე ღვინო, 100 ძირი თუთის ხე, გამოსდიოდა 10 ვირვანქა აბრეშუმში, ჰყავდა 1 ცხენი, 12 მსხვილფეხა რქოსანი საქონელი და 100 ცხვარი⁴. საერთოდ, 40-იანი წლებიდან მრავლად გვხვდება გლეხების მიწით თავგამოსყიდვის ფაქტები⁵. გარდა ამისა, თელავის სახელმწიფო გლეხების კამერალურ აღწერილობაში გვხვდება ისეთი კომლები, რომლებიც ცხოვრობდნენ საკუთარ, ნასყიდ მიწებზე, მაგ. თელავის მაზრის უკანა მხარის უბნის კამერალური აღწერიდან ჩანს, რომ 363 კომლ სახაზინო გლეხს არ ჰქონდა სახელმწიფო მიწები. ამ 363 კომლიდან 33 კომლი ცხოვრობდა საკუთარ, ნასყიდ მიწაზე⁶, დანარჩენები კი საეკლესიო და საბატონო მიწებზე ცხოვრობდნენ. უკანა მხარის უბნის ნასყიდ მიწაზე მცხოვრებ გლეხებს შორის გვხვდებიან საკმაოდ შეძლებული გლეხები—მაგ. სოფ. ვეჯინში ერთ კომლ სახელმწიფო გლეხს ჰქონდა ნაყიდი 40 დღ. სახნავ-სათესი მიწა და 4 დღ. ვენახი⁷. სოფ. ბაკურციხეში მცხოვრებ კომლს კი ჰქონდა 60 დღ. საკუთარი სახნავ-სათესი მიწა და 8 დღ. ვენახი⁸. ქონებით თავგამოსყიდული გლეხები და ნასყიდ მიწაზე მცხოვრები სახელმწიფო გლეხები, რომელთაც სახნავ-სათესი მიწა მნიშვნელოვანი რაოდენობით აქვთ შესყიდული და საბაზრო წარმოებისათვის დაქი-

¹ პ. გუგუშვილი, შინამრეწველური მეღვინეობა საქ-სა და ავ 1801—1920 წწ. გვ. ინსტ. შრომები, ტ. III 1949, გვ. 229.
² საქ. ცსსა, ფ. № 254, საქმე № 510, ფურც. 24—62.
³ საქ. ცსსა, ფ. № 255, საქმე № 2359.
⁴ იქვე, ფ. 254, საქმე № 19024, ფურც. 142.
⁵ იქვე, ფ. № 255, საქმე № 2357, 2364, 2366, 2370, 2372, 2040: 2416, 2430, 2431, 2436 და სხვა.
⁶ იქვე, ფ. № 254, საქმე № 19055, ფურც. 93—185.
⁷ იქვე, ფურც. 106.
⁸ იქვე, ფურც. 101.

რავებული შრომის გამოყენებას მიმართავენ, სოფლის ბურჟუაზიულ ელემენტებს წარმოადგენენ.

მეორეს მხრივ კი, გვხვდება ისეთი გლეხებიც, რომლებიც მართალია, უკვე თავისუფალნი არიან პირადი დამოკიდებულებისაგან, თავი აქვთ გამოსყიდულა მებატონისაგან, მაგრამ, იმის გამო, რომ მიწა არ გააჩნიათ ეწევინ სამუშაო ძალის გაქირავებას—ცხოვრობენ დღიური შრომით¹.

ყოველივე ზემოაღნიშნული საშუალებას გვაძლევს დაეასკვნათ, რომ თელავის მაზრაში XIX ს-ის 30-40-იანი წლებიდან ქონებრივი უთანასწორობა ღრმად იყო წასული, წარმოიშენენ კულაკური ელემენტები, რომლებიც ექსპლუატაციას უწევდნენ სოფლის ნახევრადპროლეტარებს და მათ ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ბატონყმურ ურთიერთობათა შლის პროცესი ვითარდებოდა.

Э. А. ОРДЖОНИКИДЗЕ

МАТЕРИАЛЫ О ДИФФЕРЕНЦИИ КРЕСТЬЯН ТЕЛАВСКОГО УЕЗДА I-ОЙ ПОЛОВИНЫ XIX ВЕКА

Резюме

Камеральные описания Грузии I-ой половины XIX века дают значительный материал для изучения дифференциации крестьян. В частности камеральные описания Телавского уезда 1821 и 1842 гг. показывают глубоко развитое имущественного неравенства.

С тридцатых годов XIX века крестьяне начинают производить сельскохозяйственные продукты специально для продажи, что со своей стороны способствует дальнейшему разложению крепостничества, возникновению процесса раскрепощения. Среди государственных крестьян, купивших землю, отмечаются и факты классовой дифференциации. Появляются кулацкие элементы, эксплуатирующие сельских полупролетариев.

¹ იქვე, საქმე № 19024, ფურც. 216, 218, საქმე № 510, ფ. 539, 576, 516, 197, და სხვა.

მამია ღუმბაძე

1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი
(პროფესორ იასე ცინცაძის წიგნის გამო)*

1783 წ. რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების წარმოშობა ფეოდალური ხანის საქართველოს ერთი ურთულესი საკითხია. იგი არა მარტო საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიის თემათა ციკლს ეკუთვნის, არამედ საქართველოს სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის ძირითად პრობლემათა რიგში განიხილება.

მე-13 საუკუნის 30-იანი წლებიდან მოყოლებული ფეოდალურ საქართველოს პერადღული პოლიტიკური კრიზისების ხანა დაუდგა. აღმოსავლეთის დამპყრობელთა მიერ წაქცეული ქვეყანა მალე პოლიტიკურადაც დაქუცმაცდა. საკუთარი ძალებით მან ვეღარ შესძლო გაერთიანება და მშვიდობიანი ცხოვრების მოპოვება. საქართველოს გამოხსნა-აღდგომის ჩაუქრობელი ოცნების განხორციელება საჯარო დახმარების გარეშე არ ხერხდებოდა და 1783 წ. ტრაქტატი ასეთი ვითარებით ნაქარნახევი დიდმნიშვნელოვანი ისტორიული აქტი იყო. ამიტომაც, რომ სარეცენზიო მონოგრაფია საქართველოს ისტორიის სპეციალისტებისა და ფართო ნკითხველი მასების გულისხმიერი ყურადღების საგანი ხდება.

წიგნის პირველ თავში ავტორი განიხილავს „საქართველოს საკითხს რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მე-18 ს-ში“.

რუსეთის სახელმწიფოს გაძლიერება, მისი საზღვრების გადანაცვლება კავკასიონანდე, საქართველოს პოლიტიკის მესვეურებში თანდათანობით განამტკიცებდა რწმენას იმის შესახებ, რომ რუსეთის საგარეო პოლიტიკის დღის წესრიგში საქართველოს საკითხს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა. ქართველთა შეგნებით: რუსეთი წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც თურქეთ-ირანის ძალმომრეობას ამიერკავკასიაში ბოლოს მოუღებდა. ამ გარემოებამ განაპირობა რუსეთის ორდენთაქციის სიმტკიცე ჩვენში (გვ. 5).

ავტორი ძალზე მოკლედ მიმოიხილავს ახლო აღმოსავლეთში მე-16—18 ს. დამღვეს არსებულ საერთაშორისო—პოლიტიკურ სიტუაციას. იზიარებს ლიტერატურაში უკვე გამოთქმულ დებულებებს. რომ მსოფლიოს ამ ასპარეზზე რუსეთი თურქეთის მრისხანე მეტოქედ გამოვიდა, რომ ირანის დაპყრობა-დანაწარლების პეტრესეული გეგმების რეალიზაცია ძირითადად რუსეთ-თურქეთის ურ-

* იასე ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, მასალები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის, საბ. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1960.

რეცენზია წაკითხულ იქნა ისტორიის ინსტიტუტის ფეოდალური ხანის ისტორიის განყოფილების საჯარო სხდომაზე 1960 წ. 10 მაისს.

თიერობაზე დამყარებული აღმოჩნდა. ამით აიხსნებოდა ისიც, რომ პეტრეს რუსეთში თავისი მოკავშირეები საკუთარ საგარეო-პოლიტიკურ თვალსაზრისს დაუმოთაჩილა და თურქეთ-ირანის აგრესიობთან ბრძოლაში მიატოვა.

შედარებით უფრო მეტ ყურადღებას უთმობს ავტორი მე-18 ს. მეორე ნახევრის რუსეთის ახლო-აღმოსავლური პოლიტიკის საკითხებს. იგი ხსნის, თუ რატომ აღელვებდა რუსეთს ქართლ-კახეთის წარმატებანი მე-18 ს. 40—50-იან წლებში. სწორად შენიშნავს ავტორი, რომ რუსეთს ამიერკავკასიაში ჰეგემონიის დაკარგვისა ეშინოდა; ერეკლეს წარმატებებით შემოფოთებული თურქეთი ამიერკავკასიისაკენ მთელ თავის ძალებს წარმართავდა და იქ თავის ჰეგემონიას დამყარებდა. აი, თურმე რატომ ასე თავგამოდებით ზვერაღდნენ თვითმპყრობელობის აგენტები საქართველოში 50-იან წლებში შექმნილ სიტუაციას. მეფის რუსეთის დიპლომატიამ მაშინ საპიროდაც კი ჩათვალა დამეშვიდებინა თურქეთი—ნუ გეშინიათ, ჩვენის მხრით საქართველოს არ დავებმარებითო (გვ. 10).

გვემით ავტორს მოჰყავს მეტად საინტერესო შინაარსის საბუთები, საიდანაც უცილობლად მტკიცდება, რომ რუსეთის მეფის თავადაზნაურული იმპერია საქართველოს უყურებდა, როგორც გარკვეულ ობიექტს, რომელიც მას ახლო აღმოსავლეთში თავისი პოლიტიკური მეტოქეების დამარცხებასა და ჰეგემონიის მოპოვებაში ხელს შეუწყობდა; საკუთრივ საქართველოს ინტერესებს ცარიზმის საგარეო პოლიტიკისათვის, რა თქმა უნდა, აღნიშნული მიზნისადმი დაქვემდებარებული მნიშვნელობა ჰქონდა (11—13). ცხადყოფილია, რომ რუსეთს მე-18 ს. 50-იან წლებში გადაჭრით არ სურდა, საქართველოს გულისთვის თურქეთთან იყო ირანთან ურთიერთობა გაემწეავებინა.

წიგნში დახასიათებულია ის გარდატეხა რუსეთ-თურქეთის ურთიერთობაში, რომელიც მე-18 ს. 60-იანი წლებიდან დაიწყო. აქ ავტორი შეგნებულად უვლის გვერდს 1768—1774 წწ. ომთან დაკავშირებით რუსეთ-საქართველოს სამხედრო კავშირის ორმხრივი ინტერესებსა და საომარი მოქმედების აღწერას. ეს საკითხები სამეცნიერო ლიტერატურაში რამდენადმე შესწავლილია. სამაგიეროდ ავტორი აყალიბებს თავის შეხედულებებს ომის შედეგებზე, არკვევს თუ რაში უნდა ვეძიოთ ჩვენ, კერძოდ. 1774 წ. ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატის მნიშვნელობა საქართველოსა და რუსეთისათვის.

უპირველეს ყოვლისა ავტორი ასაბუთებს, რომ 1774 წ. საზავო პირობების მიღება თურქეთის მიერ „უფრო დიდი მარცხი იყო, ვინემ ბრძოლის ველზე განცდილი“ (16).

იგი ამქდავენებს ხელშეკრულების 23-ე მუხლის პირველი დებულების დაზღმ.ტურ შინაარსს, მის ორაზროვნებას, რაც საბოლოო ანგარიშში იმერეთის სასარგებლოდ შეიძლება განვიხილოთ.

აქამდის ჩვენს ისტორიოგრაფიაში ყურადღება ექცეოდა მხოლოდ იმ გარემოებას, რომ 1774 წ. ზავით რუსეთმა აიძულა თურქეთი უარი ეთქვა დასავლეთ საქართველოდან ხარკის სახით ტყვე ახალგაზრდობის წაყვანაზე და ფაქტიურად აღიარა ოსმალეთის პოლიტიკური ბატონობა ამ ქვეყანაში. პროფ. ი. ცინცაძე კი იძლევა ახლებურ ანალიზს. იგი წერს, რომ აღნიშნული საზავო ხელშეკრულების XXIII მუხლის „ძალით რუსეთის სახელმწიფომ თურქეთ-იმერეთის დაწოკიდებულებაში დიპლომატიური ჩარევის უფლება მოიპოვა“ (გვ. 21). რუსეთის მიერ მოპოვებულ უფლებას—ჩარეულიყო იმერეთ-თურქეთის ურთიერთობაში—იმერეთისათვის დადებითი შედეგი უნდა მოეტანა.

მართლაც, როგორც ეს დღეისათვის ჩვენს ისტორიოგრაფიაში აღიარებულია, ქუჩუკ-კაინარჯის ტრაქტატის 23-ე მუხლს საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. „რუსეთი ამიერიდან ოფიციალურად გამოდიოდა საქართველოს ინტერესების დამცველად ამიერკავკასიაში და რუსეთის ამ უფლებას ოსმალეთი სცნობდა“*. ი. ცინცაძე, გარდა იმისა, რომ გამოთქმულ დებულებას მეცნიერულად ასაბუთებს, დამატებით შენიშნავს, რომ 23-ე მუხლი ნაწილობრივ მაინც გულისხმობდა იმერეთზე რუსეთის უფლების აღიარებას. „რუსეთის მთავრობას ამ უფლების გამოყენება მაშინ შეეძლო, როცა მისთვის ხელსაყრელი სიტუაცია დადგებოდა“ (გვ. 22).

ავტორი გზადაგზა ავსებს ქართული ისტორიოგრაფიის ხარვეზებს მე-18 ს. II ნახევრის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის გაშუქების საკითხებში. მის ნაშრომში ჩვენ ვპოულობთ დამაჯერებელ პასუხს კითხვებზე, თუ როგორ მოხდა, რომ რუსეთის სახელმწიფომ 1783 წელს ორი დიდმნიშვნელოვანი პრობლემა ასე უმტკიცვეულოდ გადაჭრა—თავის საზღვრებში მოაქცია ყირიმის ნახევარკუნძული და ქართლ-კახეთის სამეფო მფარველობაში აიყვანა. ამასთან დაკავშირებით ი. ცინცაძე საკვებით სამართლიანად იწყებს მსჯელობას ე. წ. „საბერძნეთის პროექტიდან“. ძველ-ბერძნული იმპერიის აღდგენისა და თურქეთის დანაწილება-დაპყრობის გეგმათა ფონზე საქართველო თვითმპყრობელური რუსეთის იმპერიისათვის პირდაპირ სანუკვარი იყო.

წიგნში კარგადაა ნაჩვენები, აგრეთვე, რუსეთ-ირანის ურთიერთობაში მომხდარი ცვლილებები მე-18 ს. 70-80-იან წლებში. ავტორი აღნიშნავს, რომ ამ დროს ეკატერინე II-ის იმპერიას „ბერძნული პროექტი“ ფართო მნიშვნელობით ესმოდა. გათვალისწინებული იყო ირანის შინაგანი სისუსტე და მისი დანაწილება-დაქვემდებარების გეგმებსაც ადგენდნენ. ერთი სიტყვით, რუსეთის ახლო-აღმოსავლური პოლიტიკა საქართველოს მეზობელი აგრესიული სახელმწიფოების წინააღმდეგ ფრთხილ იხსამდა. იგი პირდაპირ ეხმარებოდა ქართველი და სომეხი ხალხების საუკუნოვან ოცნებებს. „რუსეთის სამეფო კარზე,—წერს ი. ცინცაძე,—„საბერძნეთის პროექტთან“ დაკავშირებით „ახალი გეგმაც“ დამუშავდა. ირანის ხარჯზე ამიერკავკასიაში ორი ახალი ბუფერული სახელმწიფო უნდა შექმნილიყო (სომხეთი და ალბანეთი, მ. დ.), ხოლო უკვე არსებულისათვის—ქართლ-კახეთის სამეფოსათვის, არსებითი ხასიათის დახმარების აღმოჩენა იყო განზრახული. ეს ქრისტიანული სახელმწიფოები რუსეთის დასაყრდენი იქნებოდნენ ამიერკავკასიაში სპარსეთ-ინდოეთის სავაჭრო გზაზე“ (37).

წიგნში მოყვანილია საარქივო დოკუმენტები, საიდანაც ჩანს, რომ 80-იანი წლების დასაწყისში რუსეთის მთავრობა ქართლ-კახეთის სამეფოს გაძლიერება-გაფართოებაზე ფიქრობდა, რათა იგი, როგორც რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი და თანამებრძოლი, ოსმალეთ-ირანის საპირდაპიროდ ბუფერულ ძალად გადაქცეულიყო (42—43).

ნაშრომის II თავში ავტორი განიხილავს რუსეთზე ორიენტირების საკითხს ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო პოლიტიკაში მე-18 საუკუნეში. იგი მოკლედ მიმოიხილავს 1783 წ. ტრაქტატის წინა პერიოდის საქართველოს ურთიერთობას რუსეთთან. უფრო დაწვრილებით ჩერდება მე-18 ს. 70-იანი წლების შემდგომ ამბებზე. ამ დროიდან რუსეთით უფრო მეტი დაინტერესება, ავტორის სამართ-

* საქართველოს ისტორია, 1958, გვ. 360, აკად. ნ. ბერძენიშვილის ნაწილი.

ლიანი შენიშვნით, გამოწვეული იყო ქართველთა იმ სწორი შეგნებით, რომ რუსეთი აღმოსავლეთის საქმეებით არსებითად გატაცებული ძლიერი სახელმწიფო იყო, რომელთან მეტოქეობა თურქეთ-ირანს უკვე აღარ შეეძლოთ. „ქართველ დიპლომატებს შეეძლოთ ევარაუდნათ, რომ რუსეთის მფარველობაში ქართლ-კახეთის სამეფოს შესვლა შეუძლებელს არაფერს შეიცავდა. დამარცხებული თურქეთი საზავო ხელშეკრულების დადების დროს რუსეთს საქართველოს საკითხის გამო წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა. თუკი, რა თქმა უნდა, თვით რუსეთი ამას მოიწადინებდა“ (გვ. 56). ასე ფიქრობდნენ ქართველები 1768—1774 წწ. ომის დროს. ამის გამოხატულება იყო 1772—1773 წლების ელჩობა რუსეთში ქართლ-კახეთის სამეფოდან.

ავტორს კარგად აქვს გააზრებული ქართველი ელჩების მოთხოვნილებათა დედაზარი: რუსეთის სამხედრო დახმარებით საქართველო არა მარტო თავს დაცავს ირან-ოსმალეთისაგან, არამედ შეტევაზეც გადავა, დაიბრუნებს აგრესორთაგან მინატაცებ ქართულ მიწა-წყალს და ყოველივე ეს საბოლოო ანგარიშში რუსეთის სახელმწიფოს ახლო-აღმოსავლური ინტერესების რეალიზაციას გაუადვილებს.

ავტორის მიერ მოტანილი მასალებიდან ნათლად ჩანს, თუ რამდენად იყვნენ დაინტერესებული ქართველები რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური დახმარებით. ამასთან დაკავშირებით ირკვევა რუსეთ-საქართველოს ეკონომიური ურთიერთობის ზოგიერთი საყურადღებო დეტალი. რუსეთი საჭიროებდა აბრეშუმის ნედლეულს, კარგი ჯიშის ცხენებსა და ღვინოს. ქართლ-კახეთს სწორედ ასეთი საქონლის მიწოდება შეეძლო მისთვის. ერეკლეს სახელმწიფო „სარუსეთო ხარკსაც კი იღებდა ვალად, ოდონდ რუსეთს საქართველო თავის ისტორიულ საზღვრებში აღედგინა და მშვიდობა მიეცა მისთვის (76—77). „საქართველოს ისტორიული მიწების—სამცხე-საათაბაგოს, უფრო გარკვევით ახალციხის საფაშოს, და კახეთის დაკარგული (კაკ-ელისენი) ადგილების მტრისაგან განთავისუფლების საბაზლიოდ ფულად გადასახადსა და ყოველწლიურად ორას ფუთ აბრეშუმს სთავაზობენ ელჩები რუსეთის მეფეს“.

ქართველი ელჩები, როგორც ავტორი გვისაბუთებს, ცდილობდნენ რუსეთის დაინტერესებას არა მარტო ეკონომიური თვალსაზრისით, არამედ ახალი ტერიტორიების ხელში ჩაგდებითაც. გარდა იმისა, რაც რუსეთს საქართველოსათვის უნდა დაებრუნებინა, მას ქართველთა ძალების დახმარებით სხვისი ტერიტორიების მიტაცებაც შეეძლო, რაც უშუალოდ რუსეთის კუთვნილებაში გადადიოდა (82).

აღნიშნულიდან ჩანს, რომ ქართველი ელჩები კარგად ერკვევიან რუსეთის ცარიზმის სავარყო პოლიტიკაში, რომ იგი აღმოსავლეთში ახალი ტერიტორიების მიტაცებით იყო დაინტერესებული. მე-18 ს. 70-იანი წლებისათვის რუსეთის ცარიზმს ქართველ პოლიტიკოსთა დასაეჭვებლად არავითარი ნაბიჯი არ გაუდგამს, პირიქით, ეკატერინეს სახელმწიფოს ურთიერთობა საქართველოსთან ამ დროს გულწრფელობის იერს ინარჩუნებდა. ასეთი „გულწრფელობა“ დროისა და ვითარების შედეგად ნაკარნახევი იყო. ცარიზმმა ამჯერად საქართველოს მესვეურები ქუჩუკ-კაინარჯის საზავო ხელშეკრულების 23-ე მუხლით „დააკმაყოფილა“, ხოლო სხვა არსებითი სურვილების რეალიზაციაზე უარი უთხრა, რადგან ომი დასასრულს უახლოვდებოდა და რუსეთის შიგნით გლეხთა აჯანყებები მძვინვარებდა; ასეთ ვითარებაში ცარიზმს საქართველოს გამო სავარყო

ვითარების შემდგომი ვართულებისათვის არც ხალისი ჰქონდა და არც შესაძლებლობა. ავტორი აქ, როგორც ჩანს, თავს იკავებს შეაფასოს ის პერსპექტივი, რომელიც უნდა მოჰყოლოდა ქართველ ელჩთა გეგმების მიღებას რუსეთის ცარიზმის მიერ. ამ გეგმებს ეკატერინეს სახელმწიფო, საფიქრებელია, მომავლისათვის სდებდა.

ომში რუსეთის მხარეზე გამოსვლა ქართლ-კახეთს, მართალია, დიდ პერსპექტივებს უსახავდა, მაგრამ ოსმალეთთან ზავის დადების შემდეგ ეკატერინეს იმპერია საქართველოსათვის უკვე ის აღარ იყო, რაც ომის დროს. რუსეთის იმედით ერეკლეს მიერ „მტრად მოკიდებული“ ოსმალეთი ახლა ძველი ანაჰარიშების გასწორებას იწყებდა. ერეკლე ახლა ყოველივე ამას მწვავედ განიცდიდა — „საქმე საფიქრელად გავიხადეთო“, წერდა იგი გრაფ პანინს. საქართველოს ოსმალეთმა ახალციხის საფაშო და დაღისტანი აუშხედრა. ერეკლეს ცდები—მივიღო სესხი რუსეთიდან და ევროპიდან, რათა ჯარი დაეჭირავებინა და მოძალეულ აგრესიას გამკლავებოდა, უშედეგო აღმოჩნდა.

ასე გრძელდებოდა მანამდის, ვიდრე ზემოთ აღნიშნულმა „საბერძნეთის პროექტმა“ საქართველოსადმი რუსეთის ინტერესი არ გააძახვილა.

ნაშრომის მე-3 თავში განხილულია 1783 წ. ტრაქტატის გაფორმების წინაპირობები და მისი ძირითადი მხარეები.

ე. წ. „ბერძნული პროექტის“ განხორციელებისათვის სამზადისი უკარანახებდა რუსეთის დიპლომატიას, მჭიდრო კავშირი დაემყარებინა საქართველოსა და სომხეთთან. ახლა თვით რუსეთი ცდილობდა, რომ კავკასიელ ქრისტიანებში რუსეთის მფარველობის მიღების სურვილები აღედგა. ასეც მოხდა. 1782 წ. დეკემბერში ერეკლე მეორემ განმეორებით ითხოვა რუსეთის მფარველობა და იმპერატორს „სათხოვრის პუნქტები“ გაუგზავნა. ამ პუნქტებში ქართლ-კახეთის საშინაო-დინასტიური ბრძოლის ანარეკლიც კარგად მოჩანდა. მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს ავტორი, „რუსეთისათვის ყველაფერი არსებითად იმაზე იყო დამოკიდებული, თუ რა მომენტი დადგებოდა რუსეთ-ირანის და რუსეთ-თურქეთის ურთიერთობათა საკითხში და როგორ პოზიციას დაიჭერდა ამ დროს თბილისში მჯდომი ქართველი ხელისუფალი“ (96).

წიგნში კარგადაა ნაჩვენები ქართლ-კახეთის სამეფოს მიზნები და ამოცანები 1783 წლის ტრაქტატთან დაკავშირებით. ერეკლეს უმოთაგრესი მიზანი მშვიდობის მოპოვება და აგრესორთა მიერ მონატაცები ქართული მიწა-წყლის დაბრუნება იყო. თავის სამფარველო მოთხოვნებში ერეკლე ხაზს უსვამდა, რომ ამიერიდან საქართველოს სამტროდ ამხედრებულ თურქეთსა და ირანს საქმე რუსეთთან უნდა ჰქონოდა, საქართველო კი მოსალოდნელ ომებში რუსეთის მხარეზე გამოვიდოდა (გვ. 97); ამავე დროს ომის თუ ზავის შემთხვევაში საჭირო იყო სამცხე-საათაბაგოსა და საინგილოს განთავისუფლებისათვის ზრუნვა (98).

წიგნში ასხნილია, აგრეთვე, რუსეთის იმპერიის თვალსაზრისი საქართველოს მიმართ 1783 წ. ტრაქტატის ბრინცივებთან დაკავშირებით. იმ საერთო-პოლიტიკური ინტერესების გვერდით, რაც რუსეთს აღმოსავლეთსა და, კერძოდ, კავკასიაში ჰქონდა, ყურადღებას იპყრობს ზოგიერთი პერსპექტივული ხასიათის მომენტებიც, კერძოდ, ავტორმა აჩვენა, რომ იმპერიის დიპლომატებს არ მოსწონდათ საქართველოს კავშირი ევროპის კათოლიკურ სახელმწიფოებებთან და ასეთის აღკვეთაზე ფიქრობდნენ (104). ავტორს კარგად ესმის რუსეთის

სახელმწიფო კანცლერის მიერ 1783 წ. ტრაქტატის შესადგენად პოტიომკინისათვის მიცემულ მითითებათა დედააზრი. ეს მითითებები,—წერს ჩვენი ავტორი, „ერთის შეხედვით, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ თვითმპყრობელობა თითქოს ყოველგვარი ანგარების გარეშე ქართლ-კახეთის სამეფოს სურვილების შესასრულებლად განეწყო და საამისოდ ნაბიჯების გადასადგმელად მუშაობას შეუდგა. რა თქმა უნდა, ზედმეტია იმის მტკიცება, რომ მე-18 საუკუნის რუსეთის თვითმპყრობელური მთავრობა ქველმოქმედების პრინციპით არც ამ შემთხვევაში და არც სხვა შემთხვევაში არ იხელმძღვანელებდა“ (გვ. 101).

ავტორი, პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში, გვაძლევს 1783 წ. ტრაქტატის ოფიციალური და საიდუმლო მუხლების დეტალურ განხილვას. ნაშრომში ნაჩვენებია, თუ რანაირ ცვლილებებს იწვევდა ეს ხელშეკრულება ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში, საერთოდ, და, კერძოდ, მის საგარეო ურთიერთობაში.

ტრაქტატის ხასიათის განსაზღვრის საკითხში ავტორი არსებითად ეთანხმება ივ. ჯავახიშვილის დებულებას, რომ იგი „მფარველობით მოკავშირეობას“ წარმოადგენდა. „ტრაქტატი ფორმალურად მართლაც ხელშეკრულებაა ორ სახელმწიფოს შორის“ (127—129); ამავე დროს ეს „სამეგობრო“ „ქტი ერეკლე მეორის სახელმწიფოს საერთაშორისო უფლებებს ზღუდავდა და საგარეო პოლიტიკაში რუსეთის იმპერატორის სუვერენიტეტს აღიარებდა. ქართველი მეფის ტახტზე ასვლაც რუსეთის სამეფო კარისაგან დამოკიდებული გახდა. სამეფო სახლის ყოველი წევრი თვითმპყრობელობის დაზვერვის ობიექტი ჰდებოდა. საქართველო მეფის რუსეთის პროტექტორატის ქვეშ ექცეოდა. ამრიგად, ავტორის მსჯელობის ლოგიკური თანმიმდევრობა არსებითად გამორიცხავს „მოკავშირეობის“ ცნებას სამფარველო ტრაქტატის (პროტექტორატის შინაარსით) ვაგებაში. „მოკავშირეობა“ და „ხელშეკრულება“, როგორც ვხედავთ, აქ უფრო ფორმალური მნიშვნელობითაა ნახმარი.

სწორია ავტორის დასკვნა, რომ რუსეთის დიპლომატიამ 1783 წ. ტრაქტატი ოსტატურად გააფორმა. უცხო სახელმწიფოებს თითქოს არ ჰქონდათ საფუძველი ბრალი დაედოთ რუსეთისათვის, რომ მან საქართველო მიიტაცა. ასე გამოდიოდა, რომ ცარიზმმა თურქეთ-ირანის კლანჭებისაგან გამოიხსნა ქვეყანა. რომელსაც საკუთარი ძალებით ამის გაკეთება არ შეეძლო და მფარველობაში აიყვანა იგი. ყოველივე ეს ნებაყოფლობით, რაიმე ძალდატანების გარეშე, მოხდა (132—133). მიუხედავად ამისა ტრაქტატის საფუძველზე ქართლ-კახეთის სახელმწიფო რუსეთზე დამოკიდებული უნდა გამხდარიყო. თუ მცამო ვლენ ნათა შემდგომ ვითარებაში პროტექტორატი ვერ განხორციელდა: ქართლ-კახეთის სახელმწიფო არსებითად თავის პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ტრაქტატის შემდეგაც ინარჩუნებდა.

ტრაქტატის დეტალური განხილვით ცხადყოფილია, რომ ქართლ-კახეთის სამეფოს თავაკეები საკმაოდ წინდახედულად მოქმედებდნენ. ისინი კარგად ითვისებდნენ რუსეთთან ახალი დაკავშირების მოსალოდნელ შედეგებს, რომ მფარველობას უმალვე რეალური დახმარება უნდა მოჰყოლოდა. თორემ ქვეყანა მეზობელ აგრესორთა მსხვერპლი შეიქნებოდა (134). ომის შემთხვევაში რუსეთიდან „დაამხარე კორპუსის საქართველოში სასწრაფოდ გადმოყვანა, —

შენიშნავს ჩვენი ავტორი, — ერთი ძირითადი პირობათაგანი ყოფილა მოლაპარაკების დროს“ (135).

წიგნის 142—144 გვერდებზე ავტორი განიხილავს საკითხს თვითმპყრობელობის სადაზვერვო საქმიანობის შესახებ ქართლ-კახეთში. სწორადაა შენიშნული, რომ ცარიზმის ადგილობრივი აგენტურა ძირითადად ვაჭართა ფენებისაგან იკრიბებოდა.

საყურადღებოა ავტორის მიერ გამოვლენილი საარქივო მასალა გარსევან ჰვაჭავაძის ელჩობასთან დაკავშირებით დიპლომატური ურთიერთობის შესახებ. გარსევანი ერეკლესთან მიმოწერისათვის საიდუმლო ანბანს მოითხოვდა. ეს გარემოება შეუნიშნავი არ დარჩენია რუსეთის დაზვერვას. იღებდნენ ზომებს, რომ ხელში ჩაეგდოთ საქართველოდან მომავალი ფოსტა და სხვა (146—150). ყოველივე ეს, ავტორის სამართლიანი დასკვნით, იმაზე მიუთითებდა, „რომ 1783 წლის ტრაქტატის დადებამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის იდლია არ შეუქმნია და არც შეიძლებოდა ასეთი რამ, ყველაფერი ცივ ანკარიზიანობაზე იყო დამყარებული, ორივე მხარე ერთი მეორეს ზვერაავდა და საკუთარი ქვეყნის სარგებელს ეძებდა მეგობრობაში“ (151).

წიგნის მეოთხე თავში ავტორი არკვევს ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის სახელმწიფოების დამოკიდებულებას 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატისადმი. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის ისტორიაში ეს უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხი დღემდის არ გამხდარა სპეციალური კვლევის საგნად. ეს საკითხი საინტერესოა არა მარტო საკუთრივ საქართველოს ისტორიული წარსულის შესაცნობად. მას, შეიძლება ითქვას, მთელი ამიერკავკასიისა და წინა აზიის წარსულ პოლიტიკურ ცხოვრებაში საკმაოდ სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება.

როგორც ცნობილია, 1783 წ. ტრაქტატმა უპირველეს ყოვლისა ამიერკავკასიის სახანოები შეაშფოთა. ბევრი მათგანი რუსეთის მფარველობაში შესვლის გზით ფიქრობდა თავის გადარჩენას. რუსეთი თითქოს იწყებდა „ბერძნულ პროექტთან“ დაკავშირებული „ამიერკავკასიული გეგმის“ განხორციელებას — სომხური და ალბანური სახელმწიფოების აღდგენას. 1784 წ. რუსეთის სარდლობა საომარ თადარიგსაც შეუდგა; აზერბაიჯანისაკენ ლაშქრობა მზადდებოდა.

ავტორი ზოგადად აშუქებს ამ დროს ახლო აღმოსავლეთში შექმნილ ვითარებას. ნაჩვენებია, თუ როგორ ფიქრობდა რუსეთი, თავისი ინტერესებისათვის გამოყენებინა ირანი და თურქეთის წინააღმდეგ აემხედრებინა იგი.

ყველაზე უფრო მეტად შეშფოთებული იყო თურქეთი. ახალციხის საფაშო საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლის ბაზად იქცა. ევროპელი დიპლომატებიც თავის მხრივ თურქეთს რუსეთის წინააღმდეგ აქეზებდნენ. განსაკუთრებით აქტიურობდა საფრანგეთი, რომელსაც რუსეთის აქ გაბატონებით აღმოსავლეთის ბაზრების დაკარგვისა ეშინოდა. ევროპაში 1783 წ. ტრაქტატი განიხილებოდა, როგორც თვითმპყრობელობის დიპლომატიის ტრიუმფი აღმოსავლეთში (162). საფრანგეთი ცდილობდა შეეკრა კავშირი ირან-თურქეთთან რუსეთის წინააღმდეგ.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ვითარება უაღრესად გართულდა. თურქეთის აგენტები ხმებს ავრცელებდნენ, რომ რუსეთმა ერეკლეს ირანი ალუთქვა და წინააღმდეგობა თუ არ შეხვდა, ირანში შაჰად დაჯდებო. დადისტნულ

ფეოდალთა და მომთაბარეთა შემოსევები გახშირდა. ქართლ-კახეთი თავდაცვა-ზე გადავიდა. ქართველთა და რუსთა რაზმები ერთად ებრძოდნენ მოზღვავებულ თავდამსხმელებს (169). თურქეთი და მისი აგენტები საქართველოს დაწოკებით ცდილობდნენ იძულებული გაეხადათ ერეკლე, რათა მას რუსეთის მფარველობაზე უარი ეთქვა და საქართველოდან რუსთა მხედრობა გაეყვანა. სარეცენზიო წიგნში მოყვანილია მრავალი საგულისხმო ფაქტი. რომელსაც 1783 წ. ტრაქტატის პერსპექტივათა შეფასებაში არსებითი მნიშვნელობა აქვს.

მეზობელი პოლიტიკური ერთეულები ერეკლე მეორეს დაყინებით მოაგონებენ, რომ იგი მშვიდობას ვერ ეღიროება მანამდის, სანამ რუსეთთან კავშირს არ გაწყვეტს. ასეთი იყო ერეკლესადმი გილანის ხანის წერილის დედააზრი (171). ერზერუმის ფაშამ კი ეს უფრო ცხადად გამოთქვა (172).

აღნიშნულ ვითარებაში ერეკლეს სახელმწიფოს არ შეიძლებოდა, რომ სათანადო დასკვნები არ გამოეტანა და, კერძოდ, თურქეთთან ურთიერთობის მოგვარებაზე სერიოზულად არ ეფიქრა. წიგნში მოტანილი მასალებიდან ჩანს, რომ ქართველი დიპლომატები რუსეთთან მკიდრო ურთიერთობაში ქართლ-კახეთის გარშემო მოქმედ რეალურ ძალთა თანათარღობას ანგარიშს უწევდნენ და ვიდრე მფარველი სახელმწიფოსაგან ქვეყნის დასაცავად უფრო არსებითი ზომები არ იყო მიღებული, მეზობლებთან სამშვიდობო ურთიერთობაზედაც ბევრს ფიქრობდნენ.

სარეცენზიო წიგნში ნაჩვენებია, თუ როგორ შეაშფოთა თურქეთი 1783 წ. ტრაქტატმა, რომელიც რუსეთთან ახალი ომის უპირველეს საბაზად იქცა. თურქეთმა ულტიმატუმი წაუყენა რუსეთს და უწინარეს ყოვლისა ამ ტრაქტატის გაუქმება და ერეკლეს სულტანის ქვეშევრდომად ცნობა მოითხოვა (185). თურქეთის მიერ ომის დაწყება 1787 წ. რუსეთისათვის მოულოდნელი იყო. ეკატერინეს იმპერიას, რა თქმა უნდა, საქართველოს მომავალი ბედი არ აინტერესებდა. იგი ზღვს იღებდა საქართველოს მფარველობაზე იმ მიზნით, რომ დრო მოეგო და ომისათვის მომზადებულიყო. რუსეთმა, როგორც ავტორი შენიშნავს, 1783 წ. ტრაქტატი ნაადრევად გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნია და დაასკვნა, რომ სომხეთ-ალბანეთის სახელმწიფოების აღდგენა და საქართველოს დაცვა მაშინ მას ზიანის მეტს არაფერს შემატებდა (186). ვიდრე თურქეთის პრობლემა გადაწყვეტილი არ ყოფილა, რუსეთის მეფის მთავრობა თანდათანობით იღებდა ზღვს „ამიერკავკასიულ გეგმებზე“. ავტორი ასკვნის, რომ ეს დიდი საქმეები ინგლის-საფრანგეთის რუსეთთან მეტოქეობის გამო ჩაიშალა (187).

ავტორი ასაბუთებს, თუ როგორ თანდათანობით გამოეცალა ნიადაგი ე. წ. ბერძნული პროექტის განხორციელებას. „1783 წ. ტრაქტატიც იმ წლებში ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა“.

ომის დაწყების პირველსავე წელს ცარიზმმა საქართველოდან თავისი ჯარები გაიყვანა და მფარველობას მინდობილი ქვეყანა აგრესორთა პირისპირ მიატოვა. ეს იყო კავკასიის საქმეებიდან დროებით უკანდახევა. რუსეთი საბოლოოდ არ ეთხოვებოდა თავის გეგმებს.

1791 წ. დადებული იასის ზავით რუსეთი მაინც გამოექომაგა ქართლ-კახეთს. ზავის პირობით ერეკლეს სახელმწიფოს ახალციხის მხრიდან მოსვენება უნდა ჰქონოდა და ამაში თურქეთი აგებდა პასუხს. 1783 წ. ტრაქტატის შესახებ აქ ერთი სიტყვაც არ იყო ნათქვამი. ომში დამარცხებულ თურქეთს ახლა ქართლ-კახეთის თავი აღარ ჰქონდა და ის იმედი დარჩენოდა, რომ დღეს

თუ არა ხვალ ერეკლეს აღამაჰმადხანი მოიკითხავდა. რუსეთი ტრაქტატით ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად თავს აღარ იწუხებდა. თვითმპყრობელობა შესაფერის დროს მოელოდა „ამიერკავკასიის გეგმის“ განსახორციელებლად (192).

დასასრულ, წიგნს ერთვის ტრაქტატთან დაკავშირებული დოკუმენტები და თვით ტრაქტატის ქართული ტექსტი. გამოქვეყნებულ დოკუმენტთა გარკვეული ნაწილი პირველად ქვეყნდება და ავტორის მიერაა გამოვლენილი მოსკოვის სამხედრო არქივის ე. წ. „პოტიომკინის ფონდიდან“.

ასეთია პროფ. იასე ცინცაძის წიგნის მოკლე შინაარსი, მისი ამ ნაშრომის წვლილი ქართულ ისტორიოგრაფიაში, რომელიც ჩვენ ასე შეკუმშულად დავახსიათეთ.

სარეცენზიო მონოგრაფიას დადებითი მხარეების გვერდით ხარვეზებიც აქვს. ქვემოთ შევჩერდებით მხოლოდ უმთავრეს შენიშვნებზე.

*

* *

როგორც უკვე ითქვა, 1783 წ. ტრაქტატი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო ქართველი ხალხის ისტორიაში. საკითხის სირთულე განსახილველი წიგნის ავტორსაც კარგად მოეხსენება. ი. ცინცაძის მონოგრაფია, თანდართული საბუთების გამოკლებით, 192 გვერდს შეიცავს. ცხადია, რომ ავტორი ასეთ მოკლე გამოკვლევაში პრობლემის ყოველმხრივ გადაწყვეტას მიზნად ვერ დაისახავდა. იგი საკითხების ერთი რიგით უნდა შემოფარგლულიყო და ამის შესახებ წიგნის შესავალშივე უნდა ეცნობებინა მკითხველისათვის. წინასიტყვაობაში კი, პირიქით, ავტორი გულისწუხილს გამოთქვამს, რომ „1783 წლის ტრაქტატის წარმოშობის ისტორია დღეს ყოველმხრივ გაშუქებულად არ გამოიყურება და 1783 წლის შემდგომ მომხდარი რიგი მოვლენების მართებულობა ახსნაც არ მოგვეპოვება“ (გვ. 4).

ასეთი განცხადებით პატივცემული ავტორი ქმნის შთაბეჭდილებას, რომ თითქოს მას მიზნად დაესახოს ტრაქტატის ისტორიის ყოველმხრივი შესწავლა და მისი შემდგომი მოვლენების ბოლომდე გარკვევა. ფაქტიურად ავტორი 1783 წლის ტრაქტატისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში მხოლოდ ერთი რიგის საკითხებით იფარგლება.

ავტორს კარგად მოეხსენება, რომ 1783 წლის ტრაქტატი მხოლოდ მეფის რუსეთის იმპერიისათვის წარმომადგენდა საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის ერთ ეპიზოდს. საქართველოსათვის ეს ტრაქტატი არა მარტო საგარეო პოლიტიკის მოვლენაა, არამედ, უფრო მეტად, იგი ჩვენი ქვეყნის შინაგანი ისტორიის ერთი არსებითი ეპიზოდია, ნაკარნახევი გვიანფეოდალური წარსულის კრიტიკული შეფასების შედეგად.

საქართველოს რუსეთთან ურთიერთობის პრობლემა მე-15—16 საუკუნეებიდან ქართველი ხალხის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის, მისი არსებობის ძირეულ პრობლემებს დაუკავშირდა. მოძალეულ აგრესორთაგან თავდაცვა და მშვიდობიანი არსებობისათვის პირობების შექმნა, ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანება და ირან-ოსმალეთის მიერ მიტაცებული ქართული მიწა-წყლის დაბრუნება, სათავადოების ლიკვიდაცია და ეკონომიური განვითარებისათვის

ზრუნვა, სახელმწიფო-პოლიტიკური წყობილების გადახალისება, დროის მოთხოვნილების შესაბამისი რეფორმები და, საერთოდ, თავისთავადი ეროვნული განვითარებისათვის მტკიცე ნიადაგის შექმნა იყო ის უმთავრესი ამოცანა, რომლის გადაწყვეტა თავადურ საქართველოს საკუთარი ძალებით, საგარეო დახმარების გარეშე, არ შეეძლო. ამ ამოცანის დაძლევაში დახმარებას იგი რუსეთის თვითმპყრობელურ იმპერიას თხოვდა. ამიტომ ტრაქტატის წარმოშობის ისტორიის მკვლევარს, ბუნებრივია, უპირველეს ყოვლისა, მოეთხოვება აგვიხსნას, თუ რატომ მოხდა, რომ საქართველომ ყოველგვარი ძალდატანების გარეშე რუსეთის იმპერიის პოლიტიკური ჰეგემონია აღიარა და საბოლოოდ გავნიჭა ირან-თურქეთის სახელმწიფოებს.

კითხვის ასეთი დასმა, რა თქმა უნდა, ახალი არ არის. ჩვენს ისტორიოგრაფიაში ამ კითხვაზე პასუხი ზოგად დებულებათა სახით უკვე გაცემულია, მაგრამ როდესაც საქმე სპეციალურ მონოგრაფიასთან გვაქვს და ავტორი ტრაქტატის წარმოშობის ისტორიის გადასინჯვას ისახავს მიზნად, აღნიშნული საკითხის შესახებ დებულებათა გაზიარება, თუ სათანადო სისრულით დასაბუთება, ან კიდევ გაკრიტიკება (თუ ამას ავტორი მიზანშეწონილად დანახავდა) უდავოდ საჭირო იყო.

ერთი სიტყვით, განსახილველი მონოგრაფიის უმთავრეს ნაკლად ჩვენ ის მიგვაჩნია, რომ ავტორი 1783 წ. ტრაქტატს მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით განიხილავს. ჩვენ საკამათო არა გვექნებოდა რა, რომ ავტორს ამის შესახებ წინასიტყვაობაში მაინც ეთქვა და თავისი მონოგრაფიის კონკრეტული მიზნები შემოეფარგლა.

ამავე შენიშვნას უკავშირდება 1783 წ. ტრაქტატის ისტორიოგრაფიაც. ცნობილია, რომ ტრაქტატის გარშემო ბევრი რამ თქმულა როგორც ძველ, რევოლუციამდელ, ისე, ახალ, რევოლუციის შემდგომ, ისტორიოგრაფიაში. ანგარიშგასაწევი შენიშვნებია გამოთქმული არა მარტო ქართულსა და რუსულ საისტორიო მწერლობაში, არამედ თანამედროვე უცხოურ, ბურჟუაზიულ ისტორიოგრაფიაშიც. აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ ახლანდელი კაპიტალისტური საბჭაროს ზოგიერთი მეისტორიე ამკარად სცნობს საქართველოს რუსეთთან შეერთების პროგრესულ ეკონომიურ შედეგებს. ამავე დროს ისინი მოჭარბებულად ამუქებენ რუსეთის საგარეო-პოლიტიკური ურთიერთობის მთელ ისტორიას და საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიული თანამეგობრობის ფაქტებს უგულვებელყოფენ.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით რუსული და უცხოური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელთა მოსაზრებების განხილვას. უმთავრესი ჩვენთვის მაინც ისაა, რაც ქართულ ისტორიოგრაფიაში საქართველოს ისტორიის სპეციალისტთა მიერ ითქვა 1783 წ. ტრაქტატის შესახებ.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით ავტორს საკვლევად აღებული თემის შესახებ არსებულ მოსაზრებათა იმ შეფასებაში, რომელსაც მისი წიგნის წინასიტყვაობაში ვკითხულობთ. ტრაქტატის გამომწვევი სამი ძირითადი პირობის ჩამოვლა—„1. საქართველოს საშინაო და საგარეო მძიმე მდგომარეობა, 2. სპარსეთის დაუძლურება და 3. რუსეთის ინტერესები ირანში“—თითქმის არაფერს არ გვეუბნება ტრაქტატთან დაკავშირებული იმ ურთულესი ისტორიული მოვლენების ანალიზის შესახებ, რომელიც ჩვენს ისტორიოგრაფიაშია მოცემული.

წიგნში არაა არსებულ მოსაზრებათა კრიტიკა, ტრაქტატის მოწინააღმდეგეთა არ-
გუმენტიების განხილვა, მათი პერსპექტივული შეფასება.

ძნელია რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის საკითხებში გარ-
კვევია ისე, თუ მკვლევარს ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიისა და რუ-
სეთის ისტორიის საფუძვლიანი ცოდნა არ აქვს. პროფ. ი. ცინცაძე სწორედ
ასეთი ცოდნითაა შეიარაღებული. ამიტომაც მას განსაკუთრებით მოეთხოვებო-
და თავის კოლევართა ნააზრევის გათვალისწინება. სხვებს რომ თავი დავანებოთ,
საჭირო იყო საქართველოს ისტორიის ისეთი დიდი სპეციალისტის შენიშვნე-
ბის განხილვა, როგორც აკად. ნ. ბერძენიშვილია.

1954 წ. ჟურნალ „მნათობში“ (№ 6) გამოქვეყნებულ წერილში ნ. ბერძენი-
შვილმა 1783 წ. ტრაქტატი ფეოდალური საქართველოს საშინაო და საგარეო
ისტორიის მთლიანობის შეუქმნე შეაფასა.

„საქართველოში,—წერს ნ. ბერძენიშვილი,—პროგრესისა და რეაქციის
ძალთა გადამწყვეტი კიბილი იყო. ქვეყნის გამოსნა-აღდგომისა თუ დამონე-
ბის საქმე წყდებოდა. რეაქციის ძალებს მხარში ედგათ და აქტიურად ეხმარე-
ნოდნენ ოსმალეთი და ერანი. ასეთივე დამხმარე უნდა გაეჩინა პროგრესისა-
თვის მებრძოლ ძალებსაც... „პროგრესისათვის მებრძოლმა საქართველომ თავის
დახმარე (მფარველად) პროგრესული რუსეთი მოიწვია“. ასეთი პოლიტი-
კური კავშირი 1783 წ. განხორციელდა. „საქართველოს ისტორიაში ეს იყო
უთიოესი მნიშვნელობის პოლიტიკური აქტი“. საქართველო ოსმალურ-ყიზილ-
ბაშურ ჩამორჩენილობას გაემიჯნა და „გადაჭრით პირი მიიქცია პროგრესული
ჩრდილოეთისაკენ“. „არსებულ პირობებში ეს იყო საუკეთესო გამოსავალი,
რომელსაც ერთად ერთს შეეძლო ქვეყანა პროგრესის გზით... წაეყვანა“.
„მეორე მხრით, ეს აქტი იმის აღიარებაც იყო, რომ გარედან დახმარების გა-
რეშე, დამოუკიდებლად, საქართველოს ღონე არ შესწევდა დაემარცხებინა რე-
აქციის ძალები და უზრუნველყო ქვეყნის გამოსნა-აღდგომის საქმის გამარ-
ჯვება“ და სხვ. (დასახ. წერილი, გვ. 138—39).

ერთი სიტყვით, ტრაქტატის შესახებ მონოგრაფიის ავტორს საკმაოდ სა-
ღუძვლიანად უნდა ჩამოეყალიბებინა თავისი დამოკიდებულება უკვე ხსენე-
ბული და მისი მსგავსი მოსაზრებებისადმი; ეს მით უფრო საჭირო იყო, რომ
წამოყენებულ დებულებათაგან ბევრი ჯერ კიდევ სათანადო დოკუმენტური მა-
სალებით გამაგრებული არაა.

მაგალითად, 1783 წ. ტრაქტატის განხილვისას ერთი საკვანძო საკითხი—
შეეძლო თუ არა საქართველოს მე-18 ს. მეორე ნახევარში დამოუკიდებელი არ-
სებობა—ჯერ კიდევ მთელი სიგრძე-სიგანით გამოკვლევულად არ გამოიყურება,
მოუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ, ერთი შეხედვით, საკმაოდ დამაჯერებელი
მოსაზრებებია გამოთქმული. აკად. ნ. ბერძენიშვილი წერს: „დაჩიხული საქარ-
თველოს პოლიტიკური არსებობის „გარანტია“—ძველი ავრესორების—ერან-
ოსმალეთის—ჩამორჩენილობა იყო. მოწინავე ქვეყნების ქიშპში საქართველო,
როგორც პოლიტიკური ერთეული, ვერ გადარჩებოდა, თუ ის ამ დაჩიხულობი-
დან ვერ გამოვიდოდა. მას უნდა დიდი სოციალურ-პოლიტიკური ნახტომი განე-
ხორციელებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკური დამოუკიდებლობის
დაკარგვა მას არ ასცდებოდა“ (დასახ. წერ., გვ. 135). ამასთან დაკავშირებით
ისმის კითხვა—მართლაც იყო თუ არა უცილებელი „დიდი სოციალურ-პოლი-
ტიკური ნახტომი“ იმისათვის, რომ დამოუკიდებლობა შენარჩუნებულიყო? ან

კიდევ, თუ მართლაც ხსენებულ აგრესორთა ჩამორჩენილობა საქართველოს პოლიტიკური არსებობის „გარანტიას“ იძლეოდა, მაშინ იქნებ, დამოუკიდებლობის შენარჩუნების მიზნით, ქართველ თავკაცებს ამ „გარანტიის“ სათანადო შეფასება მოეთხოვებოდათ და თვითმპყრობელური იმპერიისადმი უფრო ფრთხილ პოლიტიკას უნდა დადგომოდნენ?

ი. ცინცაძის მონოგრაფიაში 1783 წ. ტრაქტატის პერსპექტივულ შეფასებას ნაკლები ყურადღება ეთმობა. ავტორი არსებითად ტრაქტატის წარმოშობის ისტორიის ფაქტობრივ მხარეს აქცევს ყურადღებას და მისგან დასკვნის გამოტანას უმეტეს შემთხვევაში მკითხველს მიანდობს.

ნაშრომში სათანადოდ ვერაა მხილებული მეფის რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის დედაზრი, კერძოდ, საქართველოსა და მთელი ამიერკავკასიის მიმართ. ავტორი, მართალია, ალაგ-ალაგ მიუთითებს ცარიზმის დამპყრობლურ პოლიტიკაზე, მაგრამ ამ მისამართით ერთგვარი თავშეკავება, არიდება იგრძნობა.

ნაშრომში „რანი არიან „ხალხის მეგობრები“ ლენინი წერდა, რომ მეფის თვითმპყრობელურმა სახელმწიფომ, „ევროპის ამ ჟანდარმმა, ყოველგვარი რეაქციის მუდმივმა და საიმედო დედაბოძმა“, „რუსი ხალხი ისეთ სამარცხვინო მდგომარეობამდე მიიყვანა, რომ მას, შინ დაბეჩავებულს, დასავლეთ ევროპის ერების დაჩაგვრის იარაღად იყენებდნენ“. ლენინი გამანადგურებლად აკრიტიკებდა მათ, ვინც კი ცდილობდა, რომ „ეს ჟანდარმი“ „ეკონომიური სოლიდარობის გამტარებლად“ დაეხატა (თხზ. ტ. 1, გვ. 305—306).

ამის შემდეგ რა გასაკვირია, და რა მოსარიდებელია, იმის თქმა, რომ რუსეთის ფეოდალური სახელმწიფო ყოველ ზომებს იხმარდა, რათა საქართველო და ქართველი ხალხი თავისი დამპყრობლური მიზნებისათვის იარაღად გამოეყენებინა.

სარეცენზიო წიგნში პეტრე პირველის ლაშქრობა ირანში მე-18 ს. 20-იან წლებში, მისი კავშირი ქართლის მეფესთან, რასაც საქართველოსათვის საბედისწერო შედეგი მოჰყვა, მხოლოდ რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის ისტორიის თვალსაზრისითაა შეფასებული. ავტორი შენიშნავს, რომ პეტრეს „სიმპათიური გეგმები“ საქართველოს მიმართ „არასიმპათიურად დასრულდაო“ (გვ. 7) და ანით კმაყოფილდება.

ავტორს კარგად მოეხსენება, რომ პეტრეს სახელმწიფომ ამ დროს საქართველო თავის დამპყრობელურ გეგმებში ჩაითრია და ბრძოლის ველზე მიატოვა იგი. იმპერია თავის სასარგებლოდ იყენებდა კავკასიელი ქრისტიანების სიმპათიებს რუსეთისადმი. სპარსეთში ლაშქრობის მომზადების წინ პეტრეს აგენტები კავკასიაში მხოლოდ იმისათვის ცდილობდნენ, რომ ვახტანგ მეფისაგან სამხედრო დახმარება მიეღოთ, საკუთრივ საქართველოს ინტერესები კი დავიწყებულა იყო.

სწორად არ გვეჩვენება ის მსჯელობა, რომელიც მოცემულია სსრ კავშირის ისტორიის მრავალტომეულში (მე-18 ს. პირვ. მეოთხედი, 1954 წ.); კერძოდ, „ლაშქრობა სპარსეთში“ პეტრეს დროს წარმოდგენილია როგორც თვითმპყრობელური რუსეთის იმპერიის შინაგანი ისტორიისათვის დამახასიათებელი კანონზომიერი მოვლენა (გვ. 606—607).

გარდა ამისა მრავალტომეულში, ამ დროის რუსეთ-ამიერკავკასიის ურთიერთობაზე საუბრისას, დავიწყებულია არსებითი და ხაზი ესმება მხოლოდ იმას,

რომ სომხეთ-საქართველოს მოღვაწეები აცხადებდნენ მზადყოფნას ეცნოთ რუსეთის უმადლესი ხელისუფლება (607). ქართველი და სომეხი ხალხების რუსეთთან ურთიერთობაში მთავარი ის კი არ იყო, რომ გარკვეულ ეტაპზე ავტონომია მიერ შევიწროებული ეს ხალხები რუსეთის დახმარების მიღების მიზნით რომანოვთა უმადლეს ხელისუფლებასაც კი სცნობდნენ, არამედ ის, რომ ეს დახმარება მათ მხოლოდ და მხოლოდ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის და არა რომანოვთა ვაზალთა მისთვის სურდებოდათ. ერთი სიტყვით, ავტორები იფიქრებენ ქართველი და სომეხი ხალხების დამოუკიდებელი ეროვნული ისტორიის თვალსაზრისს და ისე გვიხატავენ მოვლენებს, რომ თითქოს ამ ხალხებს ირან-თურქეთის უღლის გადავდება და რომანოვთა ბატონობის მოპოვება სურდათ. ეს სწორი არაა.

ფეოდალური ხანის რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში ყველა ფაქტი და მოვლენა ობიექტურად, ორივე მხარის ინტერესთა რეალიზაციის თვალსაზრისით, უნდა შეფასდეს. ჩვენთვის ძვირფასი და საყურადღებოა ფეოდალურ რუსეთთან ურთიერთობის მთელი ისტორია, მაგრამ ვანა ეს იმას ნიშნავს, რომ ამ ურთიერთობაში ყველაფერი ყოველთვის რიგზე იყო და არავითარ ანგარიშს აღვადგინო არ ჰქონია!

თვით პატივცემული ი. ცინცაძის მიერ ნაჩვენები მასალები ცხადყოფენ, რომ ცარიზმი მხოლოდ მაშინ დაეხმარებოდა საქართველოს, თუ ეს დახმარება ეკავასიაში მის ჰეგემონობას უზრუნველყოფდა, თვითმპყრობელური სახელმწიფო არ შეიძლებოდა დაინტერესებულყო საქართველოს გაძლიერებით, მის მიერ დამოუკიდებლობისათვის სტაბილური მდგომარეობის მოპოვებით. ამაზე ნათლად მიუთითებს საგარეო საქმეთა კოლეგიის წერილი კონსტანტინეპოლელი რეზიდენტისადმი (სარეც. წიგნი, გვ. 9—10).

საქართველოს „გაერთიანება-გაძლიერების“ თუ „განთავისუფლების“ ე. წ. გეგმები, რომლებიც თვითმპყრობელური სახელმწიფოს დამპყრობელ გეგმათა ფონზე მოჩანდა მხოლოდ, არსებითად იმპერიის საზღვრებისა და გავლენის გაფართოებას გულისხმობდა. სინამდვილეში ეს იყო მეფის რუსეთის დიპლომატიის ბრძოლა საქართველოს „გაერთიანებისათვის“ იმპერიის მფლობელობაში.

ავტორი არ იფიქრებს იმის აღნიშვნას, რომ თვითმპყრობელობა საქართველოს ინტერესებისათვის არ იშრომებდა, მაგრამ ამას თვითმპყრობელობის რეალური პოლიტიკის მხილება არ მოსდევს. ავტორის შენიშვნა—რუსეთის სახელმწიფოს ამიერკავკასიულ გეგმაში „არავითარი თვალთმაქცობა არ მოჩანსო“ (გვ. 44), რაღაც უნებლიე გამონათქვამს მიაგავს და ყალბ შთაბეჭდილებას ქმნის.

ავტორი სამართლიანად შენიშნავს, რომ რუსეთი ისეთი ჩამორჩენილი არ ყოფილა, როგორც ირანი და ოსმალეთი, რუსეთის სახელმწიფო შედარებით ცივილიზებული, ცენტრალიზებული, ძლიერი, ევროპულ კულტურას ნაზიარები და საქართველოსთან სარწმუნოებრივი ერთიანობით დაკავშირებული ქვეყანა იყო და მისი „ბატონობის ორბიტში მოქცევა“ შედარებით პროგრესულ შედეგებს მოიტანდა (გვ. 44). მაგრამ მსჯელობა დასრულებული არ იქნება თუ არ დავუმატებთ, რომ ცარიზმიც დამპყრობელი იყო და მის გეგმებს მოჰქონდა ამიერკავკასიის ხალხთა არა უბრალოდ „რუსეთის ორბიტში მოქცევა“, არამედ იმპერიის შემადგენლობაში მოსალოდნელი გათქვეფა. მიუ-

ხელდავად ამისა, საქართველოში მინც რუსეთის მფარველობისაკენ მისწრაფოდა. ქართველ პოლიტიკურ მოღვაწეებს ესმოდათ, თუ რამდენად მძიმე უნდა ყოფილიყო უცხო სახელმწიფოს პოლიტიკური ბატონობა, მაგრამ ისინი, რაკი სხვა გზა არ იყო, ორი ბოროტებისაგან უფრო ნაკლებ ბოროტებას არჩევდნენ, „უმცირესი ბოროტების“ გზით მიდიოდნენ. რუსეთის პროტექტორატის ქვეშ გადასვლა იმ ვითარებაში, რა თქმა უნდა, შედარებით უკეთესი გამოსავალი იყო. აქვე შეიძლება გავიხსენოთ ჩვენს ისტორიოგრაფიაში წინათ გაზიარებული. მაგრამ ახლა მივიწყებული დებულება, რომელსაც რატომღაც 1801 წ. აქტის შეფასებისას იხსენიებდნენ; სინამდვილეში იგი 1783 წ. ტრაქტატს გულისხმობს: „XVIII საუკუნის დამლევს... საქართველოს წინაშე იდგა ალტერნატივი—ან ჩაყლაპულ უნდა ყოფილიყო შაჰის სპარსეთის ან სულთანის თურქეთის მიერ, ან გადასულიყო რუსეთის პროტექტორატის ქვეშ... მეორე პერსპექტივა მინც უმცირესი ბოროტება იყო“ (ისტორიის შესწავლისათვის. კრებული. 1937 წ., გვ. 89).

ყოველივე აღნიშნული ავტორს კარგად მოეხსენება, მაგრამ იგი რუსეთის ფეოდალური სახელმწიფოს ამიერკავკასიული პოლიტიკის სრული ანალიზისაგან თავს იკავებს.

ქართველი თავკაცების გარდაუვალი კურსი რუსეთთან დაახლოებისაკენ, როგორც ცნობილია, ემყარებოდა თვითმპყრობელობის არა „კაცთმოყვარულ“ თვისებებს, არამედ მის ინტერესებს ახლო აღმოსავლეთში. ქართველი დიპლომატების აზრით, უეჭველად შეიძლებოდა მოგება იმ ბრძოლაში, რომელსაც რუსეთი ირან-ოსმალეთის წინააღმდეგ აწარმოებდა. სწორი იყვნენ ისინი, როდესაც დიდი სახელმწიფოების ამ ჭიდილში საქართველოს გაძლიერება-დამოუკიდებლობის მიზნით რუსეთის მხრეზე დგებოდნენ. ამავე დროს ქართული დიპლომატია უდაოდ შემცდარი იქნებოდა, რომ მას ცარიზმის დამპყრობლური ბუნება დაევიწყებინა. ამის შესახებაც მათ კარგად იცოდნენ. მაგრამ მთელი უბედურება სწორედ იმაში იყო, რომ მაშინ საქართველო ერთ მთლიანს არ წარმოადგენდა და ძლიერ სახელმწიფოთა შემოტევებისაგან თავდაცვის უნარი მას აღარ შესწევდა. გარედან დახმარების გარეშე საქართველოს საშინაო და საგარეო პრობლემების გადაწყვეტა ვერ ხერხდებოდა. დამპყრობლური სახელმწიფოს „დახმარება“ კი ქვეყანას უნებლიედ წაიყვანდა ასეთი დამხმარე ძალი-სადმი დამონების გზით.

სარეცენზიო ნაშრომში, ჩვენი აზრით, საჭირო სისრულით არაა მოცემული ქართული დიპლომატიის დახასიათება რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ თითქოს ეს დიპლომატია ძალზე უმწეო იყო და ჩვენი სახელმწიფო მოღვაწეები ბევრ რამეში ვერ ერკვეოდნენ. კერძოდ, მე-18 ს. 70—80-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით ბევრი საკითხი პასუხის გარეშე რჩება: ა) იცოდნენ თუ არა საქართველოში ე. წ. „ბერძნული პროექტის“ შესახებ და თუ იცოდნენ, როგორ აფასებდნენ მას, ბ) სვამდნენ თუ არა საკითხს ქართველი დიპლომატები იმის შესახებ, თუ რა მოელოდა რუსეთის გეგმებში ჩათრეულ საქართველოს, გ) ითვალისწინებდნენ თუ არა ქართველები მე-18 ს. 20-იან წლებში განცდილ მარცხს და სხვ.

ავტორის მოეხსენება, და ეს მის წიგნში ნაჩვენები ფაქტებიდანაც ჩანს, რომ საქართველოში მეფის რუსეთის სახელმწიფოს დამპყრობლურ ბუნებას კარ-

გად იცნობდნენ. ამიტომაც იყო, რომ ქართველი დიპლომატები რუსთ ხელმწიფეს ხშირად უსახავდნენ ახლო აღმოსავლეთში ახალი ტერიტორიების მიტაცების ადვილ გზებს (სარეც. წიგნი, გვ. 82).

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის შესახებ საუბრისას მკვლევარები ხშირად მიუთითებენ მათ ორმხრივ ინტერესებზე, როგორც ამ ურთიერთობის მტკიცე საფუძველზე. მაგრამ დავიწყებულია ორი სახელმწიფოს ინტერესთა ხასიათის არსებითი წინააღმდეგობა: სუსტი საქართველო ამ ურთიერთობაში საგარეო მტრებისაგან თავდაცვისა და დამოუკიდებლობის შენარჩუნების ინტერესებიდან გამომდინარე, თვითმპყრობელური იმპერია კი დამპყრობელური ინტერესებით აბამდა ამ ურთიერთობას. ინტერესთა ამგვარ სხვადასხვაობას ურთიერთობის მთელ სიგრძეზე ობიექტურად უნდა მოჰყოლოდა დროისა და გარემოების შესაბამისი ცვლილებები და გართულება, როდესაც სუსტი იჩაგრება, ხოლო ძლიერი მხოლოდ თავის საქმეს აკეთებს. ურთიერთობის ასეთი მხარეების ჩვენებას ავტორმა, როგორც ვხედავთ, თავი მოარიდა.

XVIII ს. ქართველ დიპლომატთა დახასიათება სრული არ იქნება, თუ არ გავრკვევთ მათი დამოკიდებულება მეფის რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკისადმი. მათ უნდა სცოდნოდათ და, როგორც ჩანს, იცოდნენ კიდევ, რომ დამპყრობლური სახელმწიფო, როდესაც მას სათანადო ხელსაყრელი სიტუაცია შეექმნებოდა, საქართველოსაც მტაცებლური თვლით შეხედავდა. სარეცენზიო ნაშრომში ავტორს უნდა აეხსნა, რომ ქართული დიპლომატიის ანგარიშები მაშინ შექმნილი ხელსაყრელი სიტუაციის გამოყენებას ემყარებოდა და არა ბრმა რწმენას ცარიზმის ე. წ. „განმათავისუფლებელი“ მისიისადმი*.

ქართულ დიპლომატიას, როგორც ჩანს, შესაძლებლად მიაჩნდა თავის სასარგებლოდ გამოყენებინა რუსეთის ახლოაღმოსავლური პოლიტიკა და ბევრ შემთხვევაში ასეთ კურსს მიღწევებიც ჰქონდა. ქართველი თავაკების დამოკიდებულება მფარველი იმპერიისადმი თავის ზასიათს შეიცვლიდა იმ შემთხვევაში, თუ მოვლენათა ვითარების შედეგად „მფარველი“ ჩვენს ქვეყანას სრული ჩაყლაპვით დაემუქრებოდა.

სწორად არ გვეჩვენება ავტორის დასკვნა, რომ ერეკლეს სახელმწიფოებრივი წყობილების ცენტრალიზაციისათვის „რუსეთის ხელმწიფის ჩვენს შინაურ საქმეებში ჩარევა მიაჩნდა საჭიროდ“ (გვ. 111). ტრაქტატის ტექსტიდან სხვა დასკვნა გამოდის (გვ. 121). ერეკლე ქართლ-კახეთის საშინაო საქმეებში რუსეთის ჩარევის წინააღმდეგი იყო. გავიხსენოთ, თუ როგორი რეაქცია გამოიწვია გენ. ტოტლებენის საქციელმა საქართველოში რუსეთ-ოსმალეთის 1768—74 წწ. ომის დროს. რუსეთისაგან ჯართა და ფულით დახმარების მიღების ცდები ისე არ უნდა გავივოთ, რომ თითქოს ერეკლე საშინაო სუვერენიტეტის

* სარეცენზიო წიგნის 186—187 გვერდებზე ავტორი ანგარებას ვერ ხედავს თვითმპყრობელობის ამიერკავკასიულ გეგმებში, აქ იგი იფიწყებს მის მიერვე ზემოთ (44 და 101 გვერდები) მოცემულ სწორ კვალიფიკაციას.

შერყევას აპირებდა. ვფიქრობთ, რომ ერეკლე 90-იან წლებშიაც რუსეთთან ურთიერთობაში საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის პრინციპებს არ თმობდა. იმპერატორის სუვერენიტეტის აღიარება (ფორმალური) მხოლოდ დახმარების მიღების მიზანს ემსახურებოდა.

• არა გვაქვს საფუძველი ვერწმუნოთ ზრემიერ-მაიორ ვერდერევსკის წერილს ვ. ზ უ ბ ო ვ ი ს ა დ მ ი (1796 წ.), რომ თითქოს ერეკლე სათავადოების მოსპობისა და სხვა საშინაო პრობლემების გადაჭრას რუსეთის იმპერატორს ანდობდა (გვ. 110). ეს წერილი დამპყრობლური იდეებით გამსჭვალული სამხედრო მოხელის ნაზრევს მიაგავს. ავტორი მას იმეორებს წიგნის 126-ე გვერდზედაც. ვფიქრობთ, ავტორი უფრო კრიტიკულად უნდა მოკიდებოდა აღნიშნულ ცნობას. რა თქმა უნდა, ერთი და იგივე არ შეიძლებოდა ყოფილიყო ერეკლეს ბრძანებლობით (ან დავით ბატონიშვილის მეთაურობით) რუსთა დამხმარე ჯარების გამოყენება სათავადოების სალიკვიდაციოდ და ამავე ჯარების გამოყენება საქართველოს შიგნით რუსეთის იმპერატორის სურვილთა შესაბამისად, თუნდაც იმავე სათავადოების წინააღმდეგ. ერთი სიტყვით, აქ არსებითი ისაა, თუ ვისი განკარგულების ქვეშ უნდა მოქცეულიყო ეს დამხმარე ძალა.

სარეცენზიო წიგნში, ჩვენი აზრით, შეიძლებოდა უფრო მეტი თქმულიყო იმ რთული სიტუაციის შესახებ, რომელიც 1783 წ. ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ ქართლ-კახეთში შეიქმნა. მართალია, ავტორი ასაბუთებს, რომ საქართველოში რუსთა ჯარის შემოყვანის შემდეგ ახლო აღმოსავლეთის აგრესიული სახელმწიფოები და მათი კავკასიელი ვასალები—მაჰმადიანური პოლიტიკური ერთეულები უშფოთდნენ, უმთავრესად თურქეთის მიერ ინსპირირებულმა თავდასხმებმა საქართველო მძიმე დღეში ჩააგდო და სხვა, მაგრამ ეს საკმარისი არაა.

როგორც წიგნის ბოლოში დართული, ისე სხვა საბუთები იძლევიან საფუძველს ვიფიქროთ, რომ 1785-1786 წლებში ქართველი თავკაცების წინაშე საგარეო ორიენტაციის გადასინჯვის საკითხი მწვავედ დგებოდა.

1785 წ. აგვისტოში გარსევან ჭავჭავაძე პოტიომკინისადმი წერილში ვრცლად ახასიათებდა იმ დიდ დანაკლისს, რაც საქართველომ ტრაქტატის გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში მიიღო (სარეც. წიგნში დართ. საბ., გვ. 244—246). ამავე წლის ნოემბერში იგივე გარსევანი წერდა: „თუმცა მამული ჩვენი სიმრგულივ მტრის პირში ყოფილა და ყოველთვის ბრძოლა არ დაუყოლიათ საქართველოზედ ოღონდ ამისთანა გაჭირება არას დროს არ მიუღიათ რომ შეთქმულობით უმტეროსთ, როგორც ახლა ოთხსავე მხარეს მტრობენ. როდესაც მათს უმადლესობას სანატრელს მეფეს თეიმურაზს, მამასა მათის სიმაღლის მეფე სერეკლეს, საქართველოს მეფობა მიუღია იმ უამიდან ვიდრე ამ უამომდე ამისთანა განსაცდელში საქართველო არ ყოფილა“ (გვ. 252).

1786 წ. 15 სექტემბერს თურქეთის ვეზირისადმი ერეკლეს მიერ გაგზავნილი წერილიდან ჩანს, რომ ერეკლეს შესაძლებლად მიაჩნდა 1783 წ. ტრაქტატისა და რუსეთ-ოსმალეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის ერთმანეთთან შეთავსება (გვ. 454—256). ერეკლე ახალციხის ფაშასთან სამშვიდობო ხელშეკრულებას აფორმებს და ვალად იღებს, რომ საქართველოში 3 თვის კაცზე მეტი რუსთა ჯარი არ შემოიყვანოს (256). ამავე თვის 22-ს ერეკლე პოტიომ-

კინს თხოვს, რომ გარსევან ჭავჭავაძე დაუყოვნებლივ გამოისტუმრონ საქართველოში (გვ. 257). ამაზე აღრე (1785 წ. ივნისში) გარსევანი ერეკლეს პირობით ანბანს სთხოვდა საიდუმლო ურთიერთობისათვის და რუსეთ-თურქეთს შორის მოსალოდნელი ომის შესახებ აუწყებდა (243).

როგორც ცნობილია, 1786 წ. 18 დეკემბერს მეფემ საგარეჯოში თათბირი მოიწვია. ეს თათბირი არსებითად ხომ საგარეო პოლიტიკის გადასინჯვას მიეძღვნა. ამ ფაქტმა გამოაშკარავა, რომ მიუხედავად ტრაქტატით ნაკისრი ვალდებულებისა, ერეკლე საგარეო სუვერენიტეტზე უარის თქმას არ აპირებდა. საგარეჯოს თათბირმა გადაწყვიტა თურქეთის წინადადების მიღება და მისთვის მძევლების მიცემა. ბურნაშოვმა და პოტიომკინმაც კი ვერ აიძულეს ერეკლე ხელი აეღო ამ გადაწყვეტილებაზე*.

ერეკლე 1786 წ. 26 დეკემბერს პოტიომკინისადმი გაგზავნილ წერილში არსებითად მხოლოდ აღნიშნავს მომხდარ ფაქტს—„ამჟამად ფაშას ორს თავადს ელჩად უგზავნიო“. „შეუძლებელია, რომ ამანათი არ მიესცეთ“ (სარეც. წიგნის ბოლოს დართ. საბ., გვ. 259, 260). ამის შემდეგ, რა თქმა უნდა, პოტიომკინის თანხმობას არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

აღნიშნული და სხვა ფაქტები იმაზე მიუთითებენ, რომ გაფორმებულ პროტექტორატი ვერ ხორციელდებოდა და ქართლ-კახეთის სახელმწიფო არსებითად ინარჩუნებდა თავის დამოუკიდებლობას. ამითაც შეიძლება ავსხნათ ის გარემოება, რომ 1783 წ. აქტის აღსანიშნავად ნარკვევებში მნიშვნელობას ხშირად ინარჩუნებენ ტერმინები — „ხელშეკრულება“, „სამეგობრო ტრაქტატი“, „მოკავშირეობა“. ერთი სიტყვით, ადგილი აქვს ფორმალური და ფაქტიური ვითარების სხვადასხვაობას მე-18 ს. 80-იანი წლების რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში.

საგარეო ორიენტაციის გადასინჯვის დროს გაცილებით უფრო მეტად უნდა გააქტიურებულიყვნენ ერეკლეს სამეფოს კარზე 1783 წ. ტრაქტატის მოწინააღმდეგე ელემენტები, რომელთა შესახებ ჩვენი ავტორი სამუწხაროდ არაფერს არ გვეუბნება. შექმნილ სიტუაციას მერყეობა ტრაქტატის ენერგიულ დამცველთა შორისაც უნდა შეექმნა. ეს გარემოება რამდენადმე ავტორის მიერ გამოქვეყნებულ ზემოთ უკვე შენიშნულ საბუთებშიაც მოჩანს.

ცნობილია, რომ მე-18 ს. 80-იან წლებში და მის შემდეგაც ერეკლეს მიერ გადაჭრით აღებულ კურსს რუსეთთან დაახლოებისაკენ ბევრი არ იზიარებდა. არსებობდნენ თურქოფილური და ირანოფილური ჯგუფები. საჭირო იყო მათი დახასიათება.

ვერ დავეთანხმებით ავტორს 1787 წ. ომთან დაკავშირებული საქართველოს ამბების კვალიფიკაციაში, ავტორი ფაქტიურად რუსეთის საგარეო-პოლიტიკური ისტორიის პოზიციებიდან იხილავს მომხდარ მოვლენებს.

ავტორი აღნიშნავს, რომ 1784—86 წლებში რუსეთის მთავრობამ, შეაფასა რა შექმნილი ვითარება თურქეთთან ურთიერთობის თვალსაზრისით, ამიერკავკასიის გეგმებზე ხელი აიღო, 1783 წ. ტრაქტატზეც უარი თქვა, იგი „ნაჩქარევად გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნია“ და 1787 წ. 29 აგვისტოს ბრძანების საფუძველზე

*) Бутков, мат., ч. 1, 191—193; Грамоты под ред. Чагарели, т. II, в. II, 59—60; Счерки ист. СССР, втор. пол. XVIII в., 5. ბერძენიშვილისა და ვ. დონდუას წერილი, გვ. 732.

საქართველოდან თავისი ჯარებიც გაიყვანა (გვ. 186—188). შექმნილ ვითარებაში საქართველოდან ჯარების გაყვანა ავტორს „ქართლ-კახეთის მტერთაგან დაცვის“ აქტად მიაჩნია; რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ამხედრებული მეზობლები დააშოშმინა და ჩვენს ქვეყანას მათთან ურთიერთობის მოგვარება ურჩიაო (გვ. 188, 189). ჩვენი აზრით, ისეთი შეფასება სწორი არაა.

რუსეთის თვითმპყრობელობისათვის ხომ აღრე ვახდა ცხადი ტრაქტატის შედეგები საქართველოსათვის. ქართველი ელჩის ყველა წერილი პოტიომკინისადმი ნათლად მეტყველებდა, რომ ქვეყანა მიძიმე განსაცდელში მოექცა და აუ მართლა ეკატერინეს მთავრობას საქართველოს „დაცვა“ აწუხებდა, მას ხომ აღრე შეეძლო აქეთ დამატებითი ჯარების გამოგზავნა, ან ამ ჯარების სრული გაყვანა მაჰმადიანური მეზობლების დასამშვიდებლად?—ყოველივე ეს არ მოხდა მაშინ, რადგან დამპყრობლური გეგმების განხორციელებაზე ფიქრობდნენ. ახლა კი (1787 წ.) ოსმალეთი რუსეთისათვის მოულოდნელად ომს იწყებდა. რუსეთისათვის ხელსაყრელი აღარ იყო არც 1783 წ. ტრაქტატი და არც მისი მხედრობის ყოფნა საქართველოში, რადგან ოსმალეთის წინააღმდეგ შეტევა ბალკანეთიდან მზადდებოდა. საქართველოს ინტერესებზე რომ ვინმეს ეფიქრა, ყველაზე უფრო არსებითი მაშინ აქ მყოფი ჯარების გაძლიერება იქნებოდა. მაშინ ერეკლე უეჭველად შეძლებდა სამცხე-საათაბაგოს დაბრუნებას...

საქართველოდან ჯარის გაყვანის „დასაბუთება“, რა თქმა უნდა, თვალთმაქცური იყო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ თითქმის ერთსა და იმავე დროს, აქედან ჯარის გაყვანასთან დაკავშირებით, ერეკლეს ურჩევდნენ ახალციხის ფაშასთან ურთიერთობის მოგვარებას და იმერეთის მეფესთან შეთანხმებით გაერთიანებული ძალებით თურქეთზე თავდასხმების მოწყობას. ამის შესახებ ცნობებზე თვით ავტორი მიუთითებს (გვ. 189). ერთი სიტყვით, ცარიზმს თავისი ჯარი იქით მიჰყავს, სადაც მას ესაჭიროება, საქართველოს კი „ურჩევს“, რომ „საკუთარი ინტერესებისათვის“ თურქეთზე თავდასხმები მოაწყოს და რუსეთს ბალკანეთში მოქმედება გაუადვილოს?! ასე „ავგარება“ თვითმპყრობელობა მიმდინარე ომში საქართველოს „დაცვის“ საქმეს.

რუსეთის ჯარების გაყვანით საქართველოს მეზობლების „დამშვიდება“ მხოლოდ მოჩვენებითი მანევრი იყო. ისინი ომის გამოსავალს მოელოდნენ. საქართველოს მდგომარეობა მაინც დამაბული რჩებოდა.

1787 წ. 7 ივლისის წერილით ერეკლე რუსეთს ჯარის მომატებას თხოვდა და დასძენდა, რომ დახმარების დაგვიანების შემთხვევაში მდგომარეობა გაცილებით უფრო გაუარსდებოდა. იგივე ერეკლე 22 სექტემბრს საყვადურის ტონით წერდა პოტიომკინს—ამდენი ხანია დახმარებას ვთხოვთ და არ გვაღირსეთო: „ამისთვის ყოველთა მტერთა ჩვენთაგან საცინელი ვიქმნებით, რამეთუ ვერ იხილეს უძლეველისაგან მფარველობისა განრინება ჩუჴნი განსაცდელთაგან და ამით მტერთბასა ზედა ჩუჴსნა უმეტესად კადნიერ იქმნენ“ (265—66). 1788 წ. 22 მაისის წერილით ელჩი თუმანიშვილი კვლავაც მოითხოვდა საქართველოში ბატალიონების გამოგზავნას (გვ. 267—67).

მონოგრაფიაში არ ჩანს პასუხი კითხვაზე, თუ რამდენად მარადიულად წარმოდგინათ ერეკლე მეორესა და მის მომხრე მოღვაწეებს მეფის რუსეთის წყარველობით დამოკიდებულებაში ყოფნა. ეს საკითხი ისმის იმიტომ, რომ ერეკლეს დროის ქართველ პოლიტიკოსებს კარგად ჰქონდათ წარმოდგენილი, თუ როგორ გავლენას ახდენდა, საერთოდ, უცხო ქვეყნის ბატონობა ამა თუ იმ

ქვეყანაზე. „ერი, დაცული გარეთთა უცხოთა ნათესავთაგან მფარველობითა, — ამბობდა ერეკლე უახლოესი თანამებრძოლი სოლომონ ლიონიძე. — არის მარადის დამდაბლებული“ (პ. იოსელიანი, ცხოვრება გიორგი მეცამეტისა, ა. გაწერელიას გამოც., გვ. 24). ამას ამბობდა ლიონიძე, რომელიც თვითონ იყო 1783 წ. ტრაქტატის ერთი მოღვაწეთაგანი, მაგრამ ლიონიძე, ისევე როგორც სხვა პროგრესული მოღვაწეები, თვლიდა რომ შექმნილი მდგომარეობიდან თავის დასაღწევად რუსეთის დახმარება იყო საჭირო, რათა საქართველო ჩინიდან გამოსულიყო და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი არსებობისათვის მტკიცე ნიადაგი შექმნა. მისი გაგებით, ეს უნდა ყოფილიყო ერთგვარი გარდამავალი საფეხური, რის შემდეგაც საქართველოს უცხო ქვეყნის მფარველობა აღარ დასჭირდებოდა და შეუდრეკელად დაადგებოდა თავისთავადი განვითარების გზას.

როგორც ვიცით, ქართველ მოღვაწეთა ასეთი დიდი ოცნება არ შეიძლება და განხორციელებულიყო ფეოდალური ტირანიის შავნელ ხანაში. ქართველმა ხალხმა დიდ რუს ხალხთან ერთად ბრძოლით დიადი ოქტომბრის რევოლუციის შედეგად შესძლო თავისუფალი და დამოუკიდებელი ცხოვრების მოპოვება.

ჩვენ მისწავნილად არ მიგვაჩნია 1783 წლის ტრაქტატის შესახებ მონოგრაფიის დასრულება 1791 წ. იასის ზავთან დაკავშირებული ამბებით. მონოგრაფიის ასეთი ქრონოლოგიური ჩარჩო მხოლოდ პირველ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. გასარკვევი რჩება დიდი პრობლემა — მფარველობითი ტრაქტატიდან 1801 წლის აქტზე გადასვლა. ბევრი რამ ამ მონაკვეთზე ჭერ კიდევ გაურკვეველია. ზოგი რამ დღეისათვის სადაოდ ისმის, კერძოდ, ინტერესს მოკლებული არაა საკითხი იმის შესახებ, შეეძლო თუ არა ქართლ-კახეთის სახელმწიფოს დიპლომატიური გზით აეცდინა 1795 წ. კატასტროფა?

საჭიროა დეტალურად შევისწავლოთ ურთიერთობა ერეკლე მეორესა და ირანს შორის განსაკუთრებით აღამაჰმადხანის ბატონობის დროს. მაგალითად, როგორც ვიცით, ირანის მფლობელი დაყინებით მოითხოვდა ერეკლესაგან 1783 წ. ტრაქტატის გაუქმებას და ირანის სუვერენიტეტის აღიარებას. იგი აქეთ მრისხანე, მუქარებით აღსავსე წერილებს გზავნიდა. აღამაჰმადხანის ელჩი ზიათ-ხან ხოელიც (?) ამასვე იმეორებდა; თითქოს ტახტის მემკვიდრე გიორგიც მზად იყო ირანში წასულიყო და მშვიდობა მოეპოვებინა, მაგრამ ერეკლემ ამ გზით ირანთან ზავის მოპოვება უარჰყო და ელჩი მკვახედ გაისტუმრა (პ. იოსელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 49).

ასეთი ფაქტებიდან ჩანს, რომ მაშინ შექმნილი სიტუაცია კრიტიკულ განხილვას მოითხოვს. გავისხენოთ საგარეჯოს თათბირი 1786 წ., როცა 1783 წ. ტრაქტატი ჭერ კიდევ ძალაში იყო. მაშინ ერეკლემ მძევლებიც კი გაგზავნა თურქეთში და მასთან ურთიერთობა მოაგვარა. ახლა კი, 90-იან წლებში, როდესაც 1783 წ. ტრაქტატი ცალმხრივი აქტით უკვე გაუქმებული იყო რუსეთის მიერ, ერეკლე კარზე მომდგარ დამპყრობელთან მშვიდობის გუნებაზეც კი არაა, პირიქით, მას აღიზიანებს...

ჩვენ ხომ კარგად ვიცით, თუ როგორ ჩინებულად მოაგვარა ერეკლემ ურთიერთობა ირანის ფაქტიურ გამგებელ ქერიმ-ხანთან მე-18 ს. 60-იან წლებში. ქერიმ-ხანის სუვერენიტეტის ფორმალურმა აღიარებამ, ხოლო ფაქტიურად და-

მოუკიდებელმა მოქმედებამ, ხელი შეუწყო ქართლისა და კახეთის ერთ სამეფოდ გაერთიანებას და განჯა-ერევნის ყმადნაფიცობის პირობაზე დამორჩილებას. მაშ, როგორ მოხდა, რომ ქართლ-კახეთის დიპლომატიებმა ამავე საუკუნის 90-იან წლებში აღამაჰმადხანთან ასეთივე მორიგებისათვის თითქოსდა რეალურად არსებული შესაძლებლობა ხელიდან გაუშვეს? გასარკვევია, მართლაც იყო თუ არა შექმნილი ასეთი შესაძლებლობა, რომ მომავალი კატასტროფა თავიდან აეცდინათ და რამდენადმე მაინც გაეხანგრძლივებინათ ქართული სახელმწიფოს არსებობა.

საჭიროა, აგრეთვე, კრიტიკულად განვიხილოთ პლატონ იოსელიანის გადმოცემები. გასარკვევია—გიორგი მეცამეტე რუსეთთან ურთიერთობაში შეიძლება ჩაგვეთვალოს ერეკლე მეორის პოლიტიკის გამგრძელებლად, როგორც ამას პ. იოსელიანი ფიქრობდა, თუ მათ შორის არსებით განსხვავებას ჰქონდა ადგილი. ყოველივე ეს და სხვა მრავალი მომავალი მეცნიერული მუშაობის საგანს წარმოადგენს.

ამით ვამთავრებთ ჩვენს ზოგად შენიშვნებს განსახილველ წიგნზე.

მიუხედავად რუსეთის ცარიზმის დამპყრობლური საგარეო პოლიტიკისა 1783 წ. მფარველობითი ტრაქტატი უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა იყო რუსეთისა და საქართველოს ისტორიაში. მან ობიექტურად ხელი შეუწყო რუსი და ქართველი ხალხების დაახლოებას, მათ გაერთიანებას საგარეო მტრებისა და საშინაო მჩაგვრელების წინააღმდეგ ბრძოლაში.

პროფ. ი. ცინცაძის წიგნის სახით ჩვენს ისტორიოგრაფიას უდაოდ კარგი გამოკვლევა შეემატა.

6. შენგელია

თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაყინშას ცნობები
ბიოგრაფიის სააკადის შესახებ

საქართველო-თურქეთის ისტორიული ურთიერთობის შესასწავლად, ქართულ წყაროებთან ერთად, დიდი მნიშვნელობა აქვს ოსმალურ წყაროებს. XV—XVIII სს. თურქულ საისტორიო თხზულებებში არა ერთი ცნობაა დაცული საქართველოს შესახებ. თურქი ისტორიკოსები მოგვითხრობენ პოლიტიკურ ამბებზე, ბრძოლის ეპიზოდებზე, ახასიათებენ ქართველ მეფეებს, ცნობილ ისტორიულ პირებს, აღწერენ ციხე-სიმაგრეებს, ეხებიან საქართველოს რომელიმე კუთხეს, მის ზნე-ჩვეულებებს, ენასა და სხვას.

თურქულ ისტორიოგრაფიაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს მუსტაფა ნაყინშას (1655—1716), რომელსაც შედგენილი აქვს ოსმალეთის ისტორია 1591 წლიდან ვიდრე 1659 წლამდე. მისი „ისტორია“ (تاریخ نایم) რამდენიმეჯერ გამოიცა ძველ თურქულ ენაზე სტამბოლში¹.

მუსტაფა ნაყინშა დაიბადა ალეპოში. იგი სულთნის კარზე სხვადასხვა თანამდებობას ასრულებდა. გავლენიან მოხელედ ყოფნის პერიოდში მან თავი გამოიჩინა, როგორც განათლებულმა და დაკვირვებულმა ადამიანმა. 1597 წ. ნაყინშა დაინიშნა ოფიციალურ ქამთაღმწერლად—კარის ისტორიკოსად („ვაკაი ნევისი“). ოფიციალური ისტორიკოსის მოვალეობის შესრულებისას იგი უხვად სარგებლობდა წინამორბედი ისტორიკოსების— ქაათიბ ჩელების (1609—1657), იბრაჰიმ ფეჩევანს (1574—1650) და სხვათა თხზულებებით. ეს ნათლად ჩანს ჩვენ მიერ შესრულებული თარგმანიდანაც. ნაყინშა იმოწმებს ფეჩევანს თხზულებას, მოაქვს ამ თურქი ისტორიკოსის თხზულებიდან სხვადასხვა ხასიათის ცნობები, უმთავრესად ირან-ოსმალეთის ომებთან დაკავშირებით. ამასთან მან იცის, რომ ფეჩევან გიორგი სააკადის ზოგიერთი ამბის თანადამზღურია და თვითმხილველი. იგი, მაგალითად, აღნიშნავს, რომ, როდესაც გიორგი სააკადის კაცები მოვიდნენ ხუსრევ ფაშასთან და სთხოვეს მას „საქართველოსა და შირვანის ქვეყნებში გალაშქრება“, ფეჩევანც ესწრებოდა ამ აუღენციასო. ამის შემდეგ ისტორიკოსს მოყავს მთელი გვერდი ფეჩევანს თხზულებიდან. ფეჩე-

¹ ნაყინშას შესახებ იხილეთ Fr. Babinger, Die Geschichtsschreiber der Osmanen und ihre Werke, ლეიფციგი, 1927, გვ. 245; EL III, გვ. 906; ს. ჯიქია. —ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, ვენიკის მოამბე, XIII, 1942, თბ., გვ. 206—207.

ვნს თხზულების ეს ადგილი, საქართველოს შესახებ არსებულ სხვა ცნობებთან ერთად, თარგმნილი აქვს პროფ. ს. ჯიქიას². ჩვენ ეს ფეჩევენს ისტორიიდან მოყვანილი ადგილიც ვთარგმნეთ.

მუსტაფა ნაყნმა იბრაჰიმ ფეჩევენს გარდა, იმოწმებს ქაათაბ ჩელე-ბისაც. მას, როგორც ოფიციალურ ისტორიკოსს, ხელი მიუწვდებოდა ყველა იმ თურქულ დოკუმენტურ მასალასა და ფირმანზე, რომლებიც ინახებოდა თორქეთის სახელმწიფო დაწესებულებებში.

ნაყნმა თავისი „ისტორიის“ შესავალში გამოთქვამს შეხედულებას ისტორიის დანიშნულებასა და მიზნებზე. მისი აზრით, ისტორია უნდა იყოს ზუსტი, მართალი და მოვლენების პირუთვნელად ამსახველი. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისტორიკოსი არ იყოს ტენდენციური ისტორიული მოვლენების აღწერისას და გადმოცემისას. მაგრამ, მიუხედავად ამისა. ნაყნმა გაცილებით ობიექტურად და სისრულით აღწერს ბევრ რამეს, ვიდრე მისი წინამორბედი ისტორიკოსები აღწერდნენ. მისი „ისტორია“ საუკეთესო წყაროდ ითვლება ოსმალეთის ისტორიისათვის. არანაკლები მნიშვნელობა აქვს მას საქართველოს ისტორიისთვისაც, რადგან „ისტორიის“ სხვადასხვა ადგილას უხვად არის გაბნეული ცნობები საქართველოს შესახებ. ზოგი მათგანი თარგმნილია ქართულად და განოქვეყნებულიც³; ზოგის თარგმნას ჩვენ შევეცადეთ. ჩვენ მიერ შესრულებული თარგმანი გადმოღებულია ნაყნმის „ისტორიის“ მეორე ტომიდან. „ისტორიაში“ ამბები მოთხრობილია ქრონოლოგიური თანმიმდევრობით, წლების მიხედვით. ჩვენ მიერ თარგმნილი ამბები გიორგი სააკაძის შესახებ ნაყნმის მოთხრობილი აქვს 1624—25 წლის ამბებთან დაკავშირებით, რაც პიჯრის 1034 წელს ხდება.

² ს. ჯიქია, იბრაჰიმ ფეჩევი საქართველოს შესახებ, ვენიკის მოამბე, V—VI, 1940, გვ. 369—389.

³ ს. ჯიქია, ცნობა დიდი მოურავის უკანასკნელი დღეების შესახებ ოსმალეთში, ვენიკის მოამბე, XIII, 1942, გვ. 206—217.

انہزام لشکر سرخسر در کورجستان

ყიზილბაშთა ლაშქრის
ღამარცხება საქართველოში

قديم ایامدن امرای کورجستان خاندان عثمانیانه انقیاد ایتمکله روافض عسکری تهرزندن مصون ایکن بعضیلر شاه حبله کارک مکر و خدیعهسندن غفلت ایدوب اول جانیه انقیاد و مدارا صورتنده الف و اتحاد کویستمکله نیجه معموره لری یغما و غارت و اموال و عیاللری موقع اسر و خسارتنده واقع اولوب شاهک روزبروز تعدی و تطاولی ازدیاد بولمغله زکم حاکمی طهمورث خان بونلرک اوضاع قبیحه لری ینه تحمل ایده میوب بر قاچ دفعه کور جستانه ضرر قصد یله کان خانلره قارشو چیقوب بوزمشیدی بو دفعه کارتیل حاکمی ماغراو خان و کورل و دادیان و آچق باش و قره قلغان ملکلری و سائر امرای کورجستان ایله یكدل اولوب استیلا کورجستان غزیمتی ایله کن قارچغای خان و عموما لشکر سرخسر ایله مقاتله یه عزیزت ایلدی مزبور ماغراو صورت اطاعتده شاه اردوسنده ایدی اوتوز بیك قدر قزلباش و نامدار خانلری قارچغای خانه قوشوب ماغراو خان ایله کورجستان غارتنه کوندرمشیدی مزبور دجی مخفیجه طهمورث خان ایله خبراشوب محل معبودلری که کورجستانه داخل اولمغجه بر تنک بوغازه وارلدقدده حاضر اولوب وقت معینده هجوم ایدهرز دیو اتفاق ایتمشیر ایدی و ماغراو کندو

ძველი დროიდან საქართველოს მთავრები ოსმალთა დინასტიის ემორჩილებოდნენ და ამდენად ისინი დაცული იყვნენ ყიზილბაშთა შემოსევებისაგან. ზოგიერთი მათგანი გაიძვერა შაჰის ვერაგობას და ცბიერებას უღარდელად ეკიდებოდა და ყიზილბაშთა მიმართ მორჩილებისა და მოჩვენებითი მეგობრობის სახით სიახლოვესა და კავშირს ამჟღავნებდა. ამასობაში ბევრი კეთილნამშენი ადგილი გაოხრდა. ყიზილბაშები მათ საქონელს იტაცებდნენ, ოჯახებს ატყუებდნენ და საერთოდ დიდ ზიანს აყენებდნენ. ამგვარად, რადგანაც შაჰის მტრობა და ავკაცობა თანდათან ძლიერდებოდა, ზაგემის მეფე თეიმურაზ ხანმა⁴ მათი საზიზლარი ზრახვები ვერ აიტანა და რამდენიმეჯერ საქართველოში ასაოხრებლად მოსულ ხანებს წინააღმდეგობა გაუწია და დაამარცხა. ამგვარად, ქართლის მფლობელი მოურაგ-ხანი, გურიელი, დადიანი, აჩიკ-ბაში⁵ და არაგვის ერისთავი გაერთიანდნენ, საქართველოს სხვა ერისთავებთან შეთანხმებულნი, საქართველოს დასაპყრობად მოსულ ყარაჩიღაი-ხანისა და სრულიად ყიზილბაშთა ლაქართან საბრძოლველად გამოვიდნენ. შემოსენებული მოურაგი შაჰის ლაშქარში იყო, როგორც მისადმი დაქვემდებარებული პირი. ოცდაათ ათასამდე ყიზილბაში და

⁴ კახეთის მეფე თეიმურაზ I (1605—1663).
⁵ იმერეთის მეფე იგულისხმება.

اتباعيله كبرويه قالوب لشكر سرخسر اول
 بوغازه كيروب غافل قوند قده هر كس
 كندو عالمنده كيمي خواب و راحت و
 كيمي عيشر و عشرت دمنده ايكن طاعلردن
 كورجى عسكرى ظهور ايدوب برونه
 ماغراو قارچفايه واروب نه طور رسن خانم
 ديوب اته بنديروب عسكروهه تنبيه اولسون
 بنوب امامه اولسونلر ديركن كورجى
 قيرمق نيجه اولور كورماعون قزلباش ديو
 النده كى مزارق ايله قارچفاى خانك
 قولتوغى التندن اوروب اول بر طرفدن
 يلمان كوستردى قارچفاى دخى هاى كافر
 شاهك چوركى سكا حرام اولسون ديهرك
 آتندن بيقلدى قارچفاى اوغلى انى كوروب
 هاى نيلدك بره شاه دشمنى ديو اوزرينه
 هجوم ايديجك قليج ايله چالوب انك دخى
 باشى ايله بر قولنى دوشردى لشكر سرخسر
 بر برينه كيروب ساير خانلر دخى نيه
 اوغرا دقلايرين ييلوب متحير طور لرلر كن كورجى
 بكلى يرير اوزرلرينه اوشوب بر مرتبه
 قيرديلر كه اوتوز بيك قزلباشدن اوچ
 بيك قزلباش كوجله قاچوب آت بويننه دو
 شمشكه شاه اردوسنه جان اتديلر كورجى
 دلاورلرى سبكار فراريلر اردنجه دوشوب
 قره باغ حدودينه وارنجه يتشدكلرى وراست
 كدكلرى قزلباشلرك كلهلرين خاكه غلطان
 ايتديلر جنكلرى اول وقت فجردن اخشا
 مهك متمادى اولوب بو قدر بيك نفوس
 ضابه قليچدن كچدى قارچفاى كندى و
 اوغلى و امير كونه خان و قازغان خان
 اوغلى و شروان خانى يوسف خان و محمد
 خان و سليمان خان و اون عدد ساطاتلرك
 باشلىرى كسيلوب ال يافتهلره صاريلوب
 سنجاقلرى و كره نايلرى و كوسلارى ايله
 التى يدى بيك باش و يكرمى قدر ديل
 سرداره كوندريلوب ماغراو اوغلى بعض
 كورجستان اعياينى ايله رمضانك يگرمى بر
 بجى كوني اردوى همايونه داخل اولديلر
 شهردن ذميلر سوريلوب باشلىرى برر اغانجه

სახელოვანი ხანები ყარჩილაი-ხანს შეუ-
 ერთდნენ და მოურავ-ხანთან ერთად სა-
 ქართველოს ასაოხრებლად გამოგზავ-
 ნეს. ზემოხსენებული (მოურავი) კი თე-
 იმურავ-ხანს საიდუმლოდ დაუკავშირდა
 და შეუთანხმდა, რომ, როდესაც ეს ლაშ-
 ქარი მიაღწევს გარკვეულ ადგილს, რო-
 მელიც საქართველოში შემავალი ვიწ-
 რო ხეობაა, მზად ვიყოთ და (ყიზილ-
 ბაშთა ლაშქარს) განსაზღვრულ დროს
 თავს დავესხათო. მოურავი თავისი ხელ-
 ქვეითებით უკან ჩამორჩა. ყიზილბაშ-
 თა ლაშქარი ამ ხეობაში შემოვიდა და
 უღარდელად დაბანაკდა. ყველა თავის
 ნებაზე იყო; ზოგს ეძინა და ისვენებდა,
 ზოგი კიდევ პურსა სჭამდა. სწორედ
 ამ დროს მთებში გამოჩნდა ქართველთა
 ლაშქარი. ამ დროს მოურავი ყარჩილაი-
 ხანს მივიარდა და უთხრა: „რას ვაჩერე-
 ბულხარ, ხანო, ჯარიც გაფრთხილდეს,
 ამხედრდეს და მზად იყოსო“. თვით ხა-
 ნი კი ცხენზე შესვა; შემდეგ კი (მოუ-
 რავი ამბობს): „აბა ნახე, თუ როგორ იქ-
 ნება ქართველების გაწყვეტა, შე წყაუ-
 ლო ყიზილბაშო“, ეს თქვა და თავისი
 შუბი ყარჩილაი-ხანს ღლიავ-ქვეშ დააძ-
 გერა ისე, რომ შუბი მეორე მხარეს ვა-
 მოვიდა. „ჰე, შე ვიპურო, არამი იყოს
 შენზე შაჰის პური!“—წამოიძახა ყარ-
 ჩილაი-ხანმა და ცხენიდან ჩამოვარდა.
 ყარჩილაი-ხანის შვილმა ეს რომ დაინა-
 ხა, „ჰეი, ეს რა ქენი, შე შაჰის მტეროო“
 —შესძახა და მოურავს ეძგერა. მოუ-
 რავმა ხმალი მოუქნია და მასაც თავი
 და ცალი მკლავი გააგდებინა. ყიზილ-
 ბაშთა ლაშქარი აირია. სხვა ხანებმაც
 არ იცოდნენ, თუ რა დაემართათ და ვა-
 როგნებული რომ იყვნენ, ქართველთა
 ბეგები მიცივდნენ და იმდენი დახო-
 ცეს, რომ ოცდაათი ათასი ყიზილბაშ-
 დან სამი ათასმა ყიზილბაშმა ძლივს
 უშველა თავს. ისინი მიცივდნენ ცხე-
 ნებს და შაჰის ლაშქარს მიაშურეს.
 ქართველი ვაჟაკები, გამარჯვებით გამხ-
 ნევებულნი, უკან დაედევნენ ყიზილბა-

ديكيلوب كوس و كره ناير ياه منكوس
اللو سردار اوطاشي او كندن كچروب بعد
اماسيه بكى محمد بك اياه در دولته
كوندرلدی.

შებს, ყარაბაღის საზღვრამდე სდიეს და კიდევ ბევრი ყიზილბაშის თავი გააგორეს მიწაზე. ბრძოლა განთიადიდან საღამომდე განუწყვეტლივ გრძელდებოდა. რამდენიმე ათასი ყიზილბაში წმლით იქნა აკუწული. თვითონ ყარჩი-ლაი-ხანს, მის შვილს ემირგუნენ-ხანს, კაზლან-ხანის შვილს, შირვანის ხანს იუსუფს, მაჰმედ-ხანს, სულეიმან-ხანს და ათ სულთანს თავი მოჭრეს, (მოჭრილი თავები) შეახვიეს; დროშებთან, ბუკებსა და დოღებთან ერთად ექვსი-შვიდი ათასი თავი და ოცამდე მოენე ტყვე სარდალს გაუგზავნეს. მოურავის შვილი საქართველოს ზოგიერთ წარჩინებულლებთან ერთად რამაზანის 21 დღეს⁶ სულთნის სამხედრო ბანაკში მოვიდა. დახოცილთა თავები ჯოხებზე წამოაცვეს. ბუკებითა და დოღებით და მტრის უკუღმა შეებრუნებული დროშებით სარდალის ყარავის წინაშე გაიარეს და შემდეგ ამასიის ბეგის მეჭმედის თანხლებით მოკლულთა თავები სტამბოლს გაგზავნეს.

ارسال عسكر بجانب كورجستان

ماغراوك مكتوب و عرضنده اكر بو جانبه
عسكر اسلام توجه ايدر سه فرستدر
عموما كنجه و قره باغ و شروان خلقى
دونوب اطاعت ايدر لر اردبيل سمتارى دخى
ضبط اولنورد خائر و سائر مهماته بو ير لر
مغنيدر ثقلت چكلمز قزلباش مملكتنه عظيم
رخنه و يريلوب چوق مصلحتلر كورديلر
ديو يازلمش ادملرى دخى اغزدن سوبوب
اقدام ايتديلر حافظ پاشا بغداد اوزريه
مأمور اولمغله اول سمته توجهي تجويز
ايتيموب صاغ و صول بلو كرندن ايكي
بيك قدر قول اوغلى يازيلوب اغلارى ايله
باتوم بكر بكيسى عمر پاشا كورجستانه
سرعسكر تعيين اولنوب بر مقدار يكيجرى
اياه قول اوغللرى سردار مزبوره كوندرلدی

ჯარის გაგზავნა სამართველმოსენ

მოურავის წერილსა და არხაში ნათქვამი იყო: „უკეთეს ისლამის ლაშქარი ამ მხარისაკენ გაემართება, ხელსაყრელი შემთხვევა, მთლიანად განჯის, ყარაბაღის და შირვანის მოსახლეობა ჩვენ დაგვიჭერს მხარს და დავემორჩილდება. არდებილის მხარეებსაც დავიკავებთ. ეს ადგილები მდიდარია პროვიანტითა და სხვა საჭურველთ. ამ მხრივ სიძნელეები არ შეიქმნება. ყიზილბაშთა ქვეყანას დიდ ზიანს მივაყენებთ. ბევრი კარგი საქმე გავკეთდება“. გარდა ამისა მისმა (მოურავის) კაცებმა სიტყვიერადაც მოახსენეს და დაბეჯითებით სთხოვეს. მაგრამ, რადგანაც ჰაფიზ ფაშას⁷ დავალებული ჰქონდა ბალდაღზე გალაშქრება, ამიტომ აქეთეენ გამგზავრებაზე უარი თქვა.

⁶ 1625 წლის 27 ივნისი.

⁷ ჰაფიზ-ფაშა—ოსმალეთის იმპერიის დიდ-ფეხიბი: რამდენიმეჯერ იქნა გადაყენებული. იყო დიარბექირის ბეგლარბეგი.

واول سر حدلرده اولان بکلره اوامر
 یازلدیکه امراء کورجستان ایله اتفاق ایدوب
 سردار اولطرفه وارنجه قزلباش مملکتنی
 یغما و غارت ایدملر قیناق حاکمی اسمی
 خانه دخی نامه کوندربلوب طاغستان عسکر
 یله اماده اولوب بر طرفدن قزلباش مملکتنی
 اورهسن دیو سپارش قلندی لکن بوسال او
 سمتده چندان مصلحت کورلمدی بچوبلی
 ایدر ماغراوک آدماری حافظ پاشایه کاوب
 کیدوب جواب شافی رجا ایتدیار بزی
 سعادتلو پادشاه بغداد فتحنه تعیین ایتمشدر
 بز کورجستان و شروان سمتلرینه مأور
 دکلز دیدی بن چوق اقدام ایلدم اولمدی
 مصلحت اوله جفنه یقینم یوقدر امور مجبو له یه
 صرف وقت ایله مهیم اولان خدمتزدن کیرو
 قالمق مناسب دکلدر دیدی سلاطین و وزیرای
 سلف موفق اولدقلری فتوحاته یقینلری
 وارمیدر سرداره لازم اولان ظن غالب ایله
 بر سمته عزم و توکلدر شمدی بغداده
 واروب فتح ایده چککزی یقینا بیلوریمسز
 دیدیکمه انشاء الله تعالی ظن غالبم اودر
 باکله هیچ شبهه یوقدر دیو جواب ویردی
 یکیچری اغاسی خسرو اغایه واروب سوبلد کده
 بز تابعیندن اولمغله اطاعتدن غیری کارمز
 یوقدر امر سرداره اتباعله مأوروز دیدی
 لکن خسرو اغا دروننده حافظک منصور
 اولدیغین استمز ایدی انکیچون بو سمته
 حرکته سعی ایتدی زیرا شاه عباس شاه
 اوله ای یوقدر طبانجه یممشیدی کورجستان
 طرفنه صرف مقدور اولنسه ظفر عظیم منصور

მარჯვენა და მარცხენა ბოლუქებია-
 დან⁸ ორ ათასამდე ყულის⁹ შვილები ჩა-
 წერეს და შეადგინეს ჯარი მათ აღაებ-
 თან ერთად. ბათუმის ბეგლარბეგი¹⁰
 ომერ-ფაშა დანიშნეს საქართველო-
 ში სერასქერად¹¹. ზემოხსენებულ
 სარდალთან გაიგზავნა აგრეთვე
 რამდენიმე იანიჩარი¹² და ყულის
 შვილები. გარდა ამისა მომიჯნავე
 საზღვარზე მობინადრე ბეგებს წერილო-
 ბით ებრძანათ, რომ საქართველოს მთავ-
 რებთან კავშირი დაამყარეთ და როდენ-
 საც სარდალი მანდ მოვა, ყიზილბაშთა
 ქვეყანა გაანადგურეთ და ააოხრეთო.
 კათაქის (ყარა-ყაიტაღის, დაღისტანშია,
 ნ. შ.) მფლობელის ისმი ხანის სახელზე-
 დაც გაგზავნილ იქნა წერილი—დაღისტ-
 ნის ჯართან ერთად მზად იყავით, რათა
 იქიდან თავს დაესხათ ყიზილბაშთა ქვე-
 ყანასო. მაგრამ ამ წელს იმ რაიონში რა-
 იმე მნიშვნელოვანი, კარგი საქმე არ
 გაკეთებულა. ფეჩევილი¹³ ამბობს, რომ
 „მოლუჩავის კაცები ჰაფიზ-ფაშასთან მო-
 ვიდნენ და ითხოვეს დადებითი პასუ-
 ხი ჩვენმა ბედნიერმა ფალიშაჰმა¹⁴ ბლ-
 დაღის აღება დაგვაწალა. ჩვენ საქარ-
 თველოსა და შირვანის ქვეყნებში ლაშ-
 ქრობა არ გვაქვს ნაბრძანებოო. მე ძა-
 ლიან დაბეჯითებით ველაპარაკე. მაგრამ
 არაფერი გამოვიდა. მე არ მგონია, რომ
 ამ საქმემ დადებითი შედეგი გამოიღო-
 სო. არ არის მიზანშეწონილი, რომ გაუ-
 რკვეველ საქმეზე დრო დავკარგოთ, ხო-
 ლო ჩვენი მნიშვნელოვანი ამოცანა კი
 უკან მოვიტოვოთ. განა ჩვენი ძველი

⁸ ბოლუქი—სასახლის ჯარის—სიფაჰიების ექვს დანაყოფთაგანი.

⁹ ყული—მონას ნიშნავს.

¹⁰ ბეგლარბეგი—სულთნის (მოადგილე) ნაცვალი, „ვილაიეთად“ წოდებული პროვინციის მმართველი.

¹¹ სერასქერი—ოსმალეთის იმპერიის სამხედრო ძალების მთავარსარდალი.

¹² იანიჩარი—ახალ ჯარს ნიშნავს თურქულად. იგი ოსმალეთის იმპერიის რეგულარული, დაქირავებული, ქვეითი ჯარია. პირველ ხანებში ამ ჯარის შესავსებად აგროვებდნენ ტყვე ქრისტიან ბავშვებს. შემდეგ ეს შერგოვება დაკანონებულ იქნა, როგორც სპეციალური გადასახადი ქრისტიანებზე („დეფშირმე“). ამ ბავშვებს (ასაკით 7—12 წლისას) სპეციალურად ათურქებდნენ და ამოვლიანებდნენ.

¹³ ფეჩევილი—იგივე ფეჩევი, თურქი ისტორიკოსი (1574—1650).

¹⁴ ივლისხანება თურქეთის სულთანი მურად IV (1623—1640).



ایدی اما کاتب چلبی فذلکه ده دیر که
حافظ پاشا یچویلی قولیله عامل اولوب اول
سمته عزیمت ایلمک بیحاصل ایدی ولایت
تخریبیله شاه بغدادی ویررمیدر فتح بغداد
ایله مامور ایکن سمت آخره کیدوب ظفر
حاصل اولمدیفی صورتده معاتب اولمزمی
ایدی ساقده سلطان سلیمان دخی نخجوانه
واروب حصوله کلن نتیجه تاریخلرده
مسطوردر کرچه حافظ پاشا بغداده وارمغه
برایش کورلمدی انجق عسکره تجریه
حاصل اولوب بغدادک سهولتله فتحی میسر
اولمیه جنی بلندی.

სულტნები და ვეზირები წინასწარ იყვ-
ნენ დარწმუნებული მოგებულნი ომების
წარმატებაში? მხედართმთავრისთვის სა-
ჭიროა გამარჯვებისადმი მისწრაფება და
ალაპისადმი მინდობა. განა თქვენ დანამ-
დვილებით იცით, რომ ბაღდადში გამგ-
ზავრებით, მისი ალებით მიზანს მიაღ-
წევთ-მეთქი?—გუთხარი. მან თქვა: მა-
ლაღმა ალაჰმა ინებოს, გამარჯვებაში
ღარწმუნებული ვარ, შეიძლება ეჭვი
არც ვიჭონიოთო. შემდეგ, როდესაც იე
იანიჩართა ალა¹⁵ ხუსრევ-ალასთან მი-
ვედი და ეს გუთხარი, მან მიპასუხა.
„რადგანაც ჩვენ ხელქვეითები ვართ,
ჩვენი საქმეა მორჩილება, ჩვენ ამჯე-
რად აბრძანები გვაქვს ავასრულოთ
სარდლის ბრძანებაო“. მაგრამ კაცმა
რომ თქვას, ხუსრევ-ალას არ უნდოდა
ჰაფიზის გამარჯვება. ამიტომ მან არ
მოინდომა აქეთვე გამგზავრება. შაჰ-აბ-
ასის შაჰობის შემდეგ მისგან ჰაფიზ-ფა-
შამ ბევრი უსიამოვნება იგემა. საქაო-
თველოს მიმართულებით ეს ლაშქრობა
რომ ჩატარებულყო, მოსალოდნელი
იყო დიდი გამარჯვება. მაგრამ ქათიბ-
ჩელების¹⁶ თავის „ფეხლექეში“ ამ-
ბობს, რომ ჰაფიზ-ფაშამ, ფეჩევილის
დაუჯერა და იმ მხარეში ლაშქრობის
ცდა უშედეგოდ დამთავრდა. ვილაი-
ეთის აოხრებით შაჰი განა ბაღდადს და-
თმობდა? ბაღდადის ალება რომ დავა-
ლებული ჰქონდა, ამ დროს სხვა ქვეყ-
ნაში წასვლა და წარუმატებლობა უჯ-
რო საბედისწერო არ იქნებოდა? ძველ
დროს სულთანი სულეიმანი¹⁷ ჩავიდა
ნახჩევანში და ამის შედეგები ისტო-
რიაში ცნობილია. თუმცა ჰაფიზ-ფაშას
ბაღდადში გამგზავრებით არაფერი გა-
კეთებულა, მაგრამ ჯარმა გამოცდილება
შეიძინა, ისიც გაირკვა, რომ ბაღდადის
ალება არც ისე ადვილი საქმეა.

¹⁵ იანიჩართა ალა—მთელი იანიჩართა ლაშქრის უმაღლესი მეთაური.

¹⁶ ქათიბ-ჩელები—თურქი ისტორიკოსი (1609—1657), რომელმაც დაგვიტოვა „ფეხლექედ“
წოდებული ოსმალეთის ისტორია. ამ ისტორიაში ამბები მოთხრობილა 1592 წ-დან 1654 წ-მდე.

¹⁷ სულთან-სულეიმანი—თურქეთის სულთანი (1520—1566). მის დროს ოსმალეთის იმპე-
რიაში მიაღწია ძლიერების მწვერვალს. მისი სულთნობის ხანა არის ოსმალეთის იმპერიის ძლი-
ერების დასასრულის დასაწყისი.

تفصیل حکایت کورجستان باسر خسران

სამართმელოსა და ყიზილბაშთა აზაპი

صاحب تاریخ بوقضیهی بو وجهه تحقیق
ایدر که بوندن اقدم دور سلطان احمد
خانیده ملوک کورجستان نسلندن اولوب
حسن و جمال ایله مشهور جهان و لطافت و
دلبریده نادر الاقران طهمورث نام کورجستان
بکرادسی که حسن رعنا ایله اول ممالکده
ولوله آرا اولمشیدی شاه عباس مزبورک بو
وجهله حسن و جمالی استماع ایتدکده
واسطه لر پیدا ایدوب بر طریق ایله صید
ایلیوب خدمتده پرورده قلمشیدی رتبه
کماله بالغ اولدقده طهمورث خان عنوانیله
تخت کاه کورجستان اولان زکم شهرینه
; صب ایلی بعده طهمورث شاه عجمه
مخالفت ایدوب وان بکر بکیسی اولان
تورکجه بلمز حسین پاشادن استمداد ایدوب
دجی امداد وصول بولمدین استعجال ایله
کورجستان لشکرین قالدیروب قزلباشله
دوقشوب چوق قتل و غارت ایدر شاه عباس
دخی کورجی بکلرندن ماغراو بک نام
أزناوره التقات ایدوب انک قوتی ایله طهمورث
خاندن انتقام الموق ایچون کورجستانه
لشکر چکدکده طهمورث اچیق باش نام
اولکاهی فرار ایدوب شاه عجم کورجستانی
قتل و غارت ایله خراب و اماکن و قری
خصوصا دار الملک کورجیان اولان زکم
شهرین هدم و احراق و بیاب ایدوب لشکر
عجم دوندکده شاه کندو اعوانندن پیکر
سلطان نام بر شخصی کورجستانه خان نصب
ایدوب عدالت و عمیر مملکت ایله تنبیه ایلدی
زکم خراب اولمغله پیکر سلطان دخی آب
فتق کنارنده کاحیص نام شهری تعمیر و
تحصین ایدوب قرار ایلدی و بذل عدالت
شویله ندا ایتدیکه شاه نیوردیفی بودرکه
هرکس مسکن و مزارعن تعمیر ایدوب
کسب و کاره مشغول اولوب تخمی اولمیلرله
خزیندن تخم اقراض اولنه بو وجهله اوج

მემატიანე ამ შემთხვევას ასე აგვი-
წერს: ამას წინათ სულთან აჰმედ-ხა-
ნის¹⁸ დროს საქართველოს მეფეთა ჩა-
მომავალი, სილამაზით განთქმული, საყ-
ვარელი და იშვიათი გულადობის კაც-
თავისი კეთილშობილებით ცნობილი—
თეიმურაზი იმ ქვეყანაში თავისი გარეგ-
ნობითა და წარმოსადგეობით დიდი
მითქმა-მოთქმის საგანი გამხდარიყო.
როდესაც შაჰ-აბასმა გაიგო მისი ეგზოპ-
სიმშვენიერე, მიაღწია იმას, რომ გულ-
მოებირებინა და თავის სამსახურში
ჩაეყენებინა; როდესაც თეიმურაზი
სრულწლოვანი გახდა, ხანის წოდებით
საქართველოს სატახტო ქალაქ ზაგემში
გაიზავნა. შემდეგ თეიმურაზმა სპარსე-
თის შაჰს წინააღმდეგობა გაუწია და
ვანის ბეგლარბეგის—თურქჩე ბილმეზ¹⁹
ჰუსეინ-ფაშისაგან დახმარება გამო-
ითხოვა. ჯერ კიდევ დამხმარე ძალების
მოსვლამდე სასწრაფოდ საქართველოს
ჯარი დასძრა, ყიზილბაშებს შეეჯახა,
ბევრი დახოცა და დიდი ზარალი მიყე-
ვნა. შაჰ-აბასმა²⁰ საქართველოს ერთ-
ერთი ბეგი—მოურავ-ბეგი, გაიერთვე-
ლა და მისი საშუალებით თეიმურაზ-
ხანზე შურის საძიებლად საქართველო-
ში დასწარი დასძრა. თეიმურაზი იმე-
რეთში გაიქცა. სპარსეთის შაჰმა საქარ-
თველო მოაოხრა. ადგილები, სოფლები
და განსაკუთრებით ქართველთა სამეფო
ქალაქი ზაგემი დაარბია და გადასწვა,
როდესაც სპარსთა დასწარი დაბრუნდა,
შაჰ-აბასმა თავისი ხელქვეითთაგანი,
ვინმე ფეიქარ-სულთანი, საქართველოში
ხანად დანიშნა და უბრძანა ქვეყნის აღ-
დგენა, სამართლიანობის დამყარება და-
ავალა. რადგანაც ზაგემი აოხრებული
იყო, ფეიქარ-სულთანმა მდინარე კანა-
კის (?) ნაპირის ქალაქი ქალხიზი (?)

¹⁸ აჰმედ-ხანი—თურქეთის სულთანი (1604—1617).
¹⁹ თურქჩე ბილმეზ—თურქულად თურქულის უცოდინარს ნიშნავს.
²⁰ შაჰ-აბასი—ირანის შაჰი (1587—1629).

بيل تمامه دك جميع تكاليف ديوانه دن معاف اوله لر بو آوازه ايله كوهودشته پراكنده اولان كورجى رعيايسى ينه جمعيت و عمارته آغار ايدوب مملكت معمور اولدى قزلباش خوقندن پنهان و كرزبان اولان كور جيلر ظهوره كلوب ضياع دوزتم كه مشغول اولدير و پيكر سلطانه جمله سى اطاعت ايتدير اما پيكر سلطان كورجيلر ك كترتندن انديشهيه دوشوب شاهه خبر كوندروب كورجيلر ينه جوغالدى شايد خروچ ايله لر حالا موجود اولان اون بيك قلدجه كلور كورجى جمع اولمشدر امر كندر ديدى شاه دخى قوريجى باشيسى سالف الذكر قارچغاي خان ايله بر قاچ بيك قزلباش و ماغراو بكى دخى اكا قوشوب قزالمق و مواصت نامه كورجستانه كوندروب ظاهر الحكم تنبيه ايدر كه ماغراو بك ايله مشاوره سز همج بر امره مباشرت ايتمه و تنبيه ايدر كه كندودن مخفى مكتوب و فرمانه منتظر اولوب موجبيله عامل اوله چون قارچغاي خان ايله ماغراو بك ديار كورجستانه وارر لر و اصدار فرمان ايدر لر كه پيكر سلطان اطاعتنده شاهه دوست اولنر فلان محله كلوب انعام اوله لر اون يىكى بيك كورجى جمعيت ايدوب محل مزبوره يوز طوتديار تاكه يو قلمه اولوب احسان الهلر و تمها كلن مكتوبنده شاه شويله يازمشكه سنكه قوريجى باشيسن كر كدر كه يوقلامه نامه جمع ايتدينگ كور جيلرى جمله قتل ايله سن ماغراوى بيله صاغ قوموب نه آل ايله اولورسه قتل ايدوسن ديمش بو مضمونده بر نامه يازوب رساننديه سپارش ايتمشكه بو نامه يى ماغراوه كوستر ميوب قارچغايه ويردكن نامه بر مواضع دن بى جبر قضيه يى بر عكس اكلابوب مكتوبى قوريجى باشى به كوستر ميوب ماغراو بكه ويرر ماغراو

ალადგინა, გაამაგრა და იქ დადგა. ფეიქარ-ხანი დიდ სამართლიანობას იჩენდა და ასე გამოაცხადა: შაჰის სურვილია, რომ ყველამ თავისი სახლი გაიკეთოს, ყანები დაამუშაოს და თავის საქმეს შეუდგესო, ვისაც თესლი არა აქვს, ხაზინიდან მიეცეს სესხად და სამი წლით ყველა სახელმწიფო გადასახადისაგან განთავისუფლდესო. ამ ამბავზე მთასა და ველში გაბნეული ქართველი გლეხობა კვლავ შეგროვდა და დაიწყო მოშენება. ქვეყანა გაშენდა. ყიზილბაშთა შიშით დამალული და გაქცეული ქართველები გამოჩნდნენ და ზარალის გამოსწორება დაიწყეს. ყველა ფეიქარ-სულთანს დაემორჩილა, მაგრამ ფეიქარ-სულთანნი ქართველების სიმრავლემ საგონებელში ჩააგდო. მან შაჰს აცნობა: ქართველები ისევ მომრავლდნენ და ლაშქრობის შემთხვევაში ათიათასი ხმლიანი ქართველი შეიძლება მოგროვდესო. ამაზე რა იქნება თქვენი ბრძანებაო? შაჰმაც ზემოთხსენებულთა კორუქი ბაში ყარჩილაი-ხანი²¹ და რამდენიმე ათასი ყიზილბაში, მოურავ-ბეგის თანხლებით, საქართველოში გააგზავნა ვითომდა ჯარების შესამოწმებლად. სხვების დასანახად ყარჩილაი-ხანს უბრძანა, რომ მოურავთან თათბირის გარეშე არცერთი საქმე არ დაიწყოს და გააფრთხილა, რომ ელოდოს მისგან (შაჰისგან) საიდუმლო წერილსა და ბრძანებას და იმოქმედოს მის შესაბამისად. ყარჩილაი-ხანი და მოურავ-ბეგი საქართველოში ჩამოვლენ და გამოსცემენ ბრძანებას, რომ ფეიქარ-სულთანის მორჩილებით შაჰთან კეთილად განწყობილი მოქალაქეები ამა და ამ ადგილს გამოცხადდნენ, რათა ჩატარდეს შემოწმება და გაიციეს საბოძვარიო. თორმეტი ათასი ქართველი შეგროვდა და დანიშნული ადგილი-

²¹ ყარჩილაი-ბაში — შაჰ-ბაბასის მიერ საქართველოში გამოგზავნილი ყიზილბაშთა ლაშქრის სარდალი.

اوقیوب احواله واقف اولدوقده اول یو قلمیه
 حاضر اولان اون ایکی بیك کورجی یه
 خبر کوندروب اعلام حال ایدر اول
 جاهلر اهتمال ویرمیوب اعتماد ایتمدیلر
 ماغراو دخی کورجیلرک اینانمدقلرین
 کوروب قضیهیی کتم ایدوب کوردم
 کارنیه منجر اولور دیو کندو عسکرین
 باشنه جمع ایدوب قارچفای جمعیتندن
 کیروده تیقط و اتبناه اوزه اولوب صبر
 ایلدی اتفاق پیکر سلطان دخی کور
 جیلری جمع ایدوب یوقلمیه کوندروب بر
 طاغ اردندن طولاشوب صحرايه چقدقلر
 نده قزلباش مهیا ایدی دربنددن طشره
 چیقانلری قلیچدن کچروب بوموال اوزره
 درت یوز قدر کورجی بی طمعه سیف
 ایتمدیلر بر قاچ پسماندلر کیرویه جان اتوب
 اعلام حال ایتمدکلرنده کورجیلر ماغراوی
 تصدیق ایدوب مضطرب قائد کلرنده مکر
 پیکر سلطان و قارچفای خان دجتمتع او
 لمشر ایدی بر و طرفدن کورجی سرورلر
 یله ماغراو خفیه خیرلشوب اتفاق ایدرلر که
 عالی الصباح جمهور ایله خانلری باصوب
 قزلباشلری قتل عام ایدلر کورجی دلاورلری
 عموماً مهیا اولوب عالی السحر ماغراو
 جانینه جمع اولورلر ماغراو دخی سوار
 اولوب نیزه سن الوب قارچفایک خیمه سنه
 واروب خانم نه طورسن طهورث کلدی
 باصدی دیو جواب ویردی اولدخی طشره
 چیقوب سوار اولدیغی کبی بو کلرندن اوروب
 قتل ایلدی تسکم ذکر اولمشدر قار
 چفای ملعون اردیبل وقعه سنده امت محمده
 ایتمدیکینک جزاسنی بولدی سیاق مذکور
 اوزره بوقدر خانلر نیچه بیك قزلباشله قتل
 اولندی بوندنصکره ماغراو بک استقلال
 دعواشن و کورجیان کندویه مطیع اولمق
 ایله شاهلق ادعاسن ایدوت بندء شاه ولایت
 ماغراو شاه دبو کندونامنه سکه قازدردی و
 من العجایب که مسلمان اولمزدن اول
 رافضی شعارین اتخاذ ایلدی شاه عجم بو

საკენ გემართა, საიღუმლოდ მოსულ
 წერილში შაჰი ასე წერდა: „შენ რომ
 კორუჯიბაში ხარ, გმართვეს დათვალი-
 ერების მიზნით შეგროვილი ქართველუ-
 ბი მთლიანად ამოხოცო. მოურავიც
 არ გაუშვა ცოცხალი. რაც არ უნდა და-
 გიჯდეს, უნდა მოკლა“. ასეთი შინაარ-
 სის წერილი დაწერა და შიკრიკს დაა-
 ვალა, რომ ეს წერილი მოურავს არ აჩ-
 ვენოს, ყარჩილაი-ხანს მისცეს. მაგრამ
 შიკრიკმა ამ საიღუმლო შეთანხმებაზე
 არაფერი იცოდა და ეს საქმე უკუღმა
 გაიგო. წერილი კორუჯი ბაშის კი არა,
 მოურავ-ბეგს მისცა. როდესაც მოურავ-
 მა ეს წერილი წაიკითხა და ვითარებას
 გაეცნო, დასათვალისწინებლად მომზადე-
 ბულ თორმეტი ათას ქართველს ყველა-
 ფერი შეატყობინა. ქართველებს ასეთი
 რამე ვერ წარმოედგინათ და არც დაი-
 ჯერეს. მოურავმა როცა დაინახა, რომ
 ქართველებს ვერ დააჯერებდა, ეს საქ-
 მე დაფარა, ვნახოთ რა მოხდებოდა. მან
 ჯარი შემოიკრიბა და ყარჩილაი-ხანის
 ზურგს უკან ფეხზლად და ფრთხილად
 იყო. შემთხვევით ფეიქარ-სულთანმაც
 ქართველები შეკრიბა დასათვალისწინებ-
 ლად. ისინი მთის ხეობებიდან ველზე
 გამოვიდნენ. ყიზილბაშები მზად იყე-
 ნენ: ხეობიდან გამოსული ქართველები
 ხმლით აკუწვენ. ამგვარად, ოთხასამდე
 ქართველი დახოცეს. რამდენიმე ჩამორ-
 ჩენილი უკან გამოიქცა და ეს ამ-
 ბავი რომ მოიტანეს, ქართველები მოუ-
 რავის სიმართლეში დარწმუნდნენ. შე-
 წუხდნენ. თურმე ფეიქარ-სულთანი და
 ყარჩილაი-ხანი შეთქმულან. ახლა კი
 ქართველ მეომრებს მოურავი საიღუმ-
 ლოდ შეუთანხმდა, რომ დილით ყი-
 ზილბაშებს თავს დასხმოდნენ და ამოე-
 ხოცათ. ქართველი მეომრები მოემზად-
 ნენ და დილაადრიან მოურავთან შეგ-
 როდნენ. მოურავიც ამხედრდა, აიღო
 შუბი და მივიარდა ყარჩილაი-ხანის ყა-
 რავთან:—ხანო, რას გაჩერებულხარ, თე-
 იმურაზი მოვიდა, თავს დაგვესხაო“. ყარ-

و قعه دن خبیر اولدقدہ قوریجی باشی ایتدیکی
 اسحق خانى امیر کونه خان ایله نیجه بیگ
 روافض خونخوار قوشوب ماغراو اوزرینه
 کوندردی ماغراو دخی لشکر انبوه ایله
 مقابله و حرب ایدوب بو جنگده امیر
 کونهنک قولنه زخم تیغ ایله سیب ایریشوب
 ائدن بیقلدقدہ کورجیلردن درت نفر ازناور
 مرقومک باشین المغه مساباقت ایتدکارنده امیر
 کونهنک میراخوری که بر جوان بهادر ایدی
 کلوب اول درت ازناور ایله جنکه طوروب
 برین قتل و اوچنی زخمناک ایدوب امیر
 کونه خانی قولتقلیوب آته بندیریوب
 قورتاردی اما دیارینه واردقدہ امیر گونه اول
 زخمندن خلاص بولمیوب هلاک اولمشدر بو
 وقعه ده ده خى قزلباش عسکری عظیم قلیچ ییوب
 سرعسکر ایله قتی آز لشکری خلاص
 بولدی بوندنصکره ماغراو مملکت بر دعه
 لشکر چکوب قتل و غارت ایدوب کنجه
 شهرینی آتسه یاقوب دونوب کورجستان
 طرفینه مراجعت ایلدی مکر طهمورت
 قزلباش خوفندن آواره اولوب قارص
 سمترندہ کرتردی بو دفعه ماغراو سببی ایله
 کورجیلرک انتصارین خبر الدی و ییلوردی
 که ماغراو نسل ملو کندن اولما مغله پادشاهلق
 اکا مقرر اولمیه جقدر اتباعن جمع ایدوب
 تختگاه اصلسی اولان زکم شهرین عمارت
 ایدوب پادشاهلفه قعود ایلدی کورجیلر انی
 ایشد کلرندہ اصلی ملک زاده اولدوغی چون
 اعتبار ایدوب ائدن طرفه میل ایتدی لر یانته کروه
 کروه وارغه باشلدیلر ماغراو دخی دور
 اندیش کیمسه اولمقله قزلباشدن اغتنام اولنان
 اشیادن برقاچ آت و تحف مقوله سندن
 طهمورته کوندروب اهدا ایدوب و نامه
 یازوب تعظیم ایله انقیاد صورتن کوستردی
 اما کندونک قابل هضم دکل ایدوکن ملا
 حظه ایتمکله معنا طهمورت خاندن مستشعر
 اولوب خواص و توابعیندن بر کروه

ჩილაი-ხანი კარავიდან გარეთ გამოვი-
 და და როგორც კი ცხენზე შევდა, მოუ-
 რავმა მას გვერდში შუბი აძგერა და მო-
 კლა, როგორც ეს უკვე ზემოთ ვთქვით.
 წყევულმა ყარჩილაი-ხანმა აქ იზლო სა-
 მაგიერო იმისა, რაც მან არღებლის
 ლაშქრობაში მამადის ჯამათს უყო.
 ამრიგად, ამდენი ხანი და ამდენი ათასი
 ყიზილბაში ამოხოცილ იქნა. ამის შემ-
 დგე მოურავმა დამოუკიდებლობისა და
 საქართველოს შაჰობის პრეტენზია გამო-
 აცხადა. მან ფული მოაჭრევენა თავის
 სახელზე ასეთი წარწერით: მონა სიწ-
 მინდის მეფისა მოურავ-შაჰი (და საოცა-
 რია, რომ ისლამის აღიარებამდე მან
 რაფიზილიკთა სექტის²² სარწმუნოება
 მიიღო). როდესაც სპარსეთის შაჰმა ეს
 ამბავი გაიგო, კორუჯი-ბაშად დანიშნა
 ისპაკ-ხანი, ემირგუნე ხანთან ერთად
 რამდენიმე ათასი რაფიზილი სისხლის-
 მსმელი აახლა და მოურავის წინააღ-
 მდეგ გამოაგზავნა. მოურავმაც შაჰის ამ
 ურდოს წინააღმდეგობა გაუწია და
 ბრძოლაში ემირგუნე შუბით დასჭრა
 მკლავში. ემირგუნე ცხენიდან რომ
 გადმოვარდა, თავის მოსაკვეთად ოთხი
 ქართველი აზნაური ეკვეთა. ემირგუნეს
 მირახორი, ახალგაზრდა მეომარი იმ
 ოთხ აზნაურს შეებრძოლა, ერთი მოკლა
 და სამი დასჭრა, ემირგუნე ხანს ხელი
 გაუყარა, ცხენზე შესვა და იხსნა; მაგ-
 რამ თავის ქვეყანაში რომ ჩავიდა, ემირ-
 გუნე-ხანი იმ ჭრილობიდან მაინც ვერ
 განიკურნა და მოკვდა. ამ ბრძოლაშიც
 ყიზილბაშის ჯარმა დიდი ზარალი განი-
 ცადა და მთავარსარდალთან ერთად
 მხოლოდ ცოტამ თუ უშველა თავს. ამის
 შემდეგ მოურავი ბარდას ქვეყანას შეე-
 სია და ააოხრა, ქალაქი განჯა ცეცხლს
 მისცა და საქართველოსკენ იბრუნა პი-
 რი. ყიზილბაშის შიშით თეიმურაზი თუ-
 რმე გაქცეულიყო და ყარსის მიდამოებ-
 ში დაძრწოდა. ახლა მან მიიღო ცნობა

²² რაფიზილიკი—არაბულად ნიშნავს მართლმორწმუნე მოძღვრებისაგან განდჯომას. მწვა-
 ლებლობას. ისლამის შიიტური სექტის მიმდევრებს უწოდებდნენ ოსმალები.

ازناور لر ايله دياررومه فرار ايدوب دولت
عليه عمانيه ماتجى اولوب سردار حافظ
احمد پاشاي اول سمته كتورمكه تحريص
ايتدى.

ქართველების გამარჯვების შესახებ მო-
ურავის მეოხებით. მან იცოდა, რომ მო-
ურავი მეფეთა ჩამომავალი არ იყო და
ამდენად მეფობა მისთვის არ იყო შეა-
ფერი. მან შეკრიბა თავისი ხელქვეითე-
ბი, თავისი სატახტო ქალაქი ზაგემი აღა-
დგინა და სამეფო ტახტზე დაჯდა. ეს
რომ ქართველებმა გაიგეს, პატივი სცეს
და მას მიემხრნენ, როგორც მეფის მემ-
კვიდრეს. მასთან მივიდნენ ჯგუფ-ჯგუ-
ფად. მაგრამ მოურავი შორსმჭვრეტე-
ლი ვინმე იყო. ყიზილბაშთა ნადავლი-
დან რამდენიმე ცხენი და ძვირფასი ნიე-
თები თეიმურაზს გაუგზავნა და ძღვნად
მიართვა. მანვე დაწერა წერილი და მო-
წიწებით მორჩილება გამოუცხადა. ამა-
ვე დროს მან ისიც გაითვალისწინა, რომ
თეიმურაზი არ აპატიებდა და განზრახ
თეიმურაზ-ხანს დაუტყბა. ცოტა ხნის
შემდეგ თავისი წარჩინებულებითა და
ხელქვეით აზნაურთა ჯგუფით რუმის²³
ქვეყანაში გაიქცა და ოსმალთა სახელ-
მწიფოს შეაფარა თავი. მან განიზრახა,
სარდალი ჰაფიზ-აჰმედ-ფაშა მაგ ქვეყა-
ნაში (საქართველოში—ნ. შ.) წაეყვანა
ჯარებით“.

(გვ. 345—352)

²³ რუმის ქვეყანა—ოსმალეთი.

მ რ ო ნ ი ძ ა

1960 წლის 10 მაისს ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტის ფეოდალური ხანის განყოფილების დია სხდომაზე მოეწყო პროფ. ი. ცინცაძის წიგნის — „1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი“ — განხილვა. სხდომას ესწრებოდნენ ისტორიის ინსტიტუტისა და სხვა სამეცნიერო დაწესებულებათა თანამშრომლები.

მოსხენება გააკეთა საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის განყოფილების გამგემ, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. მ. დუმბაძემ.

1783 წ. რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულების წარმოშობა, — ამბობს მომხსენებელი, — ფეოდალური ხანის საქართველოს ისტორიის ერთი ურთულესი საკითხთაგანია. იგი არა მარტო საგარეო-პოლიტიკურ ურთიერთობათა ისტორიის ფართო ციკლს ეკუთვნის, არამედ სოციალურ-ეკონომიური და პოლიტიკური ისტორიის ძირეულ პრობლემებს უკავშირდება. ამიტომ არის, — დასძენს მ. დუმბაძე, — რომ სარეცენზიო მონოგრაფია საქართველოს ისტორიის სპეციალისტებისა და ფართო მკითხველი მასების გულისხმიერი ყურადღების საგანი ხდება.

მომხსენებელი დაწვრილებით განიხილავს წიგნს — თავების მიხედვით. იგი აღნიშნავს, რომ ბევრ საკითხს ავტორი სწორად აფასებს (რუსეთ-ირანის ურთიერთობაში მე-18 ს. 70-80-იან წწ. მომხდარი ცვლილებები, ქართლ-კახეთის სამეფოს მიზნები და ამოცანები 1783 წ. ტრაქტატთან დაკავშირებით, რუსეთის დამოკიდებულება ქართლ-კახეთთან იმავე ტრაქტატთან დაკავშირებით და სხვ.), ახლებურად ხსნის მათ (ქუჩუკ-კაინარჯის ზავის 23-ე მუხლის ანალიზი), ავსებს ქართული ისტორიოგრაფიის ხარვეზებს (XVIII ს. II ნახევრის საგარეო პოლიტიკური ურთიერთობის გაშუქების საკითხები, საბერძნეთის პროექტის მნიშვნელობა, ახლო აღმოსავლეთისა და ევროპის სახელმწიფოთა დამოკიდებულება ტრაქტატისადმი). ავტორი პირველად ჩვენს ისტორიოგრაფიაში გვაძლევს 1783 წ. ტრაქტატის ოფიციალური და საიდუმლო მუხლების დეტალურ განხილვას. იგი არსებითად ეთანხმება ივ. ჯავახიშვილის დებულებას, რომ ტრაქტატი „მფარველობით ხელშეკრულებას“ წარმოადგენდა, თუმცა პროფ. ი. ცინცაძისეული ანალიზის ლოგიკა გამოიციხავს „მოკავშირეობის“ ცნებას. „მოკავშირეობა“ და „ხელშეკრულება“ აქ უფრო ფორმალური მნიშვნელობით არიან ნახშირი. მომხსენებელი გადადის ნაკლოვან მხარეთა აღნიშვნაზე.

განსახილველი ნაშრომის ძირითად ნაკლად მ. დუმბაძეს ის მიაჩნია, რომ ავტორი 1783 წ. ტრაქტატს მხოლოდ საგარეო-პოლიტიკური ისტორიის თვალსაზრისით განიხილავს და არ ეხება იმ ღრმა ფესვებს, რომლებიც საქართველოს საშინაო და საგარეო მდგომარეობის ისტორიაში უნდა მოინახოს და რომელთაც განაპირობებს ამ ტრაქტატის დადება.

მომხსენებლის აზრით, ნაწრომში სათანადოდ ვერ არის მხილებული მეფის რუსეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკის დედააზრი, კერძოდ, საქართველოსი და მთელი ამიერკავკასიის მიმართ. ამასთან დაკავშირებით მომხსენებელი აკრიტიკებს სსრკ ისტორიის მრავალტომეულის ავტორებს, რომლებიც ისე გვიხატავენ მოვლენებს, თითქოს ქართველ და სომეხ ხალხებს ირან-თურქეთის უღლის გადაადგება და დამოუკიდებელი არსებობის მიღწევა კი არ სურდათ მხოლოდ, არამედ ამ უღლის რომანოვთა ბატონობით შეცვლა. მ. დუმბაძე თვლის, რომ ავტორს მოეთხოვებოდა ამ ასპექტით ყურადღების მეტი გამახვილება, რუსეთის ფეოდალური სახელმწიფოს ამიერკავკასიული პოლიტიკის სრული ანალიზი.

ასევე, მისი აზრით, საჭირო სისრულით არ არის მოცემული ქართული დიპლომატიის დახასიათება რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში, მომხსენებელი არ მიიჩნევს საკმარის ავტორის მიერ 1783 წლის შემდგომი პერიოდის გაშუქებას. მას არ მიაჩნია გამართლებულად წიგნის 1791 წ. იასის ზავით დამთავრება. იგი აყენებს მთელ რიგ საკითხებს, რომელთაც, მისი აზრით, უნდა შეხებოდა ავტორი*

პროფ. ი. ცინცაძის განსახილველი ნაწრომი, — ამბობს ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი ნ. ნაკაშიძე (ისტორიის ინსტიტუტი), — თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ იმ გამოკვლევათა რიცხვს, რომლებიც გარკვეულად წინ სწევენ საქართველოს ისტორიის ამ უმნიშვნელოვანესსა და ისტორიოგრაფიაში სუსტად წარმოდგენილი საკითხების შესწავლის საქმეს. მის დიდ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ე. წ. პოტიომკინის არქივიდან გადმოღებული საბუთების გამოკვეყნება.

ნ. ნაკაშიძე აკეთებს რამდენიმე შენიშვნას წიგნის მიმართ. მისი აზრით, რამდენადაც ნაწრომში კარგად არის განხილული კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს საკითხი რუსეთ-თურქეთის ურთიერთობის ასპექტში, დამაჯერებლად არის გადმოცემული „საბერძნეთის პროექტის“ ადგილი და გავლენა რუსეთის ახლოაღმოსავლეთის პოლიტიკაზე, იმდენად არადაამაკმაყოფილებლადაა წარმოდგენილი რუსეთ-ირანის ურთიერთობა საქართველოსთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. ამ შენიშვნის გათვალისწინება შეავსებდა და გამართლებდა თავის სათაურს (საქართველოს საკითხი რუსეთის საგარეო პოლიტიკაში მე-18 ს-ში).

მოკამათის აზრით, არ არის გამართლებული XVI-XVIII საუკუნეებში რუსეთის ამიერკავკასიული პოლიტიკის ერთგვაროვნად მიჩნევა.

ავტორის სამართლიანი თქმით, „ერეკლე II-ეს, როგორც კახეთის მეფეს, რუსეთის სახელმწიფოსაგან მფარველობის სათხოვნელად ისტორიული და იურიდიული საფუძველი ჰქონდა“. სამწუხაროდ, პროფ. ი. ცინცაძე მხოლოდ იურიდიული წიაღსვლით კმაყოფილდება და საკითხის ისტორიას არ უთმობს შესაფერ ადგილს.

ასევე საჭირო იყო, ნ. ნაკაშიძის აზრით, ალექსანდრე ბაქარის-ძის როლის შესახებ ისტორიოგრაფიაში (ბუტკოვი, თ. ჟორდანია, ი. ლორთქიფანიძე, გ. აკოფაშვილი) გამოთქმულ მოსაზრებათა გათვალისწინება. მეტი სიფრთხილით უნდა მოკიდებოდა მკვლევარი იაკობ რეინგის პიროვნებისა და მოღვაწეობის შეფასებასაც.

* მ. დუმბაძის მოხსენების სრული ტექსტი ქვეყნდება ამავე გამოცემაში.

ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი შ. ხანთაძე (საქ. სახ. მუზეუმი) შრომას ორ ნაწილად ყოფს — გამოკვლევად და საბუთების კრებულად. იგი აღნიშნავს, რომ წიგნი, რომელიც მრავალწლიანი გეგმაზომიერი მუშაობის ნაყოფია, უდავოდ მნიშვნელოვანი და სასარგებლოა. გამოქვეყნებული საბუთების მიმართ იგი გამოთქვამს სურვილს, რომ გამოცემული ყოფილიყო ტრაქტატის რუსული ტექსტიც; დას. საქართველოს შესახებ დაბეჭდილ საბუთებს ამ წიგნში იგი უადგილოდ მიიჩნევს; დამატებით პუნქტების ამ სახით გამოცემა მას მიზანშეწონილად არ მიაჩნია, რადგან ზოგჯერ (მეფის კურთხევის საკითხი და სხვ.) შეუსაბამობას აქვს ადგილი.

გამოკვლევის მიმართ მოკამათე აღნიშნავს, რომ ტრაქტატის მომზადების პროცესში ერეკლეს აქტიური სავარეო პოლიტიკა (სტამბოლში ელჩების გაგზავნა და სხვ.) ასახავს უნდა პოულობდეს ასეთი სახის ნაშრომში. შ. ხანთაძეს არ მიაჩნია სწორად აზრი, რომ პეტრე I-ის გეგმები ირანის მიმართ არქივს ჩაბარდა. ამ გეგმების სულთ იყო გაყდენილი 1796 წ. დაწყებული ომი ირანთან, — აცხადებს შ. ხანთაძე.

მოკამათე აღნიშნავს შეუსაბამობას რუსულ ტექსტსა (ციტატას) და ავტორისეულ ინტერპრეტაციას შორის, 102 გვერდზე. ახსნას თხოულობს, მისი აზრით საკითხი, — რატომ განსხვავდება 1772 წ. წარდგენილი პირობები ხელშეკრულებისა ტრაქტატის დიდების წინ წამოყენებული მუხლებისაგან.

ისტ. მეცნ. დოქტორმა, პროფ. ი. ანთელავამ აღნიშნა, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის მკვლევარი კარგად უნდა იყოს დაუფლებული როგორც ფეოდალური რუსეთის, ისე ფეოდალური საქართველოს ისტორიას. ამ თვალსაზრისით პროფ. ი. ცინცაძე, როგორც ეს მომხსენებელმა მ. დუმბაძემ თქვა, უდავოდ კომპეტენტური მკვლევარია. ი. ანთელავა იწონებს საერთოდ ნაშრომს, აღნიშნავს, რომ მრავალი საკითხი სწორად არის გადაჭრილი. მაგრამ, მისი აზრით, ავტორი თავს არიდებს საკუთარი აზრის გამოთქმას. საერთოდაც უნდა ითქვას, მოკამათის განცხადებით, რომ მიუხედავად ტრაქტატის საკითხზე გარკვეული აზრის არსებობისა (ნ. ბერძენიშვილი და სხვ.), საკითხის სხვადასხვაგვარი შეფასება მაინც იჩენს ხოლმე თავს. — ამ ტრაქტატს უნდა ვაფასებდეთ ორი თვალსაზრისით, — ამბობს ი. ანთელავა, — უშუალო შედეგებისა და პერსპექტივის თვალსაზრისით. მიუხედავად იმისა, რომ ტრაქტატის უშუალო შედეგები ქართველი ხალხისათვის უკიდურესად მძიმე აღმოჩნდა, ერეკლე II მაინც არ ეშვება რუსეთთან კავშირს სწორედ იმიტომ, რომ იგი ამ ტრაქტატს უყურებდა არა უშუალო შედეგების მიხედვით, არამედ პერსპექტიული შედეგების გათვალისწინებით. მე მიმაჩნია, რომ საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის შეწყვეტა არც ერთ ქართველ სახელმწიფო მოღვაწეს არ სურდა. უმცირესი ბოროტების, ნაკლები ბოროტების ფორმულა პრინციპულურად სწორი ფორმულაა.

დასასრულ, ირ. ანთელავა შეჩერდა იმ დადებითი ხასიათის შედეგებზე, რაც მოყვა საქართველოს შეერთებას რუსეთთან (სამხრეთ საქართველოს შემოერთება, ტყვის სყიდვის. აკრძალვა და მოსახლეობის სტაბილიზაცია, ეკონომიურად და კულტურულად მოწინავე ქვეყანასთან დაკავშირება). ამიტომ აფასებენ, მოკამათის განცხადებით, ამ მოვლენას დადებითად როგორც ქართველი ისტორიკოსები, ისე ისეთი მოღვაწენი, როგორც ნიკ. ბარათაშვილი, ილია

და სხვანი.

ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. ი. კ ა ჯ ა რ ა ვ ა (ისტორიის ინსტიტუტი) არ ეთანხმება აზრს, რომ წიგნის ავტორმა თითქოს გვერდი აუარა ტრაქტატის შეფასებას. წიგნში მოცემულია ტრაქტატის ივ. ჯავახიშვილისეული შეფასება, რომელსაც, ცხადია, ავტორიც ეთანხმება. ეს შეფასება, რომელიც თვლის ტრაქტატს სამოკავშირეო ხელშეკრულებად, არ არის სწორი, რადგან ერეკლე II-მ თავისი სუვერენული უფლებები ნებაყოფლობით დაუთმო რუსეთს. ეს აზრი—სამოკავშირეო ხელშეკრულების შესახებ—ნაყოფია XIX ს. 90-იან წწ. წამოწყებული კამპანიისა, რომლის მიხედვით დიდ სახელმწიფოთა მფარველობაში ნებაყოფლობით შესული მცირე ხალხები უფლებამოსილნი არიან—თუკი ეს მათ სურთ — მოითხოვონ გამოყოფა. ამ კამპანიას აქტიურად გამოეხმებოდნენ ქართველი ავტორებიც — მ. ხელთუფლიშვილი, ზ. ჭიჭინაძე, ზ. ავალიშვილი და სხვები, რომლებმაც ტრაქტატის საკითხიც ამ კუთხით დააყენეს. თუმცა ჰააგის კონგრესმა არ განიხილა ეს საკითხი, მაგრამ მთლიანად საქართველოს გამოყოფის საკითხი რევოლუციამდელ ქართველ მოღვაწეებში არ გამქრალა. სასურველი იყო.—განაგრძობს ი. კაჭარავა,—პროფ. ი. ცანცაძეს განეხილა აღნიშნული პერიოდის ავტორთა (გ. ვეშაბელი და სხვანი) დამოკიდებულება ტრაქტატისადმი, ავტორს თავის ნაშრომში, როგორც ეს მ. დუმბაძემ აღნიშნა, არაფერი უთქვამს ე. წ. „უმცირესი ბოროტების“ ფორმულის შესახებ. წიგნში უნდა ახსნილიყო ამ ფორმულის შინაარსი. მით უმეტეს, რომ მასში გულისხმობდნენ არა 1801 წლის აქტს, არამედ 1783 წლის ტრაქტატს.

იურიდიული მეცნ. კანდიდატი ლ. ა ლ ე ქ ს ი ძ ე (სახ. უნივერსიტეტი) თავის გამოსვლაში შეეხო ტრაქტატის იურიდიულ მხარეს, საერთაშორისო სამართლის ასპექტში. მან ახსნა ვასალიტეტის, პროტექტორატისა და მფარველობითი ხელშეკრულების არსი. — 1783 წ. ტრაქტატი, — აღნიშნა მან, — წარმოადგენს პროტექტორატს, ე. ი. ისეთი ტიპის ხელშეკრულებას, როდესაც ერთ სახელმწიფო ნებაყოფლობით იხსნის თავიდან საგარეო ფუნქციებს და გადასცემს მას მეორე სახელმწიფოს. ასეთ შემთხვევაში მას, როგორც საერთაშორისო სამართლის ობიექტს, დაკარგული აქვს ქმედითობა.

1783 წლის ტრაქტატმა იურიდიული არსებობა შეწყვიტა 1801 წელს; უფრო ზუსტად — მაშინ, როცა რუსეთმა არ გაუწია დახმარება 1795 წ. საქართველოს. 1783 წ. ხელშეკრულება ნიშნავს, ჩემი აზრით, „დაქვემდებარების“ ხელშეკრულებას.

პროფ. ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე მ (საქ. სახ. ცენტრალური არქივი) ყურადღება მიაქცია ტრაქტატის მომზადების პირობებს. მან აღნიშნა, რომ ერეკლეს ელჩობა ტრაქტატის წინ მარცხით დამთავრდა, მაგრამ ამის მიზეზს თურქული წყაროები არ გადმოგვცემენო. განაცხადა მან.

1781 წ. ვენაში წამოიჭრა შემდეგი პროექტი: შავი ზღვის აღმოსავლეთ და ჩრდილო ქვეყნების ბაზაზე უნდა შექმნილიყო ახალი ქრისტიანული სახელმწიფო, რომელსაც „მითრიდატის სახელმწიფოს“ არქმევდნენ და რომელიც რუსეთის ინტერესების წინააღმდეგ უნდა ყოფილიყო მიმართული. ერეკლემ გაიგო ამ პროექტის არსებობა და გარკვეული ნაბიჯი გადადგა თავის მხრივ, რათა რეალური გაეხადა ავსტრიის მოქმედება ამიერკავკასიაში. მაშინ რუსეთმა ენერგიულად მოკიდა ხელი ტრაქტატის დადების საქმეს. ამით უნდა აიხსნასო.

—განაგრძობს ს. კაკაბაძე—რომ ტრაქტატი უფრო შეღავათიან პირობებში დაიდო, ვიდრე ამას ლევანისა და ანტონის ელჩობა მოითხოვდა. ერეკლე არ ყოფილა პეტერბურგისადმი ფანატიკურად მინდობილი, როგორც ეს მ. დუმბაძემ აღნიშნა. ის სხვა გზებსაც ეძებდა ქვეყნის სახსნელად (ინგლისიდან ზარბაზნების გამოწერა და სხვ.).

სხდომაზე სიტყვით გამოსულმა აკად. ნ. ბერძენიშვილმა გაკვირვება და მწუხარება გამოთქვა ავტორის გამოუცხადებლობის გამო წიგნის განხილვაზე. სამეცნიერო შრომები იწერება საზოგადოებისათვის, აღნიშნავს იგი, — და, ამიტომ, რასაც ვწერთ, მის შესახებ საზოგადოების აზრის მოსმენას თავს არ უნდა ვარიდებდეთ. მით უმეტეს, რომ დღევანდელმა განხილვამ, როგორც ვხედავთ, მეტად საქმიანი და საინტერესო კამათის ხასიათი მიიღო.

შემდეგ აკად. ნ. ბერძენიშვილი გადადის წიგნში დასმულ საკითხებზე.

—პრობლემა, წიგნი რომ ეხება, განაცხადა მან,—ერთი ყველაზე მნიშვნელოვანთაგანია არა მარტო გვიანდელი ხანის საქართველოს ცხოვრებაში. არამედ მთელი შუა საუკუნეების ეპოქაში, მას შემდეგ, რაც საქართველო ძალით მოწყვეტიტს ევროპის სამყაროს, რომელსაც იგი ეკუთვნოდა, თუმცა ფეოდალურა საქართველო ამის შემდეგაც ევროპული რჩებოდა. და როცა ჩვენ ვიხილავთ ამ ტრაქტატს და ვისხენებთ ერეკლეს, უნდა გვახსოვდეს, რომ „ერეკლე ისე არაფრისაკენ არ მიისწრაფოდა, როგორც თავისი ქვეყნის ევროპულად გარდაქმნისაკენ“ (ბურნაშვილის ცნობა). ერეკლეს ცხოვრება აქეთკენ მიმართული მოღვაწეობა არის. სავსებით ბუნებრივია, რომ 1783 წ. ტრაქტატის ერთ-ერთი ავტორი ერეკლე იყო.

— ცალკეული ფაქტები საკითხს არ წყვეტენ, — განაგრძობს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — მოვლენათა სრულ სურათს ვერ იძლევიან. ჩვენ საკითხს საქართველოს ზოგად ისტორიული თვალსაზრისით უნდა მივუდგეთ. ქიურის გადაწყვეტილება დიდი მარქსისტების შემოქმედების ნაყოფია და ჩვენი ვალია იმ სწორ ფორმულაში შესაბამისი შინაარსი შევიტანოთ. ჩვენი ვალია ერეკლეს დროინდელი საქართველოს ცხოვრების კრიტიკულ-ისტორიული აღდგენა.

ტრაქტატის დადება ერეკლეს მიერ ისტორიულად კანონზომიერი მოვლენა იყო. — რუსეთთან თუ ავსტრიასთან, ეს არ არის მთავარი საკითხი. ერეკლე ერეკლე არ იქნებოდა, რომ ეს ტრაქტატი ჩვენი ევროპასთან კავშირის აღდგენისა არ დაედო, ქართველობის გადარჩენის ამ ცდისათვის რომ არ მიემართა.

— ჩვენ ი. ცინცაძის სახით გვყავს ავტორი, — ამბობს აკად. ნ. ბერძენიშვილი, — რომლისგანაც ველოდით, რომ ასეთი სათაურის წიგნში საკითხი მონოგრაფიულად შესწავლილი წარმოგვიდგებოდა. ეს ასე არ მოხდა. დასაძანია, რომ ავტორმა ფორმალურ მხარეს მიაქცია ძირითადი ყურადღება. რამდენიმე ახალი ფაქტის მოწოდება მთავარ საგნად გაიხადა. ჩვენთვის მთავარია საკითხის არა იურიდიული, არამედ ისტორიული მხარე. ჩვენ მოველოდით, რომ

ავტორი გამოავლენდა. თუ 1783 წლის ტრაქტატს როგორ უძღოდა წინ XVI — XVII სს. მიჯნაზე დადებული ხელშეკრულება და შესატყვის ანალოგებს მიმართავდა. — წიგნს ბევრი რამ კარგიც ახლავს, — დაასკვნის აკად. ნ. ბერძენიშვილი, — მით უფრო სამწუხაროა, რომ მას ასევე ახლავს საგრძნობი ხარვეზები, რომელთა შევსება პროფ. ი. ცინცაძეს შეეძლო და შეეფერებოდა.

საბოლოო სიტყვით გამოვიდა მომხსენებელი, ისტ. მეცნ. დოქტორი, პროფ. მ. დუმბაძე, რომელმაც ხაზი გაუსვა ამ ნაშრომის განხილვის დადებით შედეგებს.

ნ. ნაკაშიძე

შ ი ნ ა რ ს ი

1. ა. გამყრელიძე, მიქელ პანარეტოსის „ტრაპიზონის ქრონიკა“	3
2. ბ. ლომინაძე, ბიკენტის ხატის 1568 წ. წარწერა	99
3. ბ. ლომინაძე, „საეკლესიო-სამწყსო“ გადასახადთა საბუთების მნიშვნელობისათვის	103
4. გ. ჯამბურია, მასალები ქართლის სათავადოების ისტორიისათვის (XVII—XII სს)	109
5. დ. მეგრელიძე, მასალები XVIII ს. ოციანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის	143
6. მ. ბერძენიშვილი, ძველი თბილისის ტოპონიმებიდან: რასტაბაზარი და ჩორსუ	177
7. ო. სოსელია, აზატ გლეხთა კატეგორია დასავლეთ საქართველოში (XIX ს. 20-იან წლებამდე)	185
8. გ. აკოფაშვილი, ცვლილებები აზნაურთა ფენის მდგომარეობაში XIX ს. პირველი ნახევრის აღმოსავლეთ საქართველოში	203
9. ე. ორჯონიკიძე, მასალები თელავის მაზრის გლეხთა დიფერენციაციის შესახებ XIX ს. პირველ ნახევარში	217
10. მ. დუმბაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი (პროფესორ იასე ცინცაძის წიგნის გამო)	233
11. ნ. შენგელია, თურქი ისტორიკოსის მუსტაფა ნაჰრმან ცნობები გიორგი სააკაძის შესახებ	253
12. ქრონიკა	265

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედ.-საგამომც. საბჭოს დადგენილებით

*
რედაქტორები: მ. დუმბაძე, თ. ყაუხჩიშვილი
გამომცემლობის რედაქტორი აკ. იაკობაშვილი
ტექნიკური ნ. ჯაფარიძე
კორექტორი რ. ფეიქრიშვილი

გადაეცა წარმოებას 25.5.1960; ანაწყოების ზომა 7×12 ; ხელმოწერილია
დასაბეჭდად 14.10.1960; ქალაქის ზომა $70 \times 108^{1/16}$;
ქალაქის ფურცელი 8,5; საბეჭდი ფურცელი 23,3; საავტორო
ფურცელი 20,24; საალრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 20,73;
შეკვეთა 826; უე 03927; ტირაჟი 1000
ფასი 14 მან. 70 კაპ.
1961 წ. 1. I-დან 1 მ. 47 კაპ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობის სტამბა
თბილისი, გ. ტაბიძის ქ., № 3/5

შეცდომების გასწორება

გვერდი	სტრიქონი		დაბეჭდილია	უნდა იყოს
	ზემოდან	ქვემოდან		
17	27	—	პოტირიჟი	პოტირიჟი
23	35	—	την Ααΐσαν	την Ααΐσαν
38	18	—	παιήσαντες	παιήσαντες
89	19	—	გიდონ-	გიდონ-
95	1	—	აბალანოვიჩი	სკაბალანოვიჩი
96	—	6	ანიკი	ჰანიკი
96	—	5	ქალდი იაშ	ქალდიოში
96	—	1	იპისის	ჰისის
105	22	—	რა	და
	22	—	კეება	კაბა
109	7	—	მფლობელების	მფლობელობის
119	23	—	მოციცივია	მოციცივი
124	6	—	გარევი	აგრევი
125	—	14	გადაკრულ	გადაკრეულ
133	—	10	კლიმაშვილი	კლიმაშვილი
135	—	10	ქართუნიძე	ქარუნიძე
148	18	—	უნაკულუსა (sic)	უნაკულუსა (sic)
148	23	—	რიტორს სიტყვა ჳმა კეთილი	რიტორ სიტყვა ჳმა კეთილი
149	3	—	ამდენს	ამთენს
151	—	6	ქარხანა	ქარანა
156	—	17	ქცეულებითა და	ქცეულქებითა
157	9	—	ჯარის	ჯარი
160	—	19	რომ	რომე
160	—	15—16	წაკითხონ, (sic)	წაკითხონ (sic),
165	14	—	გარდამიდვია	გარდამიდვია
165	—	19	1722 წ. ახლო.	1722 წ.
166	4	—	საწადინგროსა	საწადინგროსა
167	5	—	გიპირობდით	გიპირობდით
167	16	—	სამ ზოად	სამტეროდ
168	3	—	ნინოწმინდელი	ნინოწმინდელი
168	21	—	ვეფხიფეს	ვეფხიფეს
168	—	14	მამათ-ჰაჰათ	მამათ-ჰაჰათ
169	22—23	—	ველმწიფეს	ვემწიფეს
171	—	8	ჳნან	ჳნან
173	—	21	თაყაიც (sic)	თაყაიც (sic)
174	—	15	გაეტარებინა	გაეტარებინა
174	—	14	შენდობით	შენდობით
174	—	2	რომელ	რომე
175	15	—	უსეინყულიზანს	უსეინყულიზანს
175	21	—	კეთილთა	კეთილათ
175	—	22	მოვსწერეთ	მივსწერეთ
175	—	20	მაგისათვის	მაგისთვის—
175	—	17	მაშინაც	მაშინც—
175	—	12	მოციცეს	მოციციცეს
185	15	—	XVI	XVII
186	11	—	ახოტობის	ახატობის
196	—	25	ეცხოვრა	ეცხოვრა,
218	5	—	169	160
226	29	—	29	290
267	19	—	დიდების	დადების

92 „ჰოლა“-ს შემდეგ მოთავსებული სიტყვები „კორიდეთი“, „კორდილა“, „კორდილე“ გადაიტანე „კორდილოსის“ წინ

ნომ. 14
1961

146